ბორის სანსწავლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა სამეცნიერო ჟრომების კრებული

№2

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

UDC (უაკ) 378 (479.22)(066)
გ-716

წინამდებარე სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2011 წლის 27 ივნისს ჩატარებულ სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

სექციური კომისიების შემადგენლობა:

სექცია „განათლება“
თავმჯდომარე: ნოდარ მირაზანაშვილი
წევრები: მზია ზანგალაძე, ქეთევან ლომსაძე

სექცია „ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“
თავმჯდომარე: ლელა ალექსიძე
წევრები: ზურაბ ტიელიძე, ნელი გოგინაშვილი

სექცია „ბიზნესი და მართვა“
თავმჯდომარე: ხათუნა ბებნაძე
წევრები: ნანა ახალაია, მაკა სოსანიძე, ნათია ჟოჟუაშვილი, გიული გიგუაშვილი

სექცია „სოციალური მეცნიერებანი და სამართალი“
თავმჯდომარე: მალხაზ ლომსაძე
წევრები: კლარა ელჩიბეგაშვილი, მარიკა შერაზადიშვილი

სექცია „ლიტერატურა“
თავმჯდომარე: მარინა ცერცვაძე
წევრები: ნათელა ხინჩაგაშვილი, ნელი ჭამპურიძე

სექცია „ლინგვისტიკა“
თავმჯდომარე: ვიანორ ახალაია
წევრები: ელენე ხოჯევანიშვილი, ნინო ოქროპირიძე, მარიამ კობერიძე

სექცია „ისტორია“
თავმჯდომარე: ელდარ მამისთვალიშვილი
წევრები: ვაჟა ჩოჩია, მამუკა ჯოლბორდი

ISSN 2233-3320

შ ი ნ ა ა რ ს ი

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

კილასონია ეკა – *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მუშაობის პრინციპები – 6*
მაისურაძე მაია, გოშაძე ირმა – *ბავშვთა უფლებები – 10*
მღებრიშვილი რუსუდან – *ინკლუზიური განათლება – 13*
სვანიძე მედეა, ბითაძე მარიამ – *გლობალიზაციის პრობლემა თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში – 17*
ტატულაშვილი გულო – *პედაგოგიური მეცნიერება და ფსიქოლოგიზმის დაძლევის ზოგიერთი აქტუალური საკითხი – 21*

ზ უ ს ტ ი დ ა ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი

ავაზნელი ანი – *ჭიათურის „შავი ქვა“– 23*
ბალიაშვილი მარიკა – *ტყის როლი ბუნების დაცვის საქმეში – 26*
ბოლქვაძე ინდირა – *კაცობრიობის უზომო გამრავლება – 28*
გოგიაშვილი ფიქრია, ბერუაშვილი ნინო – *ღრმა ჭეშმარიტება და სიბრძნე ჩვენი კულტურის წიაღში დევს – 32*
ზუბაშვილი ეკა, ნასყიდაშვილი ანი – *შავი ზღვა და მისი რესურსებრივი პოტენციალი – 34*
თაყაძე გიული – *დანაშაულის ახალი სახე: კომპიუტერული დანაშაული – 36*
ლომიძე ნინო, აკოფაშვილი ნანა – *მიკროელემენტების მნიშვნელობა ადამიანისათვის და მათი მნიშვნელობა რთულყვავილოვანთა – Compositae ოჯახის მცენარეებში – 40*
მაზმიშვილი ნინო, სოსიაშვილი ნინო – *კომპიუტერული ქსელების საბაზო ტოპოლოგიები – 42*
მელაძე ცისნამი – *კომპიუტერის გამოყენების დადებითი და უარყოფითი ასპექტები – 45*
სომხიშვილი ნინო, ბუჩუკური შორენა – *გარემოს დაცვა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები – 47*
ტერუნაშვილი მერი – *შესანიშნავი რიცხვები – 50*
ტერუნაშვილი მერი – *კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში – 54*
ყაჩლავაშვილი მირანდა – *მათემატიკის, როგორც ერთ-ერთი უძველესი მეცნიერების განვითარება – 58*
ხარაიშვილი ანა, ბაწაშვილი თინა – *ტყის სანიტარულ–ჰიგიენური მნიშვნელობა – 60*

ბ ი ზ ნ ე ს ი დ ა მ ა რ თ ვ ა

არჩუაძე ნათია, ჩიხლაძე ცირა, ცაცებაშვილი უშანგი – *ინფლაციის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე – 64*
ბედოშვილი თამარ – *საიუბილეო მონეტები საქართველოში – 68*
ბერუაშვილი ნინო – *ეფექტური მოტივაცია წარმატებისათვის – 71*
გაბლიშვილი ნუცა, გაგნიძე მერი – *ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა – უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობა – 75*
გელაშვილი თეა, ხინჩიკაშვილი ანა – *ინფლაციის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები – 78*
გუგუტიშვილი თათია, ტრამაკიძე ნინო – *ელექტრონული ბიზნესი ტურიზმში – 81*
დათუნაშვილი ნინო, ფერაძე მარინე – *საქართველოს ეროვნული ბანკი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები – 85*
დათუნაშვილი ნინო, ფერაძე მარინე – *ტურიზმი და მსოფლიოს საოცრებანი – 89*
დვალიშვილი ნათია, ანესაშვილი მაგული – *ინოვაციები თანამედროვე ქართულ საბანკო ბაზარზე – 93*
დურული მარიკა – *ინფლაცია და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში – 95*
ეცადაშვილი ინა, შავშიშვილი ნანა – ინფლაციური პროცესები საქართველოში – *99*
ზანგალაძე ბადრი – *გლობალური ფინანსური კრიზისი და მისი გავლენა საქართველოს ფინანსურ სისტემაზე – 102*
კაკაშვილი თეონა – *ბიზნესის რესტრუქტურიზაციის პროცესი – 105*
კაპანაძე თამთა – *ინტერნეტ მარკეტინგის მოდელი – 106*
მინდიაშვილი ნათია – *სოფლის მეურნეობა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი – 108*

მიჩიტაშვილი ლალი, ნადირაძე თამარ, საათაშვილი მაკა – *ინფლაცია და უმუშევრობა – 111*
ტერტერაშვილი ლიკა, გაგნიძე მანანა – *უმუშევრობის ეკონომიკურ–სტატისტიკური ანალიზი საქართველოში – 114*
ტუსიაშვილი სოფიო, ნასუაშვილი ნათია, მეზვრიშვილი ეკა, ფაცინაშვილი ქეთევან – *სარესტორნო ბიზნესი და საქართველო – 116*
ფსუტური ანა, ჯანგიშერაშვილი ანიკო – *მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები – 120*
მინდიაშვილი ნათია, ღარიბაშვილი ნინო, ფარეხელაშვილი თამთა – *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ – 124*
ყაზარაშვილი ნინო, ფოცხვერაშვილი მზია, ხეტაშვილი ნინო, ელიაური ჯაბა – ნეკრესის კომპლექსი – *126*
შავდათუაშვილი მარიამ – *კომპანია „კოკა-კოლას“ ანალიზი – 129*
ციცაგი ვლადიმერ, ცერცვაძე თინათინ, დარბაიძე ხატია – *უმუშევრობა და დასაქმების რეგულირება – 133*
წიქარიშვილი ქეთევან – *ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და შედეგები საქართველოში – 137*
ხაჩიძე ქსენია – *მომსახურების სრულყოფა და ინოვაციები კომერციულ ბანკებში – 140*
ხუროშვილი ნატო – *სადაზღვევო ბაზრის ფორმირების თავისებურებანი – 144*

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

ბარბაქაძე ნატო – *დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება – 147*
ბერუაშვილი ნათია, გოგოსაშვილი თამარ, მიღრიჯანაშვილი თამარ – *კონფლიქტი – 149*
ბიჭიკაშვილი ანა – *ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ – 152*
ბოლოთაური მარიამ – *ყაჩაღობაში თანამონაწილეობა – 155*
დიასამიძე ნინო – *ქართულ–ოსური კონფლიქტი – 158*
ილურიძე ნათია – *კულტურა და ფილოსოფია – 160*
მინდიაშვილი თამარ – *ტემპერამენტის ტიპოლოგიის თავისებურებები – 162*
ოქროშიაშვილი თამარ – *ნაფიც მსაჯულთა როლი სასამართლო სისტემაში – 165*
ტატიშვილი მარიამ – *მსოფლიო რენესანსის საწყისის შესახებ – 167*
ტერმაკოზაშვილი ირინე – *ქართული სამართლის მეცნიერული ისტორიის მესაძირკვლე – 170*
ფიჩხნარაშვილი მარინე – *პლატონის „ნადიმი“ – 172*
ყაჩლავაშვილი მაგდა – *ახალი დროის ფილოსოფიური აზროვნება (რენე დეკარტი) – 173*
ჩოჩიშვილი თამარ – *დანაშაულის მცდელობა – 175*
ძიძიგური სოფიო – *განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში – 177*
ხარაიშვილი თამარ – *საკუთრების უფლება ძველ რომში – 181*

ლინგვისტიკა

ბერიანიძე თეონა – *ნუგზარ შატაიძის ენა და სტილი – 186*
გელაშვილი თამარ – *ფრონეს ხეობის იმერული დიალექტის მასალები – 188*
დემეტრაშვილი თამუნა – *სოფელ ტყვიავის მეტსახელები – 190*
თარაშვილი ეველინა, ოქროპირიძე მარიამ – *სამკურნალო მცენარეთა სახელდებისათვის – 191*
იორამაშვილი ეკა – *მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა სტილური თავისებურებანი მოულოდნელობის ეფექტი – 193*
საური თამარ – *ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის – 196*
სომხიშვილი ნათელა – *წართქმითი ბრძანებითის წარმოება საშუალ ქართულში – 198*

ლიტერატურა

ბერუაშვილი სოფიკო – *მითი და რეალობა ვაჟა–ფშაველას „გველისმჭამელში“ – 202*
გომარელი ნინო – *ბარბარე ჯორჯაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლისათვის – 204*
ვათიაშვილი ნათია, წიწიკაშვილი თეონა – *О НЕКОТОРЫХ ОБСТОЯТЕЛЬСТВАХ СМЕРТИ АЛЕКСАНДРА ГРИБОЕДОВА – 206*
ვარდიშვილი ეთერ – *АННА И АМЕДЕО (о новых фактах жизни и творчества Анны Ахматовой) – 208*

იორამაშვილი ეკა – *„უთარგმნელი“ გალაკტიონი – 211*
მექვაბიშვილი მარიამ – *ЛИТЕРАТУРНАЯ МИСТИФИКАЦИЯ СЕРЕБРЯНОГО ВЕКА: ЧЕРУБИНА ДЕ ГАБРИАК – 214*
სოზიაშვილი ნინო – *მელიას სახე ვაჟა-ფშაველას ორი საბავშვო მოთხრობის მიხედვით – 217*
ქურთაული თეონა – *„წმინდანი თუ იუდა“ - როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „იასე იანუსის“ მიხედვით – 220*
შატაკიშვილი მარიამი – *ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე – 224*
ხარიბეგაშვილი მარიამი, ელიზბარაშვილი მანონი – *გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია – 225*

ი ს ტ ო რ ი ა

ამბრიაშვილი ნინო – *სოფლის მეურნეობის ტრადიციები შიდა ქართლში ხიდისთავის მაგალითზე – 228*
ბერიკაშვილი თეონა – *ერთმორწმუნეობის მითი – 232*
კობლიაშვილი ხატია – *დამწერლობა - ქართული კულტურის ძვირფასი შენაძენი – 236*
კუბლაშვილი ნინო – *დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული მიმოხილვა – 239*
მარნაძე რეზო – *ალავერდი-ხან უნდილაძე – 241*
მახათაძე თინათინ – *ოსური ახალშენები საქართველოში – 244*
მჭედლიძე ია – *ქართული კულტურა XVIII საუკუნეში – 249*
ღუღუნაძე ციცინო, ტეტუნაშვილი ხატია – *2008 წლის აგვისტოს ომი და საერთაშორისო თანამეგობრობა – 251*
ხარიბეგაშვილი მარიამი, ელიზბარაშვილი მანონი – *ერთა ლიგა და საქართველო – 255*
ხორგუაშვილი სოფიო – *ქართველი დიპლომატი გულჩარა ბაგრატიონი – 258*

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე მუშაობის პრინციპები

ეკა კილასონია
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ეკატერინე გიგაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

განმარტების თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (სსსმ მოსწავლე), რომელსაც, თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები: ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, კერძოდ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ფიზიკური დარღვევა;
- ინტელექტუალური დარღვევა;
- სენსორული დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- მეტყველების დარღვევა;
- ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- სირთულეები სოციალური ფაქტორების გამო და ამ მიზეზით ვერ სძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

როგორ მოვიქცეთ, რა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა შევარჩიოთ, როდესაც კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვს აღმოვაჩენთ? ხშირ შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ბავშვის სკოლაში ჩარიცხვამდე ვლინდება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოაჩენს, რომ მას სასწავლო პროგრამის დაძლევაში გარკვეული სირთულეები აქვს. მისი აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა მოსწავლეების მოსწრებას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს, არის და თუ არა ეს მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. ამისთვის კი აუცილებელია მოსწავლის შეფასება.

მოსწავლის შეფასების მოთხოვნით, სკოლა მიმართავს ადგილობრივ რესურსცენტრს ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ გუნდს, რომელიც არის საქართველოს ყველა რეგიონში და თბილისში. ბავშვის შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება. გუნდის შემადგენლობაში შედიან ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტები. მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს როგორც მოსწავლეს, ასევე მის საგანმანათლებლო გარემოს, რათა ნახოს, რამდენად უწყობს გარემო ხელს მოზარდის სწავლასა და განვითარებას, და, პირიქით, ხომ არ ხდება ისე, რომ მოსწავლის სირთულეები ნაწილობრივ ან მთლიანად გარემოს არახელსაყრელი გავლენის შედეგია. სწავლაში არსებული სირთუელეების უმრავლესობა, რომელსაც ბავშვი სკოლაში ავლენს, ბავშვის ნორმალური კოგნიტური განვითარების შეფერხების შედეგია. აქედან გამომდინარე, მასწავლებლისთვის აუცილებელია იმ ფუნდამენტური უნარების განვითარების კანონზომიერების ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს აკადემიური უნარების ათვისებას, აკადემიური უნარები კი, თავის მხრივ, გამომუშავდება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

ეროვნული სასწავლო გეგმა მოქნილი დოკუმენტია და იძლევა შესაძლებლობას სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებელი ორიენტირებული იყოს არა სტანდარტულად მოცემული შედეგის მიღწევაზე, არამედ ინდივიდუალურ მოსწავლესა და კონკრეტულად მისთვის დასახულ ინდივიდუალურ მიზნებზე. ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა იმის საშუალებას, რომ გათვალისწინებული იყოს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები, სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სტრატეგია და მიდგომა, არამედ მოსწავლისათვის შერჩეული და მისადაგებული ოპტიმალური ვარიანტი. ამდენად, ამ

პრინციპებზე დაყრდნობით, მასწავლებელს ეძლევა უფლება და შესაძლებლობა ეროვნული გეგმის ფარგლებში მოსწავლისათვის ინდივიდუალურად განსაზღვროს სწავლების მიზანი და სტრატეგია, სწავლებისა და წახალისების ფორმა და მეთოდი და ა.შ. ამ მიდგომის თანახმად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის უნდა არსებობდეს ერთი განსაზღვრული (მიზნდასახული, დოკუმენტირებული) სასწავლო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებს პედაგოგი განურჩევლად ყველა მოსწავლესთან. მიუხედავად საგანმანათლებლო საჭიროებისა, პედაგოგის სურვილი უნდა იყოს განავითაროს და გააძლიეროს მოსწავლე იმ ძირითად და პრიორიტეტულ საკითხებში, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული, ის უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად მიუახლოვოს მოსწავლე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო შედეგს. მასწავლებელმა სწორად უნდა განსაზღვროს, თუ რა მისაღწევი შედეგი უნდა დაისახოს ამ კონკრეტული მოსწავლისათვის მისი პიროვნული ფაქტორებისა და სამომავლო ცხოვრებისეული მიზნების გათვალისწინებით.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, რომ მასწავლებელმა თავად განსაზღვროს პირველადი და მეორადი მნიშვნელობის სასწავლო შედეგები კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა, თუ რა იქნება მოსწავლისათვის ყველაზე შესაფერი სასწავლო პროგრამა. საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით მასწავლებელი აზუსტებს, ეროვნული სასწავლო გეგმიდან ირჩევს, მოსწავლისათვის აქტუალურ მისაღწევ შედეგებს და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის (ცოდნის გადაცემის, უნარის გავარჯიშების) გზებს. დაზუსტებული სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად იგეგმება სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები (საკლასო და საშინაო), გამოსაყენებელი მასალა, სახელმძღვანელოები. ზუსტდება აქტივობა, მასალა და დრო, რომელსაც მასწავლებელი დახარჯავს შერჩეული მიზნის მისაღწევად. მასწავლებელი ცდილობს მოსწავლისათვის უფრო სპეციფიკური გახადოს სასწავლო გეგმა და მასში ასახოს ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, რადგან შეუძლებელია იზოლირებულად დასახული მიზნებით ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა. მოსწავლისთვის, მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მთავარია ვიხელმძღვანელოთ პრინციპით, რომ სკოლაში უნდა მოხდეს მოსწავლის ყველა პრიორიტეტული საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება სკოლის რესურსებისა და სასწავლო გეგმების ფარგლებში. სსსმ მოსწავლისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლის სწავლების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება. მასწავლებელი შესაძლოა თანმიმდევრულად არც მიჰყვებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში სტანდარტულად მოცემულ მისაღწევ შედეგებს, არამედ თავად ირჩევდეს მოსწავლისათვის მეტად პრიორიტეტულს. ამიტომ, აუცილებელია მასწავლებელმა მისაღწევი შედეგები გარკვეულ პერსპექტივაში დაინახოს და ამ მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით, დროში გაწერილი გეგმა შეადგინოს. ანუ, დროის გარკვეული ეტაპისათვის მისაღწევი შედეგის განსაზღვრის პარალელურად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რა იქნება შემდგომ ეტაპზე მისაღწევი შედეგი. ამრიგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გაუადვილებს მოსწავლეს ეტაპობრივად მიღებული ცოდნის გამთლიანებას.

გრძელვადიანი გეგმა დაეხმარება მასწავლებელს გაითვალისწინოს:

- მოსწავლის სპეციფიკური ინტერესები და საჭიროებები;
- მხოლოდ ის სტანდარტი და ინდიკატორი, რომელიც მნიშვნელოვნად განისაზღვრა კონკრეტული მოსწავლისათვის;

განსაზღვროს:

- მისაღწევი შედეგების ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისია მოსწავლისათვის;
- გარკვეული თემების შესწავლა მოხდეს სიღმისეულად, გარკვეულის კი შედარებით ზედაპირულად;
- პრიორიტეტულად განსაზღვრულ მიზნებს საკმარისი დრო უნდა დაეთმოს;
- მოხდეს რეგულარული კონცენტრირება (დაბრუნება) იმ პრიორიტეტულ უნარებზე, რომლებიც რეგულარულ, ხშირ პრაქტიკასა და სწავლას საჭიროებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე მუშავდება სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის დანიშნულებაა დააზუსტოს კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული საათობრივი დატვირთვა სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით, განსაზღვროს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება და ბოლოს დაგეგმოს სასკოლო-საგანმანათლებლო ღონისძიებები. სასკოლო სასწავლო გეგმა არის სკოლის მისიის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და ასევე გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალისა და აღწერილობის, სასკოლო საათობრივი ბადის, სასწავლო

საფეხურებისა და საგნების შესაბამისი მასალის ჩამონათვალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხის კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით ერთობლიობა; **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს, დეტალურად აღწერს საგანმანათლებლო მიზნებს აღნიშნული მოსწავლისათვის და მათი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობებსა და რესურსებს. ეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული მიზნებია და შედგენილია მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით.**

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისთვის აუცილებელია მოსწავლის და სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება სხვასხვა წყაროების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება. გეგმაზე მომუშავე გუნდი უფლებამოსილია მოითხოვოს და გაეცნოს მოსწავლის შესახებ არსებულ სამედიცინო დასკვნებს ან სხვა წერილობით დოკუმენტებს, კონსულტაცია გაიაროს კომპეტენტურ პირებთან, მოახდინოს უშუალო დაკვირვება მოსწავლის სასწავლო აქტივობებში ჩართულობისას, განახორციელოს მოსწავლის პიროვნული ფაქტორების შეფასება სხვადასხვა სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს: მოსწავლესთან და მის მშობლებთან, საგნის მასწავლებლებთან, სხვა პროფესიონელებთან (ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ექიმი, სოციალური მუშაკი და სხვა) კონსულტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება და სიღრმისეული შეფასება.

მნიშვნელოვანია მოპოვებული ინფორმაციის სათანადო გაანალიზება და მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან მისი განხორციელების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ გეგმის განხორციელებაში ჩართულ პირებს შორის როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხდებოდეს ყველა ეტაპზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გულისხმობს შემდეგი პირებისა და სტრუქტურების ჩართულობას:

- <u>სკოლის ადმინისტრაცია</u> – განსაზღვრავს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორს, განსაზღვრულ პერიოდში უზრუნველყოფს გეგმის შედგენასა და მისი განხორციელების მონიტორინგს, უზრუნველყოფს მოსწავლის მხარდაჭერას სკოლის რესურსებით;
- <u>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორი</u> – პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შეხვედრის ორგანიზებაზე, საჭირო დოკუმენტაციისა და მოსწავლის პორტფოლიოს წარმოებაზე, მონაწილეობს სასწავლო გეგმების მიზნებისა და სტრატეგიის განსაზღვრაში, მოსწავლის შეფასებაში. რეგულარული კონტაქტი აქვს მოსწავლის მშობლებთან და პედაგოგებთან;
- <u>პედაგოგები</u> – მონაწილეობას იღებენ მოსწავლის შეფასებაში, სასწავლო მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრაში, საჭირო მასალისა და დოკუმენტაციის შექმნაში; თანამშრომლობენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩართულ პირებთან;
- <u>სხვა პროფესიონალები</u> – მონაწილეობას იღებენ მოსწავლის აკადემიური უნარების შეფასების პროცესში, თანამშრომლობენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩართულ გუნდთან და ახდენენ მათ კონსულტირებას სხვადასხვა საკითხის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლის მშობლები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების შემდეგ, მნიშვნელოვანია მოსწავლისათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების დასახვა.

- *გრძელვადიანი მიზანი* – ეს არის ის მიზანი, რომელსაც მოსწავლე წლის განმავლობაში აღწევს; გრძელვადიან (წლიურ) მიზანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ მოსწავლის ძლიერი მხარეების, საჭიროებების, მიღწევის არსებული დონისა და სკოლის რესურსების გათვალისწინებით. ეს მიზანი უნდა ასახავდეს რეალისტურ მოლოდინს მოსწავლის მიმართ და შესაბამისად, შესაძლებელია შეიცვალოს მას შემდეგ, რაც პედაგოგები მოსწავლეს უკეთ გაიცნობენ და მის შესახებ ობიექტურ წარმოდგენას შეიქმნიან.
- *მოკლევადიანი მიზანი* – უფრო კონკრეტული და სპეციფიურია, რასაც გრძელვადიანი მიზნებისკენ მივყავართ. მათი მიღწევა უფრო მოკლე დროშია შესაძლებელი – ორ კვირაში, ერთ

ან ორ თვეში. მოკლევადიანი მიზნები წარმოადგენს საფეხურებს გრძელვადიანი მიზნებისკენ. თავის მხრივ, მოკლევადიანი მიზნებიც შედგება საფეხურებისგან, ანუ უფრო პატარა მიზნებისგან, რომელსაც უფრო მცირე დროითი ინტერვალი სჭირდება და მკვეთრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდება მარტივიდან რთულისკენ. მოკლევადიანი მიზნები უნდა იყოს ძალიან კონკრეტული გაზომვადი.

ამ ეტაპზე ასევე ხდება სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა, სწავლების პროცესის სხვა დამატებითი საკითხების დაზუსტება, როგორიცაა მოსწავლის სასწავლო განრიგი, საჭირო დამხმარე საშუალებები და სერვისები. დეტალურად ხდება ისეთი საკითხების განსაზღვრა, როგორიცაა: ვინ მუშაობს დასახულ მიზანზე მოსწავლესთან ერთად, სად ხორციელდება დასახულ მიზანზე მუშაობა, სწავლების რა მეთოდები და აქტივობები იქნება გამოყენებული, რა სახის მატერიალური რესურსები, დამხმარე საშუალებებია საჭირო მიზნის მისაღწევად, როგორ მოხდება მოსწავლის წახალისება და სხვა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება საკმაოდ დინამიური პროცესია და არ გამორიცხავს გეგმაში ასახული სასწავლო მიზნების და სტარტეგიების ცვლილების შესაძლებლობას. მეტად მნიშვნელოვანია შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. მოსწავლის შეფასება ხორციელდება მისი ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, იმის მიხედვით მიაღწია თუ არა ბავშვმა დასახულ კონკრეტულ შედეგს.

მიზნის მიღწევის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. სპეციალურად შემუშავებული ცხრილის მეშვეობით ყოველდღიურად ფასდება მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სისტემის მიხედვით. ერთ–ერთი შეიძლება იყოს მოსწავლის მიღწევების თვისებრივი დახასიათება: სუსტი, დამაკმაყოფილებელი, საშუალო და მაღალი. მიღწევის თვისობრვი მაჩვენებელი შეიძლება გადავიყვანოთ რაოდენობრივში შეფასებაში ათქულიანი სისტემის გამოყენებით. კვირის ბოლოს ხდება მოსწავლის მიერ მიღებული შეფასებების დაჯამება და გაანალიზება. ესა თუ ის მიზანი მიღწეული ითვლება, თუ მოსწავლის მიერ დაგროვილი შეფასება სტაბილურად (მინიმუმ ორი კვირის მანძილზე არის მაღალი). თუ აღმოჩნდა, რომ შედეგები სტაბილურად დაბალია ან უარესდება, უნდა მოხდეს დასახული მიზნებისა და შემუშავებული პროგრამის გადახედვა.

გარკვეული პერიოდულობით საჭირო ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა/განახლება – ამ პროცესის მეშვეობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრები ახდენენ მუშაობის შეჯამებას, აანალიზებენ რამდენად უახლოვდება მოსწავლე განსაზღვრულ შედეგს, ხომ არ არის საჭირო გარკვეული ცვლილებების განხორციელება. მნიშვნელოვანია, ყოველი განსაზღვრული ცვლილების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დოკუმენტირება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესახებ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მოსწავლის სწავლასა და განათლებას უკავშირდება შესაძლოა აკუმულირდეს სსსმ მოსწავლის პორტფოლიოში. მასში შეიძლება თავმოყრილი იყოს სსსმ მოსწავლის სამედიცინო ისტორია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები, რომლებიც ასახავენ მოსწავლის პროგრესს ან რეგრესს; ასევე შესაძლოა მასში იყოს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წინასწარ განსაზღვრული წესები, დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა და სხვა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არასტანდარტული დოკუმენტია, არ არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის უნივერსალური ფორმა ან სქემა, რომელსაც საქართველოში ყველა საგანმანათლებლო სისტემა გაიზიარებდა და გამოიყენებდა. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა შეიძლება განსხვავებული იყოს, მისი შინაარსი ერთია და ის შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან შედგება, ესენია: სსსმ მოსწავლის დემოგრაფიული მონაცემები, მოსწავლის შეფასების შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები), გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, პროგრამა ანუ განხორციელების გზები, მიღწეული შედეგების მონიტორინგი და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები.

ლიტერატურა:

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2010). რამდენიმე საკვანძო საკითხი ინკლუზიურ და სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებით. თბილისი;
2. პაჭკორია თ. (2011). ინკლუზიური განათლება : ცნებები და ტერმინები;
3. გაგოშიძე თ., ჭინჭარაული თ. ფილაური თ და ბაგრატიონი მ. (2008). ინკლუზიური განათლების საფუძვლები;
4. გამოცდების ეროვნული ცენტრი, კველვის დეპარტამენტი (2010). როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის: პროფესიული უნარები. თბილისი;

5. ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ. და პაჭკორია თ. (2009). ინკლუზიური განათლება: გზამკვლევი მასწავლებელთათვის;
6. ჭინჭარაული თ., ბაგრატიონი მ., ლაღიძე ა. და პაჭკორია თ. (2010). ინკლუზიური განათლება; სწავლის უნარის დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება;
7. კაპანაძე მ., ბარქაია ც., თვეითერიდი ქ., შარიქაძე ი. და პაჭკორია თ. (2008). ვისწავლოთ ერთად – ინკლუზიური განათლება;
8. სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, სამუშაო ვერსია.

ბავშვთა უფლებები

მაია მაისურაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ირმა გოშაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია ზანგალაძე,** სრული პროფესორი

დღეს საკმაოდ აქტუალური თემაა ბავშვთა უფლებები. ხშირი დისკუსიის საგანი ხდება, თუ რისი უფლება ეძლევათ მათ კანონით და რისი არა. ასევე რა შემთხვევაში აქვს ადგილი მათი უფლებების დარღვევას და რა შემთხვევაში - არა.

და, მართლაც საინტერესოა, რისი უფლებები აქვთ ბავშვებს და რა შემთხვევაში აქვს ადგილი მათი უფლებების დარღვევას?

ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და დაბადებიდანვე აქვს უფლება ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და იღებდეს მათ მზრუნველობას. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება აქვს, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბავშვები უკანონოდ არ გაიყვანონ, ან უკანონოდ არ დატოვონ საზღვარგარეთ, რათა არ დაირღვეს მათი უფლებები და ისინი არ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი, რომლის მაგალითი სამწუხაროდ დღეს მრავლადაა საქართველოში.

ასევე არანაკლებ აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, როდესაც მშობლები უარს ამბობენ თავიანთ შვილებზე და ჩვილ ბავშვებს ტოვებენ ნაგავსაყრელებზე, სადარბაზოებსა და ლიფტებში, რომელთაგანაც ზოგიერთს გაუმართლა და მიყვანილ იქნა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში, უმეტეს შემთხვევაში კი ისინი იღუპებიან თავიანთი მშობლების უგულობისა და უგონობის გამო.

ასევე არასასიამოვნოა ის ფაქტიც, როდესაც მშობლები თავიანთ მცირეწლოვან შვილებს ამა თუ იმ მიზეზის გამო აბარებენ უპატრონო ბავშვთა სახლებში, საიდანაც შემდგომ ხდება სახელმწიფოს მიერ მათი მიბარება ისეთ ოჯახებში, რომელთაც აქვთ მათი შვილად აყვანის სურვილი და რომლებიც, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს.

მშობელთა ასეთი საქციელი კი, ერთის მხრივ, საკუთარ თავს ართმევს იმის უფლებას, რომ იზრუნოს შვილზე და, მეორეს მხრივ, ბავშვს ართმევს იმის უფლებას, რომ გაიზარდოს მშობლებთან ერთად ოჯახურ გარემოში.

აქედან გამომდინარე, ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს და რომელსაც მისივე საუკეთესო ინტერესებისათვის არ შეუძლია დარჩეს ასეთ გარემოში, აქვს სახელმწიფოს მხრივ განსაკუთრებული დაცვისა და დახმარების უფლება (ასეთი ზრუნვა შეიძლება მოიცავდეს, კერძოდ, აღსაზრდელად გადაცემას, შვილად აყვანას, ან თუ საჭიროა, ბავშვის მომვლელ შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებას).

ბავშვთა უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ თითოეული ბავშვის უფლებას განათლებაზე, რომელიც მათი ერთ - ერთი ფუნდამენტური უფლებაა. როგორც ეროვნული,

ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებს ბავშვთა იმ კანონებს, რომლებიც გულისხმობს თითოეული ბავშვის უზრუნველყოფას სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლებით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, 6 წლის ასაკიდან მიიღოს ზოგადი განათლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. იგი ანიჭებს მათ შესაძლებლობას, აირჩიონ სახელმწიფო ან კერძო განათლება. განათლების მიღებაში არავის არ უნდა შეეშალოს ხელი, ეროვნების, რასის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, რელიგიური კუთვნილების ან სხვა სტატუსის მიუხედავად. ყველა ბავშვი ვალდებულია, მიიღოს დაწყებითი განათლება. საქართველოს კანონმდებლობით, ყველას აქვს უფასო ზოგადი განათლების მიღების უფლება. სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს. ყველა ბავშვისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფასთან ერთად, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. ამდენად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოვალეობაა, შექმნან ისეთი უსაფრთხო გარემო, რომელშიც ბავშვები ეფექტიანად სწავლას შეძლებენ. მაშინაც კი, როდესაც ისინი დისციპლინური დარღვევებისთვის ისჯებიან, მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ ბავშვის ადამიანური ღირსების შენარჩუნებაზე. მაგალითად, ბავშვი, რომელიც სკოლაში გამუდმებით ჩხუბობს, სკოლის ადმინისტრაციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააშინოს, არ უნდა მიაყენოს მას ფიზიკური, თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა; ასევე, დაუშვებელია სადამსჯელო ღონისძიებების გატარება სხვა მოსწავლეების თანდასწრებით.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. თუმცა საქართველოში არსებობს სხვა რელიგიური უმცირესობებიც, რომელთა პატივისცემაც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის ვალდებულებაა. საქართველოში ცხოვრობენ ებრაელები, მუსულმანები, არამართლმადიდებელი ქრისტიანები და ა. შ. დაუშვებელია უმცირესობათა ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების რელიგიურ ცერემონიებში, ლოცვებში, ან მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებაში იძულებით ჩართვა.

რწმენის თავისუფლების დარღვევის მაგალითია, როდესაც მასწავლებელმა კლასიდან გააგდო ებრაელი მოსწავლე იმ მიზეზით, რომ მას ეფარა ებრაული რელიგიური თავსაბურავი.

მსგავსი მოპყრობა იკრძალება არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი განათლების შესახებ კანონით, არამედ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე - 9 მუხლით (რელიგიის თავისუფლება).

მოსწავლეები ზოგჯერ ყვებიან ანეკდოტებს სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებზე. თუ მასწავლებელი კლასში ასეთ ხუმრობას გაიგებს, აუცილებლად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რატომაა დაუშვებელი ამგვარი საუბარი. მასწავლებელი არ უნდა ჩაერთოს ასეთ ხუმრობაში და იზრუნოს, რომ აღარ განმეორდეს მსგავსი საქციელი.

საქართველოში სახელმწიფო ენა ქართულია, მაგრამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ენობრივი ბარიერის გამო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეთქვას უარი განათლების მიღებაზე. მასწავლებელი ვალდებულია, ხელი შეუშალოს ბავშვების მხრიდან მშობლიურ ენაზე საუბრის გამო მათ დაცინვასა და დამცირებას. მან უნდა ასწავლოს ბავშვებს ტოლერანტობა და პატივისცემა ეთნიკური, თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ. მისი მხრიდან დაუშვებელია უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის მშობლიურ ენაზე საუბრის აკრძალვა. მასწავლებელს მოეთხოვება, დაიცვას მათი ინდივიდუალური და კოლექტიური უფლება შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული თვითმყოფადობა.

სასურველია, ბავშვებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად შემუშავდეს დამატებითი დახმარების პროგრამა მათთვის, ვისთვისაც ქართული არაა მშობლიური ენა.

ბავშვის უფლებაა ასევე, დაცული იყოს მისი პირადი საიდუმლოება: სკოლა ვალდებულია, არ გაავრცელოს მოსწავლის პერსონალური მონაცემები, გარდა ამისა, დაუშვებელია მათ მოვთხოვოთ პირადი ინფორმაციის გამჟღავნება. მეტიც, ბავშვის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია, დისციპლინური მონაცემებისგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები საჯარო ინფორმაციაა. თუმცა, მასწავლებელმა იმგვარად უნდა აცნობოს ეს ინფორმაცია თითოეულ ბავშვს, რომ არ შეილახოს მათი ღირსება და დამცირებულად არ იგრძნონ თავი.

აქედან გამომდინარე ბავშვებს აქვთ უფლება, მოსთხოვონ მასწავლებელს, ან სკოლის ხელმძღვანელობას, არ გაამხილონ მათი პირადი ინფორმაცია, არც ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა იქნას განხილული სხვა ბავშვებთან, ან იმ მასწავლებლებთან, რომლებიც აღნიშნულ ბავშვს უშუალოდ არ ასწავლიან.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად ბავშვს აგრეთვე აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას აზრი. ეს უფლება მოიცავს პატივისცემას იმ ბავშვების მიმართ, რომლებსაც სხვა ბავშვებისაგან, ან მასწავლებლისაგან განსხვავებული აზრი გააჩნიათ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რამდენად იცავენ მასწავლებლები თითოეული ბავშვის უფლებას. ამ მიზნით ვეწვიეთ ერთ - ერთ სკოლას (შეგნებულად არ ვასახელებ სკოლის ნომერსა და მასწავლებლის ვინაობას). ჩვენდა სამწუხაროდ, წავაწყდით მრავალ ისეთ ფაქტს, როგორიცაა მასწავლებლის გაცნობიერებული, თუ გაუცნობიერებელი ქმედების შედეგად ბავშვთა უფლებების დარღვევა. მაგალითად, ისეთი ბავშვების წამოწევა წინა პლანზე, რომლებიც სოციალურად შეძლებული ოჯახიდანაა, ხოლო დაბალი სოციალური ფენის ოჯახის შვილი კი მასწავლებლის ყურადღების მიღმა რჩება.

ავიღოთ თუნდაც ასეთი კითხვა, რომელსაც სვამს მასწავლებელი: „აბა, ბავშვებო, დავასახელოთ ყველაზე ლამაზი დედა ვის ჰყავს? “ ბავშვები მხოლოდ და მხოლოდ იმ მშობლებს ასახელებენ, რომლებიც უფრო მდიდრულად ჩაცმულ - დახურულნი არიან, ხოლო შედარებით ხელმოკლე მშობელი კი ნაკლებად სახელდება, რაც ბავშვებში იწვევს დიდ გულისტკივილს და უკმაყოფილებას. ეს ისევ და ისევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასწავლებლის მხრიდან ადგილი აქვს ბავშვთა სოციალური ნიშნით განსხვავებას და მათი უფლებების დარღვევას.

თუნდაც ასევე მთელი კლასის თანდასწრებით ერთ - ერთი ბავშვის ცუდი შედეგების საჯაროდ გამოცხადება, რაც იწვევს აღნიშნული ბავშვის დაცინვას თანაკლასელების მხრიდან. რაც აგრეთვე კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მათი უფლებების დარღვევისა.

ნებისმიერი ასეთი ქმედება დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, ყველასათვის სასურველი იქნება, თუ გავითვალისწინებთ ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებს, რაც წინაპირობა იქნება იმისა, რომ თავიდან ავიცილოთ ბავშვთა უფლებების დარღვევა.

ეს რეკომენდაციებია:

- მასწავლებელმა უნდა იზრუნოს ბავშვის ღირსების დაცვაზე, კარგად უნდა იცნობდეს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ყველა სამართლებრივი მექანიზმი უნდა გამოიყენოს მისი უფლებების დასაცავად;
- მასწავლებლისთვის ბავშვების კათილდღეობაზე ზრუნვა არა მხოლოდ მორალური, არამედ კანონით გათვალისწინებული მოვალეობაა;
- დაუშვებელია, მასწავლებელი განსხვავებულად მოეპყრას სხვა ეროვნული, თუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვებს, მათი კანონიერი ინტერესების საზიანოდ. ასევე დაუშვებელია მასწავლებლების მხრიდან ბავშვების სოციალური სტატუსით განსხვავება;
- მასწავლებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ბავშვები ფიზიკურად უსაფრთხო სასწავლო გარემოში იმყოფებოდნენ. ბავშვთა უსაფრთხოების დაცვა მოიცავს დისციპლინური წესების დაცვას და სკოლის გარეთ მათი უფლებების შელახვის ნებისმიერ შემთხვევაზე სათანადო რეაგირებას;
- მასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნდა იცავდნენ ბავშვთა შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ლიტერატურა:

1. მ. მოდებაძე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, თბ., 2003;
2. საქართველოს განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, თბ., 1999;
3. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი, ნორმატიული აქტებისა და ტესტების კრებული მასწავლებელთათვის, დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის, თბ., 2010;
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, სასწავლო და პროფესიული გარემო, 2008;
5. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა პროგრამასთან თანამშრომლობა, დამხმარე სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ნიუ იორკი და ჟენევა, 2008;
6. რ. გოლობი, ტ. ჰუდლესტონი, პ. კრაფი, დ. როუვი, უ. ტაელმანი; ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009.

ინკლუზიური განათლება

რუსუდან მღებრიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრატურის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ციური ბაქრაძე,** ასოცირებული პროფესორი

ინკლუზიური განათლება – გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური ან მოდიფიცირებული სასწავლო გეგმებით სწავლებას.

ინკლუზია ნიშნავს უნარშეზღუდული ბავშვის სრულ ჩართულობას კლასის ცხოვრებაში.

ყველა მოსწავლე სრულად მონაწილეობს საკლასო და სასკოლო აქტივობებში, ურთიერთთანამშრომლობით, მასწავლებლისა და სპეციალისტის დახმარებით.

ინკლუზიური განათლების მოდელის მიხედვით, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი ზოგადსაგანმანათლებლო კლასის სრულუფლებიანი წევრია. კლასის მასწავლებელი პასუხისმგებელია, იზრუნოს ბავშვისთვის სასწავლო გეგმის მოდიფიცირებასა და მორგებაზე. ამ მიზნით მასწავლებელი თანამშრომლობს სხვა სპეციალისტებთან სპეციალური განათლების მასწავლებელთან, ფსიქოლოგთან, ლოგოპედთან, მშობლებთან. ამიტომ ამ მოდელს კოლაბორაციულ მოდელსაც უწოდებენ. სკოლაში იქმნება სხვადასხვა სპეციალისტისგან შემდგარი გუნდი, რომელიც მშობლებთან ერთად მუშაობს ბავშვის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებზე სასწავლო გეგმისა და სასწავლო გარემოს მოსარგებად.

ინკლუზიური სკოლა მხარდამჭერი, მზრუნველი და ბავშვის განვითარების მასტიმულირებელი სასწავლო გარემოა, სადაც პატივს სცემენ და აღიარებენ განსხვავებას, ხოლო ბავშვები, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისდა მიხედვით, საგანმანათლებლო მომსახურებას იღებენ კლასში, სკოლასა და საზოგადოებაში.

ინკლუზია ჯგუფის ცხოვრებაში აქტიურ თანამონაწილეობას გულისხმობს. თანამონაწილეობა ნიშნავს, თუ რამდენად მიიღეს ბავშვი ჯგუფში და რამდენად ჩართულია ის ჯგუფის საერთო საქმიანობაში. ბავშვი შეიძლება ჩაერთოს ჯგუფის ცხოვრებაში როგორც ორგანიზებული, ასევე თავისუფალი აქტივობებისა.

თანამონაწილეობა არა მხოლოდ სასწავლო პროცესში ჩართულობაა, არამედ ბავშვის ურთიერთობაც თანატოლებთან. ბავშვებს სხვადასხვა სახის დამოკიდებულების ჩამოყალიბება შეუძლიათ ნებისმიერ გარემოში. ეს შეიძლება იყოს სათამაშო, მეგობრული ურთიერთობა, დახმარების გაწევა, დახმარების მიღება, ჯგუფური, კონფლიქტური და სხვა.

კლასის ცხოვრებაში თანამონაწილეობა და ბავშვებისა თუ მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულების ფონზე ბავშვები ეუფლებიან აკადემიურ ჩვევებს და ივითარებენ უნარებს. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმისა და შეფასებისას აუცილებელია სამივე კომპონენტის- თანამონაწილეობის, დამოკიდებულების და ცოდნის გათვალისწინება, რაც სკოლებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში ეხმარება.

აშშ_ს საგანმანათლებლო სივრცეში 90-იანი წლებიდან ფართოდ გავრცელდა მიდგომა **"სრული ინკლუზია".** იგი გულისხმობს ყველა მოსწავლის ყველა გაკვეთილზე და ყველა სასკოლო აქტივობაში ჩართვას, განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა. ინკლუზიის აღნიშნულ გაგებას დღეს კრიტიკულად უყურებენ, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება უგულებელყოფილი იყოს კონკრეტული ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები.

ამრიგად, როდესაც საუბარია ინკლუზიურ განათლებაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტერმინი **"სრული ინკლუზია"** აბსტრაქტული ცნებაა. კვლევების საფუძვლებზე დადასტურებულია, რომ ინკლუზიური განათლების ამგვარი, პირდაპირი გაგება ხშირ შემთხვევაში უსარგებლო და საზიანოც კი შეიძლება იყოს ბავშვისთვის. აუცილებელია, შეფასდეს კონკრეტული მოსწავლის საჭიროებები და ამის საფუძველზე განისაზღვროს, რა ტიპის სასწავლო გარემო იქნება კონკრეტული ბავშვისთვის ყველაზე ადეკვატური და სწავლის ხელშემწყობი, სასწავლო დღის როგორი რეჟიმია ბავშვისთვის სასარგებლო.

ინკლუზიის არსი არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში რამდენიმე საათით განთავსება, არამედ კლასის სივრცისა და სასწავლო პროცესის ისეთი თვისებრივი ცვლილება, რომ ბავშვი მთლიანად ჩაერთოს კლასის ცხოვრებაში. **ამიტომ ინკლუზიური განათლების მოდელის დანერგვა სკოლაში ძირეულ ცვლილებეს მოითხოვს.**ეს

ცვლილებები ეხება ყველაფერს - კლასის ორგანიზაციას, სკოლის მენეჯმენტს, მასწავლებლების კომპეტენციებს, ბავშვებს, ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლებს.

მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში სწავლება თვითმიზანი არ არის და ეს არ უნდა ხდებოდეს ბავშვის ინტერესების და კლასის ინტერესების საზიანოდ.

ძალზედ მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მოდელის მიმართ იმ კრიტიკული დამოკიდებულების ცოდნა, რაც აქვთ ჯანმრთელი და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების მშობლებს. როგორც წესი, მშობლების ასეთი დამოკიდებულება აბრკოლებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში.

შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვების მშობლები ხშირად თვლიან, რომ:

- მათი შვილი ჩვეულებრივ კლასში თავს ვერ იგრძნობს უსაფრთხოდ და დაცულად, ვერ მოხერხდება მისი განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- მათ შვილს დასცინებენ და ვერ გაუგებენ ჯანმრთელი ბავშვები.

ჯანმრთელი ბავშვების მშობლები თვლიან რომ:

- მათ შვილს ხელი შეეშლება ცოდნის ათვისებაში, რადგან მასწავლებლის ყურადღება, ძირითადად, პრობლემურ ბავშვებზე იქნება მიმართული.
- მათი შვილი ვერ შეძლებს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენას და მისი განათლების ხარისხი მნიშვნელოვნად დაიწევს, რადგან კლასში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სწავლება არ მისცემს მას სასწავლო პროგრამის სრულად ათვისების საშუალებას.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ის რომ **ეს ასე არ არის**… პირიქით, *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს:*

ჩვეულებრივ კლასში შესაფერისი განათლებით უზრუნველყოფა აძლევს საშუალებას, თავი არ იგრძნონ სხვებისაგან გამორჩეულად;

- კლასის ცხოვრებაში მონაწილეობითა და კლასელებთან ურთიერთობით ბავშვს უჩნდება მიკუთვნებულობის, მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა, ეზრდება მოტივაცია და თვითშეფასება;
- თითოეულ ბავშვს აქვს თავისუფალი გადაადგილების საშუალება სკოლაში მაშინ, როდესაც მხოლოდ სპეციალიზირებულ კლასში ყოფნა ხშირად იწვევს ბავშვის იზოლაციას;
- თანატოლებთან ურთიერთობით ბავშვი სწავლობს თავისი ასაკისათვის სოციალურად შესაფერის ქცევას რეალურ სიტუაციაში.

ხოლო, *ჯანმრთელი ბავშვი:*

- კარგად ორგანიზებულ ინკლუზიურ გარემოში იღებს უფრო მრავალმხრივ, ინდივიდუალიზებულ განათლებას, ვიდრე ჰომოგენურ საკლასო ოთახში;
- ბავშვებს უყალიბდებათ ცხოვრებაში არსებული განსხვავებების მიმღებლობა, გაგება და მცირდება ამ განსხვავებების აღქმის შიში;

იზრდება მათი სოციალური შეგნება;

- ღრმავდება თვითშემეცნება და ყალიბდება ადეკვატური თვითშეფასება;
- ერთი მხრივ, ვითარდება ზრუნვის, სხვისი დახმარებისა და თანამშრომლობის სურვილი, ხოლო, მეორე მხრივ, სხვებისაგან დახმარების მიღების ადეკვატური აღქმა.

ამრიგად, სერიოზული შიში არსებობს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, რაც ართულებს აღნიშნული მოდელის დანერგვასა და კონკრეტულ სიტუაციაზე მორგების პროცესს. ჩემი აზრით, ეს შიში უსაფუძვლოა, რადგან თუ სკოლა კარგად არის ორგანიზებული და საკმარისი რესურსია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, არავითარ პრობლემას წარმოადგენს ასეთ მოსწავლეებისთვის საჭირო განათლების მიცემას.

ეს შიში შეიძლება ინკლუზიური განათლების პრინციპების არასწორი გაგებიდან და ინტერპრეტაციიდანაც გამომდინარეობდეს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა,

თუ რა არ არის ინკლუზია!

ინკლუზია არ არის ადამიანების გათანაბრება და იმის აღიარება, რომ ყველა ერთმანეთს ეთანხმება. ინკლუზია სწორედაც რომ განსხვავების პატივისცემასა და აღიარებას გულისხმობს. ეს იმ ადამიანების მიმღებლობაა, ვინც სხვანაირად გამოიყურება, მოქმედებს, ფიქრობს ლაპარაკობს.

ინკლუზია არ არის მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის განთავსება ზოგადსაგანმანათლებლო კლასში. ინკლუზია ნიშნავს თანაცხოვრებისა და თანამონაწილეობის სწავლას, განსხვავებასა და მრავალპეროვნებასთან გამკლავებას. ინკლუზია ნიშნავს ,,-თან", ,,ერთობლივად", ანუ სასწავლო პროცესში **ყველა** ბავშვის მაქსიმალურ ჩართვას, მათ უნარ-შესაძლებლობებს შორის განსხვავებისდა მიუხედევად.

ინკლუზია არ არის ახალი პროგრამადა კიდევ ერთი იარლიყის მიწებების საშუალება. ,,**ინკლუზიური ბავშვი**", მიუღებელი ტერმინია! ინკლუზია პროცესია - მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი, როდესაც ადამიანი თავს ჯგუფის სრულუფლებიან წევრად გრძნობს.

ინკლუზია არ არის მხოლოდ სასწავლო გეგმის ადაპტაცია და მოდიფიკაცია. როდესაც ინკლუზიის საჭიროებაზე ვსაუბრობთ, გავიხსენოთ, რომ სიცოცხლისათვის სუნთქვაა აუცილებელი. იგულისხმება, რომ სუნთქვის გარეშე ვერ იცოცხლებ. იკლუზიური განათლების მოდელის კრიტერიუმი სუნთქვის საჭიროების ანალოგიურია. ადამიანი პიროვნებად და მოქალაქედ რომ ჩამოყალიბდეს, მისი თვითშეფასებისა და თვითპატივისცემის ფორმებისათვის აუცილებელია, თავი საზოგადოების წევრად, მიკუთვნებულად და აღიარებულად იგრძნოს.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნის ფარგლებში, ყოველი საფეხურისთვის განსაზღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებს, და წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს. სკოლისა და პედაგოგის მიზანია, რაც შეიძლება მეტად მიუახლოოს ყველა მოსწავლე დასახულ წლიურ მიზანსა და სასწავლო შედეგს. შესაბამისად, მოსწავლე შეფასებას ღებულობს მიღწევის დონის მიხედვით მიზანთან მიმართებაში.

სკოლაში პედაგოგის ამოცანაა სასწავლო პროცესი სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართოს, მაგრამ იმავდროულად მოარგოს ის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმა ,,ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ცოდნის ხარისხზე და არა ოდენობაზე". ეს მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, თუკი პედაგოგს კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ყავს, რომლისთვისაც გაუმართლებელი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული იგივე სასწავლო მიზნების დასახვა, რომელიც პედაგოგს დასახული აქვს კლასის დანარჩენი მოსწავლეებისთვის.

მას შემდეგ, რაც სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში გამოავლენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, დგება საკითხი, როგორ მიუდგეს მოსწავლეს? როგორ დაგეგმოს მისთვის ეფექტური სწავლება მომდევნო ერთი წლის მანძილზე? მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ იცოდეს, როგორ გამოიყენოს სკოლის რესურსი ეფექტური საგანმანათლებლო გარემოს შესაქმნელად და, საჭიროების შემთხვევაში, ვის მიმართოს.

აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის აუცილებელია მასწავლებლებისა და სპეციალისტების მხრიდან მოხდეს მოსწავლის შესაძლებლობების ზუსტი შეფასება, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მასწავლებელმა საკუთარ საგანში შეაფასოს მოსწავლის შესაძლებლობები, რის შემდეგაც ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია მოხდეს მასწავლებლების, სპეციალისტების (თუ სკოლაში ან რეგიონში მოიპოვება ასეთი რესურსი), მშობლების შეხვედრა და შეგროვებული ინფორმაციის ერთმანეთში გაზიარება, ამ შეხვედრის ძირითადი მიზანია დაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც მთელი წლის განმავლობაში უნდა იმუშაოს მასწავლებელმა.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ისაზღვრება გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები შესაბამისი აქტივობებით, პრაქტიკულმა მუშაობამ აჩვენა, რომ სასურველია მთელი წლის მანძილზე საგანს ჰქონდეს 2–3 გრძელვადიანი მიზანი, რომელიც თავისთავად დაიყოფა 6–7 მოკლევადიან მიზნად, მოკლევადიანი მიზნის ნაბიჯ–ნაბიჯ შესრულება წინაპირობა უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნის მიღწევისა. ამის შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია განისაზღვროს, თუ როგორ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეს? თითოეულ მოკლევადიან მიზანს უნდა შევუსაბამოთ აქტივობა, ანუ როგორ მინდა მე, მასწავლებელს, რომ ვასწავლო მოსწავლეს აღნიშნული მასალა. აქტივობები ფასდება ქულებით, მაგ; არ ასრულებს–0 ქულა; ასრულებს ფიზიკური დახმარებით–1 ქულა; ასრულებს ვერბალური დახმარებით–2 ქულა და ასრულებს დამოუკიდებლად–3 ქულა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არაა დახურული დოკუმენტი მასში ცვლილებები შედის მთელი წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე.(მიზნის გართულება, გამარტივება).

შემდეგი მასწავლებლებისთვის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ს.ს.ს.მ მოსწავლის შეფასებაა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ს.ს.ს.მ მოსწავლე ფასდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, თუ მოსწავლე ერთი კვირის განმავლობაში აქტივობებში იღებს 3 ქულას, მასწავლებელს შეუძლია აქტივობის შესაბამისი მოკლევადიანი მიზანი მიღწეულად ჩათვალოს და ჩაანაცვლოს ახალი აქტივობა. სასკოლო ჟურნალში გადადის ნიშანი სტანდარტული ქულების ექვივალენტით (3–9;10 ქულა. 2–7;8 ქულა და ა.შ) მასწავლებელს შესაძლებლობა ექმნება ს.ს.ს.მ მოსწავლე

შეაფასოს ისე, როგორც აფასებს კლასის ნებისმიერ მოსწავლეს, და შეუძლია ნებისმიერ მსურველს ნათლად დაუმტკიცოს, რატომ უწერია ს.ს.ს.მ მოსწავლეს აღნიშნული ნიშანი.

მნიშვნელოვანია კლასში არსებულმა მოსწავლეებმა და მშობლებმა ამგვარი შეფასების სისტემის თაობაზე სწავლის დაწყებისთანავე იცოდნენ, რათა თავი აარიდოს მასწავლებელმა მოსალოდნელ გართულებებს.

მნიშვნელოვანია მასწავლებელს სრულად გაცნობიერებული ჰქონდეს მის კლასში მყოფი ს.ს.ს.მ მოსწავლე მთლიანი კლასის ნაწილია და არა მის გარეთ არსებული ერთეული. გაკვეთილები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ გათვალისწინებული იყოს ყველანაირი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის მასალა და აქტივობები. მაგალითად, დასაშვებია, მოსწავლეს მასწავლებელმა დაფის გაწმენდა დაავალოს მაშინ, როდესაც კლასის სხვა მოსწავლეები საკონტროლოს წერენ ან მოსწავლემ ქართულის გაკვეთილზე ხატოს და აფერადოს, მაშინ, როცა მისი თანაკლასელები სხვადასხვა ზეპირ და წერით აქტივობებს ახორციელებენ. ამგვარი აქტივობები ხშირ შემთხვევაში საშუალებად გამოიყენება მოსწავლის საგაკვეთილო პროცესის მიჩვევის და ქცევის წესების გამომუშავების უზრუნველსაყოფად. მთავარია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობები შეირჩეს და სხვა მოსწავლეების მხრიდან ზედმეტი ინტერესის გამო, საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა არ გამოიწვიოს. ამგვარი აქტივობების გამოყენებისას, გადამწყვეტია, რომ მოსწავლს ეს აქტივობები, დავალების სახით მასწავლებლისგან მიეცეს (ანუ ხატვა წამოიწყოს, იმიტომ რომ მასწავლებელმა დაავალა, და არა იმიტომ, რომ მას ასე უნდა) და გაკონტროლდეს გაკვეთილის მსვლელობისას.

როდესაც საუბარია ინკლუზიურ განათლებაზე ხშირად მის ქვეშ გულისხმობენ უნარშეზღუდულ მოსწავლეს, ეს მიდგომაც არ არის სწორი, რადგან ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვების სწავლებასაც. ასეთი მოსწავლეებისთვის აუცილებელია განსაკუთრებული გარემოს შექმნა სკოლაში.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების სწავლებამ ჩვეულებრივ საკლასო გარემოში, შესაძლოა, პრობლემები გამოიწვიოს. ასეთი ბავშვებისათვის გაკვეთილის თემატიკა, შეიძლება, უინტერესო და მარტივი იყოს. ისინი თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს საკლასო ოთახის ფარგლებში ვერ გამოავლენენ. ხშირად ჩვეულებრივ კლასებში მყოფ ნიჭიერ ბავშვებს მოსწყინდებათ სასწავლო პროგრამით სწავლა, რამაც, შესაძლოა, სკოლაზე გულის აცრუება და დაბალი მოსწრება გამოიწვიოს. კვლევების მიხედვით, ასეთი მოსწავლეები სკოლაში დროს ფლანგავენ, ვინაიდან მათ უკვე იციან სასწავლო პროგრამის დიდი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა სხვადასხვა სტრატეგიის შემუშავება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების ინტერესების გასათვალისწინებლად.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა თანამშრომლობითი სწავლება. ამ მიდგომის ძირითადი არსი ის არის, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები რჩევებს აძლევენ თანაკლასელებს და ეხმარებიან მათ. შედეგად, მათ აღარ მოსწყინდებათ გაკვეთილზე ჯდომა, რადგან დაკავებულები იქნებიან თანატოლების დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ ამ თანამშრომლობითი სწავლის მიდგომასაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, რომლებიც მასწავლებლებმა საჭიროა, გაითვალისწინოს. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებმა, შესაძლოა, დაიწყონ კლასში დომინირება, მთელი სამუშაო მხოლოდ თვითონ გააკეთონ და ნაკლებად აქტიურ მოსწავლეებს არ მისცენ ჯგუფურ მუშაობაში ჩართვის საშუალება. ასეთი მოსწავლეებისთვის ასევე მისაგებია დაჩქარებული სწავლება. მასწავლებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლემ (ეს იქნება უნარშეზღუდული თუ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლე), თავი იგრძნოს კლასის სრულუფლებიან წევრად.

ნიჭიერი ბავშვების აღზრდა არც თუ ისე ადვილია, ვინაიდან მათი ინტერესები მუდამ განსხვავდება თანატოლების ინტერესებისგან. მათ აქვთ გამძაფრებული ცნობისმოყვარეობა და სვამენ ბევრ კითხვებს. ასეთმა ბავშვებმა შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ მშობლების გადაწყვეტილებებიც. შესაბამისად, მშობლები უნდა შეეცადონ, დამაკმაყოფილებელი განმარტება მიაწოდონ ბავშვებს მათთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

მცირე ასაკიდან ბავშვებისთვის კითხვა და მათთვის ინტელექტუალურად მასტიმულირებული გარემოს შექმნა დაეხმარება მათ, როგორც გონებრივი, ასევე ემოციური სფეროს განვითარებაში. ბავშვებს ხელი უნდა შევუწყოთ ინტერესების გაღვივებაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ინტერესები უჩვეულოდ მოგვეჩვენება ასე ადრეულ ასაკში. მათთვი, შესაძლოა, სასარგებლო იყოს მშობლების ინტერესების გაცნობაც.

მშობლებს, შესაძლოა დასჭირდეთ ბავშვის ისეთ სკოლაში მიყვანა, სადაც კარგი პირობებია შექმნილი ნიჭიერი მოსწავლეებისთვის. აღსანიშნავია, რომ ხშირად მშობელი არაობიექტურია საკუთარი ბავშვის მიმართ და შეიძლება, მან უსაფუძვლოდ მოსთხოვოს მასწავლებელს, რომ მისი შვილს მოექცეს, როგორც ნიჭიერს.

ჩვენ გავეცანით ხაშურის მეორე საჯარო სკოლაში მყოფ მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს, იდეალური სიტუაცია იყო ამ მოსწავლეებისთვის შექმნილი. საჭირო ინვენტარი და, რა თქმა უნდა, გადამზადებული პედაგოგები, ძალიან გაკვირვებული ვიყავით იმ ვითარებით, რაც იქ დავინახეთ მოსწავლეების მხრიდან. კერძოდ მათი დამოკიდებულება თანატოლების მიმართ. დავრწმუნდით, რომ აუცილებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ ისწავლოს საჯარო სკოლაში და მისი უნარებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლება. ჩვენ, საზოგადოება ამაში აუცილებლად დავეხმარებით. ჩემი აზრით, უნივერსიტეტი უნდა იყოს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, უნარშეზღუდულმა ბავშვმა უნდა იგრძნოს რომ მათაც შეუძლიათ ასეთ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. ეს მათ ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებაში, სამომავლო გეგმების ჩამოყალიბებაში და თავს იგრძნობენ საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად.

ლიტერატურა:

1. თ. გაგოშიძე, თ. ჭინჭარაული, ქ. ფილაური, მ. ბაგრატიონი, ინკლუზიური განათლების პრინციპები, 2009;
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ინკლუზიური განათლება, 2010;
3. ა. ლაღიძე, მ. ბაგრატიონი, ტ. პაჭკორია, ინკლუზიური განათლება, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2009;
4. ი. კუტალაძე, ეფექტიანი სწავლება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2010.

გლობალიზაციის პრობლემა თანამედროვე ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში

მედეა სვანიძე, მარიამ ბითაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **აკაკი ტოლიაშვილი,** სრული პროფესორი

გლობალიზაციის კვლევის თავისებურებები და მნიშვნელობა

გლობალიზაცია მრავალშრიანი მოვლენაა, გამოყოფენ გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტს. თითოეული მათგანის გაშუქება კი უმნიშვნელოვანესია იმდენად, რამდენადაც დღევანდელ მსოფლიოში ადგილი აქვს უპრეცედენტო ინტეგრაციას, რასაც, რა თქმა უნდა, მოყვება თავისი გვერდითი შედეგები და წინააღმდეგობები. ანტიგლობალიზმის იდეა თითქმის ყველა ქვეყანაში აქტუალურია.

ადამიანებს ხშირად არასწორად ესმით თანამედროვე გლობალიზაციის არსი, რასაც შემდგომ მოსდევს შეხედულებების დაპირისპირება და, ფაქტობრივად, ჯანსაღი დისკუსიის ჩიხში შეყვანა. დღეს ზოგიერთი გლობალიზაციას პირდაპირ კომუნიზმს უკავშირებს. ბევრისათვის ეს ორი ცნება, "კოსმოპოლიტიზმთან" ერთად, მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. დღევანდელი ქართული საზოგადოების გლობალურ კულტურაში მონაწილეობის ხარისხი და ამბიცია ძალზე დაბალია. გლობალიზაციის არსის სწორად გაგება დაგვეხმარება უმაღლესი განათლების განვითარების პერსპექტივების დახვეწაში. ცოდნის მენეჯმენტის დახმარებით გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები ნაკლებად იმოქმედებს ადამიანთა ცხოვრებაზე. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი გადატრიალებები ციფრულ ტექნოლოგიებში ახალი დილემების წინაშე

გვაყენებს, თუმცა მკაცრი დუალიზმის თავიდან აცილება ძალზე მარტივად შეგვეძლება, თუ დადებით მნიშვნელობებს ადეკვატურად გავიგებთ.

ოცდამეერთე საუკუნის გლობალიზაცია თავისი მასშტაბითა და სპეციფიკით არის უპრეცედენტო. ცივილიზაციათა ომის, სიღარიბის, შიმშილობის, ეკოლოგიური კატასტროფების წინაშე მდგარი მსოფლიო გაცილებით უფრო ფრთხილი და "მგრძნობიარეა".

გლობალიზაციის ისტორია

გლობალიზაციის თემის პოპულარობა 90-იანი წლებიდან მომდინარეობს. ბევრი სწავლული ცდილობდა ეპოვა თანამედროვე გლობალიზაციისა და მისი ისტორიული ანალოგების საერთო ძირები.

გლობალიზაციის ისტორიული პრეცედენტები შეგვიძლია ვეძებოთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების ხანაში. თუმცა გლობალიზმის ადრეული ფორმები არსებობდა ძველ მსოფლიოშიც. ამისი მაგალითია რომის იმპერია, პართია, ხანის დინასტია. ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში დაიწყეს "აბრეშუმის გზის" მშენებლობა. ასევე, შეგვიძლია გავიხსენოთ "ისლამის ოქროს ხანა" – მუსულმანმა ვაჭრებმა მოახდინეს პროდუქციისა და ცოდნის გლობალიზება. მონღოლთა იმპერიაში კი აბრეშუმის გზამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა.

1850 წელს ინდუსტრიული კაპიტალიზმის მზარდმა აღმავლობამ მოითხოვა მეტი რესურსები და გლობალური ბაზარი. ესეთ პირობებში ტრადიციული პროტექციონიზმი გახდა "გამოუსადეგარი". ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას (4). უკვე 1870 წლისათვის ბრიტანეთის ეკონომიკური უპირატესობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა გერმანიისა და აშშ-ს ინდუსტრიალიზაციის მზარდი ტემპების გამო. ნეილ ფერგიუსონი თვლის, რომ 1870 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე საქონლისა და კაპიტალის მიმოქცევამ მიაღწია იქამდე არნახულ მასშტაბებს, რაც შემდგომ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში განმეორდა. ეკონომიკური ასპექტებით იმდროინდელი მსოფლიო მართლაც ძალიან ჰგავდა თანამედროვე ტენდენციებით გაჯერებულ რეალობას, თუმცა, შესაძლოა, მხოლოდ ერთი შეხედვით.

რას წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაცია?

გლობალიზაციის უამრავი განმარტება არსებობს. მაგალითად, "გლობალიზაცია არის ბიზნესის ინტეგრაცია გეოგრაფიული და ორგანიზაციული საზღვრების მიღმა".

გლობალიზაციის ძირითადი ასპექტები

იმისათვის, რომ განვიხილოთ გლობალიზაცია უნდა გამოვყოთ მისი ძირითადი ასპექტები. ტრადიციულად საუბრობენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გლობალიზაციაზე. თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მოვლენის განსხვავებულ განშტოებას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ძირები საერთოა. კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა კვლავ ფუნქციონირებს, თუმცა განსხვავებით 20-30 წლის წინანდელი მდგომარეობიდან, ახლა უკვე მთელი მსოფლიო კაპიტალისტურია; შეიცვალა ტექნოლოგიები, უფრო მეტიც, მოხდა ნამდვილი ციფრული რევოლუცია. ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მოქმედებაც მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებთან.

პოლიტიკური ასპექტი – ერი–სახელმწიფოები უდიდესი განსაცდელის წინაშე დგანან. სახელმწიფოს აქვს ძალის გამოყენების მონოპოლია განსაზღვრულ ტერიტორიულ საზღვრებში. გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მოითხოვს უფრო მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ევროკავშირი. ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა – ერთ-ერთი მთავარი პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებლად მოითხოვს ქვეყნების ერთობლივ ძალისხმევას. ძალამ შეიძინა რეგიონალური, ტრანსნაციონალური, გლობალური მნიშვნელობა. ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიო აღარაა იდეოლოგიზირებულ ბანაკებად დაყოფილი. სამყარო ხდება უფრო პატარა; საერთო ან მსგავსი ცივილიზაციის ნიშნით დაჯგუფებული სახელმწიფოები დიდ როლს შეასრულებენ მსოფლიო პოლიტიკაში. მთავრობები ცვლიან თავიანთ პოლიტიკას არა პირდაპირი ზეწოლის, არამედ კულტურული ცვლილებებისა და კონკურენტუნარიანობის აუცილებლობის გამო.

გლობალიზაციის ეპოქაში გაიზარდა მიგრირებული ადამიანების რიცხვი. მიგრაციის მოვლენა შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით აიხსნას, თუმცა ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობა მაინც უდიდესია.

გლობალიზაციის უარყოფით გავლენებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ უთანასწორობა, პოლარიზაცია, სიღარიბე და უკიდურესი სიღარიბე. თუ დავაკვირდებით მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ ტენდენციებს, პოლარიზაცია ყველგან განუხრელად იზრდება.

კულტურული ასპექტი – გლობალიზაცია მსოფლიო კულტურას ცვლის ორი ფუნდამენტური გზით. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კულტურული გლობალიზაცია ამერიკანიზაციის ტოლფასი მოვლენაა. შეერთებული შტატების მედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ასევე განვითარდა ინტერნეტი, რომელშიც დომინირებს ინგლისური ენა და ამერიკული პორტალები.

ინტერნეტი არის სამყაროს მიკრომოდელი, რომელშიც შეგვიძლია სასურველი ინფორმაციის მოძიება. ჯგუფები იქმნება უფრო სპეციფიკური, კონკრეტული ინტერესების გარშემო. ინტერნეტი გვთავაზობს ბრენდების ინდივიდუალიზაციას.

გლობალიზაცია და განათლება; გამოსავლის ძიება

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენების შესასუსტებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას და, განსაკუთრებით, უმაღლეს სასწავლებლებს. კასტელსი საუბრობს ორპირიან მახვილზე. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს, გადალახონ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია; მეორე მხრივ კი, ის ეკონომიკური სისტემები, რომელთაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, ხდება კიდევ უფრო ჩამორჩენილი. საზოგადოების უნარი, გადავიდეს "ინფორმაციულ ხანაში", დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემას – დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტის ჩათვლით. ყველაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს სისტემის დინამიზმს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში უკვე აქსიომად იქცა, რომ საჭიროა ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში. ე. წ. "სილიციუმის ველის" ტექნოელიტის პროპორციული შემცირება, იქნება სოციალური კრიზისის გაღრმავების მწვავე მაჩვენებელი.

ახალი ერის გამოწვევებთან დაკავშირებულია კორპორატიული უნივერსიტეტების ჩამოყალიბება. ზოგიერთი მკვლევარი საუბრობს კორპორატიული უნივერსიტეტების აშკარა უპირატესობებზე.

უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ინტერნაციონალიზია არის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მადეტერმინიზებელი ფაქტორი. იგი განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება მოგებული გლობალიზაციის პროცესში.

გლობალიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტები აუცილებლად უნდა აისახებოდეს თანამედროვე უნივერსიტეტის მოდელზე. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს აქვს სხვა აუცილებელი განზომილებებიც, მაგრამ ცოდნის მენეჯმენტი რჩება ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ასპექტად.

გლობალიზაცია და საქართველოს მომავალი

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, დიდ საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში თავისთავად ებმება საქართველოც. სანამ სპეციალისტები ამ ახალ, ჯერ ბოლომდე შეუსწავლელ ფენომენს იკვლევენ, მის დეფინიციას იძიებენ და ნაირ-ნაირ კონცეფციებს ამუშავებენ, ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე. ამიტომ, თუ ვფიქრობთ მომავალზე, ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, რა ჩრდილ-ნათელი გააჩნია და რას გვიქადის იგი მომავალში.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების გასაზოგადოება-ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლა. აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწესრიგებული სამყაროს ჩამოყალიბებას.

უეჭველია, გლობალიზაცია დაეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის აღმასვლით განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, რისკის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ გლობალიზაცია არ ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს. არ უნდა დავუშვათ, რომ გლობალიზაცია გასასამართლებელი საბუთი გახდეს შემტევი, ზღვარდაუდებელი, ლიბერალური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნიველირება. გლობალიზაციის ფართო სივრცის შიგნით მაინც უნდა დარჩეს ხალვათი ადგილი აზრთა სხვადასხვაობისთვის, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს კომპანიების მართვიდან დაწყებული, სკოლებისა და უნივერსიტეტების დაარსებით დამთავრებული. გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა, ის ქმედითი ნორმაა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისათვის. გლობალიზაცია, როგორც ზეეროვნული საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი, დადებით ტენდენციებთან ერთად ნეგატიურსაც შეიცავს. დგება დრო, როცა შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ვერავინ იტყვის, როგორი იქნება ორი ათეული წლის შემდეგ ახლო აღმოსავლეთი, რომლის მილიონობით მოსახლეობა მეშვიდე საუკუნის ცხოვრების წესით ცხოვრობს და მათი "გადმობარგება" 21-ე საუკუნეში იოლი როდი იქნება. ჩვენი პატარა ქვეყანა ძალაუნებურად ჩართულია გლობალიზაციის პროცესში. თუმცა გამოსავალი, როგორც ყველგან, აქაც არსებობს. ჩვენი ვალია გავხადოთ გლობალიზაცია ჰუმანური – ის არ უნდა იყოს დამანგრეველი ძალა. განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ გახვიდე თანამედროვე, განვითარებულ დასავლეთზე, მაგრამ გლობალიზაციის ეს ფორმა ჩვენგან საჭიროებს იდენტურობის მრავალჯერად და ალბათობის მრავალგზისობის დაშვებას. გლობალიზაცია თავისთავად გულისხმობს შევეგუოთ ახალი ტიპის მსოფლიოს. გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების ბუნებრივი, თანმხლები პროცესია. ყველა პროგნოზით, მომავალში ის კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება. ამიტომ, უგუნურება იქნება, წინ აღვუდგეთ ამ ყოვლისმომცველ პროცესს. ის აღგვის პირისაგან მიწისა ყველა დაბრკოლებას და რისხვად დაატყდება თავს მის ხელშემშლელებს. თუმცა ის, გარკვეულ ფარგლებში მაინც შეგვიძლია ვმართოთ. ამიტომ ვალდებულნი ვართ ისე წარვმართოთ საქმე, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და ამასთან ერთად მაქსიმალურად დავიცვათ თავი მისი უარყოფითი ზემოქმედებისაგან. გლობალიზაციის იდეურ საფუძველს ხომ ინდივიდის აბსტრაქცია წარმოადგენს. ამიტომ ის არ ცნობს ეროვნულობას და მისთვის პრიორიტეტულია მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური, აბსოლუტური ღირებულებები. ყოველგვარი სხვა ფასეულობა – კულტურული და ცივილიზაციური განსხვავებები, ლოკალური, ეროვნული თავისებურებები, მისთვის მეორეხარისხოვანია. ის მსოფლიოს ერთფეროვნებას, ხალხთა ტრადიციების წაშლას მოასწავებს, ზრდის კულტურათა და ეროვნებათა ნიველირებისა და, საბოლოო ჯამში, მათი გადაშენების ალბათობას. ჩვენთვის, სწორედ ამიტომ წინა პლანზე უნდა იდგეს ეროვნულობა. ჩვენ, სწორედ ჩვენი ტრადიციებით ვფასობთ. მსოფლიოს აღაფრთოვანებს ჩვენი სიმღერაც და ცეკვაც, სწორედ იმიტომ რომ ქართულია. საქართველომ საუკუნეების ქარტეხილს გაუძლო და ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ "სისხლით დაცული" ერი დღეს, უკვე 21-ე საუკუნეში ავთქვიფოდ სხვა ერებში. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი მამული, ენა, სარწმუნოება, ტრადიციები, ფოლკლორი, საერთოდ ჩვენი კულტურა. ე.ი. ეროვნულობა და ამ თავისებურებებითა და კოლორიტით შევიდეთ მსოფლიო თანამეგობრობაში.

ჩვენ დიდი დაფიქრება გვმართებს. არ უნდა გადმოვიღოთ სხვათა გამოცდილება ბრმად. არამედ მოვიძიოთ, გამოვიმუშაოთ და დავნერგოთ ეროვნულად ადაპტირებული დემოკრატიზმის ფორმები. ასეთი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა ერთმანეთისაგან გათიშულს კი არა, სახელმწიფო პოლიტიკის ერთიან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და მიმართული იყოს შიდა პრობლემების გადაწყვეტაზე, ქვეყნისა და ხალხის მომავალზე.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის 25 იანვარს ინაუგურაციის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველო უნდა იქცეს ქვეყნად, სადაც ყველაზე დიდი სიმდიდრე იქნება ცოდნა და განათლება, სადაც უმთავრესი პრიორიტეტი იქნება სწორედ ჩვენი შვილების განათლება, სადაც ხალხი იქნება კონკურენტუნარიანი გლობალიზაციის პირობებში, რომელიც შეიცავს საფრთხეებს. მაგრამ ამავე დროს პატარა ერებს, რომელთაც აქვთ

საშუალება, განათლება, კულტურა და ბრძოლის უნარი, აძლევს უნიკალურ შანსს, დამკვიდრდნენ საერთაშორისო თანამეგობრობაში“.

რა გადაგვარჩენს ქართველებს ამ გლობალიზაციის ეპოქაში

უფალმა უდიდესი წყალობა მოიღო ჩვენს ერზე და უმთავრესი საუნჯე - მართლმადიდებლობა მოგვმადლა. მართლმადიდებლობაა მხოლოდ ის ქვაკუთხედი, რომელზე დაყრდნობითაც გადავრჩებით. უამისოდ მთელი ქვეყანა დაემსგავსება ქვიშაზე აშენებულ სახლს, რომელსაც სულ უმნიშვნელო სიოც კი დაანგრევს. ჩვენმა წინაპრებმა სისხლით და ცრემლით შემოგვინახეს ეს მადლმოსილი სარწმუნოება და განა გვაქვს უფლება, მას თვალისჩინივით არ გავუფრთხილდეთ? მართლმადიდებლობაა მხოლოდ საყრდენი ჩვენი ერის გადარჩენისა, სხვა ყველაფერი ამაოა, ცრუა, ყალბია, ჩვენს თავს ძალით მოხვეული უგუნურებაა! ამიტომაც ვიდგეთ მტკიცედ და მყარად მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე და გადავრჩებით!

ბერძენი ბერი იყო – კირილე ლავრიოტისი (კირილე ლავრელი), რომელიც ათონის მთაზე, წმ. ათანასე დიდის ლავრაში მოღვაწეობდა. მან იოანეს გამოცხადება განმარტა: ბოლო ჟამს ერები მოვლენ საქართველოში, ქართველი ერისაგან ისწავლიან მართლმადიდებლობას, რადგან საქართველო იქნება უძლიერესი მართლმადიდებლური ქვეყანა, რომლისგანაც ბევრი ერი განათლდებაო. აი, რამხელა მისია აქვს საქართველოს კაცობრიობის წინაშე!

...მადლიანი ქართული მიწა დედა ღვთისმშობელს თავისთვის შემოუნახავს, თავის წილხვედრად დაუდგენია და, ვაი იმას, ვინც ქვეყნიერების დედის ამ სამფლობელოს თავისი ბილწი ხელებით შეეხება, მის დაგლეჯას და დანაწევრებას შეეცდება!

ლიტერატურა:

1. ტოლიაშვილი აკაკი, პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში 50 წლის განმავლობაში, თბ., 1997;
2. ტოლიაშვილი აკაკი, პედაგოგიური ნარკვევები, თბ.,2005;
3. ვასაძე ნათელა, პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1998;
4. არქიმანდრიტი შიო ხარძეიშვილი, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, №19, 2011.

პედაგოგიური მეცნიერება და ფსიქოლოგიზმის დაძლევის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

გულო ტატულაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **აკაკი ტოლიაშვილი,** სრული პროფესორი

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის მთელ პერიოდში პედაგოგიკურ მეცნიერებას უამრავი პრობლემა შეექმნა. ამ მხრივ სხვადასხვა მდგომარეობა იყო რუსეთსა და საქართველოში. რუსეთში თავისი ავტორიტეტით წინ ცამოიწია კ.დ. უშინსკიმ. მან შექმნა რუსული ენის სახელმძღვანელო „როდნაია რეჩ“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ პერიოდში კ. დ. უშინსკიმ რიგი შრომები შექმნა დაწყებითი განათლების მეთოდიკის თვალსაზრისით. დიდი წარმატების მიუხედავად კ. დ. უშინსკი პედაგოგიკის მეცნიერებასთან დაკავშირებით მცდარ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე იდგა.

1843 წელს გამოვიდა ინგლისური ფილოსოფოსისა და ლოგიკოსის ჯ. ს. მილის ძირითადი თხზულება „ლოგიკის სისტემა“... სადაც ჯ. ს. მილი წერდა რომ მედიცინა, პოლიტიკა და პედაგოგიკა არ არის მეცნიერებაო. კ. დ. უშინსკიმ ჯ. ს. მილის ეს აზრი პედაგოგიკაზე გაიზიარა და განაცხადა, რომ პედაგოგიური პრაქტიკა უნდა ხელმძღვანელობდეს არა პედაგოგიკის თეორიით, არამედ ფსიქოლოგიითო. გერმანელმა ფსიქოლოგმა გავლენა მოახდინა კ.დ. უშინსკზე, რომელიც ცდილობდა პედაგოგიკა ფსიქოლოგიაზე აეგო.

საქართველოში, პედაგოგიურ-თეორიულ მემკვიდრეობის თვალსაზრისით შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო, რადგან გვქონდა იაკობ გოგებაშვილის დასაბუთებული და პრაქტიკულ-თეორიული გამოცდილება, საჭირო იყო მხოლოდ მისი გულმოდგინედ შეჯერება, სისტემაში მოყვანა და გამოცემა. ასეთ ვითარებაში საქართველოში პედაგოგიკურ მეცნიერებაში გააქტიურდნენ ფსიქოლოგ მკვლევარები.

ქართველი ფსიქოლოგები პედაგოგიკურ პრაქტიკას არ გაურბოდნენ, პირიქით იაკობ გოგებაშვილის აზრსაც ითვალისწინებდნენ, მაგალითად დ. უზნაძე რამდენიმე სასკოლო წიგნის ავტორიც კი იყო. 1910 წელს უზნაძემ გამოაქვეყნა საინტერესო პედაგოგიური სტატია – „აღზრდის მიზნები“, ხოლო 1911 წელს – „ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან“. ამ დროს ი. გოგებაშვილი სიკვდილს ებრძოდა და საწოლს იყო მიჯაჭვული. მას ძალა არ ყოფნიდა გულდასმით წაეკითხა უზნაძის ნაშრომები და პასუხი გაეცა მისთვის. დ. უზნაძეს აღარ ყავდა პედაგოგიკის თეორიის სფეროდან სათანადო მოპაექრე, რომ პედაგოგიკის მეცნიერებაზე თავისი აზრი გამოეთქვა. დ. უზნაძემ გააკეთა დასკვნა და ჩამოაყალიბა 4 მეთოდი; 1. დაკვირვება, 2. ექსპერიმენტი, 3. განვითარების იდეა, ანუ გენეტიკური მეთოდი და 4. შედარებითი მეთოდი.

1882 წელს ფიზიოლოგმა პრეიერმა გამოსცა გამოკვლევა სახელწოდებით „ბავშვის სული“, რომლის გამო ბევრი მიმდევარი გაუჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში. მან გამოიყენა დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მეთოდები და მათი საშუალებით გამოიკვლია ბავშვის გრძნობა, ნებისყოფა და გრძნობის თანდათან განვითარების პროცესი. ამის შემდეგ თანდათან ჩაეყარა საფუძველი ბავშვის ფსიქოლოგიას, როგორც მეცნიერებას. ბავშვის ფსიქოლოგია მხოლოდ ფიზიოლოგთა, ექიმთა და ანატომთა გარდა კიდევ სხვა მეცნიერებათა დარგს აინტერესებდა. ამიტომ ბავშვის ბუნებას მრავალმხრივ სწავლობდნენ. საჭირო იყო ამ ცნობების შეკრება და სისტემატური დალაგება, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერებათა დარგებმა მოიპოვეს. ცნობები მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიას ეხებოდა. ასეთ მეცნიერებას პედოლოგია ეწოდა. დ. უზნაძემ უპასუხოდ დატოვა კითხვა: რამდენად შეიძლება “პედოლოგიის მეცნიერების” დამოუკიდებლად არსებობა, რადგან ამბობდა, რომ ეს მეცნიერება მრავალი სხვა მეცნიერებების მიერ არის მოპოვებული.

მის შემდეგ პედოლოგებმა მზერა სკოლას მიაპყრეს. დ. უზნაძე წერს: „ბავშვის ბუნება, მისი ფსიქიკური და ფიზიკური ცხოვრება სავსებით ვერ იშლება მისი ცხოვრების პირველსავე წლებში. ამიტომ საჭიროა გამოკვლევა მთელი მისი სულიერი განწყობილებისა და ცხოვრებისა, სკოლაში აღზრდის დროსაც“.

პედოლოგიას გზა გაუკაფა ექსპერიმენტულმა ფსიქოლოგიამ, დ. უზნაძის თქმით, პედოლოგია ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ჩრდილში ჩაისახა და განვითარდა, როგორც ახალი მეცნიერული მიმდინარეობა პედაგოგიკაში.

ვ. ვუნდტი ფსიქოლოგიის მამამთავრად ითვლებოდა. მან ადამიანის მთელი ფსიქოლოგიური ცხოვრება ექსპერიმენტული კვლევა-ძიების საგნად აქცია. მან სპეციალური ლაბორატორია დაარსა, რომელსაც მიზნად ადამიანის სულიერი ცხოვრების ექსპერიმენტალური გამოკვლევა დაუსახა. ეს მოხდა 1879 წელს. რამაც მოამზადა ნიადაგი პედოლოგიის აღორძინებისათვის, რომელიც დღევანდელ პედაგოგიკას ფსიქოლოგიზმით ნამდვილ საფუძველს უწევს.

პედაგოგიკისთვის პედოლოგიის მნიშვნელობაზე დ. უზნაძე ასე მსჯელობს: "ნამდვილ პედაგოგიკას მხოლოდ ერთი გზა გააჩნია, ეს გზა თვით ბავშვის ბუნების ნათელყოფაა მისი ფსიქოლოგიის ცოდნაა"....

ე. მოიმანი ამბობდა, რომ ექსპერიმენტალური პედაგოგიკა თითოეულ აღმზრდელს საშუალებას აძლევს ნათლად წარმოადგინოს პედაგოგიურ ზომათა დასაბუთება. პედოლოგია ისევეა აუცილებელი პედაგოგიკისათვის, როგორც საძირკველი, რომელიმე შენობისათვის, მისი სიმტკიცისათვის. პედოლოგია მარტო საძირკვლობას არ უწევს თანამედროვე პედაგოგიკას. პედაგოგიკის შინაარსად კი მხოლოდ მაშინ იქცევა პედოლოგია, როცა მისი საკითხების განხილვა პედაგოგიურ თვალსაზრისით ხდება.

დ. უზნაძე და ე. მოიმანი ფსიქოლოგიაში ღრმად განსწავლული პროფესორები იყვნენ. დ. უზნაძეს უნდოდა რომ გაესინჯათ პედაგოგიკისადმი ნეგატიური პოზიცია. ამისთვის საჭირო იყო ღრმა პედაგოგიური განათლება, რაც მას არ ჰქონდა მიღებული. ამიტომ დ. უზნაძეს უნდა შეესწავლა პედაგოგიკის ისტორია და მისი თეორია. მან პედაგოგიკის შესწავლას დიდი დრო მოანდომა, რადგან ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე დასჭირდა ზრუნვა. ამ ძალისხმევამ, დ. უზნაძე ფსიქოლოგიის ნამდვილ კლასიკოსად აქცია და თანაც დაანახა, რომ პედაგოგიკა და ფსიქოლოგია სხვადასხვა მეცნიერებაა. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი საკვლევი საგანი და ამით პედაგოგ მკვლევარებს, პრაქტიკოს პედაგოგებს დიდი საქმე გაუკეთა.

ლიტერატურა:

1. დ. უზნაძე, ექსპერიმენტ. ფსიქ. შესავალი. თბ., 1912;
2. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 2, 1954;
3. დ. ს. ყიფშიძე, პედაგოგიკის საკითხები, თბ., 1956;
4. ა. ტოლიაშვილი, პედაგოგიური მეცნიერება საქართველოში 60 წლის მანძილზე – 1935–1995 წწ., თბ., 1997.

ჭიათურის „შავი ქვა“

ანი ავაზნელი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ესმა წკრიალაშვილი,** აკადემიური დოქტორი

საქართველო მანგანუმის ქვეყანაა. ჭიათურის ,,შავი ქვის“ წყალობით საქართველოს მსოფლიო მძიმე ინდუსტრია იცნობს, რადგან პიროლუზიტის მსოფლიო მარაგის 10% თავმოყრილია სწორედ ჭიათურის მიდამოებში. თანაც აღნიშნული მადანი უნიკალურია თავისი ქიმიური შედგენილობით. ძველად ჭიათურას ხალხი ,,საქაჯეთს“ უწოდებდა.

ერთ-ერთ წერილში ა. წერეთელი მოგვითხრობს, როგორ შეხვდა ის სოფლებში მოგზაურობის დროს ჭიათურაში მცხოვრებ ერთ გლეხს - ახალგაზრდა, თვალტანად, ძალღონით სავსე ვაჟკაცს, რომელიც დაღონებული იყო იმ მიზეზით, რომ იქვე მეზობელ სოფელში გოგო შეყვარებოდა და მშობლები ქალს ცოლად არ აძლევდნენ - ,,შვილს საქაჯეთში როგორ გავათხოვებთო“. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რა სიმდიდრე იყო დამარხული ამ ,,საქაჯეთში“ და რა ბრწყინვალე მომავალი ექნებოდა მას.

ვინ აღმოაჩინა ჩვენში ეს სიმდიდრე? ვინ იყო ჭიათურის რაიონის ,,შავი ქვის” მადნებში წერაქვის პირველი დამკვრელი? ხალხი ჭიათურის ,,შავი ქვის” პირველ აღმოჩენას უკავშირებს ჩვენს დიდებულ მგოსანს - აკაკი წერეთელს. ამას ამტკიცებს ,,შავი ქვის “ მეპატრონეების, მრეწველებისა და საზოგადო მოღვაწეთა წერილები. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნებული აკაკი დაინტერესდა ჭიათურის რაიონის ,,შავი ქვით”, პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ საზოგადოება მას ეჭვის თვალით უყურებდა. აკაკი დარწმუნებული იყო, რომ ,,შავი ქვა” გაამდიდრებდა ქართველ ხალხს და საქვეყნოდ გაუთქვამდა მის ქვეყანას სახელს.

მალე ჭიათურის ,,შავი ქვის” მონოპოლია უცხოელებმა ჩაიგდეს ხელში. პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველო, ინდოეთი და ბრაზილია იყვნენ ის ქვეყნები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ თითქმის მთელი მსოფლიოს მოთხოვნილებას მანგანუმის მადანზე. ჭიათურაში მანგანუმის მადანი 1849 წ. აღმოაჩინეს, მაგრამ მხოლოდ 30 წლის შემდეგ- 1879 წ. დაიწყო ,,შავი ქვის“ ამოღება. მაგრამ მანგანუმის მადნის ამოღება პრიმიტიული წესით და მტაცებლურად წარმოებდა. ძვირფასი ნედლეულის 40% ისევ მიწაში რჩებოდა. მადნის ადგილობრივ გადამუშავებაზე არავინ ფიქრობდა. მადანი გაჰქონდათ საზღვარგარეთ, უმთავრესად გერმანიაში, თანაც ძალიან იაფად. გადამუშავების შემდეგ კი ისევ რუსეთში აგზავნიდნენ, მაგრამ უკვე ძვირფასი ფერომანგანუმის სახით. საქართველოში ამ დარგის განვითარებას ხელოვნურად აფერხებდნენ სამხრეთ რუსეთის მეტალურგიული ქარხნების მეპატრონეებიც. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო, არა ჭიათურის უნიკალური მადანი, არამედ მათ გამგებლობაში მყოფი ნიკოპოლის შედარებით დაბალხარისხოვანი საბადოების ექსპლოატაცია.

I მსოფლიო ომამდე საქართველოს მაღალ ხარისხიანი ,,შავი ქვის“ უმთავრესი მომხმარებელი იყო გერმანია, ინგლისი, ბელგია და ა. შ. ომის შედეგად დაიკეტა დარდანელის სრუტე, რის გამო ჭიათურის ,,შავი ქვა” ვეღარ გაჰქონდათ მსოფლიო ბაზარზე. 1924 წელს ინგლისში ჟურნალი ,,ეკონომისტი“ წერდა: ,,ჭიათურის შავი ქვის მცირე რაოდენობით მოწოდებამ თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა ფოლადის წარმოება მსოფლიოში“. 40 წლის განმავლობაში იყო ჭიათურის ,,შავი ქვა” უცხოელების ხელში. მხოლოდ 1928 წ. მოხდა უცხოელი მონოპოლისტების კონცესიის ლიკვიდაცია, გაუქმება და შეიქმნა ,,ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის ტრესტი“. ენერგიულმა მუშაობამ კვლავ დასაბამი მისცა ჭიათურის ,,შავი ქვის“ იერიშს მსოფლიო ბაზარზე. 30-იან წლებში პროფ. გიორგი ნიკოლაძის ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ზრუნვა ჩვენი მანგანუმის მადნის ადგილობრივად გადამუშავებისათვის. ქ. ზესტაფონში აშენდა ფეროშენადნობის ქარხანა, რომელსაც გ. ნიკოლაძის სახელი მიაკუთვნეს. ქარხნის პროდუქცია ჭიათურის მაღალხარისხოვან მადანთან ერთად საბჭოთა კავშირის 150-ზე მეტ საწარმოსა და ორ ათეულამდე უცხოურ სახელმწიფოში იგზავნებოდა.

მანგანუმი დედამიწაზე საკმაოდ გავრცელებული ელემენტია. თავისუფალი სახით ის ბუნებაში არ არსებობს. დედამიწის ქერქი შეიცავს დაახლოებით 0,1 % მანგანუმს (გაცილებით მეტს, ვიდრე სპილენძს და თუთიას). ძირითადად იგი გავრცელებულია ბუნებრივი ნაერთების - მინერალების სახით.

ეს მინერალებია:

პიროლუზიტი - MnO_2 მოშავო - მორუხო ფერის ქვა. მასში მანგანუმის შემცველობა 63,2 %-ია

ბრაუნიტი - **3** Mn_2O_3 . $MnSiO_3$

ჰაუსმანიტი - Mn_3O_4

გაურეტი - MnS_2

მანგანუმის შპატი - $MnCO_3$, რომელიც ბუნებაში ვარდისფერი კრისტალების სახით არის.

მანგანუმის დიდი მარაგი იმყოფება ოკეანის ფსკერზე . მას შეიცავს მინერალური წარმონაქმნები, რომლებსაც მომრგვალებული ფორმა აქვთ. მათ კონკრეციები ეწოდება. 1969 წ ოკეანის ფსკერიდან ამოღებული იქნა გიგანტური კონკრეცია 90 კგ მასით, რომლის ძირითადი კომპონენტი იყო მანგანუმი (25% კრისტალიზაციურ წყალთან ერთად), რკინა -15%. ვარაუდობენ, რომ რკინა - მანგანუმიანი კონკრეციების მარაგი წყნარი ოკეანის ფსკერზე ~ 1,5 მილიარდი ტონაა. რამდენადაც კონკრეციები წარმოიქმნებიან ზღვის წყლებიდან მინერალური ნივთიერებების კოაგულაციის გზით, მათი მარაგი იზრდება საშუალოდ 90 მილიონი ტონით წელიწადში. კონკრეციებით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან განვითარებული ქვეყნები - აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და სხვ., ვისაც არ გააჩნია მანგანუმის საბადოები.

მანგანუმის საბადოები იყოფიან ქიმიურ და მეტალურგიულ მადნებად.

ქიმიური მადნები შეიცავენ არანაკლებ 80% MnO_2-ს. ისინი გამოიყენებიან გალვანური ელემენტების, მინის, კერამიკის, პერმანგანატის წარმოებაში, სამღებრო და პოლიგრაფიულ მრეწველობაში.

მეტალურგიული მადნები შეიცავენ MnO_2-ს 80%-მდე. ისინი გამოიყენებიან შავ მეტალურგიაში. მანგანუმის ძირითადი ნაწილი (90%) გამოიყენება მეტალურგიაში ფოლადის სხვადასხვა შენადნობების დასამზადებლად.

მანგანუმი კარგი აღმდგენია და აღადგენს მეტალებს მათი ოქსიდებიდან:



$$Mn + FeO = Fe + MnO$$

ამ თვისების გამო მანგანუმისა და რკინის შენადნობი - ფერომანგანუმი, რომელსაც ზესტაფონის ქარხანაში ამზადებენ, გამოიყენება მეტალურგიაში.

მანგანუმის შენადნობებია:

ფერომანგანუმი - **80%** Mn **და 20%** Fe .

სარკოვანი თუჯი - 12-20 % Mn **და 80-90 %** Fe.

მანგანუმის ფოლადი - 80 – 87 % Fe, 12 – 15 % Mn, 1,2 % - C. ასეთი ფოლადი გამოიყენება რკინიგზისა და ტრამვაის ლიანდაგების დასამზადებლად, ვინაიდან მანგანუმის მეტი შემცველობა ფოლადში ზრდის მის ცვეთამედეგობას.

ტექნიკაში ფართოდ გამოიყენება ასევე ლეგირებული ფოლადები, რომლებშიც მანგანუმის გარდა დამატებულია ქრომი და ვანადიუმი მისი მექანიკური თვისებების გასაუმჯობესებლად.

გარეგნულად მანგანუმი ჰგავს რკინას. იგი მძიმე, მოვერცხლისფრო ლითონია, მხოლოდ რკინაზე უფრო მტკიცეა. ჰაერზე იჟანგება ალუმინის მსგავსად, გადაეკვრება ოქსიდის თხელი , მკვრივი და გამჭვირვალე ფენა (MnO_2), რომელიც იცავს შემდგომი დაჟანგვისაგან. მანგანუმი ტიპიური ლითონია - ლღ. ტემპერატურა 1245^0C, სიმკვრივე 7,44 გ/სმ^3, დუღილის ტემპერატურა 2150^0C.

მანგანუმი აქტიური მეტალია და საკმაოდ ენერგიულად შედის რეაქციაში არამეტალებთან. რეაქციის შედეგად ძირითადად წარმოიქმნება ნაერთები, სადაც მანგანუმის დაჟანგვის ხარისხია +2 . მაგ. მანგანუმის სულფიდი - MnS, მანგანუმის ქლორიდი - $MnCI_2$.

მანგანუმი წარმოქმნის ხუთ ოქსიდს: MnO , Mn_2O_3 , MnO_2 , MnO_3 , Mn_2O_7.

პირველ ორს ფუძე ხასიათი აქვს, MnO_2 ამფოტერულია, MnO_3 და Mn_2O_7 მჟავა ოქსიდებია.

პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ორვალენტიანი მანგანუმის ნაერთები, მანგანუმის დიოქსიდი MnO_2 და მანგანუმჟავას მარილები - პერმანგანატები.

$KMnO_4$ - კალიუმის პერმანგანატი მუქი ფერის კრისტალური ნივთიერებაა, რომელიც კარგად იხსნება წყალში და წარმოქმნის მუქ იისფერ ხსნარს. ხსნარის ფერს განაპირობებს MnO_4^{--} ანიონის შეფერილობა. $KMnO_4$ ძლიერი მჟანგავია, როგორც წყალხსნარში, ისე მჟავა და ტუტე ხსნარებში. აღნიშნულ ხსნარებში მისი ჟანგვის უნარი სხვადასხვანაირია. $KMnO_4$ გამოიყენება მედიცინაში. მისი განზავებული ხსნარი (0,01 – 5 %) გამოიყენება როგორც ანტისეპტიკი - სადეზინფექციო საშუალება.

მანგანუმი საინტერესო ელემენტია ბიოლოგიური თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მანგანუმი შედის ცოცხალი ორგანიზმების შედგენილობაში. ამჟამად დადგენილია, რომ მანგანუმი იმყოფება მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილებში და ითვლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტად. მანგანუმი არ არის მხოლოდ ქათმის კვერცხის ცილაში და ძალიან ცოტაა რძეში. უხერხემლოთა ორგანიზმში მეტი მანგანუმია, ვიდრე ხერხემლიანების ორგანიზმში. ადამიანის და ცხოველთა უმრავლესობის სისხლი ~ 0,02 მგ/ლ მანგანუმს შეიცავს. გამონაკლისია ცხვრის სისხლი, რომელიც უფრო მდიდარია მანგანუმით - 0,06 მგ/ლ შეიცავს.

მანგანუმი აღმოჩენილია ადამიანის ყველა ორგანოში და ქსოვილში. განსაკუთრებით მდიდარია მანგანუმით ღვიძლი, ჩონჩხი და ფარისებრი ჯირკვალი. მანგანუმი მონაწილეობს სუნთქვის, ფოტოსინთეზის, ბიოსინთეზის, ნუკლეინის მჟავების სინთეზის პროცესებში, აძლიერებს ინსულინისა და ზოგიერთი ჰორმონის მოქმედებას, გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლის პროცესზე. ადამიანისა და ცხოველისათვის მანგანუმის ყოველდღიური ნორმა 3 – 8 მგ-ის ფარგლებშია. ბავშვებს მანგანუმი ესაჭიროებათ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე მოზრდილებს. მისი ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებს მოზარდის განვითარებაზე, იწვევს ანემიას. ამის თავიდან ასაცილებლად საკვებს უმატებენ მანგანუმის მარილებს, კერძოდ მანგანუმის ქლორიდს - $MnCl_2$.

მანგანუმი ამცირებს შაქრის შემცველობას სისხლში და დადებით გავლენას ახდენს დიაბეტიან ავადმყოფებზე, ხასიათდება ლიპოტროპული მოქმედებით და ამუხრუჭებს ათეროსკლეროზის განვითარებას.

მანგანუმი გავლენას ახდენს სისხლის შედედების უნარზეც . ამასთან აჩქარებს ანტისხეულების წარმოქმნას. თავის მხრივ ანტისხეულები ანეიტრალებენ უცხო ცილის მავნე მოქმედებას. ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ზღვის ღორებს სასიკვდილო დოზით შეუყვანა გაშეშების და დიზინტერიის გამომწვევი საწინააღმდეგო შრატები. ცხოველებს ამან არ უშველა და დაიღუპნენ. როცა მეცნიერმა შრატი შეუყვანა მანგანუმის ქლორიდთან ერთად, ცხოველები გადარჩნენ.

მცენარეებში მანგანუმი აჩქარებს ქლოროფილის წარმოქმნას, ხელს უწყობს ვიტამინ C-ს სინთეზს. მისი ნაკლებობა მცენარეებში იწვევს მთელ რიგ დაავადებებს, ე.წ. ,,ნეკროზებს“. მაგ. ქლოროზს (ქლოროფილის ნაკლებობას). ნიადაგში მანგანუმის ნაერთების უკმარისობა იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. ამიტომ ნიადაგში შეაქვთ მანგანუმის შემცველი სასუქები. საკვები პროდუქტებიდან მანგანუმით მდიდარია განსაკუთრებით წითელი ჭარხალი, ასევე პომიდორი, სოია, ბარდა, კარტოფილი.

მანგანუმის ნაერთებს, რომლებიც გამოიყენებიან სახალხო მეურნეობის სფეროში, ტოქსიკური გავლენაც შეუძლიათ მოახდინონ ორგანიზმზე. ისინი ორგანიზმში ხვდებიან სასუნთქი გზების საშუალებით, გროვდებიან ღვიძლში, ელენთაში, ძვალში, კუნთებში და წლების განმავლობაში არ გამოდიან ორგანიზმიდან. მანგანუმის დასაშვები კონცენტრაცია ჰაერში არის 0,3 მგ/$მ^3$. მოწამლვის შემთხვევაში აღინიშნება ნერვული სისტემის დაზიანება ე.წ. მანგანუმის პარკინსონი.

ამრიგად, მანგანუმი ოქროსავით არ ბრწყინავს, ვერცხლისწყალივით არ იღვრება, ნატრიუმივით ჰაერზე არ აალდება, და გარეგნულად არაფრით გამორჩეული ეს რუხი ლითონი, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

ლიტერატურა:

1. ქიმია და ბიოლოგია სკოლაში. №1 (81), 1986.
2. ქართული ენციკლოპედია. ტ. 5, 1980.
3. Николаев Л. А. Общая и неорганическая химия, М., «Просвещение», 1974 .
4. Салли А. Х. Марганец. пер. с англ. М., 1959.

ტყის როლი ბუნების დაცვის საქმეში

მარიკა ბალიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

რატომ ვანადგურებთ ტყეს და რატომ ვჩეხთ მას ასე დიდი რაოდენობით... რატომ ვუქმნით ამით საფრთხეს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, ნიადაგს და წყალს, ბუნებას და თავად ადამიანს... თუ ტყის მასიური კაფვით და გამოყენებით ვავნებთ იმ გარემოს, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, იმ ჰაერს, რომელსაც ვსუნთქავთ და იმ საკვებს, რომლითაც განვაგრძობთ არსებობას, მაშინ ცხადი ხდება მისი უდიდესი მნიშვნელობა ბუნებრივი სისტემებისა და მთლიანად ცოცხალ ორგანიზმთა სამყაროსთვის.

ტყის როლი მართლაც რომ დიდია დედამიწაზე, ამას ადასტურებს, მისი სარგებლიანობა – ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და ჰაერგამწმენდი დანიშნულებით, მაგრამ ტყეების არაგონივრული გამოყენება დღესაც დიდი ინტესივობით მიმდინარეობს, რასაც ხშირად დიდი დახრილობის ფერდობზე გეოდინამიკური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვ.) გააქტიურება მოჰყვება, ისინი არა მარტო ანადგურებენ ნიადაგურ საფარს, არამედ მცენარეებში აქვეითებენ თვითაღდგენის უნარს.

ტყის უდიდესმა მნიშვნელობამ და მათი რიცხობრივი რაოდენობის შემცირებამ მიგვიყვანა მთავარ პრობლემამდე, რომ დღითიდღე იზრდება ტყის ჩეხვის სიხშირე, რაც გამოწვეულია ტყის მასალების და ნედლეულის მზარდი წარმოებით, მძიმე სოციალური ფონით და სხვა ფაქტორებით.

1. ტყე შემოსავლების ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე დარჩენილი ადამიანებისთვის არა მარტო დათბობის, ლუკმაპურის შოვნის საშუალებაც გახდა, რამაც გაზარდა დაწოლა ბუნების ამ უნიკალურ რესურსზე, შედეგად კი გამოიკვეთა ტყეების განადგურების ტენდენცია.. სიღატაკე აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს და ამით გარემოს უარყოფით ცვლილებებს აძლევს ხელს, სიღატაკე აიძულებს ადამიანს ,,დღეს გამოიყენოს ის რას ხვალისთვის იყო გათვალისწინებული" (ქაჯაია გ. ეკოლოგია. (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები) თბილისი. 1999 წ.).

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მეტად ამაღელვებელი პრობლემაა. ეს გასაგებიცაა, ბუნება ადამიანის საცხოვრებელი გარემოა. მასზეა დამოკიდებული დედამიწის მოსახლეობის ახლანდელი მდგომარეობა და კაცობრიობის მომავალიც.

გარემოს გაჭუჭყიანებამ და ბუნებრივი ლანდშაფტის დეგრადაციამ საერთო ხასიათი მიიღო, რამაც შეიძლება ოზონის ფენის გათხელება და შესაბამისად, მზის რადიაციის გაზრდა გამოიწვიოს, ანუ ტყეების რიცხვის შემცირებას მოჰყვება ჰაერში ნახშირორჟანგის მომატება, ნახშირორჟანგი კი მზის სითბოს დედამიწის ზედაპირამდე ატარებს, ამასთან ხელს არ უშლის მის უკან კოსმოსში დაბრუნებას, ამას შეიძლება ჰაერის ტემპერატურის აწევა და ცოცხალ ორგანიზმთა სუნთქვის გაუარესება მოჰყვეს.

ჰაერის დაბინძურება ანთროპოგენური ფაქტორით – ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ზემოქმედებითაა გამოწვეული ბუნებაზე, რაც თავის მხრივ, სხვა ცვლილებებს განაპირობებს. მაგალითად, საქართველოში 2008 წელს რუსეთის აგრესიის შედეგად ბორჯომის რაიონის ტყეებში გაჩენილი ხანძარი, რომელმაც 1000 ჰექტარი ფართობი მოიცვა და გაანადგურა ამ ხეობისთვის დამახასიათებელი უნიკალური ტყეები, ამრიგად, ადამიანი თავისი საქმიანობით იმდენად ღრმად შეიჭრა ბუნებრივ ეკოსისტემებში, რომ მათ პრაქტიკულად ამოწურეს თვითაღდგენის უნარი და ზოგიერთ შემთხვევაში დაიწყო მათი რღვევა. დედამიწის სულ უფრო დიდი მონაკვეთები ასფალტით იფარება, ბინძურდება წყალი, ჰაერი, იღუპებიან მცენარეები და ცხოველები, ბუნებას ეკარგება სილამაზე, ხდება პოპულაციების რაოდენობის შემცირება, რაც გამოწვეულია მათი სასიცოცხლო პირობების გაუარესებით, განსაკუთრებით, გამრავლების პერიოდში, აგრეთვე, არეალის შემცირებით და სხვა.

დედამიწაზე კეთილდღეობა დიდადაა დამოკიდებული ტყის რესურსებზე, ამიტომ მისი განადგურების პრობლემა მეტად აქტუალურია და მსოფლიო მნიშვნელობისაა. მტვერი და გაზები, რომლებიც სამრეწველო ობიექტებიდან განუწყვეტლივ გამოიყოფა ჰაერში, ატმოსფეროში არსებულ ტენთან შერევის შედეგად დედამიწას უბრუნდება წვიმის სახით, რასაც ,,მჟავურ წვიმებს" უწოდებენ. დაბინძურებული გარემო და მისი მთავარი კომპონენტი - ჰაერი ბრუნავს ბუნებაში, ქარის მეშვეობით გადაადგილდება და ხდება მისი ცირკულაცია. ამიტომ ამბობენ რომ ,,ჰაერმა არ იცის სახელმწიფო საზღვარი" ის ყველა ქვეყანაში ხვდება, შესაბამისად, საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლისუნარიანობას, ამრიგად, ეს პრობლემა ერთობლივი გზით უნდა მოგვარდეს.

ტყის გაჩეხვით ნადგურდება ფაუნა – ცხოველთა სამყარო. არ არსებობს ცხოველი სარგებლობა რომ არ მოჰქონდეს, მაგ. მტაცებელი ცხოველი ჭამს ნადირის ან ფრინველის ლეშს. სპობს დაავადებულ და დასუსტებულ ცხოველებს, რითიც აჯანსაღებს ტყის ბინადართა შთამომავლობას. ეს არ ნიშნავს ნადირობის აკრძალვას, ნადირობა შეიძლება იმ ცხოველებსა და ფრინველებზე, რომლებიც მეტისმეტად გამრავლდნენ და საზიანონი გახდნენ ადამიანისათვის.

ტყის თანასაზოგადოება ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულია. ამიტომ ერთი რომელიმე კომპონენტის მოსპობა იწვევს მისი სისტემის რღვევას მაგალითად, თუ ტყიდან გავიტანთ ხმელ ტოტებს, ჩამოცვენილ ფოთლებს და ბუჩქებსაც კი, გავანადგურებთ ფრინველებს, რომლებიც ბუდეს ბუჩქებზე იკეთებენ, ფრინველების განადგურება ხელს შეუწყობს მავნე მწერების მომრავლებას, ფოთლების და სხვა ნარჩენების გატანა კი გამოიწვევს ნიადაგის გაღარიბებას, რადგან ვიცით რომ დეტრიტები – ჩამოცვენილი ფოთლების და ზედაპირის დამპალი მცენარეული მასა, გარკვეული ბაქტერიების ზემოქმედებით გარდაიქმნება ჰუმუსად ანუ ნეშომპალად, რაც ზრდის ნიადაგის შემადგენლობას და მცენარეთა ნაყოფიერების გაზრდას, ამიტომ ტყე ერთი მთლიანია. მისთვის ჭიანჭველასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ისინი ანადგურებენ მავნე მწერებს..

ბუნებაში ზედმეტი არაფერია, ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ადამიანის გადაჭარბებული ზემოქმედება იწვევს მის გაუდაბნოებას. უდაბნო არის უნაყოფო, მცენარეულ საფარს მოკლებული, თითქმის დაუსახლებელი ტერიტორია, მას ხმელეთის 22% უკავია. უდაბნოები ღარიბია წყლებით, შესაბამისად ტყეებით და ნიადაგიც სუსტადაა განვითარებული.

ტყეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბუნების დაცვის საქმეში, რადგან ის დედამიწის სიცოცხლის წყაროა. ისინი როგორც გიგანტური ტუმბოები ისე შეიწოვენ ნიადაგის ტენს, მისგან შთანთქავენ აუცილებელ მინერალურ მარილებს და აორთქლებენ მას ატმოსფეროში. მცენარეთა ფოთლებში უწყლოდ არ მოხდებოდა ფოტოსინთეზი, ამისთვის აუცილებელია სინათლე, სითბო, ტენი და მინერალური მარილები. მცენარეები მზის ენერგისაა და ფერმენტების მონაწილეობით ქმნიან რთულ ორგანულ ნივთიერებებს (ნახშირწყლებს) და გარემოში გამოყოფენ ჟანგბადს. ორგანული ნივთიერებებით იკვებება ადამიანი და ცხოველი, ამიტომ მანამ არსებობს ტყე თავისი მდგრადობით, იარსებებენ ცოცხალი ორგანიზმები, მათში მოხდება ნივთიერებათა ცვლა და ცხოველმყოფელობა.

,,მწვანე ოქრო” ეს სახელი ტყეს შემთხვევით არ უწოდეს, რადგან ამით ცხადი ხდება მისი განსაკუთრებული ღირებულება და უნივერსალური ეკონომიკური მნიშვნელობა. ტყე მზის ენერგიის მძლავრი აკუმულატორია, ის არსებით გავლენას ახდენს კლიმატის ფორმირებაზე, ბუნებაში წყლის წრებრუნვაზე, ატმოსფეროში აირ გაცვლაზე და ამგვარად ქმნის სიცოცხლისთვის საჭირო პირობებს. ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს, ხოლო ამის შესაბამისად, საქართველოს ტყეები მთლიანად 135-190 მლნ. ტონამდე. ტყის მასივებში მტვერი 8- 10 ჯერ ნაკლებია, ვიდრე ღია ადგილზე.

ტყე წყლის აორთქლებით არბილებს ჰავას, აკავებს ნიაღვარს და იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან, ნიადაგის ჩამორეცხვა კი იწვევს მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების დალამვას. იგი არეგულირებს თოვლდნობის ინტენსივობას, ახანგრძლივებს მის შენახვას ვარჯთა ქვეშ და ინახავს ტენს, მდნარი წყალი კი თანდათანობით ატენიანებს მინდვრებს და გაზაფხულზე წყალდიდობები აღარ ხდება, აკავებს ნიადაგსაფარის დაშლას, ინახავს გრუნტის წყლებს, რომლებიც მდინარეებსა და ტბებს ასაზრდოებს. ხეების გადახლართული ფესვები იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან, რითიც აფერხებს ხრამების წარმოქმნას. ტყე იცავს სასარგებლო ფაუნას და მიკროორგანიზმებს, ცხოველებს უზრუნველყოფს თავშესაფრით. მნიშვნელოვნად ამცირებს ჰაერის სისწრაფეს. ხე-მცენარე და საერთოდ ტყე ანელებს ხმაურს.

მრავალი მცენარე ტყეში გამოყოფს აქროლად ნივთიერებებს, ფიტონციდებს, რომლებსაც უნარი აქვთ ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების და მიკრობების განვითარების დათრგუნვისა მაგ. ისეთი საშიში დაავადებების აღმძვრელები, როგორიცაა ტუბერკულოზი, დიფთერიის ბაქტერიები და მიკრობები, სწრაფად იღუპებიან აქროლად ნივთიერებათა ზემოქმედებით და ამ უნარით აჯანსაღებენ გარემოს.

ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება ისეთ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს, როგორიცაა ბუნების გონივრული გამოყენება, ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება და მათი დაცვა, რაც ადამიანთა მრავალი თაობის ფიზიკური და ზნეობრივი სიჯანსაღის საწინდარია. რაც მიიღწევა ტყის რესურსების რაციონალური ექსპლუატაციით, ხე-ტყის გაჩეხვის ტემპების შემცირებით, ტყის აღდგენითი სამუშაოების გააქტიურებით, მერქნის კომპლექსურ გადამუშავებით, ნარჩენების სრული გამოყენებით, ახალი კონსტრუქციული მასალებით მერქნის ნაწილობრივი ჩანაცვლებით და სხვა ქმედითი ღონისძიებების ჩატარებით.

ბუნებასთან ჰუმანური მიდგომა ითვალისწინებს პოპულაციების რიცხოვნობის მართვას, მათი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით. ტყეს ჭრიან მისი აღდგენის, კვლავწარმოების გათვალისწინებით. ტყე განახლებადი რესურსია და არ დაირღვევა მისი მდგრადობა თუ მოხდება ხმელი ხეების მოჭრა და მისი ჩანაცვლება ახლით. კერძოდ, საჭიროა დაინერგოს საწვავის ახალი სახეების გამოყენება. ტყიანი ქვეყანა მდიდარია კურორტებით ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის კერებით, რითიც გაიზრდება ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები.

სატყეო მართველობის სწორი ორგანიზაციის პირობებში ხდება ბუნების სტაბილურობის შენარჩუნება. ბუნებას გაფრთხილება სჭირდება, რადგან მისი დამახინჯება ადვილია მკურნალობა კი ძნელი. ტყე ბუნების მთავარი შემადგენელი ნაწილია, ისინი გიგანტური ,,მტვერსასრუტის" როლს ასრულებენ და განსაზღვრავენ ატმოსფეროს შემადგენლობას დედამიწაზე. არ დაგვავიწყდეს რომ ჩვენ დედამიწა მემკვიდრეობით კი არ გვერგო, ვისესხეთ წინაპრებისგან და შთამომავლობას იგივე სახით უნდა დავუტოვოთ.

ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა, ადამიანთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, ინფორმაციის გავრცელება, ამ საქმიანობაში საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყურადღების მიპყრობა და გეგმაზომიერი ჩარევა, გაცნობიერება ბუნებისა და კერძოდ ტყის მნიშვნელობისა დედამიწაზე განაპირობებს მის სიცოცხლეს, სიცოცხლისთვის კი ტყეს სჭირდება წყალი, წყალი - დედამიწის ,,სისხლი" და დედამიწას სჭირდება ტყე, ტყე - პლანეტის ფილტვები.

ლიტერატურა:

1. ვორონცოვი ა. ი., ხარიტონოვა ნ.ზ. ,,ბუნების დაცვა" გამომცემლობა ,, განათლება" თბილისი 1985
2. ურუშაძე თ. ეკოლოგიური სამართალი, თბ. 2010წ.
3. ქაჯაია გ. ეკოლოგია. (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები) თბილისი. 1999წ.
4. ჭანტურია გ. ბლიაძე მ. გლობალური პრობლემების გეოგრაფია. თბილისი. 2008წ.

კაცობრიობის უზომო გამრავლება

ინდირა ბოლქვაძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მე-20-ე საუკუნის ბრწყინვალე წარმომადგენელია, ავსტრალიელი ზოოლოგი, ზოოფსიქოლოგი, კლასიკური ეთოლოგიის შემსწავლელი მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი კონრად ლორენცი.

1974 წელს გამოსულ წიგნში "ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა", ლორენცი განიხილავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ თუმცა მიზეზობრივად მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესებს, რომლებიც განადგურებით ემუქრებიან მთელს ცივილიზებულ კაცობრიობას დედამიწაზე. ამ პრობლემათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა არის „მოსახლეობის სიჭარბე".

პლანეტის მოსახლეობის ზრდა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, გარკვეული თვალსაზრისით, გამოუცნობელი პრობლემაა. განვითარებად ქვეყნებში სოციალური მდგომარეობის მიუხედავად მოსახლეობას ჰყავს 3-4 შვილზე მეტი. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა უახლოესი 20-25 წლის მანძილზე, როგორც ჩანს გაორმაგდება, ხოლო თუ შობადობა ასეთივე ტემპით გაგრძელდა, მომავალი საუკუნის შუა პერიოდისათვის 4-ჯერ გაიზრდება.

ამავე დროს, ინდუსტრიული ქვეყნების შეძლებულ ოჯახებს, რომელთაც შესწევთ უნარი იყოლიონ მეტი მცირეწლოვანი ბავშვი, შეგნებულად არიდებენ თავს მრავალშვილიანობას. შედეგად, ასეთ ქვეყნებში მოსახლეობა ძალიან ნელა იზრდება, ან წლების მანძილზე თითქმის იგივე დონეზე რჩება.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ სიკვდილიანობის შემცირებას შობადობის ადეკვატური ცვლილება არ მოჰყოლია. უმრავლეს შემთხვევაში ოჯახებს ჰყავთ 4-5, ზოგჯერ მეტი შვილი. ჯამში განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპი 3-3,5-ჯერ უფრო მაღალია ვიდრე ინდუსტრიულში.

ცხოველთა ნებისმიერი სახეობის მსგავსად, მოსახლეობის რაოდენობას და მის ცვალებადობას ორი ძირითადი და ურთიერთსაწინააგმდეგო ფაქტორი განსაზღვრავს შობადობა და სიკვდილიანობა.

განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის კოეფიციენტი შეადგენს 15-30 კაცს წელიწადში. ინდუსტრიულ ქვეყნებში იგი გაცილებით უფრო დაბალია, მაგალითად: დანიაში, შვედეთში, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 0-ს უახლოვდება. იტალიაში, პოლონეთში, კანადაში, აშშ-ი, შობადობა ჯერ კიდევ შესამჩნევლად აღემატება სიკვდილიანობას, ჯამში კი ინდუსტრიულ ქვეყნებში მოსახლეობის წლიური ნამატი შეადგენს მისი რიცხოვნობის 0,6%-ს, განვითარებად ქვეყნებში 2%-ზე მეტს.

დედამიწის ზოგიერთ რაიონში უკვე რამოდენიმე საუკუნეა არსებობს ჭარბ დასახლების პრობლემა, მაგრამ მოსახლეობის გლობალური მკვეთრი ზრდა მხოლოდ ჩვენი დროისათვისაა დამახასიათებელი. შემთხვევითი არა, რომ მე-20 საუკუნეში ამ მოვლენას " დემოგრაფიული აფეთქება" ეწოდა და მას თავისი მნიშვნელობით გეოლოგიურ კატასტროფებს ადარებენ.

თეორიულად ნებისმიერ ორგანიზმს აქვს რიცხოვნობის განუსაზღვრელი ზრდის უნარი, თუ იგი არაა შეზღუდული გარემო ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედებით. როგორც ჩ. დარვინი აღნიშნავდა, "ყველა სახეობა ბუნებრივად იმდენად სწრაფად მრავლდება, მოსპობის ფაქტორი რომ არ მოქმედებდეს, ერთი წყვილი მოკლე დროში მთელი დედამიწის ზურგს დაფარავსდა". ასეთ ზრდას ექსპონენციალური ეწოდება. არცერთი სახეობის მცენარის და ცხოველის რიცხოვნობა არ იზრდება ექსპონენციალური კანონით, და თუ ასეთი ზრდა მაინც ხორციელდება დროის გარკვეულ მონაკვეთში, ან განსაკუთრებულ პირობებში. ადამიანი, როგორც ბიოლოგიური სახეობა, განსხვავდება სხვებისგან, იგი დედამიწაზე ერთ-ერთი სახეობაა, რომლის რიცხოვნობა განუხრელად იზრდება.

დოკუმენტური მასალის სიმწირის მიუხედავად დღესდღეობით, ჩვენთვის ცნობილია ზოგიერთი მონაცემები კაცობრიობის დემოგრაფიული ისტორიიდან. გვარ Homo-ს პირველი წარმომადგენლები 1700000 წლის წინად გაჩნდნენ. მილიონი წლის წინად მცხოვრები პირველი პალეანთროპების რიცხოვნობა 130000-ს არ აღემატებოდა 1000000 წლის წინად დედამიწის მოსახლეობა მილიონს უახლოვდებოდა. 10000 წლის წინად 5-მილიონს, ხოლო 2000 წლის წინად 150-მილიონს აღემატებოდა.

ჩვენს ერაში მოსახლეობის რიცხოვნობა ძალზე სწრაფად იზრდება. 1650 წელს მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა 500-მლნს აღემატებოდა, 1800 წელს 906-მლნ-ს, 1850 წელს კი ერთ მილიარდს გადააჭარბა. "პასტერის ერაში", როდესაც სიკვდილიანობა მკვეთრად შემცირდა მოსახლეობამ კიდე უფრო სწრაფად იწყო ზრდა, 1930 წელს იგი ორ მილიარდზე მეტი იყო, 1962 წელს დაახლოებით სამ მილიარდამდე, 1975 წელს ოთხ მილიარდამდე, ხოლო საუკუნის დასასრულისთვის მსოფლიო მოსახლეობამ ექვს მილიარდს მიუახლოვდა. მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი ზრდის გამო, განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი საჭირბოროტო პრობლემა საკვები პროდუქტების ნაკლებობაა. იშვიათი როდია, როდესაც სახელმწიფოში პროდუქციის საერთო მოცულობა იზრდება, მაგრამ იმის გამო, რომ პარალელურად იზრდება მოსახლეობაც, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით იგი თითქმის იგივე დონეზე რჩება. იმისთვის, რომ ცხადვყოთ სასურსათო პრობლემა, მოვიყვანოთ 1983-1985 წლებში აფრიკის კონტინენტზე არნახული შიმშილის ტრაგედია. მსოფლიო შეძრული იყო ტრაგედიის ამსახველი ფოტო დოკუმენტებით და ციფრობრივი მასალებით. უძლიერესმა გვალვამ, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორია მოიცვა, მოსავლის მასობრივი დაღუპვა გამოიწვია, რასაც მოჰყვა მასობრივი შიმშილი. ცხადია, რომ ამ დროს იზარალეს ისეთმა ქვეყნებმა, რომელსაც საკმარისი სურსათი არ გააჩნდათ და არც ფული სურსათის შესაძენად.

აფრიკის კრიზისი უნდა განვიხილოთ, როგორც ქრონიკული პრობლემების მწვავე ფორმა. მსგავსი სიტუაცია იშვიათი როდია განვითარებად ქვეყნებში, მას ადამიანთა მასობრივი დაღუპვა მოსდევს. სპეციალისტები თვლიან, რომ ყოველდღიურად მსოფლიოში შიმშილის მიზეზით 20-30 ათასი ადამიანი იღუპება, სადაც დაღუპულთა დიდი ნაწილი 5-წლამდე ბავშვები არიან, რადგანაც განვითარებად ქვეყნებში თანხის დიდი ნაწილი სურსათზე იხარჯება, ჯანდაცვის მიზნებისთვის შედარებით ცოტა რჩება. შედეგად სიკვდილიანობა და ავადობა დედებს შორის აქ ბევრად მაღალია, ვიდრე ინდუსტრიულ ქვეყნებში, ხოლო ასეთი დედებისგან შობილი ბავშვები სუსტი ჯანმრთელობით და დაქვეითებული გონებრივი შესაძლებლობებით ხასიათდებიან, დღესდღეობით მსოფლიოში მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, საცხოვრებელი ტერიტორიების, სასოფლო სამეურნეო მიწების, საკვები პროდუქტების წარმოების ზრდის აუცილებლობას იწვევს, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი ეკოსისტემების დეგრადირებას, ნიადაგის ეროზიას, ტერიტორიების გაუდაბნოებას. მოსახლეობის რაოდენობის მატება იწვევს ტრანსპორტის ზრდას, ბუნებრივი რესურსების გადამეტებულ ხარჯვას, რაც მეტია მოსახლეობა, მით მეტი რაოდენობით გროვდება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომელიც გადამუშავებას ან გაუვნებელყოფას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იქმნება გარეგოს გაბინძურების დიდი საშიშროება, რაც ყველა ცოცხალ ორგანიზმს დიდი საშიშროებას უქმნის, მათ შორის ადამიანსაც მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ჩვენი დროისათვის კიდევ ერთი მოვლენა არის დამახასიათებელი, რომელთანაც

დაკავშირებულია არა მხოლოდ გარემოს მდგომარეობა, არამედ ადამიანთა ურთიერთობის ხასიათი. ესაა ქალაქების რაოდენობის ზრდა წინად პლანეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობდა, ახლო მომავალში საწინააღმდეგო სურათთან გვაქვს საქმე, მეცნიერები ვარაუდობენ რომ ახლო მომავალში ქალაქის მოსახლეობის რიცხვი 60%-ს გადააჭარბებს.

თუ 1950 წელს მსოფლიოში მხოლოდ ხუთი ქალაქი იყო, 5-მლნ-ზე მეტი მცხოვრებით, 1980 წელს ასეთი ქალაქების რაოდენობამ 26-ს მიაღწია, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით 252-მლნ-მდე, მეცნიერთა ვარაუდით მომავლისათვის მოსალოდნელია 60-მდე დიდი "გიგანტური"ქალაქის შექმნა ,სადაც მოსახლეობა 25-30 მილიონს გადააჭარბებს.

აქ მოტანილი მონაცემები მხოლოდ ნაწილობრივ ასახავენ დემოგრაფიული აფეთქების თანმხლებ მოვლენებს. ზოგი ეკოლოგი დემოგრაფიულ ევოლუციაში ინგლისელი ეკონომისტის თ. მალთუსის იდეების დადასტურებას ხედავს. 1798 წელს გამოცემულ წიგნში "ჭარბ დასლების პრინციპების გამოკვლევა" მალთუსი ასაბუთებს, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის შესაძლებლობანი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მისი გამოკვებისა. ამიტომ მოსახლეობის ზრდა კაცობრიობას საბოლოო ჯამში, კატასტროფულ შიმშილამდე მიიყვანს. მალთუსის მტკიცებით, მოსახლეობის ზრდა გეომეტრიული პროგრესით ხორციელდება, ხოლო საკვები რესურსებისა კი სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირის გამო არითმეტიკულით. მოსახლეობის კატასტროფული ზრდა და საკვების უკმარისობა, რაც პირველ რიგში განვითარებად ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, გვაფიქრებინებს რომ მალთუსის პესიმისტური წინასწარმეტყველება არც თუ უსაფუძვლოა.

აქ მოტანილი მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ზოგიერთი მოსაზრება პლანეტის მოსახლეობის შესახებ და დემოგრაფიული პერსპექტივები 21-ე საუკუნისათვის. ექსპერტთა შეხედულებები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: " პესიმისტები" თვლიან, რომ დედამიწის მოსახლეობა კვლავაც გაიზრდება, ხოლო მეორე ნაწილი "ოპტიმისტები" თვლიან, რიმ მოსახლეობის ზრდა, საბოლოო ჯამში ლოჯისტურ კანონს დაემორჩილება. ჩვენ ამჟამად ს-ის მაგვარი მრუდის აღმავალ შტოზე ვიმყოფებით, მაგრამ ვუახლოვდებით გარდატეხის ფაზას, რომლის შემდეგ მოსახლეობის რიცხოვნობა სტაბილიზირდება.

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე რ. მაკნამარა 1984 წელს, პლანეტის მოსახლეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე აღნიშნავდა: მოსახლეობის ზრდა ბოლოს და ბოლოს შეჩერდება და თანამედროვე მაჩვენებელზე დაბლა დავა, ეს განხორციელდება ძველი მალთუსიანური ფაქტორების გავლენით.

ჯ. საიმონი (1984) ეყრდნობა ისტორიულ პრეცედენტებს და ამტკიცებს, რომ ბუნებრივი რესურსების დეფიციტის პირობებში, ადამიანი ახალ ტექნოლოგიებზე და მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით, შეძლებს დამატებითი რესურსების შექმნას, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს პლანეტის მზარდი მოთხოვნილებები.

60-იანი წლებიდან მოსახლეობის რაოდენობის რეგულირების საკითხი ყოველმხრივი ანალიზისა და ფართო დისკუსიის საგანს შეადგენს. დემოგრაფები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მოსახლეობის ზრდის შენელება რეალურია, თუმცა სხვადასხვა ქვეყნებში, ადათ-ჩვევების, რელიგიისა და საზოგადოებრივი წყობის შესაბამისად, ეს პროცესი სხვადასხვაგვარად ხორციელდება. გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი ღონისძიება შობადობის რეგულირებაზე მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გამოიღებს შედეგს. უკვე დაბადებულ ბავშვებს, რომელთა რაოდენობა ხშირ შემთხვევაში ბევრად მეტია, ვიდრე ოჯახის აღწარმოებისთვისაა აუცილებელი, ცხადია იგი ვერანაირად ვერ შეეხება.

ბოლო ხანებში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი "ექპერიმენტი"დაკავშირებული მოსახლეობის რიცხოვნების რეგულირებასთან, ჩინეთში ტარდება. ამ ქვეყანაში ერთ მილიარდამდე ადამიანი ცხოვრობს. ბოლო დრომდე მოსახლეობის ზრდა არ იწვევდა სერიოზულ შეშფოთებას, უფრო მეტიც, 1957 წლამდე მთავრობა ატარებდა პრონათალურ პოლიტიკას, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ხელშეწყობად გამოიხატებოდა, მაგრამ 1971 წლიდან ჩინელი ლიდერებისათვის აშკარა გახდა, რომ მოსახლეობის უკონტროლო ზრდა ქმნის წინააღმდეგობებს მათი ცხოვრების დონის ამაღლებაში. მან განაპირობა ხელისუფლების პირველი აქტიური ქმედებანი, მოიმატა შეუღლებისათვის ნებადართულმა ასაკმა, იზღუდებოდა ოჯახებში შვილების რაოდენობა და აშ.

1978 წელს აშკარა გახდა, რომ ჩინეთში სიტუაცია გაცილებით უფრო რთულია , ვიდრე დემოგრაფები ვარაუდობდნენ. მოსახლეობამ 10%-ით გადააჭარბა სავარაუდო რიცხოვნობას. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ქვეყანაში უამრავი ახალგაზრდა იყო, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა, ამიტომაც ჩინეთში დაიწყო ფართო აქცია, რომლის მიზანი იყო დაერწმუნებინათ ახალგაზრდა ოჯახები, ჰყოლოდათ არაუმეტეს ერთი შვილისა. ასეთ პირობებში მოსახლეობის ზრდა შეჩერდებოდა, შემდეგ კი დაიყვანებოდა 800-მლნ-მდე.

არანაკლებ საინტერესო მდგომარეობაა ინდოეთში, სადაც მოსახლეობის ზრდის ტემპი დღეს ყველა სხვა სახელმწიფოზე მაღალია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა ინდოეთში 3 მილიონს აღწევდა, 70-იანი წლების შუა პერიოდში მათი რაოდენობა გაორმაგდა. მოსახლეობის რაოდენობის შემცირების გზების ძიება ინდოეთში 50-იანი წლწბიდან დაიწყო. მუშავდებოდა "ოჯახის დაგეგმვის" ნაციონალური პროგრამა, რომელიც იმ დროისათვის უნიკალური იყო მაგრამ "პროგრამამ " სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

1976 წლიდან ქვეყანაში ხორციელდებოდა ახალი პროგრამა, რომელსაც საფუძვლად სტერილიზაციის მეთოდი დაედო. სტერილიზაცია სამი შვილის ყველა მამას უტარდებოდა, ქალებს კი მე-4-ე შვილზე ფეხმძიმობის შემთხვევაში, ორსულობის შეწყვეტას აიძულებდნენ. საინტერესოა, რომ პრემიერ-მინისტრ ი. განდის მმართველობის ბოლო პერიოდში სტერილიზაცია მილიონზე მეტ მამაკაცს უტარდებოდა. 1977 წელს ი. განდის მთავრობამ არჩევნებში მარცხი განიცადა, არის მოსაზრება, რომ ერთ-ერთი მიზეზი სტერილიზაციასთან დაკავშირებული პროგრამა იყო. ამიტომ პრემიერ-მინისტრ დესაის მთავრობამ უარი განაცხადა ძალდატანების მეთოდზე. მთავრობის მეთაურის პოსტზე ხელმეორედ არჩევნების შემდეგ ი. განდი ზომიერ პოლიტიკას ატარებდა მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნურად შემცირების სფეროში.

ანალოგიური მდგომარეობა იყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ბრაზილიაში, საჰარის მომიჯნავე რეგიონებში, მთავრობა ყველანაირად ცდილობდა როგორმე დაერეგულირებინა ქვეყანაში მოსახლეობის რაოდენობა.

არანაკლებ კარგი მდგომარეობა არის დღესდღეობით, მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ერთი წუთის განმავლობაში მსოფლიოში დაბადებულ ახალშობილთა რიცხვი ჭარბობს სიკვდილიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამოდენიმე თვის უკან იაპონიაში მოხდა დიდი კატასტროფა, რომელსაც რამოდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ამას ხელი არ შეუშლია იმ მოვლენისათვის, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა არ შეწყვეტილიყო. მეცნიერთა ვარაუდით თუ ასე გაგრძელდა მსოფლიო მოსახლეობის ზრდა მათი რაოდენობა მალე პიკს მიაღწევს და დედამიწას ფაქტიურად აღარ შეეძლება მათი გამოკვება, რადგანაც დედამიწა ამოწურვადი რესურსია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მალე მსოფლიო შიმშილის საშიშროების ქვეშ დადგება, ქვეყნებში არნახული შიმშილი დაიწყებს გაბატონებას. ამავდროულად არ არის გამორიცხული, რომ სურსათის გამო დაძაბულობა შეიქმნას მოსახლეობასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის. დღესდღეობით მსოფლიო ქვეყნების მმართველები და ორგანიზაციები ყველანაირ ღონისძიებებს ატარებენ მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისათვის.

თანამედროვე კაცობრიობის ყველაზე სასიცოცხლო პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის ხალხთრიცხოვნობის პრობლემა. 2050 წლისთვის ადამიანთა რიცხვი 10-11 მილიარდს მიაღწევს, ხმელეთის ფართობი 1,5 -10^{14} მ ^{2} -ის ტოლია, რაც საკმარისია 15-20 მილიარდი ადამიანისათვის. სიმჭიდროვე იქნება 300-400 ადამიანი 1კმ^{2}. ასეთი სიმჭიდროვე ამჟამად აქვს ნიდერლანდებს, ბელგიას, იაპონიას. (შათირიშვილი ა., ცაგარელი ს., ცარციძე მ. ზოგადი ბიოლოგია. თბ. 1999)

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში მდგომარეობა მძიმეა, გაეროს მონაცემებით 2050 წლისათვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა განახევრებული იქნება. ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველო დატოვა ერთმა მილიონმა ადამიანმა, რომელთა 90% ქართველი იყო. დღესდღეობით კი მძიმე სოციალური პირობების გამო ოჯახების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰყავთ სამი ან უფრო მეტი შვილი, ამავდროულად გაიზარდა დაუქორწინებელთა რიცხვიც.

მოსახლეობის ზრდას თან უნდა სდევდეს ეკონომიური და კულტურული აღმავლობა. იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ადამიანთა გამრავლების ინტენსივობას. კაცობრიობა მისი რიცხვის ასეთი სწრაფი ტემპით ზრდისას ხომ არაა განწირული საყოველთაო შიმშილობისთვის, სოციალური კრიზისის, ომებისა და ქაოსისათვის. ხომ არ ნიშნავს ეს რომ მალთუსის აჩრდილი თავს დასტრიალებს თანამედროვე მსოფლიოს.

ლიტერატურა:

1. კონრად ლორენცი. „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა", შესავალი თანამედროვე აზროვნებაში წიგნი - IV, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი,თბ., 2007;
2. ქაჯაია გ., ეკოლოგია. (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები), თბ.,1999;
3. შათირიშვილი ა., ცაგარელი ს., ცარციძე მ., ზოგადი ბიოლოგია, თბ., 1999;
4. ინტერნეტ მასალები: Google.com.- Demografia.

ღრმა ჭეშმარიტება და სიბრძნე ჩვენი კულტურის წიაღში დევს

ფიქრია გოგიაშვილი, ნინო ბერუაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაია აზმაიფარაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონრად ლორენცის წიგნმა „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“, რომელიც 1974 წელს გამოიცა. ავტორი საინტერესოდ აღწერს რვა ერთმანეთისაგან განსხვავებულ პროცესებს, რომლებიც განადგურებით ემუქრებიან არა მხოლოდ ჩვენს დღევანდელ კულტურას, არამედ მთელს კაცობრიობას, როგორც სახეობას. ეს მოვლენებია: მოსახლეობის სიჭარბე; ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება; კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან; გრძნობის გაციება; გენეტიკური დაშლა; ტრადიციებისაგან მოწყვეტა; კაცობრიობის ინდოქტრინაციის ზრდა; ბირთვული იარაღი.

კონრად ლორენცის „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“ მთელი კაცობრიობისადმი მიმართული მოწოდებაა მონანიებისა და შემობრუნებისათვის.

ჩვენ ყველამ, ვინც მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ ქვეყნებში ან დიდ ქალაქებში ვცხოვრობთ, თვითონაც აღარ ვიცით, რა ძლიერ გვაკლია ყოვლისმომცველი წრფელი და გულთბილი ადამიანური სიყვარული. ადამიანთა უზომო გამრავლების შედეგია ის უარყოფითი პროცესები, რაც თან სდევს ცივილიზებულ კაცობრიობას.

ჩვენს პლანეტაზე 2010 წ. მოსახლეობის რაოდენობა 6,825 900 00ზე მეტია. აშშ ბიუროს აღწერის მიხედვით ყოველ 5 დღეში კიდევ მილიონი ადამიანი იბადება. ახლა მსოფლიოში 10-ჯერ მეტი მოსახლეობაა, ვიდრე 400 წლის წინ იყო. თუ მოსახლეობის ზრდა ამ ტემპით გაგრძელდა 2200 წ. შესაძლოა 20 მილიარდ კაცს მიაღწიოს.

ღარიბ ქვეყანაში ხელმოკლე ოჯახები ყოველთვის არ რეაგირებენ მძიმე საარსებო პირობებზე და არ სჯრდებიან მცირერიცხოვან შთამომავლობას. ამის შემდეგ, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, მოსახლეობის რაოდენობა უახლოესი 20-25 წლის მანძილზე, როგორც ჩანს, გაორმაგდა.

დედამიწის ზოგიერთ რაიონში უკვე რამოდენიმე საუკუნეა არსებობს ჭარბდასახლების პრობლემა, მაგრამ მოსახლეობის გლობალური მკვეთრი ზრდა მხოლოდ ჩვენი დროისთვისაა დამახასიათებელი, შემთხვევითი არაა, რომ XX საუკუნეში ამ მოვლენას “დემოგრაფიული აფეთქება“ ეწოდება და მას თავისი მნიშვნელობით ეკოლოგიურ კატასტროფებს ადარებენ.

თეორიულად ნებისმიერ ორგანიზმს აქვს რიცხოვნობის განუსაზღვრელი ზრდის უნარი, თუ იგი არაა შეზღუდული გარემო ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედებით. როგორც ჩ. დარვინი აღნიშნავდა, ყველა სახეობა ბუნებრივად იმდენად სწრაფად მრავლდება, რომ მოსპობის ფაქტორი რომ არ მოქმედებდეს, ერთი წყვილი მოკლე დროში მთელ დედამიწის ზურგს დაფარავდა, ასეთ ზრდას ექსპონენციალური ეწოდება. ადამიანი ერთადერთი სახეობაა რომლის რიცხოვნობა გეომეტრიულად იზრდება.

მოსახლეობის მკვეთრი ზრდის გამო, განვითარებად ქვეყნების ერთ-ერთი საჭირბოროტო პრობლემა საკვები პროდუქტების ნაკლებობაა, სწორედ ამიტომ 1983–85 წლებში აფრიკის კონტინენტზე არნახული შიმშილი მძვინვარებდა. ჭარბ მოსახლეობას თან სდევს ბევრი პრობლემა, მცირე ფართობზე ბევრი ადამიანის თავმოყრას შედეგად მოაქვს არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების გაღარიბება და ჩაკვდომა, არა მარტო ადამიანური სახის დაკარგვა , არამედ იგი უშუალოდ წარმოშობს აგრესიულ ქცევასაც.

ყველა ის სიკეთე, რაც ადამიანს ეძლევა მის მიერ გარემომცველი ბუნების ღრმა წვდომის მეშვეობით, ტექნოლოგიის წინსვლა, რაც თითქოს მოწოდებულია ადამიანის ტანჯვა შეამსუბუქოს, ავბედითად და პარადოქსულად. სწორედ, კაცობრიობის დასაღუპად იღწვის. იგი მას სწორედ იმით ემუქრება, რაც ცოცხალ სისტემებს ჩვეულებრივ არ ემართებათ, კერძოდ საკუთარ თავში ჩახრჩობით. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ამ აპოკალიფსური თვისებები და უნარი სწორედ ის, რაც სამართლიანად მიგვაჩნია სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებად და ესოდენ ვაფასებ ყველა ნიშნის მიხედვით პირველნი ნადგურდებიან.

მჭიდროდ დასახლებულ მოსახლეობაში გულგრილი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ უფრო შესამჩნევი ხდება. მცირდება მათ შორის ყოვლისმომცველი წრფელი და გულთბილი ადამიანური სიყვარული, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია კაცობრიობისათვის. რელიგია გვასწავლის „გიყვარდეს

მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი, „ ხოლო მოყვასის სიყვარული მოყვასის მასად ქცევის გამო და იმის გამოც, რომ ეს მოყვასნი ასე უსაშველოდ ახლოსაა, ისე იწრიტება, რომ ბოლოს მისი კვალიც ქრება, ამიტომ მოსახლეობის მასად ქცევას წარმოქმნის ამ და სხვა მრავალ პრობლემას. სწორედ ადამიანის არასწორი ჩარევით ბუნებაში ხდება სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება.

კაცობრიობა შეიქმნა და ცხოვრობს ბიოსფეროში, იყენებს მის პროდუქტს, დამოკიდებულია ბიოსფეროზე, თუმცა ამავე დროს ცვლის მას. კაცობრიობა ბიოსფეროს ელემენტია და შეუძლია იარსებოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეგნებულად გამოიყენებს მის რეზერვებს. კაცობრიობამ კი დაივიწყა, რომ მთელი პლანეტის სასიცოცხლო მარაგი ამოუწურავი არაა. ცენტრალურ და ჩრდილო ევროპაში ტყეების მოსპობა ჩვენი ერის პირველი ათასწლეულის ბოლოს დაიწყო. ატმოსფეროს უარყოფითი ცვლილებების მიზეზი ბოლო 150 წლის მანძილზე ადამიანის საქმიანობაა. ,,სულმოუთქმელობა“ ადამიანს არ უტოვებს დროს რაიმე აწონ–დაწონოს და ამოქმედებამდე გამოსცადოს.

გადმოცემის თანახმად, სამყაროს შექმნის დროს ღმერთმა მოაგროვა ყველაზე მშვენიერი, თვალისმომჭრელი ცისფერი, კრისტალივით სუფთა ჰაერი, ციცაბოდ დაშვებული მთის კალთები, ზღვის უძირო ყურეები და მარადმწვანეები, ეს განძი გულზე მიიკრა და თავის სამფლობელოსაკენ გაეშურა, გზად დიდი კავკასიონის მთებზე წაბორძიკდა და მთელი სიმდიდრე დაიბნა, ამ ადგილას წარმოიშვა საქართველო.

ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ყოველივე ამ სიმდიდრეს ქართველი კაცი არ უფრთხილდება და გაჩანაგებამდეც მიყავს. სამწუხაროდ, ცივილიზებული კაცობრიობა გარემომცველ და მარჩენალ ცოცხალ ბუნებას ბრმად და ბარბაროსულად რომ აჩანაგებს, ამით საკუთარ თავს აყენებს ეკოლოგიური საფრთხის წინაშე, მაგრამ ოდესმე თუ იგი ეკონომიურად იგრძნობს, შეიძლება კიდეც მიხვდეს, მაგრამ შეიძლება ეს უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს. ადამიანს განუწყვეტლივ უხდება შეჯიბრი საკუთარ თავთან. ადამიანი, როგორც საკუთარი სახეობის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელი სელექციის ერთადერთი ფაქტორი, სამწუხაროდ, ისე უცოდველი როდია, როგორც თუნდაც ყველაზე საშიში ნადირი: ადამიანის შეჯიბრი ადამიანთან, ისე როგორც არც ერთი ბიოლოგიური ფაქტორი მანამდე, უპირისპირდება სწორედ ,,მარად ცხოველ, კეთილმყოფელ შემოქმედ ძალას“ და ანგრევს ყველა ღირებულებას, რომელიც ამ ძალამ შექმნა ცივი სატანური მუშტით, რომლის ქმედებასაც განსაზღვრავს მხოლოდ ღირებულებისადმი ბრმა, კომერციული მოსაზრებანი, ის, რაც კაცობრიობისათვის, როგორც მთლიანობისათვის, ისიც, რაც ცალკე ინდივიდისათვის კარგი და სასარგებლოა, ადამიანთა შორის შეჯიბრის ზეგავლენით თითქმის მთლიანად დავიწყებას ეძლევა. დღეს მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას ღირებულად მხოლოდ ის მიაჩნია, რაც შეუბრალებელ კონკურენციაში თანამოძმეზე გაამარჯვებინებს და ყოველი საშუალება, რომელიც ამ მიზანს ემსახურება თავისთავად ღირებულად მიგვაჩნია. ადამიანები იტანჯებიან იმ ნერვიული და სულიერი დაძაბულობისაგან, რასაც მათ აკისრებს თავიანთ მსგავსთან შეჯიბრი, თუმცა მათ ბავშვობიდანვე წვრთნიან, რათა ამ შეჯიბრის ყველა მანკიერი გამოვლენა წინსვლად მიიჩნიონ. სწორედ ყველაზე წინ წასულ თვალებიდან მდევარი შიში იმზირება, ხოლო ყველაზე ყოჩაღები, მათ შორის ვინც ,,დროს ნაბიჯს უწყობს“ განსაკუთრებით ნაადრევად კვდებიან გულის ინფარქტით.

ადამიანს ეშინია საკუთარ თავთან მარტო დარჩენის, იგი გაურბის თვითგაცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების ყოველგვარ შესაძლებლობას, თითქოს ეშინია, რომ რეფლექსია მას საკუთარ საზარელ ავტოპორტრეტს დაუყენებს თვალწინ, სწორედ ამ შიშის გამო ადამიანი გაურბის მარტო დარჩენას. ის ცდილობს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება შეიხვედროს ცხოვრებაში და თავიდან აიცილოს ყველა უსიამოვნება. უსიამოვნებაზე თავის არიდება შეიძლება ზოგჯერ კულტურის დამღუპველი გასათუთება მოიტანოს. ყველა უსიამოვნების თავიდან აცილებით, პირველ რიგში, სწორედ სიხარული ხდება მიუწვდომელი. მწუხარებას თავი აარიდო, ნიშნავს ადამიანური ცხოვრების ერთ დიდ ნაწილზე უარი თქვა. ეს მკვეთრი ტენდენცია სახიფათოდ უერთდება იმ ტენდენციას, რომელიც მოსახლეობის სიჭარბეს მოჰყვება.

ვფიქრობ, რომ ცივილიზებული კაცობრიობის ყველაზე დიდი ცოდვა ტრადიციების მივიწყებაა. ტრადიციას საფუძვლად უდევს ყოველ კულტურულ განვითარებას.

ძალზე შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დღევანდელი ახალგაზრდა თაობა სრულიად არაორაზროვნად იმ გზას ადგას, დაუპირისპირდეს უფროს თაობას, როგორც რაღაც უცხო ფსევდო სახეობას. ერის პირქვე დამხობა სწორედ იქიდან იწყება, როდესაც იგი თავის ისტორიებს, ტრადიციებს ივიწყებს.

წარმოუდგენელია დავივიწყოთ ჩვენი ტრადიციები, ადათ–წესები და ზნე–ჩვეულებები. ყოველივე ამის დავიწყება ნიშნავს დაივიწყო წინაპრები და ყოველივე ის, რაც წარსულს უკავშირდება. ტრადიციების მივიწყება გამოწვეულია იმით, რომ თაობათა ურთიერთობამ იმ კრიტიკულ მიზანს მიაღწია, როცა უმცროსი თაობა კარგავს უფროსთან კულტურულ ურთიერთგაგებას. შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. ტრადიციები – ეს

არის ჩვენი წინაპრების დატოვებული დიდებული საგანძური, რომელსაც გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ადამიანი გახდა არაჰუმანური. ჰუმანურობა კი ლორენცის მიერ განხილულ ყველა ცოდვაში მთავარი და არსებითია.

ლიტერატურა:

5. კონრად ლორენცი. „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში წიგნი - IV., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ., 2007;
2. ელიავა ი., ნახუცრიშვილი გ., ქაჯაია გ., ეკოლოგიის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010;
3. ქაჯაია გ. ეკოლოგია. (გამოყენებითი ეკოლოგიის საკითხები) თბილისი 1999.

შავი ზღვა და მისი რესურსებრივი პოტენციალი

ეკა ზუბაშვილი, ანი ნასყიდაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

შავი ზღვა მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის. მისი მაქსიმალური სიგრძე - 1150 კმ-ია, სიგანე 265-580 კმ. ფართობი 420,3 ათასი კმ^2, საშუალო სიღრმე 1300 მ. სანაპირო ხაზის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 315 კმ-ია.

უძველეს დროში შავ ზღვას ევქსინურ პონტოსა და მეოტის პალუსს (არასტუმართმოყვარე ზღვა) უწოდებენ, რაც ნაკარნახევი იყო ხშირი შტორმებით. შემდგომში ბერძნებმა უკეთ შეისწავლეს შავი ზღვა და მის სანაპიროზე ქალაქებიც დაარსეს და სტუმართმოყვარე ზღვა დაარქვეს. თუ რატომ დაერქვა შავი ზღვა ცნობილი არაა, თუმცა მის წარმოშობას მითოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირებენ ან ფსკრული შლამის ფერთან აიგივებენ.

ზღვის სანაპირო ზოლი სუსტადაა დანაწევრებული მასში უმნიშვნელოდ შეჭრილია ბურგასის, ვარნის (ბულგარეთის) დნეპრბუგის კარკინედის, კალამიდის (უკრაინა) ნოვოროსისკის (რუსეთი) სამსუნის (თურქეთის) ყურეები. ნახევარკუნძულებიდან აღსანიშნავია: ყირიმი (უკრაინა), ქერჩი (რუსეთი), იასუნი (თურქეთი).

შავი ზღვის ქვაბულის წიაღისეულის შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა, საძიებო სანაპირო ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოების პერსპექტიულ რაიონად ითვლება.

საქართველოს ზღვის სანაპირო ზონის რელიეფის ხასიათი განპირობებულია ფაქტორების ერთობლივი მოქმედებით როგორებიცაა: ზღვის ტალღური რეჟიმი, სანაპირო ზონის გეოლოგიური აგებულება და სხვა.

ბუნებრივი პირობები მზის რადიაციის ინტენსიურობითა და განათებულობის ხანგრძლივობით განისაზღვრება შავი ზღვის ჰავის თვისებურება. რაც შეეხება ატმოსფერულ ნალექებს, იგი ყველაზე მაღალია ბათუმის ზღვისპირეთში. ნალექების მინიმუმი დამახასიათებელია გაზაფხულის მეორე ნახევარსა და ზაფხულის დასაწყისში. შავი ზღვის დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია შედარებით ცხელი და მშრალი ზაფხული, ნოტიო თბილი ზამთარი.

შავ ზღვაზე გაბატონებული ჰაერის მასების ცირკულაცია და მდინარეთა ჩამონადენი განაპირობებს წყლის დინებების ციკლურ ბრუნვას. დინების სიჩქარე საშუალოდ 1კმ/სთ-მდეა, ძლიერი ქარის დროს 5-6 კმ/სთ-მდეც კი აღწევს. მაქსიმალური დონე ზღვას ახასიათებს ზაფხულის სეზონზე, ხოლო მინიმალური - გვიან შემოდგომით, რაც დაკავშირებულია მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმთან, ატმოსფერული ნალექების რაოდენობასთან და აორთქლებადობის ხარისხთან. ასევე აღსანიშნავია არა მხოლოდ საზღვაო პლაჟი, არამედ ზღვისა და ხმელეთის ურთიერთქმედების თვითრეგულირების ბუნებრივი საშუალებაც.

საქართველოს საზღვაო აკვატორიაში, უკანასკნელი ათასწლეულების მანძილზე, ზღვის წყლის ინტენსიური დაბინძურება მოხდა. საგანგაშო მდგომარეობაა ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მიმდებარე ზღვისპირა ზოლში, სადაც ნავთოპროდუქტების შემცველობა დასაშვებ ნორმას 40-50 ჯერ აღემატება.

სანაპირო ზონის ეკოლოგიური პირობების მკვეთრი გაუარესება, კერძოდ, სხვადასხვა ტოქსიკური ელემენტებით ზღვის წყლის გაბინძურება, საქართველოს ზღვისპირეთის რეკრეატიული რესურსების გამოყენების ხელშემშლელი ფაქტორია. მითუმეტეს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო საკურორტო მეურნეობის და ტურიზმის განვითარების უაღრესად ხელსაყრელი პირობაა და მასთან ერთად, როგორც სამკურნალო ფაქტორი. ასევე აღსანიშნავია სითბოს კომფორტულობაც. აპრილის შუა რიცხვებიდან ივნისის ბოლომდე და სექტემბრის დასაწყისიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

ასევე შავი ზღვის აკვატორიისა და ფსკერზე დაფიქსირებულია ნავთობისა და ბუნებრივი აირის არსებობა (გადაუთის, ოჩამჩირის, სოცუმის, ფოთის შელფზე) გამოყენებითი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ზღვის ფერდობებზე ფსკრული მტკნარი წყლების შემოდინებას. ასევე შავი ზღვა მდიდარია მარილების სამრეწველო მარაგით. ზღვის წყლიდან პერსპექტივაში შეიძლება მიღებული იქნას სოდა, მანგანუმი, იშვიათი ლითონები.

შავი ზღვა ეკოლოგიური პრობლემის ზღვარზეა, რადგან მასში ჩაედინება გაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, ნავთობის პროდუქტები, ზოგჯერ კი ადგილი აქვს ანტროფოგენულ კატასტროფებს რაც აბინძურებს ზღვის წყალს და ა.შ.

ნავთობით გაბინძურება აისახება პლაჟის მონაკვეთებზე გასული საუკუნის შუა ხანებიდან ჩატარებული კვეთების შედეგად დადგინდა, რომ შავი ზღვის სანაპირო განიცდის გადარეცხვას - დეგრადაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის ნაპირების ძველი მეთოდებით დაცვა გულისხმობდა ზღვისპირეთში სხვადასხვა სახის ბეტონის ჯებირის აღმართვას, რამაც პრაქტიკულად არ გაამართლა, რადგან იგი ძვირი ჯდებოდა და აღნიშნული ბეტონის ნაპირსამაგრი კონსტრუქციების განვითარების მიმდებარე ზღვისპირა პერიმეტრზე გაიზარდა ე.წ. ,,ქვედა გარეცხვები'', რაც კიდევ უფრო აქტიურ ხასიათს აძლევდა დეგრადაცია - ნგრევის პროცესს და სანაპიროს მეტ ზარალს აყენებდა.

შავ ზღვას განსაკუთრებული შემადგენლობა აქვს, რაც მას ჩვენი პლანეტის სხვა დანაჩენი ზღვებისაგან გამოარჩევს. ამას საფუძვლად ის ფაქტი უდევს, რომ ყველა სხვა ზღვისა და ოკეანის წყლები შეიცავს ჟანგბადს, ხოლო შავ ზღვაში ჟანგბადი 100 მ სიღრმეზე არ არსებობს, მაგრამ შეიმჩნევა ჰიდროგენული სულფიდის დიდი კონცენტრაცია, ეს არის მომწამლავი აირი. რამდენიმე განსაკუთრებული სიცოცხლის ფორმის გარდა, ცხოველებისა და მცენარეების უმრავლესობა ვერ ცოცხლობს უჟანგბადო გარემოში.

ჰიდროგენული სულფიდი ასევე ძალიან მავნებელია ადამიანისათვის. ზღვის ზედაპირული წყლები ნაკლებად სქელია ღრმა უჟანგბადო ფენებთან შედარებით, რადგან ისინი უფრო თბილი და ნაკლებად მარილიანია. შავ ზღვაში და მის გარშემო არსებული სიცოცხლის ფორმების სასიკეთოდ, არსებული განსხვავება ფენების სისქეში ხელს უშლის ქვედა უჟანგბადო წყალს რამენაირად შეერიოს ზედაპირს. შავი ზღვის ღრმა წყლები შედგება ხმელთაშუა ზღვისა და მიწისქვეშა წყლებისაგან.

დაბინძურება ხდება მაშინ, როცა გარემოში გამოთავისუფლებული ქიმიური ნივთიერებები ან ენერგია აზიანებს სიცოცხლის რომელიმე ფორმას ან ადამიანისათვის გარკვეული ღირებულების მქონე გარემოს. არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ შავ ზღვაში ჩამდინარე ბევრი მდინარე 70-იან და 80-იან წლებში სერიოზულად იყო დაბინძურებული. დაბინძურების წყაროების რაოდენობა, მძიმე მრეწველობა და აგროქიმიური ნივთიერებები შემცირებულია. ამის მიზეზია ეკონომიკური კრიზისი, რაც ბევრმა ქვეყანამ განიცადა 1990 წ. ნაწილობრივ გაუმჯობესებულია ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პროცესები და ნარჩენების გადამუშავება.

მკვეთრად გაიზარდა შავი ზღვის გავლით ნავთობის ტრანსპორტირება, არსებობს ნავთობის ჩაღვრის მუდმივი რისკი, უბედური შემთხვევებისას ან გადმოტვირთვის ოპერაციებისას (გაჟონვა მწყობრიდან გამოსული მილებით, არასწორი დამუშავება, ტანკერების არალეგალური რეცხვა).

ეს ყველაფერი ადამიანის გაუთვითცნობიერებული ქმედების შედეგებია, დაბინძურების თავიდან აცილება ყველა შემთხვევაში შესაძლებელია.

შავი ზღვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და ტურისტული განვითარებისათვის. მისი საშუალებით ვუკავშირდებით მსოფლიოს, მეტად მნიშვნელოვანია ორგანული სამყაროს არსებობა, რომელიც დღითიდღე მცირდება, რადგან მასში ისედაც არარსებული ცოცხალი ფენა თანდათანობით კვდება და არის საფრთხე სრულად დაიხუროს, საჭიროა დროულად დავეხმაროთ მას.

ნაპირდაცვის ახალი მეთოდი გულისხმობს შემოუსაზღვრავი ხელოვნური პლაჟების მოწყობას, რაც ბუნებრივის ანალოგიურ და ეკონომიკურად გამართლებულ, სოციალურად მიზანშეწონილ და ეკოლოგიურად უსაფრთხო, გონივრულ გარემოს დაცვით საქმიანობას წარმოადგენს. აღნიშნული მეთოდის გამოყენება მომავალში დიდად შეუწყობს ხელს ზღვის შტორმული შემოტევების შეჩერებას.

შავი ზღვის გაჯანსაღების, გადარჩენის და მისი რესურსების რაციონალური ექსპლუატაციის აუცილებელი პირობაა ეფექტური გამწმენდი მოწყობილობების ქსელის, ერთიანი მთელი საინფორმაციო სისტემის, მონიტორინგის ეროვნული პროგრამის დაფუძნება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მისი ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის ეფექტური გამოყენება. ამჟამად, დამუშავებული კონცეფციების მიხედვით, მომავალ 20-წლიან პესპექტივაში, გათვალისწინებულია ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ახალი ათონის, ოჩამჩირის, გუდაუთის და გაგრის საზღვაო პორტებისა და ნავმისადგომების რეკონსტრუქცია–გაფართოება და ახალი ნავსადგურების მშენებლობა მდ. სუფსის, ხობის, ენგურის შესართავებთან.

ჩვენი ქვეყნის დღეს მოქმედი ნავსადგურები, საკომუნიკაციო ტრასები, საბორტე გადასასვლელები თუ ტერმინალები, უახლოეს მომავალში ვერ შეძლებენ მოზღვავებული ტვირთნაკადების მიღებას, დამუშავებასა და დანიშნულების მიერ გაგზავნას. ეს შესაძლებელი გახდება შავი ზღვის სანაპიროზე "ტრასეკას" დიდი დელტის შექმნით, რომელიც ერთ მძლავრ სისტემაში გააერთიანებს ბათუმის, სუფსის, ფოთის, ხოლო შემდეგ კი ანაკლიის, ოჩამჩირის და სოხუმის ნავსადგურებს.

როგორც აღვნიშნეთ, სანაპირო ზოლი წარმოდგენილია კომფორტული პლაჟებით, მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეულობით, ზღვისპირა და მთიანი ლანდშაფტების შერწყმით საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთში. სათანადო ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების შემთხვევაში ტურიზმი შეიძლება გადაიქცეს ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, მ. ალფენიძის რედაქტორობით, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის გამოცემა, თბ., 1999;
2. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2000;
3. კიკნაძე ა., საქართველოს შავი ზღვის ნაპირწარმომქმნელი პროცესების რეგულირების და მართვის პრობლემები სამეცნიერო სესიის მასალები, "გარემო და სტიქიურ-დამანგრეველი პროცესები", თბ., 1994;
4. სვანიძე გ., ალავერდიშვილი მ., შავი ზღვის აუზის მდინარეთა მყარი ნატანი საქართველოს ფარგლებში, თეზისების კრებული, თბ., 1995;
5. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი X, თბ., 1986.

დანაშაულის ახალი სახე: კომპიუტერული დანაშაული

გიული თაყაძე
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ მაკასარაშვილი,** სრული პროფესორი

საქმიანობის ყველა სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ მრავალ დადებით მოვლენასთან ერთად უარყოფითი შედეგებიც გამოიწვია. საზოგადოების ინფორმატიზაციის შედეგად წარმოიშვა დანაშაულის ახალი სახე – კომპიუტერული დანაშაული. ეს ნეგატიური ტენდენცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მეცნიერულ ტექნიკური პროცესის შეუფერხებელ ზრდაზე და კომპიუტერიზაციის მზარდი ტემპების კვალდაკვალ ამ დანაშაულის დონე კიდევ უფრო მაღლა აიწევს. დანაშაულებრივი დაჯგუფები ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით უკანონოდ

ითვისებენ მილიონობით თანხებს, „აცოცხლებენ'' დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ უზარმაზარ ფულად სახსრებს, თავს არიდებენ გადასახადებს, კომპლექსურ ღონისძიებებს ატარებენ სხვადასხვა დანაშაულის მოსამზადებლად, ჩასადენად და შესანიღბად. სპეციალისტების მიერ პროგნოზირებულია კომპიუტერის გამოყენებით ორგანიზებული დანაშაულის სწრაფი ზრდის ტემპები.

კომპიუტერული დანაშაულის სწრაფი ზრდის ტემპები უპირველესად იმითაა განპირობებული, რომ მეცნიერულ ტექნიკურმა რევოლუციამ სერიოზული სოციალური ძვრები გამოიწვია, რომელთა შორის აღსანიშნავია საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საზოგადოებრივი რესურსის ახალი სახის – ინფორმაციული ურთიერთობის წარმოშობა. ინფორმაცია თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველთაგანი, ამ საზოგადოების საქმიანობის საგანი და პროდუქტია.

კომპიუტერული დანაშაულების შესახებ არსებული ნორმები პირველ რიგში ინფორმაციის დაცვის მიზნითაა შექმნილი და ნორმები, რომლითაც ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის მოქმედების სამართლებრივი ასპექტებია რეგლამენტირებული სამართლის სხვადასხვა დარგის, მათ შორის სისხლის სამართალშია გათვალისწინებული.

სოციალური კონტროლის სფეროში კომპიუტერული დანაშაული 70-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა და აშშ-ში მრავალი ასეთი სახის ქმედება გამომჟღავნდა. ამ ფაქტმა მაშინ სისხლის სამართლის, იუსტიციისა და მეცნიერ-იურისტთა ყურადღება მიიზიდა და დაიწყო ამ ფენომენის ინტენსიური კვლევა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. თავდაპირველად იუსტიციის ორგანოები, რომლებიც კომპიუტერულ დანაშაულს წააყდნენ, შეეცადნენ მასთან ბრძოლა ქურდობის, თაღლითობის, ნდობის ბოროტად გამოყენების ტრადიციული დანაშაულის ნორმებით ეწარმოებინათ. მაგრამ საკითხისადმი მსგავსი მიდგომა წარუმატებელი აღმოჩნდა იმ მიზეზის გამო, რომ ტრადიციულ დანაშაულთა შემადგენლობა ვერ მოიცავდა მრავალ კომპიუტერულ დანაშაულს (მაგალითად, კომპიუტერის „მოტყუებით" ფულის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა). ეს დანაშაული ვერც ქურდობის და ვერც თაღლითობის მუხლებით ვერ დაკვალიფიცირდებოდა.

სისხლის სამართლებრივი ნორმებისა და კრიმინალური რეალობის ერთმანეთთან შეუსაბამობამ დღის წესრიგში დააყენა სისხლის სამართლებრივი ნორმების განვითარების მოთხოვნა. გამოიკვეთა ორი მიმართულება: არსებული სისხლის სამართლებრივი ნორმების უფრო ფართო განმარტებისა და კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავების გზით. პირველი მიმართულება მოქცეულია გარკვეულ ჩარჩოებში, უკანონობას რომ არ მიეცეს გასაქანი, ამ საზღვრების გადაცილება დაუშვებელია. ამიტომაც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ კომპიუტერული დანაშაულის შესახებ სპეციალური ნორმების შემუშავება არჩია.

შემუშავდა კომპიუტერული დანაშაულის ცნებაც, როგორც ყოველგვარი მონაცემების დამუშავებისა და მათი გადაცემის სფეროში უკანონო, არაეთიკური და ნებადაურთველი ქმედება.

გამოიკვეთა კომპიუტერული დანაშაულის სხვადასხვა ჯგუფები: კომპიუტერულ-ეკონომიკური დანაშაული, კომპიუტერული დანაშაული პირადი უფლებებისა და ხელშეუხებლობის სფეროში, კომპიუტერული დანაშაული საზოგადოების და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და სხვა.

ეკონომიკურ-კომპიუტერულ დანაშაულთაგან ყველაზე გავრცელებული და საშიშია თაღლითობა ანუ ავტომატიზირებული, ინფორმაციული სისტემის ბოროტად გამოყენებით სხვის ხარჯზე არამართლზომიერი გამდიდრება, კომპიუტერულ-ეკონომიკური ჯაშუშობა, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული საბოტაჟი, კომპიუტერული მომსახურებისა და დროის ქურდობა, საინფორმაციო ავტომატურ სისტემაში თვითნებური შეღწევა და კომპიუტერის დახმარებით ტრადიციული ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა.

კომპიუტერული თაღლითობა, კომპიუტერულ მატარებელზე არსებულ საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული დანაშაული, პროგრამების ქურდობა, კომპიუტერული „მეკობრეობა" კომპიუტერული მომსახურების არამართლზომიერი მიღება, კომპიუტერული დროის ქურდობა ფართოდ არის გავრცელებული თანამედროვე ევროპასა და აშშ-ში და კომპიუტერული დანაშაულის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

პირადი უფლებების ხელშეუხებლობის სფეროში არსებული კომპიუტერული დანაშაული ყველაზე ხშირად კომპიუტერულ სისტემაში პიროვნების შესახებ არასწორი და არაკორექტული მონაცემების შეტანით, სწორი მონაცემების დამახინჯებით ან პიროვნების შესახებ მონაცემების უკანონო ხერხით შეგროვებაში გამოიხატება.

საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი კომპიუტერული დანაშაული მოიცავს ინფორმაციის საზღვარგარეთ გადაცემის წესების დარღვევას, თავდაცვის სისტემის მუშაობის დეზორგანიზაციას, არჩევნების დროს ხმების დათვლისას და პარლამენტის გადაწყვეტილების მიღებისას ავტომატური სისტემის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.

საქართველო დამნაშავეობასთან ბრძოლის ურთიერთდახმარების შავი ზღვის სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის მონაწილეა. ამ დანაშაულთა შორის დასახელებულია დანაშაული მაღალი ტექნოლოგიის სფეროში- მათ შორის კომპიუტერული დანაშაული.

ინფორმაციის და ინფორმაციული რესურსების გამოყენების წესების დარღვევამ შეიძლება მრავალი არასასურველი შედეგი გამოიწვიოს, როგორიცაა მათი დაკარგვა, გატაცება, დამახინჯება, გაყალბება, მართვის კონტროლის ავტომატიზირებული სისტემის პროგრამის დარღვევა, კომპიუტერის და მისი სისტემის მუშაობის მოშლა, რაც თავის მხრივ ასევე შეიძლება უმძიმესი შეუქცევადი პროცესების მიზეზი გახდეს.

კომპიუტერული დანაშაული წარმოადგენს ინფორმაციულ სფეროში ჩადენილ დანაშაულს, როგორიცაა: ელექტრონულ-გამომთვლელი სისტემის გამოყენებისას კონკრეტული უფლებები და ინტერესები ანუ სისტემის მესაკუთრის უფლება იმ ინფორმაციის ხელშეუხებლობის თაობაზე, რომელიც სისტემაშია და სისტემის სწორ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ინტერესები. ამ დანაშაულს თავისი დამოუკიდებელი ობიექტი გააჩნია. კომპიუტერები, კომპიუტერული სისტემები და ქსელები პრაქტიკაში განიხილება, როგორც დანაშაულის საგანი ან ინფორმაციის სფეროში დანაშაულის ჩადენის ტექნიკური საშუალება. მათი დაზიანების ან გატაცების შემთხვევაში იგი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგნად გვევლინება. კომპიუტერი, როგორც დანაშაულის ჩადენის ტექნიკური საშუალება, ისევე განიხილება როგორც იარაღი, ტრანსპორტი და სხვა. ამ თვალსაზრისით მას გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

კომპიუტერული დანაშაულის ჩადენის დროდ ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დრო, კლავიატურის კლავიშზე ან „თაგვის“ ღილაკზე თითის დაჭერის მომენტი, რითაც კომპიუტერული ბრძანება იგზავნება. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.

უფრო რთულია კომპიუტერული დანაშაულის ადგილის განსაზღვრის საკითხი, რამდენადაც კომპიუტერულ დანაშაულთა უმრავლესობა კომპიუტერულ ქსელში ხდება, რომელიც რამდენიმე რეგიონს და ქვეყანას მოიცავს და რომელთა შორის წამყვანი ადგილი ინტერნეტს უკავია, ამდენად დანაშაულის ჩადენისა და შედეგის დადგომის ადგილს შეიძლება მრავალი კილომეტრი და სახელმწიფო საზღვარიც აშორებდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს დანაშაული ჩადენის ადგილის განმსაზღვრელ ნორმას, ამიტომაც დანაშაულის ჩადენის ადგილი შეიძლება იყოს როგორც ქმედების ჩადენის, ისე შედეგის დადგომის ადგილი, ან ის ადგილი სადაც დანაშაული აღიკვეთა ან დამთავრდა.

კომპიუტერული დანაშაულის სახეები

იმის გათვალისწინებით, რომ სუბიექტთა ნებისმიერი სახის საქმიანობა ხორციელდება ან სრულდება ინფორმაციული ურთიერთობებით, ინფორმატიზაციის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან სუბიექტთა ნებისმიერი სახის ურთიერთობა უფრო მარტივი და სამართლებრივად დაცული ხდება, თუ იგი დარეგულირებულია კანონმდებლობით.

კომპიუტერული დანაშაულის სამართლებრივი საფუძვლები ტელესაკომუნიკაციო ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი პრინციპებით და იმ ნორმებით რეგულირდება, რომელთა შემდგომი კონკრეტიზაცია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით ხდება. ხელშეკრულება იდება კომპიუტერული ინფორმაციული ურთიერთობების რამდენიმე სუბიექტს შორის: ინფორმაციის გადამცემს, ინფორმაციის მიმღებს, კავშირგაბმულობასა, რომლის საშუალებით გადაცემა ხორციელდება და ზოგჯერ შუამავალ შორის, რომელიც ინფორმატორს და მოსარგებლეს რთავს ქსელში.

კომპიუტერული დანაშაულის ძირითადი სახეებია:

- კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა;
- კომპიუტერის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება;
- კომპიუტერის, კომპიუტერული სისტემების ან ქსელების ექსპლოატაციის წესების დარღვევა.

ზოგადად ინფორმაციული რესურსები ღია და ხელმისაწვდომია გარდა იმ დოკუმენტური ინფორმაციისა, რომელიც კანონით შეზღუდული შეღწევადობის კატეგორიას განეკუთვნება და რომელთან არამართლზომიერ შეღწევას შეუძლია ზიანი მიაყენოს როგორც ინფორმაციის მესაკუთრეს, ისე მის მფლობელს და სხვა პირებს. ამ თვალსაზრისით კანონით დაცულ ინფორმაციაში მოიაზრება კანონით, თუ სხვა ნორმატიული აქტით ან შინაგანაწესით დაცული დოკუმენტური ინფორმაცია, რომელიც ეფუძნება ამ ფაქტებს და ამოღებულია საჯარო ბრუნვიდან. როგორც წესი, ასეთ ინფორმაციას

გააჩნია შეზღუდული სარგებლობის გრიფი, ანუ მისთვის კანონით დადგენილია დაცვის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი.

შეზღუდული შეღწევადობის დოკუმენტური ინფორმაცია, მისი სამართლებრივი რეჟიმის პირობების მიხედვით იყოფა სახელმწიფო საიდუმლოების და კონფიდენციალურ ინფორმაციად.

კონფიდენციალურ ინფორმაციას მიეკუთვნება პერსონალური მონაცემები. სასამართლო გადაწყვეტილების გარდა პირადი და ოჯახური მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, საფოსტო, სატელეგრაფო და სხვა შეტყობინების საიდუმლოების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, გამოყენება, და გავრცელება არ დაიშვება იმ პირის თანხმობის გარეშე, ვისაც ინფორმაცია შეეხება.

კანონით დაცულ კომპიუტერულ ინფორმაციასთან მხოლოდ არამართლზომიერი შეღწევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. არამართლზომიერია ინფორმაციასთან შეღწევა, როდესაც პირს შეღწევის უფლება არ გააჩნია, ანდა ასეთი უფლება აქვს, მაგრამ ინფორმაციის დაცვის წესების დარღვევით ახორციელებს მას.

ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა შეიძლება სხვადასხვა ხერხით გამოიხატოს. ჩადენის ხერხის მიხედვით იგი ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: ჩადენილი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების გარეშე, ტრადიციული ხერხით და შეღწევა მეცნიერების და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით.

კომპიუტერული ინფორმაციის დაცვის მრავალფეროვანი საშუალებების მიუხედავად, „ხაკერები“, „ელექტრონული კორსარები“, „კომპიუტერული მეკობრეები“ ახერხებენ ამ ინფორმაციასთან შეღწევას.

კომპიუტერის დამაზიანებელ პროგრამებში უპირველესად კომპიუტერული ვირუსი სახელდება. ვირუსი მას იმიტომ ეწოდება, რომ მისი მოქმედება ძლიერ წააგავს ბიოლოგიური ვირუსის მოქმედებას, რომელიც ჯანსაღ უჯრედებს იყენებს, აავადებს მათ და ვირუსის წარმოებას აიძულებს. თავისთავად კომპიუტერული ვირუსი არ არსებობს. ის იყენებს სხვა პროგრამებს, რომლებიც მოდიფიცირდებიან და ასრულებენ რა განსაზღვრულ ფუნქციებს, აწარმოებენ ვირუსს.

კომპიუტერული ვირუსის საშიშროება ისაა, რომ შეიძლება გამოიწვიოს კომპიუტერული ინფორმაციული სისტემის სრული დეზორგანიზაცია.

კომპიუტერის ექსპლოატაციის წესების დარღვევა იყოფა ინტელექტუალური და ფიზიკური ხასიათის დარღვევებად.

ინტელექტუალური ხასიათის დარღვევაში მოიაზრება კომპიუტერულ პროგრამასთან მცდარი დიალოგი, კომპიუტერში ისეთი მონაცემების შეყვანა, რომლის დამუშავება მოცემული გამომთვლელი ტექნიკის შესაძლებლობას აღემატება.

ფიზიკური ხასიათის დარღვევა გულისხმობს მოწყობილობის არასწორ განლაგებას, ტემპერატურის რეჟიმის დაუცველობას, კვების წყაროში კომპიუტერის არასწორ ჩართვას, დაცვის არასერტიფიცირებული და თვითნაკეთი მოწყობილობის გამოყენებას.

დანაშაული შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. იგი შეიძლება სამი ფორმით გამოიხატოს:

– კომპიუტერების, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლოატაციის უზრუნველმყოფელი წესების დაუცველობით;

– მუშაობის პარამეტრების არასათანადო დაცვით;

– კომპიუტერების, კომპიუტერული სისტემების და ქსელების ექსპლოატაციის უზრუნველმყოფელი წესების უშუალო დარღვევით .

პირველი ორი ფორმა უმოქმედობით ხორციელდება, ბოლო კი- აქტიური მოქმედებით.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი და შეუფერხებელი განვითარების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უსაფრთხოება ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული და უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომელთა მეშვეობით უსაფრთხოება გარანტირებული იქნება. ამ მხრივ საჭიროა კანონმდებლობის ეტაპობრივი განვითარება, დახვეწა და მისი თანამედროვე ტექნოლოგიებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ლიტერატურა:

1. მ. მაღრაძე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ინფორმატიზაცია (თეორია და პრაქტიკა) თბ., 2000;
2. მ. სურგულაძე კომპიუტერული დანაშაული, თბ., 2003;
3. მ. ცაცანაშვილი ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება, თბ., 1999;
4. Батурин Ю. М. и др. Компьютерная преступность и компьютерная безопосность, М. 1997;
5. http://www.science.org/Documents/koncefcia/koncefcia.pdf

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 22 იანვარი №2 დადგენილების დანართი (საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების კონცეფცია 2000 – 2015 წლებში));
6. http://conference.ge

მიკროელემენტების მნიშვნელობა ადამიანისათვის
და მათი შემცველობა რთულყვავილოვანთა - Compositae ოჯახის მცენარეებში

ნინო ლომიძე, ნანა აკოფაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** სრული პროფესორი

ყოველი მცენარე შედგება ორგანული და მინერალური ნივთიერებებისაგან. ეს უკანასკნელნი დიდ როლს თამაშობენ ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებში: ნივთიერებათა ცვლაში; ფერმენტების, ჰორმონების და სისხლწარმოქმნაში; არსებით გავლენას ახდენენ გულის მუშაობაზე, ნერვული სისტემის და კუნთების აღგზნებადობაზე, შედიან ჩონჩხის ძვლების შემადგენლობაში და სხვა. რამდენადაც მარილები განუწყვეტლივ გამოიყოფიან ორგანიზმიდან ოფლთან, შარდთან და ექსკრემენტებთან ერთად, მათი მარაგის მუდმივად შევსება ორგანიზმისათვის, უკიდურესად აუცილებელია.

მცენარეში შემავალი მინერალური ელემენტები რაოდენობრივი შემცველობისა და მათზე ყოველდღიური მოთხოვნილების მიხედვით დაყოფილია: მაკროელემენტებად (Na, K, Ca, Mg, P, Ba, Cl, S, Fe, Al და სხვ.), მიკროელემენტებად (Ni, I, F, Cu, Mn, Zn, Mo, Br, B, Sr, Pb და სხვ.). უკანასკნელ ხანებში გაჩნდა კიდევ ახალი ცნება - ულტრამიკროელემენტები (Au, As, Hg, Ag, Ra და სხვ.).

ჩვენ შევეხებით მიკროელემენტებს, რომლებიც ორგანიზმის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაერთების შემადგენელი ნაწილებია. ადამიანის ორგანიზმში მიკროელემენტების წონასწორობის დარღვევა დიდ როლს თამაშობს მრავალი დაავადების განვითარებაში. ცნობილია, მაგალითად, რომ ეპილეფსიის, ღვიძლის ციროზის, ჰეპატიტის, ლეიკოზის და სხვადასხვა ინფექციური დაავადების დროს სისხლში იმატებს სპილენძის შემცველობა, შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში კი - მცირდება. ანემიის, ლეიკემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, გადაღლისა და სტრესის დროს სისხლში იზრდება თუთიის შემცველობა, მაგრამ ის მცირდება ღვიძლის და თირკმელების ქრონიკული დაავადებებისას, აგრეთვე მიოკარდიუმის ინფარქტის დროს.

ადამიანის ორგანიზმში მიკროელემენტების არასაკმარისი ან ჭარბი რაოდენობით შესვლამ შეიძლება გამოიწვიოს ნივთიერებათა ცვლის მძიმე დაავადება მიკროელემენტოზას სახელწოდებით. მაგალითად, ლითიუმის ნაკლებობა ხელს უწყობს მანიაკურ-დეპრესიულ ფსიქოზს, შიზოფრენიას და სხვა ფსიქიურ დაავადებებს; იოდის სიმცირე იწვევს ჩიყვის დაავადებას, ხოლო სიჭარბე - ფარისებრ ჯირკვალში იოდის შენაერთების სინთეზის შეფერხებას.

ცხადია, მიკროელემენტების წონასწორობის ყოველგვარი დარღვევა, გამოწვეული როგორც დაავადებით, ისე მათი ნაკლებობით ან სიჭარბით, მოითხოვს კორექტირებას შესაბამისი პრეპარატებით. დარღვეული წონასწორობის აღდგენისათვის ელემენტების სამკურნალო დოზა საკმაოდ მცირეა და სამკურნალო მცენარეებში არსებული მიკროელემენტების რაოდენობა საკმარისია სამედიცინო გამოყენებისათვის.

ფიზიოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით მცენარეში არსებული მიკროელემენტები ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების თვალსაზრისით შეიძლება იყოს სასიცოცხლოდ აუცილებელი, ნაკლებად საჭირო და მავნეც კი. ამასთან დაკავშირებით, შევეხებით ზოგიერთი მიკროელემენტის როლს.

თუთია მონაწილეობს იმუნიტეტის უზრუნველყოფაში, სასქესო ორგანოების ზრდასა და ნორმალურ ფუნქციონირებაში. არსებობს თუთიაზე დამოკიდებული ენიზმები, რომლებიც მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლის ყველა ძირითად პროცესებში. ისინი ააქტიურებენ ცილების ბიოსინთეზს, ენერგიის წარმოქმნას, უზრუნველყოფენ ვიტამინ A-ს მოქმედების რეალიზაციას.

რამდენადაც თუთიის როლი ნივთიერებათა ცვლაში ასეთი დიდია, კანონზომიერია, რომ მისი დისბალანსისას ორგანიზმში წარმოიქმნება უმძიმესი დაავადებები: სქესობრივი მომწიფების შენელება,

ზრდის შეჩერება, უნაყოფობა, ანემიის სხვადასხვა ფორმა, სიმსივნეების ზრდის გაძლიერება და ა.შ. ერთ-ერთი მაჩვენებელი ადამიანის ორგანიზმში თუთიის დეფიციტისა, არის ფრჩხილის ზედაპირზე თეთრი ლაქების წარმოქმნა. ამ ელემენტის სიჭარბისას მნიშვნელოვნად მცირდება სასარგებლო მიკროორგანიზმთა რიცხვი, ადამიანს ეწყება მეხსიერების დაქვეითება, ზედა სასუნთქი გზების კატარი. თუთიის ზეკონცენტრატ მცენარეებს მიეკუთვნება: ალოე, არყი, ლემა, ორკბილა, ქრისტესისხლა.

ყველა ცოცხალი ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესებში დიდ როლს თამაშობს სპილენძი. ის შედის ადამიანისა და ცხოველის პლაზმის შემადგენლობაში და ააქტიურებს მთელი რიგი ფერმენტების მოქმედებას, მონაწილეობს სისხლის წარმოქმნაში, კანის სუნთქვაში. ამ ელემენტზე მოთხოვნილება ყოველგვარი ანთებითი პროცესების დროს იზრდება. ის აუცილებელია რკინის უკეთესად შეთვისებისათვის. სპილენძს მაღალი ოდენობით აგროვებს ჩინური ჩაი, ქართული ენდრო, ალუბალი, მარწყვა-ბალახი, ცირცელი და სხვა.

ნიკელი მონაწილეობს სისხლის წარმოქმნაში, ააქტიურებს გლუკოზის დამშლელი ფერმენტების მოქმედებას, ამიტომ შაქრის მოხმარების გაზრდასთან ერთად ამ ელემენტზე მოთხოვნილება იზრდება. ნიკელს მნიშვნელოვანი რაოდენობით აგროვებს შმაგა, ყაყაჩურა, შავბალახა.

კობალტი მონაწილეობს ცხიმმჟავების და ნახშირწყლების ცვლაში, მაგრამ მისი მთავარი ფუნქციაა სისხლწარმოქმნის პროცესში ვიტამინ B_{12}-ის შემადგენლობაში მონაწილეობა. ამ პროცესის დარღვევა იწვევს საკმაოდ მძიმე შემდგომქმედებას. კობალტის დისბალანსის კორექტირებისათვის საუკეთესო წყაროა ასკილი.

კადმიუმის დადებითი თვისებები დადგენილი არ არის. პირიქით, არსებობს მონაცემები ადამიანის ორგანიზმზე მისი უარყოფითი გავლენის შესახებ. კერძოდ, ეს ელემენტი ამცირებს საჭმლის მომნელებელი ფერმენტების აქტივობას, ცვლის ღვიძლის ქსოვილების კატალიზურ აქტივობას. მისი მაღალი დოზები იწვევს ანემიას, ცხვირიდან სისხლდენას, კალციუმის ცვლის მოშლას, რომლის დროსაც ხდება ჩონჩხის დეკალცინირება, განსაკუთრებით ხანშიშესულ ადამიანებში. კადმიუმის დამაგროვებელი მცენარეებია ფუტკარა, ბერულა, ცხვირსატეხელა და სხვა.

ტყვიით ადამიანის მოწამვლის ფაქტები ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 150 წლის წინათ იყო ცნობილი. ძველმა ბერძენმა ექიმმა ნიკანდრ კოლოფონსკიმ აღწერა ტყვიით მოწამლულ ადამიანთა სიმპტომები. ტყვიით მოწამვლისას ადამიანი ავადდება ე.წ. „ტყვიის კოლორიტით“ (მიწისფერ-რუხი შეფერილობა), სისხლსა და შარდში მაღლდება ტყვიის შემცველობა, იშლება ნერვული სისტემა, იცვლება სისხლის შედგენილობა, ხდება ენდოკრინული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოშლა. ტყვიას აგროვებს მდოგვი, მოცვი და სხვა.

რამდენადაც მიკროელემენტები კვებითი ჯაჭვის საშუალებით ადვილად ხვდება ადამიანის ორგანიზმში, ამდენად დიდ ინტერესს იწვევს სამკურნალო მცენარეებში მიკროელემენტების შემცველობის შესწავლა.

ჩვენი კვლევის მიზანია შიდა ქართლში გავრცელებულ ვარდისებრთა ოჯახის ზოგიერთ სამკურნალო მცენარეში სპილენძის, თუთიის, ტყვიის და ნიკელის შემცველობის დადგენა. კვლევის ობიექტია ქვემოთ მოყვანილი სამკურნალო მცენარეები, რომლებიც მრავალრიცხოვან სამკურნალო მცენარეებთან ერთად ნებადართულია ფიტოთერაპიაში გამოსაყენებლად: ასკილი - Rosa canina L., თავსისხლა - Sanguinea officinalis L., კუნელი - Grataegus sanguinea Pall, მარწყვა-ბალახი - Potentilla erecta (L.), ჟოლო - Rubus idaeus L. საანალიზო ნიმუშები მედიცინაში გამოსაყენებელი ორგანოების მიხედვით (ასკილის, კუნელის, ჟოლოს ნაყოფები; მარწყვა-ბალახის და თავსისხლას ფესვურა) შეგროვილი იქნა შიდა ქართლის რეგიონში. ყველა ნიმუშში განისაზღვრა მძიმე მეტალების შემცველობა ავტომურ-აბსორბციული მეთოდით.

მიღებული შედეგებით გამოირკვა, რომ საკვლევი ელემენტების შემცველობა სამკურნალო მცენარეებში შემდეგ ფარგლებში ცვალებადობს (მგ/კგ): სპილენძი - 4,56 – 13,10; თუთია - 13,46 – 23,50; ტყვია - 0,56 – 0,77; ნიკელი - 0,40 – 1,35. ამასთან, აღნიშნული მცენარეები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მძიმე მეტალების დაგროვების მხრივ, სახელდობრ: სპილენძს ყველაზე მეტი რაოდენობით აგროვებს მარწყვა-ბალახი - (13,10 მგ/კგ), თუთიას - ასკილი (23,50 მგ/კგ), ტყვიას - თავსისხლა (0,77 მგ/კგ), ნიკელს - მარწყვა-ბალახი (1,35 მგ/კგ).

აღნიშნული მიკროელემენტების შემცველობის მიხედვით საკვლევი მცენარეები შეიძლება შემდეგი კლებადი რიგით დალაგდნენ:

სპილენძის - მარწყვა-ბალახი, ასკილი, კუნელი, ჟოლო, თავსისხლა
თუთიის - ასკილი, თავსისხლა, მარწყვა-ბალახი, კუნელი, ჟოლო
ტყვიის - თავსისხლა, მარწყვა-ბალახი, ჟოლო, კუნელი, ასკილი
ნიკელის - მარწყვა-ბალახი, თავსისხლა, ჟოლო, ასკილი, კუნელი

სამკურნალო მცენარეებში ამა თუ იმ ელემენტის კონცენტრირებაზე მიღებული მონაცემები ცალკეული სახეობის მცენარის, მით უმეტეს საქართველოს უმდიდრესი და მრავალფეროვანი ფლორის წარმომადგენლების ახალი სამკურნალო თვისებების გამოვლენის შესაძლელობას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა:
1. ალექსიძე ნ. ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები. თბილისი, თსუ, 2005;
2. გაგნიძე რ., დავითაძე მ. ადგილობრივი ფლორა. გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 2000;
3. გოგინაშვილი ნ., ღოლიჯაშვილი დ. მძიმე მეტალების მიგრაცია სისტემაში: ნიადაგი - კვების მინერალური ელემენტები - მცენარე შიდა ქართლის პირობებში. საერთაშორისო კონფერენცია აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. თბილისი, 2010;
4. გოგინაშვილი ნ., გოგინაშვილი ქ. ზოგიერთი მძიმე ლითონის დაგროვება მარცვლოვანთა (Grominae) ოჯახის მხენარეებში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი აკად. გ. ჩხაიძის 80 წლის იუბილისადმი. სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2010;
5. გორდეზიანი მ., კვესიტაძე გ. ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები. თბილისი, 2000;
6. მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. მეცნიერება, თბილისი, 1991;
7. Муравьева Д.А. Тропические и субтропические лекарственные растения. М., Медицина, 1997.

კომპიუტერული ქსელების საბაზო ტოპოლოგიები

ნინო მაზმიშვილი, ნინო სოსიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **თამარ მაკასარაშვილი,** სრული პროფესორი

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების პროცესის დაჩქარება სულ უფრო აქტუალურს ხდის თანამედროვე საკომუნიკაციო ქსელებით სარგებლობას, კომპიუტერული ქსელების ტიპების, ტოპოლოგიის, მომსახურების სახეების, აგებისა და ექსპლუატაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ცოდნას.

კომპიუტერული ქსელი ორი ან მეტი კომპიუტერის ფიზიკური შეერთებით წარმოიქმნება. კომპიუტერული ქსელების შესაქმნელად აუცილებელია სპეციალური აპარატული (ქსელის მოწყობილობები) და სპეციალური პროგრამული (ქსელის პროგრამები) საშუალებები.

კომპიუტერული ქსელი არის სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ ინფორმაციის გაცვლა. კომპიუტერული ქსელების დამახასიათებელი ნიშანია საერთო რესურსებთან ერთობლივი შეღწევის უზრუნველყოფა, მომხმარებლების დაკავშირება, ინფორმაციული ტექნოლოგიების რეალიზაცია.

ყველა კომპიუტერულ ქსელს აქვს ერთი დანიშნულება – საერთო რესურსებთან ერთობლივი შეღწევის უზრუნველყოფა. ნებისმიერი ტიპის კომპიუტერულ ქსელში მუშაობისას ხდება ყველა ტიპის რესურსების ერთობლივი გამოყენება.

რესურსები სამი ტიპისაა: აპარატურული, პროგრამული და ინფორმაციული.

კომპიუტერული ქსელი წარმოადგენს სისტემას, რომლის საბაზო საკომუნიკაციო მოდელის კომპონენტების მინიმალური ერთობლიობაა: წყრო; მიმღები; გადაცემის გარემო; შეტყობინება. წყაროდ და მიმღებად შეიძლება იყვნენ ორი ერთმანეთთან მოსაუბრე ადამიანი. ქსელში კი, პერსონალური კომპიუტერი და მთავარი ეგმ, ან თანამგზავრი და მიმღები ანტენა.

კომპიუტერული ქსელები პირობითად იყოფა ლოკალურ და გლობალურ ქსელებად. ლოკალური ქსელები აიგება ერთი კონკრეტული: ტერიტორიული, დარგობრივი, ფუნქციური, ან სხვა ნიშნის მიხედვით. გლობალური ქსელი კი ასეთ შეზღუდვებს არ ემორჩილება და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

ქსელში კვანძების განლაგებას და მათ ერთმანეთთან დაკავშირებას განსაზღვრავს ქსელის ტოპოლოგია. ქსელურ ტოპოლოგიას უწოდებენ ქსელური მოწყობილობების ურთიერთქმედების

ორგანიზაციისა და ქსელის კვანძების ფიზიკური დაკავშირების წესების ერთობლიობას. ელემენტების დაკავშირების მიხედვით ქსელები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: სრულკავშირიანი და არასრულკავშირიანი.

სრულკავშირიანი ტოპოლოგიის ქსელი გულისხმობს, რომ თითოეული კომპიუტერი დაკავშირებულია ქსელის ყველა დანარჩენ კომპიუტერთან. აღნიშნული ქსელის მაგალითს წარმოადგენს ფიჭური ტოპოლოგია.



სურ.1. ფიჭური ტოპოლოგიის ქსელი

ფიჭური ტოპოლოგიის ქსელების უპირატესობას წარმოადგენს მაღალი საიმედოობა, რომელიც განპირობებულია ფიზიკური კავშირების სიჭარბით და დიაგნოსტიკის სიმარტივე.

უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს:

- ქსელის თითოეულ კომპიუტერზე დიდი რაოდენობის საკომუნიკაციო პორტების არსებობის აუცილებლობა დანარჩენ კომპიუტერებთან მისაერთებლად;
- კავშირის ცალკეული ელექტრული ხაზების გამოყოფის აუცილებლობა კომპიუტერების ყოველი წყვილისათვის;
- ფიჭური ქსელის მაღალი ღირებულება;
- რეკონფიგურაციისა (კვანძების დამატება ან დაშორება) და ინსტალაციის სირთულე.

აღსანიშნავია, რომ არასრულკავშირიანი სტრუქტურა გააჩნიათ უმეტეს შემთხვევაში ქსელურ ტოპოლოგიებს, რომლის დროსაც ურთიერთობა ორ კომპიუტერს შორის ხდება ქსელის სხვა კვანძების საშუალებით. ასეთი ტოპოლოგია შეიძლება იყოს რამოდენიმე: სალტისებრი (მაგისტრალური), ვარსკვლავისებრი, რგოლური (წრიული) და შერეული. აქედან პირველი სამი წარმოადგენს საბაზო ტოპოლოგიებს.

სალტისებრი ტოპოლოგიის შემთხვევაში კავშირი ორ ნებისმიერ კომპიუტერს შორის მყარდება ერთი საერთო მაგისტრალური ხაზით. მონაცემები გადაცემული ნებისმიერი სადგურიდან, ერთდროულად ხდება მისაწვდომი ყველა სხვა კომპიუტერებისთვის, რომლებიც მიერთებულია მონაცემთა გადაცემის ამავე გარემოზე. გადაცემულ მონაცემებს მიიღებს მხოლოდ ის კომპიუტერი, რომლის მისამართი კოდირებული შეტყობინებით, დაემთხვევა მიმღების მისამართს.

დროის ყოველ მომენტში მხოლოდ ერთი კომპიუტერიდანაა შესაძლებელი სიგნალის გადაცემა, ხოლო სხვა კომპიუტერები კი ელოდებიან თავიაანთ რიგს.

შესაბამისად სალტისებრი ტოპოლოგიის ქსელის გამტარუნარიანობა დაბალია და შეზღუდულია არა მხოლოდ კაბელის მახასიათებლებით, არამედ ქსელის ლოგიკური სტრუქტურითაც.



სურ. 2. ქსელი სალტისებრი ტოპოლოგიით

სალტისებრი ტოპოლოგიის უპირატესობაა დაბალი ღირებულება და გაფართოების სიმარტივე, უარყოფით მხარეს კი წარმოადგენს დაბალი მწარმოებლურობა, დაბალი საიმედოობა და ასევე კაბელის ან განმაცალკევებლების ნებისმიერი დეფექტის შემთხვევაში ქსელის გამოსვლა მწყობრიდან.

სალტისებრი ტოპოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ ქსელში მცირე რაოდენობის კვანძებისა და მათ შორის ურთიერთქმედების დაბალი ხარისხის შემთხვევაში. ამ ტიპის ქსელს მიეკუთვნება Eternet და Arcnet ქსელები.

ვარსკვლავისებრი ტოპოლოგიის ქსელებში არსებობს ცენტრალური საერთო მოწყობილობა - კონცენტრატორი (ჰაბი) , რომლიდანაც გამოდიან მონაცემთა გადაცემის ხაზები თითოეულ დანარჩენ კვანძებამდე. კონცენტრატორის საშუალებით ხორციელდება მონაცემების გადაცემა ერთ ან ყველა დანარჩენ კომპიუტერზე ერთდროულად.

ვარსკვლავისებრი ტოპოლოგიის ქსელებს ახასიათებს შემდეგი უპირატესობანი:

– მაღალი გამტარუნარიანობა სალტისებრ ტოპოლოგიასთან შედარებით;

– ერთი ან რამოდენიმე კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა გავლენას არ ახდენს ქსელის დანარჩენი ნაწილის მუშაობაზე;

– ახალი კვანძების ჩართვის სიმარტივე და ქსელში ერთდროულად სხვადასხვა ტიპის კაბელების გამოყენების შესაძლებლობა;

– კომუტატორის გამოყენების შესაძლებლობა ჰაბის ნაცვლად;

– ქვექსელების ადვილად შექმნის შესაძლებლობა დამატებითი კონცენტრატორის გამოყენებითა და მათი გაერთიანებით.



სურ. 3. ვარსკვლავისებრი ტოპოლოგიის ქსელი

ვარსკვლავისებრი ტოპოლოგიის ნაკლოვანებანი:

– ქსელის კვანძების გაზრდის შესაძლებლობა შეზღუდულია კონცენტრატორის პორტების რაოდენობით;

– ქსელის მუშაობა დამოკიდებულია კონცენტრატორის მდგომარეობაზე;

– კაბელების ხარჯი დიდია;

– მაღალი ღირებულება სალტისებრ ტოპოლოგიასთან შედარებით;

– აღნიშნული ტოპოლოგიის გამოყენება მიზანშეწონილია ერთ შენობა- ნაგებობაში ქსელის შესაქმნელად. ქსელის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია კონცენტრატორის შერჩევა. ასეთი ქსელის მაგალითია Arcnet.

რგოლური (წრიული) ტოპოლოგიის პირობებში ქსელის კვანძები დაკავშირებულია მონაცემთა წრიული გადაცემის ხაზით - საერთო წრიული ქსელური კაბელით, რომლითაც ხორციელდება მონაცემების გადაცემა რგოლში მხოლოდ ერთი მიმართულებით და შესაბამისად ხელმისაწვდომი ხდებიან რიგრიგობით ქსელის ყველა კვანძისათვის.

ყოველი კომპიუტერი მონაცემების მიღებისას ადარებს გზავნილის მისამართს თავის მისამართთან და დამთხვევისას იწყებს მონაცემების კოპირებას შიდა ბუფერში. მონაცემები აგრძელებენ მოძრაობას წრიულად ქსელში და უბრუნდება გამგზავნს. როდესაც, კომპიუტერი აღმოაჩენს, რომ მისი და გზავნილის მისამართები არ ემთხვევა ერთმანეთს იგი ახდენს მონაცემების გადამისამართებას მომდევნო კომპიუტერზე წრეში.

რგოლური ტოპოლოგიის ყველაზე გავრცელებული და ცნობილი ტექნოლოგებია: Token Ring და FDDI.



სურ.4. ქსელი რგოლური ტოპოლოგიით

რგოლური ტოპოლოგიის დადებითი მხარეებია:

– მონაცემების გადაცემისას სიგნალი არ იკარგება მისი რეტრანსლიაციის გამო;
– კოლიზიების არ წარმოშობა;
– მაღალი სწრაფმოქმედება და საიმედოობა.

რგოლური ტოპოლოგიის ქსელების ნაკლოვანებაა ის, რომ ერთი კვანძის გაფუჭება იწვევს მთლიანად ქსელის მწყობრიდან გამოსვლას.

რგოლური ტოპოლოგია მიზანშეწონილია საიმედო ან/და მაღალსისწრაფიანი ქსელის შესაქმნელად, რომლის მოსალოდნელი შეცვლის ალბათობა ძალიან მცირეა.

დღეისათვის ფართოდ გამოიყენება საბაზო ტოპოლოგიების საფუძველზე შექმნილი კომბინირებული ტოპოლოგიები. შერეული ტოპოლოგიის ქსელებს მიეკუთვნება დიდი ქსელების უმრავლესობა, რომლებშიც შეიძლება გამოიყოს საბაზო ტიპიური ტოპოლოგიის ფრაგმენტები. შერეული ტოპოლოგიის ქსელების აგების აუცილებლობა განპირობებულია, როგორც წესი, ქსელების გაზრდისა და მათი მოდერნიზაციის აუცილებლობით.

ტოპოლოგიის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ თითოეულისათვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მხარეები, შევაფასოთ და ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის გამოვიყენოთ ინდივიდუალური მიდგომა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგნობრივი სფეროს და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს არა რომელიმე კლასიკური ტოპოლოგიის ქსელის, არამედ შერეული ტოპოლოგიის ქსელის შერჩევა და ექსპლუატაცია. ეს შესაძლებელს გახდის საჭიროების შემთხვევაში გაფართოვდეს და მოხდეს ქსელის მოდერნიზაცია. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მორალურად მოძველებული ქსელები ერთდროულად შეიცვალოს, ვინაიდან თანდათანობით მოდერნიზაციაზე გაწეული დანახარჯები მნიშვნელოვნად დიდია მიღწეულ შედეგთან შედარებით.

ლიტერატურა:

1. ეკონომიკური ინფორმატიკა, დამხმარე სახელმძღვანელო მესამე გამოცემა, პროფ. მ. მაღრაძის რედ., თბ., თსუ, 2008;
2. Компьютерние сети. Учебный курс. М. 1999;
3. Информационные сети и системы. Якубайтис Э.А., М., Фин. и стат., 1996;
4. ДЖ. Лодон, К. Лодон. Управление информационными системами. 7-е издание. Питер, 2005;
5. В. Г. Олифер, Н. А. Олифер, Компьютерные сети. 3-е издание. Питер, 2008.

კომპიუტერის გამოყენების დადებითი და უარყოფითი ასპექტები

ცისნამი მელაძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თამარ ნასყიდაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

კომპიუტერი ინგლისური სიტყვაა და გამომთვლელს ნიშნავს. ეს არის ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, რომლის ძირითადი დანიშნულება ინფორმაციის სწრაფად დამუშავებაა; კომპიუტერი, ისევე როგორც ნებისმიერი მანქანა, ადამიანის ნება-სურვილს, ბრძანებას ემორჩილება. კერძოდ, იგი მუშაობს ადამიანის მიერ წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით. დამუშავებული ინფორმაცია მრავალი სახის შეიძლება იყოს — რიცხვები, ტექსტი, გამოსახულება ან ხმა.

კომპიუტერის დანიშნულება საკმაოდ მრავალმხრივი შეიძლება იყოს. ფაქტობრივად, ესენია უნივერსალური ინფორმაციის გადამმუშავებელი მანქანები. თანამედროვე ელექტრონულ კომპიუტერებს ინფორმაციის გადამუშავების უზარმაზარი სისწრაფე და შესაძლებლობები აქვს ადრეულ ნიმუშებთან შედარებით, და ისინი ყოველწლიურად უფრო და უფრო ძლიერი ხდება.

კომპიუტერი რამდენიმენაირი ფიზიკური ფორმით არსებობს. საწყისი კომპიუტერები დიდი ოთახის ზომის იყო და ასეთი კომპიუტერები დღესაც არსებობს სპეციალიზებული სამეცნიერო გამოთვლებისთვის; მათ სუპერკომპიუტერებს უწოდებენ. მცირე კომპიუტერებს პირადი გამოყენებისთვის პერსონალურ კომპიუტერებს უწოდებენ, ხოლო მათ პორტაბელურ ექვივალენტს კი ნოუთბუქ კომპიუტერებს (ან ლეპტოპს პოპულარულ ხმარებაში); ეს კომპიუტერები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გვხვდება, როგორც ინფორმაციის დამუშავებისა და კომუნიკაციის საშუალება და, როგორც წესი, არა-ექსპერტთა უმრავლესობა სწორედ მათ უწოდებს „კომპიუტერს“. თუმცა, კომპიუტერის ყველაზე გავრცელებული ფორმა დღეისთვის ე.წ. ჩაშენებული კომპიუტერია — მცირე ზომის კომპიუტერები, რომელთა მიზანი სხვა რაიმე ხელსაწყოს მართვა ან კონტროლია. თვითმფრინავებიდან დაწყებული მოყვარულთა ციფრული ფოტოკამერით დამთავრებული ყველა ამგვარი ხელსაწყო მათში ჩაშენებული კომპიუტერით იმართება.

კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა ჯანმრთელობისათვის სახიფათოა, რაშიც ალბათ ყველა დაგვეთანხმება, თუმცა საქმე უფრო სერიოზულად არის, ვიდრე ჩანს, რადგან კომპიუტერის ეკრანს გამოსხივება აქვს, რომელიც მხედველობის სისტემაზე უარყოფითად მოქმედებს. თანაც კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ადამიანი გადაღლილობას გრძნობს. კომპიუტერსა და მის ზეგავლენასთან დაკავშირებით მრავალი მითია შექმნილი. ოფთალმოლოგ ნანა ქებაძის თქმით კომპიუტერიზაციის პირველსავე წლებში აშკარა გახდა, რომ კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად ადამიანებს აწუხებთ მხედველობის სისტემის გადაღლილობა. ამ ფაქტორს „მხედველობითი კომპიუტერული სინდრომი“ ეწოდება. კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობისას თვალს განტვირთვის საშუალება არ აქვს. ამის გამო იძაბება მხედველობა და იკლებს მისი ქმედუნარიანობა. თვალი ყველაზე დიდ დატვირთვას იღებს როცა ადამიანს კომპიუტერში ინფორმაცია შეჰყავს. ასეთ შემთხვევაში პიროვნება იძულებულია ხშირად გადაიტანოს მზერა ეკრანიდან ტექსტზე, ტექსტიდან კლავიატურაზე, რომელიც სხვადასხვა მანძილითაა ერთმანეთთან დაშორებული და სხვადასხვა განათების ქვეშ იმყოფება. ამიტომ საჭიროა კომპიუტერთან მუშაობისას პერიოდულად მოშორდნენ მონიტორს, მზერა სხვა რამეზე გადაიტანონ, თვალი დაასვენონ და ხელახლა განაგრძონ მუშაობა. ექიმ-ფსიქოთერაპევტი ეკა ზოიძე აღნიშნავს: დღეს კომპიუტერების შესახებ უამრავი მითი არსებობს, ამიტომაც მცდარია მოსაზრება, თითქოს ადამიანის ჯანმრთელობაზე კომპიუტერი ყოველმხრივ მოქმედებს, რაც რეალობას არ შეესაბამება. კომპიუტერი გარკვეულ წილად მავნებელია ჯანმრთელობისათვის, მაგრამ არა ისე, როგორც ზოგიერთი სპეციალისტი ირწმუნება. შექმნილი მითების საფუძველზე მოკლედ განვიხილოთ კომპიუტერის დადებითი და უარყოფითი მხარეები: კომპიუტერი საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, მართალია მის მონიტორს აქვს გამოსხივება, მაგრამ არა თხევად-კრისტალურს, ბრტყელ მონიტორებსა და ნოუთბუქებს. რაც შეეხება ჩვეულებრივ მონიტორებს, ისინი ელექტრომაგნიტური, დაბალი სიხშირის გამოსხივების წყაროდ ითვლება. თუმცა მათი გამოსხივება არ აღემატება ტელევიზორის გამოსხივებას. მონიტორი ასევე ულტრაიისფერი გამოსხივების წყაროცაა. თუმცა მისი რენტგენული გამოსხივების დონე ბევრად ნაკლებია, ვიდრე ბუნებრივი რადიაციული პოლო. მონიტორისგან მიღებული ულტრაიისფერი სხივების რაოდენობა ჩამონათვალში მისაღებიც არაა ელექტრო ნატურებთან შედარებით. კომპიუტერთან ხანგძლივ მუშაობას შედარებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია მხედველობისთვის, თუმცა არა იმაზე მეტი, ვიდრე ტელევიზორს. კიდევ ერთი შესაძლებელი ზიანი რაც კომპიუტერმა შეიძლება მოუტანოს ადამიანს ცხოვრების უმოძრაო წესია. დაძაბული ინტელექტუალური მუშაობის დროს ტვინი ხშირად ითხოვს ტკბილეულს. თუ კომპიუტერთან მუშაობისას მას ხშირად იღებს, დროთა განმავლობაში ადამიანს ჭარბ წონასთან მოუწევს ბრძოლა, რაც მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. კომპიუტერი განსაკუთრებით მავნეა ბავშვებისათვის, ამიტომ ბავშვი რაც უფრო გვიან გაეცნობა მას, უკეთესია მისთვის. კომპიუტერის გამო ბავშვებს პრობლემა ექმნებათ მშობლებთან. საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როცა მშობელს არ სურს დიდი დრო გაატაროს კომპიუტერთან. ყოველივე ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ყველა პირველკლასელს უნდა ჰქონდეს კომპიუტერი. ჩემი აზრით, არ არის მიზანშეწონილი, როდესაც ბავშვი პირველივე კლასიდან შორდება წიგნს და ეჩვევა კომპიუტერს. ეს პირველ რიგში მის ჯანმრთელობაზე აისახება და ცხოვრების განმავლობაში ამის გამო უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს. კომპიუტერის კიდევ ერთი თვისებაა კომპიუტერული თამაშები. მართალია კომპიუტერი ყველაზე ნაკლებად წარმოადგენს სათამაშო საშუალებას, მაგრამ იგი ადამიანში სისასტიკეს აღვიძებს. თუმცა ბავშვი რაღაცით უნდა გაერთოს, რადგან ყველა ბავშვს აქვს თამაშის მოთხოვნილება. კომპიუტერული თამაშების ირგვლივ აჟიოტაჟია ატეხილი, ცდილობენ გაარკვიონ

რომელი თამაშებია გოგონებისათვის და რომელი ბიჭებისათვის. ამიტომ, მკაცრი ვერდიქტი გამოაქვთ, ესა თუ ის თამაში ნარკოტიკია, ის იმდენად ითრევს ბავშვს, რომ იგი კარგავს უნარს ნორმალურად იცხოვროს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია თამაშსა და ბავშვის პიროვნებაზე. თუმცა კომპიუტერულ თამაშებთან დაკავშირებით არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ისინი გარკვეული დოზით ნარკოტიკია. კომპიუტერიც ისეთივე ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევს, როგორსაც ნარკოტიკული საშუალებები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კომპიუტერული თამაშები არ იწვევს ფიზიკურ დამოკიდებულებას. ამიტომ აუცილებელია, რომ მშობელმა გააკონტროლოს, რომ ბავშვი ზედმეტად არ გაერთოს კომპიუტერული თამაშებით, მიუხედავად იმისა რომ ბავშვებს პირველი კლასიდანვე ეძლევათ საშუალება კომპიუტერთან მუშაობისა. ახლა უკვე შემოვიდა განათლების სისტემაში ახალი პროგრამა, რის საშუალებითაც მომავალ აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს უწევთ ახლა უკვე კომპიუტერთან ჩააბარონ გამოცდები. ეს პროგრამა ახალია და რისკთან არ არის დაკავშირებული. საატესტატო გამოცდების ჩაბარება ხდება კომპიუტერის საშუალებით, რაც ბევრად აადვილებს ორგანიზაციულ საკითხებს. კომპიუტერის საშუალებით შეგვიძლია ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება, რაც შემდეგ დაგვეხმარება საჭირო დოკუმენტის შედგენისას. კომპიუტერის საშუალებით ადვილად ვპოულობთ ამა თუ იმ საკითხის შესახებ ინფორმაციას. ეს არის კომპიუტერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე.

ადამიანს შეუძლია ჭკვიანურად გამოიყენოს ინტერნეტი, მოიძიოს ინფორმაცია სასურველ თემაზე, თუ სურვილი ექნება შეიძინოს ახალი მეგობრები, მოუსმინოს მუსიკას, გაიგოს ახალი ამბები, გააკეთოს ბლოგი, ან შექმნას საიტი... და კიდევ ბევრი საინტერესო რამის გაკეთება შეუძლია ინტერნეტ (გონიერ) მომხმარებელს.

ლიტერატურა:

1. http://goriskola5.blogspot.com/
2. http://www.strategist.ge/forum/index.php?showtopic=694
3. http://ka.wikipedia.org/wiki/კომპიუტერი
4. http://www.medportal.ge/pg2.php?Id=2474&act=newsarch&catId=49&act2=full

გარემოს დაცვა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები

ნინო სომხიშვილი, შორენა ბუჩუკური

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ზურაბ ტიელიძე,** სრული პროფესორი

გარემოს დაცვის პრობლემა ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, სწორედ ამიტომ, წარმოდგენილ რეფერატულ ნაშრომში გადავწყვიტეთ სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებისა და ინფორმაციის სხვა საშუალებებზე დაყრდნობით გამოგვეკვლია საქართველოს გეოგრაფიული გარემოს თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ზოგადი საკითხები.

გეოგრაფიული გარემოს დაცვის საკითხების კვლევისას პირველ რიგში შევეხეთ ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს და წიაღისეულის რესურსების გამოყენებას და დაცვის მდგომარეობას.

საქართველოში ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დაცვას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ თამარ მეფის 1189 წლის სიგელში მოხსენიებულია „ტყისმცველნი", ხოლო კიდევ უფრო ადრინდელ სიგელში (1078) „ტყისმცველთუხუცესნი". წყლის, ტყის და საძოვრების დაცვის საკითხები გათვალისწინებული იყო ვახტანგ მეფის კანონთა წიგნშიც. (ქსე 1981). ამჯამად, ქვეყნის გარემოს დაცვა უზრუნველყოფილია მოქმედი კონსტიტუციით, რომლის საფუძველზე ჩვენმა ქვეყანამ იკისრა ვალდებულება დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი ეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას, ახლანდელი და მომავალი თაობის ინტერესების გათვალისწინებით. სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნად იქცა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი „გარემოს დაცვის შესახებ", რომელშიც გათვალისწინებულია ჯარიმები და სისხლის სამართლის სხვადასხვა ღონისძიებები გარემოს კომპონენტების დამზიანებელთა

მიმართ. ამ მიზნით შეიქმნა ეკოლოგიური პოლიცია. თუმცა გარემოს დაცვა, როგორც რაციონალური ბუნებათსარგებლობის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, თითოეული მოქალაქის პატრიოტული ვალიცაა. ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვა ითვალისწინებს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელიც მიმართულია მისი კომპონენტების აღდგენის, დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და კვლავწარმოებისაკენ. ამ მიზნით, პირველ რიგში გასათვალისწინებელია კომპეტენტური სამეცნიერო–კვლევითი ორგანიზაციებისა და სპეციალისტების მიერ დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც ხშირად უგულებელყოფილია, რასაც ნეგატიური, ზოგჯერ კი კატასტროფული შედეგები მოჰყვება ხოლმე. .ასე, მაგ.: მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობამ გაზარდა მიმდინარე ტერიტორიების დატბორვის რისკი და ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება გამოიწვია, ტექნოლოგიური პროცესების არასწორ მართვას კი ქალაქების ზესტაფონის, რუსთავის, ქუთაისის, მადნეულის საწარმოთა მიერ მავნე ნივთიერებების ჭარბი გამოყოფა და გარემოს გაბინძურება მოყვა. ხშირია შემთხვევები, როცა შავი ზღვის აკვატორია და საქართველოს მდინარეები საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ბინძურდება. როგორც აღვნიშნეთ, გარემოს დაცვა მისი შემადგენელი კომპონენტების – ჰაერის, მიწის, წყლის, წიაღისეულის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს დაცვასაც გულისხმობს, რაც განმტკიცებულია საკანონმდებლო აქტებით.

ჰაერის ძირითადი გამაჭუჭყიანებელი წყაროა სამრეწველო საწარმოები და სატრანსპორტო საშუალებები. საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 22 ივნისს მიღებულია კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ", რომლის თანახმადაც აუცილებელია სპეციალური სამსახურის მიერ ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმების წინასწარ დაფიქსირება.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და ამის გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მიწის რესურსები დაცვა. საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 28 მაისს მიღებულ იქნა კანონი "მიწის რეგისტრაციის და პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ", რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სარეკულტივაციო, სამელიორაციო და სხვა სახის სამუშაოები. რთული რელიეფური პირობების გამო, საქართველოს ნიადაგების მნიშვნელოვანი ნაწილი ეროზიის შედეგად მწყობრიდან გამოდის: კერძოდ, დაუშვებელია ერთწლიანი კულტურების თესვა ფერდობებზე, რომელთა დაქანება 15 გრადუსს აღემატება. ეროზია განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ციცაბო და უტყეო ფერდობებზე, ეროზიას კი მნიშვნელოვნად ამცირებს ფერდობების გატყიანება.

გარემოს დაცვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა წყლისდაცვა გაჭუჭყიანების, დანაგვიანების და დაშრობებისაგან. წყალი ჩვენს ქვეყანაში დაცულია ნორმატიული აქტებით – 1997 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „წყლისშესახებ", რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაცვის ობიექტებია მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, მინერალურ-სამკურნალო ჩვეულებრივი სასმელი წყლები. განსაკუთრებული დაცვის საგანია შავი ზღვა. ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების დაცვის მიზნით საჭიროა კონტროლი, რათა სამრეწველო საწარმოებმა მდინარეებსა და წყალსაცავებში გაუწმენდელი წყლები არ ჩაუშვან, არადა საქართველოს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გააჩნია ცენტრალიზებული კანალიზაცია. მცენარეული საფარი გეოგრაფიული გარემოს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მის დაცვაზე დიდადაა დამოკიდებული ბუნების სხვა კომპონენტების – ნიადაგის, წყლის, ჰაერის ცხოველთა სამყაროს აღდგენა–შენარჩუნება. მათი დაცვის მიზნით საქართველოს პარლამეტმა 1996 წლის 16 აპრილს მიიღო კანონი „მავნე ორგანიზმებისგან მცენარეთა დაცვის შესახებ". ამ უკანასკნელ ათლწლეულში განსაკუთრებით აქტუალურია ტყის რესურსების დაცვისა და აღდგენის საკითხი, როგორც ცნობილია, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ულმობლად გაიჩეხა და განადგურდა უნიკალური ტყის მასივი, მისი დაცვის მიზნით საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 25 ივნიის მიირო კანონი საქართველოს ტერიტორიაზე „ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ", რომლის თანახმადაც, აკრძალულია მთის ტყის პირწმინდად ჭრა, მათი ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი და კლიმატის მარეგულირებელი ფუნქციების შენარჩუნების მიზნით.

საქართველოს ტყე-ველი მდიდარია სამკურნალო და სხვა დანიშნულების მცენარეთა სახეობით, რომელთა გარკვეული ნაწილი გადაშენებისა და გადაგვარების პირასაა, ამიტომაც საქართველოს მცენარეულობის უნიკალური ფონდი განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვს.

ცხოველთა სამყაროს დაცვა ნადირ-ფრინველთა გამრავლებას და მათ რაციონალურ გამოყენებას გულისხმობს. კანონით აკრძალულია ნადირობა ცხოველთა იმ სახეობაზე, რომლებიც გადაშენების პირასაა. კერძოდ არჩვზე, ნიამორზე, ჯიხვზე, თახვზე, ზოლიან აფთარზე და სხვა.

1982 წელს გამოცემულ "საქართველოს წითელ წიგნში" ხერხემლიან ცხოველთა 65 სახეობა იყო შეტანილი. ახლა კი, ამ სახეობის რიცხვმა 82–ს მიაღწია. ე. ი. 15 წელიწადში გადაშენების საშიშროების პირამდე მისულ ცხოველთა რიცხვი 20-ით გაიზარდა.

გარემოს დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და აპრობირებული ფორმაა, ეროვნული პარკების, ნაკრძალების და აღკვეთილების შექმნა. ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას არსებითად გააუმჯობესებს პარლამენტის მიერ 1996 წელს მიღებული კანონი "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ", რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია IUCN -ის მიერ შემუშავებული დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კატეგორიების (ნაკრძალი, ეროვნული პარკი, აღკვეთილი, ბიოსფერული რეზერვატი, ჭარბტენიანი ტერიტორია და სხვა) საქართველოში ადაპტირება.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტმა WWF-The Planet Campaign-თან დაკავშირებით გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველო მზადაა დედამიწას "საჩუქრად უძღვნას" ჩვენი ტერიტორიის 1/5 –ზე დაკანონებული ტერიტორიები.

1995 წელს დაფუძვნდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (68000 ჰა) და ამასთან დაკავშირებით, მოხდა ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის აღნიშნული პარკის საზღვრებსა და სტრუქტურაში ინტეგრირება.

ეროვნული პარკის ძირითადი ფუნქციაა ველური ბუნების დაცვა და მასში აკრძალულია ისეთი საქმიანობა, რაც ზიანს მიაყენებს გარემოს და საერთოდ, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევას. სანაკრძალო მეურნეობის განვითარებას საქართველოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. კავკასიაში ერთ-ერთი პირველი დაცული ტერიტორიის სტატუსი ჯერ კიდევ 1912 წელს ლაგოდეხის ნაკრძალს მიენიჭა.

ამჟამად საქართველოში 15 ნაკრძალია, რომელთა საერთო ფართობი 169 000 ჰა-ს შეადგენს. ნაკრძალების ძირითადი ფუნქციაა განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული-ესთეთიკური ღირებულების მქონე ტიპიური, ეტანოლური ლანდშაპტების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, გეოლოგიური წარმონაქმნების დაცვა და შენარჩუნება.

ბუნების დაცვა: ბუნების დაცვა გულისხმობს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია გარემოს აღდგენის, დაცვის, რაციონალური გამოყენების გამოყენებისა და კვლავწარმოებისკენ.

სახელმწიფო იმუშავებს კანონებს, რითაც იგი განსაზღვრავს ქვეყნის რაციონალურ ბუნებათსარგებლობას, 1996 წლის 7 მარტს საქართველოში ხელმოწერილი იქნა კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ, რომლის მიხედვით ქვეყნის დაცულ ტერიტორიებს მიეკუთვნება: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

1996 წლის 15 ოქტომბერს საქართველოში მიღებული იქნა კანონი გარემოს დაცვითი ნებართვებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია ბუნებრივი რესურსების დაცვა, ყველა სახის საქმიანობის კონტროლი, ბუნების კომპონენტების დაცვა და სხვა.

საქართველოს წითელი წიგნი: საქართველოს "წითელ წიგნში" თავმოყრილია ქვეყნის მცენარეული და ცხოველური სამყაროს ისეთი სახეობები, რომლებიც უკვე იშვიათობას წარმოადგენს, ისინი დაღუპვა-მოსპობის პირას არიან მისული და დაცვის განსაკუთრებულ ღონისძიებების გატარებას მოითხოვენ. მათი დაცვის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საწარმოო ძალების დღევანდელი განვითარება-განლაგების პირობებში, როდესაც სამრეწველო ნარჩენები თუ სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სხვადასხვა ქიმიური ნაერთები აჭუჭყიანებენ წყალსაცავებს, ნიადაგს თუ ატმოსფერულ ჰაერს, რაც გავლენას ახდენს ცოცხალი ორგანიზმების სასიცოცხლო პირობებზე.

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან დიდი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ავტოტრანსპორტი ასევე სხვადასხვა საწარმოები.

ბუნებრივ გარემოზე ადამიანის უარყოფითი გავლენა პირველ რიგში იწვევს ეკოლოგიურ დარღვევას. შემდეგ მას მოსდევს ეკოლოგიური კრიზისი და გადადის ეკოლოგიურ კატასტროფაში (ცოცხალი ორგანიზმებისთვის საარსებო საშვალების მოსპობა)

ეს პროცესი რომ არ მოხდეს, ამისთვის მთელი მსოფლიო იღწვის ანუ გარემოს დაცვა ეკოლოგუირი პრობლემა ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა და გულისხმობს ატმოსფერული ჰაერის, წყლის რესურსების დაცვას გაბინძურებისგან, ნიადაგური რესურსების დაცვას, დაცვას წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიული პროცესებისგან.

გარემოს დაცვაში იგულისხმება ასევე მცენარეული და ცხოველური რესურსების დაცვა, მათი შენარჩუნება.

არსებობს საქართველოს კანონი ბუნების დაცვის შესახებ, რომლის ნორმების დაცვა თითოეული ჩვენი მოქალაქის მოვალეობაა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს გეოგრაფია, მ. ალფენიძისა და სხვათა რედაქციით, თბ., 1999;
2. საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ–ეკონომიკური გეოგრაფია, ზ. ტატაშიძისა და სხვათა რედაქციით, 2003;
3. საქართველოს გეოგრაფია, ნ. ბერუჩაშვილის რედაქციით, თბ., 2000;
4. ი. საუშკინი, ეკონომიკური გეოგრაფიის შესავალი, თბ., 1978;
5. დედამიწა – ჩვენი პლანეტა, ზ. ტატაშიძისა და სხვათა რედაქციით, თბ., 2003;

ინტერნეტ–რესურსები:

http://moe.gov.ge/
http://www.nacres.org/
http://iczm.ge/
www.climatechange.telenet.ge
http://wwf.panda.org/
http://ka.wikipedia.org/wiki

შესანიშნავი რიცხვები

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ მუმლაძე,** სრული პროფესორი

მათემატიკა არის მეცნიერება რეალური სამყაროს რაოდენობრივ თანაფარდობათა და სივრცითი ფორმების შესახებ. ის ეფუძნება აბსტრაგირებას, დედუქციურ მსჯელობას და სიმბოლურ ლოგიკას. ზოგჯერ მათემატიკას აღწერენ როგორც მეცნიერებას რიცხვების, გეომეტრიული ფიგურების და გარდაქმნების შესახებ. უფრო ფორმალური თვალთახედვით მათემატიკა სწავლობს აქსიომატურად განმარტებულ აბსტრაქტულ მათემატიკურ სტრუქტურებს. ტერმინი მათემატიკა ბერძნული წარმოშობისაა, μάθημα (máthema) „მეცნიერებას, ცოდნას, სწავლას“ ნიშნავს, ხოლო μαθηματικός (mathematikós) – „სწავლის მოყვარულს“. მათემატიკა ერთ–ერთი უძველესი მეცნიერებაა. მან პირველი აღმავლობა ძველ საბერძნეთსა და ელინისტურ სამყაროში განიცადა. აქ პირველად დაინერგა მისწრაფება „წმინდა ლოგიკური დამტკიცებებისკენ“. აქვე გაჩნდა პირველი აქსიომატიზაცია, კერძოდ ევკლიდეს გეომეტრია. შუა საუკუნეებში მათემატიკა არსებობას განაგრძობდა ადრეული ჰუმანიზმის უნივერსიტეტებსა და არაბულ სამყაროში. ერთის მხრივ მათემატიკა იქმნება წმინდა თეორიული ინტერესების გამო. მეორეს მხრივ კი მათემატიკური კვლევა სათავეს იღებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან, გამოიყენება ინჟინერიაში, მედიცინაში და ეკონომიკაში. საქართველოში მათემატიკური კვლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნისთანავე (1918წელი) დაიწყო. მათემატიკური მუდმივა განსაკუთრებული მნიშვნელობის რიცხვია (ხშირად ნამდვილი რიცხვი), რომელიც მათემატიკის რომელიმე დარგში იჩენს თავს. ფიზიკური მუდმივებისგან განსხვავებით, მათემატიკურ მუდმივას არ გააჩნია საზომი ერთეული. ზოგიერთი მათემატიკური მუდმივა — მაგალითად, e და π — მათემატიკის მრავალ დარგში იჩენს თავს.

π რიცხვი მეტწილად, ბიბლიიდან აღებული მიახლოებითი მნიშვნელობით _ 3–ით მოიცემოდა, თუმცა ზუსტი გამოთვლებისას 31/8 რიცხვით წარმოადგენდნენ, ან π≈3,128. რაც აგრეთვე კარგ მიახლოებას წარმოადგენს.

ძველ ინდოეთში ალბათ, ძველი ეგვიპტის გავლენით, გავრცელებული იყო წინადადების წარმოდგენა ერთის ტოლი მრიცხველის მქონე წილადების ჯამის სახით. 2500 წლის წინანდელ ერთ–ერთ ფორმულას დღეს შეიძლება ასეთი სახე მივცეთ: √2≈1+1/3+1/(3×4)-1/(3×4×34), ანუ √2≈1,41421576.

იმდროინდელია ასეთი ფორმულაც

π≈4×(1-1/8+1/(8×29)+1/(8×29×6)+1/(8×29×6×8))2 ანუ π≈3,098.

პი რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობა ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იცოდნენ. ქურუმ ახმესის პაპირუსი (მიახლოებით 1700 წ. ძვ. წ. ა) გვამცნობს $\pi\approx(16/9)^2\approx3,16$. დიდი ბერძენი მათემატიკოსი ფიზიკოსი და მექანიკოსი არქიმედე თავის თხზულებაში „წრეწირის გაზომვის შესახებ“ იძლევა უფრო დაზუსტებულ ფორმულას:

3 10/71<π<3 1/7, (π≈3,14)

წრეწირის სიგრძის მის დიამეტრთან შეფარდების π ასოთი აღნიშვნა ლეონარდ ეილერის მიერაა შემოღებული _ ბერძნულად სიტყვა „წრეწირის“ პირველი ასოს მიხედვით. ამ რიცხვის გამოყენებით იანგარიშება წრის ფართობი. ეს რიცხვი ასევე დაკავშირებულია ეგრეთწოდებული წრის კვადრატურის ამოცანასთან, რომელიც განიხილებოდა ჯერ კიდევ ანტიკურ დროში და რომელიც გულისხმობს ისეთი კვადრატის აგების ამოცანას, ფარგლის და სახაზავის საშუალებით რომლის ფართობიც მოცემული წრის ფართობის ტოლია. ასეთი კვადრატის გვერდი ტოლი უნდა იყოს $r\sqrt{\pi}$ და ამოცანა დაიყვანება $\sqrt{\pi}$ სიგრძის მონაკვეთის აგებაზე ფარგლის და სახაზავის საშუალებით, რაც შეუძლებელია, π რიცხვის ტრანსცედენტურობის გამო. π არის ნამდვილი ტრანსცენდენტური (და ამიტომ ირაციონალური) რიცხვი, რომელიც დაახლოებით 3,14159–ს უდრის. π ირაციონალური რიცხვია, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ათწილადურ წარმოდგენაში რიცხვები არასოდეს მეორდება.

E რიცხვსაც უაღრესად მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს მათემატიკაში. მას ეილერის ან ნეპერის რიცხვი ეწოდება, რადგან e–ს აღმოჩენასა და შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვით შოტლანდიელ მათემატიკოსს ნეპერს (1550–1617) და დიდ მათემატიკოსს ეილერს. რიცხვი e ირაციონალური და ტრასცენდენტურია (ლინდემან–ვაიერშტრასის თეორემის პირდაპირი შედეგი). ისაა პირველი რიცხვი, რომლის ტრანსცენდენტურობა დაამტკიცეს და უშუალოდ ამ მიზნით არ გამოუგონიათ. მისი ტრანსცენდენტურობა შარლ ერმიტმა 1873 წელს დაადგინა. უცნობია, არის თუ არა e რომელიმე ფუძისთვის ნორმალური რიცხვი. ამ რიცხვის მრავალი განსაზღვრება არსებობს: როგორც ნატურალური ლოგარითმის ფუძე (სადაც თავად ნატურალური ლოგარითმი ინტეგრალის მეშვეობითაა განსაზღვრული); როგორც გარკვეული მიმდევრობის ზღვარი; როგორც გარკვეული მწკრივის ჯამი და სხვა.

რიცხვი e არ არის მთელი რიცხვი $2 < e < 3$. ის არის რიცხვი, რომლისკენაც მიისწრაფვის გამოსახულება $\left(1+\frac{1}{n}\right)$, ნატურალური რიცხვი n უსასრულოდ იზრდება ანუ რიცხვი $e = \lim_{n\to\infty}\left(1+\frac{1}{n}\right) = 2.71828\ 18284\ 59045\ 23536\ \ldots.$

მუდმივაზე პირველი მინიშნება ჯონ ნეპერის ნაშრომში ლოგარითმის შესახებ გამოჩნდა. თუმცა თავად ნაშრომში მუდმივა არ იყო მოცემული და ის მხოლოდ ამ რიცხვის მეშვეობით გამოთვლილი ნატურალური ლოგარითმების ცხრილს შეიცავდა. ლეონარდ ეილერმა მუდმივის აღსანიშნავად ასო e–ს გამოყენება 1727 ან 1728 წელს დაიწყო პირველი გამოცემა, რომელიც e–თი აღნიშნულ ამ მუდმივას შეიცავდა, ეილერის „მექანიკა“ იყო. მაჩვენებლიანი ფუნქციის, რომელიც მოიცემა ფორმულით $y=a^x$ (სადაც a>1, ან 0<a<1), გამოყენების შემთხვევები ხშირად $y=e^x$ ფუნქციას უკავშირდება. ამ ფუნქციას ერთი საინტერესო თვისება აქვს. ამ გრაფიკისადმი (0, 1) წერტილში გავლებული მხები x ღერძთან 45 გრადუსიან კუთხეს ადგენს. თუ მიმდევრობა ზრდადია და ზემოდან შემოსაზღვრული, მაშინ მას აქვს ზღვარი, და არსებობს მოცემული (S_n) მიმდევრობის ზღვარი. ეს ზღვარი e ასოთი აღინიშნება და ნეპერის რიცხვი ეწოდება.

$e=\lim_{(n\to\infty)}(S_n)$ _ ეს ტოლობა ასე ჩაიწერება e=1+1/1!+1/2!+1/3!+⋯…..+1/n!+⋯….

e რიცხვი არის $[(1+1/n)^n]$ მიმდევრობის ზღვარიც: $\lim_{(n\to\infty)}(1+1/n)^n$. e რიცხვი მიახლოებით ამ მიმდევრობის წევრების გამოთვლითაც შეიძლება ვიპოვოთ. აღსანისნავია სტირლინგის ფორმულა, რომელშიც რიცხვი e და π გვხვდება.

მათემატიკაში მათემატიკური მუდმივების გარდა სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო რიცხვებიც არსებობს. მაგალითად, როგორებიცაა: მეგობრული, სრულყოფილი, მარტივი, თითქმის მარტივი, ქვაზიმარტივი, ალგებრული, მრავალკუთხა ანუ ფიგურული, ფიბონაჩის, ოქროს კვეთის, პითაგორას, ბერნულის, ეილერის, საკვანძო რიცხვები.

ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსსა და მათემატიკოს პითაგორა სამოსელს (ჩვ.წ–მდე 570– დაახლ. 500 წწ.) ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: ,,ჩემი მეგობარია ის, ვინც არის ჩემი მეორე მე, როგორც რიცხვები 220 და 284''.

პითაგორა ამ რიცხვებს შემდეგი თვისებით აფასებდა: პირველი რიცხვის გამყოფების ჯამი უდრის მეორე რიცხვის და პირიქით. ასეთ რიცხვებს მეგობრული რიცხვები ეწოდება.

284= 1+2+4+5+10+11+20+22+40+44+55+110

220=1+2+4+71+142

არაბმა მათემატიკოსმა იბნ კურამ (826–901), შეიმუშავა წესი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მეგობრული რიცხვების წყვილების პოვნა, მაგრამ იგი დიდხანს უცნობი იყო სხვებისთვის. მეორე არაბმა სწავლულმა იბნ ალ–ბანიმ (1256–1321) დამოუკიდებლად აღმოაჩინა მეგობრული რიცხვების ახალი წყვილი :17296 და 18416. ამ წყვილის მიღება იბნ კურას წესითაც შეიძლება. 1636 წელს პიერ ფერმამ ხელახლა აღმოაჩინა ეს რივხვები. იბნ კურას წესი საშუალებას იძლეოდა, მოგვეძებნა მეგობრული რიცხვების წყვილი, რომელიც 1638 წელს იპოვა გამოჩენილმა ფრანგმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა რენე დეკარტემ (1596–1650); ეს რიცხვებია : 9 363 584 და 9 437 056 დეკარტის შემდეგ ახალი შედეგები მიიღო ლეონარდ ეილერმა. რაც შეეხება ეილერს, მან აღმოაჩინა მათი 59 წყვილი, რომელთა შორის პირველად გამოჩნდა კენტი მეგობრული რიცხვები. მაგალითად, 3*3*7*13*107 და 3*3*3*3*5*11*2699. დღეისთვის ნაპოვნია მეგობრული რიცხვების 1100 წყვილი და გამოკვლევები უკვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მეშვეობით გრძელდება.

ძველი ბერძენი მათემატიკოსები სრულყოფილ რიცხვებს უწოდებდნენ რიცხვებს, რომლებიც ტოლია ყველა საკუთარი გამოყოფის ჯამის. 6–ის გამყოფებია 1,2,3,6 უნდა შევკრიბოთ 6–ზე ნაკლები ყველა გამყოფი 1+2+3=6

28=1+2+4+7+14.

496=1+2+4+8+16+31+62+124+248.

სრულყოფილი რიცხვები მათემატიკოსებისათვის დღემდე გამოცანად რჩება. ყველა ცნობილი სრულყოფილი რიცხვი ლუწია. არსებობს თუ არა ასეთი კენტი რიცხვი , ცნობილი არ არის . ასევე უცნობია სასრულია თუ უსასრულო მათი რაოდენობა. სრულყოფილი რიცხვების შესახებ ზოგიერთი რამ იცოდა ჯერ კიდევ ევკლიდემ. მან დაამტკიცა, რომ, თუ n-ის რომელიმე მნიშვნელობისათვის რიცხვი 2^n–1 მარტივია, მაშინ რიცხვი 2^n-1(2^n -1) სრულყოფილია. ლეონარდ ეილერმა კი დაამტკიცა, რომ ასეთი სახე აქვს ყველა ლუწ სრულყოფილ რიცხვს. ახალი სრულყოფილი რიცხვების ძიებას დღეს ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მეშვეობით აგრძელებენ. ნაპოვნია 30–მდე ასეთი რიცხვი, რომელთაგან უდიდესის, და დღეისათვის ცნობილი უდიდესი სრულყოფილი რიცხვის ჩანაწერი ასი ათასზე (!) მეტი ციფრისაგან შედგება. ლუწი სრულყოფილი რიცხვების ძიებამ, მეცნიერები მიიყვანა მარტივი რიცხვის ძიების ამოცანამდე. ამ საკითხზე მუშაობდა ფრანგი ფიზიკოსი მერსენი (1588–1648). ფრანგი მეცნიერის პატივსაცემად მერსენის რიცხვები ეწოდა 2^n–1 სახის მარტივ რიცხვებს.

მარტივია რიცხვი, რომელიც იყოფა ერთზე და თავისთავზე, მათი რაოდენობა უსასრულოა, ყოველი ნატურალური რიცხვისათვის ადგილი აქვს ტოლობას $p_1^{\alpha_1} p_2^{\alpha_2} \dots p_k^{\alpha_k}$, სადაც $p_i;\ i = 1,2,\dots,k;\ p_i \neq p_j$ მარტივი რიცხვებია, $\alpha_i;\ i = 1,2,\dots,k$ ნატურალური რიცხვები. ბერძენმა მეცნიერმა „ერატოსთენემ“ რომელიც ცხოვრობდა 23 საუკუნის წინ, შეადგინა მარტივ რიცხვთა ცხრილი, ეგრეთწოდებული ერატოსთენეს საცერი. იგი საშუალებას იძლევა ერთმანეთისაგან გავაცალცალკევოთ მარტივი და შედგენილი რიცხვები. მარტივი რიცხვები ის აგურებია, რომელთა მეშვეობითაც, გამრავლების გამოყენებით, შეიძლება ავაშენოთ ყველა დანარჩენი რიცხვი.

არსებობს ქვაზიმარტივი რიცხვები, რომლებსაც არ გააჩნიათ მცირე მარტივი გამყოფები, ანუ n ნატურალური რიცხვი ქვაზიმარტივია, თუ მისი ყველა მარტივი გამყოფი მეტია $n^{\frac{1}{(\ln\ln n)^2}}$ რიცხვზე.

მარტივ რიცხვებთან დაკავშირებით არსებობს კიდევ თითქმის მარტივი რიცხვები, ნატურალური რიცხვები რომელთა სახეა: $n = p_1 p_2 \dots p_k$, სადაც $p_i;\ i = 1,2,\dots,k;\ p_i \neq p_j$ მარტივი რიცხვებია. რიცხვთა თეორიის ზოგიერთი პრობლემა, რომელიც ჯერ არაა გადაჭრილი მარტივი რიცხვებისთვის გადაჭრილია თითქმის მარტივი რიცხვებისთვის.

რიცვთა თეორიის მნიშვნელოვანი ცნებაა ალგებრული რიცხვის ცნება. ალგებრული რიცხვები ისეთი, კომპლექსური რიცხვებია, რომლებიც წარმოადგენენ რაციონალურ კოეფიციენტებიანი $p(x) = a_n x^n + a_{n-1} x^{n-1} + \dots + a_1 x + a_0;\ a_n \neq 0,$ მრავალწევრის ფესვებს. იგი გარკვეული აზრით წარმოადგენს რაციონალური რიცხვის ცნების განზოგადებას. ალგებრულ რიცხვებს დიდი გამოყენება აქვთ რიცხვთა თეორიაში, ალგებრაში, ალგებრულ გეომეტრიაში, დიოფანტეს განტოლებათა თეორიაში, ტრანსცენდენტურ რიცხვთა თეორიაში და სხვა. ალგებრული რიცხვების შესწავლა დაიწყო

მათემატიკოსმა გაუსმა. $a+ib$ სახის კომპლექსურ ალგებრულ რიცხვებს, სადაც a, b რაციონალური რიცხვებია გაუსის რიცხვები ეწოდებათ.

ყოველი ნატურალური რიცხვი წარმოადგენს არაუმეტეს k რაოდენობის k–კუთხა რიცხვების ჯამს. მრავალკუთხა ანუ ფიგურული რიცხვების ეს თეორემა ჩამოაყალიბა მათემატიკოსმა, პ. ფერმამ და დაამტკიცა მათემატიკოსმა ო. კოშიმ. K–კუთხა რიცხვი ეწოდება რიცხვს, რომელსაც აქვს სახე: $n+(k-2)\frac{n(n-1)}{2}; n=1,2,3,\ldots$

ცოტა ადამიანმა თუ იცის, რომ ათობითი სისტემა, იმ ფორით როგორაც ჩვენ ვიყენებთ, შექმნა ლეონარდო ფიბონაჩიმ. ათობით სისტემასთან ერთად ფიბონაჩიმ შექმნა კიდევ ერთი სისტემა, რომელსაც მოგვიანებით ფიბონაჩის რიცხვების თანამიმდევრობა ეწოდა. ეს არის განსაცვიფრებელი ადამიანი და ეს არის განსაცვიფრებელი სისტემა.

მე–13 საუკუნის დასაწყისში ფიბონაჩიმ გამოსცა ცნობილი ე.წ. „გამოთვლების წიგნი“ (Liber Abacci), ყველასთვის ცნობილი ათობითი სისტემის შესახებ, რომელიც პირველ ციფრად ამ სისტემაში განიხილავდა 0–ს. ეს სისტემა ახლა საყოველთაოდ გამოიყენება, ეწოდება ინდუს–არაბული სისტემა და შედგება ცნობილი სიმბოლოებისგან 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9. ამავე წიგნში ფიბონაჩმ აღწერა რიცხვების მეორე თანმიმდევრობა,რომელიც ასე გამოიყურებოდა: 1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144 და ა.შ. უსასრულობამდე. ამ თანმიმდევრობაში ყოველი შემდეგი რიცხვი არის მის წინ მდებარე ორი რიცხვის ჯამის ტოლი. ფიბონაჩის რიცხვები მოიცემა რეკურენტული ფორმით: $a_{n+1}=a_{n-1}+a_n;\ a_1=1, a_2=1$. პირველი 14 ასეთი რიცხვი გვხვდება 1228 წლით დათარიღებულ ლეონარდ პიზელის (ფიბონაჩის) ხელნაწერში. ამ რიცხვებს სხვა საინტერესო თვისებებთან ერთად, ახასიათებს ის, რომ ალგებრული მოქმედებანი მათ ინდექსებზე შეიძლება გადატანილნი იქნან თვით რიცხვებზე. ყოველივე ამის საფუძველია ეგრეთწოდებული შეკრების ფორმულა: $a_{n+m}=a_{n-1}a_m+a_na_{m+1}$. ამ ფორმულიდან გამომდინარეობს $a_{2n}=a_n(a_{n-1}+a_{n+1}),\ a_{3n}=a_{n+1}^3+a_n^3-a_{n-1}^3$.

გამრავლების ზოგადი ფორმულა შემდეგნაირია: $a_{nm}=\sum_{k=1}^{n}c_n^k a_k a_m^k a_{m-1}^{n-k}$.

ფიბონაჩის რიცხვთა თეორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რიცხვი $\alpha=\frac{1+\sqrt{5}}{2}$, რომელიც წარმოადგენს $x^2-x-1=0$ განტოლების ფესვს, კერძოდ ადგილი აქვს ბინეს ფორმულას: $a_n=\frac{1}{\sqrt{5}}(\alpha^n-(-\alpha)^{-n})$.

გარდა ამისა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ ფიბონაჩის რიცხვები დაკავშირებულია ოქროს კვეთის რიცხვებთან. მეზობელი ციფრების შეფრდებები მიისწრაფვიან PHI–სკენ (1,6). მცენარეების, ცხოველების და ადამიანების აგებულებაში იმდენად ხშირად ვხვდებით 1,618–ს, რომ ანტიკური ხანის მეცნიერებმა მას „ღვთაებრივი პროპორცია“ უწოდეს. მაგალითად, ფუტკრების სკაში მდედრების და მამრების რაოდენობა ყოველთვის დაბალანსებულია, მდედრი ფუტკრები რაოდენობრივად სჭარბობენ მამრებს, მაგრამ თუ მდედრების რაოდენობას გავყოფთ მამრი ფუტკრებისაზე, ყოველთვის, მსოფლიოს ნებისმიერი სკისათვის, შედეგად მივიღებთ 1,618–ს. მანძილი თავის წვეროდან იატაკამდე, რომ გავყოთ მანძილზე ჭიპიდან იატაკამდე, ეს ნებისმიერი ადამიანისთვის იქნება 1,618.

თვლის ნებისმიერ სისტემაში ესა თუ ის სიმბოლო (იეროგლიფი, ნახატი, ნიშანი ან სიტყვა) გარკვეულ რიცხვს აღნიშნავს. ამ რიცხვებს საკვანძო რიცხვები ეწოდება. ყველა სხვა რიცხვი მიიღება საკვანძო რიცხვებზე მოქმედების შედეგად. თვლის სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება საკვანძო რიცხვების შერჩევით და დანარჩენი რიცხვების შექმნის ხერხებით. მაგალითად, ძველი ეგვიპტელების ნუმერაციაში საკვანძო რიცხვებია: 1; 10; 100; 1000; 10 000; 100 000 და 1000 000. ბაბილონელებისათვის საკვანძო რიცხვებია: 1; 10; 60; ძველი რომაელებისათვის _ 1; 5; 10; 50; 100; 500; 1000; ძველი ბერძნებისათვის _ 1; 5; 10; 100; 1000; 10 000 და ა.შ.

$x^2+y^2=z^2$ ამ განტოლების მთელ არაუარყოფით ამონახსნებს პითაგორას რიცხვები ეწოდება. ასეთი რიცხვები წარმოადგენენ მართკუთხა სამკუთხედის კათეტებისა და ჰიპოტენუზის სიგრძეების შესაბამისად. პითაგორას რიცხვების ყოველი ურთიერთმარტივი სამეული მიიღება ფორმულებით: $x=m^2-n^2,\ y=2mn,\ z=m^2+n^2;$ სადაც $m,n\in N$ ურთიერთმარტივი ნატურალური რიცხვებია.

რაც შეეხება ბერნულის რიცხვებს, ისინი წარმოადგენენ რაციონალურ რიცხვებს $B_n, n=0,1,2,\ldots,$ რომლებიც წარმოადგენენ $B_n(x)$ ბერნულის მრავალწევრთა მნიშვნელობებს როდესაც x=0. ბერნულის მრავალწევრები კი განისაზღვრებიან შემდეგი რეკურენტული ფორმულით: $B_0(x)=1, B_1=x-\frac{1}{2};\ \sum_{k=1}^{n-1}C_n^k B_k(x)=nx^{n-1}, n=2,3,4\ldots$

ბერნულის საწყისი რიცხვებია:

$$B_0 = 1, B_1 = -\frac{1}{2}, B_2 = \frac{1}{6}, B_3 = 0, B_4 = -\frac{1}{30}, B_5 = 0, B_6 = \frac{1}{42}, B_7 = 0, \ldots$$

ყველა კენტ ინდექსიანი ბერნულის რიცხვი, გარდა B_1–ისა, ნულია. ლუწ ინდექსიანი რიცხვები კი მორიგეობით ჯერ დადებითია შემდეგ კი უარყოფითი. ბერნულის რიცხვები აღმოაჩინა მათემატიკოსმა ი. ბერნულიმ $\sum_{k=1}^{n-1} k^n$ სახის ჯამების გამოთვლების დროს, კერძოდ

$$\sum_{k=1}^{n-1} k^m = \frac{1}{m+1} \sum_{s=1}^{m} C_{m+1}^{s} B_s n^{m+1-s}, n = 1,2,3,....; m = 0,1,2,3,...$$

ბერნულის რიცხვებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მათემატიკურ ანალიზში, რიცხვთა თეორიაში, მიახლოებით გამოთვლებში.

დღეისათვის ცნობილია ეგრეთწოდებული ეილერის რიცვი რომელიც შესწავლილი არ არის და რომლის კვლევაც მიმდინარეობს, თუმცა ჯერჯერობით ისიც კი არ არის ცნობილი, რაციონალურია ის თუ არა. იგი ასეთი ფორმით მოიცემა:

$C=\lim_{(n\to\infty)}(1+1/2+1/3+\cdots+1/n-\ln n)\approx 0,57721566490\ldots$

ლიტერატურა:

1. რ. კურანტი, ჰ. რობინსი. რა არის მათემატიკა. 1965;
2. რ. დანელია, ჯ. ჯინჯიხაძე, საყმაწვილო ენციკლოპედია, მათემატიკა, წიგნი XIII, 2004;

ინტერნეტ–რესურსები:
http://ka.wikipedia.org
http://mecniereba.org

კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

მერი ტერუნაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ ნასყიდაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნა და მსოფლიო ინფორმაციულ სივრცეში აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტულ ამოცანად არის მიჩნეული. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ეროვნული სასწავლო გეგმა შეიქმნა ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების მიზნებიდან, მოთხოვნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. იგი ეფუძნება სასწავლო პროცესში ისტ–ის ადგილისა და მისი გამოყენების შესახებ თანამედროვე და საყოველთაოდ გაზიარებულ შეხედულებებს და საუკეთესო პრაქტიკას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ისტ–ის სასწავლო გეგმა წარმოადგენს რა ეროვნული სასწავლო გეგმის განუყრელ ნაწილს, ემსახურება განათლების სამინისტროს მიერ ფართო საზოგადოებასთან შეთანხმებული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მიზნების განხორციელებას.

როგორც ადამიანის აქტივობის, საქმიანობის ნებისმიერ სხვა სფეროში, ისტ–ის მოხმარებისა და გამოყენების თვალსაზრისით, ჩვენი საზოგადოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს _ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემამ შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად, ისეთი პიროვნების, რომელიც ღირსებით ეკიდება განსხვავებებს ადამიანებსა და მათ ჯგუფებს შორის; ცდილობს გაუგოს და ნაყოფიერად ითანამშრომლოს მათთან. ჩვენ ყოველდღიურად მოვიხმართ ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს: ვსარგებლობთ მობილური ტელეფონით, ვუკავშირდებით ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მოვიძიებთ ინფორმაციას ინტერნეტში, ვახდენთ ინფორმაციის სხვებთან გაცვლასა და გაზიარებას. ჩვენი ყოველდღიური თუ პროფესიული საქმიანობა სულ უფრო მეტად მოითხოვს ისტ–ის ცოდნასა და სისტემატურ გამოყენებას, ციფრულ ტექნოლოგიურ განათლებას.

ეს უკანასკნელი შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც ციფრული ტექნოლოგიების, საკომუნიკაციო საშუალებების და/ან ქსელების ეთიკურად, პასუხისმგებლობით გამოყენების უნარი სასურველი ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, ერთმანეთთან დაკავშირების, შეფასების, ანალიზის, ახლის შექმნისა და შემდგომი გადაცემის შესაძლებლობისთვის – იმ მიზნით, რომ ვიმოქმედოთ, ჩვენი ფუნქცია შევასრულოთ თანამედროვე საზოგადოებაში.

შესაბამისად, ისტ–ის ინტეგრირებული კურსი ემსახურება ეთიკური, ინფორმირებული, კანონმორჩილი და ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების უნარის მქონე პიროვნების აღზრდას. პიროვნებისა, რომელიც შეძლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას, მართვას, მის დამუშავებას, შეფასებას, ანალიზს და მასზე დაყრდნობით გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას – იმ მიზნით, რომ გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ; თავად შექმნას ღირებულებები და საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოებაში. ისტ–ის ინტეგრირებული კურსის ერთ–ერთი მიზანი არის, რომ საზოგადოების მომავალ წევრს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ–ჩვევები ინფორმაციის შექმნის, საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის მხრივ, მათ შორის იმ მოსწავლისათვის, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის. მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის ისეთი პირობების შექმნას და საშუალებების გაცნობას, რომლითაც ისინი გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. ისტ–ის კურსმა მათ უნდა შესძინოთ ახალი ცოდნა და უნარ–ჩვევები, რომელთა განვითარებასაც მომავალში დამოუკიდებლად შეძლებენ, იმ მიზნით, რომ მოსწავლემ არჩევანი გააკეთოს სწავლების შემდგომ საფეხურზე სპეციალობებს ან პროფესიულ საქმიანობებს შორის; შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ისტ კურსში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ტექნოლოგიების გამოყენების გავლენას ინდივიდზე, საზოგადოებაზე და გარემომცველ სამყაროზე. მოსწავლეები თავიდანვე უნდა გაეცნონ და ინფორმირებული იყვნენ ისტ–ის პასუხისმგებლობით მოხმარების შესახებ. მათ შორის, ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნებისა და დაცვის მხრივ. მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ტექნოლოგიური ნარჩენებით დანაგვიანებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას იგი. ისტ–ის სწავლება არ მოიაზრება სასწავლო დისციპლინებიდან დამოუკიდებლად, მათი კონტექსტისგან განცალკევებით. ისტ–ის სასწავლო გეგმის რეალიზება უნდა მოხდეს ყოველ ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში. ამ ინსტრუმენტით შესაძლებელია ძირითადი სასწავლო დისციპლინების ერთმანეთთან ეფექტური ინტეგრაცია. თითოეული საგანი სპეციფიკურ უნარ–ჩვევებსა და დამოკიდებულებას უვითარებს მოსწავლეებს, ინტეგრაციის დანიშნულება არის იმ ზოგადი უნარ–ჩვევების გამოკვეთა, რომლებიც ამ საგნებს ერთმანეთთან აახლოვებს. ეროვნული სასწავლო გეგმა გულისხმობს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობის ერთიანობასაც. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში ინტეგრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის შემდეგი ზოგადი უნარ–ჩვევებისა და აზროვნების ტიპების განვითარებას, რომელთაც ჩვენ ისტ–ის კუთხით განვიხილავთ.

1. გაგების უნარი – გულისხმობს ისტ–ის საშუალებების და იდეების ცოდნას; მათი დანიშნულების ინტერპრეტირებას და შედარებას.
2. კომუნიკაციის უნარი – ისტ–ის საშუალებების გამოყენებას ინფორმაციის მიღების, მოპოვებისა და გაცვლის მიზნით.
3. ანალიტიკური აზროვნების უნარი – გულისხმობს ისტ–ის საშუალებათა შეფასებას, უკვე მოცემულ ან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; მათ შორის კანონზომიერებების დადგენას, შემადგენელი კომპონენტების ამოცნობას, ფრაგმენტების ორგანიზებას.
4. სინთეზური აზროვნების უნარი – გულისხმობს ისტ–ის საშუალებებით ინფორმაციის დიდი მოცულობიდან საჭირო ფრაგმენტების ამორჩევის, მათი მიზნობრივად დაკავშირების უნარს. ისე რომ მიღებული შედეგი გამოყენებადი და გასაგები იყოს, როგორც თავად მოსწავლისთვის, ასევე სხვებისთვისაც.
5. შემოქმედებითი აზროვნება – გულისხმობს ისტ–ის საშუალებების გამოყენებით, რეალობიდან მომდინარე პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების პოვნას, ახალი კითხვების დასმას და მათზე პასუხის ძიებას.
6. კრიტიკული აზროვნების უნარი – გულისხმობს უკვე მოცემული, ან მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შეფასებას შინაარსის, დანიშნულების და ხარისხის მიხედვით, მისი გამოყენების დადგენას.

ამ გეგმის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს ის, რომ საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი. (მნიშვნელოვანია არა იმდენად ის, თუ რის სწავლებას ცდილობს მასწავლებელი, არამედ ის, თუ რა ისწავლა მოსწავლემ); გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკის შესაბამისი ინტერესები; სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის

შეძენას, არამედ ინფორმაციის, უნარ–ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას; სწავლებაში მოიაზრება არა ერთი კონკრეტული გზა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება. სკოლას აქვს მეტი უფლებები, შესთავაზოს განსხვავებული გზები საკუთარ მოსწავლეებს; მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. მნიშვნელოვანია არა მარტო რა ისწავლა მოსწავლემ, არამედ როგორ ისწავლა და როგორ შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება.

ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) სასწავლო დისციპლინებში ინტეგრირების გეგმაში გამოყოფილია ექვსი მიმართულება მისაღწევი შედეგების, ტექნოლოგიური საშუალებების ფლობისა და გამოყენების თვალსაზრისით. მოსწავლე უნდა გაეცნოს, დაეუფლოს და იყენებდეს ისტ–ის თითოეული ტიპის საშუალებას. ქვემოთ მოყვანილია ექვსი ძირითადი მიმართულება და მისაღწევი მიზანი თითოეული მიმართულების მიხედვით. შედეგები არ განსხვავდება სწავლების პირველ (დაწყებითი), მეორე (საბაზო სკოლა) და მესამე (საშუალო სკოლა) საფეხურებზე. სამაგიეროდ, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულია მათი მიღწევის ხარისხი და სიღრმე, რასაც შედეგების მიხედვით მოყვანილი ინდიკატორები ასახავენ. ინდიკატორების დიდი ნაწილი ზომავს ორი ან მეტი შედეგის ხარისხს, თუმცა ხშირად ერთ კონკრეტულ შედეგზეა ფოკუსირებული. ინდიკატორების მცირე ნაწილი კონკრეტული შედეგის სიღრმისეულ დაფარვას ასახავს.

1. ძირითადი ცნებები და ოპერაციები

ახდენს ისტ–ის საშუალებების დანიშნულებისა და მათი მოქმედების ძირითადი პრინციპების გაგების დემონსტრირებას (კომპიუტერის ჩართვა, გადატვირთვა, გამორთვა). სწორად იყენებს ისტ–ის საშუალებებთან ურთიერთქმედების, შეტანა–გამოტანის მოწყობილობებს ამ საშუალებების წარმატებით ფუნქციონირებისთვის (მაუსი, კლავიატურა, მონიტორი, პრინტერი და სხვა). ახდენს ისტ–ის საშუალებების მარჯვედ მოხმარების დემონსტრირებას.

2. სოციალური, ეთიკური, გარემოს დაცვასთან და ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები

აცნობიერებს ისტ–ის საშუალებების გამოყენების ეთიკურ, კულტურულ და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ეთიკისა და არსებული კანონმდებლობის დაცვით იყენებს ისტ–ის საშუალებებს, ინფორმაციასა და პროგრამულ უზრუნველყოფას. ავლენს დადებით დამოკიდებულებას ისტ–ის საშუალებების, როგორც თანამშრომლობის, საკუთარი ცოდნის გაღრმავების, ინტერესების და მისწრაფებების განხორციელების, ნაყოფიერი შრომის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის მიმართ.

3. ისტ პროდუქტის შესაქმნელი ტექნოლოგიური საშუალებები

იყენებს ისტ–ის სწავლის გასაუმჯობესებლად და შემოქმედებითი პროცესის წასახალისებლად. იყენებს ისტ–ის საშუალებებს თანაკლასელებთან ერთად ტექნოლოგიური თვალსაზრისით გაუმჯობესებული მოდელების შექმნისას; ამზადებს და გამოსცემს ორიგინალურ ნამუშევარს ელექტრონულ ფორმატში; იყენებს ისტ–ს საგამომცემლო საქმიანობასა და სხვა შემოქმედებით საქმიანობაში (მაგ. ფოტოგრაფიული გამოფენა ვებ–გვერდზე).

4. კომუნიკაციის ტექნოლოგიური საშუალებები

იყენებს ისტ–ის საშუალებებს სხვადასხვა შეტყობინებების, განცხადებების გამოსაყენებლად თანატოლებთან, მასწავლებლებთან თუ სხვებთან ურთიერთობისთვის. იყენებს განსხვავებულ ფორმატს მის მიერ შექმნილი ინფორმაციის საზოგადოებასთან გაცვლის მიზნით.

5. კვლევის ტექნოლოგიური საშუალებები

იყენებს ისტ–ის საშუალებებს (მაგ. საძიებო სისტემა) ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მიღების, მათი შემდგომი შეფასებისა და ანალიზისთვის. იყენებს ისტ–ის საშუალებებს ინფორმაციის შენახვის, მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზისთვის, შემდგომში შედეგის სხვებისთვის მიწოდების მიზნით. აფასებს და ეფექტურად იყენებს ისტ–ის სფეროში არსებულ სიახლეებს (მაგ. ახალი პროგრამული უზრუნველყოფა) და რესურსებს მის წინაშე დასმული ამოცანის შესაბამისად.

6. პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგიური საშუალებები

იყენებს ისტ–ის საშუალებებსა და ელექტრონულ ფორმატში არსებულ ინფორმაციას პრობლემების გადაჭრისა და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებისას / არჩევანის გაკეთებისას. იყენებს ისტ–ის საშუალებებს საყოფაცხოვრებო ამოცანების ამოხსნის, რეალური სიტუაციის შესატყვისი პრობლემების გადაჭრის გზების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამა შედგენილია კომპეტენციის დონეების მიხედვით. გამოიყოფა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის 3 დონე:

I დონე. დამწყები მომხმარებლისთვის საჭირო ცოდნა და უნარები: ძირითადი მოწყობილობების ცოდნა, ოპერაციული სისტემა, ტექსტთან და მულტიმედიურ მონაცემებთან მუშაობა (შექმნა, რედაქტირება), ოპერაციები ფაილებზე, ინტერნეტი და ელ-ფოსტა, საოფისე პროგრამების პაკეტი.

II დონე. დაოსტატებული მომხმარებლისთვის საჭირო ცოდნა და უნარები: გარდა იმისა, რომ I დონის სასწავლო მასალა მეორდება გაღრმავებულად, მას ემატება სხვა, უფრო რთული კომპონენტები. ოპერაციული სისტემები (უფრო ღრმად) და ოპერაციულ სისტემებს შორის განსხვავება, ელექტრონული ცხრილების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, სამაგიდო გამომცემლობის ელემენტები, ვებდიზაინის ელემენტები.

III დონე. გათვალისწინებულია ორი კურსი. სკოლას ექნება მათ შორის არჩევანის გაკეთების საშუალება:

- ✓ პირველი კურსი: კომპიუტერული მეცნიერება, რომელიც მოიცავს ინფორმატიკისა და პროგრამირების ელემენტებს: მონაცემთა სტრუქტურები (მონაცემთა შენახვის, დამუშავების, გადაცემის ხერხები), ალგორითმები (ალგორითმის ცნება, ალგორითმის სახეები, თვისებები, ჩაწერის ხერხები), ალგორითმების შეფასების ხერხები, ალგორითმის პროგრამული რეალიზაცია.
- ✓ მეორე კურსი - მულტიმედია და დიზაინი, რომელიც მოიცავს, ვებ-დიზაინის, გრაფიკული დიზაინის და მულტიმედიის ელემენტებს.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების დაწყებით საფეხურზე, როდესაც სასწავლო დისციპლინების უმეტესობა ისწავლება ინტეგრირებულად. შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად. ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია ისეთი თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება, რომლებიც საჭიროა ახალი ცნების, ობიექტისა და პროცედურის შემოტანისას. ამის მაგალითებია: არითმეტიკული მოქმედებები რიცხვებზე, როდესაც ამ მოქმედებების რეალიზაცია, ძირითადად, ხდება საგნობრივი თვალსაჩინოებების გამოყენებით (დაწყებით საფეხურზე); ახალი სიტყვებისა და ფრაზების შესწავლა მშობლიურ თუ უცხო ენებში, როდესაც უცნობ სიტყვებსა და ფრაზებს მოსწავლეები უკავშირებენ შესაბამის გრაფიკულ გამოსახულებას; ისეთი ბუნებრივი მოვლენების სიმულაცია, რომლებზე დაკვირვებაც შეუძლებელია ან ძალზე რთულია რეალურ ვითარებაში. შესაძლოა უფრო ეფექტურად და ინტენსიურად შეუწყოს ხელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას. ასეთებია, მაგალითად: ვიზუალური თუ რაოდენობრივი კანონზომიერებების აღმოჩენის უნარი (კანონზომიერება საგანთა მიმდევრობაში, კანონზომიერება გრაფიკულ გამოსახულებაში, რაოდენობრივი ცვლილების კანონზომიერება); ობიექტთა ზომების დადგენისა და შეფასების უნარი; ინფორმაციის გააზრებისა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადაყვანის უნარი (მაგალითად: ტექსტური მასალისათვის გრაფიკული გამოსახულების შერჩევა და პირიქით; სიტყვიერად აღწერილი რაოდენობრივი ინფორმაციის გამოსახვა და პირიქით); სივრცული წარმოდგენა; თანამშრომლობის უნარ-ჩვევები; სამუშაო სივრცის მომზადებისა და საჭირო საშუალებების შერჩევის უნარი.

ამ გეგმის მთავარი ამოცანაა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს ჰქონდეს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ საბაზისო ცოდნა და მათი მოხმარების პრაქტიკული გამოცდილება, რაც მას დაეხმარება როგორც მომავალ პროფესიულ საქმიანობაში, ასევე სწავლის გასაგრძელებლად.

ლიტერატურა:

1. ნინო ცანდიშვილი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, 2008.
ინტერნეტ რესურსები:
http://www.nplg.gov.ge
www.ncac.ge

მათემატიკის, როგორც ერთ-ერთი უძველესი მეცნიერების განვითარება

მირანდა ყაჩლავაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ ტატულაშვილი,** სრული პროფესორი

XXI საუკუნეში ძნელია დასახელდეს მეცნიერების ისეთი დარგი, რომლის ანალიზისა და განვითარებისთვის მათემატიკა გადამწყვეტ როლს არ ასრულებდეს.

მათემატიკა არის მეცნიერება სამყაროს რაოდენობრივი დამოკიდებულებისა და სივრცული ფორმების შესახებ. ტექნიკის განვითარებასთან ერთად ფართოვდება მათემატიკის განმარტება. თუ გადავხედავთ მათემატიკის განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ კაცობრიობის ადრეულ ეტაპებზე ხდებოდა მათემატიკის სხვადასხვა ნაწილების ჩამოყალიბება. თითოეული ეტაპისთვის დამახასიათებელი ამოცანების გადაჭრისას ვითარდებოდა მათემატიკის ცალკეული ნაწილები.

საგნების დათვლის შედეგად კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე მოხდა ნატურალური რიცხვების ჩამოყალიბება. გაზომვის აუცილებლობას (ხორბლის რაოდენობის, გზის სიგრძე და სხვა) მივყავართ წილადებზე და არითმეტიკული ოპერაციების შესრულებამდე ე.ი. მოხდა არითმეტიკის ჩამოყალიბება.

უკვე შორეულ წარსულში ვხვდებით ამოცანის ამოხსნას, რომელიც დაბალი ხარისხის განტოლებათა ამოხსნას შეესაბამება.

ასურეთ-ბაბილონის კულტურის ძეგლები გვიჩვენებს, რომ ძველ ბაბილონში (ჩვ.წ-მდე 1900-2000წ) იცოდნენ იმ ამოცანების ამოხსნა, რომლებიც კვადრატულ განტოლებამდე დაიყვანებიან. ბაბილონის ძეგლებში არის ისეთი ამოცანათა ამოხსნაც, რომლებიც მესამე ხარისხის განტოლებას შეიცავს. ეს ამოცანები გამოითქმებოდა გეომეტრიული სახით და მათი ამოხსნა ცხრილების საშუალებით ხდებოდა.

ფართის გაზომვის, ასტროლოგიური გამოთვლების და სამშენებლო ტექნიკის საჭიროება გამოიწვია ტრიგონომეტრიისა და გეომეტრიის საწყისების განვითარებამ. ეს პროცესები პარალელურად, დამოუკიდებლად მიმდინარეობდა სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საბერძნეთში.

მათემატიკურ დისციპლინათა შორის, ძველ საბერძნეთში განსაკუთრებით ვითარდებოდა გეომეტრია, რომელიც გადაიქცა მწყობ სისტემად. ბერძენი გეომეტრები ცდილობდნენ თეორიულ გამოკვლევებში არ გამოეყენებინათ სიდიდეთა რაოდენობრივი გამოსახულება. შეიძლება ეს აიხსნება იმით, რომ მათ იცოდნენ სიგრძის ერთეულისადმი უთანაზომო მონაკვეთების არსებობა. ამრიგად ისინი მივიდნენ გეომეტრიულ აღრიცხვამდე.

ჩვენამდე მოღწეულ ნაშრომებიდან აღსანიშნავია ძველი ბერძენი მათემატიკოსის პტოლემეს წიგნი, რომელშიც ტრიგონომეტრიის ელემენტებია მოცემული. აქ სხვა საკითხებთან ერთად მოცემულია ცხრილი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს 0°-დან 90°-მდე კუთხეების სინუსების ცხრილად (30´-იანი ბიჯით). ამ ცხრილით საუკუნეების მანძილზე სარგებლობდნენ სხვადასხვა ქვეყნებში.

ევკლიდეს „გეომეტრიულ საწყისებში“ და მის სხვა თხზულებებში „მონაცემები“ ვპოულობთ მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც შეიცავს კვადრატულ განტოლებათა ამოხსნას გეომეტრიული სახით. ბერძენი გეომეტრებისათვის (ჩვ. წ-მდე IV ს.) უკვე ცნობილი იყო ისეთი ამოცანები, რომელთა ამოხსნას ვერ ახერხებდნენ ფარგლისა და სახაზავის საშუალებით. ასეთია მაგალითად, კუბის გაორკეცებისა და კუთხის ტრისექციის ამოცანები. „დელოსის“ ამოცანა: მოიძებნოს ღარის ზომა „ყუმბარის“ წონის გაორკეცების შემთხვევაში.

ერთ-ერთი გამოჩენილი მათემატიკოსი იყო პითაგორა. მან აღმოაჩინა ახალი მეთოდი მართკუთხა სამკუთხედის შესახებ, დაამტკიცა თეორემა (კათეტების კვადრატების ჯამი ჰიპოტენუზას კვადრატის ტოლია), რომელიც მისივე სახელით არის ცნობილი. გადმოცემის თანახმად, პითაგორას იმდენად გაუხარდა ახალი აღმოჩენა, რომ წვეულებაც კი გამართა ამის აღსანიშნავად. მისი თეორემა დღესაც აქტიურად გამოიყენება გეომეტრიაში.

განტოლების ამოხსნის საკითხების მეცნიერულ სისტემიზაციის პირველ ცდას ვხვდებით დიოფანტეს (ჩვ. წ-მდე III-IV სს) ნაწარმოებში „არითმეტიკა“, რომელმაც ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. დიოფანტე განიხილავს მხოლოდ დადებით რაციონალურ რიცხვებს.

დიოფანტემ დიდი გავლენა მოახდინა მათემატიკის შემდგომ განვითარებაზე. ამის აშკარა კვალი ემჩნევა შუა საუკუნეების არაბ და აღორძინების ეპოქის ავტორებს.

ძველი საბერძნეთის მათემატიკის ისტორიაში დიოფანტეს შემოქმედება ერთ-ერთ უკანასკნელ ბრწყინვალე ფურცლად წარმოგვიდგება. არითმეტიკული კულტურის განვითარება შუა საუკუნეებში ინდოელებისა და არაბების ხელში გადადის. ინდოელების მათემატიკა ვითარდებოდა ასტრონომიის მოთხოვნებთან მჭიდრო კავშირში. ეს აიძულებდა ინდოელებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ გამოთვლების ხელოვნებისთვის. ინდოელმა მეცნიერებმა, არიაბხატიმ (დაიბადა 476 წელს), ბრაჰმაგუპთამ (დაიბადა 598 წელს) და ბხასკარმა ასტრონომიული შინაარსის დიდი თხზულებები დაგვიტოვეს, რომელშიც ცალკეული თავები მათემატიკას აქვს მიძღვნილი. დიოფანტესგან განსხვავებით, ინდოელებმა შემოიღეს უარყოფით სიდიდეთა განხილვა. დადებითი და უარყოფითი სიდიდეების აღსანიშნავად ისინი იყენებდნენ ტერმინებს „ქონება“ და„ვალი“. ინდოელი ავტორები, კერძოდ არიაბხატი, სწორად აფასებდნენ უარყოფითი რიცხვების მნიშვნელობას. იმ შემთხვევაში, როცა საუბარია ორ მოპირდაპირე მიმართულების შესახებ. ერთ-ერთი ინდოელი მეცნიერი (ბხასკარა) აღნიშნავს, რომ კვადრატულ ფესვს დადებითი და უარყოფითი, მაშინ როდესაც კვადრატული ფესვი უარყოფითი რიცხვიდან არ არსებობსო.

ინდოელების მსგავსად, არაბებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მათემატიკის განვითარებაში. არაბების პოლიტიკურმა წარმატებებმა (VII-VIII სს) შექმნა წინამძღვრები კულტურის სწრაფი აღმავლობისთვის. მოკლე ხანში არაბებმა თავიანთი ბატონობის ქვეშ გააერთიანეს უდიდესი ტერიტორია, მიაღწიეს ინდოეთამდე აღმოსავლეთში და ატლანტიკის ოკეანემდე დასავლეთში. მათი ბატონობა გავრცელდა ეგვიპტელებზეც ალექსანდრიის ჩათვლით, სადაც ყველაზე დიდხანს დარჩა ბერძნული გეომეტრიის საწყისები. მათ მიეცათ შესაძლებლობა შეეთვისებინათ ბერძენ გეომეტრთა მათემატიკური მემკვიდრეობა და ინდოელების არითმეტიკულ ხელოვნებასთან.

მართლაც, ისევე როგორც საბერძნეთსა და ინდოეთში, არაბთა ასტრონომიულ ნაშრომებშიც გვხვდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა სინუსი და კოსინუსი, ხოლო ტანგენსი IX-X საუკუნეებში არაბ მეცნიერთა პრაქტიკულ გამოკვლევებში, მაგალითად, ჩრდილის მიხედვით მზის სიმაღლის განსაზღვრისას ამ ამოცანას ეფუძნება მზის ამ ამოცანას ეფუძნება მზის საათის დამზადება. არაბ მეცნიერთა შორის, რომლებიც ასტრონომიისა და მათემატიკის დარგში მუშაობდნენ უნდა მოვიხსენიოთ მუჰამედ იბნ მუსა ალჰოვარეზმი (VIII-IX ს). ალჰოვარეზმის ერთ-ერთი თხზულების ლათინური თარგმანი, რომელშიც თვლის წესები დალაგებული იყო პოზიციური სისტემით და იწყებოდა სიტყვებით „Dixit Algorithmi“. აქედან წარმოიშვა სიტყვა „ალგორითმი“.

შუა საუკუნეების II ნახევარში არაბული კულტურის გავლენა ვრცელდება ევროპაში მათი გავრცელების ყველაზე უფრო ხელსაყრელი ნიადაგი სავაჭრო ურთიერთობის განვითარების გამო იტალიაში შეიქმნა. აქ XII საუკუნეში მიმდინარეობს შუა საუკუნეების უდიდესი ევროპელი მატემატიკოსის ლეონარდო პიზელის, იგივე ფიბონაჩის მოღვაწეობა. ფიბონაჩის წიგნში „წიგნი აბაკის შესახებ“ მოცემულია ამოცანა სადაც გამოყენებულია მიმდევრობა, რომლის ყოველი წევრი, დაწყებული მესამედან, არის წინა ორი წევრის ჯამი, პირველი და მეორე წევრებიდან ორივე ერთის ტოლია.

XVI საუკუნეში ვიეტის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა მდგომარეობს იმაში, რომ მან კავშირი დაამყარა განტოლების კოეფიციენტებსა და მის ფესვებს შორის. ახალი ეტაპი ალგებრის განვითარებაში დაკავშირებულია ტექნიკური კულტურის საერთო განვითარებასთან XVII საუკუნის მიჯნაზე. ახალი ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა გამოკვლევები მექანიკის დარგში.

XVII საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა გალილეის შრომები. მათემატიკას უნდა აესახა მოძრაობის და ცვლადი სიდიდეების თვისებები. ეს უნდა მომხდარიყო ანალიზური გეომეტრიის განვითარების გზით. მას შემდეგ, რაც მათემატიკაში ცვლადი სიდიდეები შემოიღეს, ფუნქციონალური დამოკიდებულებების ცნებამ ღრმა ევოლუცია განიცადა.

XVIII საუკუნის ყველაზე გამოჩენილი მათემატიკოსი იყო გერმანელი კარლ გაუსი. ჯერ კიდევ სიცოცხლის პერიოდში გაუსი "მათემატიკოსთა პრინცის" ტიტულით იყო დაჯილდოებული. გადმოცემის თანახმად, სკოლაში მათემატიკის ერთ–ერთ გაკვეთილზე, მასწავლებელმა ბავშვებს დაავალა გამოეთვალათ ყველა რიცხვთა ჯამი 1–დან 100–მდე. პატარა გაუსმა შეამჩნია, რომ სხვადასხვა ბოლოდან აღებული ყველა წყვილის ჯამი ერთნაირია: 1+100=101, 2+99=101 და ა.შ. და მომენტალურად მიიღო საბოლოო შედეგი – 50×101=5050, რითაც მასწავლებლის გაოცება გამოიწვია. ბევრი მათემატიკოსი თვლის, რომ გაუსმა ის ხერხი აღმოაჩინა, რომელიც n წევრის ჯამის ფორმულის გამოყვანისას გამოიყენება. 1796 წელი გაუსისთვისაც და რიცხვთა თეორიისთვის ყველაზე პროდუქტიული წელიწადი იყო. ამ პერიოდში აღმოაჩინა მან ჰეპტადეკაგონის აგების წესი (30 მარტს). ხოლო მისი განთქმული კვადრატული ურთიერთდამოკიდებულების კანონი აღმოაჩინა 8 აპრილს. ეს მარტივი კანონი მათემატიკოსებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ ნებისმიერი კვადრატული განტოლების ამოხსნადობა მოდულურ არითმეტიკაში. მარტივ რიცხვთა თეორემა, ამოხსნილი 31 მაისს, საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ როგორ არის მარტივი რიცხვები განაწილებული რიცხვთა წრფეზე.

მათემატიკური ანალიზის სისტემური აგების შედეგად, ირაციონალური რიცხვთა თეორიის და სიმრავლეთა თეორიის საფუძველზე განვითარდა ნამდვილ რიცხვთა თეორია.

ანალიზის რიცხვითი მეთოდებისა (XIX-XX სს.) და ალგებრის საფუძველზე გამოთვლითი მანქანის გამოყენებით ჩამოყალიბდა მათემატიკის ცალკე მიმართულება –გამოთვლითი მათემატიკა.

მათემატიკის განვითარება და მეცნიერების სხვადასხვა დარგების „მათემატიკიზაციამ" გამოთვლითი ტექნიკის განვითარებამ ხელი შეუწყო ისეთი მათემატიკური დისციპლინების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: ავტომატების თეორია, ინფორმატიკა, თამაშთა თეორია, ოპერაციათა კვლევა, კიბერნეტიკა, გრაფიკების თეორია, დისკრეტული ანალიზი, ოპტიკური მართვის მათემატიკური თეორია.

ახალი კვლევებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება საშუალებას გვაძლევს ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროების ავტომატიზაციას.

მე ვთვლი, რომ მათემატიკა არის მეცნიერება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დღევანდელი მსოფლიო. იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაში.

ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები:

1. გ. მ. შაპირო, უმაღლესი ალგებრა, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1949.
2. თ. ვეფხვაძე, გ. გოგიშვილი, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი, მათემატიკა, XI კლასი, გამომც. ინტელექტი, 2007.
3. http://ka.wikipedia.org/wiki

ტყის სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა

ანა ხარაიშვილი, თინა ბაწაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნელი გოგინაშვილი,** სრული პროფესორი

„შენ გენაცვალე ტყევ დაბურულო,
ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო"
ვაჟა

ტყე - ეს არის სიცოცხლის შეხმატკბილების სრული გამოხატულება სასიამოვნოსა და სასარგებლოს, ამაღლებულისა და ყოველდღიურის, ზღაპრულისა და რეალურის ყველაზე ჰარმონიული შერწყმა. აქ წარმოუდგენელი შეხამებაა ფორმების, ფერების, ბგერების. ეს სიცოცხლის ჯადოსნური სამყაროა. ტყე ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება ცალკეული ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი. ტყეების ბიოლოგიური პოტენციალის შენარჩუნება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

ბიოსფეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ტყის ეკოსისტემები წარმოადგენენ, რომლებიც მცენარეულობის, ნიადაგის, წყლის, სითბოს, ცხოველთა სამყაროს და მიკროორგანიზმების რთული ერთობლიობაა. ტყე ხელს უწყობს გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებასა და რეგულირებას. მცენარეულ სამყაროში იგი ყველაზე მყარი და პროდუქტიული ფორმაციაა და ნივთიერებათა ბიოლოგიური ბრუნვის მაღალი ინტენვისივობით და ნაყოფიერებით ხასიათდება. ტყე ჰავის ფორმირების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია და რაც მთავარია, ტყე ჟანგბადის „ბუნებრივი ფაბრიკაა, პლანეტის ფილტვებია".

ცნობილია, რომ როგორც ადამიანის, ისე ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის, მათ შორის მცენარისათვის, ატმოსფეროს აირებიდან სასიცოცხლო მნიშვნელობა ჟანგბადსა (O_2) და ნახშირორჟანგს (CO_2) გააჩნიათ. ასევე მნიშვნელოვანია ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და სხვადასხვა მავნე აირების შემცველობის უვნებელყოფა.

ჰაერის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ძირითადად აღნიშნული ელემენტებით განისაზღვრება.

ყველაფერი, რაც ჭეშმარიტად ლამაზია, თავისთავში ატარებს უზარმაზარ შემოქმედებით მუხტს. განსაკუთრებით დიდია ტყის ბინადართა შთამაგონებელი ძალა. ტყის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ცალკეულ წარმომადგენლებს არაერთი შედევრი უძღვნეს სიტყვის დიდოსტატებმა: აკაკიმ, გალაქტიონმა, გიორგი ლეონიძემ, ნოდარ დუმბაძემ, ანა კალანდაძემ, შოთა ნიშნიშანიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, ოტია იოსელიანმა და სხვებმა. ტყე საუკეთესო თემაა ფერწერისა.

ჟანგბადის მოხმარების ოპტიმალური ნორმა უზრუნველყოფილი რომ იქნეს, ერთ სულზე ტყე 0,3 ჰა-ს მაინც უნდა შეადგენდეს. საქართველოში კი ერთ სულზე საბედნიეროდ 0,51 ჰა მოდის. ადამიანის მიერ ჟანგბადის გამოყენება დამოკიდებულია მის ასაკზე, წონაზე, სქესსა და რაც მთავარია, მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. მედიცინაში ცნობილია, რომ ადამიანი მოსვენებულ მდგომარეობაში ერთ წუთში საშუალოდ 0,35-0,40 ლიტრ ჟანგბადს ხარჯავს, დღე-ღამის განმავლობაში - 500-600 ლიტრს, მუშაობის დროს კი მისი მოხმარება საგრძნობლად მატულობს და წუთში შეიძლება 5 ლიტრამდე გაიზარდოს. გამოანგარიშებულია, რომ მცენარეულობა წლიურად მცენარეული საფარის მიერ წარმოებული ჟანგბადის 23%-ს შთანთქავს, რაც 43 მლრდ. ადამიანის სუნთქვის წლიური ნორმაა. საშუალო სიმძლავრის ავტომანქანას 900-1000 კმ მანძილის გავლისათვის სჭირდება იმდენი ჟანგბადი, რაც ერთი ადმიანის წლიური ნორმაა.

მიუხედავად ჟანგბადის დიდი ოდენობით ხარჯვისა, ბუნებაში მისი შემცველობა მუდმივია და მხოლოდ მცირე ცვალებადობა ახასიათებს. ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობის მუდმივობა აიხსნება ჰაერში მისი უდიდესი მარაგით და, რაც მთავარია, მზის სხივების გავლენით მწვანე მცენარეების მიერ ფოტოსინთეზის პროცესში დიდი ოდენობით ჟანგბადის გამოყოფით.

ხმელეთისა და წყლის მწვანე მცენარეულობა და მსოფლიო ოკეანეების ფიტოპლანქტონი ერთადერთ ბუნებრივ „ლაბორატორიას“ წარმოადგენს, რომელიც ატმოსფეროში ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ოდენობას არეგულირებს. დადგენილია, რომ ტყის მიერ გამოყოფილი ჟანგბადი უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ოკეანეებისა და ზღვების პლანქტონის ჟანგბადი, ტყის ჟანგბადი უფრო მეტადაა დამუხტული უარყოფითი იონებით. ეს მნიშვნელოვნად ამაღლებს ტყის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ თვისებებს. ექსპერიმენტულად დადასტურებულია უარყოფითი იონიზაციის კეთილმყოფელი გავლენა ავადმყოფი და ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმზე. დადგენილია, რომ ერთი ჰექტარი ნაძვისა და ფოთლოვანთა შერეული კორომი წლიურად გამოყოფს 10-13 ტონა ჟანგბადს, ერთი ვერხვის ხის ფოთლები ვეგეტაციის პერიოდში დაახლოებით 100 კგ ჟანგბადს გამოყოფს, მუხის - 85 კგ, რცხილის - 90 კგ და ა.შ. ამასთან ცნობილია, რომ CO_2-ის მომეტებული რაოდენობა ჰაერში ადამიანისათვის და, საერთოდ, ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნებელია. ჰაერში ნახშირორჟანგის მომატება ადამიანზე მრავალნაირ უარყოფით გავლენას ახდენს, იწვევს მაჯისცემის დაქვეითებას, თავის ტკივილს, გულის რევას, გულყრას და ზოგჯერ ორგანიზმის მოწამვლას. ამდენად, ამა თუ იმ ქალაქის სამრეწველო ცენტრისა თუ ნებისმიერი დასახლებული ადგილის საჰაერო აუზის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ხარისხის შეფასებისას, ძირითადი მაინც ნახშირორჟანგის და მტკვრის ნაწილაკების შემცველობის განსაზღვრაა.

ატმოსფეროს ანთროპოგენური გაბინძურებით გამოწვეულ არასასურველ მოვლენებს შორის ერთ-ერთია ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობის მატება. გამოთვლილია, რომ ატმოსფეროში ყოველწლიურად დაახლოებით 20 მლრდ ტონა ნახშირორჟანგი ხვდება. ჰაერში ნახშირორჟანგის წარმოშობის წყარო მრავალია. იგი გამოიყოფა მცენარეებისა და ცხოველების სუნთქვის დროს, სხვადასხვა ნივთიერებების წვისას, ვულკანების ამოფრქვევისას, ნიადაგში მიმდინარე ლპობისა და დაშლის პროცესების დროს, მინერალური წყაროებიდან და სხვა. ნახშირორჟანგის წყარო აგრეთვე ადამიანის სუნთქვაა. ადამიანი ერთი საათის განმავლობაში 22,6 ლიტრ CO_2-ს გამოყოფს.

რასაკვირველია, ჰაერში ნახშირორჟანგის შემცველობა ტყიან და უტყეო ადგილებში განსხვავებული უნდა იყოს. ტყე მნიშვნელოვანი რაოდენობით შთანთქავს ჰაერის ნახშირორჟანგს და ამით დიდ როლს ასრულებს ჰაერის ნახშირორჟანგის რეგულირებაში. გამოთვლილია, რომ ერთი ჰა შერეული ტყე ერთი წლის განმავლობაში ატმოსფეროდან საშუალოდ 15 ტონა ნახშირორჟანგს შთანთქავს და გამოყოფს 13 ტონა ჟანგბადს. საქართველოს ტყეები მთლიანად (2767,4 ათასი ჰა) წლიურად შთანთქავს 41,5 მლნ ტონა ნახშირორჟანგს და გამოყოფს 36,0 მლნ ტონა ჟანგბადს. ერთი ჰექტარი მწვანე ნარგაობა ერთი საათის განმავლობაში იმდენ ნახშირორჟანგს შთანთქავს, რამდენსაც 200 ადამიანი ამავე პერიოდში ამოისუნთქავს.

მაშასადამე, ტყე გარემოზე მრავალმხრივ დადებით გავლენასთან ერთად, აწესრიგებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობას, რაც თავის მხრივ რამდენადმე აფერხებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პრობლემას - გლობალური დათბობის პროცესს.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ჰაერში მტვრის კონცენტრაციის შემცველობის შემცირებას. მიწისპირა ტყეში უმეტესად

გვხვდება კვამლის, მიწისა და ორგანული წარმოშობის მტვერი. იგი შედგება მიწის უმცირესი ნაწილაკებისაგან, სამრეწველო-სატრანსპორტო წარმოების ნარჩენებისაგან, მიკროორგანიზმების უმცირესი ნაწილაკებისაგან და სხვა. მტვრის ხანგრძლივი ზემოქმედების დროს ადამიანის სასუნთქი ორგანოები ქრონიკულად ავადდება. ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში ჰაერის დიდ რაოდენობას - 20 კბმ ისუნთქავს და თუ ეს ჰაერი მტვრიანია მის სასუნთქ ორგანოებში უამრავი მტვერი ხვდება, რაც შემდგომში მრავალი დაავადების გამომწვევი ხდება.

მტვრის ნაწილაკი, რომელიც ფილტვებში ხვდება, ფილტვების სხვადასხვა დაავადებას იწვევს. მტვერი ხელს უწყობს პათოგენური მიკროორგანიზმების გავრცელებას. მან შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მოწამვლა, ცხვირის ლორწოს ატროფია, ასთმა და სხვა მრავალი.

მტვერი ადამიანის ჯანმრთელობაზე არაპირდაპირ გავლენასაც ახდენს, საგრძნობლად ამცირებს მზის ულტრაიისფერი რადიაციის ინტენსივობას, ჰაერის გამჭვირვალობას, ცვლის იონიზაციის ხასიათსა და ხარისხს და ა.შ. ამიტომ გასაგებია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერის გამტვერიანების წინააღმდეგ ბრძოლას.

ჰაერის გამტვერიანებასთან ბრძოლის მრავალრიცხოვან საშუალებათა შორის ტყეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი ასრულებს ჰაერის გამწმენდი ძლიერი ფილტრის ფუნქციას. ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 30-70 ტონა მტვერს ფილტრავს. მაგალითად: ერთი ჰექტარი ნაძვის კორომი ყოველწლიურად ფილტრავს 32 ტონა მტვერს, ფიჭვის კორომი - 36 ტონას, მუხის კორომი - 56 ტონას, წიფლის კორომი - 68 ტონას.

მთლიანად საქართველოს ტყეები ყოველწლიურად დაახლოებით 180-190 მლნ ტონამდე მტვერს ფილტრავს. საქართველოს ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების (ტყეში ველურად იზრდება დაახლოებით 400-მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გვარსა და 56 ოჯახში) მეტად მრავალმხრივი სპექტრის (იხ. ნახ. 1) გათვალისწინებით და ზემოთ მოტანილი მონაცემების მიხედვით ჩვენს მიერ მიახლოებით გამოთვლილი იქნა საქართველოს ტყის მცენარეთა ზოგიერთი სახეობის მიერ ყოველწლიურად გაფილტრული ჰაერის მტვრის რაოდენობა (იხ. ცხრ. 1).

საქართველოს ტყით დაფარული ფართობების განაწილება ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობების მიხედვით (ნ. გიგაური, 2000).

ნახ. 1.



1 - წიფელი - 45%

2 - მუხა - 10%

3 - რცხილა - 9%

4 - მურყანი - 7%

5 - სოჭი - 7%

6 - ნაძვი - 5%

7 - ფიჭვი - 4%

8 - წაბლი - 4%

9 - არყი - 3%

10 - დანრჩენი მერქნიანი სახეობები და ბუჩქები - 6%

ცხრილი 1

საქართველოს ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობებით გაფილტრული ჰაერის მტვერის რაოდენობა

კორომების სახეობა	1 ჰა კორომით გაფილტრული მტვერი წელიწადში, ტ.	კორომების ფართობი, მლნ ჰა	მთელი კორომებით ყოველწლიურად გაფილტრული ჰაერის მტვერი, მლნ. ტ
მუხნარი	56	0,277	15,5
ნაძვნარი	32	0,138	4,4
სოჭნარი	61	0,111	6,8
ფიჭვნარი	36	0,111	4,0
წიფლნარი	68	1,245	84,6

როგორც მონაცემებიდან ჩანს, გარემოს გაბინძურების ხარისხის შემცირების თვალსაზრისით, შესწავლილი სახეობებიდან პირველ რიგში გამოირჩევა წიფლნარი, რომლის 1 ჰა ყოველწლიურად 68 ტონამდე ჰაერის მტვერს ფილტრავს, რაც ამ მცენარეებით დაკავებულ მთელ ფართობზე შეადგენს 84,6 მლნ ტონას. ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ნაძვნარი - შესაბამისად 32 ტ და 4,4 მლნ ტ. ეს გარემოება ჩვენი აზრით, სხვა ფაქტორებთან ერთად დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეთა სახეობების ბიოლოგიურ თავისებურებებთან.

მაშასადამე, ქალაქების, სამრეწველო ცენტრების, თუ სხვა დასახლებული ადგილების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისა და გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს მცენარეთა და, უპირველეს ყოვლისა, ტყის მერქნიან მცენარეთა უდიდესი როლი გარემოს მავნე ნივთიერებებისაგან დაცვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ამაღლების საქმეში.

ლიტერატურა:

1. გიგაური გ. საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბილისი, 2000.
2. გეგეჭკორი ა. ბუნება შემოქმედია. მერიდიანი, თბილისი, 1997.
3. ნახუცრიშვილი გ. საქართველოს ძირითადი ბიომები. საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება. I ეროვნული კონფერენციის მასალები. თბილისი. 2000.
4. სუპატაშვილი გ. ქაჯაია, გ. გარემო და ადამიანი. თსუ, თბილისი, 2001.
5. ფოჩხუა ა. ბუნებისმცოდნეობის საფუძვლები. განათლება, თბილისი, 1986.
6. ქაჯაია გ. გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები. ინტელექტი, თბილისი, 2008.
7. Каджая Г.Ш. Некоторые особенности антропогенного водействия на окружающую среду Грузии. Бат. Бежд. науч. семинара. Экотоксикологическая оценка риска загрязнения окружающей среды Кавказа. Ереван, 2002.
8. Сафаров И.С., Олисаев В.А. Леса Кавказа. Социально-экологические функции. ИР, Владикавказ, 1991.

ინფლაციის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

ნათია არჩუაძე, ცირა ჩიხლაძე, უშანგი ცაცებაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ ურთულეს და უმწვავეს მოვლენას – ინფლაციას. შევეცდებით შემლებისდაგვარად გაგაცნოთ ინფლაციის არსი, მისი წარმოშობის მიზეზები, სახეები, დაძლევის მეთოდები, შემოგთავაზებთ ჩვენეულ მოსაზრებებს და, ბოლოს, დასკვნას არსებული პრობლემის შესახებ. საკითხები განხილულია ისტორიულ ჭრილში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ინფლაციების მაგალითებით. ასევე გაგაცნობთ თანამედროვე საქართველოში არსებულ ინფლაციას, მის მიმდინარეობას და თავისებურებებს, რაც ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ქართველისთვის.

ტერმინი "ინფლაცია" წარმოშობილია ლათინური სიტყვისგან – inflatio, რაც პირდაპირი მნიშვნელობით "გაბერვას" ნიშნავს. ინფლაცია ფასების საერთო დონის მომატებაა, რაც ფულის გაუფასურებაში ჰპოვებს ასახვას და გამოწვეულია მიმოქცევაში იმაზე მეტი ფულის მასის არსებობით, ვიდრე ეს სჭირდება ქვეყანაში არსებულ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას. ინფლაცია თანამედროვე ეპოქის საფინანსო-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ერთ-ერთი უმძიმესი დაავადებაა. იგი საშიში და მძიმე გახდა მას შემდეგ, როცა ქაღალდის ფულადი სისტემა საყოველთაოდ და შეუქცევადად დამკვიდრდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

XVIII, XIX და XX საუკუნის დასაწყისში, როცა მიმოქცევაში იყო ოქროს მონეტები, ინფლაციას განმარტავდნენ, როგორც ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც წარმოიშობოდა მიმოქცევაში ქაღალდის ფულის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, იწვევდა ქაღალდის ფულის ნიშნების გაუფასურებას, საცალო ფასების ზრდას და მოსახლეობის უფართოესი მასების საარსებო პირობების გაუარესებას. დღეისთვის, ინფლაციის არსის გაგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მისი როგორც ფასების საერთო დონის აწევასთან დაკავშირებულ მოვლენას.

ნათქვამია, "სატანას რაც არ უნდა დაარქვა, მაინც სატანაა." ვფიქრობთ, ასეთი ვითარებაა ინფლაციასთან დაკავშირებითაც: რას დავარქმევთ ინფლაციას, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთვარია ვიცოდეთ, რა წარმოშობს მას, რა ვითარებაში და როგორ ფუნქციონირებს ის და რა მეთოდებით შეიძლება მასთან ბრძოლა, მისი დაძლევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVIII, XIX და XX საუკუნეების იმ პერიოდებში, როდესაც მიმოქცევაში იყო ოქროს (ან ვერცხლის) ფული მონეტების სახით, ინფლაციას განმარტავდნენ, როგორც ქაღალდის ფულის ჭარბად გამოშვებას ლათინურ ფულთან შედარებით, რომლის დროსაც უფასურდება ქაღალდის ფულის ნიშნები.

ქაღალდის ფულის მიმოქცევაში დიდი რაოდენობით გაშვებით გამოწვეული ინფლაციების ბუმს ადგილი ჰქონდა I მსოფლიო ომის პერიოდში და მის შემდგომ პირველ წლებში. მეომარი სახელმწიფოები თავის მზარდ, კოლოსალურ სამხედრო ხარჯებს აფინანსებდნენ ქაღალდის ფულის შეუზღუდავი ბეჭდვის ხარჯზე, რამაც გამოიწვია მიმოქცევის არხების არნახული გადავსება ქაღალდის ფულით, მათი გაუფასურება და მიმოქცევიდან ოქროსა და ვერცხლის ფულის განდევნა. ყველაზე დიდ ინფლაციას, მიმოქცევაში დიდი რაოდენობით ქაღალდის ფულის ნიშნების გამოშვებას, I მსოფლიო ომის პერიოდში ადგილი ჰქონდა გერმანიაში. თუ როგორ იყო გაუფასურებული გერმანული მარკა და ადამიანების საარსებო პირობები, ჩანს იქიდანაც, რომ ბერლინელი მუშის ერთი თვის ხელფასით შეიძლებოდა მხოლოდ 1 ღერი სიგარეტის ყიდვა. ცნობილი ქართველი მეცნიერ-ფინანსისტის, ნიკოლოზ ქოიავას განცხადებით, ინფლაცია, გერმანული მარკის გაუფასურება, ისეთი თავბრუდამხვევი ტემპებით მიმდინარეობდა, რომ ბერლინისა და იენის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები ხელფასს რომ აიღებდნენ, სასწრაფოდ გარბოდნენ რაიმეს შესაძენად, რადგან რამდენიმე საათის შემდეგ იგივე საქონელი მარკის გაუფასურების დაჩქარებული ტემპების გამო კიდევ უფრო ძვირდებოდა.

პირველი, რომელმაც ინფლაცია დააკავშირა ფულის რაოდენობის გარდა, ფასებისა და რეალური წარმოების დონესთან, იყო ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი, ირვინგ ფიშერი. მან ფულის ინფლაციის ფორმულაც კი შექმნა, რომლითაც ინფლაციის მიზეზად ფულის რაოდენობა გამოდის, საქონელთა ფასების მოძრაობა კი როგორც შედეგი: MV=PQ , სადაც M-არის ფულის მასა (ფულის რაოდენობა მიმოქცევაში), V-ფულის მიმოქცევის სისწრაფე, P-საქონელთა ფასების დონე, Q-რეალური წარმოების დონე (ფიზიკური მოცულობა მიმოქცევაში არსებული საქონლისა). ფიშერის ფორმულით დგინდება კანონზომიერება, რომ ქაღალდის ფულის მიმოქცევის დროს ინფლაციის მთავარი მიზეზი მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობაა, ხოლო ფასების ზრდა – შედეგი.

განცხადება იმისა, რომ ინფლაცია გამოწვეულია ქაღალდის ფულის დიდი რაოდენობით გამოშვებით სწორია, მაგრამ არასაკმარისი. ხშირად თავად ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება შედეგია სხვა ფაქტორების, სხვა მიზეზების, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე ინფლაციის გამომწვევ მიზეზთა ვეება პაკეტს ქმნიან. ინფლაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: 1.ფასების ზრდა ერთი და იმავე დასახელების და ერთი და იმავე ხარისხის საქონელზე, რაც იწვევს მიმოქცევაში ფულის ნიშნების დამატებით გამოშვებას (ასე იყო ბრაზილიაში, არგენტინაში, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც). 2. ხელფასების დაუსაბუთებელი, ეკონომიკურად გაუმართლებელი გადიდება, რაც იწვევს მიმოქცევაში ფულის ნიშნების დამატებით გამოშვებას. 3. ინვესტიციების ზღვარგადასული მასშტაბები, რომლებიც წლობით და ათეულ წლობით ყინავენ ფინანსურ სახსრებს მშენებლობებში და უკუგებებს იძლევიან ძალზე დიდი ხნის შემდეგ ან საერთოდ არ იძლევიან უკუგებას, რაც იწვევს მიმოქცევაში ფულის ნიშნების დამატებით გამოშვებას. 4. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბიუჯეტის დეფიციტი მასშტაბურია და ქრონიკული. დეფიციტის შევსებისთვის მთავრობა კრედიტს იღებს სახელმწიფო ბანკისგან, რაც იწვევს მიმოქცევაში დამატებითი ფულის გამოშვებას. 5. საკრედიტო ექსპანსია, როცა სახელმწიფო ბანკი და კომერციული ბანკები ფართოდ იძლევიან კრედიტებს სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე და ანგარიშს არ უწევენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას თუ მოსახლეობის მსყიდველობით შესაძლებლობებს, რაც იწვევს მიმოქცევაში ფულის ნიშნების დამატებით გამოშვებას (ასე იყო საქართველოში 1992-94 წლებში). 6. სამხედრო და სხვა ხარჯების მზარდი მასშტაბები, რომლებიც, მართალია, ქმნიან დამატებით ეკონომიკურ მოთხოვნას, მაგრამ ვერ ხვდებიან შემხვედრ საქონლურ ნაკადებს. 7. ეკონომიკის პარალიზება (ან განუვითარებლობა) თავისი უმძიმესი შედეგებით უბიძგებს მთავრობას სხვადასხვა ხარჯები გაისტუმროს არა გადასახადების მოზიდვის გზით, არამედ ფულის საბეჭდი დაზგის აჩქარებით.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ინფლაციისა (რა თქმა უნდა, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია ამ პატარა ნაშრომში) ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების შედეგად წარმოშობილი მოვლენებისა, რომლებიც ხელისუფლების სწორი თუ არასწორი პოლიტიკით არიან ინსპირირებულნი, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ამა თუ იმ ქვეყნის ინფლაციურ პროცესებზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ საშინაო მოვლენები, არამედ საგარეოც და თანაც არანაკლები სიმძაფრით და მასშტაბებით, ვიდრე საშინაო.

როგორც ადამიანის ავადმყოფობა არ არის მხოლოდ ერთი სახის და ერთი ფორმის, ასევე ეკონომიკის ავადმყოფობა – ინფლაციაც არ არის მხოლოდ ერთი სახის და ერთი ფორმის. მისი გამომწვევი ფაქტორები, მათი სიმრავლე და სხვაობა, ინფლაციით ინფიცირებული ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური და სხვა თავისებურებებით განაპირობებენ ინფლაციის სხვადასხვა სახეს, სხვადასხვა სიმძაფრეს, სხვადასხვა ხანგრძლივობას. შესაბამისად, მათი ზემოქმედებაც ერთობლივი პროდუქტის წარმოებაზე, განაწილებაზე, გაცვლასა და მოხმარებაზე სხვადასხვაა.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ფულის გაუფასურების დონე და მასშტაბები, ინფლაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. თავისი სიმძაფრის, მასშტაბებისა და ტემპების მიხედვით არჩევენ ინფლაციის არაერთ სახეს, რომელთაგან მთავარია შემდეგი: 1. ღია ინფლაცია, 2. ფარული ინფლაცია, 3. ნორმალური ინფლაცია, 4. ზომიერი ინფლაცია, 5. ჭენებითი ინფლაცია, 6. ჰიპერინფლაცია.

ღია და ფარული ინფლაციის სახეობებს განსაზღვრავს ხელისუფლების მიერ ფასების ზრდის ან სტაბილურობის გამჭვირვალების ხარისხი, დონე. ინფლაციის დანარჩენ სახეობებს კი განსაზღვრავს ინფლაციის სიმძაფრის, ინტენსივობის მასშტაბები და დონე.

1. ღია ინფლაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა ფასები აშკარად და სისტემატიურად იზრდება, ხოლო ფულის ეროვნული ნიშანი აშკარად და სისტემატიურად უფასურდება, ეცემა მისი კურსი. 2. ფარულ ინფლაციას (მას მეორენაირად დათრგუნულ ინფლაციას უწოდებენ) ადგილი აქვს მაშინ, როცა ხელისუფლება ყინავს ფასებს, ხელფასებს, სხვა ფიქსირებულ შემოსავლებს და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში ამყარებს ეროვნული ვალუტის კურსის მოჩვენებით სტაბილურობას. ასეთ ვითარებაში ქვეყანაში წარმოიშობა საქონელთა მწვავე დეფიციტი, რომელიც თავის მხრივ ბიძგს აძლევს "შავ" ბაზარს, სადაც ფასები სპეკულატურად იზრდება, რაც აუფასურებს მოსახლეობის უფართოესი

მასების ხელფასებს, სტიპენდიებს, პენსიებს, ანაბრებს და სხვა ფიქსირებულ შემოსავლებს. 3. ნორმალური ინფლაცია (ფულის რაოდენობის ზრდა მიმოქცევაში, სავალუტო კურსის დაცემა, ფასების ზრდა) ეწოდება ისეთ ინფლაციას, რომლის დროსაც მისი ზრდის ტემპი წლიურად არ აღემატება 3-3,5%-ს. აღნიშნული მასშტაბების ინფლაცია-ავადმყოფობა ითვლება არა მარტო თანამგზავრად თვით მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკებისათვის, არამედ მის ერთგვარ დადებით ინექცია-სტიმულატორადაც, რომელიც ბიძგს აძლევს ეკონომიკის ტემპების ზრდას და ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური კონიუნქტურის შექმნას. 4. ზომიერ ინფლაციას (მას ხშირად უწოდებენ მცოცავ ინფლაციასაც) ადგილი აქვს მაშინ, როცა მისი ზრდის ტემპი არ აღემატება წლიურად 10%-ს. ამ დროს ფასები ნელა იზრდება. აღნიშნული სახის ინფლაცია საშიში არ არის არც ეკონომიკისთვის, არც სოციალური ვითარებისთვის. ნორმალური ინფლაციის მსგავსად, ის წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების დაჩქარების ერთ-ერთ მძლავრ სტიმულატორს. 5. ჭენებითი ინფლაციის დროს ფასების დაჩქარებულ ზრდასა აქვს ადგილი, რომლის ამპლიტუდა მერყეობს 20%-დან 200%-მდე ფარგლებში წლიურად. აღნიშნული ინფლაციის დროს კონტროლს აღარ ექვემდებარება არც ფასები და არც ეკონომიკის განვითარება, იწყება სავალუტო კრიზისი, რომლის აღუკვეთაობის შემთხვევაში ეკონომიკური დეფორმაციები შეიძლება გადაიზარდონ სოციალურ-პოლიტიკურ კატაკლიზმებში. 6. ჰიპერინფლაციის დროს ფასები და ფულის მიმოქცევა, ფაქტიურად, თავის ნებაზეა მიშვებული. ქვეყანაში ურთულესი საფინანსო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისები ვითარდება. აღნიშნული სახის ინფლაციის დროს ფასები ასტრონომიული ტემპით ვითარდება და ფული ისე უფასურდება, რომ მოსახლეობა გაურბის მის მიღებას, ქვეყანაში კოტრდება საწარმოთა უდიდესი ნაწილი, უმუშევართა რიცხვი აღწევს შრომისუნარიანი მოსახლეობის 30-50%-ს, ღატაკდება მოსახლეობა, იწყება მასობრივი შიმშილი, მყარდება საქონლური გაცვლის ნატურალური ფორმა-ბარტერი. ასეთ მდგომარეობას საქართველოში ადგილი ჰქონდა 1992-95 წლებში, როდესაც ქვეყანაში მიმოიქცეოდა კუპონი, რომელიც გაუფასურდა, ქართული ვალუტის – ლარის შემოღებამ კი გამოასწორა მდგომარეობა.

ინფლაციის დადგენა ხდება სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილების საფუძველზე.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი), როგორც ინფლაციის დონის დამახასიათებელი მაჩვენებელი, ზომავს ფასებისა და ტარიფების საშუალო ცვლილებას იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც შეიძენს მოსახლეობა პირადი მოხმარების მიზნით. იგი გაიანგარიშება ფორმულით: Ic=(It-Ib)/Ib * 100, სადაც Ic არის სფი-ის პროცენტული ცვლილება საბაზისო წელთან, It-საანგარიშო წლის სფი, Ib-საბაზისო წლის სფი. როგორც წესი, საბაზისო წლის შერჩევა ხდება ყოველ 3 წელიწადში.

ჩვენ განვიხილეთ ინფლაციური დაავადებების სხვადასხვა სახეობა და, აქედან გამომდინარე, მათი დაძლევის მეთოდებიც სხვადასხვაა. ინფლაცია ეკოლოგიური საფრთხის მსგავსად კატაკლიზმებით და კატასტროფებით ემუქრება არამარტო ცალკეული ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზმებს, არამედ მთელ მსოფლიოს. აქედან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. არსებობს ინფლაციასთან ბრძოლის სხვადასხვა მეთოდი. მათგან უნდა აღინიშნოს: 1. რესტავრაცია, 2. დეფლაცია, 3. დევალვაცია, (აშკარა და ფარული) 4. რევალვაცია, 5. ნულიფიკაცია.

1. რესტავრაცია, როგორც ინფლაციის დაძლევის მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურება არ აღემატება წლიურად 5-10%-ს და ქვეყნის ეკონომიკური ორგანიზმი გამართულად მუშაობს. აღნიშნული მეთოდის დროს ხდება წარმოების გაფართოება, რაც იწვევს მიმოქცევაში დამატებითი საქონელთა მასების შესვლას, რომლებიც იწოვენ მიმოქცევაში ჭარბი რაოდენობით არსებულ ფულის ნიშნებს და მყარდება წონასწორობა ფულის ნიშნების რაოდენობასა და საქონლის რაოდენობას შორის. მტკიცდება ვალუტის კურსი, სტაბილურდება საცალო ფასები, იზრდება ხელფასების მსყიდველობითი უნარი და სხვა. 2.დეფლაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფულის ნიშნების გაუფასურების დონე 20%-ს აღემატება, ქვეყანაში საკმარისად დიდია როგორც საქონლის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, არასტაბილური ფასები და სხვა. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გამოუშვებდა დამატებით პროდუქციას მიმოქცევაში არსებული ფულის ჭარბი მასის დაბალანსებისთვის. ასეთ ვითარებაში მიმართავენ დეფლაციის მეთოდს, რაც გულისხმობს ზედმეტი ფულის ამოღებას მიმოქცევიდან ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცით, ხელფასების გაყინვით, გადასახადების გადიდებით, წარმოების ზრდით, ფასების ჯერ სტაბილიზაციით, შემდეგ კი შემცირებით, ფულის ნიშნების ემისიის შეკვეცით და სხვა. 3. დევალვაცია ეწოდება ვალუტის განმტკიცების მეთოდს, რომლითაც საბოლოო ჯამში ხდება ინფლაციის დაძლევაც, დევალვაციის დროს მცირდება მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულის ოქროს შინაარსი (თუ ასეთი აქვს), ან მისი კურსი სხვა ქვეყნების

ვალუტებთან (მაგ: აშშ-ს დოლართან). შედეგად იაფდება ქვეყნის ნაწარმი, იზრდება ექსპორტი, იზრდება მისი სავალუტო რეზერვები და ა.შ. დევალვაცია 2 სახისაა – აშკარა და ფარული.

აშკარა დევალვაციის დროს მისი განმახორციელებელი ქვეყანა ოფიციალურად აცხადებს, რომ ამა და ამდენი პროცენტით მცირდება მისი ფულადი ერთეულის ოქროს შინაარსი ან საბაზო ვალუტასთან შედარებით მისი კურსი.

ფარული დევალვაციის დროს მისი გამტარებელი ქვეყანა აცხადებს, რომ ახალი ფულადი ერთეული თავისი ოქროს შინაარსით მეტია ძველ ფულად ერთეულზე. ციფრობრივად ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით მოვლენას, დავინახავთ, რომ ახალი ფულადი ერთეულის ოქროს შინაარსი მნიშვნელოვნად ნაკლებია ძველზე, იმ ერთობლიობაზე, რომელთა ნაცვლადაც გამოვიდა ახალი.

4. რევალვაცია ვალუტის კურსის შეცვლის ისეთი ღონისძიებაა, რომლის დროსაც იზრდება მისი ოქროს შინაარსი ან მისი კურსი საბაზრო ვალუტასთან მიმართებაში. საკუთარი ვალუტის რევალვაციას ყველა ქვეყანა გაურბის, რადგან მისი ვალუტის კურსის გაზრდა აძვირებს მის ექსპორტს, ამცირებს კონკურენტუნარიანობას საგარეო ბაზრებზე და, საბოლოო ჯამში, ანულებს წარმოების ტემპებს. 5. ინფლაციის ნულიფიკაციური მეთოდი თეორიულად აღწერილია არაერთ გამოცემაში, მაგრამ პრაქტიკულად ის არ გამოიყენება თანამედროვე ეტაპზე. ეს გასაგებიცაა, ნულიფიკაციის დროს მოცემული ქვეყნის ვალუტა ისეა გაუფასურებული, რომ ის მთლიანად უქმდება, რასაც ვერც ერთი თანამედროვე ხელისუფლება ვერ გაბედავს, რადგან ის გამოიწვევს მასობრივ სოციალურ და პოლიტიკურ ბატალიებს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც მოხდა გამოშვებული ქაღალდის ფულის ნიშნების ყოველგვარი გადაცვლის გარეშე გაუქმება, იყო XVIII ს-ის დასაწყისისა და დასასრულის საფრანგეთი, სადაც 1719 წელს და 1794 წელს მოხდა გაუფასურებული ქაღალდის ფულის არამარტო მთლიანი გაუქმება, არამედ გამძვინვარებულმა ბრბომ საჯაროდ დაამტვრია და მდინარე სენაში გადაყარა ის საბეჭდი დაზგები, რომლეზეც მზადდებოდა გაუფასურებული ფული.

მიუხედავად იმისა, რომ უახლესმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ და ეკონომიკურმა პრაქტიკამ არაერთი ეფექტური მეთოდი და საშუალება შეიმუშავა ინფლაციის წარმოშობის მიზეზების აღმოჩენის (დადგენის), მისი სახეების განსაზღვრის, მათი დაძლევისა და მათი მართვის შესახებ, ინფლაციის საბოლოო აღმოფხვრა ვერადავერ ხერხდება. დღეისათვის მისით ინფიცირებულია, როგორც ეკონომიკურად მაღალგანვითარებული, ისე სუსტად განვითარებული ქვეყნები, საზოგადოებისათვის მან ისეთი საშიში და უკურნებელი სენის ხასიათი მიიღო, რომ ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი მას ეკონომიკურ სპიდსაც კი უწოდებს...

ინფლაცია არის დღევანდელ საქართველოშიც. საქართველო დღეს ანტიინფლაციური პოლიტიკის შემუშავების პროცესშია, რასაც გარდამავალი ეკონომიკის მთელი რიგი თავისებურებანი განაპირობებს. მიმდინარეობს ანტიინფლაციურ ღონისძიებათა ტრადიციული ფორმების დახვეწა და ახალი მეთოდების ძიება. საერთოდ, დღევანდელი საქართველოს პირობებში, ერთნიშნა (ზომიერი) ინფლაცია რეალურად მიღწევადია, რაც აუცილებელია ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების წარმოქმნისა და ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

საქართველომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველა ტიპის ინფლაცია გამოსცადა. საინტერესოა, ახლა რასთან გვაქვს საქმე? არსებულ რეალობას შეუძლებელია, ზომიერი ინფლაცია დაარქვა, თუმცა ქვეყანაში არსებული ინფლაცია არც სწრაფად მზარდია და, მით უმეტეს, შორს ვართ ჰიპერინფლაციის სიტუაციიდან. სინამდვილეში, ამჟამად საქართველოში არსებულ ინფლაციას, რეალობიდან გამომდინარე, მეტნაკლებად ზომიერი, თუმცა სწრაფად მზარდისკენ "მიდრეკილი" ეთქმის.

ინფლაციის მთავარ მიზეზად გვევლინება სურსათზე მაღალი ფასები, რაც პირველ რიგში გამოწვეულია გარე ფაქტორებით, კერძოდ, მაღალი საერთაშორისო ფასებით. მსოფლიოში არასდროს ყოფილა ასეთი მაღალი ფასები, რაც 2010 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი ბუნებრივი სტიქიების და მთელი რიგი ქვეყნების მიერ სასურსათო პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვითაა გამოწვეული. ჩვენი ინფლაცია იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენი სამომხმარებლო კალათა ორიენტირებულია ძირითადად სასურსათო საქონელზე. მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში კალათის შემადგენლობა განსხვავებულია და 10%-ზე ნაკლებს შეადგენს.

ასე, რომ ინფლაცია თანამედროვე ეტაპზე მაკროეკონომიკური დაავადებაა. იგი მოდებულია ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს, ყველა დარგსა და ყველა უჯრედს, ანგრევს ეკონომიკას, აღატაკებს ქვეყანას, ამშევს მოსახლეობას. საჭიროა მისი სასწრაფოდ მკურნალობა და აღმოფხვრა. ვფიქრობთ, რომ ამ ეკონომიკური შიდსის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისთვის საჭიროა, როგორც ცალკეული ქვეყნების მასშტაბით, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალისხმევა. პოლიტიკოსთა უმრავლესობა გამოთქვამს აზრს, რომ ლარის კურსი მყარია და ინფლაცია არ არის საქართველოში, მაგრამ ეს ხომ ხალხის მოტყუება და თვალებში ნაცრის შეყრაა. ჩვენი აზრით, ჭირი კი არ

უნდა ვმალოთ, არამედ სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ, გავაცნოთ არსებული პრობლემა საზოგადოებას, მოვისმინოთ ამ საკითხში კომპეტენტური პირების შეხედულებები და ყველამ ერთად ვიბრძოლოთ ინფლაციის შესაჩერებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ისე დაასუსტებს ქვეყანას, რომ შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის საკითხიც კი. დღევანდელ ინფიცირებულ საქართველოს კი, როგორც "დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა", ისე სჭირდება საქმის ღრმად მცოდნე, მრავალმხრივ განათლებული და დიდი მოქალაქეობრივი ზნეობის და პრინციპების მქონე ფინანსისტები და ბანკირები, მათი პროფესიონალური ხედვები, მათი საქმეები და მოღვაწეობები. ასეთი ადამიანები დღევანდელ საქართველოში საკმარისად ბევრია, მთავარია, მათ უნარსა და ნიჭს ხელისუფლებამ ფართო გზა მისცეს, შექმნას სახელმწიფოებრივი კადრების სელექციის ცივილიზებული სისტემა, წამოწიოს წინ ღირსეულები და დაუჭიროს მათ მხარი. ასეთ ვითარებაში, ქვეყნისათვის სულაც აღარ იქნება საშიში და უბედურების მომტანი, არც ინფლაცია და არც სხვა რაიმე საფინანსო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ჩავარდნა, დაცემა, კრიზისი.

ლიტერატურა:

1. შოთა ქისტაური, "ინფლაცია", თბილისი-გორი, 2000;
2. ნანული ქოქაშვილი, "სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში", გორი, 2009;
3. www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/inflation.pdf

საიუბილეო მონეტები საქართველოში

თამარ ბედოშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე საბანკო სისტემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა. ქვეყნების უმრავლესობაში და, მათ შორის, საქართველოშიც, საბანკო სისტემა ორ საფეხურიანია: ცენტრალური ბანკი და კომერციული ბანკები. ცენტრალური ბანკი არის ორგანო, რომელიც მართავს და არეგულირებს ქვეყნის საბანკო სისტემას. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და მისი სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919 წელს შეიქმნა. თუმცა, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, 1991 წლიდან არსებობს. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის, უფლება-მოვალეობები, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით. მისი ძირითადი ფუნქციებიდან ერთ - ერთს წარმოადგენს მონეტების ემისია.

დაახლოებით 27 საუკუნეა, რაც ადამიანმა ლითონის ფული - მონეტა გამოიგონა. მონეტა წარმოიშვა ძვ.წ VIII – VII სს. მიჯნაზე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ძველი სამყაროს ორ პუნქტში: მცირე აზიის სახელმწიფო ლიდიაში და კუნძულ ეგინაზე (საბერძნეთი). ლიდიის მონეტები ელექტრუმისაგანაა (ვერცხლისა და ოქროს შენადნობი), ხოლო ეგინასი - ვერცხლისგან არის მოჭრილი.

საქართველო სამონეტო ცივილიზაციის ერთ - ერთი უძველესი კერაა. აქ მონეტების ემისია დაიწყო ძვ.წ. VI ს. უძველესი ქართული მონეტაა „კოლხური თეთრი" (ძვ. წ VI ს.).

მონეტები ქვეყნის მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენენ. ერთი შეხედვით „ცივ და მუნჯ" ლითონის ნაჭრებს „ამეტყველება" და წარსულის აღდგენა შეუძლიათ. ისინი ნათლად ასახავენ ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ და გმირულ ისტორიას. ქართული მონეტები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალმხატვრული დონით. თუმცა, ჯერ რუსეთის იმპერიის და, მერე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის გამო, 1834 წლიდან ქართული მონეტების მოჭრა შეჩერდა. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის, საქართველოს ეროვნული ბანკის შექმნის და ეროვნული ვალუტის შემოღების პარალელურად, 1993 წლიდან ისევ დაიწყო მონეტების მოჭრა. მონეტებს, ძირითადად, საგადამხდელო საშუალებად გამოყენების მიზნით ჭრიან, თუმცა ზოგიერთი მონეტა სხვა მიზნითაც შეიძლება გამოუშვან. ასეთებია ნუმიზმატიკური ფასეულობების მქონე საკოლექციო დანიშნულების

სპეციალური მონეტები და საინვესტიციო მონეტები. ისინი არ წარმოადგენენ საგადამხდელო საშუალებას, მაგრამ მათი ემისია ცენტრალური ბანკის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია სხვადასხვა წლების ემისიის ფულის ნიშნების, საიუბილეო მონეტებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სხვა პროდუქციის მუზეუმში შეძენის შესაძლებლობის შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწყებული პროგრამა ქვეყანაში ნუმიზმატიკური საქმიანობის გამოცოცხლებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ეგიდით დამზადებული სამახსოვრო მონეტების პოპულარიზაციის თვალსაზრისით. ამ კუთხით მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ, საკოლექციო დანიშნულების მონეტებიდან პირველი იყო 500 ლარის ნომინალის ოქროს მემორიალური მონეტა, რომელიც ეროვნულმა ბანკმა 1995 წელს გამოუშვა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად. 31 მმ დიამეტრის მქონე 17-გრამიანი მონეტები დამზადებულია 920 (22K) სინჯის ოქროსგან და მოჭრილია საფრანგეთის ზარაფხანაში მხატვარ ნოდარ მალაზონიას დიზაინის მიხედვით. სულ გამოშვებულია 2000 ცალი მონეტა და თითოეულ მათგანს წიბოზე აწერია საკუთარი ნომერი 0001/2000-დან 2000/2000-მდე. მონეტის რევერსზე მოცემულია ანტიფაშისტური კოალიციის სახელმწიფოთა მეთაურების (სტალინის, რუზველტის, ჩერჩილის, დე გოლის) ბარელიეფური გამოსახულებები.

2000 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტები გამოუშვა ორი საიუბილეო თარიღის – ქრისტეშობის 2000 წლის და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის აღსანიშნავად. თითოეული საიუბილეო თარიღისთვის მოიჭრა 10 ლარის ღირებულების სამი სახის მონეტა: ვერცხლი; სპილენძ-ნიკელი - ვერცხლისფერი; ბიმეტალური – შიდა რკალი ვერცხლისფერი, გარე ოქროსფერი.

ქრისტეშობის 2000 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად დამზადებული სამივე სახის მონეტის დიზაინი იდენტურია და ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომითა და წონით განსხვავდება. მონეტის ავერსის შუაგულში გამოსახულია ჰერალდიკური ფარი, მასზე დატანილი ჯვრებითა და ქრისტეს კვართით, კიდეზე წრიული ფორმით გასდევს წარწერა "ქრისტეშობიდან 2000 წელი".

საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღის აღსანიშნავად დამზადებული სამივე სახის მონეტის დიზაინიც იდენტურია და ავერსის შუაგულში გამოსახულია სვეტიცხოვლის ტაძრის არწივისა და ლომის ცნობილი ბარელიეფები (როგორც სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოები); კომპოზიციას კრავს ფოთლოვანი ორნამენტი და 7 ვარსკვლავი; კიდეზე წრიული ფორმით გასდევს წარწერა "საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წელი". მონეტები დამზადდა ინგლისის სამეფო ზარაფხანაში მხატვრების: ემირ ბურჯანაძისა და თინათინ თევზაძის ერთობლივი დიზაინის მიხედვით.

მონეტების გამოშვების თვალსაზრისით 2006 წელი საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ძალიან ნაყოფიერი იყო. 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავი 1 ლარის ნომინალის ვერცხლის სამახსოვრო მონეტა საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფიფას ერთობლივი პროექტია, რომლის ავერსის დიზაინის ავტორია საქართველოს ეროვნული ბანკის დიზაინერი ვიქტორია ქუთათელაძე, ხოლო რევერსის დიზაინის - რობერტ კოტოვიჩი. ავერსის ცენტრში საქართველოს ტერიტორიის რუკის კონტურისა და მასზე გაშლილი ხუთჯვრიანი დროშის გამოსახულებებია. ზედა ცენტრალურ ნაწილში ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი 1 და ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წარწერა "ლარი", ხოლო ქვედა ნაწილში გამოშვების წელი და ასევე ორენოვანი წარწერა - "საქართველო". რევერსის ცენტრში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის თასის გამოსახულებაა, მის ორივე მხარეს კი ფეხბურთელების ფიგურები. მონეტის ზედა მხარეს ინგლისურენოვანი წარწერაა "2006 FIFA WORLD CUP GERMANY", რომელიც აღნიშნავს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების წელსა და ქვეყანას. მონეტის წიბოზე ამოტვიფრულია ორენოვანი წარწერა "საქართველოს ეროვნული ბანკი". მონეტა საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით პოლონეთის ზარაფხანაში 2004 წელს მოჭრეს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის "დინამოს" გამარჯვების 25 წლის აღსანიშნავად 2006 წლის 13 მაისს გამოუშვა 2 ლარის ნომინალის ვერცხლისა და ნეიზელბერის (უბრალო ლითონი) საიუბილეო მონეტები. ვერცხლის მონეტა - 6000, ხოლო ნეიზელბერისა – 10 000 ცალი. ზომა-წონის მიხედვით ვერცხლის მონეტა მეტია ნეიზელბერისაზე, თუმცა დიზაინი მსგავსი აქვთ. დიზაინის ავტორია ეროვნული ბანკის დიზაინერი ვიქტორია ქუთათელაძე. მონეტის ავერსზე ცენტრში თასების თასის გრაფიკული გამოსახულებაა, მის ზემოთ ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წარწერაა "საქართველო". ქვემოთ მარცხენა მხარეს, ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი 2 და ორენოვანი წარწერა "ლარი". მარჯვნივ კი – გამარჯვების თარიღი "1981 წელი", ამასთან ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი "2" და გამარჯვების თარიღის პირველი ციფრი "1" შედარებით დიდი ზომისაა და მატჩის ანგარიშს – ორით ერთს (2:1) აღნიშნავს. რევერსზე მარჯვნივ და მარცხნივ ორი ფეხბურთელის ფიგურაა მოძრაობაში; მათ შორის ბურთის გამოსახულებაა, ქვემოთ კი საიუბილეო

თარიღის აღმნიშვნელი რიცხვი "25" და ორენოვანი წარწერა "წელი". ზედა ნაწილს ფარავს ასევე ორენოვანი წარწერა: "დინამო თბილისი ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი".

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წელს ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებასთან დაკავშირებით 3 ლარის ნომინალის ვერცხლისა და ნეიზელბერის სამახსოვრო მონეტები გამოუშვა: ვერცხლის - 5000 ცალი და ნეიზელბერის - 3000 ცალი. დიზაინის ავტორია მამუკა გონგაძე. მონეტები ეროვნული ბანკის დაკვეთით პოლონეთის ზარაფხანაში მოჭრეს. მონეტის ავერსზე გამოსახულია რეგიონის გეოგრაფიული რუკა, სამი ქალაქი (ბაქო, თბილისი, ჯეიჰანი) და ნავთობსადენის მარშრუტი; ზედა ნაწილში ორენოვანი წარწერაა - "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი", ხოლო ქვემოთ – "3 ლარი". ციფრი "3" სიმბოლურია და სამ ქვეყანას გამოხატავს.მონეტები პოლონეთის ზარაფხანაში – Mennica Polska – მოიჭრა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2008 წელს, პეკინის ოლიმპიადასთან დაკავშირებით გამოუშვა 20 ლარის ნომინალის ოქროსა და ვერცხლის სამახსოვრო მონეტები - "ოლიმპიადა. პეკინი 2008".

მონეტის მთლიანი კომპოზიცია წარმოადგენს ძველი ელინური ოლიმპიური თამაშებისა და თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობების ერთობას. მონეტები ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანაში მოიჭრა, ოქროს მონეტა - 1000 ცალი, ვერცხლი - 1500. მონეტის ავერსზე გამოსახულია ცეცხლის (ოლიმპიური) ალი კონტურული ნახაზით, როგორც ძველი ოლიმპიური მოძრაობის სიმბოლო და ძველი ბერძნული გრაფიკული გამოსახულება – ორი მორბენალი სპორტსმენი. მონეტის ზედა ნაწილში რკალის გასწვრივ განთავსებულია წარწერა - „საქართველო", ამოტვიფრულია სახელმწიფო გერბი და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ემბლემა. ასევე, ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი - 20 და შესაბამისი წარწერა „ლარი". მონეტას, ქვედა რკალის გასწვრივ, გასდევს ოლიმპიური მოძრაობის დევიზი ლათინურ ენაზე: „Citius,Altius,Fortius". მონეტის რევერსზე კი გამოსახულია ცეცხლის (ოლიმპიური) ალი და პეკინის ახალი უნიკალური ოლიმპიური სტადიონის კოლაჟები. მონეტის ზედა ნაწილში განთავსებულია ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის დასახელება - პეკინი, ხოლო ქვედა ნაწილში მონეტების ემისიის თარიღი.

2009 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა ილორის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი მიძღვნილი 10 ლარის ნომინალის ვერცხლის სამახსოვრო მონეტა. მონეტის დიზაინის ავტორები არიან: მამუკა გონგაძე (რევერსი) და თემურ აფხაძე (ავერსი). მონეტის ავერსზე, კავკასიონის ქედის ფონზე, წარმოდგენილია იტალიელი ბერის ქრისტოფორო დონ კასტელის XVII საუკუნის ჩანახატები – ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, სოფელი ილორი, მხედრები. მარჯვენა ნაწილში განთავსებულია წარწერა „საქართველო“ და გამოშვების წელი „2009“. მონეტის რევერსის შუაგულში გამოსახულია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია დღევანდელი სახით, ხოლო მის ქვედა ცენტრალურ ნაწილში კი ეკლესიის აშენების თარიღი რომაული ციფრით „XI–ს“. მონეტის წრის მარცხენა ნაწილში მოთავსებულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი - “10” და წარწერა - „ლარი“, ხოლო წრის ზედა ნაწილში გამოსახულია საქართველოს გერბი და წარწერა „ილორი“. წიბოზე ამოტვიფრულია წარწერა: საქართველოს ეროვნული ბანკი „National Bank of Georgia“.

საკოლექციო დანიშნულების მონეტებისაგან განსხვავებით, რომელთა ღირებულების დგინდება მათი გამოშვების ტირაჟის სიმცირის, სილამაზისა და მოჭრის ტექნოლოგიის მიხედვით, ზოგიერთი სახელწიფო ახორციელებს ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საინვესტიციო მონეტების ემისიას. ასეთი ტიპის მონეტები ქონების დაგროვების საუკეთესო საშუალებაა და მათი ტირაჟი ყოველწლიურად მილიონობით განისაზღვრება.

საინვესტიციო მონეტებს შორის ყველაზე დიდი მოთხოვნითა და პოპულარობით სარგებლობს ავსტრიის, ამერიკის, კანადის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკისა და ბრიტანეთის საინვესტიციო მონეტები. საინვესტიციო მონეტებს უშვებენ სტანდარტული წონებით 1 უნცია (31,103 გრ), 1/2 უნცია (15,55 გრ), 1/4 უნცია (7,78 გრ) და 1/10 უნცია (3,11 გრ).

პირველი ქართული ოქროს საინვესტიციო მონეტა "ოქროს საწმისი" მოჭრეს 2006 წელს ავსტრიის ზარაფხანაში, საქართველოს ეროვნული ბანკის დაკვეთით. 999,9 სინჯის ოქროსაგან დამზადებული 6 სხვადასხვა ნომინალის მონეტების დიზაინის ავტორია მამუკა გონგაძე. ყველაზე დიდია 1000 ლარის ნომინალის მონეტა, რომლის დიამეტრია 60 მმ და წონა – 311 გრ (10 უნცია); 300 ლარის ნომინალის მონეტის დიამეტრია 50 მმ და წონა – 155,5 გრ (5 უნცია); 100 ლარის ნომინალის დიამეტრია 37 მმ და წონა – 31,1 გრ (1/2 უნცია). 25 ლარის ნომინალის მონეტის დიამეტრია 22 მმ და წონა - 7,7 გრ (1/4 უნცია); ყველაზე პატარაა 10 ლარის ნომინალის მონეტა, რომლის დიამეტრია 16 მმ და წონა - 3,1 გრ (1/10 უნცია).

ქართული საინვესტიციო მონეტები დამზადებულია უმაღლესი ხარისხის ოქროსგან. მონეტების პირველი პარტიის მოსაჭრელად ეროვნულმა ბანკმა გამოიყენა საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ოქროს ზოდები. ამის შემდეგ კი ოქროს ლონდონის ბირჟაზე ყიდულობს.

ეროვნული ბანკის მთავარი მიზანია, ქვეყანაში სიმდიდრის შემოტანა და ამას ყველანაირად უწყობს ხელს. იგი მუშაობს სამახსოვრო მონეტების მოჭრის გრძელვადიან პროგრამაზე. როგორც წესი, სხვა ქვეყნებში საინვესტიციო მონეტა დამატებული ღირებულების გადასახადისაგან (დღგ) გათავისუფლებულია, რაც კიდევ უფრო ზრდის მასზე მოთხოვნას, ჩვენთან კი, სამწუხაროდ, საინვესტიციო მონეტები დღგ-ით იბეგრება. ქართული საინვესტიციო მონეტის დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლება ჩვენს კომერციულ ბანკებს რეალიზაციისა და მოგების გაზრდის შესაძლებლობას მისცემს.

საკოლექციო დანიშნულების მონეტების გამოშვების მიზანია ქვეყნის ისტორიის, ტრადიციებისა და კულტურის წარმოჩენა - სტიმულირება, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან ერთად, იგი კომერციულ ხასიათსაც ატარებს და ამიტომ ყოველი საკოლექციო დანიშნულების მონეტის მოჭრისას ცენტრალურმა ბანკმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნა. მონეტის დიზაინი და თემა ზუსტად უნდა ასახავდეს, ერთი მხრივ, ქვეყნისა და, მეორე მხრივ, კოლექციონერების ინტერესებს. მაქსიმალურად მიმზიდველი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც სასაჩუქროდ, ისე საინვესტიციოდ. ამასთან ერთად, უნდა შეირჩეს ამ მონეტის მოჭრის ზომიერი ლიმიტი. თითქმის, ყველა ქვეყნის ცენტრალურ ბანკში არსებობს მონეტების თემატიკის განმსაზღვრელი კომისია, რომელიც ასახავს ქვეყნისა და მსოფლიოსთვის საინტერესო თემებს.

ეროვნული ბანკი მონეტებს ყიდის საკუთარი ფულის მუზეუმის მეშვეობით. ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული საინვესტიციო თუ სამახსოვრო მონეტების შეძენა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, როგორც რეზიდენტს, ისე არარეზიდენტს. სამახსოვრო მონეტის გამოშვება გარკვეული ლიმიტითაა შეზღუდული. ნუმიზმატმა ეს იცის და სწორედ ამაშია სამახსოვრო მონეტების ეშხი.

ლიტერატურა:

1. მ. გოგოხია, „საბანკო საქმე“, თბ., 2008;
2. „საბანკო საქმე“, პროფ. ო. ი. ლავრუშინის რედაქციით, ქართული თარგმნის რედაქტორი პროფ: რ. შ. კაკულია, თბ., 1996;
3. ლ. ქოქიაური, „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“, ტ. I. თბ., 2004;
4. ნ. ტალახაძე, ლ. გიგაური, „ეკონომიკა XI-XII კლასი“, თბ 2007;
5. გ. ხელაია, „ფული, ბანკები და ბირჟები“, თბ., 1996;
6. რ. კაკულია, გ. ხელაია, „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბ., 2000.

ინტერნეტ–რესურსები

1. http://ka.wikipedia.org
2. http://www.nbg.gov.ge
3. http://webcache.googleusercontent.com

ეფექტური მოტივაცია წარმატებისათვის

ნინო ბერუაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **ლალი ბაიაძე,** ასოცირებული პროფესორი

მოტივაციას განვსაზღვრავთ, როგორც პროცესს, რომელიც მიზნის სწრაფვის დროს პიროვნების ინტენსიურობას, მიმართულებასა და შეუპოვრობას აძლევს ახსნას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოტივაცია საქმიანობისაკენ საკუთარი თავისა და სხვა პირების სტიმულირების პროცესია პირადი ან ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. მოტივაცია მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან – „მოტივი“, რომელიც გულისხმობს რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევ მიზეზებს, გადატანითი მნიშვნელობით კი მოსაზრებას, საბუთს რისიმე სასარგებლოდ.

გამოარჩევენ ე. წ. **შინაგან** და **გარეგან** მოტივაციას. შინაგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვა, რომელიც შიგნიდან არის გამოწვეული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების თუ

რაღაცის აღმოჩენის სურვილით. გარეგანი მოტივაცია არის კონკრეტული ქმედებისკენ სწრაფვა, რომელიც გამოწვეულია გარე ფაქტორებით, გარკვეული ჯილდოს ან აღიარების მოპოვების სურვილით.

მოტივაციის თეორიები ორ ძირითად ნაწილად იყოფა: **შინაარსობრივ** და **პროცესუალურ** თეორიებად.

მოტივაციის შინაარსობრივი თეორიები ეფუძნება იმ შინაგან მოთხოვნილებებს, რომლებიც აიძულებენ ადამიანებს იმოქმედონ ასე და არა სხვაგვარად. რაც შეეხება მოტივაციის პროცესუალურ თეორიებს, მათი საფუძველია ადამიანთა ქცევა მოვლენების აღქმისა და შემეცნებისაგან დამოკიდებულებით. მოტივაციის თეორიების განვითარება ატარებს ევოლუციურ ხასიათს და ამიტომ მთელ რიგ საკითხებში განსხვავების მიუხედავად, ისინი არ გამორიცხავს ერთიმეორეს.

მოტივაციის შინაარსობრივი თეორიების მიზანია ადამიანთა მოქმედების განმსაზღვრელი მოთხოვნილებების გამოვლენა. მოტივაციის თანამედროვე შინაარსობრივი თეორიის ფუძემდებლები არიან აბრაამ მასლოუ, დუგლას მაკგრეგორი, ფრედერიკ ჰერცბერგი და დევიდ მაკკლილანდი.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოტივაციის თეორია ა. მასლოუს საჭიროებათა იერარქიაა. ა.მასლოუმ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ ყოველ ადამიანში არსებობს საჭიროებათა ხუთი იერარქიული საფეხური:

1. ფიზიოლოგიური: შიმშილი, წყურვილი, თავშესაფარი, სექსი და სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი.
2. უსაფრთხოება: ფიზიკური და ემოციური ზიანისაგან თავდაცვა და უსაფრთხოება.
3. სოციალური: სიყვარული, მესაკუთრეობა, თანხმობა და მეგობრობა.
4. პატივისცემა: პატივისცემის შინაგანი ფაქტორები – საკუთარი თავის პატივისცემა, დამოუკიდებლობა და წარმატება, გარეგანი პატივისცემის ფაქტორები – სტატუსი აღიარება და ყურადღება.
5. თვითრეალიზაცია: სწრაფვა იმისკენ, რისი უნარიც აქვს ადამიანს, არის განვითარება შესაძლებლობების განხორციელება და თვითრეალიზაცია.

როცა ეს საჭიროება ძირითადად კმაყოფილდება, დომინანტური ხდება მომდევნო საჭიროება. ადამიანები უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, დაიკმაყოფილონ თავიანთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები შემდეგ კი უსაფრთხოების, სოციალური და პატივისცემის მოთხოვნილებები. მხოლოდ ყველა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ უჩნდებათ ადამიანებს თვითრეალიზაციისკენ სწრაფვა.

მოტივაციის მხრივ, ეს თეორია ამტკიცებს, რომ არცერთი საჭიროება არ კმაყოფილდება როდესმე სრულად. საფუძვლიანად დაკმაყოფილებული საჭიროება მოტივაციას აღარ ქმნის.

ა. მასლოუმ ხუთი საჭიროება მაღალ და დაბალ რანგებად დაჰყო. ფიზიოლოგიური და უსაფრთხოებების საჭიროებები დაახასიათა, როგორც დაბალრანგიანი საჭიროება, ხოლო სოციალური, პატივისცემისა და თვითრეალიზაციის საჭიროებანი მიჩნეულია მაღალი რანგის საჭიროებად. დიფერენციაცია ამ ორ რანგს შორის გააკეთა იმის საფუძველზე, რომ მაღალი რანგის საჭიროებები შინაგანად (პიროვნებაში) კმაყოფილდება, მაშინ, როდესაც დაბალი რანგის მოთხოვნილებები – გარედან (ანაზღაურებით).

მასლოუს საჭიროებათა თეორიამ ფართო აღიარება მოიპოვა, განსაკუთრებით, პრაქტიკოს მენეჯერებში. სამწუხაროდ, ეს თეორია კვლევებით არ არის განმტკიცებული. მასლოუ არ წარმოადგენს ემპირიულ მტკიცებულებებს და რამდენიმე კვლევამ, რონელიც მიმართული იყო ამ თეორიის საფუძვლიანობის განმტკიცებისკენ, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

მოტივაციის მეორე მოდელი დაამუშავა დ. მაკგრეგორმა. მან წარმოადგინა ორი განსხვავებული თეორია ადამიანის ბუნებაზე. თეორია X ძირითადად ასახავს ნეგატიურ წარმოდგენებს ადამიანის შესახებ, ხოლო თეორია Y კი – პოზიტიურ შეხედულებებს.

დ. მაკგრეგორი თვლიდა, რომ თეორია Y ზუსტად ასახავდა თანამშრომელთა ჭეშმარიტ ხასიათს და ორგანიზაციის საქმიანობა მასზე უნდა იყოს დაფუძნებული. აქედან გამომდინარე, მან დაასკვნა, რომ თანამშრომელთა მართვის პროცესში ჩართვა საინტერესო და საპასუხისმგებლო სამუშაოა, ასევე კოლექციის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მოტივაციას უმაღლებს თანამშრომლებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეორია X-ის მიმდევარმა ბევრმა ხელმძღვანელმა წარმატება მოუტანა ორგანიზაციას.

მოტივაციის კიდევ ერთი თეორია, რომელთაც ეკუთვნის დ. მაკკლილანდს, აქცენტს აკეთებს უმაღლესი დონის მენეჯერებზე. დ. მაკკლილანდის თეორიის მიხედვით, არსებობს სამი ძირითადი მოტივი, ანუ ადამიანებს ახასიათებს სამი ძირითადი მოთხოვნილება:

1. წარმატების საჭიროება (nAch): სხვებზე უკეთესად საქმის კეთების სურვილი, რთული დავალებების შესრულების სურვილი, დიდი წარმატების მიღწევის სურვილი.

2. ძალაუფლების საჭიროება (nPow): სხვა ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენის სურვილი, მათ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღების სურვილი.
3. ურთიერთობის საჭიროება (nAff): ადამიანური ურთიერთობის აწმყო მეგობრული ატმოსფეროს შექმნის სურვილი.

გამოკვლევების შედეგად მან გააკეთა დასკვნა, რომ წარმატებაზე ორიენტირებული ინდივიდი ცდილობს იყოს გამორჩეული მასისაგან. ის თავს კომფორტულად გრძნობს სიტუაციაში, როცა მის წინაშე დგას რთული დავალება და მისი შესრულების ალბათობაა 50/50 . ასეთ დროს ის იღებს სიამოვნებას სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის.

ძალაუფლებაზე ორიენტირებული ინდივიდი იღებს კმაყოფილებას სხვისი მართვით. იგი ცდილობს მიაღწიოს მართვის იერარქიის მწვერვალს. უფრო მეტიც, უმეტესობას ძალაუფლების სურვილი მკვეთრად გამოხატული აქვთ.

ინდივიდი, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთობებზე, ცდილობს ააწყოს ადამიანური ურთიერთობები, იგი უპირატესობას ანიჭებს კოლექტიურ და გუნდურ მუშაობას. მისთვის მიუღებელია პირადი კონკურენცია და ცდილობს ურთიერთობების დამყარებას ურთიერთგაგებაზე.

მოთხოვნილებებზე დაფუძნებული კიდევ ერთი მოდელი დაამუშავა ფ. ჰერცბერგმა 50-იანი წლების მეორე ნახევარში. ფ. ჰერცბერგის ორფაქტორიან თეორიას, რომელსაც ასევე მოტივაცია-ჰიგიენის თეორიას უწოდებენ, საფუძვლად დაედო მისი და მისი მიმდევრობის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მასალები. ჰერცბერგი იკვლევდა საკითხს: „რა უნდათ ადამიანებს თავიანთი სამსახურისაგან?“ მან ადამიანებს სთხოვა, რომ დაწვრილებით აღეწერათ სიტუაციები სამსახურში, რომელშიც ისინი განსაკუთრებულად კარგად ან ცუდად გრძნობდნენ თავს.

ფ. ჰერცბეგმა მიღებული პასუხები დაჰყო ორ ჯგუფად, რომელთაც მან უწოდა „ჰიგიენური ფაქტორები“ და „მოტივაცია“. ჰიგიენურ ფაქტორებში ფ. ჰერცბერგმა გააერთიანა ფირმისა და ადმინისტრაციის პოლიტიკა, მუშაობის პირობები, გამომუშავება, პიროვნებათშორისი ურთიერთობები უფროსებთან, კოლეგებთან, ხელქვეითებთან, სამუშაოზე უშუალო კონტროლის დონე, ხოლო მოტივაციაში – წარმატება, დაწინაურება, მუშაობის შედეგების აღიარება და მოწონება, პასუხისმგებლობის მაღალი დონე, შემოქმედებითი და საქმიანი ზრდის შესაძლებლობები.

ფ. ჰერცბერგის ჰიგიენური ფაქტორები დაკავშირებულია იმ გარემოსთან, რომელშიც სრულდება სამუშაო, მოტივაცია კი – თვითონ სამუშაოს ხასიათთან და არსთან. ფ. ჰერცბერგის თანახმად, ჰიგიენური ფაქტორების არარსებობის ან დაბალი დონით არსებობის პირობებში ადამიანს უჩნდება სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ამასთან საჭირო ოდენობის ჰიგიენურ ფაქტორებს არ შეუძლიათ თვითონ გამოიწვიონ მუშაობით დაკმაყოფილების გრძნობა ან ადამიანის მოტივაცია. ამისგან განსხვავებით მოტივაციის არარსებობა ან მისი არასათანადო დონე არ იწვევს სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, მაგრამ მათი არსებობა უზრუნველყოფს მუშაკის დაკმაყოფილებას და მის მოტივაციას ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ფ. ჰერცბერგის თეორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოტივაციის შესწავლაში, მაგრამ ვერ შეძლო მოტივაციაზე მოქმედი ყველა ფაქტორის გათვალისწინება. შემდგომში მკვლევართათვის ნათელი გახდა, რომ მოტივაციის მექანიზმის ასახსნელად აუცილებელია გარესამყაროს მრავალრიცხოვანი ქცევითი ასპექტებისა და პარამეტრების განხილვა. ასეთი მიდგომის რეალიზაცია განაპირობა მოტივაციის პროცესუალური თეორიების შექმნამ.

მოტივაციის პროცესუალური თეორიების ავტორები აღიარებენ ადამიანთა მოთხოვნილებების არსებობას, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ადამიანთა ქვცევა არ განისაზღვრება მხოლოდ მოთხოვნილებებით. პროცესუალური თეორიების მიხედვით ადამიანის ქცევას განსაზღვრავს აგრეთვე აღქმა, მოლოდინი და შერჩეული ქცევის შესაძლო შედეგები.

განასხვავებენ სამ ძირითად პროცესუალურ თეორიას, კერძოდ, მოლოდინის თეორიას, სამართლიანობის თეორიას და პორტერ-ლოულერის მოდელს.

ვიქტორ ვრუმის მოლოდინის თეორიის მიხედვით ინდივიდის ქცევა განპირობებულია მისი მოლოდინის მიხედვით, თეორია ეყრდნობა სამ ძირითად მახასიათებელს:

1. მოლოდინი დამოკიდებულებისა: „ძალისხმევა-შედეგი“
2. მოლოდინი დამოკიდებულებისა: „შედეგი-ჯილდო“
3. ჯილდოს მიმზიდველობა.

ეს კონცეფცია შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი კითხვებით: რამდენად დაძაბულად უნდა ვიმუშაო, რომ მივაღწიო შედეგს? რა ჯილდოს მივიღებ სამუშაოს შესრულებისათვის? რამდენად მიმზიდველი იქნება ეს ჯილდო ჩემთვის და რამდენად ხელს შემიწყობს იგი სამუშაოს შესასრულებლად? საბოლოოდ, რამდენად იქნება ინდივიდი მოტივირებული, იმის შესაბამისად იმუშავებს იგი.

განვიხილოთ მოლოდინის თეორიის სპეციფიკური მომენტები და მისი პრაქტიკული გამოყენება.

უპირველესად გავარკვიოთ აღქმა იმისა, თუ რა შედეგებს მოუტანს თანამშრომელს შესასრულებელი სამუშაო. შედეგად შეიძლება იყოს პოზიტიური: ხელფასი, მომავლის რწმენა, ნდობა, კოლექტივის მხარდაჭერა, დამატებითი შეღავათები. ასევე შედეგად შეიძლება იყოს ნეგატიურიც: დაღლილობა, რუტინული სამუშაო, გაწბილების შეგრძნება, უფროსის შიში, სამუშაოდან დათხოვნის შიში. აღვნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვამს თანამშრომელი მოსალოდნელ სამუშაოსა და არა ის, რამდენად სწორად შეესაბამება მისი აღქმა რეალობას.

შედეგად უნდა განისაზღვროს, რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისათვის მიღებული შედეგები. შეფასება შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური. მიუხედავად შეფასების სუბიექტობისა, ცხადია, რომ თუ შედეგი ინდივიდისათვის მიმზიდველია, მაშინ იგი შეეცდება დავალების კარგად შესრულებას. სხვამ შეიძლება დათვალოს, რომ შედეგი მისთვის არაფრის მომცემია და შესაბამისად და მისი მოტივაციაც მინიმალური იქნება.

შემდეგი ეტაპია იმის დადგენა, თუ ქცევის რა სტილს აირჩევს ინდივიდი სასურველი ჯილდოს მისაღებად.

და ბოლოს, როგორ აფასებს ინდივიდი თავის შანსებს დავალების შესასრულებლად. დადებითი შეფასების შემთხვევაშიც კი დასადგენია დავალების რეალურად შესრულების ალბათობა.

სამართლიანობის თეორიის მიხედვით ადამიანები სუბიექტურად განსაზღვრავენ მიღებული გასამრჯელოს დამოკიდებულებას დახარჯულ სამუშაო ძალასთან და შემდეგ უდარებენ მას ანალოგიურ სიტუაციაში მომუშავე ადამიანების მიერ მიღებულ გასამრჯელოს. თუ შედარება გამოავლენს დისბალანსს და უსამართლობას, ე.ი. გამოვლინდება, რომ მსგავსი სამუშაოსათვის კოლეგამ მიიღო უფრო მეტი გასამრჯელო, ადამიანი იძაბება ფსიქოლოგიურად. აუცილებელია ამ თანამშრომლის მოტივაცია, დაძაბულობის მოხსნა, სამართლიანობის აღსადგენად დისბალანსის გასწორება.

სამართლიანობის თეორიის ძირითადი დასკვნა მართვის პრაქტიკისათვის მდგომარეობს შემდეგში: ვიდრე ადამიანები არ ჩათვლიან, რომ ისინი დახარჯული შრომისათვის მიიღებენ გასამრჯელოს სამართლიან ოდენობას, შეეცდებიან შეამცირონ შრომის მწარმოებლურობა. აღქმა და სამართლიანობა ჩვეულებრივ ატარებს შეფარდებით და არა აბსოლუტურ ხასიათს. ამიტომ, საჭიროა, რომ ადამიანებს აუხსნან, თუ რამ განაპირობა მათი გასამრჯელოს დაბალი დონე სხვებთან შედარებით.

სამართლიანობის თეორიის მიხედვით არ არის სწორი ანაზღაურების სიდიდის გასაიდუმლოება იმის შიშით, რომ მუშაკებში არ წარმოიშვას მათი შრომის შედეგების არასამართლიანად შეფასების შეგრძნება. ამას ხშირად შედეგად მოჰყვება ხოლმე ის, რომ მუშაკები უსამართლობაზე ფიქრობენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის არ აღინიშნება საერთოდ. ამასთან თანამშრომელთა გამომუშავების საიდუმლოდ შენახვის შემთხვევაში ორგანიზაციები კარგავენ ხელფასის ზრდით მოტივაციის შესაძლებლობებს.

პორტერმა და ლოულერმა დაამუშავეს მოტივაციის კომპლექსური პროცესუალური თეორია, რომელიც მოიცავს მოლოდინის და სამართლიანობის თეორიების ელემენტებს. მათ მოდელში ფიგურირებს ხუთი ელემენტი: დახარჯული სამუშაო ძალა, აღქმა, მიღებული შედეგები, გასამრჯელო, დაკმაყოფილების ხარისხი. ამ მოდელის თანახმად მიღწეული შედეგები დამოკიდებულია მუშაკთა მიერ დახარჯულ სამუშაო ძალაზე, მათ უნარსა და დამახასიათებელ თავისებურებებზე, აგრეთვე თავიანთი როლის შეცნობაზე. დახარჯული სამუშაო ძალის დონე განისაზღვრება გასამრჯელოს ფასეულობით და იმის რწმენის ხარისხით, რომ სამუშაო ძალის დანახარჯის მოცემული დონე ნამდვილად გამოიწვევს გასამრჯელოს განსაზღვრულ დონეს. უფრო მეტიც, პორტერ-ლოულერის თეორიაში დგინდება თანაფარდობა გასამრჯელოსა და შრომის შედეგებს შორის, ე.ი. ადამიანი იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს მიღწეულ შედეგებზე მიღებული გასამრჯელოს საშუალებით.

გამოკვლევებმა დაადასტურა პორტერ-ლოულერის შეხედულება იმის თაობაზე, რომ შრომის მაღალი შედეგიანობა სრული დაკმაყოფილების მიზეზია და არა შედეგი. პორტერ-ლოულერის მოდელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოტივაცის არსის გაგებაში. მან აჩვენა, რომ მოტივაცია არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის უბრალო ელემენტი. ამ მოდელმა დაანახვა ისიც, რომ მენეჯმენტის სისტემაში ძალისხმევის, უნარის, შედეგის, გასამრჯელოს, დაკმაყოფილების და აღქმის კავშირის მიღწევა ძალიან მნიშვნელოვანია შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში.

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი თეორიები, კერძოდ კი – შინაარსობრივი თეორიები, შედეგის სხვადასხვა ცვლადს განიხილავს და ყველამ მოიპოვა გარკვეული მხარდაჭერა, მაგრამ მათ შორის უძლიერესი, ალბათ, მაკლილანდის თეორიაა, განსაკუთრებით მიღწევასა და პროდუქტიულობას შორის კავშირის თვალსაზრისით. ზოგადად შინაარსობრივი თეორიები მოტივაციას საფუძვლიანად ვერ ხსნის და მენეჯერებმა მოტივაციის უფრო თანამედროვე (პროცესუალური) თეორიები უნდა გაითვალისწინონ.

ზოგადად, მოტივაციის თეორიები, რომელიც გამყარებულია კვლევებითა და მკვლევართა ბოლოდროინდელი მხარდაჭერით, მენეჯერებისაგან უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს. ასეთი

თეორიების გამოყენება სამსახურების სირთულის გამო არცთუ მარტივია. მიუხედავად ამისა, ისინი პრაქტიკულ მითითებებსაც მოიცავს, თუ როგორ უნდა გახდეს სამუშაო მოტივაციის მიმცემი.

და ბოლოს, მოტივაციის თეორიის შესწავლა და მისი დებულებების პრაქტიკული გამოყენება საშუალებას აძლევს მენეჯერებს, მიაღწიონ თანამშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხის ამაღლებას, მათ სტიმულირებას უფრო ნაყოფიერი შრომისაკენ. თანამშრომლების დაკმაყოფილებისა და მწარმოებლურობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა ორგანიზაციულ სიტუაციებში, მენეჯერებმა სწორად უნდა მოახდინონ მოტივაციისა და ანაზღაურების მეთოდების კომბინირება.

ლიტერატურა:

1. რობინსი "ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები", 2009
2. გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური „მენეჯმენტის საფუძვლები“, 2008
3. გ. მერლანი, „მენეჯმენტის საფუძვლები“, 2011;
4. ნ. ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს. გორგოძე, „განვითარებისა და სწავლების თეორიები“, 2008
5. რ. ტყემალაძე, ნ. დალაქიშვილი, ქ. თოფაძე, თ. პაჭკორია, თ. ბუწაშვილი, „სწავლება და შეფასება“, 2008

ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა - უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობა

ნუცა გაბლიშვილი, მერი გაგნიძე

განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** ასოცირებული პროფესორი

ტურიზმის ინდუსტრია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა მსოფლიოში, სწორედ ტურიზმი არის ვალუტის მოძრაობის მთავარი გენერატორი, რისი მეშვეობითაც იგი უდიდეს როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. იგი ასევე ბევრი ქვეყნისთვის რჩება უამრავ სამუშაო ადგილზე პასუხისმგებლად. UNWTO-ს მონაცემებით, მოთხოვნამ საერთაშორისო ტურიზმზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და აჩვენა თავისი ელასტიურობა და მოქნილობა გარეშე ფაქტორებთან მიმართებაში.

ბოლოდროინდელმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა თავისი ზეგავლენა იქონია ტურიზმის ინდუსტრიაზეც, რაც 2008 წლის ივნისის თავიდან საერთაშორისო ტურისტების ზრდის ტემპის 2%-იანი დაცემით დაიწყო და საბოლოოდ მარტო 2009 წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებით ტურისტული ნაკადი 8%-ით შემცირდა. ბევრ რეგიონში (H1 N1) ინფლუენცია ე.წ “ღორის გრიპის” მსოფლიო პანდემია ასევე გამოიწვია სიტუაციის გამწვავება 2010 წლიდან კვლავ განახლდა ტურიზმისადმი გამძვინვარებული მოთხოვნა და საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 1 მილიარდს გადააჭარბა. 2010 წლის 6 თვეში, საქართველოს 782 932 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 36.4%-ით მეტია. 2010 წლის 6 თვეში, ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში 753 106 ვიზიტორი შემოვიდა (შემოსულ ვიზიტორთა 96.2%), რაც გასულ წელთან შედარებით 35.9%-ით მეტია. მიმდინარე წლის 6 თვეში, ამერიკიდან შემოვიდა 9 677 ვიზიტორი, (შემოსულ ვიზიტორთა 1.2%), რაც 2009 წლის 6 თვეში ანალოგიურ მაჩვენებელზე 27.5%-ით მეტია. აზიის ქვეყნებიდან 17 289 ვიზიტორი შემოვიდა (შემოსულ ვიზიტორთა 2.2%), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 60.6%-ით აღემატება. აფრიკიდან 1079 ვიზიტორი შემოვიდა (ვიზიტორთა 0.2%) რაც გასული წლის მაჩვენებელს 20.83%-ით აღემატებოდა, ხოლო დანარჩენი მსოფლიოდან 1781 ვიზიტორი (ვიზიტორთა 0.2%), რაც 2009 წლის 6 თვის მაჩვენებელზე 59.3%-ით მეტია. 2010 წლის 6 თვეში დსთ-ს ქვეყნებიდან შემოსულია 474 450 ვიზიტორი (ვიზიტორთა 60.6%), რაც 2009 წლის 6 თვის ანალოგიურ მაჩვენებელზე 37%-ით მეტია. დსთ-ს ვიზიტორთა უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანზე მოდის, კერძოდ აზერბაიჯანიდან შემოვიდა 223 159 ვიზიტორი (დსთ-ს ქვეყნების ვიზიტორთა 47%), რაც გასული წლის 6 თვის ანალოგიურ მაჩვენებელს 34.3%-ით აღემატებოდა,

ხოლო სომხეთიდან 159 495 ვიზიტორი (დსთ-ს ვიზიტორთა 33.6%), რაც გასული წლის 6 თვესთან შედარებით 45.7%-ით მეტია.

ტურიზმის ინდუსტრიას ბევრი ქვეყნისათვის მნიშვნელობა გააჩნია. სწორედ უცხოელი ტურისტებისაგან მიღებული შემოსავლები, ინდუსტრიაში მყოფი ფირმების გადასახადები და შანსი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, ქმნის ამ ქვეყნისათვის განვითარების შესაძლებლობას.

მდგრადი განვითარების პრინციპმა მნიშვნელოვნად შეცვალა დამოკიდებულება განვითარების, კეთილდღეობის და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თუ წინათ ქვეყნის კეთილდღეობა განისაზღვრებოდა უპირატესად საერთო ეროვნული შემოსავლით ან შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ახლებური მიდგომა მას არასაკმარისად მიიჩნევს, რადგანაც ეს მაჩვენებელი უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორია, ვიდრე საზოგადოების განვითარების საერთო დონის. მასში არ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობა, გარემოს მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსების ხარჯვა, საზოგადოების სოციალური და ფსიქოლოგიური მაჩვენებლები. ბოლო დროს ეკონომისტთა და სოციოლოგთა მცდელობა მიმართულია იქით, რომ კეთილდღეობის სინთეზურ მაჩვენებლებში ისეთი ფასეულობებიც აისახოს, რომლის ფულადი გამოხატვა შეუძლებელია. "ხარჯი-სარგებლის" ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ტურისტული განვითარება უნდა შეეხოს არამარტო ეკონომიკურ არამედ სოციალურ და ბუნებრივ ფაქტორებსაც. მდგრადი განვითარება გულისხმობს, რომ არ უნდა მოხდეს რესურსების გადახარჯვა. ტურიზმს ნეგატიური ეფექტებიც შეუძლია მოახდინოს სოციუმსა და ბუნებაზე, მაგალითად: ტურისტი, რომელიც აფერადებს ხეს, ანაგვიანებს ქუჩებს, ანადგურებს ბილიკს ტყეში და ა.შ.

ქვეყნის საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა უცხოური ინვესტიციების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტშია ნათქვამი. მთავრობის გათვლებით, უახლოესი სამი წლის განმავლობაში აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიების გატარება, რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფენ ქვეყანაში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიიჩნევენ რომ საქართველოს ტურისტული იმიჯის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირ გავლენას იქონიებს ამ ქვეყნიდან ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. შედეგად მოხდება ტურისტული კომპანიების სტიმულირება აღნიშნულ ბაზრებზე საქმიანობის უფრო აქტიურად წარმართვისათვის. შიდა ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ეფექტური პოზიციის დაკავებაში. მიზნობრივ ტურისტულ ბაზრებზე ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურისტული ადგილების განვითარების ხელშეწყობა და ტურიზმის სფეროში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობისშემდგომი განვითარებისა და სავაჭრო სტრუქტურული გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების რეგულარული ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. უცხოურ ბაზრებზე ტექნიკური ბარიერების დაძლევისათვის საჭიროა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა. რისთვისაც უნდა მოხდეს ტექნიკური რეგულირების სფეროს განვითარება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან დაახლოების კუთხით.

2011-2014 წლების განმავლობაში ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, ტურიზმის, ხარისხის, ინფრასტრუქტურისა და საგარეო ვაჭრობის განვითარებისთვის დაგეგმილი აქვს, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა, ფესტივალების და დღესასწაულების ორგანიზება, გამოფენების მოწყობა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია პრესით და ტელევიზიით, ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა და მათი განვითარებისათვის პროექტების განხორციელება. უცხოური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლობისათვის პრეს-ტურების მოწყობა საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სტანდარტების რეესტრის მონაცემთა ბაზის სრულყოფა, გამზომი საშუალებების დამოწმების აღიარება და აკრედიტაციის სამუშაოების განხორციელება.

მთავრობაში ფიქრობენ, რომ გასული პერიოდის გლობალური უარყოფითი ეკონომიკური მოვლენების გათვალისწინებით ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტის, ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის მისაღწევად აუცილებელია ზრდის ტემპის მატების უზრუნველმყოფი

ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელშიც იგულისხმება თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით, რაც წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს.

მთავრობის 2011-2014 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის აუცილებელია: ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევა ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად. შესაბამისი ღონისძიებების გატარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება. სამშენებლო სფეროს შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ტურიზმი მიჩნეულია, როგორც მსოფლიოში უდიდესი და ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრია. ამ სფეროს შეუძლია უამრავი სარგებელი მოუტანოს როგორც კერძო ფირმებს, ასევე კონკრეტულ ქვეყნებს, თუმცა მას ბევრი უარყოფითი ზეგავლენაც ახასიათებს. ძირეული კვლევები და სწავლებანი ტარდება სწორედ იმისთვის, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოკვლეული ტურიზმის, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ეფექტები, რომ შემდგომში მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მაქსიმალურ სარგებელს მინიმალური დანახარჯებით მოიტანს. ტურიზმისთვის დამახასიათებელი სარგებელი შემდგომში გამოიხატება:

- დასაქმება;
- ანტრეპრენიორული შესაძლებლობები;
- სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლები;
- პროვინციული რეგიონების განვითარება;
- ვალუტის დინების გენერატორი;
- სხვადასხვა ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშემწყობი ეფექტი გამოიხატება შემდეგი მიმართულებით:
- შემოსავალი (როგორც მთლიანად სახელმწიფო ასევე კერძო სექტორი)
- სახელმწიფო ბალანსი და გადასახადები;
- დასაქმება;
- რეგიონების ეკონომიკური განვითარება.

ხელფასი, პროცენტი, ქირა და სხვა სარგებლები ყველა ერთიანდება შემოსავლებში, რადგანაც ტურიზმის სფერო მომსახურების სფეროა, იგი ინტენსიურ შრომას მოიაზრებს და პროპორციულად მეტი შემოსავალი იმ პირებს გააჩნიათ, რომელნიც უშუალოდ ემსახურებიან ტურისტებს. ტურიზმი მთავარ შემოსავლის წყაროდ რჩება განვითარებადი ქვეყნების ერთი მესამედისათვის, მათ შორის: ეგვიპტე, საბერძნეთი, ტაილანდი, გაერთიანებული ემირატები, ასევე მცირე კუნძულები: ბაჰამა, ფიჯი, სეიშელი, მალდივი და ა.შ. ყველა შემოსავლის ჯამს „ეროვნული შემოსავალი“ ეწოდება და ტურიზმის მნიშვნელობა ქვეყნისათვის იზომება პროპორციით მთლიან ეროვნულ შემოსავალში ტურიზმის მიერ შემოსული თანხების რაოდენობით სხვა სფეროებთან მიმართებაში.

მულტიპლიკატორის ეფექტი მოიაზრებს იმ არაპირდაპირ ზემოქმედებას ქვეყნის ეკონომიკაზე, რომელიც ტურისტების მიერ დახარჯული თანხით მიიღება. მულტიპლიკატორის ეფექტი გამოიხატება თანაფარდობით ტურისტის მიერ დახარჯულ თითოეულ დოლარსა და იმ რაოდენობას შორის, რამდენჯერაც ეს დოლარი მომავალში დაიხარჯება. მაგალითად, კოეფიციენტი 0.72 ნიშნავს რომ 72% თითოეული ტურისტის მიერ დახარჯული დოლარისა იქნება მომავალში დახარჯული ამავე ქვეყნის ეკონომიკაში. ამ კოეფიციენტის გამოთვლას წინ ბევრი სირთულე უდგას. მაგალითად რთულია ტურისტების მიერ დახარჯული ფულის ზუსტი ოდენობის გამოთვლა. ასევე ტურიზმის სფეროში დაკავებული უმეტესი კომპანიები მცირე ფირმებია, რომელნიც უმეტესად არაფორმალურ ოპერაციებს ახორციელებენ. ამ და სხვა მიზეზების გამო მულტიპლიკატორის კოეფიციენტი ყოველთვის მიახლოებითია.

UNWTO-ს მონაცემებით მსოფლიოში დაახლოებით 220 მილიონი ადამიანია დასაქმებული ტურიზმის ინდუსტრიაში. ეს მსოფლიო სამუშაო ძალის 8.3%-ს შეადგენს. ისეთ ქვეყნებში, რომლებიც აბსოლუტურად დამოკიდებულია ტურიზმზე, მაგალითად კარიბის კუნძულები, მთლიანი სამუშაო ძალის 25% სწორედ ტურიზმის სფეროზე მოდის. ექსპერტთა გათვლებით, 2012 წლისათვის დასაქმება ამ სფეროში შეადგენს 249 მილიონ ადამიანს ანუ მსოფლიო დასაქმების 8.6%-ს, რაც ყოველი 11.7-იდან 1 სამუშაო ადგილს შეადგენს. ტექნოლოგიური წინსვლები გარკვეულ ეფექტს ახდენს სამუშაო ბაზარზე. მაგალითად კომპიუტერულმა დაჯავშნის სისტემამ ფაქტიურად მთლიანად შეცვალა სამუშაო მოთხოვნა ამ კუთხით, რამაც გამოიწვია ის, რომ შედარებით ნაკლები აგენტები მუშაობენ სასტუმროებსა და აეროპორტებში ამ კუთხით. ასევე შემცირდა ტურისტული

სააგენტოების და ავიაკომპანიების ოფისები. ინვესტიციები და განვითარება, ინვესტიციების მაღალი დონე ძლიერ განსაზღვრავს ტურიზმის ბიზნესის წარმატებას რეგიონში. ხშირად ე.წ "კვერცხი და ქათმის" ეფექტი იქმნება, ანუ არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორს არ სურს ინვესტიციების განხორციელება მანამ, სანამ ტურისტები რეგიონში არ ჩავლენ, ამავდროულად არც ტურისტები ჩქარობენ ჩასვლას, რადგან არ არის განვითარებული ინფრასტრუქტურა. ხშირად საზოგადოებას ეჭვი ეპარება "ტურიზმის" ღირებულებაში. მათი აზრით ფულისა და სხვა რესურსების მოხმარება შეიძლება სხვა ისეთ დარგებშიც, რომელიც ასევე წაადგება ამ საზოგადოებას. ყველაზე კარგი მაგალითი სამუშაო ძალაა, ანუ თუ ტურიზმში მეტისმეტად ბევრი ადამიანი მუშაობს, მაშინ მიუხედავი რჩება სხვა სექტორები, მაგალითად სოფლის მეურნეობა, თუ სამუშაო ძალა არასაკმარისია, ის უცხოელი სამუშაო ძალით ივსება, რაც "გაჟონვას" იწვევს, ასევე შესაძლებელია ტურისტთა დიდმა დანახარჯებმა ინფლაცია გამოიწვიოს.

ლიტერატურა:

1. კანონი "საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის შესახებ".

ინტერნეტ–რესურსები:

http://www.parliament.ge/
http://geostat.ge/
http://mos.ge/
http://gse.ge/

ინფლაციის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები

თეა გელაშვილი, ანა ხინჩიკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მაკა სოსანიძე,** ასოცირებული პროფესორი

ბოლო დროს საქართველოში აქტიური დისკუსიის საგნად იქცა სამომხმარებლო პროდუქციის ფასების ზრდა და ინფლაციის მაღალი დონე.

ინფლაციაზე ხშირად ისე საუბრობენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, თითქოს ეს იყოს რაღაც ამოუცნობი ფენომენი, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო პერიოდულად ემუქრება ქვეყნის ეკონომიკას, რაც მთავარია, ყველა მთავრობა მას ჯიუტად და ბეჯითად ებრძვის, მაგრამ ხანდახან თავს ზევით ძალა არ არის.

XVIII, XIX და XX საუკუნეების იმ პერიოდში, როდესაც მიმოქცევაში იყო ოქროს (ან ვერცხლის) ფული მონეტების სახით, ინფლაციას განმარტავდნენ, როგორც ქაღალდის ფულის ჭარბად გამოშვებას ლათინურ ფულთან შედარებით, რომლის დროსაც უფასურდება ქაღალდის ფულის ნიშნები.

ჩვენი ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ინფლაცია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, გავაშუქოთ ინფლაციის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები, ინფლაციის ეკონომიკური შედეგები და ინფლაცია საქართველოში

ინფლაცია (ლათ. inflatio – გაბერვა) – ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ზრდაა, საბაზრო მსყიდველობითუნარიანობის დონესთან შედარებით. შესაბამისად, ინფლაცია ასევე მოიაზრება, როგორც ფულის მსყიდველობითუნარიანობის კლება. ეკონომიკის ზოგიერთ მოდელში, ის ექვივალენტურია მოთხოვნის ვარდნის, ან ფულის მიწოდების ზრდის. ზოგიერთ კონტექსტში სიტყვა "ინფლაცია" გამოიყენება ფულის მიწოდების ზრდის მნიშვნელობით, რასაც ზოგჯერ განიხილავენ, როგორც ფასთა ზრდის მიზეზს. ზოგიერთი ეკონომისტი კვლავაც ამ განსაზღვრებას ამჯობინებს.

ინფლაციასთან დაკავშირებული ტერმინებია:

- დისინფლაცია – ინფლაციის დონის შემცირება, ან ეფექტი, რომელიც ამცირებს ინფლაციურ ზეწოლას.
- დეფლავია – ფასთა საერთო დონის ვარდნა.
- რეფლაცია – დეფლაციის რევერსისთვის სტიმულის გამოყენება.
- ჰიპერინფლაცია – სწრაფი ინფლაცია წონასწორობისაკენ ტენდენციის გარეშე.

ინფლაციის დაბალი დონე (0–2%) ხშირად გაიგივებულია „ფასთა სტაბილურობასთან“, და მრავალი ცენტრალური ბანკი ოფიციალურად ან არაოფიციალურად მისდევს ინფლაციურ პოლიტიკას, რათა დაცულ იქნას გარკვეული სასურველი ზედა და ქვედა ზღვარი.

ინფლაცია ქაღალდის ფულის მიმოქცევის ავადმყოფობაა, როდესაც ფული კავშირს კარგავს ოქროსთან. ასეთ შემთხვევაში მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის მოცულობა განკუთვნილ მნიშვნელობას იძენს: თუკი იგი აჭარბებს საქონლის მიმოქცევის მოთხოვნებს, აღმოცენდება ინფლაცია – როგორც ჭარბი ფულადი მასის შედეგი.

ფულადი მასის ზრდა, რომელიც არ არის გამყარებული საქონლით იწვევს ფასების საერთო დონის მომატებას. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ყველა ფასი იზრდება. ინფლაციის საკმაოდ სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთი ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს. როგორც ჩანს, ინფლაციის ერთ–ერთი მტკივნეული ადგილია ფასების ძალზე არათანაბარი აწევის ტენდენცია. ერთნი ძალზე ნახტომისებურად მატულობენ, მეორენი თანაბარი ტემპებით, ხოლო მესამენი საერთოდ არ მატულობენ.

განვიხილოთ ინფლაციის გამომწვევი მიზეზები, რომელნიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი.

პირველი მიზეზი ისაა, რომ თანამედროვე ფულადი მიმოქცევა ხორციელდება ''ქაღალდის'' ნიშნებით, რომელმაც გაწყვიტა კავშირი ოქროსთან. ''ოქროს ფულის'' ეპოქაში მისი სიჭარბე დაიძლეოდა ოქროს ''წასვლით'' მომოქცევის სფეროდან დაგროვების სფეროში, ხოლო ქაღალდის ფულის, რომელიც მხოლოდ მიმოქცევის საშუალებად რჩება, ოქროს მსგავსად დაგროვება უაზრობაა.

ინფლაციის მეორე მიზეზი – ცივილიზებული სახელმწიფო ხარჯების მუდმივი ზრდაა საერთო ეროვნული, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების (თავდაცვის სისტემა, უმუშევრობისადმი დახმარება, განათლება და ა.შ.) დაფინანსებაზე.

ინფლაციის ორივე დასახელებული მიზეზი ერთიანდება ''მოთხოვნის ინფლაციაში''. რამდენადაც ესაა მოთხოვნა დამატებით ფულზე მომხმარებელთა მხრიდან.

მესამე მიზეზი – ფულზე მოთხოვნაა მწარმოებელთა მხრივ. ამიტომ მიიღო მან ''დანახარჯების ინფლაციის'' სახელწოდება. ვინაიდან პოსტინდუსტრიული წარმოების ხარჯების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს ''ხელფასს'' და, რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოება, მით უფრო დიდია მისი სიდიდე. ამასთანავე ხელფასი უნდა გაიზარდოს ფასების ზრდასთან ერთად და, რაც უფრო მაღალია ხელფასი. მით უფრო მაღალია წარმოების ხარჯები. ამიტომაც უწოდებენ ''დანახარჯების ინფლაციას“.

როდესაც ბაზარზე იზრდება ფულის მასა, მოქალაქეებს უჩნდებათ მეტი ფული, რომელიც შეიძლება დახარჯონ პროდუქტებსა თუ მომსახურებაზე. თუ პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდება არ გაიზრდება, ან იმდენად არ გაიზრდება, რამდენადაც გაიზარდა ფულის მასა, მაშინ, ცხადია, ფასები მოიმატებს.

ადამიანი ისევე აფასებს ფულს, როგორც ნებისმიერ სხვა პროდუქტს. რაც მეტია პროდუქტის რაოდენობა, მით ნაკლებია მისი ღირებულება ადამიანის თვალში. როდესაც მოქალაქის მფლობელობაში აღმოჩნდება მეტი ფული, მისთვის თითოეული ლარის ღირებულება კლებულობს. საბოლოო ჯამში, ნებისმიერი პროდუქტის ფასი ხომ ფულისაა და ამ პროდუქტის გაცვლის კურსია. შესაბამისად, ფულის მასის გაზრდის შემთხვევაში ფასები მატულობს არა იმიტომ, რომ პროდუქტი დეფიციტური გახდა, არამედ იმიტომ, რომ ფული გახდა ჭარბი.

ინფლაციის სხვა, ისეთ მიზეზებზე დაბრალება, რომელთაც შეიძლება მხოლოდ დროებითი ნეგატიური ეფექტი ჰქონდეს, ისიც მხოლოდ გარკვეული ტიპის პროდუქტებზე, საკმაოდ აპრობირებული მეთოდია. ხორბალზე ფასების ზრდამ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთლიანად იმპორტირებული იქნება, შეიძლება ფასები გაზარდოს მხოლოდ იმ პროდუქტზე, რომელთა დასამზადებლადაც გამოიყენება ხორბალი. მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ ამან ფასების დონის ზოგადი მატება გამოიწვიოს.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობამ მსყიდველობითუნარიანობა დაკარგა. ეკონომისტები, საქონლისა და მომსახურების რაოდენობისა და ხარისხის აღსაწერად, რომლის ყიდვაც ადამიანებს თავიაანთი ფულით შეუძლიათ, ხმარობენ ტერმინს ''ფულის მსყიდველობითი უნარი“ ან ღირებულება. როდესაც ფასები იზრდება, ფულს იმდენივე საქონლის ყიდვა აღარ შეუძლია რამდენისაც ადრე შეეძლო და, ბუნებრივია, მისი მსყიდველობითი უნარი მცირდება.

ინფლაცია ფასების ინდექსის საშუალებით იზომება, ფასების ინდექსი პროცენტებით და კოეფიციენტებით აღინიშნება.

ინფლაციის ტემპის დასადგენად საჭიროა წინა წლის ინდექსი გამოვაკლოთ მიმდინარე წლის ინდექსს, მიღებული სხვაობა გავყოთ წინა წლის ინდექსზე და გავამრავლოთ 100-ზე. მაგალითად: თუ 2004 წლის ფასების ინდექსი 120-ის ტოლია, ხოლო 2005 წლისა 130-ის, მაშინ ინფლაციის ტემპი ასე

გაიანგარიშება: (130*120)/120*100=8.3 ამრიგად ინფლაციის ტემპმა 2005 წელს წინა წლებთან შედარებით შეადგინა 8.3%-ი.

ოფიციალური ინფორმაციით, 2004 წელთან შედარებით, ფასები ქვეყანაში 60–85%–ით არის მომატებული. თუმცა არაოფიციალური მონაცემებით, ეს ციფრი უფრო მაღალია და 300–500% შეადგენს. მაგალითად, თუ 2004–2005 წლებში ერთი კილოგრამი კარტოფილი სულ რაღაც 30 თეთრი ღირდა, დღეს მისი ფასი მინიმუმ 1,50 ლარია, ანუ კარტოფილის ფასი დღემდე თითქმის 500%–ით გაიზარდა. ერთი კილოგრამი ბადრიჯნის საბითუმო ფასი 2,70 ლარია, ხოლო საცალო ვაჭრობაში ეს ბოსტნეული, ისევე როგორც კიტრი და პომიდორი, 3–4 ლარი ღირს. ამ პროდუქციის ფასები სუპერმარკეტების ქსელებში ორჯერ მეტია. ნიორსა (8–10ლარი) და ხახვზე (2–3 ლარი) ფასებმა 500 %–ით მოიმატა.

2004–2005 წლებში ერთი ტომარა შაქარი, სულ რაღაც 25 ლარი ღირდა. დღეს მისი ფასი 350%–ით არის გაზრდილი და 90 ლარი ღირს. რაც შეეხება ფქვილს, 300%–ით არის გაზრდილი და მისი შეძენა, ნაცვლად 18–20 ლარისა, 50–60 ლარად არის შესაძლებელი. შესაბამისად გაძვირდა პური: პურის ის სახეობა, რომელიც 2003–2004 წლებში 30–40 თეთრი ღირდა, დღეს უკვე 65–დან 80 თეთრამდე ღირს.

ბოლო თვეების განმავლობაში რძე და რძის პროდუქტზე ფასებმა თითქმის 15–20 პროცენტით მოიმატა. საკვები პროდუქტების მსგავსად, ფასები პირველადი მოხმარების საგნებსა და ჰიგიენურ საშუალებებზეც გაიზარდა. ამ სექტორში ფასები დაახლოებით 100%–ით გაიზარდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახალი საგადასახადო ცვლილებების მიხედვით, ჰიგიენის საშუალებები უკვე იბეგრება, და საკმაოდ მაღალი პროცენტით, შეიძლება თამამად ითქვას, საერთო ჯამში ფასები დაახლოებით 150%–ით გაიზარდა.

ახალი წლიდან ამოქმედებული ახალი საგადასახადო კოდექსით მობილური საკომუნიკაციო მომსახურება ფიქსირებული 10%–ით დაიბეგრება. გაიზარდა აქციის გადასახადი სპირტიან სასმელზე. ახალი განაკვეთით 1 ლიტრი არაყი 4,6 ლარით დაიბეგრება, ძველი განაკვეთით კი 2,30 ლარი იყო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ინფლაციამ 2001 წლის დეკემბერში გასულ თვესთან შედარებით – 0,5%–ით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11,2%–ით გაიზარდა და ეს 2004 წლიდან დღემდე ინფლაციის ყველაზე დიდი მაჩვენებელია. საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელმა 2010 წლის განმავლობაში ორნიშნა მაჩვენებელს პირველად ნოემბერში მიაღწია. ნოემბერში ინფლაციამ 10,5% შეადგინა.

მთავრობის გათვლებით 2011 წელს ინფლაციის დონის საშუალო მაჩვენებელი 7% იქნება და ის წლის ბოლომდე 6% მდე დაიწევს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში 1,80 ლარი იქნება. ეს ორი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი 2011 წლის ბიუჯეტშია ჩადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფლაცია ერთნიშნა მაჩვენებელს არ უნდა გასცდეს და მთავრობა მომავალში ინფლაციური პოლიტიკის გატარებას არ აპირებს. ფაქტობრივად მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს ორნიშნა ინფლაცია უკვე დაფიქსირდა, თუმცა ქვეყნის მთავარი საფინანსო დოკუმენტი ინფლაციასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის გარეშე დარჩა. ეს მაშინ, როცა ოფიციალური სტატისტიკისა და მთავრობის მიერ განსაზღვრული ინფლაციის დონის საშუალო მაჩვენებელს შორის ცდომილება 5,2%–ია.

რა ნაბიჯებია გადასადგმელი მაკროეკონომიკის სტაბილიზაციისთვის, მაშინ, როცა გასულ თვეში ქვეყანაში მაკროეკონომიკის ერთ–ერთი მთავარი ინდიკაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა? თავდაპირველად უნდა გაირკვეს, ვინ ზარალდება და ვინ იგებს ინფლაციით? ინფლაცია ადამიანებზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს – ზოგი ზარალდება, ზოგიც იგებს. ძირითადად ზარალდებიან მეტ–ნაკლებად ფიქსირებული შემოსავლის მქონენი, მეანაბრეები, კრედიტორები და ბიზნესმენები.

ინფლაციის პერიოდში ცხოვრების ღირებულება იზრდება. ამიტომ, ცხოვრების არსებული დონის შესანარჩუნებლად საჭიროა მეტის გამომუშავება. და მაინც რამდენით უნდა გავზარდოთ საკუთარი შემოსავალი? სულ ცოტა, იმდენით, რა ტემპითაც ინფლაცია ვითარდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ 2010 წელს ცხოვრების ღირებულება 11,5%–ით გაიზარდა, მაშინ მას, ვისაც გასულ წელს წლიური შემოსავალი 10 ათასი დოლარი ჰქონდა, მიმდინარე წელს 11,5000 (10 000+11,5) დოლარის გამომუშავება დასჭირდება მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ადრინდელი მსყიდველობითი უნარი შეინარჩუნოს.

გარკვეულ ჯგუფს, მაგალითად, ფიქსირებულ პენსიებზე მცხოვრებთ, არ შეუძლიათ თავიანთი შემოსავლის იმ ზომით გაზრდა, რაც მათ ინფლაციის შედეგების კომპენსირების საშუალებას მისცემდა. ამიტომ ინფლაციის დროს მათი ცხოვრების დონე ეცემა. საერთოდ დადგენილი წესით, მაღალი ინფლაციის დროს ფიქსირებული შემოსავლის მქონე ზოგიერთი პირის დასაცავად მთავრობა სოციალური უზრუნველყოფის, შემწეობების კორექტირებას ახდენს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ გასული წლის სექტემბერში, როცა ინფლაცია 2009 წელთან შედარებით 908%–ით გაიზარდა, განაცხადა: 2012 წლამდე ინფლაციის 6%–იან ნიშნულზე შეჩერება ეროვნული ბანკის ამოცანაა და მაღალი ინფლაციის საფრთხე ამ ეტაპზე არ არსებობს.

ინფლაციის დონის არსებულ მაღალ მაჩვენებელს ეროვნულ ბანკში გარე ფაქტორებით ხსნიან. ინფლაციის ზრდა საერთაშორისო ბაზრებზე ხორბლისა და სხვა სასურსათო პროდუქტების გაძლიერებას მოჰყვა, ბოსტნეული კი სეზონური ფაქტორებისა და გვალვის გამო გაძვირდა.

პარლამენტის საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი განმარტავს, რომ გაზრდილ ფასებთან დაკავშირებით ხელისუფლებამ გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა და ის ბიუჯეტში მხოლოდ მარცვლეული კულტურების წარმოების პროგრამის ფარგლებში თანხების გამოყოფას ითვალისწინებს. ქვეყანაში ხორბლის და სიმინდის წარმოების პროგრამა დაიწყო, რომელიც ბაზარზე მარცვლეული კულტურის დეფიციტის გადაჭრას ისახავს მიზნად. სახელმწიფო ბიუჯეტი ხორბლისა და სიმინდის თესლის უცხოეთში შესყიდვას დააფინანსებდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, რომ დამტკიცებული პროგრამით ფერმერები თესლის შესყიდვის თანხებს მიმდინარე წლის ბოლომდე, ანუ მოსავალს რეალიზაციის შემდეგ, დააბრუნებენ.

მსგავსი შეღავათიანი ფინანსური დახმარებით სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ადგილობრივი მარცვლეული კულტურის წარმოება გაიზრდება და ბაზრის მოთხოვნის 75 %–ს დააკმაყოფილებს. ამ ეტაპზე ქვეყნის მთავრობა ინფლაციას მხოლოდ მარცვლეული კულტურების წარმოების გაზრდით ებრძვის.

ინფლაცია ურთულესი მრავალფაქტორიანი ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც გვიჩვენებს კვლავ წარმოების პროცესში არსებულ დეფორმაციას და რომელიც თავის თავს ავლენს მოცემული ქვეყნის ფულადი სისტემის მოშლასა და მისი ვალუტის კურსის დაცემაში.

ინფლაცია არის ფულის მიმოქცევის განსაკუთრებული მდგომარეობა, ისეთი ფულადი ფენომენი, რომლის წარმოებასაც განაპირობებს კვლავწარმოების პროცესი და მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და საქმიანობა. ეკონომისტები 2 ტიპის ინფლაციას განასხვავებენ: მოთხოვნის ინფლაცია და წარმოების ხარჯების ზრდით ან ერთობლივი მიწოდების შემცირებით გამოწვეული ინფლაცია.

ეკონომიკაში პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების გადიდება ამცირებს მოგებასა და პროდუქციის მოცულობას, რომელიც ფირმებს შეეძლოთ შეეთავაზებინათ ფასების არსებული დონის პირობებით. ამის შედეგად მცირდება საქონლისა და მომსახურების მიწოდება მთელი ეკონომიკის მასშტაბით. მიწოდების ასეთი შემცირება, თავის მხრივ ზრდის ფასების დონეს.

2010 წლის დეკემბრისათვის საქართველოში ინფლაციამ 11%–ს გადააჭარბა. პრემიერ–მინისტრმა განაცხადა, რომ სწორედ ინფლაცია წარმოადგენს 2010 წლის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას და 2011 წლისთვის ინფლაციის შეჩერება და დაბალ ნიშნულამდე დაყვანა მთავრობის ერთ–ერთი პრიორიტეტი იქნება.

ინტერნეტ–რესურსები:

- ka.wikipedia.org
- www.referati.ge
- www.tabula.ge
- www.radiotavisufleba.ge
- www.nbg.gov.ge
- www.liberali.ge
- www.bing.com

ელექტრონული ბიზნესი ტურიზმში

თათია გუგუტიშვილი, ნინო ტრამაკიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე,** სრული პროფესორი

საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიული კონცეფციის ფარგლებში გამოყოფენ აგრარულ ან პატრიარქალურ საზოგადოებას, ინდუსტრიულ საზოგადოებას და პოსტინდუსტრიულ, ანუ ინფორმაციულ საზოგადოებას. პოსტინდუსტრიული საზოგადოების განმასხვავებელი ნიშანია – ეკონომიკის სტრუქტურაში მომსახურების სფეროს სიჭარბე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო

წარმოებასთან შედარებით, როდესაც მეცნიერება იქცევა მთავარ საწარმოო ძალად, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებს. მოსახლეობის ცხოვრების დონე, შრომის, საქონლისა და ფინანსების ბაზრები, მართვისა და გადაწყვეტილებათა მიღების სისტემები არსებითად ხდებიან დამოკიდებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების დონესა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

ინტერნეტი - ესაა მასობრივი ინფორმაციის პირველი საშუალება, რომელშიც გაჩნდა დიალოგის შესაძლებლობა. რადიოს, ტელევიზიას, გაზეთებს, კატალოგებს მიაქვთ ინფორმაცია მომხმარებლამდე, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი აზრის გამოთქმა. შეიძლება შეკვეთის მიცემა კატალოგის მიხედვით, ანდა წერილის გაგზავნა გაზეთში, მაგრამ ეს სულაც არ არის იგივე, რაც მაღაზიაში ან გაზეთის ოფისში მისვლა. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ უშუალო რეაქციას ჩვენს მოთხოვნაზე, რაც ხდება ასევე ინტერნეტშიც. ინტერნეტი აახლოებს ადამიანებს და ამცირებს მანძილებს, თითოეული მომსახურება, საქონელი ან კომპანია ნებისმიერ მომენტში ხდება ხელმისაწვდომი თითოეულისათვის.

1990-იან წლებში, როდესაც ინტერნეტის ტექნოლოგია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა, მისი დანართების ყველაზე სწრაფი და ფართო გავრცელება აღინიშნებოდა ბიზნესის სფეროში. ინტერნეტი სახეს უცვლის საქმიან პრაქტიკას მომწოდებელთან და მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის, საწარმოო პროცესის, სხვა ფირმებთან ურთიერთობის, ფინანსირებისა და ასევე ფინანსურ ბაზრებზე აქციების ღირებულების განსაზღვრის საკითხების ნაწილში. ბიზნესის სფეროში ინტერნეტის ქსელის შესვლითა საქმიან პრაქტიკაში ინტერნეტ ტექნოლოგიების დანერგვის შესაბამისად გავრცელდა ცნება – ელექტრონული ბიზნესი. ელექტრონული ბიზნესის როგორც მოვლენის შესწავლისას, დღეისათვის არ არსებობს რაიმე ჩამოყალიბებული ერთიანი მეცნიერული მიდგომა. ნაშრომთა უმრავლესობა შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად:

1. ინტერნეტქსელის როგორც კავშირგაბმულობის საშუალების ან არხის შესწავლა ქსელის ფუნქციონირებაში კომერციული შედგენის გამოყოფით.

2. ნაშრომები, რომლებიც ახდენენ ცოდნის სისტემატიზებას ინტერნეტის საქმიანი გარემოს სპეციფიკის, კომპიუტერული ქსელებისა და ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნესის წარმოების მიმართულებებისა და ხერხების შესახებ;

3. საზოგადოების ცხოვრებაში ინტერნეტის, როგორც ქსელის საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი შემდგენის როლის სოციოლოგიური გამოკვლევა.

პირველი ჯგუფი მოიცავს როგორც ტექნიკური, ისე, მაგალითად, გეოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციებს, რომლებიც სათანადოდ აფასებენ ელექტრონული ბიზნესს ინტერნეტის ფუნქციონირების პროცესებში, მაგრამ არ განიხილავენ მას როგორც შესწავლის საგანს. სამუშაოთა ყველაზე მრავალრიცხოვანი მეორე ჯგუფი შედგება ძირითადად პრაქტიკული დამხმარე სახელმძღვანელოებისაგან კომერციული საქმიანობის ორგანიზების შესახებ ინტერნეტ-ტექნოლოგიების დახმარებით. მას შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე აკადემიური შრომები, რომლებშიც სისტემატიზებულია ცოდნა მთლიანად ელექტრონული ბიზნესის, მისი განვითარებისა და რეალიზაციის ტექნოლოგიების შესახებ. ელექტრონული ბიზნესის როგორც განკერძოებული მოვლენის შესწავლის თვალსაზრისით ყველაზე ღირებული თეორიული კვლევები ძირითადად სამუშაოთა მესამე ჯგუფშია საძიებელი. სოციოლოგიური მიდგომის გამოყენებით კულტურის ან ინტერნეტ სივრცის ერთ-ერთი ძირითადი მდგენელის – ელექტრონული ბიზნესის მიმართ შესაძლებელი ხდება მოვლენის უნიკალურობის გამჟღავნება და მისი დიდი მნიშვნელობის შეფასება როგორც საზოგადოების, ისე ეკონომიკისთვის.

ტერმინი "ელექტრონული ბიზნესი" ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა კორპორაცია აიბიემმა (IBM) 1997 წელს, როდესაც ამ ტერმინზე აგებული თავისი პირველი თემატური სარეკლამო კამპანია დაიწყო, ადრე გაყიდვა (ელექტრონული კომერცია) ბიზნესის ერთადერთ შესაძლებელ სახეობას წარმოადგენს ქსელში. მიდგომის შეცვლამ, რომელიც გზას უხსნიდა ინტერნეტისკენ ბიზნესის სხვა სახეობებსაც, წარმოშვა ახალი ტერმინი - "ელექტრონული ბიზნესი''. ელექტრონული კომერცია (ვაჭრობა) - ელექტრონული ბიზნესის მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა, როგორც ელექტრონული ფრანჩაიზინგი ან ელექტრონული მარკეტინგი. ელექტრონული ბიზნესი მიზნად ისახავს ინტერნეტის უპირატესობებს (მათ მიეკითვნებათ მოხერხებულობა, მისაწვდომობა და გლობალური მოცვა).გამოიყენება როგორც ტრადიციული ბიზნესის შესაძლებლობების გაფართოების, ისე ბიზნესის ახალი, ვირტუალური სახეობების შექმნისთვის. IBM ელექტრონულ ბიზნესს განსაზღვრავს როგორც უსაფრთხო, მოქნილ და კომპლექსურ მიდგომას მომხმარებლის უზრუნველყოფისადმი დიფერენცირებული სამომხმარებლო ფასეულობით იმ სისტემებისა და პროცესების გაერთიანების საშუალებით, რომლებიც ბიზნესის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების საფუძვლებს წარმოადგენენ,

ინტერნეტ ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილ სიმარტივესა და მოცვასთან. ელექტრონული ბიზნესი IBM-ის მიხედვით - ესაა ის, რაც მიიღება ტრადიციული საინფორმაციო სისტემების რესურსების გაერთიანებით ინტერნეტის გავრცელების მასშტაბებთან და ბიზნესის საკვანძო სისტემების გაერთიანებით მიზნობრივ აუდიტორიებთან - მომხმარებლებთან, მუშაკებთან და მომწოდებელთან შიდა და საგარეო ქსელებით. კომპანიების უმრავლესობა ინტერნეტს ირჩევს იმისათვის, რომ დაეხმაროს მომხმარებელს იმის გაკეთებაში, რასაც ის უკვე აკეთებს.

მოცემულ ნაშრომში ცნებათა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად და გადმოცემის მაქსიმალური სიცხადისათვის ფაქტობრივად გამოიყენება ელექტრონული ბიზნესის განზოგადებული და, ამასთან გამარტივებული, ცნება, რომელიც ეყრდნობა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ კონცეფციას ტურისტულ დარგობრივ სპეციფიკასთან მიმართებაში (E-business for tourism…2001), ელექტრონული ბიზნესი განიხილება, როგორც ურთიერთმოქმედი სფეროების – ელექტრონული კომერციის (ელექტრონული ვაჭრობის), ელექტრონული მარკეტინგისა და ელექტრონული მიწოდების ერთობლიობა. ტურისტული მიმართულებებისა და საწარმოებისათვის ელექტრონული ბიზნესი პირველყოვლისა ახდენს უფრო ხარისხიან კავშირგაბმულობის შესაძლებლობის რეალიზებას შიდა გარეშე ქსელებით, ელექტრონული ბიზნესი კომპონენტები საშუალებას იძლევიან ხარისხობრივად გარდაიქმნას პროდუქტის ცხოველქმედების მთელი ჯაჭვი, რომელიც ერთმანეთან აკავშირებს ტურისტული მომსახურების მომხმარებელსა და მომწოდებლებს, ერთი მხრივ, და ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს მის საკუთარ მომწოდებლებთან – მეორე მხრივ.

ელექტრონული მარკეტინგი მოწოდებულია ინტერნეტისა და სხვა საინფორმაციო არხების გამოსაყენებლად მიზნობრივ აუდიტორიებთან და პარტნიორებთან ეკონომიკურად, ყველაზე უფრო ეფექტიანი კონტაქტის რეალიზაციისათვის;

ელექტრონული კომერცია წარმოადგენს ძირითად საქმიანობას ელექტრონული არხებით მომსახურების სარეალიზაციოდ;

ელექტრონული მიწოდება საშუალებას აძლევს კომპანიებს მათი შესყიდვებისა და ოპერატიული აღრიცხვის სისტემები პირდაპირ დაუკავშირონ მათი მომწოდებლების ბილინგისა და სასაწყობო აღიცხვის სისტემებს და ამით გაამარტივონ შესყიდვების პროცესი. ეს არა მარტო ამცირებს პროცესების ავტომატიზააციის გზით მომსახურებულ თვითღირებულებას, არამედ ყველაზე ხარისხიანი მომწოდებლების შერჩევის შესაძლებლობასაც ქმნის პროდუქტის ფორმირებისათვის.

ელექტრონული ბიზნესის კონცეფცია კი ჯერ კიდევ ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამდე გაჩნდა. 1970–იან წლებში ელექტრონული ბიზნესი უკვე საკმაოდ პოპულარული იყო. ფინანსურ სტრუქტურებში, კერძოდ, კომპიუტერულ ქსელებში, რომლებიც იყენებდნენ შესაბამის სააპარატო და პროგრამულ უზრუნველყოფას, მონაცემთა ელექტრონული გაცვლაც ასევე დიდი ხნით ადრე არსებობდა იქამდე, სანამ ინტერნეტი ახალ, ფართო შესაძლებლობებს გახსნიდა გზას მისთვის, მაგრამ ინტერნეტის გარეშე ელექტრონული ბიზნესი შეუძლებელი იქნებოდა ესოდენ მნიშვნელოვანი მასშტაბით. 70–80–იან წლებში აშშ–ში ფართოდ გავრცელებული კერძო ქსელები მეტისმეტად ძვირი იყო წვრილი კომპანიებისათვის და თითქმის მიუწვდომელი – კერძო პირებისათვის.

ამასთან ტურიზმის ყველა სხვა დარგთან შედარებით გააჩნია ელექტრონული ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება. ელექტრონული ბიზნესის ეპოქის დასაწყისად ითვლება 1960 წელი, როდესაც კომპანიამ ამერიკიდან ეირლაინზმა და აიბიემმა დაიწყეს ადგილების რეზერვირების პროცედურის ავტომატიზების სისტემის შექმნა სეიბრის (SEBRE) ავიარეისებზე. მოგვიანებით დაიწყო მუშაობა საბანკო ელექტრონული სისტემების, პლასტიკური ბარათების მომსახურების სისტემების, საწარმოთა მარაგების ავტომატიზირებული სისტემებისა და აშშ–ს თავდაცვის სამინისტროს ძალებით ინტერნეტის წინა მორბედის – არპანეტის ქსელის შესაქმნელად.

ელექტრონული ბიზნესის ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპების სახით, ზემოაღნიშნულთა გარდა, უნდა გამოიყოს კიდევ ზოგიერთი სხვა მოვლენაც:

• 1970 წელს ამერიკის ექსპრესი (ამერიკის ბანკის საბარათო პროგრამა) ხდება ლიდერი ტურიზმისა და გართობის ინდუსტრიაში კლიენტების რიცხვის მიხედვით და რამოდენიმეჯერ აღემატება თავისი კონკურენტების – დაინერს კლაბის და კარტ ბლანშის შესაბამის მაჩვენებლებს, შემდეგ ეს გარღვევა სულ უფრო იზრდებოდა;

• ფინანსური გზავნილების ბანკთაშორისი ქსელის SWI–ის (ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების მსოფლიო საზოგადოება) ოფიციალური გახსნა;

• 1983 წლის 1 იანვარს ქსელი არაპატენტი (აშშ) გადავიდა ინფორმაციის გადაცემის პროტოკოლზე – TCP IP. ეს დღე მიჩნეულია ინტერნეტის დაბადების ოფიციალურ თარიღად;
• 1989 წელს ცერნ ბერს–ლიმ ჟენევაში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ევროპულ ცენტრში (CERM) შექმნამ სტანდარტი World Wide Web– გლობალური ჰიპერტექსტური სისტემა;
• 1990 წელს ინტერნეტის ხელშეწყობის და გამოყენების ნებართვა მიიღეს მსხვილმა კერძო კორპორაციებმა;
• 1992 წელს აშშ–ს კონგრესმა მოიწონა ქსელის კომერციალიზაცია;
• 1994 წელს ჯეფ ბიზოსმა, აშშ (რომელმაც თავისი კარიერა პროგრამისტის თანამდებობიდან დაიწყო) დაარსა კომპანია ამაზონი 1995 წლის ივლისში ინტერნეტ მაღაზია ამაზონმა გახსნა საკუთარი საიტი. დღეისათვის მაზონ.ცომ არის ყველაზე მსხვილი მაღაზია მსოფლიოში;
• 1994 წლის ოქტომბერში თავლსი მომსახურების შეთავაზება საქონლის საფასურის გადახდებისათვის დაიწყო კომპანიამ ფერსტ ვირტუალ (First Virtual) - პირველმა ელექტრონულმა საგადასახადო სისტემამ ინტერნეტში;
• 1995 წელს RIX ბაზარზე გამოჩნდა ინტერნეტ ტრეიდინგის სისტემები, რამაც მკვეთრად გაზარდა ინვესტიციები კერძო პირებისაგან;
• 1996 წელს უმსხვილესმა საგადასახადო სისტემებმა, ვიზა და მასტერკარდის პლასტიკური ბარათების ტექნოლოგიის საფუძველზე, გამოაცხადეს დაცული ინტერნეტანგარიშწორების ერთიანი ღია სტანდარტის დამუშავების შესახბ SET პლასტიკური ბარათების გამოყენებით;
• 2000 წელს აღინიშნა ტექნოლოგიური კომპანიების აქცირების კოტირების ჩამოშლა, რაც განპირობებული იყო ეკონომიკური კრიზისით ელექტრონული ბიზნესით ყველა დარგში;
• 2002 წელს ელექტრონული კომერციის ბრუნვა ტურიზმში აშშ–ში აღწევს დარგის გაყიდვების საერთო მოცულობის 14,4 %–ს;
• 2004 წელს აშშ–ში სამი კომპანია (IAC, Sabre Holdings da Cendat) ახდენს სააგენტო ელექტრონული გაყიდვების 9,3 %–ის აკუმულირებას ტურიზმის სფეროში. ელექტრონული ბიზნესის განვითარების ძირითადი ეტაპების ასეთი მოკლე ჩამონათვალიც კი საერთაშორისო ტურიზმისათვის საკვანძო მოვლენების გამოყოფით ასახავს ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე მოვლენების იმ დინამიზმსა და მასშტაბს, რომლებმაც განაპირობეს საზოგადოებრივი წარმოების, განაწილების და მოხმარების არსებული ფორმების ძირეული გარდაქმნა. ელექტრონული ბიზნესი, ინტერნეტი და გლობალიზაციის პროცესები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც უფრო მეტია საერთაშორისო მასშტაბებით მოქმედი კომპანიები, მით უფრო ძლიერია მათი სურვილი ბიზნესის ქსელში წარმოებისა. რაც უფრო მეტი კომპანია აწარმოებს ბიზნეს ქსელში, მით მეტი ადამიანი მიისწრაფვის ინტერნეტში შეღწევისათვის, რაც ურო მეტი ადამიანისათვის ხდება მისაწვდომი ინტერნეტი, მით უკეთესად ვითარდება იმ კომპანიების საქმიანობა, რომლებიც გლობალური მასშტაბებით მოქმედებენ.

მთელი მსოფლიოს სასტუმროები იყენებენ ინტერნეტს ქსელთან პირდაპირ მიერთების გარეშე. მათ აქვთ რაბები ელექტრონული ფოსტის გადასაყვანად ფაქს– შეტყობინებებში. ყველა ელექტრონული წერილი შემკვეთებისაგან გროვდება პროვაიდერებთან, რომლის სერვერზეც განთავსებულია სასტუმროს საიტი, პროვაიდერი კი ფაქსით აგზავნის მათ სასტუმროში. ყველაფერი ეს ავტომატურად სრულდება. წერილზე პასუხის გაცემა სასტუმროს შეუძლია ჩვეულებრივ წერილობით, ფაქსით ან ტელეფონით, ასევე შეუძლია პასუხის გაცემა ფაქსით, ელექტრონული ფოსტის, ვების საშუალებით. მაშასადამე, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან მოსარგებლეს შეუძლია მიმართოს ამ სასტუმროს, შეუკვეთოს ნომერი, მიიღოს ინფორმაცია ფასების შესახებ უშუალოდ თავისი ადგილობრივი ტელეფონით. საერთაშორისო ტელეფონიდან დარეკვის ან ფაქსის გაგზავნის ნაცვლად სასტუმროში, რომელიც შეიძლება სხვა ქვეყანაში ანდა სხვა კონტინენტზეც კი მდებარეობდეს, საკმარისია ინტერნეტში შესვლის ნებართვის მიღება ადგილობრივი პროვაიდერებისაგან და ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა.

ელექტრონული ბიზნესურთიერთობის ფორმირება უდავოდ წარმოადგენს მძლავრ ბერკეტს გლობალური საერთაშორისო კავშირების დასამყარებლად საერთაშორისო ტურიზმის სფეროში.

ლიტერატურა:

1. http://www.conference.ge/index.php/topic/2616-professional-marketing/
2. www.google.ge
3. http://www.tvali.in
4. http://ka.wikipedia.org
5. http://tbilisiinfo.by.ru

საქართველოს ეროვნული ბანკი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

ნინო დათუნაშვილი, მარინე ფერაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

„ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და
ჩვენთვის კეთილი არ შურს. ის დიდის სიბრთხილით,
დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს
საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ.“
ილია ჭავჭავაძე

ბანკების წინამორბედები საქართველოში გაჩნდნენ ჯერ კიდევ VI საუკუნეში. **დავით აღმაშენებლის** მეფობის დროს (XII ს.) მიმდინარეობდა ქვეყნის საფინანსო სისტემის ფართომასშტაბიანი რეფორმები. XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში უკვე არსებობდა სპეციალური საკრედიტო ორგანიზაცია, რომელსაც ორტაღი ეწოდებოდა და იძლეოდა სესხებს სხვადასხვა გირაოს ქვეშ ან მის გარეშე.

გვიან შუასაუკუნეებში, მიუხედავად ძნელბედობისა, მაინც ვითარდებოდა საკრედიტო ურთიერთობები, ძირითადად მევახშეობის ინსტიტუტისა და ზარაფების ფორმით.

1866 წელს გაიხსნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო ბანკის თბილისის ფილიალი, რომელსაც განყოფილებები ჰქონდა ბაქოში ერევანსა და ბათუმში. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვისა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, 1875 წელს, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის **ილია ჭავჭავაძის** თაოსნობით გახსნილ თბილისის საადგილმამულო–სათავადაზნაურო ბანკს, რომელსაც ხელმძღვანელობდა 30 წლის განმავლობაში. რუსეთის მთავრობამ ბანკს აჩუქა საწესდებო ფონდში ჩასადებად 160 ათასი მანეთი, ხოლო საქართველოს თავადაზნაურობამ შეძლო 80 ათასი მანეთის შეგროვება. აღნიშნული ბანკი აკეთებდა უდიდეს ეროვნული მნიშვნელობის საქმეებს და მოკლე დროში გადაიქცა ერთიანი საქართველოს მთავარ ბანკად, რომელიც იძლეოდა კრედიტებს ბიზნესის განვითარებისათვის. აფინანსებდა ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებს. ეწეოდა ქველმოქმედებას და საფუძველს უყრიდა მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მართვის სტრუქტურებს.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების მრავალეტაპიან პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1919 წელს. ამ დრომდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათავო რგოლი – საქართველოს ცენტრალური ბანკი. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან.

ჯერ კიდევ 1918 წლის მიწურულს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გიორგი ჟურულმა რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და მისი წესდების შესახებ. გარკვეულ მიზეზთა გამო, მისი დამტკიცება საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის ბოლომდე გადაიდო.

მნიშვნელოვანია გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა აზრით, ცენტრალური ბანკი თვისებრივად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა დაფუძნებულიყო. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა მინისტრის გავლენის ქვეშ (როგორც ეს რუსეთის საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული). ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა და, ამავე დროს, ორივე ზემოთაღნიშნული ორგანიზაციისაგან განსხვავდებოდა. ბანკის დაარსებისათვის საჭირო ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მთელი მისი მოგებაც სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა. იგი პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო.

1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს

სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, სტრუქტურული მოწყობა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი იყო განმარტებული. „საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“ კანონით:

1. „დამფუძნებული კრების მიერ მიღწეული წესდების თანახმად დაარსებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.
2. გაღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი მილიონი მანეთი.
3. არსებული კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებულ იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.
4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა დამფუძნებული კრების მიერ“.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე. ფუნქციონირების მცირე ხნის მიუხედავად, ბანკმა საქართველოსათვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. ამის გამო, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით, გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურირებდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზები დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისათვის ქართული ბონის გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი – საშინაო და საგარეო მდგომარეობის შედარებით სტაბილურობის ფონზე, ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დასმოდა სომხეთსა და აზერბაიჯანზე საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ შეირჩა – ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოიქცეოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“ მოხსენებულია ქართველი დიდგვაროვნების მიერ მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები.

1920 წლის ივნისში მთავრობის დავალებით მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი შეასრულა. საქართველოს ეროვნული ვალუტა – მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ნივთიერ წყაროდ შემორჩენილია 25 მარჩილის ღირსების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ამ დროისათვის დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა. მისი კურსი რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის ბონების პარიტეტული იყო, რის გამოც იგი თავისუფლად მიმოიქცეოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც. საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგად დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტები და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში

დაარსებული სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალს წარმოადგენდა. მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ბანკების დამოუკიდებელი მოქმედების უნარს აფერხებდა და ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

1990 წელს, ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში ფუნქციონირებდა ხუთი სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკი: სახელმწიფო შემნახველი ბანკი, მრეწვმშენბანკი, აგრომრეწვბანკი, ბინსოცბანკი და საექსპორტო ბანკი – ექსიმბანკი.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

იმ პერიოდის საბანკო კანონმდებლობა ბევრ ნაკლს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, არ იყო მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, რაც მის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასასურველ ჩარევას ხელს ვერ უშლიდა. ასევე არ იყო ცალსახად ჩამოყალიბებული მისი ძირითადი ფუნქციები, კერძოდ, ცენტრალურ ბანკს ერთდროულად ევალებოდა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, „ეკონომიკის შეწონასწორებული განვითარებისა" და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირება. ეს ცენტრალური ბანკისათვის მეტად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და ნაწილობრივ მის კომპეტენციას გაცილებულ საკითხებსაც გულისხმობდა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოში ჩამოყალიბდა სამიარუსიანი საბანკო სისტემა, რაც არსებითად აფერხებდა მის განვითარებას. ლიბერალური მიდგომების ფონზე, პრაქტიკულად, უკონტროლოდ გამრავლდა საბანკო და სხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ვერ ასრულებდნენ ელემენტარულ ფუნქციებს და, ბუნებრივია, საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ამას დაერთო ეროვნული ბანკის მიერ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში ზღვარგადასული ფულადი ექსპანსია, რაც ქვეყანაში ჰიპერინფლაციის გამომწვევი მიზეზი გახდა.

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას ასევე არ უწყობდა ხელს მისი გამგეობის ხუთი წლის ვადით დანიშვნა, რაც ეროვნულ ბანკს პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებების მიმართ დაუცველს ხდიდა.

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა შეზღუდული იყო იმითაც, რომ 1993 წლის პირველ აპრილამდე მას არ ჰქონდა ფულის ემისიის საშუალება. საქართველო შედიოდა სამანეთო ზონაში, რაც მას დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო - 1993 წლის გაზაფხულისათვის, მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსთვის მანეთის მიწოდება, 1993 წლის 3 აპრილიდან მიმოქცევაში დროებითი ფულადი ერთეულის - კუპონის გაშვება, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე უნდა ეტვირთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმე. კუპონის შემოღების შემდეგ ქვეყანაში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას დაერთო გაუმართლებლად ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რამაც განაპირობა კუპონის კატასტროფული გაუფასურება.

1994 წლის 25 მაისიდან საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, ეროვნული ბანკის სპეციალური დადგენილებით, დაუწესდათ ახალი საწესდებო ფონდის ნორმატივები, რომელიც თანდათანობით ზრდიდა საბანკო სისტემის კაპიტალიზაციას.

1994 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით - „საქართველოში საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ" - დასრულდა ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამ დოკუმენტში ასევე მნიშვნელოვანი იყო ფულის მიწოდების უკეთ რეგულირებისათვის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების გადატანა ეროვნულ ბანკში და კლიენტებთან უშუალო ანგარიშსწორების ფუნქციის ჩამორთმევა ეროვნული ბანკისათვის და მისი კომერციული ბანკებისათვის გადაცემა.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც 1995 წლის 23 ივნისს იქნა მიღებული.

ორგანული კანონი ანიჭებს დამოუკიდებლობას ცენტრალურ ბანკს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისას.

ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევისაგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების - საქართველოს პარლამენტის

წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს", სადაც მოცემულია ეროვნული ბანკის საქმიანობის ზოგიერთი ძირითადი სამოქმედო რაოდენობრივი პარამეტრი და წლის განმავლობაში განსახორციელებელი სტრატეგიული ღონისძიებები ფულად-საკრედიტო, პრუდენციული რეგულირების სფეროსა და ქვეყნის საგადასახდელო სისტემის განვითარებისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი საინფორმაციო პოლიტიკას წარმართავს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საბანკო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი რეგულარულად მართავს შესაბამის თემებზე პრესკონფერენციებს, ბრიფინგებს, კონფერენციებს, სემინარებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი მისი საქმიანობის უმთავრესი მიზნის – ფასების სტაბილურობის მისაღწევად და ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული, ინფლაციის საპროგნოზო და საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მაკროეკონომიკური მოდელით.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგია 2011–2013 წლებისათვის განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „2011–2013 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, კერძოდ:

- ფასების საერთო დონის სტაბილურობისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს 2011-2013 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საფუძვლად უდევს საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, 6 პროცენტის ოდენობით. ამასთანავე, ფასებზე მიწოდების, ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით, რომელიც სცილდება საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციის ფარგლებს, შესაძლებელია ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლიდან გადახრა;
- საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2011-2013 წლების განმავლობაში ძირითადად, გამოიყენებს მონეტარული პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს, ესენია: რეფინანსირების სესხები (ლიკვიდობის მიწოდება), სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები (ლიკვიდობის ამოღება), მთავრობის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, სავალუტო სვოპ ოპერაციები, სავალუტო ინტერვენციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები (ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები), მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები;
- 2011-2013 წლების განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედი რისკები ძირითადად წარმოადგენს მსოფლიო ფასების ცვლილება ნავთობსა და საკვებზე, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, ინფლაციის იმპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან და სხვა. ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა არ მოახდენს რეაგირებას გარეგანი ფაქტორების შედეგად ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან დროებით გადახრისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახრა იმდენად ძლიერია, რომ გავლენას ახდენს ინფლაციაზე მოქმედ ფუნდამენტურ ფაქტორებზე (ინფლაციის მოლოდინი, მშპ–ს პოტენციური დონიდან გადახრა).
- საქართველოს ეროვნული ბანკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს საფინანსო სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის – ფასების სტაბილურობის – შესრულებას. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა გულისხმობს მთლიანად საფინანსო სისტემის წინაშე არსებული და მოსალოდნელი რისკების განსაზღვრას და მათ შემცირებას.

ლიტერატურა:

1. რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისის გამომცემლობა, 2009, გვ. 326-328
2. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=426
3. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=327

ტურიზმი და მსოფლიოს საოცრებანი

ნინო დათუნაშვილი, მარინე ფერაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მერლანი,** სრული პროფესორი

მსოფლიოში დღესდღეობით მრავალი შესანიშნავი კულტურული ძეგლი არსებობს, რომელიც თავისი სილამაზით ამშვენებს ჩვენს დედამიწას... გვინდა წარმოგიდგინოთ მსოფლიოს როგორც უძველესი, ასევე თანამედროვე საოცრებანი, გარდა ამისა გვსურს ყურადღება გავამახვილოთ საქართველოში არსებულ უნიკალურ, ნაციონალურ ბალეტ–ანსამბლზე „სუხიშვილები“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს მე–8 საოცრებად.

ნაციონალური ბალეტის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმის სისადავე და სიმდიდრე, დახვეწილი გემოვნება და მაღალი პროფესიონალიზმი, გამორჩეული ნიჭიერება და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა. გამომგონებლობასა და მხატვრული აზროვნების უნარს კი ვირტუოზული საშემსრულებლო მანერა, რაც საბოლოო ჯამში მაყურებლის თვალწინ ერთიან, განუყოფელ და ჰარმონიული მთლიანობას ქმნის.

ამ ანსამბლის წინაპარი ჩამოყალიბდა 1945 წელს ბრწყინვალე ქართველი ქორეოგრაფების ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. წლების მანძილზე "ქართული ცეკვის გენია, როკვით განფენილი..." არაერთგზის გამხდარა სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრთა გულწრფელი აღფრთოვანებისა და ჭეშმარიტი თაყვანისცემის ობიექტი. ანსამბლმა წარმატებული გასტროლებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და საბჭოთა კავშირის „უძრაობის პერიოდშიც“ კი შესძლო, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაეტანა და უცხოელი მაყურებლისთვის საუკეთესო კუთხით წარედგინა ეროვნული ფოლკლორი.

დღესდღეობით ნაციონალური ბალეტის მომდევნო თაობა, ილიკო სუხიშვილი უმცროსისა და ნინო სუხიშვილის თაოსნობით არანაკლები წარმატებითა და პოპულარობით აგრძელებს შემოქმედებით მოღვაწეობას, როგორც ეროვნულ ისე მსოფლიო ქორეოგრაფიულ ასპარეზზე.

ზემოთაღნიშნული თეორიული მონაცემებით, მათი რეალური სიდიადიდან, ასევე მსოფლიო აღიარებიდან გამომდინარე, საშუალება გვეძლევა ვაღიაროთ იგი მსოფლიოს მე_8 საოცრებად. სუხიშვილები წარადგენენ საქართველოს კულტურას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რაც უცხოელებს უჩენს ინტერესს ჩვენი ქვეყნის მიმართ. ეს ფაქტორი ეხმარება საქართველოს ტურიზმის სფეროს განვითარებაშიც.

თანამედროვე ეტაპზე ტურისტული მარშრუტების განხორციელება შეასძლებელია მხოლოდ უძველესი საოცრებებიდან შემორჩენილ გიზას დიდი პირამიდისა და ასევე თანამედროვე მსოფლიოს შვიდი საოცრების მიმართულებით.

შორეული ტურისტული მოგზაურობები შემეცნების შედარებით ახალი საშუალებაა. უძველეს მსოფლიოში მოგზაურობა რთული და სახიფათო იყო, ამიტომ დიდ მანძილებზე თითქმის არავინ გადაადგილდებოდა ჯარისკაცებისა და ვაჭრების გარდა. XVlll საუკუნეში განათლებულ ევროპელებს შორის პოპულარული გახდა ისტორიული ქალაქებისა და ნაგებობების მონახულება, განსაკუთრებით კი იტალიაში მოგზაურობა. უბრალო ადამიანებისათვის სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ეგვიპტეში, მოგზაურობა და პირამიდების მსგავსი საოცრებების მონახულება მხოლოდ XlX საუკუნეში, ორთქლმავლისა და რკინიგზის გამოგონების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

მსოფლიოს 7 საოცრება, რომელთა მონახულებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ გასულ საუკუნეებში, შემდეგია:

1. *გიზას დიდი პირამიდა;*
2. *დაკიდებული ბაღები ბაბილონში;*
3. *არტემიდეს ტაძარი ეფესოში;*
4. *ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში;*
5. *ჰალიკარნასის მავზოლეუმი;*
6. *როდოსის კოლოსი;*
7. *ფაროსის შუქურა ალექსანდრიაში.*

1. გიზას დიდი პირამიდა

მრავალი საუკუნის წინ, ძვ.წ. IV ათასწლეულში, ეგვიპტეს მართავდნენ მეოთხე დინასტიის უძველესი ფარაონები. ამ ფარაონების დიდებასა და ძლევამოსილებას ადასტურებენ მათივე სამუდამო განსასვენებლები, რომლებიც კაცობრიობამ აღიარა მსოფლიოს ყველაზე დიდ და იდუმალ საოცრებად. ესენია გიზის ცნობილი პირამიდები. გაკვირვებას იწვევს არა მხოლოდ მათი ფორმა, ზომა და საინჟინრო ტექნიკა, არამედ ისიც, რომ პირამიდა ადამიანის მიერ შექმნილი ქვის პირველი ნაგებობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ გიზის პირამიდები ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ერთადერთია, რომელმაც თითქმის თავდაპირველი სახით მოაღწია ჩვენამდე.

ყველაზე დიდი პირამიდა ფარაონ ხუფუსთვის ააშენეს. ეს ფარაონი უფრო ხეოფსის სახელით არის ცნობილი. ეგვიპტელების რწმენით, ხეოფსის პირამიდა უნდა ყოფილიყო ყველა ადრინდელზე მაღალი და დიდი. მის ასაშენებლად დაახლოებით ასი ათასი მონა შრომობდა. პირველი ათი წელი მოსამზადებელ სამუშაოებს დასჭირდა – გაჰყავდათ გზა მშენებლობის ადგილისაკენ, თხრიდნენ მიწისქვეშა საიდუმლო გვირაბებს, ხოლო მდინარე ნილოსის აღმოსავლეთით, ქვის სამტეხლოებში, ათასობით მონა თლიდა ლოდებს და ნილოსის დასავლეთ ნაპირზე გადაჰქონდა. პირამიდა შენდებოდა ოცი წლის განმავლობაში. იგი ხეოფსის მმართველობის 31-ე წელს დასრულდა. დაახლოებით ორი მილიონ სამასი ათასი ქვის ლოდი, თითოეული 2,5 ტონამდე სიმძიმის, სპილენძის იარაღებით გახერხეს და მჭიდროდ მიაკრეს ერთმანეთს.

პირამიდის სიმაღლე 147 მეტრს აღწევს. გათლილი ქვის ფილები ისეა ერთმანეთთან მიდგმული, შიგ ნემსის გატარებაც ჭირს. პირამიდას შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. ვიწრო დერეფანი შედის სამარხში, სადაც ფარაონის კუბო იდგა. იგი ჩვენამდე არ შემონახულა. გვერდითი დერეფანი დედოფლის აკლდამაში გადიოდა.

2. ბაბილონის დაკიდებული ბაღები

ძვ.წ. 604-562 წლებში ბაბილონს მართავდა დიდი მეფე ნაბუქოდონოსორ II, რომლის სამეფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე, მდინარე ევფრატის ნაპირებზე მდებარეობდა.

მეფემ იზრუნა, რათა ბაბილონი უმშვენიერესი და აყვავებული ქალაქი ყოფილიყო. გაოცებას იწვევდა ქალაქის შესასვლელი, რომელიც ქალღმერთ იშთარის კარიბჭედ მოიხსენიებოდა. კარიბჭის კოშკები მოპირკეთებული იყო სხვადასხვა ფერის მოჭიქული შორენკეცით. მუქ ლურჯ ფონზე გამოსახული იყო თეთრი და ყვითელი ხარების, დრაკონებისა თუ ოქროსფერფარფლიანი ლომების ფიგურები. იშთარის კარიბჭიდან იწყებოდა და მთელ ქალაქს კვეთდა პროცესიის ქუჩა, რომელსაც ამშვენებდა სამეფო სასახლე და მთავარი ტაძარი. სასახლის კედლის მიღმა მოჩანდა ე.წ. დაკიდებული ბაღები. ტერასებად აგურდაგებულ თაღებზე ნოყიერი მიწა ეყარა. დარგული იყო აზიის სხვადასხვა კუთხიდან მოზიდული ხეები, ბუჩქები და ყვავილები. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ბაღები ჰაერში ეკიდა. ბაღები ირწყვებოდა ევფრატის წყლით, რომელიც იქ საგანგებო წყალსაქაჩი ბორბლებითა და ტყავის ჭურჭლით აჰქონდათ.

3. არტემიდას ტაძარი ეფესოში

ქალაქი ეფესო მცირე აზიაში, დღევანდელი თურქეთის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.

ძვ.წ.VI საუკუნეში ეფესო ლიდიის სამეფოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იყო. ლიდიის სამეფომ განსაკუთრებულ აღმავლობას მიაღწია უკანასკნელი მეფის კრესეს დროს. მან გადაწყვიტა, ნადირობის მფარველი ქალღვთაების სახელზე ტაძარი აეგო. ბერძნები ამ ღვთაებას არტემიდას უწოდებდნენ, ხოლო რომაელები –დიანას. ტაძარი დაახლოებით ძვ.წ. 560 წლისათვის აშენდა. იგი აგებული იყო კირქვითა და მოპირკეთებული იყო მარმარილოთი. ტაძრის სახურავი და ფრონტონი ეყრდნობოდა 20 მეტრი სიმაღლის მარმარილოს 120 კოლონას. ტაძარი შემკული იყო ათასგვარი ორნამენტითა და სკულპტურით. ცენტრში იდგა არტემიდას ქანდაკება. არტემიდას ტაძარი კლასიკური ეპოქის ყველაზე დიდი ნაგებობა იყო. მისი სიგრძე 131, ხოლო სიგანე 79 მეტრს აღწევდა.

4. ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში

ძვ.წ. V ს-ში ბერძნებმა გადაწყვიტეს, ოლიმპიაში აღემართათ ღმერთების მეფის – ზევსის ქანდაკება. ამისათვის ჯერ უზარმაზარი ტაძარი ააგეს, ხოლო ქანდაკების შექმნის საპატიო საქმე დიდ მოქანდაკეს – ფიდიასს მიანდეს. ფიდიასმა ზევსის ქანდაკებაზე მუშაობა ძვ.წ. 435 წელს დაასრულა. ზევსი იჯდა ოქროს ტახტზე. მისი ფიგურა გამოკვეთილი იყო ოქროსა და სპილოს ძვლისაგან. ზევსს თავზე ედგა ოქროს გვირგვინი, ხოლო ხელთ ეპყრა კვერთხი. ქანდაკების წინ იატაკი მოპირკეთებული იყო შავი მარმარილოთი. ზევსის ქანდაკება დაახლოებით 800 წლის მანძილზე აოცებდა მნახველს თავისი სიდიადით.

5. ჰალიკარნასის მავზოლეუმი

ჰალიკარნასი იყო კარიის მთავარი ქალაქი. კარია ძვ.წ.IV საუკუნეში სპარსეთის იმპერიაში შედიოდა. ამ დროს კარიას მართავდა მავსოლე. იგი დაქორწინდა საკუთარ დაზე, რომელსაც ერქვა

არტემისია. მავსოლემ გადაწყვიტა თავისი და მეუღლის სამუდამო განსასვენებლად აეგო ისეთი აკლდამა, მანამდე რომ არ ღირსებია მოკვდავთაგან არცერთ დიდებულს.

მავზოლეუმი წარმოადგენდა ბერძნული ტაძრის მსგავს ნაგებობას, რომელიც შემკული იყო მარმარილოს კოლონებითა და ქანდაკებებით. რელიეფური სამკაულები ტაძრისათვის შექმნეს იმდროინდელმა საუკეთესო სკულპტორებმა – სკოპამ, ლეოქარემ, ბრიქსისმა და ტიმოთეოსმა. ნაგებობების თავზე მდებარეობდა საფეხურებიანი პირამიდა, ხოლო მასზე აღმართული იყო მავსოლესა და არტემისიას სკულპტურები. მავზოლეუმს დარაჯობდა ქვის ლომების ქანდაკებების რიგი.

XIV საუკუნეში მავზოლეუმი მიწისძვრამ დაანგრია. XV საუკუნეში წმ.იოანეს ჯვაროსნული ორდენის რაინდები მავზოლეუმის ქვებს იყენებდნენ ციხესიმაგრეების ასაშენებლად. სამარხებსაც მიაგნეს. ოქროსა და განძეულობის მაძიებლებ სამარხები პირწმინდად გაძარცვეს და გაანადგურეს.

6. როდოსის კოლოსი

კუნძული როდოსი ეგეოსის ზღვაში მდებარეობს. ძვ.წ. 280 წელს სკულპტორმა ქარეტმა დაასრულა ჰელიოსის ბრინჯაოს გიგანტური ქანდაკება. მისი სიმაღლე 35 მეტრს აღწევდა. გადმოცემით ქანდაკება ქალაქის შესასვლელში იდგა და ზღვას გადაჰყურებდა. სკულპტურა თავდაპირველი სახით დიდხანს არ შემორჩენილა. აგებიდან სამოცი წლის შემდეგ კუნძულზე მოხდა დიდი მიწისძვრა და ქანდაკება მიწაზე დაეცა.

ძეგლი ასეთ მდგომარეობაშიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. დაახლოებით ცხრაასი წლის განმავლობაში უამრავი ხალხი ჩადიოდა როდოსში, რათა ღმერთის დაცემული ქანდაკება ეხილა. VII საუკუნეში როდოსი არაბებმა დაიპყრეს. მათ გადაწყვიტეს, ქანდაკებისათვის ბრინჯაოს ფირფიტები მოეხსნათ. გადმოგვცემენ, რომ კოლოსის ბრინჯაო დაახლოებით ცხრაასი აქლემით გაზიდეს. როდოსის კოლოსისაგან აღარაფერი შემორჩა. თუმცა მისი რეკონსტრუქცია მოხდა თანამედროვეთა და თვითმხილველთა აღწერილობის მიხედვით.

7. ფაროსის შუქურა ალექსანდრიაში

ალექსანდრიის შუქურა ძველი მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ყველაზე გვიანი ხანის ძეგლია. იგი ააგეს ძვ.წ. III საუკუნეში ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიის მახლობლად, კუნძულ ფაროსზე.

ეს იყო მსოფლიოში პირველი შუქურა. პირამიდების შემდეგ, ძველ საოცრებათა შორის ალექსანდრიის შუქურამ ყველაზე მეტად გაუძლო დროს. ის თითქმის 1500 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა და სიბნელეში გზას უჩვენებდა ფაროსის უბისკენ მიმავალ ხომალდებს.

ალექსანდრიის, იგივე ფაროსის, შუქურა ნაგები იყო მარმარილოს ფილებით, სიმაღლე 150 მეტრს აღწევდა. შუქურა შედგებოდა მარმარილოს სამი კოშკისაგან. ქვედა, პირველი კოშკი, სწორკუთხა ნაგებობა იყო და მასში ის ხალხი ცხოვრობდა, ვინც შუქურას ემსახურებოდა. მის ზემოთ იდგა შედარებით პატარა, რვაკუთხოვანი კოშკი, საიდანაც სპირალური კიბეებით მესამე კოშკში ადიოდნენ. ზედა კოშკს ცილინდრის ფორმა ჰქონდა. მის თავზე მუდმივად ენთო ცეცხლი, რომელიც გზას უნათებდა ხომალდებს. შუქურას თავზე აღმართული იყო ზევსის ქანდაკება. გაშლილი ზღვიდან შესაძლებელი იყო შუქურას დანახვა 50 კმ-ის მანძილიდანაც კი.

დროთა განმავლობაში ალექსანდრიის უბე ზღვის მიერ მოტანილი სილით აივსო. XII საუკუნეში სილის რაოდენობამ ისე მოიმატა, რომ პორტში ხომალდების შესვლა შეუძლებელი გახდა. პორტი გაუქმდა, ხოლო შუქურა უმოქმედოდ დარჩა. XIV საუკუნეში იგი ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია. შუქურას ბრინჯაოს ფირფიტები მონეტებისა და სარკეების დასამზადებლად გამოიყენეს, ხოლო ქვებით სამხედრო ფორტი ააშენეს. ეს ნაგებობა დღემდე დგას ყოფილი შუქურას ადგილზე.

ძველი მსოფლიო საოცრებების ფონზე შესაძლებელია მსოფლიოს მიერ აღიარებულ თანამედროვე 7 საოცრებების მიმართულებით ტურისტული მარშრუტების მოწყობა.

სამყაროს ახალი შვიდი საოცრების გამოვლენის იდეა ხელოვნებათმცოდნესა და მოგზაურ ბერნარდ ვებერს ეკუთვნის, რომელის ინიციატივას – მსოფლიო საზოგადოებისთვის ცნობილი ყოფილიყო ალტერნატიული ახალი შვიდი საოცრების შესახებ, სულ ახლახანს, პორტუგალის ქალაქ ლისაბონში მოუწია ახდენა. ბერნარდ ვებერმა მსოფლიოს ახალი შვიდი საოცრების გამოვლენის თხოვნით საზოგადოებას ინტერნეტსაიტით მიმართა. არჩევა დაეფუძნა ერთადერთ პირობას – ობიექტი 2000 წლამდე უნდა ყოფილიყო. თითქმის ერთწლიან ამ წამოწყებას, რომელსაც მხარდაჭერა იუნესკომაც გამოუცხადა, პლანეტის 100 მილიონი ადამიანი გამოეხმაურა. სულ შეთავაზებული იყო ამოსარჩევი 200 ობიექტი, აქედან ჟიურიმ 21 ფინალისტი გამოყო, ხოლო საბოლოოდ, შვიდი გამარჯვებულიც გამოვლინდა. ახალი შესანიშნავი შვიდეული ასე გადანაწილდა:

1. ჩინეთის დიდი კედელი;

2. კოლიზეუმი;

3. მაჩუ–პიქჩუ;

4 . პეტრა;

5. თაჯ–მაჰალი;
6. ქრისტეს ქანდაკება;
7. ჩიჩენ–იცა.

1. ჩინეთის დიდი კედელი

ჩინეთის დიდი კედელი ჩინური სამხედრო გამაგრება. მისი მშენებლობა მიმდინარეობდა ძვ.წ. მე-3-დან ახ.წ. მე-17 საუკუნემდე, სხვადასხვა დინასტიების მონღოლთა, თურქთა და სხვა მომთაბარე ტომთაგან თავდასხმებისგან დასაცავად. ამ პერიოდში რამდენიმე კედელი აშენდა, თუმცა, მათ შორის, ყველაზე განთქმულია დიდი კედელი აგებული ძვ. წ. 220-200 წლებში პირველი იმპერატორი ცინ შიხუანდის მიერ მსოფლიოში ყველაზე გრძელი და განსაცვიფრებელი ნაგებობის, ჩინეთის დიდი კედლის გარეგნული სილამაზისა და გრანდიოზულობის მიღმა ბევრი ამოუცნობი საიდუმლოება იმალება. ცოცხლად ჩატანებული მეომრები, დაკარგული საგანძური, მიწისქვეშა სამალავები, უცხოპლანეტელებთან კავშირი და ა.შ. – ეს ყველაფერი ჩინეთის დიდი კედლის დღემდე იდუმალებით მოცული მხარეა. 7 ათას კილომეტრამდე სიგრძის კედელი შანხაის გასასვლელიდან ბოჰაის ზღვამდეა გადაჭიმული.

2. კოლიზეუმი – იტალია

კოლოზეუმი, ფლავიუსების გიგანტური ამფითეატრი, ძველი რომის არქიტექტურული ძეგლი (ახ. წ. 75 – 80), გეგმით ელიფსური შენობის (სიგრძე 190 მ, სიგანე 156 მ) შუაში მოთავსებული არენის ირგვლივ 4 იარუსად, საფეხურისებრ, განლაგებულია მაყურებელთა ადგილები (დაახლოებით 45-დან 50 ათასამდე). ძირითადად ეთმობოდა გლადიატორების ბრძოლის სანახაობებს. კოლიზეუმი მდებარეობდა რომაული ფორუმის მარჯვნივ და მისი მშენებლობა დაიწყო ძვ. წ. 70-სა – ძვ. წ. 72 წელს იმპერატორ ვესპასიანეს ზეობის დროს. კოლიზეუმის მშენებლობა დასრულდა იმპერატორი ტიტუსის დროს და შემდგომი ცვლილებები შეტანილი იქნა იმპერატორი დომიციანეს ზეობისას.

3. მაჩუ–პიქჩუ

მაჩუ-პიქჩუ — ჩვენ დრომდე კარგად შემონახული ინკების კოლუმბამდელი ნანგრევები მაღალი მთის ფერდობებზე, დაახ. 2 350 მ სიმაღლეზე. მდებარეობს პერუში, მდინარე ურუბამბას ხეობის თავზე. მაჩუ პიკჩუს მშენებლობა დაიწყო დაახლოებით 1430 წელს და სავარაუდოდ დასრულდა 1462 წელს, ქვიანი მთაგრეხილის ერთ-ერთ მთაზე – მაჩუ პიქჩუზე და უაინა პიქჩუზე, ცენტრალური ანდების აღმოსავლეთით, პერუს სამხრეთით. მისი ნამდვილი სახელია პიკჩუ ან პიჩო.

4. პეტრა – იორდანია

პეტრა — ქალაქი, რომელიც თანამედროვე იორდანიის ტერიტორიაზე ზღვის დონიდან 900 და სიკის ვიწრო კანიონში არაბიის ველიდან 660 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ველამდე გზა სამხრეთით და ჩრდილოეთით უღელტეხილებით მიდის, დასავლეთისა და აღმოსავლეთისკენ კი კლდეები მოჭრილია და 60-მეტრიან ბუნებრივ კედელს ქმნის.

5. თაჯ–მაჰალი – ინდოეთი

თაჯ-მაჰალი – ძეგლი აგრაში, ინდოეთი, აგებული 1631-1654 წლებში, დაახ. 20.000 მუშის მიერ. მუღალთა იმპერატორის შაჰ ჯაჰანის შეკვეთით თაჯ-მაჰალი უნდა გამხდარიყო მისი საყვარელი მეუღლის, არჯუმან ბანო ბეგუმის (ცნობილი როგორც მუმთაზ მაჰალი), მავზოლეუმი.

თაჯ-მაჰალი მუღალთა მმართველობის პერიოდის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება, ამ სტილში გაერთიანებულია ინდური, სპარსული და თურქული არქიტექტურის ელემენტები. მისი მთავარი არქიტექტორი იტალიიდან მოწვეული ჯერონიმო ვერონიო იყო.

6. ქრისტეს ქანდაკება – ბრაზილია

ქრისტეს ქანდაკება მდებარეობს რიო-დე-ჟანეიროში მთა კორკოვადოს წვერზე. იგი მთლიანად დამზადებულია რკინაბეტონითა და რეცხვადი ქვით. ქრისტეს ქანდაკების ზუსტი ზომებია: სიმაღლე – 38 მ, ამასთანავე კვარცხლბეკი – 8 მ, წონა – 1145 ტ, გაშლილი ხელების სიგრძე – 30 მ. ბრაზილიის ნაციონალური დამოუკიდებლობის 100 წლის თავზე საფუძველი ჩაეყარა რიო-დე-ჟანეიროში (მაშინდელი ბრაზილიის დედაქალაქი) ქრისტეს ქანდაკების აშენებას. ქანდაკების მშენებლობა გაგრძელდა დაახლოებით ცხრა წელი – 1922-დან 1931 წლამდე.

7.ჩიჩენ–იცა – მექსიკა

ჩიჩენ-იცა — ვრცელი, კოლუმბამდელი არქეოლოგიური ძეგლი მექსიკის ტერიტორიაზე, კერძოდ იუკატანის ნახევარკუნძულზე, აგებული მაიას ცივილიზაციის მიერ.

აღნიშნული ნამუშევრის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისათვის ძველი და ახალი მსოფლიო საოცრებების ინტერპრეტაცია იმ მიზნით, რომ ტურიზმი უფრო პერსპექტიული და ფართომასშტაბიანი გახდეს მსოფლიო საოცრებების დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული მარშრუტი მსოფლიო საოცრებების მიმართულებით დაკავშირებულია სოლიდურ თანხებთან და ეს თითოეული ჩვენთაგანისათვის არ არის ხელმისაწვდომი, სასურველია რომ, თუნდაც ერთეულებმა მოახერხონ ამ ღირსშესანიშნაობების მონახულება, რათა შეიცნონ ისინი და მოახერხონ მათი საიდუმლოებების ამოცნობა...

ლიტერატურა:

1. რასელ ესში, მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი, გამომცემლობა „გლობუსი“, 2002;
2. http://angel.ge/index.php?newsid=11439
3. http://feradiblogi.wordpress.com
4. http://forum.gol.ge/index.php?showtopic=53918

ინოვაციები თანამედროვე ქართულ საბანკო ბაზარზე

ნათია დვალიშვილი, მაგული ანესაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნინო საზანდრიშვილი,** სრული პროფესორი

თანამედროვე ქართულ ეკონომიკური გარემოს დადებით მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ განვითარებული საბანკო სისტემა. რიგი ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს საბანკო სისტემამ შეძლო მინიმალური დანაკარგებით გამოსულიყო უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისიდან. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულის საფუძველია ჯანსაღი კონკურენცია, რაც ქართული ბაზრის განვითარების საფუძველთა საფუძველია.

ნებისმიერი ბანკის მუშაობის ეფექტიანობა განსაზღვრავს ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას. კონკურენტუნარიანობა კი ბაზარზე ახალი საბანკო პროდუქტების გამოტანით და ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით მიიღწევა. ეს ყველაფერი კი შეგვიძლია ინოვაციად აღვიქვათ.

ბანკები თავისი ეკონომიკური არსით ფინანსური სფეროს ნაწილია, ფინანსური ინოვაციების ერთ ნაწილს ბანკები ქმნიან საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის სახით. საბანკო ინოვაცია არის ბანკის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის ფორმით რეალიზდება. საბანკო ინოვაცია საკმაოდ შრომატევადია, პროცესი მოითხოვს დროს, რომლის დროსაც გარკვეული სტადიებია გასავლელი. ამ ყველაფრის ერთობლიობა ინოვაციის სასიცოცხლო ციკლს ქმნის. საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი დროის ის პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება მოაქვს ბანკისათვის, როგორც ინოვაციის მწარმოებლისა და გამყიდველისათვის.

ქართულ საბანკო ბაზარზე წარმოდგენილი სუბიექტები არ ზოგავენ ინტელექტუალურ, მატერიალურ და შრომით რესურსებს საბანკო ნოვაციებზე, რაც მათი კონკურენტუნარიანობის გარანტიაა. ეს პროცესი დადებითად აისახება საბანკო პროდუქტების მომხმარებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. აღსანიშნავი დადებითი ფაქტორია ისიც, რომ ახალ საბანკო პროდუქტსა და ოპერაციებზე მონოპოლისტები ფაქტიურად არ არსებობენ, რაც პროდუქტისა და ოპერაციების გონივრულ ფასებს უზრუნველყოფს.

საფინანსო ბაზარზე გამუდმებით ჩნდება სრულიად ნაირგვარი, ახალი საბანკო პროდუქტები და ოპერაციები. საბანკო ინოვაციების გაჩენას ძირითადად შემდეგი მიზეზები განაპირობებს:

1. სამეწარმეო აზრის განუწყვეტლივ მოპოვება და კონკურენტებისათვის გასწრების სურვილი;
2. საბანკო სფეროში პერიოდულად წარმოქმნილი კრიზისი;
3. საზღვარგარეთის ქვეყნებში საფინანსო ბაზის ფუნქციონირება, რაც მათი საბანკო ინოვაციების შესახებ ინფორმაციას იძლევა.

ჩვენთან წარმოდგენილ საბანკო ნოვაციებს შორის ყველაზე თვალსაჩინოა:

- ელექტრონული ანგარიშსწორება. ელექტრონული ანგარიშსწორების მექანიზმი პლასტიკური ბარათების გამოყენებაზეა დაფუძნებული და მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ადგილებზე. პლასტიკური ბარათები განზოგადებული ტერმინია და მოიცავს სხვადასხვა სახეობის ბარათებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც დანიშნულებით, გაწეული მომსახურების კომპლექსით;

ბანკომატები - მრავალფუნქციური ავტომატებია, ე.წ. ავტობანკები, რომელსაც მაგნიტური პლასტიკური ბარათების ახალი თაობა მართავს.

უახლესი ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით ბანკების კლიენტების მომსახურების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მათთვის ელექტრონული მომსახურების გაწევა სავაჭრო ორგანიზაციებში. სავაჭრო ორგანიზაციებში ფულადი სახსრების ბანკთაშორისი ელექტრონული გზავნილების სისტემაში ხორციელდება ფულადი სახსრების გადარიცხვა მყიდველის ანგარიშიდან გამყიდველის ანგარიშზე საქონლის ყიდვის მომენტში. მყიდველის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია გადახდის განვადებაც. ოპერაციების უმრავლესობა აქ პლასტიკური ბარათების მეშვეობით სრულდება;

ყველაზე პოპულარული თანამედროვე ნოვაციებს შორის არის ინტერნეტბანკი, ეს არის საბანკო მომსახურების გაწევა ინტერნეტის ქსელის მეშვეობით, როდესაც კვირის ნებისმიერ დღეს, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, შესაძლებელია მასში ჩართვა ნებისმიერ ინტერნეტმისაწვდომი ადგილიდან. ინტერნეტ-ბანკს მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია:

1. დროის ეკონომია;
2. ანგარიშების სადღეღამისო კონტროლი;
3. ნებისმიერი გადახდის გატარება და მათი განხორციელება ანგარიშის მფლობლის პირადი მონაწილეობის გარეშე.

ინტერნეტ-ბანკს გარდა უპირატესობისა, პრობლემებიც ახლავს:

1. მომსახურების გაწევის არასაკმარისობა;
2. ბაზრის პერსონალური სეგმენტის განვითარება;
3. უსაფრთხოება და ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერასთან დაკავშირებული პრობლემები.

ინტერნეტ-ბანკის დაცულობის შემთხვევაში საბანკო ნოვაციებს შორის უპირატესი ადგილის დაკავების პერსპექტივები აქვს. ინტერნეტ-ბანკის დაცვამ უნდა უზრუნველყოს:

1. ურთიერთმოქმედი სუბიექტების უმნიშვნელოვანესი იდენტიფიკაცია;
2. გადასაცემი საფინანსო ინფორმაციის დაშიფვრა;
3. ინფორმაციის გადაცემის არხების უსაფრთხოება;
4. ინფორმაციის მატარებლების დაცვა;

ლიტერატურა:

1. მურღულია თ., ელექტრონული ფულის ფენომენი და მისი გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე, ჟურნ. „ბანკი“, №6, 2006;
2. ქოქიაური ლ., საბანკო საქმიანობის საფუძვლები, ტომი მე-2, თბ., 2005.;
3. პატეიშვილი ვლ., ინოვაციური პროცესები კომერციული ბანკებში. ჟურნ. „ბანკი“, 2002;
4. Ваиковское дело, под. ред. Г. Г. Коредовой, Москва, «Економист», 2003 г.;
5. Жарковская Е. П., Банковское дело, М., Омега-Л, 2004.

ინფლაცია და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში

მარიკა დურული
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ტერმინი „ინფლაცია“ ლათინური წარმოშობისაა და წარმოდგება სიტყვა „inflation” -სგან, რაც „გაბერვას“ ნიშნავს. ინფლაცია არის ფასების დონის საერთო ზრდა, ასეთია ინფლაციის ძალზედ შემოკლებული განსაზღვრება.

ინფლაციის არსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მე-18, მე-19 და მე-20 საუკუნეების პერიოდებში, როდესაც მიმოქცევაში იყო ოქროს (ან ვერცხლის) ფული მონეტების სახით, ინფლაციას განმარტავდნენ როგორც ქაღალდის ფულის ჭარბად გამოშვებას ლითონურ ფულთან შედარებით და რომლის დროსაც უფასურდებოდა ქაღალდის ფულის ნიშნები.

პირველად ტერმინი „ ინფლაცია“ გამოიყენეს ჩრდილოეთ ამერიკაში 1861 – 1865 წლების სამოქალაქო ომის პერიოდში მიმოქცევაში ქაღალდის ფულის მოზღვავების აღსანიშნავად. მე-19 საუკუნეშივე ეს ტერმინი გამოიყენეს ევროპაშიც. ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის ცნება ფართოდ გავრცელდა მე-20 საუკუნეში მიმდინარე მოვლენების შემდეგ.

ინფლაცია მიეკუთვნება თანამედროვე ეკონომიკის მძიმე, ძნელად სამკურნალო ხასიათის დაავადებას, მისგან არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. იგი გვხვდება როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ სახელმწიფოებში.

ინფლაცია საქართველოსთვისაც არ არის უცხო, მისმა უძლიერესმა ტალღამ მოიცვა ჩვენი ქვეყანა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა მთელი რიგი გარემოებების გამო, კერძოდ: ტრადიციული სავაჭრო კავშირების მოშლის, იმპორტირებულ ელექტრომატარებლებზე ფასების მკვეთრი გადიდებისა და სახელმწიფოთაშორისი ანგარიშსწორების მოშლის გამო. გარდა ამისა ქვეყანამ გადაიტანა სამოქალაქო ომი და შიდა კონფლიქტები.

სწორედ ამ და სხვა მოვლენებმა 1994 წლიდან ქვეყნის ეკონომიკას ძირი გამოუთხარა და მოშალა. წარმოების მოცულობა 1990 წლის დონის მესამედიღა დარჩა. ფინანსების სფეროში დისპროპორცია ვითარდება საშიში ტემპებით. ფინანსური სიძნელეების ძირითადი მიზეზი იყო ფინანსური და საშემოსავლო დისციპლინების მოშლა. ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციამ და ჰიპერინფლაციამ გამოიწვია საბიუჯეტო შემოსავლების მკვეთრი შემცირება (მშპ-ის 3% დონეზე), რის გამოც ხელისუფლებას არ შეეძლო სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციის შესრულება. მიზერული ხელფასებისა და პენსიების მიუხედავად, სახელმწიფო მმართველობის სექტორის ხარჯები მნიშვნელოვნად აჭარბებდა სახელმწიფო შემოსავლების მოცულობას, რამაც ქვეყანა მიიყვანა ბიუჯეტის დეფიციტამდე. დეფიციტის დაფინანსება უპირატესად ეროვნული ბანკის სესხებით წარმოებდა, პარალელურად იზრდებოდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვალის მოცულობა. ამ პერიოდში ჰიპერინფლაციის საშუალო თვიური დონე 60-70% აღწევდა.

საქართველოს ეკონომიკის, მისი ფულად-საკრედიტო სისტემის უმძიმესი მდგომარეობა სახელმწიფო ხელისუფლებისაგან მოითხოვდა უმკაცრესი ანტიინფლაციური ღონისძიებების გატარებას - ინფლაციის ჯერ შერბილებას, ხოლო შემდეგ მის შეჩერებასა და დაძლევას.

პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგა, იყო ფულის ნიშნების შემცვლელის, ანუ შუალედური ფულის ნიშნის კუპონის შემოღება. რადგანაც კუპონმა ვერ გაამართლა, ამიტომ 1995 წლის 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში გამოშვებულ იქნა ფულის ერთეული „ლარი“, რომელიც 2 ოქტომბრიდან გამოცხადდა ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველომ ლარის შემოღებით შეიძინა ძირითადი სახელმწიფოებრივი ატრიბუტი - ეროვნული ფულის ნიშანი.

გატარებული ღონისძიებების შემდეგ საქართველოში ინფლაციის ტემპმა დაიწია, ეკონომიკა შედარებით სტაბილური გახდა, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკის ავადმყოფობა მთლიანად არ განდევნილა ჩვენი ქვეყნიდან.

ინფლაცია მუდმივ მოვლენად იქცა მთელი მსოფლიოსათვის. განსხვავებული პროცენტული მაჩვენებლით გვხვდება თითქმის ყველა წელს და, ცხადია, არც 21-ე საუკუნის საქართველოსთვის არის

ინფლაცია უცხო. მართალია იმ მასშტაბებს არ აღწევს როგორც იყო მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი თანდათანობით მატულობს, მაგალითად:

2002-2006 წლებში ინფლაციის მაჩვენებელი წინა წლის დეკემბერთან მიმართებაში:

2002	2003	2004	2005	2006
5.4%	7%	7.5%	6.2%	8.8%

2002-2006 წლებში ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი:

2002	2003	2004	2005	2006
5.6%	4.8%	5.7%	8.2%	9.2%

2008 წლის შემდეგ კი ინფლაცია იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან, უმწვავეს პრობლემად არამარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. 2009 წლისათვის ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა, მაგრამ 2010 წელს მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და მთელი რიგი კატაკლიზმების გამო კვლავ ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა მსოფლიო ეკონომიკა.

საქართველოში 2010 წლის ბოლოსათვის ინფლაციის ტემპმა ორნიშნულიან ზღვარს გადააჭარბა, ზრდის ტენდენცია 2011 წელსაც არ განელებულა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის). იგი ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას.

სამომხმარებლო ფასების ყოველთვიური რეგისტრაცია ხორციელდება ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი). ფასების რეგისტრაციას ახორციელებს ფასების 20 რეგისტრატორი, რომელთაც გადანაწილებული აქვთ საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტები. ამ ობიექტების მთლიანი რაოდენობა აღემატება 1300 - ს (მათ შორის 300-ზე მეტი ობიექტი განთავსებულია თბილისში). სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების რეგისტრაციას ფასების რეგისტრატორები ახორციელებენ ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებზე, სამედიცინო დაწესებულებებში, კომუნალური მომსახურების ობიექტებში და სხვა. 25-დან 30 რიცხვამდე ხორციელდება მონაცემების მიღება საქსტატის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) ცენტრალურ ოფისში და ამ მონაცემების კონტროლი და კომპიუტერული დამუშავება. ინდივიდუალური ინდექსების ბაზაზე გაიანგარიშება აგრეგირებული ინდექსები თითოეული სასაქონლო ჯგუფისათვის, როგორც თითოეული ქალაქისათვის, ასევე მთლიანად ქვეყნისათვის.

სამომხმარებლო კალათა, ხუთივე ქალაქისათვის იდენტურია და მასში შედის ის საქონელი და მომსახურება, რომელსაც შეიძენს ტიპიური მომხმარებელი. სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე. მოხმარების პროპორციულად თითოეულ საქონელს და მომსახურებას მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. სამომხმარებლო შეიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელთა მოხმარება ყველაზე ხშირია საქართველოს მომხმარებლის მიერ. კალათის განახლება ხდება 3 წელიწადში ერთხელ. უკანასკნელად ის განახლდა 2010 წლის იანვარში. ამჟამად კალათა შეიცავს 266 სამომხმარებლო საქონელს და მომსახურებას.

მთლიანობაში სტატისტიკის სამსახურის მიერ ხდება ინფლაციის 4 მაჩვენებლის გაანგარიშება და გამოქვეყნება. ესენია: ინფლაცია წინა თვესთან; ინფლაცია წინა წლის დეკემბერთან; ინფლაცია წინა წლის შესაბამის თვესთან; პერიოდის ინფლაცია.

განვიხილოთ 2011 წლის მიმდინარე ინფლაცია მოცემული 4 მაჩვენებლის შესაბამისად.

1. ინფლაცია წინა თვესთან - 2011 წლის თებერვალი 2011 წლის იანვართან შედარებით:

პროცენტული ცვლილება 2011 წლის იანვართან შედარებით (%)

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	6.0
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	0.4
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-0.8
საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი	0.0
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	-0.1
ჯანმრთელობის დაცვა	-0.9
ტრანსპორტი	2.0
კავშირგაბმულობა	0.0
დასვენება, გართობა, კულტურა	0.1
განათლება	0.0
სასტუმრო, კაფე და რესტორანი	0.7
სხვა საქონელი და მომსახურება	0.4
ინფლაციის დონე სულ	2.8

2011 წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 2.8 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფზე:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 6.0 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 2.7 პროცენტი შეადგინა. ფასების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა ხილსა და ყურძნის ჯგუფზე - 18.1 პროცენტი, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე - 9.1 პროცენტი, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე - 8.7 პროცენტი, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე - 7.1 პროცენტი.
- ტრანსპორტი: მოცემულ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2.0 პროცენტით, მათ შორის ფასების მკვეთრი ზრდა აღინიშნა საწვავზე - 5.2 პროცენტი.

2. ინფლაცია წინა წლის დეკემბერთან - 2010 წლის დეკემბერი:

2010 წლის დეკემბერში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 11.2 % შეადგინა.

საბაზო ინფლაციის მაჩვენებელმა 2010 წლის მეოთხე კვარტალში 7.7 და 7.6 პროცენტი შეადგინა შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის. კვარტლის ინფლაციაში სურსათზე ფასების ზრდით გამოწვეული ინფლაციის წილი 86 პროცენტს შეადგენს, როდესაც გასული წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტს უტოლდებოდა. ინფლაციაში სურსათის წილის ზრდა განპირობებული იყო ამ ჯგუფის პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდით, რაც თავის მხრივ 2010 წელს მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ცუდი მოსავლიანობის გამო საერთაშორისო ბაზრებზე სურსათზე მკვეთრი გაძვირების შედეგია. ფასები გაიზარდა ასევე თითქმის ყველა სახეობის არასეზონურ ხილსა და ბოსტნეულზე. ადგილობრივი საქონლის წლიური ინფლაცია დეკემბერში 7.7 პროცენტს, ხოლო იმპორტირებულ საქონელზე 11.3 პროცენტს შეადგენდა, არასავაჭრო საქონელზე ინფლაციამ მხოლოდ 3.2 პროცენტი შეადგინა.

3. ინფლაცია წინა წლის შესაბამის თვესთან - 2011 წლის თებერვალი 2010 წლის თებერვალთან შედარებით:

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (%)

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	28.4
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	9.6
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	2.5
საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერგია, აირი	2.6
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	4.1
ჯანმრთელობის დაცვა	3.2
ტრანსპორტი	7.8
კავშირგაბმულობა	-7.0

დასვენება, გართობა, კულტურა	-0.8
განათლება	1.0
სასტუმრო, კაფე და რესტორანი	7.4
სხვა საქონელი და მომსახურება	8.6
ინფლაციის დონე სულ	13.7

2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 13.7 პროცენტი შეადგინა. 12-თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების მატებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 28.4 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში შეადგინა 11.7 პროცენტი. ფასების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა ხილსა და ყურძნის ჯგუფებზე - 54.8 პროცენტი, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე - 42.6 პროცენტი, ზეთსა და ცხიმზე - 36.4 პროცენტი, პურსა და პურპროდუქტებზე - 24.6 პროცენტი, შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე - 16.3 პროცენტი.
- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა - 9.6 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 0.3 პროცენტი შადგინა.

2011 წლის თებერვალში 2010 წლის თებერვალთან შედარებით ფასების 7.0 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა კავშირგაბმულობის ჯგუფზე, რომლის წვლილმაც ინფლაციის საერთო მაჩვენებელში - 0.3 პროცენტი შეადგინა.

ზემოთ აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინფლაციის მთავარ მიზეზად გვევლინება სურსათზე მაღალი ფასები, რაც პირველ რიგში გამოწვეულია გარე ფაქტორებით, კერძოდ, მაღალი საერთაშორისო ფასებით.

მსოფლიოში არასოდეს ყოფილა სურსათზე ასეთი მაღალი ფასები, რაც 2010 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი ბუნებრივი სტიქიებისა და მთელი რიგი ქვეყნების მიერ სასურსათო პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვითაა გამოწვეული. ეს ყველაფერი კი განსაკუთრებით მოქმედებს ისეთ პატარა განვითარებად ეკონომიკებზე, როგორიც საქართველოს ეკონომიკაა.

არსებული სიტუაცია აქტიურად განიხილება მსოფლიო მასშტაბითაც. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით სასურსათო საქონლის ინდექსი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მსოფლიო მასშტაბით.

საქმე გვაქვს ჩვენს რეალობაში მსოფლიო ფასების ადეკვატურ ასახვასთან, რადგან საქართველოში ფასები გაზრდილია იგივე სასაქონლო ჯგუფზე, რომელიც მსოფლიოში გაძვირდა. ჩვენი ინფლაცია იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენი სამომხმარებლო კალათა ორიენტირებულია ძირითადად სასურსათო საქონელზე. მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში კალათის შემადგენლობა განსხვავებულია და 10 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს სასურსათო საქონელი.

ლიტერატურა:

1. ადეიშვილი გ, ასათიანი რ., „ეკონომიკური თეორია“, გამომცემლობა „სიახლე“, თბ., 1998;
2. ქისტაური შ., „ინფლაცია“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2000;
3. კაკულია რ, ხელაია გ., „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბ., 2000;
4. ტალახაძე ნ., გიგაური ლ., ნაცვალაძე მ., „ეკონომიკა“, თბ., 2007;
5. მოხევიშვილი თ., „ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში“ ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“,# 8-9, თბ., 2009.

ინტერნეტ რესურსები:

1. http://www.bec.ge/images/doc/why%20is%20inflation%20bad.pdf
2. http://geostat.ge/cms/siti_images/_files/georgian/methodology/price/meTodologiuri%20ganmartebani.pdf
3. http://nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2010/axali/ inflacia 4 q.pdf
4. http://docs.google.com/viewer?a=v&q=cache:imJ_VJp9wQkJ:www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/inflation.pdf+inflacia+saqartveloshi&hl=ka&ql=g

ინფლაციური პროცესები საქართველოში

ინა ეცადაშვილი, ნანა შავშიშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ლალი ოსაძე,** აკადემიური დოქტორი

ინფლაცია ლათინური სიტყვაა და "გაბერვას" ნიშნავს. იგი ფულის გაუფასურების პროცესია, რომლის შედეგადაც იმავე მოცულობის თანხით შესაძლებელი იქნება ნაკლები პროდუქტისა და მომსახურების შეძენა. ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკის მძიმე, ძნელადსამკურნალო ხასიათის დაავადებაა. მისგან არცერთი ქვეყანა არაა დაზღვეული, როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული სახელმწიფოები, აგრეთვე ის ქვეყნებიც, სადაც ასეთუისე შენარჩუნებულია სიციალიზმის ეკონომიკა.

ინფლაცია ურთულესი მრავალფაქტორიანი ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც გვიჩვენებს კვლავწარმოების პროცესში არსებულ დეფორმაციებს და თავისთავს ავლენს მოცემული ქვეყნის ფულადი სისტემის მოშლასა და მისი ვალუტის კურსის დაცემაში (გაუფასურებაში). იგი ქაღალდის ფულის მიმოქცევის ავადმყოფობაა, როდესაც ფული კავშირს კარგავს ოქროსთან. ასეთ შემთხვევაში მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის მოცულობა განკუთვნილ მნიშვნელობას იძენს: თუ იგი აჭარბებს საქონლის მიმოქცევის მოთხოვნებს, აღმოცენდება ინფლაცია, რაც დამანგრეველია საბაზრო ეკონომიკისათვის. მას ხშირად "სოციალურ ბოროტებასაც" უწოდებენ, რადგან მისი განვითარება ქვეყანაში უამრავ ნეგატიურ მოვლენას იწვევს. უპირვლეს ყოვლისა უფასურდება ფული, ირღვევა დამკვიდრებული პროპორციები საქონელთა ფასებს შორის. გამყიდველს და მყიდველს სულ უფრო უძნელდება ოპტიმალური ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება.

ეკონომიკაში ინფლაციის გამომწვევ შემდეგ მიზეზებს განასხვავებენ:

1. მსხვილი ფირმების მონოპოლიას ფასების დაწესებაზე;
2. პროპკავშირების მონოპოლიას;
3. ქვეყნის წარმოებლურობის რეალურ შემცირებას, რომელიც ფულის მასის სტაბილური დონის დროს იწვევს ინფლაციის ტემპების გაზრდას, რადგან პროდუქტისა და მომსახურების ნაკლებ მოცულობას შეესაბამება იგივე ფულადი მასა.
4. სახელმწიფო ხარჯების ზრდას, რომლის ფინანსირებისთვის სახელმწიფო მიმართავს ფულის ემისიას.

მართალია, ინფლაცია ფასების ზრდას იწვევს, მაგრამ თავისთავად ფასების ზრდა არ არის ინფლაცია. ინფლაციის შედეგად წარმოიქმნება ინფლაციის ილუზია საზოგადოებაში, რომელიც შემდეგი მიზეზებითაა გამოწვეული:

- ადამიანი მოიხმარს რეალურ დოვლათს – მეტი ფული, არ ნიშნავს მეტ დოვლათს;
- ინფლაციით გამოწვეული ეკონომიკური გამოცოცხლება ქმნის მეტი დოვლათის ილუზიას;
- მოხმარება აჭარბებს წარმოებას.

ინფლაციას უამრავი საფრთხე გაანჩნია:

- ინფლაცია – დანაზოგებზე ფარული გადასახადია;
- ინფლაცია ყველას ვერ ამდიდრებს; ერთი მეორის ხარჯზე ცხოვრობს;
- ინფლაცია გადანაწილებაა: იგებს ემიტირებული ფულის პირველი მიმღები, აგებს ბოლო;
- პირველი მიმღები, როგორც წესი მთავრობასთან ახლოსაა, ბოლო – შორს, იქმნება კონკურენციის საფრთხე;
- შემოსავლების ზრდას ხარჯების ზრდა ახლავს.

საქართველო დღესდღეობით, სამეწარმეო ძალების განვითარების მიხედვით, იმყოფება სადღაც, ინდუსტრიულად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. მას შეიძლება ეწოდოს საშუალოდ ინდუსტრიული ქვეყანა,ან კიდევ ქვეყანა გარდამავალი ეკონომიკით. საქართველოში ინფლაციის მაღალ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად განაპირობებს ინფლაციის ინპორტი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან. პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდა იწვევს ჩვენთან ინფლაციას, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. გვაქვს ასევე შიდა ფაქტორებით გამოწვეული ინფლაცია, რომელსაც განაპირობებს ორი რამ – ერთი, ოლიგოპოლიური ბაზრები, ადამიანებისთვის მაღალი სამომხმარებლო ხასიათის მქონე საქონელზე, როგორიც არის მედიკამენტები, საწვავი, შაქრის იმპორტი, სადაც ასევე მცირეა კომპანიათა რაოდენობა. მეორე - შიდა ფაქტორი - გარდა იმისა, რომ არ არსებობს ამ მონოპოლიური ბაზრების რეგულირება, ესაა - წინასაახალწლო პერიოდი, როცა მაღალია

პროდუქტზე მოთხოვნა, იზრდება ფასები და შემდეგ აღარ მცირდება. აქაც პრობლემა გვაქვს ჯანსაღი კონკურენციის თვალსაზრისით, რადგან სასურსათო და სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტიორი და მიმწოდებელი სულ რამდენიმე კომპანიაა. სხვა შემთხვევაში, თუ ბაზარზე სრულყოფილი კონკურენცია გვექნებოდა, იგივე შაქრის შემთხვევაში, ფასები ცოტა უნდა დასტაბილურებულიყო ან შემცირებულიყო, რაც რეალურად არ მომხდარა.

ქვეყანაში არსებული კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა და ფართო მასშტაბები შეიძინა. იმ დროისათვის, როდესაც წარმოება მკვეთრად დაცემის ტენდენციას ატარებდა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ლიბერალურმა პოლიტიკამ და ბიუჯეტის დეფიციტის ემისიური კრედიტის ხარჯზე დაფინანსებამ, ხელი შეუწყო ინფლაციური პროცესების გაძლიერებას, რამაც შემდგომ ჰიპერინფლაციაც გამოიწვია. არსებული მდგომარეობა იმის მანიშნებელია, რომ არასწორმა ფულად–საკრედიტო და ფისკალურმა პოლიტიკამ შეიძლება ძალიან დიდი ზარალი მიაყენოს ქვეყანას და გამოუსწორებელი შედეგები დაგვიტოვოს. ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში ინფლაციის დონე 12-14%-ს შეადგენს.

რამდენიმე კატეგორიის საქონელი, 2011 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაძვირდა. ეს არის იმ კატეგორიის საქონელი, რომელიც ადამიანის სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მეტ წილს იკავებს: საწვავი, ხორბალი, შაქარი, წიწიბურა, ხილი, რომელთა დიდი ნაწილი იმპორტირებულია. საწვავის შემთხვევაში პროდუქტის 95%-ის იმპორტი ხორციელდება, დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა შაქართან დაკავშირებით, ასევე, 100%-ით იმპორტირებულია წიწიბურა, ხილი დაახლოებით 60%-მდე და ა.შ.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6%-ია, წლიური - 3%, ხოლო საშუალო წლიური - 1,7%-ია. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა უკიდურესად ნეგატიური სავაჭრო ბალანსით, რომელიც წლიდან წლამდე უარესდება. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა არსებითადაა დამოკიდებული იმპორტზე. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები საკმაოდ მაღალი „ინფლაციური მოლოდინი“, - არსებობს გარკვეული სოციალური, ეკონომიკური და სხვა ტიპის ვალდებულებები, რომელთათვისაც არაინფლაციური ფულის მოძებნა სულ უფრო გაძნელდება საქართველოს ეკონომიკის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის გამო“, - „დღეისათვის საქართველოში დაბალი ინფლაციის მაჩვენებელს პროდუქციაზე შიდა მოხმარების კლება იწვევს. ქვეყანაში მოსახლეობას სოციალურად უკიდურესად უჭირს, რაც მათ მიერ პროდუქციის შეძენის მოთხოვნაზე პირდაპირ აისახება. ეს ის შემთხვევაა, როცა ინფლაცია არა სებ-ის სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, არამედ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაში არსებული კრიზისული მდგომარეობითაა გამოწვეული. ამასთან საფინანსო კრიზისის პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით პროდუქციაზე ფასები იკლებს, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქტებზეც აისახება.

საქართველოს ეროვნული ბანკი ფასების ზრდის პროცესის გასანეიტრალებლად და ინფლაციის ერთციფრა ნიშნულზე დასაბრუნებლად ყველაფერს აკეთებს. იგი კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ფუნქციის – ინფლაციის რეგულირების ფარგლებში, საზოგადოებისათვის წარსადგენად ამზადებს და ყოველკვარტალურად გამოსცემს „ინფლაცის მიმოხილვას", სადაც დეტალურად არის მოცემული ქვეყნის მაკროეკონომიკური ანალიზი. კერძოდ: სამომხმარებლო ფასების ცვლილების დინამიკა შესაბამისი საანალიზო პერიოდისათვის, მასზე მოქმედი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები, საფინანსო და სავალუტო სექტორის მიმოხილვა.

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს სამომხმარებლო ფასების საერთო დონის წლიური ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში. საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. მომავალი სამი წლისათვის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღინიშნება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან ერთად. 2011-2013 წლებისათვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში მთავარი პრობლემა ისაა, რომ ბაზარი მონოპოლიური წარმოების ხელშია, ნაკლებადაა წარმოდგენილი მცირე და კუსტარული საწარმოები, რომლებიც ამინდს ვერ ქმნიან. წარმოების ნაკლებობა კი იწვევს მოთხოვნას იმპორტირებულ საქონელზე. პრინციპში, ჩნდება მოთხოვნა კონტრაბანდაზეც. დღეს კონტრაბანდა შემცირდა და, გარკვეულწილად, ფასების ზრდა ამანაც განაპირობა. "კონტრაბანდა უნდა შეწყდეს, რათა ადგილობრივი წარმოება გაძლიერდეს. თუმცა აქ არსებობს სხვა პრობლემაც - ადგილობრივი წარმოება ვერ ვითარდება კაპიტალის ნაკლებობის გამო," - მიაჩნია ივანე ჭუმბურიძეს.

ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში ფარული ინფლაციის პროცესი ორი წლის წინ დაიწყო. ამიტომ ლარის შემდგომი გაუფასურება გარდაუვალი და აუცილებელი პროცესია. საქართველოში ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა რომ არსებობდეს, დღეს ეს პრობლემა არ იქნებოდა.

ინფლაციის კვლავ გაღვივების ალბათობა საქართველოში საკმაოდ დიდია. სახეზეა ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაცია. ქვეყნის ეკონომიკის მონეტიზაციის დონე ანუ ფართო ფულის მასის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში: იგი 17 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როდესაც ბალტიის ქვეყნებში 48 პროცენტია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი 55-ს აღწევს. ამის გამო, ნებისმიერი მასშტაბური მაკროეკონომიკური მოვლენა, პირდაპირი ინვესტიციები იქნება ეს, პრივატიზაცია თუ ბიუჯეტში გადასახადების მობილიზება, ლარის მასის საკმაოდ მკვეთრ მატებასთან არის დაკავშირებული, რაც, საბოლოო ჯამში, ერთობლივი მოთხოვნის ზრდაში პოულობს ასახვას. მართალია, ეს უკანასკნელი ეკონომიკურ ზრდასაც უწყობს ხელს, მაგრამ ამავე დროს საფრთხეს უქმნის ფასების სტაბილურობას. ნამეტი ფულის მასის დიდი ნაწილი შემოსავლებად გადაიქცევა და სამომხმარებლო ფასების ზრდის ფაქტორად გვევლინება.

ძალიან მცირე კატეგორია საზოგადოებისა იღებს სარგებელს და დიდი კატეგორია ზიანდება. ანუ, საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობა იკლებს. ისეთ პირობებში, როცა ინფლაციის ადეკვატურად არ ხდება საშუალო შრომის ანაზღაურების ზრდა, არ ხდება სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელმწიფო შემწეობების ზრდა, რა თქმა უნდა, სოციალური ფონი დამძიმდება. ინფლაცია ძირითადად დაბალშემოსავლიან და საშუალო შემოსავლიან ადამიანებზე მოქმედებს უარყოფითად. ანუ იზრდება უთანასწორობა ღარიბ და მდიდარ ჯგუფებს შორის.

ინფლაციისაგან თავის დასაღწევად საჭიროა რომ ბანკები გადავიდნენ გამკაცრების პოლიტიკაზე, რაც აისახება როგორც საპროცენტო განაკვეთში, ასევე სარეზერვო მოთხოვნებში. ასევე პირველად ნორმებს დაუბრუნდეს კაპიტალის ადეკვატურობა. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული ინფლაციის ერთნიშნა ნიშნულზე დასაბრუნებლად. კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს ფულის მასის ზრდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება სტერილიზაციური აქტიურობა, ანუ სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება და ფინანსირების ის ოპერაციები, რომლებიც ფულის მასის მიმოქცევიდან ამოღებას ემსახურება.

საეჭვოა, რომ საჭიროა იმის მტკიცება რამდენად შეუძლებელი ან ძალიან ძნელია ფასების ინფლაციური ზრდის ფაქტორთა მთლიანად ამოძირკვა. უფრო რეალური იქნება თუ ვაწარმოებთ ბრძოლას არა იმდენად გაუფასურების მიზეზებთან, რამდენადაც – შედეგებთან. სხვაგვარად, ინფლაცია უნდა გახდეს მართვადი, ხოლო მისი დონე ზომიერი (მცოცავი).

ანტიინფლაციური ეკონომიკური ზომების განხორციელებისას ღრმად უნდა იქნეს გაანალიზებული მისი უკუშედეგებიც, ვინაიდან არაა გამორიცხული, ნეგატიურმა შედეგებმა გადააჭარბოს პოზიტიურს და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. დასავლელ სპეციალისტთა გათვლით, ინფლაციის 1%-ით შემცირებისათვის აუცილებელია წლის განმავლობაში უმუშევრობის ფაქტიურმა დონემ 2%-ით მაინც გადააჭარბოს მის ბუნებრივ დონეს, რაც რეალურ მთლიან შიდა პროდუქტს პოტენციურ შესაძლებლობასთან შედარებით, 4%-ით შეამცირებს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ცნობილია როგორც ინფლაციის გამომწვევი მიზეზები, ისე მისი დაძლევის გზები ეკონომისტები მაინც ვერ ახერხებენ მის თავიდან აცილებასა და მისგან თავის დაღწევას, რადგან ინფლაცია არ არის ერთმნიშვნელოვნად მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი საკითხი. მისი მიზეზებისა და დაძლევის გზების გარკვევაც რთული პროცესია, რაც ეკონომისტებისა და ექსპერტებისათვისაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საქართველოში კი ეს მწვავე და ჯერჯერობით დაუძლეველი პრობლემაა.

ეკონომისტების აზრით ქვეყნის ეკონომიკისთვის შეიძლება ჯობდეს რომ ინფლაცია მიუშვა, ვიდრე ხელოვნურად შეაფერხო და ეკონომიკა შეაჩერო.

ლიტერატურა:

1. მ. ვანიშვილი, ა. მექვაბიშვილი, ეკონომიკის საფუძვლები, თბ., 2007;
2. www.financial.ge - Georgian News Website
3. www.geostat.ge

გლობალური ფინანსური კრიზისი და მისი გავლენა საქართველოს ფინანსურ სისტემაზე

ბადრი ზანგალაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნინო ორჯონიკიძე,** სრული პროფესორი

გლობალური ეკონომიკური კრიზისი რეალობაა და, სამწუხაროდ, საერთაშორისო საფინანსო სისტემაში საქართველოს ეკონომიკის არცთუ მჭიდროდ ინტეგრირების ფონზეც კი მისი გავლენა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სულ უფრო მძიმედ აისახება. მიუხედავად უპრეცედენტო საერთაშორისო ფინანსური დახმარებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გაეწევა მომდევნო სამი წლის განმავლობაში, ეკონომიკური განვითარება უკვე მნიშვნელოვნადაა შეფერხებული და გამოყოფილი 4,5 მილიარდი აშშ დოლარი საკმარისი ვერ იქნება 2011 წლის ივლისამდე არსებული ეკონომიკური კონდიციების აღსადგენად.

გასული წლის ოქტომბრის თვეში ბრიუსელში გამართულმა დონორთა კონფერენციამ, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული ფინანსური დახმარების პაკეტის შესახებ, შეაფასა და გაითვალისწინა მხოლოდ ის ზარალი, რომელიც რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს ეკონომიკას მიადგა. 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიო ბანკის, გაეროსა და ევროკომისიის ერთობლივი ექსპერტთა ჯგუფის მიერ „საჭიროებათა შეფასება“ (Joint Needs Assessment) განხორციელდა გლობალური კრიზისის განვითარებამდე, შესაბამისად, მას არ უმსჯელია საქართველოს ეკონომიკაზე გლობალური კრიზისის შესაძლო გავლენის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელთა განცხადებით, აგვისტოს კონფლიქტის შედეგად გაუარესებული საინვესტიციო გარემოს, დაზიანებული ინფრასტრუქტურის, საბანკო სექტორში შექმნილი პრობლემების და სხვა მიზეზთა გამო, საქართველოს მთავრობა უკვე სექტემბრის თვეში გამოთქვამდა შიშს 100 000 სამუშაო ადგილის დაკარგვის შესახებ. ვარაუდი, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო დაამძიმებს ზემოთაღნიშნულ უმუშევრობის სურათს, სამწუხაროდ, სავსებით ლოგიკურია.

უმუშევრობის პრობლემასთან ბრძოლას გაცილებით ართულებს ქვეყანაში შრომის ბაზრის სფეროში ექსპერტული კვლევების ნაკლებობა, სანდო და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემთა ბაზის არარსებობა. ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსგავსი სახის ინფორმაციის სისტემატურად გამოქვეყნებას, რაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას საშუალებას აძლევს მოვლენათა განვითარების პულსს გრძნობდეს და, საჭიროების შემთხვევაში, დროულად ჩაერიოს სიტუაციის კორექტირების მიზნით.

2008 წლის ნოემბერში ვაშინგტონში, მსოფლიოს 20 წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება გლობალური ფინანსური სისტემის ახალი არქიტექტურით ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული მოლაპარაკებების დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელებიც, გადაწყდა, რომ გლობალური საფინანსო სისტემის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის საკითხში წაყვანი როლი საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაეკისრებოდა. ამ უკანასკნელის მმართველი დირექტორის ბ-ნ დომინიკ სტროს-კანის, ისევე, როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის ბ-ნ რობერტ ზელიკის მოსაზრებით, გლობალური კრიზისის პირობებში შრომითი უფლებების შეზღუდვა უფრო მეტი ლიბერალიზაციის ან დერეგულაციის სასარგებლოდ, გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. ასევე მათი საერთო პოზიციაა, რომ საფინანსო ბაზრები და კაპიტალის გლობალური მიმოქცევა გარკვეულ რეგულირებასა და მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს, რათა გამოირიცხოს ახალი სპეკულაციური სქემები და კაზინოს ეკონომიკის ისეთი მოდელები, რომელთა მიზეზითაც განვითარდა გლობალური საფინანსო კრიზისი.

ნებისმიერი კრიზისის დროს ყველაზე მეტად დასაქმებული ადამიანები და მათი ოჯახები ზარალდებიან. ასე მოხდა გლობალური სასურსათო და საწვავის კრიზისის დროს, ასე ხდება ახლაც. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანალიზით, რომელიც გაკეთდა გლობალური ფინანსური კრიზისის დასაწყისში, 20 მილიონი ადამიანი შეუერთდებოდა მსოფლიოში უმუშევართა რიგებს, ხოლო დამატებით 40 მილიონი ადამიანის შემოსავალი შემცირდებოდა 1 აშშ დოლარამდე დღეში, ანუ იცხოვრებდა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ. თუმცა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ

აღნიშნული შეფასება შესაძლოა ძალზედ რბილიც კი აღმოჩნდეს, ანუ სიტუაცია გაცილებით გაუარესდეს.

მივესალმებით საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთაშორისო დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისაკენ მიმართვის შესახებ, რომ მთავრობამ ბოლომდე უნდა გაითვალისწინოს "ვაშინგტონის დეკლარაციის" სულისკვეთება და ინვესტიციები, უნდა განხორციელდეს განათლებასა და ჯანდაცვაშიც, რაც სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან კომბინაციაში მოთხოვნის ზრდის სტიმულირებას მოახდენს. ამ ნაბიჯების პარალელურად უნდა გატარდეს ღონისძიებები საგადასახადო და ხარჯვით პოლიტიკაში, რათა გაიზარდოს მცირე და საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანების მსყიდველუნარიანობა. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რათა ეკონომიკის გაჯანსაღებისაკენ მიმართული თანხებით იქმნებოდეს სამუშაო ადგილები ღირსეული და სამართლიანი შრომის პირობებით, არ უნდა მიეცეს უკონტროლო ხარჯვის საშუალება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების ბენეფიციარ არცერთ კერძო მეწარმეს. საზოგადოებისათვის გამჭვირვალე და საჯარო უნდა იყოს იმ საბიუჯეტო და საგრანტო თანხების ხარჯვა, რომელიც გაიცა ან გაიცემა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისათვის, ასევე კრიზისში მყოფი კერძო კომპანიების ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად. ამ გზით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული, თუ სხვა სახის პროექტებთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების წარმოებისას და უშუალოდ განხორციელების ეტაპზეც, გარკვეულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს დახმარების მიმღები კერძო კომპანიების სახელფასო პოლიტიკა, რათა გამოირიცხოს მენეჯმენტს, მუშახელსა და სხვა ტექნიკურ პერსონალს შორის ხელფასების არარაციონალური, დაუსაბუთებელი დიფერენციაცია, მიღწეულ იქნას დასაქმების მაქსიმალურად მაღალი დონე, უზრუნველყოფილ იქნას თანხების ეფექტური ხარჯვა.

არაორდინალურ კრიზისულ სიტუაციას ეკონომიკაში, ყოველთვის მოსდევს სოციალური დაძაბულობის ესკალაცია. ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ მსგავსი კრიზისებიდან გამოსავალს განვითარებული საზოგადოებები სოციალური დიალოგისა და საზოგადოებაში სოლიდარობის განმტკიცების გზით აღწევდნენ. არსებული კრიზისი, რომელიც ემუქრება არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელს კაცობრიობას, არის ყველაზე საშიში იმ კრიზისებს შორის, რომელიც ოდესმე უნახავს და განუცდია მსოფლიოს.

ხელისუფლებას კრიზისიდან გამოსვლის როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი გეგმა უნდა ჰქონდეს შემუშავებული. შეუძლებელია ხელისუფლებამ მოკლევადიან პერიოდში დაასაქმოს მასობრივი დათხოვნების შედეგად უმუშევრად დარჩენილი ადამიანების უმეტესობა. ამ მძიმე სიტუაციაში, საქართველოდან ემიგრაციის ახალი ტალღა – ყველაზე არასასურველი, მაგრამ რეალურად შესაძლო შედეგი და საშიშროებაა, რაც ქვეყანამ და მისმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას. დემოგრაფიული სიტუაცია ისედაც კატასტროფულია: გაეროს 2008 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წელიწადში 35-40 ათასით მცირდებოდა. მდგომარეობის გაუმჯობესების ვარაუდის საფუძველი თითქმის არ არსებობს.

უმუშევრობის შემდგომი ზრდისა და სიღარიბის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად რეალურ საშუალებად, ხელისუფლებას, დამსაქმებლებსა და დასაქმებულთა შორის ერთიანი შეთანხმების მიღწევა მიგვაჩნია. მიუხედავად შრომით და საწარმოო ურთიერთობებში საქართველოს კანონმდებლობის არასრულყოფილებისა, რომელიც ხელისუფლების სუბიექტური დამოკიდებულებით ბიზნესის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, ძლიერ დაუბალანსებელია დამსაქმებლების სასარგებლოდ, პროფესიულ კავშირებს შესწევს უნარი ღირსეული პარტნიორის როლი შეასრულოს აღნიშნული შეთანხმების შემუშავების, განხორციელებისა და შესრულებაზე მონიტორინგის კუთხით. ამ სიტუაციაში დაუშვებელია მხოლოდ საბაზრო კანონებისა და ლიბერალური მიდგომების შესაბამისად მოქმედება. დღეს სოლიდარობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობა, ხელისუფლების და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფის, განვითარების ნიშანი იქნებოდა. ამისათვის:

– ამ ეტაპზე აუცილებელია დაწესდეს უმუშევრობის შემწეობა, იმ ოდენობით, რომელიც უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს პირველადი, უმთავრესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებასაც მისცემს და იმავდროულად საზოგადოების, სახელმწიფოს მხრიდან სოლიდარობის განწყობას აგრძნობინებს. ამასთან აღნიშნული ნაბიჯი გაზრდიდა ქვეყნის შიგნით მცირე მეწარმეთა მიერ წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნას, ხელს შეუწყობდა სამომხმარებლო აქტივობის გაზრდას და საცალო ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ მომარაგების ქსელში დასაქმებულთა სამუშაო ადგილების შენარჩუნებას (აღსანიშნავია, რომ ისეთი ლიბერალური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციის პირობებში,

უმუშევრობის შემწეობის გაცემის ხანგრძლიობა 3 თვით გაიზარდა, ხოლო ევროპის ქვეყნებში აღნიშნული სოციალური დაცვის სისტემა გაცილებით მეტ გარანტიებს სთავაზობს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს).

– უნდა გაიზარდოს დამსაქმებლების სოციალური პასუხისმგებლობა მათი ინიციატივით დასაქმებულთა გათავისუფლების დროს გასასვლელი დახმარების, ანუ კომპენსაციის ოდენობის გაზრდის გზით. მითუმეტეს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულები ამ კუთხით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან საჯარო სექტორში დასაქმებულებთან შედარებით (კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ" საჯარო მოხელეებს დათხოვნის შემთხვევაში 2 თვის გასასვლელი დახმარებით უზრუნველყოფს, ხოლო კერძო სექტორში მომუშავეებს მხოლოდ 1 თვის ხელფასი ეძლევათ)

– ორსულობისა და მშობიარობის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხი უფრო სამართლიანად უნდა გადაწყდეს. დახმარების 600 ლარიანი ჭერი დაწესდა 2006 წელს, მაშინ, როცა დასაქმებულთა ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი 12% იყო. აშკარაა, რომ იგივე საშემოსავლო გადასახადის 20-25%მდე გაზრდის შემთხვევაში აღნიშნული განაკვეთი იგივე არ უნდა დარჩეს. უსამართლობის შეგრძნებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში სამომხმარებლო და მომსახურების (განსაკუთრებით კომუნალურ, სამედიცინო, მშობიარობის, ბავშვის მოვლის) ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომ არაფერი ვთქვათ სამომხმარებლო კალათაზე და დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საერთაშორისო სტანდარტზე. აღნიშნული საკითხის განხილვისას ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

– უნდა გაიზარდოს კოლექტიური მოლაპარაკებების, როგორც სოციალური დიალოგის გზით საწარმოო კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმის როლი. ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული მექანიზმის ეფექტურ იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. შექმნილ კრიზისულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში, სოციალური მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ სამართლიანი სოციალური დიალოგითაა შესაძლებელი.

– სამედიცინო დაზღვევის გაძვირების შედეგად, ამ სასიცოცხლო მომსახურების ხელმისაწვდომობის სულ უფრო და უფრო გართულების პირობებში, აუცილებელია გაიზარდოს ბიზნესისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. დამსაქმებლებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მათ მიერ დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მიერ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფთა ჯანმრთელობის დაზღვევა, არასაკმარისი ღონისძიებაა, ვინაიდან სხვა დაბალი, ან თუნდაც საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის ერთიორად გაძვირებული სამედიცინო მომსახურება, მათაც ღარიბთა კატეგორიაში აქცევს. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მზადაა, შესაბამისი ხელშემწყობი საკანონმდებლო ცვლილებების პირობებში, აიღოს პასუხისმგებლობა ამ კატეგორიის, მათ შორის, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზღვევის ორგანიზებასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობაში, ზემოთაღნიშნული იდეის განხორციელება, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების დაზოგვასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა ამ სფეროში მიმდინარე მტკივნეულ პროცესებს.

სურვილისა და კეთილი ნების არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლებას, როგორც აღმასრულებელს, ისე საკანონმდებლოს, შეთავაზებული ღონისძიებების დასაფინანსებლად მარტივად შეუძლია რეზერვების გამონახვა არსებულ 2010 წლის ბიუჯეტში. ამისათვის, საჭიროა გადაიხედოს პარლამენტისა და მთავრობის ზოგიერთი უწყების ბიუჯეტები, განსაკუთრებით, გაზრდილი სახელფასო, საოფისე, მივლინებების, ტრანსპორტისა და კაპიტალური ხარჯების ნაწილში (კონკრეტული წყაროები მითითებულია იმ კანონპროექტებსა და თანდართულ განმარტებით ბარათებში, რომელიც საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ინიციატივის სახით, და რომლის მხარდასაჭერადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს ათიათასობით საქართველოს მოქალაქის ხელმოწერების შეგროვება).

გლობალური საფინანსო კრიზისი, რომელიც კარგა ხანია ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა, ხელისუფლებისა და საზოგადოებისაგან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. დღეს "ქამრების მოჭერის" დროა, რაც განვითარებული, ჰუმანური იდეების მიმდევარი საზოგადოების ენაზე თანადგომის, სამართლიანობისა და სოლიდარობის მცნებების ყოველდღიურ ცხოვრებაში უმთავრეს სამოქმედო პრინციპებად გამოყენებას ნიშნავს.

ლიტერატურა:
1. www.civil.ge
2. www.books.google.ge
3. www.economics.ge
4. www.statistics.ge
5. Mankiw N.G Macroeconomics, NY Worth Publishers, 2003;
6. ნოდარ ხადური, „მაკროეკონომიკა“, თბ., 2007;
7. ვლადიმერ პაპავა, „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მიკროეკონომიკა“, თბ., 2005.

ბიზნესის რესტრუქტურიზაციის პროცესი

თეონა კაკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ მშვიდობაძე,** ასოცირებული პროფესორი

ბიზნესი, აზრობრივი მნიშვნელობით წარმოადგენს ნებისმიერი საქმიანი ქმედების უნივერსალურ ფორმას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, რომლის სწორი მართვა მნიშვნელოვან ასახვას ჰპოვებს სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ბიზნესი თვისობრივად ატარებს ევოლუციურ ხასიათს. მისი ძირითადი პარამეტრები მიდრეკილია გლობალიზაციისა და განვითარებისაკენ. ბიზნესის განვითარება კი მოითხოვს მისი შემადგენელი ელემენტების, პროცესების დაპროექტების, მოდელირებისა და მართვის პერიოდულ ცვალებადობას, რაც მეტწილად საბაზრო პირობების გაუმჯობესების, ინფორმაციული სივრცის შევსების, ახალი მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების შექმნითაა გამოწვეული. თანამედროვე ბიზნესი, პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებული ხდება ინფორმაციულ სივრცეზე. ეს აუცილებელია სტატისტიკური მაჩვენებლებისთვის, ოპერატიული მონაცემების მართვისთვის, მარკეტინგული კვლევისთვის და ა.შ. ასეთი არსებითი მიზეზების გამო ტენდენცია ჰპოვა ბიზნესის რესტრუქტრიზაციის პროცესმა.

იგი 1993 წელს ჩამოყალიბდა ამერიკელი მეცნიერების მ. ჰამერისა და ჯ. ჩემპის მიერ. ამ პროცესს მათ ბიზნესის "რეინჟინირების" (business reengineering) ტერმინი უწოდეს, რაც შინაარსობრივად ბიზნესის ახალი საინჟინრო და ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვას ნიშნავს, რითაც თანამედროვე ბიზნესის მოდელი განახლებულ და რესტრუქტურიზებულ სახეს იღებს [1].

ბიზნესის რესტრუქტურიზაციაში განიხილება ბიზნესის სტრუქტურული ცვლილება მართვაში ხელშემწყობი სამი ძირითადი სისტემით: მენეჯმენტი, პროცეს-ორიენტირებული დაპროექტება და სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა [2].

ბიზნეს-რესტრქტურიზაციის მოდელი ასახავს სუბიექტზე (საკადრო) და ობიექტზე (ბიზნეს-პროცესები) ორიენტირებული სისტემების კომპლექსს.

სუბიექტზე ორიენტირებული სისტემა წარმოადგენს მენეჯმენტურ მოდელს და განიხილავს საკადრო სისტემის რეორგანიზაციას – ორგანიზაციული მთლიანობის სამუშაო გუნდებად დაყოფის პრინციპით. გუნდები (TEAM), ანუ მობილური ჯგუფები განიხილება ორ დონეზე: მაღალი დონის სამუშაო გუნდი ანუ ადმინისტრაციული და ქვედა დონის გუნდი – პროცესუალური. გუნდები დანაწილებულია ფუნქციურად, არის მუდმივ ინფორმაციულ კავშირში ერთმანეთთან, მუშაობს პარალელურად და ემსახურება ერთი მთლიანი მიზნის შესრულებას.

გუნდებს შორის ინფორმაციული ურთიერთქმედების მოდელი უზრუნველყოფილია ე.წ. ჯგუფური უზრუნველყოფის სისტემით (Groupware Systems), რაც განაწილებული სისტემების დაპროექტების კლასს მიეკუთვნება [3].

თითოეული გუნდი ასრულებს მთლიანი სისტემის ან პროექტის დეკომპოზიციურ ნაწილს – ცალკეულ ფუნქციურ ეტაპს, რომელიც შემოსაზღვრულ საქმიან ქმედებას წარმოადგენს. ამ საქმიანი ქმედებების გაერთიანება კი ქმნის დასრულებულ სისტემას დროითი და ეფექტურობის

კოეფიციენტის მაქსიმალური მოგებით. საქმიანი ქმედება მიეკუთვნება ობიექტზე ორიენტირებულ სისტემას და წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების შემადგენელ ბირთვს. მისი მოდელის რეალიზაცია წარმოებს პროცეს-ორიენტირებული მიდგომით, სადაც ხდება საქმიანი ქმედებებისა და ქმედებათა შორის კავშირების აღწერა, მოწესრიგება, მართვა და კონტროლი, რაც დოკუმენტბრუნვისა (Docflow) და საქმიანი ნაკადების მართვის სისტემის (Workflow Management System) გამოყენებით ხორციელდება.

ინფორმაციული უზრუნველყოფა ბიზნესის არსებობის მთავარი საფუძველია. სრულყოფილი ინფორმაციული შევსება კი ქსელური ტექნოლოგიების და განაწილებული სისტემების გამოყენებით მიიღწევა.

ბიზნეს-რესტრუქტრიზაციის მნიშვნელოვან ბირთვს განაწილებული ინფორმაციული სისტემების დანერგვა და აქტიური გამოყენება წარმოადგენს, რაც ბიზნესის ინტერნეტულ სამყაროში ინტეგრაციით გამოიხატება – ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის სისტემების დანერგვის თვალსაზრისით.

ბიზნეს-პრაქტიკიდან გამომდინარე კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიანი ინფრასტრუქტურის (რეკლამა, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს. შედეგად მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე.

იგი ამასთანავე უზრუნველყოფს კომპანიის იაფ და მუდმივ რეკლამას, სერვისის ამაღლებას – საიტზე კლიენტს შემოსვლა შეეძლება გეოგრაფიული ადგილისა და დროის ნებისმიერ მომენტში, შესაძლებელია კლიენტურის აზრის გამოკითხვა და სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატური შეგროვება, სამომხმარებლო ბაზის გაზრდა.

ლიტერატურა:

1. Hammer M., Champy J. Reengineering the Corporation. A Manifesto for Business Revolutions, HarperBusiness, 1993.
2. Jacobson I., Ericsson M. Jacobson A. The Object Advantage: Business Process Reengineering with Object Technology. ACM Press. – Addison – Wesley Publishing, N – Y: 1995.
3. Реинжиниринг бизнес - процессов (BPR – business process reengineering)
http://www.hr-portal.ru/pages/bpta/bpta46.php

ინტერნეტ-მარკეტინგის მოდელი

თამთა კაპანაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თინათინ მშვიდობაძე,** ასოცირებული პროფესორი

მარკეტინგული კვლევა ეს არის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებისას გაურკვევლობის შემცირების მიზნით.

მარკეტინგული კვლევა შეიძლება მიმართული იყოს შემდეგი საკითხების შესწავლისკენ: მომხმარებელი (შემოსავლები, განათლება, სქესობრივ–ასაკობრივი სტრუქტურა, ბაზარზე ქცევის მოტივები და ა. შ.), ბაზარი (ტენდენციები, დემოგრაფიული ფაქტორები); კონკურენტი (დაკავებული წილი ბაზარზე, ძლიერი და სუსტი მხარეები); ბაზრის ინფრასტრუქტურა (შუამავლები, პოტენციური დილერები და ა. შ.). პროდუქცია და ფასი (რა უპირატესობას ანიჭებს მომხმარებელი ბაზარზე არსებულ პროდუქციას: დიზაინი, ტექნიკური მახასიათებლები, სერვისი და ა. შ.); რეალიზაციის გზები. გარდა ამისა, მარკეტინგული კვლევა შეიძლება მიზნად ისახავდეს კომპანიის შიდა მდგომარეობის შესწავლას, კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და ასორტიმენტის ადეკვატურობას ბაზარზე. [1]

კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის ბაზარი ეს არის საერთო ბაზრის ნაწილი, რომელზეც კომპანია ახდენს თავისი პროდუქციისა და სერვისის რეალიზაციას. პროდუქციისადმი მომხმარებლის დამოკიდებულების მიხედვით ბაზარი იყოფა ოთხ ძირითად ნაწილად:

1) მომხმარებელი, რომელიც არის კომპანიის კლიენტი;

2) მომხმარებელი, რომელიც არის კონკურენტი კომპანიის კლიენტი;
3) პირი, რომელმაც იცის პროდუქციის არსებობის შესახებ, მაგრამ არ ყიდულობს მას არც კომპანიისაგან და არც მისი კონკურენტისაგან;
4) მომხმარებელი, რომელმაც არ იცის პროდუქციის არსებობის შესახებ.

ბაზრის მოცულობა. საქონლის მაქსიმალურ მოცულობას, რომლის მოხმარებაც შეუძლია მოცემული ბაზრის მიმდინარე მომენტში არსებული პირობებით (ფასები, შემცვლელი პროდუქცია, მოსახლეობის შემოსავალი და ა. შ), ეწოდება ბაზრის მოცულობა მოცემული საქონლისთვის.

ბაზრის სეგმენტაცია. ბაზარი არაერთგვაროვანია. ასახული მონაცემებიდან გამომდინარე, მისი დაყოფა შეიძლება ნაწილებად (სეგმენტებად), მომხმარებელთა ჯგუფებად და პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების მიხედვით. მომხმარებლებს განსხვავებული მოთხოვნები აქვთ და ისინი არაერთგვაროვნად რეაგირებენ კომპანიის მოღვაწეობის სხვადასხვა ფორმაზე (რეალიზაციის მეთოდები, რეკლამა და სხვა).

ბაზრის სეგმენტაციის პროცესში ხორციელდება მომხმარებელთა ჯგუფებად დაყოფა. ჯგუფში ერთიანდებიან ის მომხმარებლები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მოთხოვნები, ფასდება თითოეული ჯგუფის რიცხოვნობა, დგინდება მათი წილი მომხმარებელთა საერთო რაოდენობაში მოცემულ ბაზარზე. გარდა ამისა, სეგმენტაცია შეიძლება განხორციელდეს გეოგრაფიული, დემოგრაფიული და სხვა ნიშნების მიხედვით. საბოლოო ჯამში ბაზრის სეგმენტაციის განხორციელების შემდეგ კომპანია ირჩევს მიზნობრივ სეგმენტს, განსაზღვრავს მათ მოცულობას, იღებს გადაწყვეტილებას თავისი პროდუქციის პოზიციონირების შესახებ და შეიმუშავებს მარკეტინგულ გეგმას.

პროდუქციის პოზიციონირება. პოზიციონირებაში იგულისხმება მისაღები ზომების კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის კონკურენტუნარიანი მდგომარეობის შექმნას ბაზარზე. ბაზრის მიზნობრივი სეგმენტის არჩევა საშუალებას გვაძლევს პროდუქცია შევთავაზოთ მომხმარებელთა იმ ჯგუფს, რომელსაც ის სჭირდება. პოზიციონირების მთავარი დანიშნულებაა მომხმარებლის დარწმუნება, რომ მიწოდებული პროდუქცია შექმნილია მისთვის და მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებს. პოზიციონიერებისას გამოიყენება სხვადასხვა მარკეტინგული ინსტრუმენტი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მომხმარებლის ინფორმირება, კომპანიის იმიჯის ფორმირება და სხვა. [2]

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია ეყრდნობა ვარაუდს, რომ ნებისმიერ პროდუქტს აქვს ბაზარზე არსებობის ვადა. პროდუქცია იქმნება, ინერგება ბაზარზე, გადის ზრდის, ჩამოყალიბების, სტაბილურობისა და ვარდნის ფაზებს. ამის შემდეგ პროდუქტი გამოიდევნება ბაზრიდან სხვა, უფრო იაფი ან მაღალი ხარისხის მქონე, პროდუქტის მიერ.

დანერგვის ფაზის მთავარი ამოცანაა ბაზრის შექმნა მოცემული პროდუქტისათვის. ამ სტადიაზე გაყიდვების მოცულობა და მისი ზრდა, როგორც წესი, მცირეა.

ზრდის ფაზა დგება მაშინ, როდესაც პროდუქტი მოიპოვებს მომხმარებლის აღიარებას და მასზე მოთხოვნის ზრდა თვალსაჩინო ხდება.

ჩამოყალიბების ფაზა დამახასიათებელია გაყიდვების ზრდის ტემპის შემცირებისათვის. ახლოვდება სტაბილურობის ფაზა, პროდუქცია გადადის კატეგორიიდან – „ახალი“ კატეგორიაში – „ტრადიციული“. სტაბილურობის ფაზაში რაოდენობის ზრდა წყდება.

ვარდნის ფაზა ხასიათდება მომხმარებლის ინტერესის კლებით და გაყიდვების მოცულობის შემცირებით. ამ სტადიაზე მწარმოებელი ან წყვეტს პროდუქციის წარმოებას ან ახდენს მის მოდერნიზაციას, ან ცვლის მის პოზიციონირებას.

სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კონკრეტული პროდუქციის მიმართ, ისე გარკვეული სახის სხვადასხვა პროდუქციის ერთობლიობის მიმართ.

სასაქონლო ნიშანი (სავაჭრო მარკა, საფირმო ნიშანი). სურათი, ნიშანი, სიმბოლო, აბრევიატურა შესაძლოა გამოყენებულ იქნას პროდუქციის გამოსარჩევად სხვა ანალოგიურისაგან. სასაქონლო ნიშანი არის პროდუქციისა და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაციის საშუალება.

სასაქონლო პოლიტიკა. ეს არის პრინციპებისა და კრიტერიუმების სისტემა, რომლითაც ხელმძღვანელობს კომპანია გადაწყვეტილებების მიღებისას და ასორტიმენტის ფორმირებისას.

მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემა. ეს არის ინსტრუმენტების კრებული, რომლის მეშვეობითაც კომპანია ამყარებს კავშირს მომხმარებელთან ინფორმირებისათვის პროდუქციისა და სერვისის შესახებ.

ფასების პოლიტიკა. ეს არის კომპანიაში მიღებული ფასების მართვის სისტემა. როგორც წესი, კომპანია ადგენს თავისი პროდუქციისა და სერვისის საბაზისო პრეისკურანტს, ბაზრის კონკურენციის, პროდუქციის მახასიათებლების, გარე ფაქტორების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი) ინფორმაციაზე დაყრდნობით. [4]

ლიტერატურა:
1. კოტლერი ფ., „მარკეტინგის საფუძვლები“, თარგმ. ინგლ., თბ., 1993;
2. სურგულაძე გ., თურქია ე. „ბიზნეს-პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება“, მონოგრაფია, სტუ, თბ., 2003;
3. Электронная торговля без проблем http://www.osp.ru/cw/1998/06/71.htm

სოფლის მეურნეობა - ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტი

ნათია მინდიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** ასოცირებული პროფესორი

სოფლის მეურნეობა ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით მცირე ნაწილი მოდის, ამ სექტორში დასაქმებულთა წილი ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რიცხვის მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს. ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

მთელი გასული ოცი საუკუნის განმავლობაში სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საკითხი ისე მწვავედ და აქტიურად არ დამდგარა, როგორც ახლა, XXI საუკუნის მიჯნაზე. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევოლუციური (თანდათანობით) ცვლილებები უკვე ვეღარ ესატყვისება და ვერ ეთავსება ამჟამინდელ და აქამდე უცხო, ეკონომიკური ზრდის (განვითარების) წარმოუდგენლად სწრაფ ტემპებს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება ნიშნავს იმას, რომ თითოეული ჰექტარი სასოფლო - სამეურნეო სავარგული, პირუტყვისა და ფრინველის სახე მოექცეს ინტენსიური, მრავალკომპონენტული, ავტომატიზირებული, პროგრამული ტექნოლოგიური, ბიოლოგიური და მართვის სისტემის გავლენის ქვეშ, რათა ამ კომპლექსური არსენალის ურთიერთშეჯერებული და ერთდროულად გამოყენებით მივიღოთ არა მხოლოდ აგროტექნიკურად და ზოოტექნიკურად მაღალი, არამედ ბიოლოგიური პოტენციალის შესაბამისი პროგრამირებული პროდუქცია.

სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და ენერგეტიკა ის დარგებია, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის ზრდა რთული წლების შემდეგ.

სწორედ ამ დარგების განვითარება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ფეხზე წამოყენებაში. პირდაპირ უცხოური ინვესტიციების დიდი რაოდენობით შემოდინების გამო, 2009 წელს საქართველოს მშპ 7%-ით შემცირდა, თუმცა წელს მშპ – 6%-ით.

,,ვთვლით, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი ძალზედ მნიშვნელოვანია. მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება და ჩვენ უფრო მეტად ვხედავთ მოთხოვნილებას ნატურალურ და ორგანულ პროდუქტზე, საქართველოს კი ყოველთვის ასეთ პროდუქტს აწარმოებდა. ვამაყობთ, რომ არ ვაწარმოებთ გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტს. სოფლის მეურნეობის განვითარება ამავდროულად შეესაბამება ჩვენს სტრატეგიას ,,მწვანე საქართველოს'' შესახებ, რომელიც მოიცავს ალტერნატიულ ენერგიასთან დაკავშირებულ საკითხებს

ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ჰიდრორესურსი, თუმცა ამ რესურსის მხოლოდ 18%-ს ვიყენებთ'', - აღნიშნავს საქართველოს ხელისუფლება.

ქართველები, რომლებმაც ქვეყანა XX საუკუნის ქაოსურ 90-იან წლებში დატოვეს, ნელ-ნელა უბრუნდებიან სამშობლოს და ადამიანური კაპიტალის არეალს ავსებენ.

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია, რომლის განვითარებაც გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. განვითარებადი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბით დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა და მას უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები. 2010 წელს მსოფლიოში, ზოგადი, აგრარული სექტორი შემცირებული წარმოებით გამოირჩევა, არახელსაყრელი კლიმატური

პირობების გამო, რამაც გაზარდა ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ქვეყნები ცდილობენ, აგრარული სექტორის დაფინანსების გაზრდით გაზარდონ წარმოება, რათა თავიდან აიცილონ საკუთარ ბაზრებზე ამა თუ იმ პროდუქტის დეფიციტი და ფასების ზრდა.

წელს, საზოგადოებისთვის ცოტა მოულოდნელადაც, საქართველოს ხელისუფლებამ პრიორიტეტულ დარგად სოფლის მეურნეობა დაასახელა.

საქართველოში ამ დარგს ბევრი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზიც არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკადრისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემა. 2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 40 მლნ. ლარს შეადგენდა, 2011-ში კი 69 მლნ-მდე გაიზარდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 0,9 %-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, ოფიციალური მონაცემებით შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, ამ სფეროს წილი მშპ-ში 7-8%-ს შეადგენს. ადგილობრივი პროდუქციით, შიდა ბაზრის მოთხოვნა კი მხოლოდ 12%-ით კმაყოფილდება. ევროკავშირის ქვეყნები თავიანთი ბიუჯეტის 40%-მდე ხარჯავენ სოფლის მეურნეობის სუბსიდირებაზე. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე ნამდვილად ასე იყო. ახლა ისევ საქართველოს მონაცემებს თუ ჩავხედავთ, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში იყო: 1996 წელს - 33,15%, 2003 წელს - 19,30%, 2009 იგი შემცირდა 8,29%-მდე. ამ დროს სოფლად ცხოვრობს სოფლის მოსახლეობის 53%, ხოლო სოფლის მეურნეობაში, ჩვენი საკმაოდ უცნაურად მომუშავე სტატისტიკის უწყების თანახმად, 48%-ია დასაქმებული. ჩვენი სოფლის მეურნეობა კი რა არის- 0,5-დან 1 ჰა-მდე მიწის საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილი, შიდა მოხმარებისათვის წარმოებული კიტრი, პომიდორი, ბაღჩეული, მცირედი ციტრუსი, ვაშლი, ყურძენი და თხილი გასაყიდად. კანტი-კუნტად არსებული მცირერიცხოვანი ფერმერული მეურნეობები, ღვინით ანაბარად არის მიგდებული. სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე. სოფლის მეურნეობის დაცემა განსაკუთრებით 2005 წლიდან შეინიშნება. საქართველოში სავარგულების მხოლოდ მესამედი მუშავდება. თუ 90-იანი წლების დასაწყისში 800 ათასი ჰექტარი მიწა იხვნებოდა, ამჯერად ქვეყანა 300 ათასამდე ჰექტარს თუ ამუშავებს. გლეხები მიწებს დაუმუშავებლობის მიზეზად სოფლის მეურნეობის არარენტაბელობას ასახელებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ გაძვირებული საწვავის ფონზე, მიწის დამუშავება, მოსახლის მოვლა იმდენად ძვირი ჯდება, რომ თვითღირებულებასაც ძლივს ანაზღაურებს. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი საერთოდ აღარ არსებობს. საკვები კულტურები თითქმის აღარ ითესება, ასევე აღარ იწარმოება თამბაქო და აბრეშუმი. რაც შეეხება ხორბალს, თუ წინა წლებში ეს კულტურა 150-200 ჰექტარზე ითესებოდა, ამჯერად ეს მაჩვენებელი 50-55 ჰექტრამდეა დასული. შესაბამისად, ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მხოლოდ 8%-ს თუ შეადგენს. ბოსტნეულის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 80%-ია, როცა ეს მონაცემები 100-%-ზე ქვევით არ ჩამოდიოდა, ფაქტობრივად სათესი მიწების მოცულობა მესამედზე ჩამოვიდა. ოფიციალური სტატისტიკით, დაუმუშავებელი მიწების 30%, მაგრამ ეს მაჩვენებელი რეალურად ბევრად მეტია და დაახლოებით 60%-ს აღწევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი აქვს, რადგან 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას ეს სექტორი პრიორიტეტად არ განიხილებოდა, ახლა დამატებით 150 მილიონი ლარის გამოყოფის გადაწყვეტილება კი, შეიძლება ითქვას, ერთპიროვნულად მიიღო. მათი განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა, ჯერ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია შემუშავებულიყო. თუ არ არსებობს სტრატეგია, მაშინ ჩნდება კითხვა: როგორც უნდა მოხდეს ამ თანხის დახარჯვა? სტრატეგია კი არა, ბოლო 7 წლის მანძილზე ხელისუფლებას სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმაც კი არ შეუმუშავებია, დონორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი თანხებიდან არც ერთი თეთრი არ გახარჯულა ამ მიმართულებით და სოფელი ლაპარაკით და სიმღერით ნამდვილად ვერ აშენდება.

სახელმწიფოს განვითარების უმთავრესი პრიორიტეტად უნდა იქცეს აგრარული და ტურისტული დარგების განვითარება, მაქსიმალური ინვესტირება, მათი ინფრასტრუქტურების და საბაზრო - სამეწარმეო, მომსახურებითი იმიჯის შექმნა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მსოფლიო ბაზარზე, რადგან საქართველოს განვითარების ერთადერთ პრიორიტეტად რჩება ეს ორი სექტორი, ანუ საქართველო თავისი ეროვნული წარმოებით, პროდუქციით, მომსახურებით კონკურენციის გაწევას მხოლოდ ამ ორ სექტორში წარმოებული საქონლითა და მომსახურებით თუ შეძლებს მსოფლიო ბაზარზე.

ხელისუფლების ძირითად და უმნიშვნელოვანესი მიზნები და ამოცანებია შემდეგი პოლიტიკურ - ეკონომიკური გარემოებების შექმნა - უზრუნველყოფა:

1. საწარმოო - ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი სისტემისა და საწარმოო პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სოფლად საქონელმწარმოებელს საჭირო შემოსავლებით და ცხოვრების მისაღები დონით;

2. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას, აგრარულ წარმოებაში თანამედროვე და ახალი მეცნიერულ - ტექნიკური, ტექნოლოგიური მიღწევების დაჩქარებული დანერგვა;
3. მაღალპროფესიონალური კადრების მომზადება, გადამზადება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
4. მართვისა და რეალური პროგნოზირების ოპტიმალური კურსი;
5. საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცება და განვითარება, საექსპორტო ბაზრების მოპოვება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში;

საქართველოს აგრარულ - ეკონომიკური სექტორის სამართავად ეს ძირითადი ფაქტორები არ არის გათვალისწინებული და ამოქმედებული სათანადო დონეზე (შეიძლება საერთოდაც არც მოქმედებს), რაც სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისათვის სერიოზული შემაფერხებელი მიზეზია.

აგროსასურსათო სექტორის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის ქვეყანას გააჩნია შესაბამისი პოტენციალი.

საქართველოში სოფლის მეურნეობა იყო ერთადერთი დარგი მოსახლეობის სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობისა. დღეს ამ დარგის ხვედრითი წილი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სულ უფრო და უფრო მცირე ადგილს იჭერს. არის გარკვეული საშიშროება იმისა, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა შემცირებით შეიძლება გაქრეს სასოფლო დასახლებები, სოფლის თემები და ლანდშაფტები. ამდენად, ამ სექტორის შენარჩუნება ნიშნავს, არა მარტო ტრადიციული სოფლის მეურნეობის, არამედ სოფლის ლანდშაფტების შენარჩუნებასაც, ამ პრობლემის დასაძლევად უნდა მოხდეს ეკონომიკის - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირება.

აგროსასურსათო სექტორი განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი პირობა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფისა. ამიტომაც ეს სექტორი ყველა ქვეყანაში გარკვეული ზომით ექვემდებარება სახელმწიფოს რეგულირებას. აგროსექტორის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია საქართველოსთვის.

სასურსათო კრიზისი დიდი რისკ-ფაქტორია ეროვნული უშიშროებისათვის. მისი დაძლევა პირდაპირ უკავშირდება ხელისუფლების მარეგულირებელი პოლიტიკის ხარისხს და ეკონომიკაში ჩარევის სიღრმეს.

ქვეყანას, ადავოდ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი, რომლის ამოქმედება უნდა გახდეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი. ამ მიზნის რეალიზაციისათვის აუცილებელია;

- მოწეული პროდუქციისათვის გლეხმა (ფერმერმა) მიიღოს ისეთი შემოსავალი, რომელიც მას მისცემს პროდუქციის კვლავწარმოების საშუალებას, დაინტერესებს, რომ უფრო მაღალ დონეზე განავითაროს წარმოება. გაზარდოს წარმოების, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებელი:
- მოვუხსნათ პრობლემები, რომელიც მათ აქვთ მატერიალურ - ტექნიკური (თესლი, ფიტოსანიტარული საშუალებები, სასუქები, ვეტერინარული საქონელი, სათესი - სახნავი ტექნიკა - ტრაქტორები, საწვავ-საცხები და სხვა). საშუალებებით მომარაგებაში და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში.

ეს ორი საკითხი ტიპიურია და მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მათი გადაწყვეტა მინდობილი აქვს მარეგულირებელ სტრუქტურებს, ანუ სამსახურებს, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში იმყოფება (სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის). ეს ორგანიზაციები ერთსა და იმავე დროს არიან, როგორც ადმინისტრაციული (მონაწილეობენ სახელმწიფოს ხელისუფლების საქმიანობაში), ისე კომერციული ხასიათის. ისინი ისეთნაირად არის ორგანიზებული, რომ საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაციას უკეთებენ მწარმოებლების, ვაჭრების, მომხმარებლების შეკრებასა და გადაწყვეტილებების მიღებას მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე.

ასეთი მიდგომითა და სტრატეგიული მოტივაციების რეალიზაციით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდეს. ეს რომ რეალობად იქცეს, აუცილებელია სასოფლო - სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება.

ლიტერატურა:

1. რ. ოთინაშვილი, "საქართველოს ეკონომიკა", თბ., 2009;
2. ჟურნალი "ეკონომიკა", №1, 2011;
3. ჟურნალი "ბანკები და ფინანსები", № 2, 2011;
4. www. geostat.ge
5. www. newsgeorgia.ge

ინფლაცია და უმუშევრობა

ლალი მიჩიტაშვილი, თამარ ნადირაძე, მაკა საათაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ინფლაცია და უმუშევრობა ეკონომიკის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ორი ძირითადი მაჩვენებელია, რომელთაც ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობენ ეკონომისტები. პრეზიდენტმა ფორდმა ინფლაციას ,,საზოგადოების ნომერი პირველი მტერი" უწოდა, ხოლო უმუშევრობა ,,საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრობლემადაა" მიჩნეული, რის გამოც ეს მოვლენები საზოგადოებაში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ინფლაცია და უმუშევრობა, მათი გამომწვევი მიზეზები და ურთიერთკავშირი გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში.

ინფლაცია მაკროეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი მოვლენაა. როდესაც ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას ზრდის, ფასების დონე იზრდება. რაოდენობრივი თეორიის თანახმად, ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა ფულის ღირებულებას განსაზღვრავს. ფულის მიწოდების რაოდენობის უწყვეტი ზრდა ხანგრძლივ ინფლაციას იწვევს. როგორც ეკონომისტი მილთონ ფრიდმანი ამბობდა: ,,ინფლაცია ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა".

ეკონომიკაში არსებული ფასების საერთო დონეს ორი კუთხით შეგვიძლია შევხედოთ. როდესაც ფასების დონე იზრდება, ადამიანებმა საქონელსა და მომსახურებაში მეტი უნდა გადაიხადონ. ფასების დონის ზრდა ფულის ღირებულების შემცირებას ნიშნავს, ვინაიდან თქვენი საფულის თითოეულ დოლარს ამჯერად ნაკლები საქონლისა და მომსახურების ყიდვა შეუძლია.

როდესაც ფედერალური მთავრობა ფულის რაოდენობას სწრაფად ზრდის, იზრდება როგორც ინფლაციის დონე, ისე სარგებლის ნომინალური განაკვეთი. ინფლაციის დონის ცვლილების შედეგად სარგებლის ნომინალური განაკვეთის ასეთ ცვლილებას ფიშერის ეფექტი ეწოდება, ეკონომისტ ირვინგ ფიშერის პატივსაცემად, რომელმაც პირველმა შეისწავლა ეს ეფექტი.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ინფლაციას აქვს დანახარჯები და ეკონომისტები ექვსი სახის დანახარჯს განასხვავებენ: ,,გაცვეთილი ფეხსაცმლის" დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ნაღდი ფულის შემცირებასთან, ,,მენიუს" დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია, ფასების უფრო ხშირ რეგულირებასთან, ფარდობითი ფასების ცვალებადობის ზრდასთან, საგადასახადო კოდექსის ინდექსაციის არსებობით გამოწვეული საგადასახადო ვალდებულებების დაუგეგმავი ცვლილება, არეულობა და მოუქნელობა, რაც ზომის ერთეულის ცვლილებასთანაა დაკავშირებული და დებიტორებსა და კრედიტორებს შორის სიმდიდრის შემთხვევითი გადანაწილებაა. ჰიპერინფლაციის დროს ეს დანახარჯები უზარმაზარია, ხოლო ზომიერი ინფლაციის დროს მათი მასშტაბები დაუდგენელია.

ჰიპერინფლაციის დროს ფულის ფულის მიწოდებასა და ფასების დონის ცვლილებები ძალიან დიდია. ჰიპერინფლაცია განმარტებულია, როგორც ინფლაცია, რომელიც აჭარბებს 50%–ს თვეში. ეს ნიშნავს, რომ ფასების დონე წელიწადში 200-ჯერ და მეტად იზრდება. ისმის კითხვა – რატომ განიცდიან ქვეყნები ჰიპერინფლაციას, ანუ რატომ იღებენ ამ ქვეყნის ცენტრალური ბანკები გადაწყვეტილებას ფულის მეტი რაოდენობით დაბეჭდვაზე?

პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქვეყნების მთავრობები ფულს დიდი რაოდენობით ბეჭდავენ თავიანთი ხარჯების დაფარვის მიზნით. როდესაც მთავრობა ფულის ბეჭდვის გზით თავის შემოსავალს ზრდის, ვამბობთ, იგი აწესებს ინფლაციის გადასახადს. ინფლაციის გადასახადი არ ჰგავს სხვა გადასახადს, რადგან არავინ იღებს მთავრობისაგან ამ გადასახადის ქვითარს. ინფლაციის გადასახადი უფრო ცბიერი რამაა, როდესაც მთავრობა ფულს ბეჭდავს, ფასების დონე იზრდება და თქვენს საფულეში შენახული დოლარების ღირებულება მცირდება. ამრიგად, ინფლაციის გადასახადი ისეთი გადასახადის მსგავსია, რომელსაც იხდის ყველა, ვისაც ფული აქვს.

ბოლო დროს საქართველოში აქტიური დისკუსიის საგნად იქცა სამომხმარებლო პროდუქციის ფასების ზრდა და ინფლაციის მაღალი დონე. ინფლაციის მაღალი დონე შესამჩნევი იყო მთელი 2010 წლის მანძილზე, მაგრამ რიგითი მოქალაქეების რეაგირება, განსაკუთრებით ბოლო დროს, გამწვავდა. ინფლაციის ზრდამ საქართველოში 2011 წლის იანვარში 2010 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,3 % შეადგინა. ,,საქსტატის" ინფორმაციით ასეთი მონაცემები გამოწვეულია სურსათზე მაღალი ფასებით, რაზეც გავლენას ახდენს, პირველ რიგში გარე ფაქტორები, კერძოდ კი მაღალი საერთაშორისო ფასები. ჩვენში ბოსტნეული გაძვირდა 50,8 %–ით, ხილი – 35,5 %–ით, კარაქი – 38,3%–ით, პურ–

ფუნთუშეული – 20%–ით, შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი – 16,6 %–ით. 2,8 %–ით გაძვირდა ელექტროენერგია, აირი და საწვავის სხვა სახეობები 66,7 %–ით, წყლის ტარიფი – 9,6%–ით, 0,3 %–ი შეადგინა ინფლაციის საერთო მოცულობაში თამბაქომ და ალკოჰოლურმა სასმელებმა. 2011 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ მინუს 0,1 %–ი შეადგინა. ინფლაციის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან 13,5 %– დაფიქსირდა.

ინფლაციის დროს ფული კავშირს კარგავს ოქროსთან. ასეთ შემთხვევაში მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის მოცულობა განკუთვნილ მნიშვნელობას იძენს. თუკი იგი აჭარბებს საქონლის მიმოქცევის მოთხოვნებს აღმოცენდება ინფლაცია – როგორც ჭარბი ფულადი მასის შედეგი. ფულადი მასის ზრდამ, რომელიც არ არის გამყარებული საქონლით, იწვევს ფასების საერთო დონის მატებას. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ყველა ფასი იზრდება. ინფლაციის საკმაოდ სწრაფი ზრდის დროსაც კი ზოგიერთი ფასი შეიძლება სტაბილური დარჩეს.

ინფლაციასთან ერთად ძალზედ აქტუალურ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს უმუშევრობა. უმუშევრობა გლობალური ხასიათის პრობლემაა. ეს ძალიან აქტუალური პრობლემაა საქართველოშიც, მაგრამ მისი ბოლო დროინდელი მაჩვენებლის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. მიუხედავად ამისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით, უმუშევართა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რასაც ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებმაც შეუწყო ხელი.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად ქვეყანაში უმუშევრობის დონე დაახლოებით 17%–ია, ხოლო დასაქმებულების რაოდენობა შრომისუნარიანი, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 50%–ს აჭარბებს. დასაქმებულებიდან ყველაზე დიდი წილი თვითდასაქმებულებზე მოდის. უმუშევართა რიცხვი უფრო გაიზარდა გარემოვაჭრეების საქმიანობის აკრძალვის შედეგად . ცოტა ხნის წინ ამერიკის ეროვნულ – დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა საქართველოში და მოსახლეობას მიმართა კითხვით – მიაჩნიათ თუ არა თავი დასაქმებულად? იცით რა გაირკვა? საქართველოში მოსახლეობის 71%–ს მიაჩნია, რომ უმუშევარია. ამასთანავე, პრეზიდენტმაც აღიარა, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე კატასტროფულად მაღალია და ეს ქვეყნისთვის ტოტალურ პრობლემად იქცა.

უმუშევრობა, ისევე როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საქართველოშიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი არ მიეკუთვნება ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას.

უმუშევრობის მაღალი დონე ნიშნავს რესურსების ნაწილობრივ გამოყენებას და მოსახლეობის დაბალ შემოსავლებს. ეს ამწვავებს სოციალურ სიტუაციებს და ამასთან საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულობას ქმნის. ეკონომიკური ციკლის ბაზების მიხედვით უმუშევრობის დონი ხან დაბალია, ხან მაღალი, ხან კი ნორმალური – ე.ი. ისეთია, როგორსაც ბუნებრივს უწოდებენ.

უმუშევრობა იზომება ორი ძირითადი მაჩვენებლით. პირველი არის უმუშევრობის დონე, რომელსაც განსაზღვრავს უმუშევართა ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში.

მეორე მაჩვენებელი სწრაფ მეცნიერულ – ტექნოლოგიურ პროგრესს უკავშირდება, ეს პროცესი განაპირობებს შრომითი რესურსების ინტენსიურ მიგრაციას და სხვა პოზიტიურ მოვლენას.

უმუშევრობის დონე მაღალია, როცა ეროვნული პროდუქტი ეკონომიკის პოტენციურ შესაძლებლობებზე ნაკლებია, ანუ, როცა იწყება საქონლის ნაკლები წარმოება.

არსებობს ნებაყოფლობითი და იძულებითი უმუშევრობა. ნებაყოფლობითი უმუშევრობა წარმოიშობა მაშინ, როცა არ სურთ მუშაობა შეთავაზებულ ანაზღაურებაზე, მაგრამ თუ კი ხელფასი გაიზრდება, იმუშავებენ. იძულებითი წარმოიშობა შრომის მოუქნელი ფასისა და ფიქსირებული ხელფასის პირობებში.

განასხვავებენ ოთხ ძირითად უმუშევრობის სახეს – ფრიქციულს, სტრუქტურულს, ციკლურსა და სეზონურს.

ფრიქციული – იგი მოიცავს ადამიანების იმ ნაწილს, რომელსაც ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის გამო თითქმის შრომისუუნარონი არიან.

სტრუქტურული – უმუშევრობა წარმოიშობა მოთხოვნისა და წარმოების მოდელის შეცვლის პერიოდში.

ციკლური – მოიცავს უმუშევრობას, როდესაც ერთობლივი მოთხოვნას კლებულობს და ფასები და ხელფასები ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული სრული დასაქმების აღსადგენად.

სეზონური – უმუშევრობა რეგულარულად წარმოიშობა წლის გარკვეულ დროს.

როგორც მოგეხსენებათ, ეკონომიკის ათი პრინციპიდან ერთ–ერთი სწორედ იმაში მდგომარეობს, ,,რომ საზოგადოება მოკლევადიან პერიოდში ინფლაციას და უმუშევრობას შორის ალტერნატივის წინაშე დგას“. ეს მართლაც ასეა: თუ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ავტორები ერთობლივ მოთხოვნას გაზრდიან, ამით მოკლევადიან პერიოდში უმუშევრობას ამცირებენ, მაგრამ მხოლოდ და

მხოლოდ ინფლაციის ზრდის ხარჯზე. ხოლო თუ ერთობლივ მოთხოვნას შეამცირებენ, ინფლაცია შემცირდება – უმუშევრობა კი დროებით გაიზრდება. ინფლაციის და უმუშევრობის კომბინაციებს და მათ შორის უარყოფით კორელაციას მოკლევადიან პერიოდში კარგად გვიხსნის ფილიპსის მრუდი, როდესაც ერთობლივ მოთხოვნის მრუდის გადაადგილება იწვევს ეკონომიკის გადაადგილებას მოკლევადიან პერიოდის ერთობლივი მიწოდების მრუდის გასწვრივ – რაც მეტია ეკონომიკაში საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნა, მით მეტი ეკონომიკაში პროდუქციის წარმოების მოცულობა და ფასების საერთო დონე. პროდუქციის მოცულობის ზრდა კი უმუშევრობის დონის შემცირებას იწვევს. ამის გარდა თუ წინა წელთან შედარებით ფასების დონეც მაღალია – ინფლაციის დონეც მაღალია. ასე რომ ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილება ინფლაციას და უმუშევრობას მოკლევადიან პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით უბიძგებს. ფილიპსის მოკლევადიან პერიოდის მრუდი ერთობლივი მიწოდების შოკების შედეგადაც გადაადგილდება. ასეთ დროს პოლიტიკოსები ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არასასურველი ალტერნატივის წინაშე დგანან. იძულებულნი არიან შეეგუონ ინფლაციის გაზრდილ დონეს უმუშევრობის თითოეული მოცემული დონისთვის ან, პირიქით, უმუშევრობის გაზრდილ დონეს ინფლაციის თითოეული მოცემული დონისთვის. საინტერესოა ის ფაქტი, არსებობს თუ არა ასეთივე ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის გრძელვადიან პერიოდში? კვლევებმა ცხადყვეს, რომ სრულიად განსხვავებული სიტუაციაა გრძელვადიან პერიოდში და არ არსებობს არანაირი კავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. როგორც ვიცით, ინფლაციის დონე ძირითადად დამოკიდებულია ფული რაოდენობის ზრდაზე, რასაც ცენტრალური ბანკი აკონტროლებს, ხოლო უმუშევრობის ბუნებრივი დონე დამოკიდებულია შრომის ბაზრის მრავალ მახასიათებელზე, მათ შორის მინიმალური ხელფასის კანონებზე, პროფკავშირთა საბაზრო ძალაუფლებაზე, ეფექტიანი ხელფასების როლსა და სამუშაოს ძიების ეფექტურობაზე, რომლებიც წარმოადგენენ რეალურ ცვლადებს. ფულის რაოდენობის ზრდა კი არ მოქმედებს რეალურ ცვლადებზე, იგი მხოლოდ ფასსა და ნომინალურ შემოსავალს ცვლის პროპორციულად. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია არსებობდეს რაიმე ალტერნატივა ინფლაციასა და უმუშევრობას შორის გრძელვადიან პერიოდში. თანაც მონეტარული ხელისუფლება აკონტროლებს ნომინალურ ცვლადებს, მას შეუძლია ერთ დონეზე შეინარჩუნოს ნომინალური ცვლადების მნიშვნელობები: სავალუტო კურსი, ფასების დონე და სხვა, ასევე შეცვალოს ნომინალური სიდიდეები. ინფლაციის თუ დეფლაციის დონე, ფულის რაოდენობის ზრდის დონე, მაგრამ არ შეუძლია კონტროლის გამოყენება რეალურ ცვლადებზე. თუ ცენტრალური ბანკი ფულის მიწოდებას სწრაფად ზრდის ინფლაციის დონე მაღალია, ხოლო თუ ნელა ზრდის, მაშინ დაბალი, მაგრამ ორივე შემთხვევაში უმუშევრობის დონე თავისი ნომინალური დონისაკენ მიიწევს, რომელსაც ,,უმუშევრობის ბუნებრივი დონე“ ეწოდება. ასე რომ მოკლევადიანისაგან განსხვავებით გრძელვადიან პერიოდის ფილიპსის მრუდს აქვს ვერტიკალური ფორმა, რადგან, იმის მიუხედავად, თუ რა პოლიტიკას მიმართავენ ცენტრალური ბანკები, გრძელვადიან პერიოდში პროდუქციის მოცულობა და უმუშევრობა თავიანთ ბუნებრივ დონეზე რჩებიან.

საქართველოში, ბოლო პერიოდში ერთდროულად იზრდება როგორც ინფლაციის, ასევე უმუშევრობის დონე, რაც აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. აგვისტოს მოვლენებისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქვეყანაში უმუშევართა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ამ ყველაფერმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სექტორზე, სადაც ათასობით ადამიანი დარჩა უმუშევარი. პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ დარგებს, სადაც მწარმოებლურობა ძალიან დაბალია. მაგალითად: აგრარული სექტორი და მასთან მიბმული მრეწველობის დარგები. უმუშევრობის შემცირების მთავარ პრიორიტეტს ისევ და ისევ სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა წარმოადგენს.

ლიტერტურა:

1. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა ,,დიოგენე“, 2008, გვ. 629, 763
2. kvirispalitra.ge
3. htt://medianews.ge/indexphp/ka/content/57973/
4. htt://ka wikipedia.org/wiki/inflacia.

უმუშევრობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი საქართველოში

ლიკა ტერტერაშვილი, მანანა გაგნიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანული ქოქაშვილი,** აკადემიური დოქტორი

უმუშევრობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სოციალურ ბიზნესს - ეკონომიკურ, მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს. უმუშევარი 15 და მეტი წლის პირი, რომელსაც გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში არ უმუშავია ერთი საათი მაინც, მზად იყო მუშაობისათვის და ეძებდა სამუშაოს გამოკითხვამდე ოთხი კვირის განმავლობაში.

არსებობს უმუშევრობის ეგრეთ წოდებული „მკაცრი კრიტერიუმი“ და „შერბილებული კრიტერიუმები“. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებით შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყნისათვის რეკომენდებულია უმუშევრობის მონაცემები გამოქვეყნდეს, როგორც „მკაცრი კრიტერიუმებით“, ისე „შერბილებული კრიტერიუმებით“. ამ კრიტერიუმებით ეგრეთ წოდებული „მკაცრი კრიტერიუმი“ და „შერბილებული კრიტერიუმები“. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებით შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყნისათვის რეკომენდებულია უმუშევრობის მონაცემები გამოქვეყნდეს როგორც „მკაცრი კრიტერიუმებით“, ისე „შერბილებული კრიტერიუმებით“. ამ კრიტერიუმებით უმუშევრად ითვლებიან პირები, რომლებიც არ მუშაობდნენ, მზად არიან მუშაობისათვის და სურთ მუშაობა: მაგრამ უკვე აღარ ეძებენ მას. ცხადია, უმუშევართა რაოდენობაც და დონეც, „შერბილებული კრიტერიუმებით“ მაღალი იქნება „მკაცრი კრიტერიუმებით“ შეფასებულ უმუშევრობაზე.

უკანასკნელი 10 წლის მონაცემების მიხედვით უმუშევრობის მარჩვენებლები ზრდის ტენდენციებით ხასიათდებიან.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ძირითადი პრობლემები შემდეგი სახით წარმოგვიდგება: შობადობის დაბალი დონე და მისი შემდგომი შემცირების ტენდენცია. მოკვდაობის მაღალი დონე, განსაკუთრებით რეპროდუქციული და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ზრდის პერსპექტივით. მოსახლეობის ბუნებრივი შემცირებით დეპოპულაციის ზრდა; მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი დონე მსოფლიოს და ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით; მოსახლეობის გარემიგრაციის მაღალი დონე; დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე; ქორწინების დაბალი დონე და სხვა.

მოსახლეობა	**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**
მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისისათვის (ათასი კაცი)	4371.5	4342.6	4315.2	4321.5	4401.3	4394.7	4382.1
დაბადებულთა რიცხოვნობა	46605	48194	49572	48512	47795	49287	-
გარდაცვლილთა რაოდენობა	46446	46055	48793	42984	42255	41178	-
ქორწინების რიცხვი	12535	12696	14866	18012	21845	24891	-
განქორწინების რიცხვი	1836	1825	1793	1928	2060	2325	-

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყანაში საჭიროა დროული ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რომელიც უნდა დამეყაროს დემოგრაფიული პროცესების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს. ბუნებრივია, იგი გულისხმობს ასაკობრივი, ტერიტორიული, საქმიანობის, ეთნიკური,

რელიგიური და სხვა ნიშნით განსხვავებული ჯგუფების დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა გარჩევას.

საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორთა შორის (მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრა, პენსიების გაზრდა დღევანდელი ინფლაციის შესაბამისად, ახალგაზრდა ოჯახების წახალისებასა და მთლიანად საქართველოს მასშტაბის ახალშობილებზე დახმარების გაცემა, ფეხმძიმე ქალების წახალისება, საარსებო მინიმუმთან მინიმალური ხელფასის შეუსაბამობა, ქალთა უნაყოფობის დონის ზრდა. ქორწინებათა და სასურველ შვილთა ყოლის გადავადება, სოციალურ-დემოგრაფიული და ფრონტალური პროგრამების მწირი დაფინანსება და სხვა) ერთ-ერთ ძირითად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი ხელის შეწყობა.

დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის მხოლოდ მარტივი კვლავწარმოების შენარჩუნებისათვის აუცილებელია სამი და მეტშვილიანი ოჯახები შეადგენდნენ საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს.

ჯერ კიდევ ექვსი ათეული წლის წინ უდიდესი ამერიკელი მეცნიერები დემოგრაფი ფრენკ ნიუტსტეინი და სოციო-ჰიგიენისტი რეგინა სტიქსი წერდნენ, რომ „ვერცერთი მოსახლეობა დაბალი მოკვდაობის პირობებშიც კი ვერ შეძლებს თავის კვლავწარმოებას, მრავალშვილიანი ოჯახების მნიშვნელოვანი ხვედრითი წილის გარეშე, რათა გააწონასწორონ ქორწინებაში არმყოფები და ისინი, რომლებსაც არ შეუძლიათ ჰყავდეთ ერთ ან ორ შვილზე მეტი. გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ კვლავწარმოებისათვის საჭირო ოჯახების 30%-ზე მეტს ჰყავდეს ოთხი და მეტი ბავშვი“. მრავალი წლის შემდეგ სხვა უდიდესმა ამერიკელმა დემოგრაფმა ენსილი კოულმა ავტორიტეტული მოსაზრებებით ფაქტიურად დაადასტურა გაანგარიშების სისწორე.

მართლმადიდებელ მორწმუნეთა საკმაოდ დიდი ნაწილი არა მხოლოდ იცავს იმ აზრს, რომ ოჯახში ოთხი და მეტი შვილის ყოლა აუცილებელია, არამედ დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას თავისი რეპროდუქციული ქცევითაც ემსახურება. მიუხედავად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, მათი მომავალი შვილების რიცხვი რელიგიური მრწამსითაა განპირობებული. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების უმრავლესობა თვლის, რომ კიდევ იმდენ შვილს იყოლიებს, რამდენსაც ღმერთი მისცემს.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარებისადმი ინტერესი, მდგომარეობის შეფასება, გაუმჯობესების გზებისა და საშუალებების განსაზღვრა, მისი გამაუმჯობესებელი ქმედების განხორციელება მართლმადიდებელ მორწმუნეთა შორის ისეთია, რომ იგი მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს და, თუ დღეისათვის მათ შეკვეცილ აღწარმოებას აქვს ადგილი. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ ქართველთა დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელ მორწმუნეთა ცხოვრების წესით არ ცხოვრობს.

მოსახლეობის დაბალმა შემოსავლებმა, შეზღუდულმა ფისკალურმა რესურსებმა და განუვითარებელმა საბაზრო ინსტიტუტებმა, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ეკონომიკის დარგობრივმა კრიზისებმა და მოუწყობელმა საგარეო ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს დასაქმების შემცირებას. დაუსაქმებელ მოსახლეობას ხშირად უწევს მუშაობა მოკლევადიან, მცირედანაზღაურებად სამუშაოზე, რაც ხშირად ვერ უზრუნველყოფს მათ მინიმალურ მატერიალურ მოთხოვნებს. შემწეობის მცირე განაკვეთის გამო კვლავაც მაღალია არარეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი. აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ უმუშევარი ან ნაკლებ კვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. ექსპერტთა შეფასებით, დასაქმების მიხედვით საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა 40-60 წლის ადამიანებში. მათი უმრავლესობა დაუსაქმებელია და არ ხდება მათი კვალიფიკაციის შეცვლა. უმუშევრები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან, დროთა განმავლობაში კარგავენ კვალიფიკაციას და ამ მიზეზით საერთო დასაქმების შესაძლებლობას. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს შრომითი მიგრაციის მასშტაბი. მას გარკვეული პოზიტიური მხარეებიც გააჩნია. შრომითი მიგრაციის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აუმჯობესებს თავისი ცხოვრების დონეს და ხელს უწყობს მოსახლეობის საერთო მსყიდველუნარიანობის ზრდას. ამასთან დაუშვებელია ამ პროცესის სტიქიური განვითარება და საჭიროა კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მთლიანად არის დამოკიდებული ახალ ინვესტიციებზე და სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

მოსახლეობა	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) (ათასი კაცი)	2104.2	2050.8	2041.0	2023.9	2021.8	1965.3	1917.8
დასაქმებული (ათასი კაცი)	1839.2	1814.9	1783.3	1744.6	1747.3	1704.3	1601.9
უმუშევარი (ათასი კაცი)	265.0	235.9	267.6	279.3	274.5	261.0	15.8
უმუშევრობის დონე, პროცენტი	12.6	11.5	12.5	13.3	13.6	13.3	16.4
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)	113.5	125.9	156.8	204.2	277.9		290.9

ე.ი. 2002 წელს 1998 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე გაიზარდა 8,5%-ით, ხოლო 2008 წელს 1998 წელთან შედარებით უმუშევრობა საქართველოში გაიზარდა 29,3%-ით, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

2002 წელს 1998 წელთან შედარებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 7,3%-ით, ხოლო 2008 წელს 2002 წელთან შედარებით - 11,9%-ით.

საანალიზო პერიოდში 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 4,6%-ით, ხოლო უმუშევრობა - 20,8%-ით.

მაშასადამე, როგორც ზემოთ მიუთითეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული დოზით გატარებულ იქნას პროტექციონისტული პოლიტიკა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უმუშევრობისა და დემოგრაფიული პრობლემების აღმოფხვრას.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ., „სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში“, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ზეონი“, თბ., 2011;
2. ხმალაძე მ., „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011;
3. http://geostat.ge/ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სარესტორნო ბიზნესი და საქართველო

სოფიო ტუსიაშვილი, ნათია ნასუაშვილი,
ეკა მეზვრიშვილი, ქეთევან ფაცინაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მერლანი,** სრული პროფესორი

რესტორანი ერთ-ერთი ადგილია ადამიანების შეხვედრის, კვებისა და დასვენებისათვის, რის გამოც რესტორნის ფუნქციონირება და მისი წარმატება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე და მიჩნეულია ერთ-ერთ რისკიან ბიზნესად. სარესტორნო ბიზნესი, ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით, არამდგრადია. რესტორანი ერთ დღეს შეიძლება კლიენტებით იყოს გადაჭედილი, მეორე დღეს კი, შესაძლოა, იქ ცარიელი მაგიდები იდგეს და მომსახურე პერსონალი უსაქმოდ იყოს. რესტორნის მეპატრონემ ხელფასი იმის მიუხედავად უნდა მისცეს პერსონალს, დატვირთვით მუშაობს მისი დაწესებულება, თუ - არა. თუმცა ბიზნესის ამ სფეროს წარმომადგენლები მაინც იმედოვნებენ ფინანსური წლის განმავლობაში მოგების მიღებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, სახელმწიფოს მიერ დაკისრებული გადასახადები გადაიხადოს. სტატისტიკის მიხედვით,

ყოველწლიურად მსოფლიოში იმდენი რესტორანი იხსნება, რამდენიც იხურება. რესტორნის გახსნის, ფუნქციონირების იდეა დამოკიდებულია რესტორნის მფლობელზე, მის შეხედულებებსა და ფილოსოფიაზე, მის ეთიკურ და მორალურ ფასეულობებზე.

რესტორნის ბიზნესის წარმატებისათვის მისი კონცეფცია უნდა დამუშავდეს პოტენციური მომხმარებლების გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- მისია;
- მიზანი;
- ადგილმდებარეობა;
- მენიუ;
- ატმოსფერო;
- მოცულობა;
- ბაზარი.

რესტორნის პრესტიჟულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი ფაქტორია რესტორნის ატმოსფერო. მომხმარებელი დიდ ყურადრებას უთმობს რესტორნის დიზაინს, რომელიც მომხმარებლის განწყობის თანამგზავრია.

დღეისათვის არ არსებობს რესტორნების კლასიფიკაციის ერთიანი სისტემა, ალბათ იმის გამო, რომ ეს არის მუდმივად განვითარებადი ბიზნესი. თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ რესტორნები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად:

1. კომპლექსური მომსახურებით;
2. სპეციალიზებული მომსახურებით.

საქართველოში კლასიფიკაციას საერთაშორისო ორგანიზაცია „გლობალ სტარი“ ახდენს. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ქართულ რესტორნებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ღიად საუბრობს. ორგანიზაციის დამფუძნებელი ამბობს, რომ რესტორნებისთვის ვარსკვლავების მინიჭება საკმაოდ რთულია და აუდიტის ჩატარებას, შედეგის მიღებას რამდენიმე თვე სჭირდება. პრესტიჟულ რესტორნებში კი საკმაოდ ხშირია მომსახურების დაბალი დონე. რესტორანი, რომელიც სურვილს გამოთქვამს, მომსახურების ახალ დონეზე გადავიდეს, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. ვარსკვლავების მაქსიმალური რაოდენობა არის 5.

ერთვარსკვლავიანი რესტორანი უზრუნველყოფს განსაკუთრებულ კულინარიულ გამოცდილებას. მომსახურება უმეტეს შემთხვევაში შეზღუდულია (მაგალითად, თვითმომსახურება ან მომსახურება დახლთან).

ორვარსკვლავიანი რესტორანი უზრუნველყოფს ახლადმომზადებულ კერძებს, გულისხმიერ პერსონალს, ჰიგიენურად მოვლილსა და ტექნიკურად გამართულ გარემოს. ამგვარი რესტორნები ორიენტირებულია უმეტესწილად ოჯახების მომსახურებაზე ან აქვს გამოკვეთილი თემატიკა, რაც წარმოდგენილია მენიუს, რესტორნის დაგეგმარებასა და გარემოში.

სამვარსკვლავიან რესტორანში კლიენტს სთავაზობენ კარგად დახელოვნებული მზარეულის მიერ მომზადებულ კერძებს, რაც კონკრეტულ სტილსა და სამზარეულოზეა ფოკუსირებული. სასადილო სივრცის პერსონალი უზრუნველყოფს გულთბილ მომსახურებას. რესტორნის დეკორი კარგად არის შეხამებული განათებასთან და დეკორატიულ ნივთებთან, კარგი ხარისხია და შეესაბამება საერთო ატმოსფეროს.

ოთხვარსკვლავიანი რესტორანი კლიენტებს სთავაზობს საკვებს, რომელიც არის კულინარიული შემოქმედების ნიმუში. მრავალფეროვანი, ხაზი ესმევა სეზონურობასა და კულინარიული დამუშავების ტექნიკას. სასადილო დარბაზის მაღალკვალიფიციური პერსონალი უზრუნველყოფს დახვეწილ ინდივიდუალურ დახმარებასა და ყურადღებას.

ხუთვარსკვლავიანი რესტორნები არის პრაქტიკულად უნაკლო კვების ობიექტები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ისინი უზრუნველყოფენ თავიანთ კლიენტებს განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის საკვებითა და უმაღლესი დონის მომსახურებით, ელეგანტური ინტერიერითა და კლიენტებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების გამორჩეული უნარით. თითოეულ დეტალს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. აღსანიშნავია: პირველი – რესტორნის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, მეორე – სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და მესამე გახლავთ მომსახურების ხარისხი.არსებობს ქსელური ტიპის რესტორნები, რომლებიც თავად ახდენენ საკუთარი პერსონალის მომზადება-გადამზადებას.

რესტორნები კომპლექსური მომსახურებით ხასიათდება საჭმელების დიდი არჩევანით და სადაც ყველაფერი, რაც მაგიდასთან მიდის, არის იქვე, ადგილზე მომზადებული, დასამზადებლად გამოყენებულია ახალი ნედლეული და ინგრედიენტები. ასეთი ტიპის რესტორნები ძირითადად სადღესასწაულოა. ისინი განსხვავდება ფასების მიხედვით. აქ სამზარეულო უმაღლესი

კატეგორიისაა და ეს არის ძირითადად ფრანგული, ან ჩრდილო იტალიური, ბოლო დროს ჩინურიც. ”მერიოტმა” მოღვაწეობა სწორედ ბიზნესის ამ სახეობაში დაიწყო, მაგრამ ვერ გაუძლო კონკურენციას და ეს ბიზნესი გაყიდა.

ბოლო წლებში საუკეთესო კერძებთან ერთად საჭირო აღმოჩნდა მომსახურეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება: დაემატა გართობის მეტი საშუალებები, მოსაწევი ოთახი. გაყიდვების მოცულობით აშშ-ში პირველ ადგილზეა **Taverna on the green**. აქ ერთი სადილი ღირს 43.5 დოლარი და ემსახურება წელიწადში 545 ათას ადამიანს. ბელგიაში არის რესტორანი, რომელიც ძალიან უცნაური და საშიშია T'Spookhuys ბარ/რესტორანი და 1,000 სულის ადგილია, ის 2008 წელს გაიხსნა.

ალბათ, არ იცით რომ ნიუ იორკში არის რესტორანი ნუდისტებისთვის clothing optional dinner მომსახურე პერსონალს ტანსაცმელი აცვია, შიშველ სტუმრებს კიდევ ქვეშაგები მოაქვთ, რომლებზეც სხდებიან. გამორჩეულია ასევე არაბული რესტორანი “ქამელეონი“. იაპონიაში, სამხრეთით, 58 შოსეზე არის ონიამას პარკი, სადაც არის ასეთი უზარმაზარ ხეზე განთავსებული რესტორანი და იქედან შესანიშნავი ხედი იშლება მთელ იაპონიაზე.

სპეციალიზირებული რესტორნებს შეიძლება მიეკუთვნოს: სწრაფი კვების, ოჯახური, ყოველდღიური, ნაციონალური მომსახურების, თემატური და ეროვნული რესტორნები.

ამერიკაში და დღეს უკვე საქართველოშიც ძირითადად წამყვანია *სწრაფი კვების რესტორნები,* გაყიდვების საშუალო მოცულობით - 111 მლრდ დოლარი. (ამერიკისათვის). სწრაფი კვების კულტურას საფუძველი ჩაუყარა დიდმა ბრიტანულმა კომპანიამ “სამხრეთული შემწვარი წიწილა”, 1989 წელს”.

ძირითადი კერძებია:

1. ჰამბურგერები;
2. პიცა;
3. ზღვის პროდუქტები;
4. წიწილა.

ყველაზე წარმატებული სწრაფი კვების რესტორნების ბიზნესში „მაკდონალდსის“ საქმიანობაა, თუმცა ეს ბიზნესი დაიწყო რეი კროკმა. დღეისათვის „მაკდონალდსი“ არის სწრაფი კვების რესტორნების გიგანტიც. ბოლო დროს საკმაოდ მომგებიანია სწრაფი კვების ქსელური რესტორნები, რომლებიც განლაგებულია სავაჭრო ცენტრებსა და სხვა არატრადიციულ ადგილებში.ცნობილია რომ ამ ეტაპზე სწრაფი კვების ობიექტების ხაზის შექმნაზე მუშაობს კომპანია "პოპულიც".

ოჯახური რესტორნები: ასეთი რესტორნები წარმოადგენენ ძველმოდურ ყავახანების თანამედროვე ვარიანტს. ისინი ძირითადად იმყოფებიან ინდივიდუალურ, ან ოჯახურ მფლობელობაში. მათ, როგორც წესი, ემსახურება მთელი ოჯახი.

რესტორნები ეროვნული სამზარეულოთი: ეს რესტორნები ძირითადად გამიზნულია უცხოური დიასპორისათვის. მაგ. იტალიური, ჩინური, მექსიკური და სხვა.

ყოველდღიური დანიშნულების რესტორნები: ეს არის ლუქსის ტიპის დაწესებულება, ადგილი, სადაც შეგიძლია დაისვენო. ისინი გამოირჩევიან თავისი გაფორმებით, სიმყუდროვით. ძირითადად იყენებენ ზღვის პროდუქტებს. ხშირად ასეთი ტიპის რესტორნები ემსგავსება თემატურ რესტორნებს.

თემატური რესტორნები: ეს არის სხვადასხვა სპეციალიზაციის კომბინირება. თემატური რესტორნებიდან შეიძლება განვიხილოთ ორი ყველაზე საინტერესო: პირველი გამიზნულია იმისათვის, რომ დაგვაბრუნოს 50-იანი წლებში. აქ გარემო, ჩაცმულობა და საკვები შეესაბამება 50-იან წლებს. მეორე ტიპის ასეთი რესტორნებისა, არის სასადილო სახლები. ასეთი რესტორანი ხალხს მოსწონს, იმიტომ, რომ აქ არის მყუდრო ატმოსფერო.

რესტორნის მენიუს ტიპი დამოკიდებულია რესტორნის პროფილზე და მასში მითითებულია კერძების დასახელება შესაბამისი ფასებით. მენიუს შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

1. მომხმარებლის გემოვნება და სურვილი;
2. მზარეულის კვალიფიკაცია, რომელიც 2 ფაქტორს აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს:
   ა/ პიკის საათებში შეკვეთების ნაკადების დაკმაყოფილება;
   ბ/ მომხმარებლის სურვილზე გათვლილი კულინარული ოსტატობა;
3. არსებული აღჭურვილობა;
4. სადილის კვებითი ღირებულება;
5. ხარისხი;
6. გარეგნული გაფორმება;
7. ფასები;
8. მარჟა;

9. მენიუს ძირითადი ტიპებია:

ა/ მენიუ - ***a la carte*** მიუთითებს ინდივიდუალურ ულუფებს ინდივიდუალური ფასებით;

ბ/ მენიუ - ***table d'hot*** მიუთითებს ერთი და იმავე სადილს სხვადასხვა ვარიანტით ფიქსირებული ფასით;

გ/ მენიუ - du jour მიუთითებს იმ დღისთვის შეთავაზებულ სადილს;

დ/ მენიუ ტურისტული - აქცენტი გაკეთებულია სადილის კვებით ღირებულებასა და ფასზე;

ე/ მენიუ ციკლური - წარმოდგენილია 1-4 ტიპის წვნიანით, 8-16 სახეობის სადილით, რამდენიმე სალათით, 6-8 სახის მისაყოლებელით, 4-6 სახის დესერტით.

ქვეყნების მიხედვით მოგზაურების გათვალისწინებით არ შეიძლება შევთავაზოთ მათ ისეთი პროდუქტები, რომლებზედაც ისინი ორიენტირებულები არ არიან, რის გამოც ეს ფაქტორიც მენიუში უნდა იყვეს გათვალისწინებული, კერძოდ, არ უნდა შევთავაზოთ:

<u>ინგლისელ ტურისტებს:</u> ძეხვეული, თევზის წვნიანი, ხიზილალა, ფქვილეულის ნაწარმი და ფქვილზე დამზადებული სოუსი;

<u>მუსულმან ტურისტებს:</u> კერძები ღორის ხორცით, შავი პური, მოხარშული კარტოფილი და ბოსტნეული;

<u>გერმანელ ტურისტებს:</u> მწარე საჭმელები;

<u>იტალიელ ტურისტებს:</u> კარაქი, შემწვარი ღორის ხორცი, შავი პური;

<u>იაპონელ ტურისტებს:</u> მინერალური წყალი, მარილიანი საჭმელები;

<u>ჩინელ ტურისტებს:</u> რძის პროდუქტები, შავი პური, ხიზილალა, მინერალური წყალი, თევზეულის ზოგიერთი სახეობა, სადილი დაფნის ფოთლით;

<u>პოლონელ ტურისტებს:</u> ცხვრის ხორცი, შავი პური, ივნისიდან ძველი კარტოფილი, საჭმელები სოუსებით;

<u>უნგრელ ტურისტებს:</u> ცხვრის ხორცი, საკოტლეტე მასა, ზღვის თევზი და თევზის პროდუქტები, წიწიბურას ფაფა, კისელი;

<u>სამხრეთ ამერიკელ ტურისტებს:</u> თევზისა და ხორცის კერზები მაიონეზითა და არაჟანით.

<u>ფრანგ ტურისტებს</u> შეიძლება ყველაფერი შევთავაზოთ!!

მენიუში მითითებული ინფორმაცია კვების პროდუქტების ხარისხიანობის და ინგრედიენტების მდგომარეობის (ახალი, გაყინული) შესახებ სინამდვილეს უნდა შეესაბამებოდეს. მისი დარღვევისათვის რესტორანი ჯარიმდება.

ფასები მენიუში ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რესტორანის საქმიანობაში. ფასების დადგენაზე მოქმედი ფაქტორებია:

- ფასები ანალოგიურ კერძებზე კონკურენტ რესტორნებში;
- კერძის თვითღირებულება;
- მოსალოდნელი შემოსავალი;
- კერძის მარჟა.

ოპტიმალური ფასების განსაზღვრის ორი მიდგომაა:

- კონკურენტის ფასები;
- დასაშვები ფასი რენტაბელობის გათვალისწინებით

შესაძლებელია რესტორანმა მიაღწიოს რენტაბელობის მუდმივ პროცენტს საშუალო გაწონასწორების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს მაღალი თვითღირებულების კერძზე ფასის დაკლებას და დაბალი თვითღირებულების კერძზე ფასის მომატებას. ასეთი მიდგომა მომხმარებლისთვისაც მისაღებია, რადგან ასეთი გაშუალების შემთხვევაში, ძვირადღირებული კერძის (მაგალითად, ხორცი) ფასი მომხმარებელს ძვირად არ ეჩვენება და იაფად ღირებული კერძის ფასიც მისთვის მისაღებია.

ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია **კვების პროდუქტის ხარისხი. დღეს საქართველოში** საზოგადოებას აწუხებს კითხვა – რამდენად ჯანსაღი და უსაფრთხოა წარმოდგენილი საკვები პროდუქტი. 2010 წლის 1-ელი იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო სურსათის უვნებლობისა და კონტროლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ის მუხლები, რომელთა საფუძველზე, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს სხვადასხვა ობიექტების ინსპექტირების საშუალება ექნება. კონტროლს დაექვემდებარება სწრაფი კვების ობიექტებიც, რომლებიც არა მხოლოდ ჯანმრთელი პროდუქტის შეძენისა და რეალიზაციის, არამედ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვისაც აგებენ პასუხს. ეს საწარმოები მუდმივად უნდა ასრულებდნენ სადიზინფექციო სამუშაოებს, მომსახურე პერსონალისა და მზარეულების შერჩევისას ითვალისწინებდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობას, რათა ადამიანი ასთმით ან კანის

დაავადებით, საკვებ პროდუქტებთან არ მუშაობდეს. საზოგადოებრივი კვების ობიექტი უნდა მდებარეობდეს ეკოლოგიურად უსაფრთხო ტერიტორიაზე, სანიტარიული მოთხოვნები კი ეხება წყლით მომარაგებას, კანალიზაციას, გათბობას, ჰაერის ვენტილაციას, კონდიცირებისა და განათების სისტემებს. უნდა ხორციელდებოდეს საკვები პროდუქტის ტრანსპორტირების, მიღების, შენახვისა და გადამუშავების კონტროლი.

ლიტერატურა:
1. http://liberali.ge/
2. http://www.kvirispalitra.ge/
3. http://kveba.ge/
4. http://angel.ge/
5. http://ucnauri.com/
6. რუიზან მექვაბიძე, ზაზა ცოტნიაშვილი, ,,ტურიზმის ბიზნესი და ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტის თავისებურებანი'', გორის უნივერსიტეტი, 2009.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები

ანა ფსუტური, ანიკო ჯანგიშერაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ეკონომიკური კრიზისების წარმოშობა ობიექტური კანონზომიერებაა და მისი გვერდის ავლა ეკონომიკური კვლავწარმოების პირობებში თითქმის შეუძლებელია. ეკონომიკური კრიზისი არის ეკონომიკური ციკლის შემადგენელი ფაზა, ისევე, როგორც პიკი, ფსკერი და აღმავლობა. მსოფლიო ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს კრიზისების სწორი და დროული პროგნოზირება, რათა წინასწარ შემუშავდეს ის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნული კრიზისების სინქრონულად, რბილად გადატანას. ეკონომიკური კრიზისი საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი თვისებაა და, შეიძლება ითქვას, რომ - აუცილებელი ატრიბუტიც. ვინაიდან მას ზოგჯერ პოზიტიური ეფექტებიც აქვს. ეს არის ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური გაჯანსაღების, ინოვაციური პროცესების აუცილებელი დაჩქარების, მაკროეკონომიკური მართვის ახალი მეთოდების შემუშავების, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის და სამუშაო ადგილების შექმნის, საბიუჯეტო სტიმულირების, მართვის ახალი ტექნოლოგიების შემუშავების, თავისუფალი ფასწარმოქმნისა და თავისუფალი კონკურენციის ხელშემწყობი პირობა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა სხვადასხვა ქვეყნის მიმართ განსხვავებულია, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ თითოეული ქვეყანა რამდენადაა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში, რომელიც მოიცავს ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულებას ექსპორტ-იმპორტზე, ტრანსნაციონალური კომპანიების არსებობას, მეზობელ ქვეყნებში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. ასევე მნიშვნელოვანია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, აქვს თუ არა ხელისუფლებას შემუშავებული ეკონომიკური საფრთხის დამცავი მექანიზმები და ღონისძიებები. ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის არსებული დონის და სტადიის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლებია: მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპი, ინფლაციისა და უმუშევრობის დონე, საფინანსო - საბანკო სისტემის ნდობა, ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა და მისგან მიღებული მოგების პროცენტი, მოსახლეობის სოციალური დაცულობა, განათლების დონე, სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების ხარისხი და სხვა. იმ შემთხვევაში, თუ ამ მაჩვენებლების დაცემას აქვს ხანგრძლივი ხასიათი (ზედიზედ 2 კვარტალი) მაშინ ეკონომიკის ასეთ მდგომარეობას ეწოდება რეცესია, ხოლო თუ ეს პროცესი უფრო ხანგრძლივია, შემდეგ ყალიბდება დეპრესია.

ეკონომიკური კრიზისები XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს სათავეს და ის პირველ ეტაპზე მეორდებოდა რვა–ათ წელიწადში ერთხელ, ხოლო XX საუკუნეში მისი გამოვლინების პერიოდები შედარებით ხანგრძლივია. ეკონომიკის დინამიკური განვითარების თეორიის უმნიშვნელოვანესი

ნაწილია მისი ციკლური განვითარების თეორია, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში შემუშავებული იქნა ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინსის მიერ, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა კრიზისის ძირითადი მიზეზები. ეს არის მოგების ნორმის შემცირება, გაურკვეველი სიტუაცია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მომავლისადმი რწმენის დაკარგვის სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები და სხვა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ძირითად მიზეზად მიჩნეულია ამერიკის უმსხვილესი იპოთეკური კომპანიების Fannie mae-სა და Freddie mac-ის გაუზრებელი, ხშირ შემთხვევაში არაპროგნოზირებადი მოქმედება, კერძოდ, ობლიგაციების დიდი რაოდენობით გაყიდვა, მისი გაუმჭირვალობა, საკრედიტო და საინვესტიციო ფუნქციების შერწყმა-არევა, რამაც მომხმარებლისთვის იპოთეკური კრედიტების აღება გაამარტივა და მიმოქცევაში დოლარის მოცულობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ამას მოჰყვა საბანკო სექტორის სრული კრახი. ამ პროცესს თან სდევდა საფონდო ბირჟის კრიზისი; ფინანსური ინსტრუმენტების (ფიუჩერსული გარიგებები, ოფციონი, სვოპი, ფორვარდი და სხვა.) არასწორად გამოყენება; ნავთობის ფასების შესამჩნევი გაძვირება; საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების Srandard & Poor's, Fitch და Moody's-ს ხშირად არასწორი შეფასებები და, რაც ყველაზე მთავარია, აშშ-ს მარეგულირებელი სამსახურების ("ფედერალური რეზერვების სამსახური") მიერ პროცესების იგნორირება, უმოქმედობა, მათი გაუმართავი და უპასუხისმგებლო საქმიანობა. ასევე მსხვილი საინვესტიციო ბანკების Bear stearns, Goldman sachs, Lehman Brothers, Merrill Lynch და Morgan stanley-ს საკუთარი კაპიტალის მცირე მოცულობა მოზიდულ სახსრებთან შედარებით, როდესაც ერთ დოლარ საკუთარ სახსრებზე დაახლოებით 40 დოლარი აქტივი მოდიოდა. ექსპერტების გამოთვლით მათ ბალანსზე არსებული ზოგიერთი აქტივების გაუფასურებას 3%-თ შესაძლებელი იყო კომპანიის მთლიანი გაკოტრება გამოეწვია. კრიზისამდე აშშ-ში იპოთეკური კრედიტები ძალიან იაფი იყო - წლიური 5%, თანაც ადგილობრივი კანონმდებლობით, იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვის შესაძლებლობა არსებობს. იპოთეკური პროგრამები სხვა მხრივაც ძალიან მოქნილი იყო. მაგალითად, მომხმარებელი პირველ წლებში ძალიან მცირე თანხას იხდიდა. ეს ყველაფერი მაცდურად გამოიყურებოდა მოსახლეობისათვის და, რომ არა აშშ-ის იპოთეკური ობლიგაციები, რომელიც ქვეყნის მთავარი საფონდო და საიმედო ინსტრუმენტია, ეს კრიზისი შეიძლება, ასეთი კატასტროფული არ ყოფილიყო. სწორედ ეს ობლიგაციები იყიდეს უმსხვილესმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა და გავრცელდა არა მარტო ამერიკის კონტიგენტზე, არამედ ევროპაშიც, "დომინოს" პრინციპით. დიდი ფინანსური ზარალი მიიღეს ისეთმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა, როგორიცაა გერმანული ბანკი "IKB", საბანკო კონცერნი "Commerzbank", საერთაშორისო ჰოლდინგი "Allianz". მათ მიჰყვნენ საქსონიის მიწების ბანკი და დუბლინის კომერციული ბანკი "Ormond Quay". დაზარალებულთა შორის აღმოჩნდენ მსოფლიოში უმსხვილესი ბანკები "Deutsche Bank" და სხვა. ამ კრიზისში მთელი მსოფლიოს საბანკო სისტემა აღმოჩნდა ჩათრეული, რამაც მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია და ხალხმა თავისი ანაბრების დაბრუნება მასობრივად მოითხოვა, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა.

კაპიტალის ბაზრების გლობალური ინტეგრაციის ზრდა ხელს უშლის ცალკეული ქვეყნების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას... ეკონომიკის კარგახსნილობას ურთიერთსაპირისპირო მოვლენები მოსდევს: ერთი მხრივ, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების მეურნეობათა ინტეგრაცია, იქნება თავისუფალი ვაჭრობის ზონები, ხოლო, მეორე მხრივ ცალკეული ქვეყნები ამჟღავნებენ მსოფლიო ბატონობის სურვილს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავებამ თავისი ნეგატიური მხარეები მკაფიოდ გამოავლინა. კრიზისმა გადაინაცვლა თითქმის ყველა კონტინენტზე, შეირყა საბანკო სექტორები _ აზიის უდიდეს ქვეყნებში ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, აგრეთვე მსხვილ ქვეყნებში ბრაზილიაში, რუსეთში, კანადაში. კრიზისის მასშტაბურობამ და გავრცელების სისწრაფემ მთავრობის დაბნეულობა გამოიწვია. თავიდან თითოეული სახელმწიფო ცდილობდა დამოუკიდებლად შებრძოლებოდა კრიზისულ პროცესებს, მაგრამ შემდგომ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ავტონომიურ რეჟიმში კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს შეთანხმებულად და სინქრონულად ემოქმედათ, დიდი ოცეულის სახით. 2009-2010 წლები იყო მცდელობა, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისისთვის თავი დაეღწიათ, თუმცა ეს მცდელობა არცთუ ადვილი გამოდგა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს „დიდმა ოცეულმა“ (სხვათა შორის, „დიდ ოცეულზე“ მოდის მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 70%-მდე, მთლიანი შიდა პროდუქტის 90% და მსოფლიო ვაჭრობის 80%) კრიზისის მძიმე შედეგების მაქსიმალურად შესარბილებლად გადამწყვეტი როლი შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანას საკუთარი მიზნები და ამოცანები ჰქონდა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც ერთიანი კონსენსუსით ხდებოდა, რაც ძირითადად კრიზისიდან გამოსავლის ძიების ყველა ეტაპზე შემდეგ მიმართულებებს მოიცავდა: ეკონომიკის სახელმწიფო სტიმულირება; საერთაშორისო ფინანსური

ინსტიტუტების რეგულირების გამკაცრება და მათი საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა; პროტექციონიზმის მინიმიზაცია ვაჭრობისა და ეკონომიკის სხვა სექტორებში.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის განვითარების ფონზე, მსოფლიომ გვერდი ვერ აუარა ისევ და ისევ „მივიწყებულ“ კეინსის ეკონომიკურ თეორიას, ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობის შესახებ, ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირებისათვის. მაგალითებიც უამრავია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე ზოგიერთი ევროპული ქვეყანა თავს იკავებდა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევაზე, მათ მაინც მოუწიათ იძულებითი ნაბიჯის გადადგმა. ამის ნათელი მაგალითია გერმანია, რომელიც არ აპირებდა მილიარდების ხარჯვას. პირველ ეტაპზე მათ ჰქონდათ ეკონომიკური სტიმულირების 31 მილიარდევროიანი გეგმა, რაც დაწუნებული იქნა მცირე მოცულობის გამო. შემდგომში წარადგინეს 50 მილიარდიანი სტიმულირების პაკეტი და პლუს 100 მილიარდიანი გარანტია სახელმწიფოს მხრიდან იმ ბანკებისათვის, რომლებიც გასცემდნენ კრედიტებს კერძო კომპანიების დასახმარებლად. ასევე გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის შემცირება 15,5%-დან - 14,9%-მდე, გადაწყვეტილია ორი წლის მანძილზე ინფრასტრუქტურისათვის გამოიყოს 18 მილიარდი ევრო, ყველა ოჯახი თითო ბავშვზე ერთჯერადად მიიღებს 100 ევროს, გაიზრდება კომპანიების სუფსიდირება რათა მათ შვებულებაში გაუშვან კრიზისის გამო დროებით დახურული საწარმოების მუშები. ყველა ვინც 9 წელზე მეტი ხნის ავტომობილს ახლით შეცვლის, მიიღებს 2500 ევროს სახელმწიფოსაგან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაბიჯები სახელმწიფოს კანცლერის მიერ ოდნავ მოგვიანებით იქნა გადადგმული მაინც ყოველივე ამან ხელი შეუწყო მისი რეიტინგის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში არჩევნებში მისი გამარჯვებით დადასტურდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 800 მლრდ-მდე დოლარი მოითხოვა. აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა შემდეგ ღონისძიებებს: საფინანსო - საბანკო სისტემის მოწესრიგებას, მსხვილი საავტომობილო კომპანიების დახმარებას, 4 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, არალიკვიდური აქტივების ყიდვას, გარკვეული კონტინენტის მოქალაქეებისათვის საბანკო საპროცენტო ტარიფების შემცირებას. მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით უმუშევრობამ აშშ - ში შეადგინა 9,4%, რომელიც ბოლო 50 წლის განმავლობაში არასდროს არ იყო 5%-ზე მეტი.

აღნიშნულ ქვეყნებს, მიუხედავად თავისი ლიბერალური ეკონომიკისა, არც იაპონიის სახელმწიფო ჩამორჩა. მან 270 მილიარდი გამოყო ბანკებისთვის მოსახლეობის და კომპანიების მიერ აღებული კრედიტების ვადის გაგრძელებისათვის, ხოლო 20 მილიარდი ერთჯერადი დახმარება საშუალო და დაბალ შემოსავლიან ოჯახებზე. თითქმის ანალოგიური - ეკონომიკის მასტიმულირებელი ღონისძიებები გაატარეს სხვა სახელმწიფოებმაც.

მსოფლიოში განხორციელებულმა ასეთმა მასტიმულირებელმა საინვესტიციო პოლიტიკამ უდაოდ ხელი შეუწყო ეკონომიკის გამოცოცხლებას და შედარებით შეამსუბუქა კრიზისების გავლენა მსოფლიოზე, ეს უდაოდ პოზიტიური იყო, თუმცა არსებობს ერთი გარემოება, რომელიც ზოგადად ეკონომიკურ თეორიაშიაც კი ინვესტიციების განხორციელების თანმდევია და რომელიც გარკვეულად ხელს უწყობს ინფლაციურ პროცესებს. ასეთი მოვლენა მსოფლიოში ერთხელ უკვე დაფიქსირდა, როდესაც გასული საუკუნის 40-50-ან წლებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი ეკონომიკაში სრულიად იგნორირებული იქნა და გავრცელდა შეხედულება, რომ ინვესტიციებსა და ფულის მასას შორის არის მხოლოდ ძალზე სუსტი კავშირი. გამომდინარე აქედან, ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამებში მთავარი მნიშვნელობა მიენიჭა ინვესტიციების საბიუჯეტო სტიმულირებას, რამაც თანდათან დააგროვა ინფლაციური პოტენციალი, რომელიც შემდეგ რეალურად გამოვლინდა 70-ან 80-ან წლებში – დიდი ინფლაციით. ე.ი. ასეთი დიდი ინექციების შეშვება, ერთდროულად, დიდი დოზით, რათქმა უნდა, ერთის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკის გამოცოცხლებას, უმუშევრობის შემცირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ინფლაციური პროცესების მასტიმულირებელია, რომელიც დღესაც სახეზეა. მსოფლიოს მრავალწლიანი გამოცდილება მოწმობს, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი საშუალებებით ხშირად მთავრდება ინფლაციის გაზრდით, შრომის მწარმოებლურობის შემცირებით, ბაზრის მოქნილობის შესუსტებით, რასაც საბოლოო ანგარიშით მივყევართ უმუშევრობის გაზრდასთან.

აღსანიშნავია რომ კრიზისმა ხელი შეუწყო ცალკეული რეგიონების დაახლოებას და უკვე არსებული გაერთიანებების მჭიდროდ თანამშრომლობას და ერთიანი გადაწყვეტილებების მიღებას. მაგალითად ოპეკის ქვეყნები რომლებიც მსოფლიო სანავთობო მარაგის 70%-ზე მეტს აკონტროლებენ (ირანი, ერაყი, ყატარი, ალჟირი, ანგოლა, ვენესუელა, არაბეთის გაერთიანებული საამიროები და სხვა) ცდილობენ თავიანთ რიგებში გააერთიანონ მექსიკა, რუსეთი და სხვა... ასევე გამოიკვეთა მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შექმნა, მაგალითად შანხაის ორგანიზაციას (რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი) აქვს სურვილი ევროპასთან ერთად შექმნას ერთიანი ენერგეტიკული ბაზარი.

საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკის შედარებით დაბალი ინტეგრირებულობით მსოფლიო ეკონომიკაში. მსოფლიო ბაზარზე საქართველო, წარმოდგენილია როგორც იმპორტიორი ქვეყანა, ვინაიდან იმპორტი თითქმის 5-ჯერ აჭარბებს ექსპორტს და არც ჩვენს საექსპორტო პროდუქციას აქვს მაინცდამაინც სასიცოცხლო მნიშვნელობა სხვა ქვეყნებისთვის. ჩვენ დიდი ოდენობით დახმარება 4,5 მილიარდი დოლარი, მივიღეთ საერთაშორისო თანამეგობრობიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან, რამაც საშუალება მოგვცა შეგვენარჩუნებინა ლარის კურსი და გარკვეულად ეკონომიკური სტაბილურობა. „სწორედ ბრიუსელში გამართულმა კონფერენციამ გადაარჩინა ქვეყანა, რომლის დროსაც მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებმა გამოთქვეს სურვილი, დახმარებოდნენ ომის შედეგად დაზარალებულ საქართველოს“.

ძირითადი ეკონომიკური პრობლემები ქვეყანას უფრო აგვისტოს საომარი მოქმედებებისგან შეექმნა ვიდრე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისგან. 2004 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 499 მილიონი დოლარი; 2005 წელს - 450 მილიონი დოლარი (გარკვეული კლება წინა წელთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებით); 2006 წელს – 1190 მლნ დოლარი; 2007 წელს – 2014 მლნ დოლარი. 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1 564 მილიონი დოლარი შეადგინა, ანუ წინა წელთან შედარებით 600 მლნ-თ ნაკლები, რაც გამოწვეული იყო აგვისტოს საომარი მოქმედებებით. 2009 და 2010 წლებს შემოსული ინვესტიციებს ოდენობამ საგრძნობლად მოიკლო და შესაბამისად 658 მლნ - 500 მლნ დოლარი შეადგინა. ეს გამომდინარე იყო. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან, ვინაიდან უცხოური ინვესტიციები მთელს მსოფლიოში 30%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წელს საქართველოში ეკონომიკის სტიმულირებისათვის განხორციელდა თითქმის 1,5 მლრდ ლარის სტიმულირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხოლო 2011 წელს განსაზღვრულია თითქმის ამდენივე. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია დედაქალაქის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ძველი თბილისის რეაბილიტაციას, სამშენებლო კომპანიების სტიმულირებას, სამუშაო ადგილების შენარჩუნებას, საბანკო სექტორის ჩართვას ამ საქმეში და ა.შ. ინსტიტუციურად ბიუჯეტიდან აღნიშნული სტიმულირების განხორციელება, არ არის კლასიკური ფორმა და შესაძლებელია საკამათო იყოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს ქვეყანა იმყოფება რთული ეკონომიკური გამოწვევების წინაშე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა დროულად დაძლეული იქნას კრიზისის შედეგები და დაიწყოს ეკონომიკური ზრდა.

საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2010 წელს გაიზარდა 145-მდე, ხოლო წლიურმა ინფლაციამ გადააჭარბა 11%-ს. პირველ რიგში მოსახლეობისათვის ყველაზე მძიმეა ის, რომ გაძვირდა სასურსათო პროდუქტზე ფასები კერძოდ პურზე ფასმა მოიმატა დაახლოებით 15%-ით, ზეთზე – დაახლოებით 32%, კარტოფილზე – 30-35%-ით, ხახვი თითქმის 50%-ით, ასევე ნავთობპროდუქცია, რომელიც ყოველდღიურად ძვირდება. ყოვლად გაუგებარი რამ ხდება, როცა ბარელი ნავთობი თითქმის 150 დოლარიდან 50 დოლარამდე დაეცა, ჩვენ ეს არ გვიგრძვნია და ფასების კლება მხოლოდ მინიმალური იყო, ხოლო ახლა, როცა მსოფლიოში ფასის ზრდის ტენდენციაა, საქართველოშიც მნიშვნელოვნად იზრდება. რაც ყველაზე სავალალოა, მედიკამენტებიც გაძვირდა კატასტროფულად, რომლის გამომწვევ მიზეზებზეც არაერთხელ თქმულა, რომ ეს არის პროტექციონისტული მონოპოლიების ბრალი, როდესაც სამედიცინო ბაზარი ჩაკეტილი ციკლია, დაწყებული სამედიცინო პრეპარატების წარმოებიდან, რეალიზაციის, სამედიცინო მომსახურების ქსელის და სადაზღვევო კომპანიების ჩათვლით, ამიტომ, პირველ რიგში, გარკვეული სექტორების მუდმივი დემონოპოლიზაციაა საჭირო, რათა ფასები დარეგულირდეს და არ ვიყოთ „შეთქმულების“ მსხვერპლი. ეს ყველაფერი იმ ფონზე, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე მხოლოდ 3000 დოლარია, რომელიც მსოფლიო დონის საშუალო მაჩვენებელს თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება, ამიტომ ჩვენი მოსახლეობა უფრო ძლიერ გრძნობს და განიცდის ამ პროცესებს, რომელიც მსოფლიოში ხდება. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი შეადგენს 16/1 მაშინ, როდესაც უკრაინაში არის 6/1, ესტონეთში 10/1, ხოლო რუსეთში 11/1.

დღესდღეობით ქვეყანა თითქმის მთლიანად დამოკიდებულია იმპორტზე, საუბარი გვაქვს სასურსათო პროდუქციაზე, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერა, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელსაც მიმდინარე წელსაც გამოყოფილი აქვს თითქმის მილიარდ ლარზე მეტი, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მიუღებელია, როცა სოფლის მეურნეობას გამოყოფილი აქვს მხოლოდ 60 მილიონი ლარი. ხოლო გასულ წელს მხოლოდ 15 მილიონი ლარი ჰქონდა გამოყოფილი. როგორ შეიძლება ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, იმპორტის სახით შემოქონდეს ხახვი, პომიდორი, ბადრიჯანი, კარტოფილი. მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია მთელ რიგ სტრუქტურულ რეფორმებზე: კრედიტების

გაცემა, თესლის და წარმოების საშუალებების შესაძენად... წარმოების, მიწოდებისა და გასაღების ორგანიზაციების შექმნა, შენახვის პირობების გაუმჯობესება და სხვა.

ლიტერატურა:
1. http://banksandfinance.ge/banks/print:page,1,2402-crisis.html
2. http://girs.org.ge/371/

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ

ნათია მინდიაშვილი, ნინო ღარიბაშვილი, თამთა ფარეხელაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნანა ახალაია,** ასოცირებული პროფესორი

ქართველი ერი ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ერია. ამას, უპირველეს ყოვლისა, ცხადყოფს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, რომელიც გახლავთ ამ სარწმუნოების პირდაპირი და უშუალო გამოხატულება. ქართველი ერის ქრისტიანობას ცხადყოფს არა მარტო ქართველ წმინდა მამათა ან ქართველ უდიდეს მოღვაწეთა გამონათქვამები, არამედ თვით ქართველი ერის საერთო ცნობიერებაც, მათი ცხოვრება, ერის სააქაო ისტორია. ამ აზრით, ჩვენ ვიტყოდით, რომ ქართველთა ეს ცხოვრება ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ქრისტიანული არსის გახლდათ: ქართველი ერის საფუძველთა საფუძველია ქრისტიანულ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობა, რომლის კონკრეტულ შინაარსს ქართველი ერის ისტორია, ტრადიციები და კულტურა შეადგენს. ცხადია, ყველა ერს თავისი ფესვი, საფუძველი გააჩნია და ქართველი ერის ეს საფუძველი მართლმადიდებლური ქრისტიანობა გახლავთ, რომელიც გასისხლხორცებულია ქართველთა ისტორიულ, ტრადიციულ, კულტურულ მოღვაწეობაში. „ქრისტიანობა არის თავისი არსით სამხედრო ქრისტიანობა, ეს არის მოყმეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა და ასევე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო არის ერთიანი, მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა"; „წმინდა გიორგი თვით საქართველოს სიმბოლოა, გამუდმებით მტერთან მებრძოლის, ბნელეთის ძალებზე გამარჯვებული" (ზვიად გამსახურდია).

სწორედ მართლმადიდებლური სულისკვეთებით გაჟღენთილია საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცნობიერება, რაც კონკრეტულად ქართველ მართლმადიდებლურ სახელმწიფოებრიობის შექმნაში, მისი არსებობის შენარჩუნებისათვის, დრო და დრო დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ურთულეს ბრძოლაში გამოიხატება. საერთოდ, ქართული პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების იდეალი არის მონარქიული სახელმწიფო, რამეთუ მასში ნათლად გამოხატულია ერის არსი, მისი კონკრეტული გამოვლინებებით – ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით, მისი ტოლერანტობით საქართველოში მყოფი ყველა ერის მიმართ, მსოფლიო სივრცეში არსებული და კეთილგანწყობილი მსოფლიოს ყველა სხვა ერის მიმართ.

სოციალურ ეკონომიკურ თემატიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებაში და, აქედან გამომდინარე, კათოლიკოს-პატრიარქის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში. ეკლესია მოღვაწეობს იმისათვის, რომ ყოველ ინდივიდს, ერს, სახელმწიფოსა და კაცობრიობას დაანახოს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების რეალური მიზეზები და დაუსახოს ღვთიური ჰარმონიული განვითარების გზები.

ეკლესიის უმთავრეს იარაღს სიტყვა წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ლოცვით, ეპისტოლეებით, ქადაგებით, შეგონებებით, პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბოძებულ მისიას.

საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II ბრძანებს: ,,საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, მატერიალური აღორძინება სულიერი აღორძინებით უნდა დაიწყოს. საჭიროა, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით გადავწყვიტოთ. ეკონომიკა განვითარდება თუ ერი შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს."

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია 2002 წლის 14 ოქტომბერს მიღებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რომლის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფომ და ეკლესიამ უნდა ითანამშრომლონ ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ასეთი მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ეკონომიკის განვითარება და ეკონომიკური განათლების სრულყოფა.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და მისთვის სათანადო სამართლებრივი გარემოს შექმნას. პატრიარქი აღნიშნავს : ,, ჩვენი ყოფა დადებითისკენ რომ შეიცვალოს აუცილებელია, ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. საშუალო ფენა არის სახელმწიფოს დასაყრდენი, ამიტომაც მეწარმეობის განვითარება დროის მოთხოვნა და ჩვენი გადარჩენის გარანტიაა. სახელმწიფომ უნდა დააარსოს მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც და თუ იქ უცხოეთიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს, ეს მალე დიდ შედეგს მოგვცემს.''

აუცილებელია, საშუალო და მცირე საწარმოთა დონეზე, მართვის სწორ სისტემაზე დაყრდნობით, მრეწველობის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი დარგების სწრაფი განვითარება.

პატრიარქი მოგვიწოდებს, რომ მივხედოთ მიწას, მიწა დაგვაპურებს და გაგვათბობს. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამაღლდეს ზნეობა, ამუშავდეს წარმოებები, ქარხნები, ფაბრიკები და აყვავდეს მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბიოპროდუქტულობა რთული და მრავალფეროვანი არსით გამოირჩევა. ნიადაგის პროდუქტულობას, ან მის უნარს -ემსახუროს ეკოლოგიურ წარმოებას, მაშინ აქვს აზრი, თუ კლიმატმა წარმოების საშუალებებმა და წარმოების უნარიანმა გაძღოლამ ერთობლივად შეუწყო ხელი.

პატრიარქი ასევე აღნიშნავს, რომ სამეურნეო საქმიანობა არასოდეს არის ინდივიდუალური, ცალკეული ადამიანი, როგორც გენეტიკური არსება მემკვიდრეა მასზე წინ არსებული თაობათა სამეურნეო გამოცდილებისა და, ამავე დროს, მუშაობისას თანამედროვე კაცობრიობის გავლენასაც განიცდის. ამიტომ ჩვენ გვმართებს გამოვიძიოთ ჩვენი წინაპრების საქმიანობა.

პატრიარქმა „მწვანეთა მოძრაობის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ „მწვანეთა მოძრაობა“ ის ძალაა, რომელიც იბრძვის ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს გადასარჩენად, ამ მოძრაობაში ჩაბმული უნდა იყოს მთელი საქართველო. ყველამ ერთად უნდა იზრუნოს ჩვენი ბუნების გადარჩენასა და ერის ჯანმრთელი მომავლისათვის.

,,აუცილებელია შრომა, შრომით უნდა მოიპოვოს ადამიანმა პური არსობისა'' - ქადაგებს პატრიარქი. ნებისმიერი ადამიანისათვის აუცილებელია მიწასთან სიახლოვე, ბუნებასთან, მიწასთან, მცენარეებთან სიახლოვე კურნავს ადამიანის სულს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის მეურნეობას, ყველას უნდა გვქონდეს პატარა ნაკვეთი, სადაც თუნდაც მწვანილს მოვიყვანთ. განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთი საქმიანობა, რომელიც ბუნებასთან კავშირშია, რადგან ღმერთმა ამ სამყაროში გვირგვინად შეგვქმნა და მათზე პასუხისმგებლობაც დაგვაკისრა.

საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურის მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით. მეტად სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ უნიკალური ქართული ხორბალი გაქრობის პირასაა. არადა ჩვენგან წაღებულ თესლს სხვა ქვეყნებში თავისად წარმოაჩენენ და ამით ამაყობენ. ხოლო საქართველოში ექსპორტირებულია ხორბალი და პურის ფქვილი, რომელიც მოხმარებული პროდუქციის 91% შეადგენს, იმდენად დაბალი ხარისხისაა რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქი მოგვიწოდებს, რომ ყველამ უნდა გააკეთოს მაქსიმუმი იმისა, რისი პასუხისმგებლობაც გვაკისრია. ხელისუფლებას ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად მოეთხოვება სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება. შემდეგ კი – ხალხის მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა, რაც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას, ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფას, განათლების ხელშეწყობას და სხვა.

სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, საარსებო მინიმუმზე და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, არა და საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და მითუმეტეს მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო ნაწარმი თუ მათი

გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას. ოღონდ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან დახმარება სუბსიდიებისა და გრძელვადიანი კრედიტების სახით.

მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით ჩვენმა ეკლესიამ ძალზე დიდი ადგილი დაუთმო შემოქმედებითი ინტელიგენციისა და მეცნიერების წარმომადგენლებთან, ასევე სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საზოგადოების წევრებთან ურთიერთობებს.

2011 წლის პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში ვკითხულობთ: სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი – ყოვლადძლიერი, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემომქმედი ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველივეს აღავსებს მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარების წიაღისაკენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფვის მისკენ და ადიდებს მას. ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება დავისახოთ, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ ხდება ეგოისტური აზროვნების წახალისება. "ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მადლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტება და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი პასუხისმგებლობა, ნაწილს, - ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ დონის მსახურება ევალებათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ეკონომიკური განვითარება აუცილებელია, ეს არის ეკონომიკის ძირითადი პრინციპი. საქართველოსათვის აუცილებელია განისაზღვროს სწორი სამეურნეო ორიენტაცია და წარიმართოს სათანადო ეკონომიკური პოლიტიკა. პატრიარქი გვასწავლის, რომ ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან ეკონომიკა განვითარდება, თუ ერი შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს. რა თქმა უნდა, ეროვნულ ფასეულობებში შედის ქრისტიანული სამეურნეო-მმართველობითი ტრადიციები, რომლითაც ძალიან მდიდარია საქართველო. ეკონომიკური რეფორმების განხორციელება დიდად არის დამოკიდებული მეცნიერებაზე, ეკონომისტებზე, სოციოლოგებზე და სხვა სპეციალისტებზე, რომ განისაზღვროს სწორი ეკონომიკური გზა, რაც აუცილებლად მოუტანს ჩვენს ქვეყანას განვითარებასა და აღმავლობას.

ლიტერატურა :

1) ზ. გამსახურდია, „წერილები“, თბ., 1989;
2) საეკლესიო-სამონასტრო ეკონომიკის მართვის საფეხურები; თბ. ,, რწმენა და საქმე“, 2009;
3) სააღდგომო ეპისტოლე, 2011;

ნეკრესის კომპლექსი

ნინო ყაზარაშვილი, მზია ფოცხვერაშვილი,
ნინო ხეტაშვილი, ჯაბა ელიაური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიორგი მერლანი,** სრული პროფესორი

ტურიზმი დასვენების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, ხოლო დასვენება ადამიანის აუცილებელი მოთხოვნილება შრომაში დახარჯული ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღსადგენად. ტურიზმი გახდა პოპულარული, საზოგადო საქმიანობა მთელ მსოფლიოში. ყოველ წელს მილიონობით ტურისტი სტუმრობს მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანას, რომელთა რიცხვშიც ბოლო პერიოდში საქართველოც აქტიურად შედის. შეძლებული ხალხი ყოველთვის მოგზაურობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რათა ნახოს დიდებული შენობები, ხელოვნების ნიმუშები, ისწავლოს სხვა ენები, გაეცნოს სხვა ქვეყნის კულტურებს და დააგემოვნოს განსხვავებული კერძები. საქართველოში, ისევე როგორც სხვა

ქვეყნებში ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ტურისტები საგრძნობლად ზრდიან ქვეყნის შემოსავალს, ტურიზმის განვითარება უსწრაფესად ზრდის მრეწველობას, ვიზიტორები ეცნობიან საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, კულტურას, ტრადიციებს, რის შედეგადაც ქვეყანა ხდება პოპულარული. საქართველოში ტურიზმის განვითარების საფუძველს იძლევა: გეოპოლიტიკური მდებარეობა, არსებული ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, ლანდშაფტური პირობები; მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიო ტურიზმის ყველაზე დიდ ბაზართან – დასავლეთ ევროპასთან სიახლოვე. ტურიზმი იძლევა ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას; ხასიათდება რენტაბელობის მაღალი დონით; განსაზღვრავს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს; საშუალებას იძლევა ქვეყანაში შემოვიდეს უცხოური ვალუტა, რაც კურსის გამყარებას უწყობს ხელს; ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს; ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას; სამეურნეო, სამშენებლო, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის, საქონლისა და მომსახურების ლეგალიზაციას. ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში იყოს; ღირშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები, ტურისტთა მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა, სატრასპორტო ინფრასტრუქტურა და მოგზაურობების ორგანიზება, ტურისტული პროდუქციის წინ წამოწევა და ტურისტული ინფორმაციის სამსახური. სწორედ თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კავკასიონის ქედი, შავი ზღვის სუბტროპიკული ზონა, მდინარეები და ჩანჩქერები, კლდეში ნაკვეთი ქალაქები, კურორტები და მინერალური წყლები, ისტორიული ძეგლები, ქალაქები და დასახლებები, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო ქმნის საქართველოს ტურისტულ ქვეყნად. მაშინ როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში, ალბათ, არ იქნება სწორი, არ შევეხოთ კახეთის უმშვენიერეს ღირსშესანიშნაობას, ნეკრესს, ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა ტურისტების რაოდენობამ, შესაბამისად იმატა ვიზიტორების რაოდენობამ კახეთის ამ ულამაზეს ადგილას, რაც დადებითად აისახება საქართველოს საპატრიარქოს შემოსავლების ზრდაში...

ნეკრესის მონასტერი საქართველოს ერთ-ერთი საინტერესო და ულამაზესი კუთხის - კახეთის უმნიშვნელოვანესი და უძველესი კულტურის ცენტრი იყო. კომპლექსი მდებარეობს ყვარლის რაიონში, სოფელ შილდის მახლობლად, კავკასიონის ქედის განშტოებაზე. მონასტრის, ისტორიული მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორით განისაზღვრება: ერთი მხრივ, სწორედ აქ იქნა აგებული ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სამლოცველო საქართველოს ტერიტორიაზე (IV საუკუნის III მეოთხედში), მეორე მხრივ, კი, უკვე VI საუკუნის მეორე ნახევარში აქ დიდად მნიშვნელოვანი კულტურული კერა ჩნდება. ეს მოვლენა დაკავშირებულია იოანე ზედაზნელის თანამოღვაწის, აბიბოსის სახელთან, რომელიც ნეკრესის მღვდელმთავრად აკურთხეს.

აბიბოსი ერთი იმ "ასურელი მამათაგანია", რომლებიც VI საუკუნის შუა წლებში ჩამოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების მიზნით და რომელთა თაოსნობით აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი სავანე არსდება. აბიბოსი სირიიდან მოყვა იოანე ზედაზნელს და ერთ ხანს მასთან ერთად მოღვაწეობდა ზედაზენზე, ხოლო შემდგომ ნეკრესის ეპარქია ჩაიბარა. მისი მღვდელ-მთავრობა საქართველოსათვის ძალიან მძიმე პერიოდს დაემთხვა. ქართლში დამკვიდრებული სპარსელები ყველა ღონეს ხმარობდნენ მაზდეანობის დასანერგად, რის წინააღმდეგაც მკაცრად გაილაშქრა აბიბოსმა. მან სპარსელთა ღმერთი - ცეცხლი შეურაცჰხყო: "დაასხა მცირე წყალი ხენეში და დაშრიტა". მღვდელმთავრის ასეთმა მოქცევამ განარისხა სპარსელები. მათ შეიპყრეს აბიბოსი და მიჰგვარეს მარზპანს, მაგრამ იგი არც მარზპანს შეუშინდა, რისთვისაც "ქვით განტვნეს, მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქსა". ნეკრესელი მღვდელმთავრის ასეთმა შეუპოვრობამ და თავგანწირვამ გარკვეული როლი შეასრულა ეპარქიის გაძლიერებისა და სამწყსოს გაზრდის საქმეში. გარდა ამისა, აბიბოს ნეკრესელის დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა მთიანეთის მოსახლეობის ქრისტიანებად მოქცევაში. აბიბოს ნეკრესელის ხსენების დღე 12 დეკემბერია. ამ დღეს ნეკრესში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ხალხი იკრიბება, ლოცვა აღევლინება, და წმიდა აბიბოსს მეოხებას სთხოვენ.

მომდევნო საუკუნის მანძილზე ნეკრესის ეპარქია საკმაოდ ძლიერი ფეოდალური ერთეული იყო და დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა კახეთის სამხედრო-პოლიტიკურ, თუ სასულიერო-საეკლესიო ცხოვრებაში. განსაკუთრებით ნაყოფიერია ნეკრესელ მღვდელ-მთავართა მოღვაწეობა XVIII საუკუნის ორმოციანი წლებიდან ვიდრე ეპარქიის გაუქმებამდე. (1811წ.) თვალსაჩინო ღვთისმეტყველნი, დიდი საზოგადო მოღვაწენი იოანე ჯორჯაძე, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი და ამბროსი მიქაძე ენერგიულად მოქმედებდნენ სამწყსოს საკეთილდღეოდ და შეძლებისდაგვარად იღვწოდნენ ქართული მწერლობის სარბიელზე. სადღეისოდ ეს დიდი და მნიშვნელოვანი სასულიერო-საგანმანათლებლო კერა საინტერესოა პირველ რიგში უნიკალური და მხატვრული თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლების წყალობით, რომლებიც მრავლადაა შემორჩენილი მონასტრის ტერიტორიაზე. კომპლექსი

შეიცავს ადრეულ IV საუკუნის სამლოცველოს, სამეკლესიან ბაზილიკას (VI-VII სს.), გუმბათიან ეკლესიას (VIII-IX სს), საეპისკოპოსო სასახლეს (IX ს.), კოშკს (XVI ს.) მარანს, რამოდენიმე სამეურნეო შენობის ნაშთს, სატრაპეზოს, ბერთა სენაკებს, მცირე სამლოცველოებს და სხვა.

ძველი წყაროების მიხედვით ნეკრესი ქალაქს წარმოადგენდა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინარე ხანაში. ისტორიკოსთა ცნობით, ქალაქი დააარსა მეფე ფარნაჯომ, რომელიც მეფობდა 112-93 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. „ფარნაჯომ იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“. ქალაქ ნეკრესის გაშენიანების შემდეგ ეტაპად, მემატიანეს ცნობით, შეიძლება ჩაითვალოს მეფე არშაკ მირვანის ძის მეფობის ხანა, ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელი საუკუნე. „ქართლის ცხოვრების“ ცნობითვე მეფე მირიანის დროს უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში მისმა მამამძუძემ მირვანოზმა განამტკიცა ქალაქის ზღუდენი: „მირვანოზ ჰმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს ყოველთასა მომტკიცნა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი“. ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, ესადაგება თუ არა ისტორიულ დოკუმენტებში არაერთგზის მოხსენებული ქალაქი ნეკრესი აწ არსებულ ქრისტიანულ კერას, თუმცაღა მათი იდენტიფიკაცია სავსებით დასაშვები და მისაღებია, მით უფრო, რომ XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ნეკრესში არს აწცა საეპისკოპოზო და ზის ეპისკოფოზი, არამედ არღარაა ქალაქი“.

ნეკრესის მონასტერში მშენებლობის დაწყება დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის მიღებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად აღიარების პირველივე წლებთან. სწორედ ამ პერიოდში, აწინდელი კომპლექსის ცენტრში, ააგეს მცირე ზომის მინიატურული სამლოცველო. თუმცა იგი სიმცირის, მრავალი გადაკეთებისა და თავისი უჩვეულო სილუეტის წყალობით მოკლებულია იმ იმპოზანტურობასა და მომხიბვლელობას, რომელიც შემატა მონასტერს შემდგომმა განაშენიანებამ, მისი მნიშვნელობა უდაოა. უპირველეს ყოვლისა, იგი თავისთავად მთელი მომდევნო განაშენიანების საწყისს, ბირთვს წარმოადგენს და სწორედ მისგან წარიმართა სხვადასხვა მიმართულებით მონასტრის შემდგომი ზრდა. მემატიანეს ცბობით, მირიან მეფის შვილიშვილის, მეფე თრდატის დროს(IV საუკუნის მესამე მეოთხედი) ნეკრესში სამლოცველო აშენდა. „ნეკრესის კახეთისასა ეკლესიად აღაშენა განსრულებით". კომპოზიციის არქაულობა და სხვა არქიტექტურულ ფორმათა ანალიზი საფუძველს გვაძლევს, რომ მატიანეში ნახსენები ეკლესია გავაიგივოთ აწ არსებულ მცირე ბაზილიკასთან. ნეკრესის ეს უადრესი ეკლესია ზომით 4.6x3.8 მ2, მსგავსად ამ რეგიონის სხვა ძეგლებისა ნაგებია ფლეთილი ქვით და დგას საგანგებოდ შექმნილ საყრდენზე (სუბსტრუქციაზე), რომელზეც კრიპტაა (სამვალე) მოწყობილი. ეკლესიის მშენებელმა თავისი სამლოცველო მხოლოდ გარეგნულად დაამსგავსა ბაზილიკას და უგულვებელყო ამ ტიპის ისეთი არსებითი მხარეები, როგორიცაა: ხაზგასმული გრძივი ღერძი, ნავთა გამყოფი სვეტის მწკრივი და სხვა. ეს დარღვევები მიგვანიშნებს, რომ ეკლესია ბაზილიკური ტიპის შენობის სიტყვიერი აღწერის საფუძველზე შეიძლება იყოს აგებული. მოგვიანებით ეს ეკლესია საცხოვრებლად იყო გადაკეთებული და დროთა მანძილზე საგრძნობი ცვლილებებიც განიცადა.

ნეკრესის ამ მცირე ბაზილიკის მნიშვნელობა მის სიძველეში და ორიგინალურ გადაწყვეტაში მდგომარეობს. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ქრისტიანულ ნაგებობას საქართველოში, აშენებულ ბაზილიკური კომპოზიციის პროგრამის მიხედვით, მაგრამ მასში მკვეთრად ვლინდება ის საფუძვლები, რომლებიც განვლო ამ ტიპმა ნამდვილი ბაზილიკური ფორმის შეთვისების გზაზე.

განაშენიანების მეორე ეტაპი მონასტერში ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების პირველ აღმავლობას ემთხვევა (VI-VII სს.) ეს პერიოდია, როცა უკვე ჩამოყალიბდა ქრისტიანული არქიტექტურის გარკვეული მხატვრულ-სტილისტიკური სახე, როცა გამ-ძლავრდა სამშენებლო ტრადიციები, გაძლიერდა და წელში გაიმართა ეკლესიაც, რომელიც 553 წ. კონსტანტინეპოლში მოწვეული საეკლესიო კრების შედეგად განიწმინდა მონოფიზიტთა, ნესტორიანელთა და სხვათა მოძღვრებისაგან და იზეიმა მართლმა-დიდებლობის გამარჯვება. რწმენის განწმენდამ და დაკონკრეტებამ ხელი შეუწყო საკულტო ხუროთმოძღვრების მეტ განვითარებასაც. სწორედ ამ მძლავრი აღმავლობის პერიოდში, VI-VII საუკუნეების მიჯნაზე, მცირე სამლოცველოს აღმოსავლეთით აგებულ იქნა მონასტრის მთავარი ტაძარი, რომელიც წარმოადგენს სრულიად თვითმყოფად და მხოლოდ ქართველთათვის დამახასიათებელ არქიტექტურულ ტიპს – სამეკლესიან ბაზილიკას. ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა ღვთისმშობლის მიძინების სახელზეა აგებული და ამ ტიპის ეკლესიათა ჩამოყალიბებულ, კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს. აქ დაცულია ქართული და ნაწილობრივ ბერძნული ფრესკული წარწერები. ამ ეკლესიის სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში მხატვრობის დამკვეთნი, მეფე ლეონ (1520-1574 წწ.) და მისი მეუღლე თინათინი არიან გამოსახულნი. გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობდა მონასტერში VIII-IX საუკუნეებში, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ეგრეთწოდებულ გარდამავალ პერიოდში. ამ დროს კომპლექსს ჩრდილო-დასავლეთიდან დაემატა გუმბათიანი ეკლესია (IX ს). კედლის გაგრძელებაზე აღმოსავლეთით, განლაგებულია ერთსართულიანი შენობა, რომელშიც მარანია

მოწყობილი. ნახსენები მარნის თავზე XVI საუკუნეში ააშენეს ოთხასართულიანი ოთხკუთხა თავდაცვითი დანიშნულების მქონე კოშკი, რომელშიც მოხვედრა უშუალოდ მარნიდანაა შესაძლებელი. ნეკრესის მონასტერის ტერიტორიაზე შედარებით უკვე შემონახულ გვიანი ხანის საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ნაგებობათა შორის ყურადღებას იპყრობს საკმაოდ დიდი ზომის სწორკუთხა შენობა კედლის თაღების რიგით, განლაგებული გუმბათიანი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც, მკვლევართა აზრით, სატრაპეზოს წარმოადგენდა.

ნეკრესის მონასტერი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურის უმნიშვნე-ლოვანეს ცენტრს წარმოადგენდა არაერთგზის დაურბევიათ ლეკებს, რომელთა შემოსევები XIX საუკუნის შუა წლებამდეც კი გაგრძელდა. XX საუკუნის ოციან წლებში დაიწყო ძეგლის მეცნიერული შესწავლა, ხოლო უფრო მოგვიანებით 1940-50 წლებში კომპლექსზე მიმდინარეობდა დაცვითი-გამაგრებითი სამუშაოების წარმოება. მონასტრის მყუდრო, თვალისგან მოფარებულ ადგილას არის აგებული. სამაგიეროდ იქიდან ხელისგულივით იშლება ალაზნის ველის ვრცელი შესანიშნავი პანორამა. მის ასეთი მდებარეობა არა მარტო ესთეტურადაა მომხიბვლელი, არამედ მოხერხებულიც უნდა ყოფილიყო. ამიტომაც არ განელებულა იქ მშენებლობა მრავალი საუკუნის მანძილზე, დაწყებული IV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე.

მონასტრის შენება დღევანდელი კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყეს, შემდეგ VIII-IX საუკუნეებში მშენებლობამ დასავლეთით გადაინაცვლა. საბოლოოდ კი, მრავალი ოსტატის მეცადინეობით, მონასტერი ცხოველხატულ, სხვადასხვა დროისა და ტიპის ნაგებობათა მშვენიერ შეკავშირებად იქცა. ერთიანი საშენი მასალა და მშენებლობის ტექნიკა, კახეთისათვის ჩვეული შირიმისა და რიყის ქვის გამოყენებით, განუმეორებელად მიმზიდველს ხდის მონასტერს და იმ სიმშვენიერეს ანიჭებს, რომლის მატარებელი მხოლოდ მაღალმხატვრული ღირსებების მქონე ძეგლები შეიძლება იყოს.

როგორც ხედავთ ნეკრესის კომპლექსი მართლაც ულამაზესია იმისთვის, რომ უამრავი ტურისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოიზიდოს და გააოცოს, ყოველივე ამას ხელშეწყობა სჭირდება ნეკრესის კომპლექსს კი ამის პოტენციალი ნამდვილად გააჩნია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნეკრესის კომპლექსს მართლაც დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს საპატრიარქოს შემოსავლების ზრდაში, კერძოდ, ტურისტები იძენენ მონასტერში შექმნილ ხატებს, ასევე მრავალ საეკლესიო ნივთს რომლებიც იქმნება პირდაპირ ადგილზე, შემოსავალი კი შედის პატრიარქის ფონდში და აძლიერებს მას.

ლიტერატურა:

http://kakheti.net/nekresi/nekresi_geo.html
http://ka.wikipedia.org/wiki/ნეკრესი
http://www.megzuri.ge/kaxeti/nekresi/index/nekresig.htm
http://amigo.ge/saunje/index.php?id=426&option=com_content&lang=ka

COCA-COLA STOCK COMPANY ANALYSIS

Mariam Shavdatuashvili
The Second Year Student of Bachelor Degree Programm,
Faculty of Social Sciences, Business and Law
Instructor: **Khatuna Bebnadze,** Associate Professor

Thesises

- **Why I choose Coca-Cola company**
- **How everything started**
- **Product and position in market**
- **Structure**
- **Spellings, Promotion and Consumers**
- **SWOT analysis**
- **Coca-Cola stock valuation**
- **Conclusion (if I were an investor)**

Today it is very popular the energetic drinks, but Coca- Cola is the non-alcoholic drink which likes everybody despite the age and any other things. **Coca-Cola is the best-selling soft drink in most countries, and was recognized as the number one global brand in 2010**

The Coca-Cola Company is a beverage retailer, manufacturer and marketer of non-alcoholic beverage concentrates and syrups. The company is best known for its flagship product Coca-Cola, invented by pharmacist John Stith Pemberton in 1886. The Coca-Cola formula and brand was bought in 1889 by Candler who incorporated the Coca-Cola Company in 1892. Besides its namesake Coca-Cola beverage, Coca-Cola currently offers more than 500 brands in over 200 countries or territories and serves 1.6 billion servings each day.

The company operates a franchised distribution system dating from 1889 where The Coca-Cola Company only produces syrup concentrate which is then sold to various bottlers throughout the world who hold an exclusive territory. The Coca-Cola Company owns its anchor bottler in North America, Coca-Cola Refreshments.

On May 8, 1886, a pharmacist named Dr. John Pemberton carried a jug of Coca-Cola® syrup to Jacobs' Pharmacy in downtown Atlanta, where it was mixed with carbonated water and sold for five cents a glass.

But in 1888 the inventor told about his product to AC.Candler, who was a very good businessman and had a vision. He was the first producer of Coca-Cola and he promote the product and he was the founder of company. **The famous Coca-Cola logo was created by John Pemberton's bookkeeper, Frank Mason Robinson, in 1885**

Coca-Cola® originated as a soda fountain beverage in 1886 selling for five cents a glass. Early growth was impressive, but it was only when a strong bottling system developed that Coca-Cola became the world-famous brand it is today.

Many facts happened, but coca-cola 's popularity was increasing, but it needed to be more known and have their own sign that people can identify.

In 1916 they created their own bottle, which was different from anthers company became brand.

a registered trademark of The Coca-Cola Company in the United States since March 27**.**

1900-1909 … Rapid growth

The three pioneer bottlers divided the country into territories and sold bottling rights to local entrepreneurs. Their efforts were boosted by major progress in bottling technology, which improved efficiency and product quality. By 1909, nearly 400 Coca-Cola bottling plants were operating, most of them family-owned businesses. Some were open only during hot-weather months when demand was high.

1916 … Birth of the contour bottle

Bottlers worried that the straight-sided bottle for Coca-Cola was easily confused with imitators. A group representing the Company and bottlers asked glass manufacturers to offer ideas for a distinctive bottle. A design from the Root Glass Company of Terre Haute, Indiana won enthusiastic approval in 1915 and was introduced in 1916. The contour bottle became one of the few packages ever granted trademark status by the U.S. Patent Office. Today, it's one of the most recognized icons in the world - even in the dark!

Since Coca-Cola appeared it is the fastest grooving company and in 21st Century the Coca-Cola bottling system grew up with roots deeply planted in local communities. This heritage serves the Company well today as people seek brands that honor local identity and the distinctiveness of local markets. As was true a century ago, strong locally based relationships between Coca-Cola bottlers, customers and communities are the foundation on which the entire business grows.

The Company owns or licenses and markets more than 500 non-alcoholic beverage brands, primarily sparkling beverages but also a variety of still beverages such as waters, enhanced waters, juices and juice drinks, ready-to-drink teas and coffees, and energy and sports drinks. It also owns and markets non-alcoholic sparkling beverage brands, including Diet Coke, Fantod and Sprite. It manufactures, markets and sells, beverage concentrates, referred to as beverage bases, and syrups, including fountain syrups and finished sparkling and still beverages .It operates in six segments: Eurasia and Africa, Europe, Latin America, North America, Pacific, Bottling Investments and Corporate. On October 2, 2010, it acquired the North American business of Coca-Cola Enterprises Inc.

From humble beginnings 125 years ago, our Company has evolved from one product -- Coca-Cola -- to more than 500 brands in 2011. We've grown from selling a modest 9 drinks a day in 1886 to 1.7 billion a day. And we've expanded from one city in one country to availability in more than 200 countries around the world.

It is interesting what is the key role of their success may be mission, vision and values.

Mission, the choice is yours…

1)The world is changing all around us. It declares our purpose as a company and serves as the standard against which we weigh our actions and decisions. 2)To refresh the world... 2) To inspire moments of optimism and happiness... 3)To create value and make a difference.

Vision this is one important point that company should take care……..

1) The framework for our Roadmap and guides every aspect of our business by describing what we need to accomplish in order to continue achieving sustainable, quality growth. **2)People**: Be a great place to work where people are inspired to be the best they can be. **3)Portfolio**: Bring to the world a portfolio of quality beverage brands that anticipate and satisfy people's desires and needs**. 4)Partners**: Nurture a winning network of customers and suppliers, together we create mutual, enduring value**. 5)Planet**: Be a responsible citizen that makes a difference by helping build and support sustainable communities. **6)Profit**: Maximize long-term return to shareowners while being mindful of our overall responsibilities. **7) Productivity:** Be a highly effective, lean and fast-moving organization.

Company has vision **Live Our Values**

Companies values serve as a compass for our actions and describe how we behave in the world. 1) **Leadership**: The courage to shape a better future, **2) Collaboration:** Leverage collective genius **3) Integrity:** Be real **4)**

Accountability: If it is to be, it's up to me **5) Passion:** Committed in heart and mind **6) Diversity**: As inclusive as our brands, **7) Quality**: What we do, we do well.

SWOT

S-strengths	**W-weaknesses**
• Cooler Experience • Personnel Relations • Knowledge Regarding Adversary • Accomplished Staff & Benefactor • Added Bazaar Allotment in Textile Sector • Humans Assurance on Above of our Artifact and Cast • Merchandising and All-around Score Rating (Gives Backbone to brainwash bazaar about convalescent sales) • Coca-Cola has been a circuitous allotment of apple ability for a actual continued time. • The product's angel is loaded with over-romanticizing, and this is an angel abounding humans accept taken acutely to heart. • Additionally, Coca-Cola's bottling arrangement is one of their greatest strengths.	• Minimized and monitored in adjustment to finer accomplish abundance and ability in their business's activities, Coke is no exception. • Coca-Cola on the added ancillary has furnishings on the teeth which is an affair for bloom care. • Coca-Cola may could cause bloom problems • Minor Signage in the Breadth, Ample Number of PCI,Abandoned Stock. • Finance Botheration (Partnership Desolation) Poor annual • Top prices
O-opportunities	**Threats**
• *Customers are Anode from Adversary Specially in Rural Breadth (service and quality).* • *New Projects accept been Started (Industrial).* • *Minor Signage Work is done in Breadth by PCI.* • *PCI is Getting Absorption in Textile Sector.* • *Customer of PCI are Disturbed (Because of advantage and benefactor interest. So we can yield account in this area).* • *New technologies that access efficiencies* • *Niche markets that ample companies do not ambition to serve* • *This account isn't anywhere abreast complete*	• *Currently, the blackmail of new applicable competitors in the carbonated bendable alcohol industry is not actual substantial.* • *Possible substitutes that continuously put burden on both Pepsi and Coke cover tea, coffee, juices, milk, and hot chocolate.* • *Customer affairs ability as well represents a key blackmail in the industry.*

Main competitor is Pepsi

If you are an investor you need to know how company looks like in market. it is noteworthy that coca- cola is global company ,It has 139,600 worldwide employees 50% outside the USA. It's globalism is seen in its ads, good ads which is the same in many countries. . The first outdoor wall advertisement was painted in the same year as well in

Cartersville, Georgia. Cans of Coke first appeared in 1955. They always care about new product, one of the lasts innovative product is coca-cola zero.

After review companies managerial and historical situation it is sesassary to know about the financial situation, it is a growth company it's selling increases, coca-cola company and 300 worldwide bottling partners work together. Sales grown from selling a modest 9 drinks a day in 1886 to 1.7 billion a day in 2011.

Stock valuation for investor is most important thing.

Sale Year	Liens Sold	Avg Int Rate	Struck to State
2010	25,660	8.62%	11,040
2009	22,354	8.66%	8,107
2008	20,401	7.64%	1,651
2007	15,972	7.96%	1,804
2006	13,479	6.03%	2,147
2005	12,515	5.80%	4,247
2004	14,065	6.09%	5,258
2003	14,156	7.88%	7,044
2002	11,771	10.91%	9,299
2001	11,363	10.95%	8,660
2000	11,002	10.12%	6,939
1999	10,766	9.93%	7,769
1998	8,456	10.04%	8,195
1997	10,057	8.90%	8,060

Latest Coca Cola Stock Trade Type



Asset Turnover (Average)

0.93	**0.83**	**0.81**	**0.75**	**0.76**	**0.81**	**o.79**	**0.76**	**0.69**	**0.58**	**0.62**

Return on Assets %

18.35	**13.00**	**16.77**	**16.52**	**16.04**	**17.11**	**16.33**	**13.86**	**15.30**	**19.42**	**19.59**

Return on Equity %

38.38	**26.33**	**33.58**	**32.29**	**30.18**	**30.53**	**30.94**	**27.51**	**30.15**	**42.32**	**42.33**

Return on Invested Capital %

25.24	**18.13**	**23.71**	**22.74**	**21.57**	**22.75**	**19.08**	**20.54**	**25.93**	**25.70**	**23.33**

This is for the last 11 month for coca-aola company.

Bibliography:

Analysis investment and management of portfolio-Brown/Reilly
http://www.thecoca-colacompany.com/heritage/ourheritage.html
http://www.thecoca-colacompany.com/ourcompany/historybottling.html
http://beef.ge/12268-pepsi-vs-coca-cola-reclame.html
http://www.coca-cola.co.uk/about-us/introducing-our-business.html

უმუშევრობა და დასაქმების რეგულირება

ვლადიმერ ციცაგი, თინათინ ცერცვაძე, ხატია დარბაიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და მაკროეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის ძირითადი ინდიკატორია, რომლის დროს შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს, იქცევა ,,ჭარბ“ მოსახლეობად და ქმნის შრომის სარეზერვო არმიას.

უმუშევრობა, როგორც სოციალური მოვლენა, განსაკუთრებით ფართოდ, გავრცელდა XIX საუკუნეში, XX საუკუნის განმავლობაში კი გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკური თანამგზავრი. ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და მრავალ განუვითარებელ ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, რადგანაც მსოფლიოში დაიწყო 30-იანი წლების დროინდელი დიდი დეპრესიის მსგავსი უდიდესი დაქვეითება, მაგრამ შემდეგ, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა გამოვიდა დეპრესიული მდგომარეობიდან, 80-იანი წლების მეორე ნახევრის განმავლობაში შეინიშნებოდა სტაბილური ეკონომიკური ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება, თუმცა უმუშევრობის დონე ამაღლდა, როდესაც 90-იანი წლების დასაწყისში კვლავ აღინიშნა ეკონომიკური დაქვეითება. იმ ზომით, როგორითაც მსოფლიომ ნელ-ნელა დააღწია თავი ეკონომიკურ დაქვეითებას 90-იანი წლების შუახანებში, უმუშევრობის დონემაც კვლავ დაიწყო შემცირება.

უმუშევრობის დონის მერყეობის პარალელურად, მრავალ ქვეყანაში უმუშევრობის საშუალო დონე ეკონომიკური ციკლიდან ციკლამდე იზრდება. უმუშევრობის საშუალო დონე 80–იან და 90-იან წლებში იყო უფრო მაღალი, ვიდრე 70-იან წლებში, ხოლო უმუშევრობის საშუალო დონე 70-იან წლებში, თავის მხრივ, იყო მაღალი ვიდრე 50-იან და 60-იან წლებში. ზოგიერთ ისეთ ქვეყანაში კი, როგორიცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში უმუშევრობის დონე შემცირდა.

უმუშევრობის მაღალი ნორმა, **ეკონომიკური გაგებით,** არის რესურსების ნაწილობრივი გამოყენება, ნაკლები პროდუქციის წარმოება და შესაბამისად მოსახლეობის დაბალი შემოსავალი. **პოლიტიკური გაგებით,** უმუშევრობა მიჩნეულია ,,სოციალურ დინამიტად", რომელიც შეიძლება ყოველ წამს აფეთქდეს და დაემუქროს არსებულ ეკონომიკურ სისტემას. **ფსიქოლოგიური თვალსაზრისით**, უმუშევრობა ბადებს არასრულფასოვნების კომპლექსს. სამუშაოს დაკარგვა ისეთი ფსიქოლოგიური ტრამვაა, რომელიც ახლობლის დაკარგვით გამოწვეულს სტრესს თუ შეედრება. იგი ამწვავებს ოჯახურ ურთიერთობას და საზოგადოებაში ემოციურ დაძაბულობას აღრმავებს. **სამართლებრივი თვალსაზრისით,** უმუშევრობა კონსტიტუციური მოთხოვნის დარღვევაა. ამ შემთხვევაში, იზრდება კრიმინალურ დანაშაულთა რიცხვი.

ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნული სტრუქტურიდან გამომდინარე, განისაზღვრება **მოსახლეობის აქტივობი დონე**-ეკონომიკურად აქტიურ ადამიანთა წილი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის სართო რიცხოვნობაში. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა თავის მხრივ, იყოფა ორ ჯგუფად:

დასაქმებულები - ის ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან შემდეგ კატეგორიას: ა) დაქირავებულები; ბ) თვითდასაქმებულები.

უმუშევრები - ის ადამიანები, რომლების ასაკობრივად მიეკუთვნებიან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვს, არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, მზად არიან მუშაობის დასაწყებად და ეძებენ სამუშაოს.

დასაქმებულად (დაქირავებულად ან თვითდასაქმებულად) ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში მინიმუმ ერთი საათით მაინც იყო დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით.

დაქირავებულად (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში) ითვლება პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულებაში ყოფნის, ავადმყოფობის, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებულად ითვლება ის მესაკუთრე, რომლის საქმიანობის მიზანს გამოსაკვლევ პერიოდში წარმოადგენს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღება; აგრეთვე ოჯახურ საწარმოში ან მეურნეობაში უსასყიდლოთ მომუშავე პირი (ოჯახის დამხმარე პირი, რომელიც ანაზღაურების გარეშე მუშაობს ნათესავის მფლობელობაში მყოფ საწარმოში ან შინამეურნეობაში).

უმუშევრად ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის ანუ სამუშაო ასაკში მყოფი. შრომისუნარიანი პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებს სამუშაოს და შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას. ეს არის უმუშევრობის განსაზღვრა **მკაცრი კრიტერიუმით.**

შსო-ის რეკომენდაციის საფუძველზე უმუშევრობის მაჩვენებელს განსაზღვრავენ აგრეთვე ე.წ. **შერბილებული კრიტერიუმითაც.** ამ კრიტერიუმით უმუშევრად ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის, ანუ სამუშაო ასაკში მყოფი შრომისუნარიანი პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში არ არის დაკავებული ეკონომიკური საქმიანობით (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში არ ეძებს სამუშაოს, რადგან გადაეწურა შოვნის იმედი, მაგრამ მისი შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას. **რეგისტრირებულ უმუშევრად** კი ითვლება 16 წლის და მეტი ასაკის პირი, რომელსაც არ აქვს

სამუშაო და ხელფასი (შრომითი შემოსავალი), ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, რეგისტრირებულია დასაქმების სამსახურში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამუშაოს შოვნის მიზნით და შოვნის შემთხვევაში მზად არის შეუდგეს მუშაობას.

ეკონომისტები გამოყოფენ **წონასწორობითი უმუშევრობის** ორ ძირითად ტიპს:

ფრიქციული უმუშევრობა ეწოდება შრომისუნარიანთა დროებით, გარდაუვალ დაუსაქმებლობას, რაც დაკავშირებულია ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლით, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპით და წარმოების სეზონურობით განპირობებულ სამუშაოსთან ან სამუშაოს მოლოდინთან.

სტრუქტურული უმუშევრობა ეწოდება ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებულ უმუშევრობას, რომელსაც მაშინ აქვს ადგილი, როცა ძველი წარმოება და დარგები ახალს უთმობენ ადგილს. ამასთან, ახალი სამუშაო ადგილებისათვის ვერ პოულობენ საჭირო კვალიფიკაციის მუშაკებს, ხოლო ძველი მუშაკები, არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო, სამუშაოდან თავისუფლდებიან და უმუშევართა სარეზერვო არმიას ავსებენ. ამ შემთხვევაში სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და სამუშაო ძალის მიწოდების პროფესიული სტრუქტურები ერთმანეთს არ შეესაბამება.

სტრუქტურული უმუშევრობა ფრიქციულისაგან განსხვავდება იმით, რომ ჯერ ერთი, ,,სტრუქტურულ“ უმუშევრებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ სამუშაოზე მოწყობა დაუყონებლივ (სათანადო გადამზადებისა და დამატებითი სწავლა-განათლების გარეშე), ,,ფრაქციულ,, უმუშევრებს კი თითქმის არაფერი უშლით ხელს, და მეორე, სტრუქტურული უმუშევრობა, ფრაქციულთან შედარებით, უფრო ხანგრძლივი და სერიოზულია. იგი მეტ-ნაკლები ზომით ყველა ქვეყანაში და განვითარების ყველა ეტაპზე შეინიშნება. ამიტომ მისი, თუნდაც, შერბილება დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა მუდმივად არსებობს და მომავალშიც იარსებებს. პრობლემურია მხოლოდ უწონასწორობითი უმუშევრობის ტიპები და განსაკუთრებით, ციკლური უმუშევრობა, ამიტომ ,,სრული დასაქმება“ არ ნიშნავს უმუშევრობის აბსოლუტურ არარსებობას, როცა მსჯელობაა სრული დასაქმების შესახებ, იგულისხმება არა უმუშევრობის არარსებობა საერთოდ, არამედ ის, რომ უწონასწორობითი უმუშევრობა ნულის ტოლია. სხვანაირად რომ ვთქვათ, სრული დასაქმება ეწოდება სიტუაციას, როცა დასაქმება 100%-ზე ნაკლებია, ხოლო უმუშევრობა არ აღემატება ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამს. მაშასადამე, ,,სრული დასაქმება“ განისაზღვრება როგორც დასაქმება,, რომელიც სამუშაო ძალის 100%-ზე ნაკლებია.

უმუშევართა რაოდენობა, რომელიც შეესაბამება ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამს, ბუნებრივი უმუშევრობა, ანუ უმუშევრობის ბუნებრივი დონე ეწოდება. ასე მაგალითად, თუ სამუშაო ძალის რიცხოვნობა ქვეყანაში შეადგენს 2 მლნ კაცს, აქედან ფრიქციული უმუშევარია 60 ათასი კაცი, ხოლო სტრუქტურული უმუშევარი – 40 ათასი კაცი (უმუშევრობის სხვა სახეებს ადგილი არა აქვს), მაშინ უმუშევრობის ბუნებრივი დონე უდრის 5%-ს. [(60000+40000)/2000000}*100

უმუშევრობის დონე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ეს იმით აიხსნება, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები იმყოფებიან ეკონომიკური ცვლის სხვადასხვა ფაზაში და აქვთ განსხვავებული უმუშევრობის ბუნებრივი დონეები.

უმუშევრობის პრობლემის სიმწვავიდან და უარყოფითი შედეგების სიმრავლიდან გამომდინარე, ეკონომისტები ცალ-ცალკე გამოყოფენ მის ,,ეკონომიკურ დანაკარგებს,, და ,,სოციალურ დანახარჯებს,,.

უმუშევრობის მთავარი ეკონომიკური დანაკარგი გამოუშვებელი პროდუქციაა, რომელსაც ეკონომისტები განსაზღვრავენ როგორც მშპ-ის ჩამორჩენას (დანაკარგს). იგი იმ მოცულობის ტოლია, რომლითაც ფაქტობრივი მშპ ნაკლებია პოტენციურზე. უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს როგორც თვით უმუშევრის, ასევე სახელმწიფოს შემოსავლებსაც. უმუშევრობის ეკონომიკურ დანაკარგებზე მსჯელობისას ეკონომისტები გვერდს ვერ უვლიან რესურსების სოლიდურ დანაკარგებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან მომენტებს, როგორიცაა: კაპიტალისა და ,,ტვინის“ გადინება, დანაზოგებისა და ყიდვითუნარიანი მოთხოვნილების შემცირება, მიწოდების შეკვეცა, მუშაკთა დეკვალიფიკაცია და ა. შ.

უმუშევრობის სოციალური დანახარჯები დაკავშირებულია საზოგადოებრივი პათოლოგიის (ფიზიკური და ფსიქიკური დაავადება, დამნაშავეობა და სიკვდილიანობა) მასშტაბის გადინებასთან.

უმუშევრობა, როგორც მაკროეკონომიკური არასტაბილურობის გამოვლინება, საბოლოო ანგარიშით, რა თქმა უნდა, ნეგატიური მოვლენაა, მაგრამ ცალკეული დადებითი მომენტები მის შედეგებშიც შეინიშნება. კერძოდ, უმუშევრობის გარკვეული დონით არსებობა განაპირობებს: სამუშაო ძალის რეზერვის მუდმივ შენარჩუნებას; კონკურენციას მომუშავეებს შორის; შრომის სოციალური მნიშვნელობისა და როლის ამაღლებას საზოგადოებაში; დასაქმებულის სოციალური სტატუსის ზრდას; სამუშაო ადგილის არჩევანის თავისუფლებას და ა. შ.

აღნიშნულ მიზეზთა გამო, ზომიერ (შრომისუნარიანთა დაახლოებით 4-დან 6%-მდე ოდენობით) უმუშევრობას საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ თანამგზავრად მიიჩნევენ.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად დგება ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების რეგულირების აუცილებლობა. ასეთი რეგულირების მიზანია კვლავ წარმოების პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფა, აგრეთვე შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის შერბილება.

თანამედროვე პირობებში დასაქმების რეგულირების საშუალებები და მეთოდები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. თუმცა, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში 90-იანი წლებიდან, დასაქმების პოლიტიკის ინტერფრაქციის მიზნით, შრომის ბაზარზე ზემოქმედების კონკრეტული ღონისძიებები გამოიყენება შემდეგი ოთხი მიმართულებით: **1) სამუშაო ადგილების მიწოდების ზრდა; 2) არსებული სამუშაო მოცულობის გადანაწილება; 3) ,,შეგუების სტრატეგიის" გამოყენება; 4) სამუშაო ძალის მიწოდების შემცირება შრომის ბაზარზე და სამუშაო ადგილების შენარჩუნება.**

უმუშევრობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ მხრივ არსებულ პრობლემებზე როგორც ოპოზიციაში, ასევე ხელისუფლებაშიც ხმამაღლა საუბრობენ. თუმცაღა ამის გარდა, საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, ანუ რამდენია რეალურად უმუშევარი. თუ რამდენი უმუშევარი ჰყავს დღეს საქართველოს, თუმცაღა, ამის გარკვევა ძალზედ რთული აღმოცნდა, რადგან ყველა თავისი შეხედულებისამებრ ადგენს ამ ციფრს.

,,თავისუფალი აზრის სახლის,, მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 60-65%-ს შორის მერყეობს. ,,სტატისტიკის ახლად შექმნილი ეროვნული სამსახური ,,საქსტატი,, მხოლოდ და მხოლოდ შიშველ ციფრებს იძლევა, რომელსაც ხელისუფლების ეკონომიკური გუნდი უკომენტაროდ ტოვებს, ეს კი გაუმართლებელია, რადგან საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ქვეყანაში ცხოვრობს რეალურად. ჩვენ შევადგინეთ პრობლემების რეიტინგი, რომელის ,,საქსტატის,, მონაცემებისგან განსხვავდება. თუ სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე მხოლოდ 16.3%-ია, ჩვენი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი რეალურად 60-65%-ს აღწევს" – განაცხადა „თავისუფალი აზრის სახლის" ექსპერტმა გივი თალაკვაძემ.

განსხვავებული მონაცემები აქვს გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელს ირაკლი პეტრიაშვილს. მართალია, არც ის ეთანხმება ,,საქსტატის" მიერ მოცემულ ციფრებს, თუნცაღა მისი ინფორმაციით უმუშევართა რიცხვი დღეს მოსახლეობის 29% შეადგენს. პეტრიაშვილის აზრით, მთავარი დასაქმება კი არ არის, არამედ რამდენად უზრუნველყოფს ადამიანი საკუთარ თავს თავისი საქმით, – ,,25% მარტო ,,საქსტატის" მიერ დაწესებულ საარსებო მინიმუმზე ნაკლებს იღებს ხელფასს. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ 126 ლარზე ნაკლები აქვს ხელფასი, ის სრულფასოვანი დასაქმებული ვერ იქნება. უმწეო ადამიანთა რიცხვი, რომლებიც იღებენ ბიუჯეტიდან დახმარებას, არის 900 000 ადამიანი, მაშინ როდესაც ქვეყნის მოსახლეობა 4 მილიონს შეადგენს. აქედან გამომდინარეობს, რომ დაახლოებით 25% უმწეოა, ანუ უმუშევარი". პეტრიაშვილის ინფორმაციით, „საქსტატის" მონაცემები არ არის რეალური, რადგან ის არჩევით ახდენს ორგანიზაციების გამოკითხვას. რამდენიმე თვეში ერთხელ, სხვადასხვა კომპანიისგან იღებს ინფორმაციას, რამდენი ადამიანი შეამცირა, ან – პირიქით. „შერჩევითი გამოკითხვის დროს კი ზუსტი მონაცემების გარკვევა შეუძლებელია. ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს საქართველოში უმუშევრობა დაახლოებით 29%-ია", – აცხადებს გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელი.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით კი უმუშევართა რიცხვი 13,6% შეადგენს. "საქსტატის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს თენგიზ ცეკვავას გაერთიანებული პროფკავშირების და "თავისუფალი აზრის სახლის" მონაცემების რეალურობაზე საუბარი უჭირს. მისი თქმით, თავდაპირველად უნდა გაირკვეს, რა მეთოდოლოგიით აწარმოებენ აღნიშნული ორგანიზაციები კვლევას, რადგან დასაქმებულად შეიძლება მიწაზე მომუშავე არ ჩათვალონ, ან – პირიქით, მარტო ქარხანაში დასაქმებული ჩათვალონ. ასე რომ, თავდაპირველად მათი გამოკითხვის მეთოდოლოგიაა შესასწავლი, თავად "საქსტატი" კი (ILO)-ს მეთოდოლოგიით მუშაობს. „ჩვენ ვერ ვიტყვით, რომელი ციფრი არის რეალური, ან არარეალური, თუ არ ვიცით, როგორ ითვლება ეს ციფრი. ამიტომ ეს მონაცემები შესაფერისი რომ იყოს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) შემოიღო გარკვეული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ითვლება ქვეყნის უმუშევრობა. ჩვენ ILO-ს მეთოდოლოგიით ვთვლით", – აცხადებენ "საქსტატში". დირექტორის მოადგილის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობით დაკავებული ადამიანი, უმუშევრად არ ითვლება, ILO-ს მეთოდოლოგიით ის თვითდასაქმებულია, რადგან მიწაზე მუშაობისას მას აქვს გარკვეული შემოსავალი. "ასევე ადამიანი ვერ ჩაითვლება უმუშევრად, თუ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავისი სურვილისამებრ არ ეძებს სამსახურს, ეს ადამიანი აღარ შედის სამუშაო ძალაში". **"სოფლის მეურნეობა საქართველოში დღეს მომგებიანი არ არის, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ჩვენთან მიწის ფასი ძალიან მცირეა. მიწის მოვლა, დამუშავება, მეურნეობის მოვლა, მოსავლის დაზღვევა - ბევრად უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე თვით მიწა. აქედან გამომდინარე, მიწა შეიძლება ისეთ ადამიანსაც ჰქონდეს, ვისაც მისი დამუშავება არ შეუძლია. სასოფლო-სამეურნეო მიწის საბაზრო ფასი**

იმდენად მცირეა, საბანკო კრედიტის გირაოდ ბანკებს მისი მიღება ხელს არ აძლევს. ამ ფონზე, სოფლის მეურნეობის აღორძინებაში საბაკო კრედიტები უდიდეს მნიშვნელობას ატარებს. ასე რომ, სანამ მიწის ფასი იმდენად არ მოიმატებს, რომ ის სერიოზული კაპიტალი გახდება და რისკების დაზღვევის მექანიზმადაც გამოდგება, სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა არარეალურია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში ადგილობრივი წარმოების წახალისების მიზნით, უცხოური პროდუქციისთვის სავაჭრო ბარიერების დაწესებას, ვფიქრობ, ეს არ იქნება სწორი. ჩვენი პროდუქცია დღეს ობიექტურად არ არის კარგი, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ წარმოების გაუმჯობესებაზე უფრო მეტს ვიფიქრებთ", - აცხადებს ვანო ჩხაიძე.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებულთა თანაფარდობის (უმუშევრობა–დასაქმება) რეგულირება უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მიერ ხელფასის სახით მიღებული ფულის რაოდენობის ცვლილებისა და საერთოდ, ქვეყნის ფულადი მიმოქცევის ცვლილებისაგან, რაც ხშირად მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებლით – ინფლაციით ვლინდება.

ლიტერატურა:

1. მერაბ ვანიშვილი, ავთანდილ მექვაბიშვილი, ,,ეკონომიკის საფუძვლები“, წიგნი II, 2009;
2. http://www.ghn.ge/news-43053.html
3. http://www.voanews.com/georgian/news/a-54-2010-01-27-voa5-93147634.html

ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და შედეგები საქართველოში

ქეთევან წიქარიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ინფლაცია არის ფასების დონის საერთო ზრდა. ასეთია ინფლაციის ძალზე შემოკლებული განსაზღვრა, მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ის, რომ ფასების ყოველგვარი მატება არ ნიშნავს ინფლაციას. ცალკეულ საქონელზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენით ყოველთვის შეიძლება ფასი გაიზარდოს, მაგრამ ამავე დროს სხვა საქონელზე იგი შემცირდეს. ასეთ ფასების საერთო დონე შეიძლება უცვლელი დარჩეს ან შემცირდეს კიდეც. ფასების ასეთი ცვლილება ინფლაციას არ გამოიწვევს. ინფლაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა მატულობს ფასების საერთო დონე და უფასურდება ფული, ე.ი. როცა ფულის ერთი და იმევე რაოდენობით სულ უფრო ნაკლები მოცულობის საქონლისა და მომსახურების შეძენა შეიძლება. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ინფლაცია ნიშნავს, რომ ფულის მიმოქცევაში გამოყენებულია ფულის ისეთი მასა, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით. ასეთ შემთხვევაში ირღვევა თანაფარდობა გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, ერთი და იმავე მოცულობის საქონლის და მომსახურების შესაძენად მეტი რაოდენობის ფულია საჭირო.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადგილი ინფლაციას და რამდენად მაღალია მისი დონე, საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ ფასების და ტარიფების საერთო დონე მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში.

ფასების საერთო დონის ცვლილება ფასების ინდექსით გამოიხატება.

ფასების ინდექსი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ფასთა ერთობლიობის შეფარდებას საბაზისო პერიოდის ფასთა ერთობლიობასთან. ფასების ინდექსი პროცენტით ან კოეფიციენტით აღინიშნება.

ათასობით დასახელების საქონელთა ფასების დაჯამება ტექნიკურად მეტისმეტად რთული და პრაქტიკულად განუხორციელებელი საქმეა, ამიტომ ფასების ერთობლიობას საქონელთა გარკვეულ რაოდენობაზე ანგარიშობენ. იმ საქონელთა ერთობლიობას, რომლის მიხედვითაც გაიანგარიშება ფასების ინდექსი, „საბაზრო კალათას“ ან „სამომხმარებლო კალათას“ უწოდებენ. საბაზისო და მიმდინარე პერიოდის სამომხმარებლო კალათები იდენტურები უნდა იყოს, ე.ი. უნდა

აერთიანებდეს ერთნაირი დასახელების საქონლისა და მომსახურების სახეებს. სამომხმარებლო კალათა შედგება იმ საქონლისა და მომსახურების სახეებისგან, რომელსაც ადამიანი შეიძენს დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ინფლაცია სხვადასხვანაირად ზემოქმედებს საზოგადოების სოციალურ ფენებზე. ყველა მძიმე დარტყმას იგი ღარიბ ფენებს და ფიქსირებული შემოსავლების ჯგუფებს აყენებს. მათი რეალური შემოსავალი მკვეთრად მცირდება ფასების ზრდისა და ფულის გაუფასურების გამო და ისინი იძულებულნი არიან იბრძოლონ ხელფასისა და სხვა ფულადი შემოსავლების გადიდებისათვის. ეს ბრძოლა ყოველთვის არ მთავრდება უშედეგოდ. მმართველი წრეები სოციალური კატაკლიზმების თავიდან აცილების მიზნით აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს, რისთვისაც მიმოქცევაში უშვებენ ფულის ნიშნების დამატებით რაოდენობას, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ინფლაციას, აუფასურებს ფულს, ზრდის ფასებს. ასე წარმოიქმნება ე.წ. ინფლაციური სპირალი (ხვაი) - მიმოქცევაში გაშვებული ფულის ნიშნების რაოდენობისა და ხელფასების პარალელური ზრდა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს და ახანგრძლივებს ინფლაციას.

ინფლაციის ხასიათის მიხედვით ანსხვავებენ:

1) ლოკალურ ინფლაციას, ე.ი. როცა მას ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეულ ქვეყანაში;
2) მსოფლიო ინფლაციას, როცა ის ყველა ქვეყანას მოიცავს;
3) „ჭენებით“ ინფლაციას, როცა ფასების აზრდა საოცრად სწრაფია, თანაც ნახტომისებური;
4) „მცოცავ“ ინფლაციას, როცა ფასები ნელა, მაგრამ განუწყვეტლივ იზრდება;
5) შინაგანი ფაქტორებით გამოწვეულ ინფლაციას;
6) „იმპორტულ“ ინფლაციას, რომელიც გარეგანი მიზეზებით არის წარმოქნილი;
7) „საფეხურებიან“ ინფლაციას, რომელიც ფულის გაუფასურების პროცესის არათანაბრობასთან არის დაკავშირებული.

ინფლაცია და მისი შედეგები ობიექტურად მოითხოვს ფულის რეფორმის განხორციელებას...

მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ცნობილია ფულის რეფორმების რამდენიმე სახე:

1. ერთი ფულადი სისტემიდან მეორეზე გადასვლა (მაგალითად, ბიმეტალიზმიდან მონომეტალიზმზე) ან ერთი ფულადი საქონლის შეცვლა სხვა ფულადი საქონლით (ვერცხლის შეცვლა ოქროთი და სხვა).
2. გაუფასურებული ან არასრულფასოვანად ქცეული ფულის ნიშნების შეცვლა სრულფასოვანი ფულის ნიშნებით;
3. ფულის ემისიის სისტემის შეცვლა;
4. ვალუტის სტაბილიზაცია ან ფულის მიმოქცევის მოწესრიგება;
5. ახალი ფულადი სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოებრიობის გარდაქმნასთან დაკავშირებით.

რა სახითაც არ უნდა ტარდებოდეს ფულის რეფორმა, მისი მიზანი ყოველთვის ერთია - ფულადი სისტემის სტაბილიზაცია.

ზემოთ აღნიშნული ხუთი რეფორმიდან ერთ-ერთი გატარდა საქართველოში 1995 წელს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ჰიპერინფლაციის გამო კუპონი შეიცვალა ლარით.

დღევანდელ პირობებში შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში მცოცავი ინფლაცია მიმდინარეობს ანუ საქონლის ფასები და მომსახურების ტარიფები ნელ-ნელა თანდათანობით მატულობს და შესაბამისად ნელა უფასურდება მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნები.

წლიური ინფლაცია

	წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან), %	საშუალო წლიური ინფლაცია (12 თვის საშუალო), %
იანვარი-09	4.4	9.4
თებერვალი-09	2.1	8.7
მარტი-09	1.6	7.8
აპრილი–09	1.8	6.9
მაისი–09	2.2	6.1
ივნისი-09	2.3	5.4
ივლისი-09	0.1	4.6
აგვისტო–09	-3.1	3.3
სექტემბერი–09	0.4	2.5
ოქტომბერი-09	3.2	2.2
ნოემბერი-09	2.7	1.9
დეკემბერი-09	3.0	1.7
იანვარი-10	2.7	1.6
თებერვალი-10	5.6	1.9
მარტი-10	5.9	2.2
აპრილი–10	5.6	2.6
მაისი–10	4.0	2.7
ივნისი-10	3.7	2.8
ივლისი-10	7.0	3.4
აგვისტო–10	9.5	4.4
სექტემბერი–10	9.8	5.2
ოქტომბერი-10	9.6	5.8
ნოემბერი-10	10.5	6.4
დეკემბერი-10	11.2	7.1
იანვარი-11	12.3	7.9
თებერვალი-11	13.7	8.6
მარტი-11	13.9	9.3
აპრილი–11	13.5	10.0

2011 წლის აპრილში წლიურმა ინფლაციამ 13.5% შეადგინა. სურსათის გაძვირების წილი წლიურ ინფლაციაში 11.8%-ია. საბაზრო ინფლაციის მაჩვენებელს სურსათისა და ენერგომატარებლის გარეშე ბოლო თვეების განმავლობაში შემცირების ტენდენცია აქვს და აპრილში 2%-ზე ნაკლებია. კვლავ დაბალია მომსახურების სექტორის ინფლაცია და 1.3%-ს შეადგენს. ინფლაციის საბაზრო მაჩვენებლების და მომსახურების სექტორის დაბალი ინფლაცია მოთხოვნის მხრიდან ფასების ზეწოლის სისუსტეზე მიუთითებს. არაერთხელ დასახელდა ინფლაციის მიზეზები, კერძოდ, რიგ შემთხვევებში ნახსენები იყო ხორბლის ფასების ზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, რასაც ავტომატურ რეჟიმში მოჰყვა ფასების ზრდა სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტებზე. რიგ შემთხვევებში კი ინფლაცია ახსნილ იქნა, როგორც ნავთობზე ფასების ზრდის თანამდევი და გარდუვალი პროცესი, რადგანაც ჩვენ მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ვართ იმპორტზე, გარკვეულ პროდუქტებზე ფასების მომატება შესაბამისად ჩვენთანაც ზრდის ფასებს. ერთ-ერთ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ საგარეო ვალის ზრდა.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების წარმოადგენს სამომხმარებლო ფასების დონის წლიური ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში.

საქართველოს ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს. მომავალი სამი წლისთვის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი აღინიშნება ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონთან ერთად. 2011-2013 წლებისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6 პროცენტს. ეროვნული ბანკი მის ხელთ არსებული მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობს მიაღწიოს ქვეყანაში ინფლაციის სასურველ დონეს.

ლიტერატურა

1. ქისტაური შ., „ინფლაცია“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბ., 2000;
2. კაკულია რ, ხელაია გ., „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბ., 2000;
3. ტალახაძე ნ, გიგაური ლ, ნაცვალაძე მ., „ეკონომიკა“, თბ., 2007;
4. მოხევიშვილი თ, „ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში“ ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, # 8-9, თბ., 2009;
5. ბალიაშვილი ე, „ფულადი სახსრების მართვა ინფლაციის პირობებში“, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, # 8-9, თბ., 2009;
6. იობაშვილი თ, „ინფლაცია და საქართველო“, ყოველთვიური ჟურნალი „ააფ“- აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები, # 1 (133), 2011;
7. ჭიტაძე თ. „მაღალმა ინფლაციამ საბანკო სექტორზეც უარყოფითი გავლენა მოახდინა“, ყოველკვირეული გაზეთი „ ბანკები და ფინანსები“, # 10 (267), 2011.

ინტერნეტ რესურსები:

1. http://ka.wikipedia.org
2. http://www.bec.ge
3. http://geostat.ge
4. http://nbg.gov.ge
5. http://docs.google.com
6. http://www.geostat.ge

მომსახურების სრულყოფა და ინოვაციები კომერციულ ბანკებში

ქსენია ხაჩიძე

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **თეა ხორგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

როგორც ცნობილია, ნებისმიერი საქმიანობა იდეით იწყება. დღეისათვის წარმატებული და მომგებიანი ყველა ბიზნესიც სწორედ იდეით დაიწყო. ბიზნესმენები ამბობენ, რომ „საჭირო დროს საჭირო საქმიანობის წამოწყება ბიზნესის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია“. სირთულე მხოლოდ „საჭირო საქმიანობის“ დროულად მოფიქრება ანუ მომგებიანი ბიზნეს იდეაშია. იდეა შეიძლება იყოს ახალი (ინოვაციური), ან საიდანმე გადმოღებული, მაგრამ დროული და წარმატების მომტანი.

აღსანიშნავია, რომ საბანკო სისტემის ჩამოყალიბება სწორედ საუკუნეების წინ წარმოშობილმა იდეამ და საზოგადოების მოთხოვნილებამ განაპირობა. ამასთან, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომელიც მოითხოვდა ფულთან დაკავშირებული ოპერაციების უფრო ორგანიზებულად წარმართვას. ფული, საუკუნეების განმავლობაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანის ცხოვრებაში, მისი საშუალებით ხელმისაწვდომი ხდება საქონელი და მომსახურება. დროთა განმავლობაში წარმოიშვა და გაიზარდა ფულის დაზოგვისა და ფულის მიღების მსურველთა რიცხვი. ფულის დაგროვების კულტურა მრავალ

საუკუნეს ითვლის. შუა საუკუნეების ინგლისში ფულის შესანახ ჭურჭელს ტალახის იაფფასიანი მასალისაგან ამზადებდნენ, რომელსაც Piggy (გოჭი) ერქვა. აქედან წარმოიშვა სახელწოდება Piggy Bank, რომელიც ქართულ ენაზე „ყულაბას“ ნიშნავს. თუმცა, რა თქმა უნდა, ყულაბა ფულის დაგროვების საუკეთესო საშუალება ვერ იქნებოდა და წარმოიშვა უფრო უკეთესი მექანიზმის შექმნის საჭიროება.

საბანკო სისტემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა. საბანკო ურთიერთობების ჩასახვა-განვითარება დაიწყო XIV ს-ის იტალიაში ისეთ მნიშვნელოვან სავაჭრო, საპორტო ქალაქებში, როგორებიც იყო: ვენეცია, ფლორენცია, გენუა (პირველი ბანკი 1407 წელს სწორედ იტალიაში, გენუაში, აღმოცენდა „ბანკა დი სან ჯორჯიო“) და ა.შ. ამ დროს მაღალ დონეზეა განვითარებული მევახშეობა და იმდენად მძიმეა მათთან ურთიერთობის ტვირთი, რომ ვაჭრები იძულებულნი არიან შექმნან დამოუკიდებელი ასოციაციები, რომლებიც შედარებით შეღავათიანი რეჟიმით გასცემენ კრედიტებს. ასოციაციის წევრებად გამოდიოდნენ ვაჭრები, რომლებმაც მიატოვეს საქონლით ვაჭრობა და ფულით ვაჭრობა დაიწყეს. XIV ს-ში ასეთი კატეგორიის ვაჭარს ეწოდებოდა „ზარაფი“. მაგიდას, რომელზედაც ზარაფი ახორციელებდა თავის ოპერაციებს „banca”, ხოლო ზარაფს “bancheri” ეწოდებოდა, სწორედ აქედან წარმოიშვა „ბანკი“ და „ბანკირი“.

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ძირითადად ორიარუსიანი საბანკო სისტემები გამოიყენება. სისტემის პირველ იარუსზე განიხილება ემისიური (ცენტრალური) ბანკები, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის საემისიო და სავალუტო პოლიტიკას. ხოლო მეორე იარუსზეა კომერციული ბანკები.

დღეისათვის საბანკო სისტემის განვითარების მხრივ განსაკუთრებული მიღწევებით გამოირჩევა ქვეყნები აშშ, იტალია, ავსტრალია, ჰონკ-კონგი, შვეიცარია, ლუქსემბურგი, გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. ამავე ქვეყნებში ბანკებისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხი ყველაზე მაღალია.

საბაზრო პირობებში ბანკები საკვანძო რგოლს წარმოადგენენ, რომლებიც სახალხო მეურნეობას დამატებითი ფულადი რესურსებით ამარაგებენ. ისინი ფულადი რესურსების, მათი სიჭარბით არსებული სფეროებიდან დეფიციტურ სფეროებში გადანაწილებას ახორციელებენ. თანამედროვე ბანკები არა მარტო ვაჭრობენ ფულით, არამედ ერთდროულად ისინი ბაზრის ანალიტიკოსებსაც წარმოადგენენ. თავისი ადგილმდებარეობით ბანკები ყველაზე ახლოს იმყოფებიან ბიზნესთან, მის მოთხოვნებთან, ცვალებად კონიუნქტურასთან. აქედან გამომდინარე, ბაზარი აუცილებლად აყენებს ბანკს ეკონომიკური რეგულირების ფუძემდებლური საკვანძო ელემენტების რიცხვში.

დაკისრებული ფუნქციების მიხედვით განასხვავებენ ცენტრალურ, კომერციულ, ინოვაციურ, საინვესტიციო, იპოთეკურ და ა.შ. ბანკებს.

კომერციული ბანკის ნაირსახეობაა - ინოვაციური ბანკი. იგი სპეციალიზირებულია ინოვაციური პროექტების, ე.ი სხვადასხვა მეცნიერულ - ტექნიკური სიახლეების (დაწყებული საცდელი ნიმუშების დაპროექტებით, დამთავრებული მათი მასობრივად დანერგვით) დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე. ინოვაციური ბანკები იყენებენ, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან დაკრედიტებას. ისინი დაკავებული არიან აგრეთვე ობლიგაციების ხანგრძლივი ვადით გავრცელებით. სხვა ბანკებისაგან განსხვავებით, ინოვაციურ ბანკებს ახასიათებს საკრედიტო დაბანდების მაღალი რისკი.

საბანკო საქმეში, ისევე როგორც მრეწველობაში, თავისუფალი კონკურენცია აუცილებლად იწვევს კონცენტრაციას. რაც შეიძლება მეტი კლიენტი რომ მიიზიდოს, თითოეული კომერციული ბანკი ახალ - ახალი მომსახურებისა და საბანკო პროდუქტთა ფართო სპექტრის დანერგვას ცდილობს. ბაზარზე მათი რეალიზება წარმოადგენს ინოვაციას. „ინოვაცია“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და სიახლეს ნიშნავს. ფინანსურ სფეროში წარმოდგენილი ინოვაციები ფინანსური ინოვაციებია, რომელთა უდიდეს ნაწილს ბანკები ქმნიან ახალი საბანკო პროდუქტის სახით. იგი თეორიული განმარტების არ არის, მას აქვს მატერიალური სახე, წარმოადგენს ფინანსურ დოკუმენტს, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად. ასეთები შეიძლება იყოს აქციები, ობლიგაციები, და ა.შ. თითქმის ყველა ოპერაცია იყოფა პირად (ერთეულ) და მასიურ ინოვაციად.

საბანკო ინოვაცია მოიცავს:

1. ახალ საბანკო პროდუქტს, რომელიც საერთოდ პირველად გამოჩნდა საფინანსო ბაზარზე;
2. მოცემული ქვეყნისათვის ახალ საზღვარგარეთულ საბანკო პროდუქტს;
3. ახალ ფინანსურ ოპერაციებს.

დღეს მსოფლიოში აქტუალური და ნოვატორულია არაერთი პროდუქტი, რომელიც ფართოდაა გამოყენებული საბანკო საქმეში. ასეთი პროდუქტებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პლასტიკური ბარათები, რამდენადაც სწორედ პლასტიკური ბარათების გამოყენებაზეა დაფუძნებული ელექტრონული ანგარიშსწორების მექანიზმი. იგი მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს,

სავაჭრო ორგანიზაციების, მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონულ სისტემებს, ასევე კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

ამჟამად საკრედიტო ბარათების საფუძველზე, საბანკო მომსახურებას ახორციელებს ორასზე მეტი ქვეყანა, ხოლო საქონლისა და მომსახურების უნაღდო ანაზღაურება მრავალი ქვეყნის მთელი ფულადი ოპერაციების სტრუქტურაში აღწევს 90%-ს.

პლასტიკური ბარათების სისტემის რეგულირებისათვის ევროპაში შეიქმნა სპეციალური ორგანიზაცია ISO, რომელმაც შეიმუშავა პლასტიკური ბარათების სტანდარტები, მათზე მაგნიტური ხაზების განთავსების სისტემა, მეხსიერების ფორმატი და ა.შ.

აღნიშნული ორგანიზაციის წევრები არიან პლასტიკური ბარათების ისეთი მსხვილი ემიტენტები, როგორიცაა: Visa, Master Card, American Expres და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის სულ უფრო მეტი ადამიანი უარს ამბობს ნაღდ ფულზე და ამჯობინებს საბანკო პლასტიკურ ბარათებს, რომლებიც უნივერსალური გადახდის საშუალებას წარმოადგენენ. პლასტიკური ბარათი წარმოადგენს გასაღებს, რომლის მეშვეობითაც ადვილად სამართავი ხდება მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები.

ფუნქციონალური დატვირთვით გვაქვს შემდეგი სახის პლასტიკური ბარათები:

1. საკრედიტო ბარათები.

საკრედიტო ბარათები წარმოადგენენ ელექტრონულ ბარათებს, რომლებიც მათ მფლობელებს აძლევენ საშუალებას მოახდინონ შეძენილი საქონლის ან გაწეული მომსახურების გადახდის გადავადება. ბარათის მიღებამდე კლიენტი ბანკში ავსებს განაცხადის სპეციალურ ფორმას მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუ ეს მონაცემები დააკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს, მაშინ ბანკი აღნიშნულ პიროვნებაზე გასცემს პლასტიკურ ბარათს და დაურიცხავს მას წინასწარ სასესხო თანხას.

2. საგადამხდელო ბარათები.

აღნიშნული ტიპის ბარათები წარმოადგენენ საკრედიტო ბარათების ყველაზე მარტივ სახეობებს, რომლითაც ხდება შეძენილი პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ანაზღაურება. კლიენტის ანგარიშიდან უბრალოდ თანხის ჩამოჭრით, ანუ თუ კლიენტს ანგარიშზე თანხა არ აქვს, ის ვერანაირ ოპერაციას ვერ განახორციელებს, გარდა ერთი გამონაკლისისა, თუ მას გახსნილი აქვს ოვერდრაფტის მიმდინარე ანგარიში.

3. მიკროპროცესორული ბარათები (memory card).

ამ ტიპის ბარათების წარმოშობის იდეა გაჩნდა გასული საუკუნის (XX საუკუნის) 70-იან წლებში საფრანგეთში და მან საშუალება მოგვცა ელექტრონულ ბარათზე განთავსებულიყო გაცილებით მეტი ინფორმაცია და მისი მეშვეობით გვეწარმოებინა შედარებით მეტი ოპერაციები. მაგალითისათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიკროპროცესორულ ბარათებს შეუძლიათ დაიტიონ ინფორმაცია ბოლო ჩატარებული 200 ოპერაციის შესახებ.

4. ინტელექტუალური ბარათები (smart card).

ინტელექტუალური ბარათები წარმოადგენენ ისეთ ელექტრონულ ბარათებს, რომელთა მიკროსქემები შეიცავს ლოგიკის ელემენტებს. აღნიშნული ბარათები მცირე ზომის მიკროკალკულატორებია, რომელთა დახმარებითაც დიდი მოცულობის ოპერაციების ჩატარებაა შესაძლებელი.

5. სუპერინტელექტუალური ბარათები (supersmart card).

აღნიშნული ბარათები წარმოადგენენ ელექტრონულ ბარათებს, რომელთაც გააჩნიათ ეკრანი და კლავიატურა და ისინი შეგვიძლია გამოვიყენოთ პერსონალური კომპიუტერების დონეზე.

6. ლაზერული ბარათები.

ლაზერული ბარათები წარმოადგენენ ელექტრონულ ბარათებს, რომელშიც გამოყენებულია ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ლაზერული სკანირება და ამ ბარათებით შეგვიძლია არა მხოლოდ შეძენილი პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ანაზღაურება, არამედ მისი სენსორული ეკრანის საშუალებით შეგვიძლია მოვახდინოთ ჩვენი პირადი ჯანმრთელობის დიაგნოსტიკაც კი.

ხოლო, რაც შეეხება საქართველოს პლასტიკური ბარათებს მათ რაოდენობამ 2008 წლის 1 იანვრისათვის 2 მილიონს, ხოლო მათი საშუალებით განხორციელებული ოპერაციების რაოდენობამ 3 მილიარდს გადააჭარბა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს VISA ბარათები, მას მოსდევს EURO CARD/ MASTER CARD ბარათები, ხოლო მცირე რაოდენობა, დაახლოებით 12 % ლოკალური ბარათების წილად მოდის. არსებობს პლასტიკური ბარათების შემდეგი საპროცესინგო ცენტრები: „ჯორჯიან ქარდი“, „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“, UFC, „სახალხო ბანკი“, „ბანკი ქართუ“, „პროკრედიტბანკი“ და „ტაოპრივატბანკი“, სადაც მიმდინარეობს ეროვნულ ვალუტაში საერთაშორისო ბარათებით განხორციელებული ოპერაციების პერსონალიზაცია და პროცესინგი.

ეროვნულ ვალუტაში Visa პლასტიკური ბარათებით განხორციელებული ოპერაციების კლირინგის სისტემა (GNNSS) წარმოადგენს VisaNet-ის სერვისს Visa ბარათებით ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციების ანგარიშსწორებისათვის.

ერთ-ერთ საბანკო ინოვაციას წარმოადგენს აგრეთვე საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომერი IBAN. IBAN ანგარიშების გამოყენების შემთხვევაში მცირდება ანგარიშის ნომრის შეცდომით მითითების ალბათობა. რიგ შემთხვევაში ასევე მცირდება გადარიცხვის საკომისიო და სახსრების მიღების ანგარიშზე ასახვის ხანგრძლივობა.

IBAN ანგარიშგების ნორმები გამოიყენება 48 სახელმწიფოში, საქართველოს ჩათვლით.

გარდა პლასტიკური ბარათებისა და მათი საშუალებით წარმოებული საბანკო ოპერაციებისა, ასევე დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემისა და საერთაშორისო საბანკო ანგარიშის (IBAN) ნომრისა, მნიშვნელოვანია ასევე დისტანციური საბანკო მომსახურება, რომელიც კლიენტებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ საბანკო ოპერაციები ბანკში მიუსვლელად, ტელეკომუნიკაციების სხვადასხვა არხის გამოყენებით.

დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემების სამი ყველაზე გავრცელებული სახეობა:

ტრადიციული სისტემებია: ბანკი - კლიენტი, ტელებანკი და ინტერნეტბანკინგი.

ბანკი კლიენტი წარმოადგენს სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას, რომლის ინსტანციაც ხდება კლიენტის პერსონალურ კომპიუტერზე და სპეციალური პაროლის - გასაღების მეშვეობით აძლევს მას შესაძლებლობას საკუთარი კომპიუტერიდან შეასრულოს გარკვეული სახის საბანკო ოპერაციები, ასევე აკონტროლოს და მართოს თავისი ანგარიშები.

ინტერნეტ - ბანკინგისაგან ეს სისტემა განსხვავდება იმით, რომ ბანკი - კლიენტის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ კომპიუტერიდან, რომელშიც დაინსტალირებულია სპეციალური Soft. ინტერნეტ - ბანკის სერვისი კი კლიენტებს საშუალებას აძლევს ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან, მხოლოდ სპეციალური პაროლისა და კოდის მეშვეობით მართოს თავისი ანგარიშები და შეასრულოს როგორც პასიური, ასევე ხშირ შემთხვევაში აქტიური ოპერაციები. მათ შორის სხვადასხვა ანგარიშებზე თანხის გადარიცხვები, კომუნალური გადახდები და სხვა.

ბანკის კლიენტური სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს პერსონალური საბანკო მომსახურების სისტემა, რომელიც ფართოდაა გამოყენებული საზღვარგარეთის წამყვან ბანკებში. მოცემული სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია პერსონალური მენეჯერები, რომლებიც კლიენტების საკითხების გადაწყვეტით არიან დაკავებულნი. პერსონალური მენეჯერი გამორიცხავს ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფთან ურთიერთქმედებაში დამოუკიდებლად შესვლის შესაძლებლობას, საშუალებას აძლევს მას უფრო ახლოს იყოს კლიენტთან, გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებები. მსგავსი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილოთ ბიუროკრატიული შეფერხებები, რაც არცთუ იშვიათად გვხვდება ბანკში, ხოლო, მეორე მხრივ, სრულიად გამოვიყენოთ ბანკის მომსახურებათა მთელი სპექტრის უპირატესობები.

აღნიშნული სისტემის მსგავსი სისტემა უკვე დანერგილია საქართველოს სამ ბანკში. ესენი არიან: „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, და „პროკრედიტ ბანკი“.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ყველა საბანკო პროდუქტი ნელ - ნელა შემოიჭრა ქართულ საბანკო სივრცეში და წარმატებით მოერგო ქართულ კომერციულ ბანკებს. როგორც ვხედავთ ქართული საბანკო სისტემა საკმაოდ დინამიურად ვითარდება. ის მიყვება მსოფლიო საბანკო სექტორში დანერგილ სიახლეებს და ცდილობს მაქსიმალურად სწრაფად და სრულყოფილად გადმოიღოს, მოარგოს ქართულ რეალობას და შესთავაზოს მომხმარებელს.

მიუხედავად იმ დადებითი მხარეებისა, რომლებიც გააჩნია ამ პროდუქტებს საქართველოში, არსებობს რიგი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან სიახლეების განხორციელებას. მაგალითად:

- ახალი პროდუქტების ცუდ შეფუთვაში და მათ შესახებ მოსახლეობის არასაკმარის ინფორმირებულობაში;
- კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებისადმი მოსახლეობის ხელმიუწვდომლობასა და არასაკმარის ცოდნაში;
- ქართველთა მენტალურ თვისებებში და მათ არაჯეროვნად გათვალისწინებაში.

ლიტერატურა:

7. მ. გოგოხია,“საბანკო საქმე“, თბ., 2008;
8. „საბანკო საქმე“, პროფ. ო. ი. ლავრუშინის რედაქციით, ქართული თარგმნის რედაქტორი პროფ: რ. შ. კაკულია, თბ., 1996;
9. ლ. ქოქიაური, „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“, ტ. I. თბ., 2004;

10. ნ. ტალახაძე, ლ. გიგაური, „ეკონომიკა XI-XII კლასი“, თბ., 2007;
11. გ. ხელაია, „ფული, ბანკები და ბირჟები“, თბ., 1996;
12. რ. კაკულია, გ. ხელაია, „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბ., 2000.

ინტერნეტრესურსი:
4. http://ka.wikipedia.org/wiki/%E1 „საქართველოს ბანკი“;
5. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=362 „პლასტიკური ბარათების შესახებ“;
6. http://www.nbg.gov.ge/index.php?m=204 „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“;
7. http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache “IBAN საქართველოში”;
8. www.tbcbank.ge/ge/corporate/banking/ „ბანკი - კლიენტი“.

სადაზღვევო ბაზრის ფორმირების თავისებურებანი

ნატო ხუროშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გიული გიგუაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

დაზღვევის ისტორია იმდენად ძველია, რომ შეუძლებელია დადგინდეს მისი წარმოშობის ზუსტი თარიღი. საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე არსებობდა ურთიერთდახმარების ტრადიცია. სტიქიური უბედურებებისა თუ ავადმყოფობის დროს ადამიანები აერთიანებდნენ თავიანთ ძალებს, შესაძლებლობებს, სახსრებს, რათა დახმარებოდნენ დაზარალებულებს, ღარიბებს, ობლებს და ავადმყოფებს. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოქმედებდა გარკვეული წესები, რომლებიც არეგულირებდნენ სოციალური და სამედიცინო დახმარების გაწევას. მართალია პრიმიტიულ დონეზე, მაგრამ ხდებოდა ინდივიდუალური რისკის საზოგადოების სხვადასხვა ფენებზე გადანაწილება.

მოუსავლიანობისა და ომიანობის პირობებში მოსახლეობის გადასარჩენად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა საერთო მარაგის შექმნა. ამისათვის მშვიდობიან პერიოდში საზოგადოებისგან იკრიფებოდა გადასახადი და იქმნებოდა ფონდები. ამგვარად, საერთო ფონდის პრინციპი უძველესი დროიდან გამყარდა კაცობრიობის ცნობიერებაში.

დაზღვევის ცალკეული ელემენტები ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტესა და რომის იმპერიაში არსებობდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. IV ათასწლეული) შეიქმნა ქვისმთლელთა ურთიერთდახმარების ფონდები. ძველ რომში სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებში (ე.წ. კოლეგიები), ფართოდ იყო გავრცელებული ურთიერთდაზღვევა. წესის მიხედვით, კოლეგიაში გაწევრიანებისას, ახალ წევრს უნდა გადაეხადა ერთდროული, ხოლო შემდეგ ყოველთვიური გადასახადი.

სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, დაზღვევის პირველი წერილობითი ფორმა გვხვდება ბაბილონის **მეფის ჰამურაბის** კანონთა კრებულში ჩვ.წ. 2100 წელს. რადგან ტრანსპორტირების და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ქურდობა საგრძნობლად გაიზარდა, ამიტომ გაჩნდა დაზღვევის საჭიროებაც. ჰამურაბის კანონის თანახმად, ტვირთის გადაზიდვის დროს ვაჭრები იხდიდნენ კონკრეტულ სადაზღვევო გადასახადს და, შედეგად, გარანტირებული ჰქონდათ ტვირთის უსაფრთხო ტრანსპორტირება. ჰამურაბის კანონების შემდგომ პირველი ხელმოწერილი სადაზღვევო ხელშეკრულება გაფორმდა 1347 წელს გენუაში.

დაზღვევას ძველ ირანშიც იყენებდნენ. სადაზღვევო მომსახურების გამოყენება ირანელებმა 5000 წლის წინ დაიწყეს. იმ დროისათვის მათ შეეძლოთ მოეთხოვათ ზარალის ან დაზიანების ანაზღაურება. როგორც **ფერეიდონ ჯონეიდი** თავის წიგნში (World's right in ancient Iran) აღნიშნავს, ძველი ირანელები უზრუნველყოფილნი იყვნენ სიცოცხლის და ქონების დაზღვევით. გარკვეული კომპენსაცია გადაეცემოდათ ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებსაც.

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე დაზღვევის ძირითად ფორმას წარმოადგენდა საზღვაო დაზღვევა. კრედიტორი გემის მფლობელს საზღვაო მოგზაურობისათვის აძლევდა თანხას იმ პირობით, რომ, მშვიდობიანად დაბრუნების შემთხვევაში, აღნიშნული თანხა უკან უნდა დაბრუნებოდა შეთანხმებული პროცენტების გადახდით.

XIV საუკუნეში საზღვაო სესხის რთული ნოტარიული ფორმა შეცვლილ იქნა ფულადი პოლისით, რომელსაც დამზღვევი აძლევდა გემის მფლობელს დადებული ხელშეკრულების დასამტკიცებლად. პირველი პოლისი გაცემულ იქნა ბარსელონაში 1374 წელს. 1568 წელს მიღებულ იქნა საზღვაო დაზღვევის ვენეციის კოდექსი. 1584 წელს მარსელში გაიცა სადაზღვევო პოლისი, იგი უზრუნველყოფდა მარსელიდან ტრიპოლში მიმავალი სანაოსნო ტვირთის დაცვას.

დაზღვევა განსაკუთრებით განვითარდა ინგლისში, სადაც 1601 წელს, ინგლისის დედოფალ **ელიზაბედ I–ის** მიერ მიღებულ იქნა პირველი სახელმწიფო სამართლებრივი დოკუმენტი, პარლამენტის აქტი, რომელიც არეგულირებდა დაზღვევის მექანიზმებს. აქტის შესაბამისად შეიქმნა სპეციალური სასამართლოები, რომლებიც სადაზღვევო დაზღვევის სფეროში დავების გასაჩივრებას აწარმოებდა. **1681 წელს ნიკოლას ბარბონმა და მისმა 11 კოლეგამ შექმნეს პირველი სადაზღვევო კომპანია „The Insurance Office for Houses" ლონდონში. სადაზღვევო კომპანიის ჩამოყალიბება განაპირობა 1666 წელს ლონდონში მომხდარმა დიდმა ხანძარმა, რომლის დროსაც 13,000 სახლი დაიწვა.**

1732 წელს აშშ-ში სამხრეთ კაროლინაში მოხდა პირველი სადაზღვევო კომპანიის ფორმირება, რომელიც ხანძრისგან მიყენებულ ზარალს ანაზღაურებდა. **ბენჯამინ ფრანკლინი** კი ხელს უწყობდა დაზღვევის უვადო ფორმების პოპულარიზაციას.

საქართველოში 1997 წლამდე არ არსებობდა სადაზღვევო კანონმდებლობა, ბაზარი მუშაობდა საბჭოთა კავშირის დროინდელი საკანონმდებლო ბაზის ნარჩენების საფუძველზე (არავითარი საწესდებო კაპიტალი, ნორმატივები, რეზერვები, გადაზღვევა...)

1996 წელს შეიქმნა საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია. ამავე წელს სახელმწიფო კანცელარიაში ჩამოყალიბდა დაზღვევისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება. 1997 წელს სადაზღვევო ასოციაციის და სოციალურ საკითხთა განყოფილების ინიციატივით შეიქმნა კანონპროექტი „დაზღვევის შესახებ" და ამავე წელს მიიღო საქართველოს პარლამენტმა.

2011 წლის 21 მარტს საქართველოს სადაზღვევო ასოციაციას დაფუძნებიდან 15 წელი შეუსრულდა. ჩამოყალიბების პერიოდიდან, 1996 წლიდან დღემდე, განვლილ პერიოდში სადაზღვეო ასოციაცია ერთ–ერთ ყველაზე სოლიდურ პროფესიულ კავშირად ჩამოყალიბდა.

სადღეისოდ ასოციაცია აერთიანებს სადაზღვეო ბაზარზე მოქმედ 11 სადაზღვევო კომპანიას („ალდაგი–ბისიაი", „იმედი–L", „ჯი–პი–აი ჰოლდინგი", „აი–სი–ჯგუფი", „ირაო", „ვესტი", „პარტნიორი", „არქიმედეს გლობალ ჯორჯია", „ჩარტის ევროპა საქართველო", „სტანდარტ დაზღვევა", „ტაო").

2010 წლის სექტემბრიდან ასოციაციის ინიციატივით შექმნილია და ფუნქციონირებს „სადაზღვევო გზამკვლევის" სამსახური (T 555 155, ელ–ფოსტა gzamkvlevi@insurance.org.ge), რომელიც მომხმარებელს უწევს კონსულტაციას საქართველოში არსებული ყველა სახის დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, უზრუნველყოფს დაზღვევასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის მუდმივ გამოკითხვასა და არაფორმალურ განათლებას, ასევე აწარმოებს ინდივიდუალურად და კორპორატიულად დაზღვეულთა ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული დავების მოგვარებას - მედიაციას.

სადაზღვევო კომპანიებში ახალი პროდუქტის შექმნა და დამუშავება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიები ხშირად მიმართავენ დანერგილი, აპრობირებული პროდუქტის მოდერნიზებას.

სადაზღვევო ბაზარზე სისტემატურად შედის სხვადასხვა სახის დასახელების სადაზღვევო პროდუქტი, სადაც მათი ყოფნის ხანგრძლივობა მკვეთრად განსხვავებულია ერთმანეთისგან. მზღვეველისათვის მნიშვნელოვანია გაზარდოს სადაზღვევო საქონლის ბაზარზე ყოფნის ხანგრძლივობა, ანუ ე.წ. **„სასიცოცხლო ციკლი". –** სადაზღვევო ციკლის ფენომენი ურთულესი პრობლემა დაზღვევის თეორიაში.

მიღებულია ერთი სადაზღვევო კომპანიის პორტფელში სხვადასხვა ქვეყნის რისკების გაერთიანება, რომლებიც ციკლის სხვადასხვა სტადიაში იმყოფებიან. ფინანსური ბიზნესის განვითარება, ქვეყანაში საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაცია, განაპირობებს სადაზღვევო მომსახურების სპექტრის გაფართოების აუცილებლობას. გაზრდილია დაინტერესება დაზღვევის ისეთი პროდუქტებით, როგორიცაა: **ქონების დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.** მათი ხვედრითი წილი მთელ სადაზღვევო ბაზარზე **85–90%**–ს შეადგენს.

სადაზღვევო ბაზრის წილი დაზღვევის სახეობების მიხედვით ასე გადანაწილდება:

ჯანმრთელობის დაზღვევა	**73,18%**
ქონების დაზღვევა	**9,08%**
მანქანის დაზღვევა	**6,39%**
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	**3,73%**
სიცოცხლის დაზღვევა	**1,97%**
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	**3,82%**
დანარჩენი	**3,82%**

სადაზღვევო პროდუქტის საიმედოობის მაღალ დონეს განაპირობებს ეფექტურად განხორციელებული გადაზღვევის პოლიტიკა, რაც საშუალებას იძლევა ოპერატიულად დაიფაროს ზარალი.

წელი	გადაზღვევით მოზიდული პრემია	ანაზღაურებული ზარალი
2009	**7 531 579**	**2 065 520**
2010 (6 თვის მონაცემები)	**2 495 707**	**565 395**

კონტროლის პალატის აუდიტის მონაცემებიც, 284 მილიონი ლარიდან სადაზღვევო კომპანიებმა მოსახლეობის მომსახურებაზე დახარჯეს მხოლოდ 405, რომელიც მოხმარდა მხოლოდ მეხუთედს. ამავე მონაცემებით, კომპანიების მოგების მარჟამ გადააჭარბა 60%–ს , მაშინ როდესაც კერძო დაზღვევაში მოგების მარჟა 4%–ია, რაც შეესაბამება სადაზღვევო ბიზნესის მომგებიანობის საერთაშორისო პრაქტიკას.

კონტროლის პალატის შუალედურ დასკვნებს არ ეთანხმებიან სადაზღვეო კომპანიები და იმედოვნებენ, საბოლოო დასკვნა რეალურ მონაცემებთან იქნება შესაბამისობაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ანდრია ურუშაძემ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ,,დაზღვეულთა მომსახურებაში არსებობს ხარვეზები, არაკეთილსინდისიერების ფაქტები, რაც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს.“

სწორედ ამ მიზნით 1 წლის წინ ჩამოყალიბებულ მედიცინის სამსახურს მიეცა დავალება, აქტიურად ჩაერთოს როგორც მოქალაქეებსა და კომპანიებს შორის, ასევე, კლინიკებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის წარმოშობილი დავების მოსაგვარებლად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხშირად პირები ვისაც დაზღვეული აქვთ ქონება შეგნებულად აზარალებენ თავის ქონებას უკეთესის მოლოდინში, ასეთი ფაქტები დაფიქსირდა თითქმის ყველა ქვეყანაში.

ზარალის წმინდა კოეფიციენტი (loss ratio) გამოითვლება :

$$L = (S + V11 + V21 - V10 - V20) / P$$

სადაც, გადახდილი ზარალი (**S**), მიმდინარე პერიოდის შესაბამის, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელ (**V11**) და მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ (**V21**) ზარალების რეზერვებთან ერთად, წინა პერიოდის შესაბამისი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი (**V10**) და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი (**V20**) ზარალების რეზერვების გამოკლებით, შეფარდებული მიმდინარე პერიოდის შესაბამის გამომუშავებულ პრემიასთან (**P**)

ზარალიანობის კომბინირებული კოეფიციენტი (combined loss ratio)

$$L = (S + V11 + V21 + A1 + A2 - V10 - V20) / P$$

სადაც, გადახდილი ზარალი (**S**), მიმდინარე პერიოდის შესაბამის, განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელ (**V11**), მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ (**V21**) ზარალების რეზერვებთან ერთად, ადმინისტრაციული (**A1**)და აკვიზიციური ხარჯის (**A2**)დამატებითა და წინა პერიოდის შესაბამისი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი (**V10**) და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი (**V20**) ზარალების რეზერვების გამოკლებით, შეფარდებული მიმდინარე პერიოდის შესაბამის გამომუშავებულ პრემიასთან (**P**).

სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის პრობლემა აქტუალური და საერთაშორისო ხასიათისაა. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ყალიბდება სადაზღვევო ურთიერთობები და სადაზღვევო საქმიანობის ფინანსური რეგულირების საკანონმდებლო ბაზა, გადახდისუნარიანობა გულისხმობს სადაზღვევო კომპანიის შესაძლებლობებს შეასრულოს ყველა თავისი ვალდებულება სადაზღვევო გადახდების მიხედვით დამზღვევების მიმართ პრაქტიკული თვალსაზრისით, გადახდისუნარიანობის ცნება დაკავშირებულია კომპანიის გადახდისუნარიანად აღიარებასთან.

მზღვეველი ითვლება გადახდისუნარიანად, როცა მისი აქტივები არაადეკვატური ან მიუწვდომელია განუსაზღვრელი პერიოდით, რათა განხორციელდეს გადახდები მომხდარი სადაზღვეო შემთხვევის მიხედვით.

საქართველოში ლიცენზირებული მზღვეველების რაოდენობა 16–ია. საქართველოში დაზღვევა XX საუკუნის ბოლოდან ვითარდება, ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოში დაზღვევა განვითარების მაღალ საფეხურზე არ არის, დღეს საქართველოში დაზღვევა ნელ–ნელა და ეტაპობრივად ვითარდება და დროდადრო დაზღვევის ახალ–ახალი თავისებურებანი იჩენს თავს.

ლიტერატურა:

1. ბიზნესი და კანონმდებლობა, ,,სადაზღვევო მომსახურება – ახალი პროდუქტის შექმნა", იანვარი, 2011, გვ.46;
2. საქართველოს კანონი ,,დაზღვევის შესახებ" (02.05.97);
3. http://www.facebook.com/?ref=home#!/pages/International-Company-IRAO/156991110983377
4.proxy-service.de/2.php/0i8vZ2lp/LmdiL3Nh/Z6F232Vby5odG1s/b1/
5.psidiscourse.ge/geo/glossary.php
6.etibeglarashvili.blogspot.com/2011/04/blog-post-2643.html

სოციალური მეცნიერებანი და სამართალი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

ნატო ბარბაქაძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი ითვალისწინებს იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, ვინც ნებაყოფლობით აიღებს ხელს დანაშაულის ჩადენაზე. მოცემული ნორმა წამახალისებელი ნორმაა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა განხორციელდეს მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. ამიტომ ცდებიან ის ავტორები, რომლებსაც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი დანაშაულის სახედ მიაჩნიათ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობა სისხლის სამართლის პოლიტიკით არის განპირობებული და მისი დაუსჯელობა იმით აიხსნება, რომ მართლწინააღმდეგობის ელემენტი (ნიშანი), რომელიც ახასიათებს დანაშაულს, ისპობა თვით იმ პირის მიერ, ვინც მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა. ასეთი ნორმის დადგენით კანონმდებელი ცდილობს შეუქმნას უკან დაბრუნების სტიმული იმ პირს, რომელიც დაადგა დანაშაულის გზას.

,,... დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტის დროს დანაშაული ჩადენილია, – წერს ო. გამყრელიძე, – ამიტომ, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ამ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პოლიტიკის საფუძველზე ხდება; ამით კანონმდებელი დამნაშავეს უკან დახევის საშუალებას აძლევს. გამოჩენილი გერმანელი იურისტის ა. ფოიერბახის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ,,კანონმდებელი დამნაშავეს „ოქროს ხიდს" უშენებს უკან დასაბრუნებლად იმ შემთხვევისათვის, თუ ის დანაშაულის გაგრძელებაზე უარს იტყვის („ოქროს ხიდის" თეორია)".

კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

როგორც კანონის განმარტებიდან ჩანს, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს სამ პირობას:

ა) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი, ე.ი. დანაშაული არ უნდა იყოს დამთავრებული;
ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა მივიდეს თვით იმ პირის ნებით, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა;
გ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება საბოლოო ხასიათისა უნდა იყოს.

სწორედ ჩვენს მიერ დასახელებული ბოლო ორი მომენტი („ბ“, „გ“) განასხვავებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისაგან დასჯად მომზადებას და მცდელობას.

„დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მაშინ, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ მას შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს დანაშაულებრივი განზრახვა, მაგრამ გადაწყვეტს ხელი აიღოს მასზე.“

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, და არა მაშინ, როდესაც მან დროებით შეწყვიტა მოქმედება, რათა უფრო მოხერხებულ დროს და უფრო მოხერხებულ პირობებში განეგრძო იგი.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღები გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელზეც მან ხელი აიღო, მაგრამ თუ მის მიერ შესრულებული მოქმედება თავისთავად შეიცავს რაიმე სხვა დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს, იგი პასუხს აგებს ამ დამთავრებული დანაშაულისათვის. ამაზე მიუთითებს კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

მაგალითად, დავუშვათ, დოლიძემ კოტორაშვილის მოსაკლავად დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ შემდეგში მისი მკვლელობა გადაიფიქრა. ასეთ შემთხვევაში, მართალია, დოლიძემ ნებაყოფლობით აიღო ხელი მკვლელობაზე, მაგრამ მან პასუხი უნდა აგოს ცეცხლსასროლო იარაღის დამზადებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების პირობებია:
ა) დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი;
ბ) დანაშაულზე ხელის აღება უნდა მოხდეს თვით დამნაშავის ნებით;
გ) დანაშაულზე ხელის აღება უნდა მოხდეს საბოლოოდ;
დ) პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ბოლომდე მიიყვანს დანაშაულს და აქვს ამის შესაძლებლობა;
ე) პირის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება არ უნდა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება ან მომზადების, ან მცდელობის სტადიაზე.

დანაშაულის მომზადების დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიხატება იმაში, რომ სუბიექტი არ განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მისი ბოლომდე მიყვანა.

მაგალითად, სუბიექტი ჩაუსაფრდა მსხვერპლს მკვლელობის მიზნით, მაგრამ მსხვერპლს გამოჩენისთანავე იარაღი არ დაუმიზნა და უარი თქვა დანაშაულის გაგრძელებაზე.

ასევე დაუმთავრებელი მცდელობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა მოხდეს უმოქმედობით, ე.ი. სუბიექტმა აღარ უნდა განაგრძოს შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, თუმცა მას შესაძლებლად უნდა მიაჩნდეს, რომ დანაშაულს ბოლომდე მიიყვანს.

მაგალითად, სუბიექტმა ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნა მსხვერპლს მკვლელობის მიზნით, მაგრამ აღარ გაისროლა.

ახლა ვნახოთ როგორ წყდება საკითხი დამთავრებული მცდელობისას. „დამთავრებული მცდელობის დროს, – წერდა თ. წერეთელი, – დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური ფორმით.“

ჩვენ ვერ დავეთანხმებით თ. წერეთლის ამ მოსაზრებას. დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით.

დამთავრებული მცდელობისას პირმა უნდა უვნებელყოს ის ძალები, რომლებიც მან აამოქმედა მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის მიზნით, და ამით თავიდან აიცდინოს დანაშაულებრივი შედეგი.

მაგალითად, სუბიექტმა ცეცხლსასროლი იარაღი ესროლა მსხვერპლს და ააცილა, მაგრამ აქვს შესაძლებლობა გამეორებით ესროლოს და შედეგს მიაღწიოს, თუმცა ამას იგი არ აკეთებს. ამ შემთხვევაში დამთავრებული მცდელობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ხდება უმოქმედობით.

თუ სუბიექტი მსხვერპლს, რომელმაც ცურვა არ იცის, გადააგდებს წყალში, იმ მიზნით, რომ დაიხრჩოს, მაგრამ შემდეგ თვითონ გადახტება და გადაარჩენს მას, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს დამთავრებული მცდელობისას მოქმედებით ნებაყოფლობით ხელის აღებას დანაშაულზე.

თანამონაწილეობისას სხვაგვარად წყდება საკითხი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას.

დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელს და დამხმარეს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მათ:

ა) გადაარწმუნეს ამსრულებელი;

ბ) დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს;

გ) სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს; ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა.

დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გაცემული იარაღი ან საშუალება.

თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სსკ, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს;
2. პ. დაუთაშვილი, ა. კვაშილავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003, გვ. 88;
3. ო. გამყრელიძე, საქართველოს სსკ სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 171;
4. საქართველოს სსკ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ.126;
5. საქართველოს სსკ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 128;

კონფლიქტი

ნათია ბერუაშვილი, თამარ გოგოსაშვილი, თამარ მიღრიჯანაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტები

ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ადამი და ევა სამოთხიდან გამოაძევეს, კონფლიქტი ადამიანთა მოდგმის მუდმივი თანამდევი გახდა. იბადება და ქრება ცივილიზაციები, იცვლება წყობილება, მაგრამ არ ნელდება დაპირისპირება. ადამიანები ყოველდღიურად დგებიან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე და ხშირად წარმატებითაც უმკლავდებიან მათ. მაგრამ ხშირად კონფლიქტს მეტად უარყოფითი, ზოგჯერ კატასტროფული შედეგები მოაქვს.

ბოლო რამოდენიმე ათწლეულია, რაც ვითარდება მეცნიერება კონფლიქტების შესახებ, რომელიც სწავლობს კონფლიქტების განვითარების ზოგად კანონზომიერებებსა და მათი დაძლევის გზებს.

კონფლიქტი ყოველი ჩვენგანის თანამდევია, რადგან ყველაზე უკონფლიქტო ადამიანიც კი შესაძლოა, აღმოჩნდეს კონფლიქტური სიტუაციის მსხვერპლი, თუმცა კონფლიქტი ყოველთვის არ ნიშნავს ნეგატიურს და შესაძლოა, მას დადებითი შედეგიც ჰქონდეს. არსებობენ თუ არა კონფლიქტური ადამიანები, რაში ეხმარება ადამიანს კონფლიქტი და როდის უნდა ჩაერიოს კონფლიქტში მესამე პირი.

კონფლიქტის ბევრი განმარტება არსებობს. საერთოდ, მეცნიერება კონფლიქტის შესახებ ძალიან ახალგაზრდა მეცნიერებაა, რადგან ის ძალიან აქტუალურია დღეს. კონფლიქტი არის ინტერესთა და პოზიციათა დაპირისპირება, რომელიც მიმდინარეობს ცნობიერად ან არაცნობიერად ურთიერთობების სხვადასხვა დონეზე. ახასიათებს დამახინჯებული კომუნიკაცია და აქვს პოზიტიური მხარეც. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად კონფლიქტში ჩადებულია ინტერესთა, პოზიციათა სხვაობა და ამ კონფლიქტში ჩართული ორი ან რამდენიმე მხარე, ფაქტობრივად, ცდილობს, თავისი პოზიციების გამყარებას, ან თავისი პოზიციების მართებულობის დამტკიცებას მეორე მხარის მიმართ. შესაძლოა, კონფლიქტის მიმდინარეობას მხარეებისთვის ჰქონდეს ფარული, გაუცნობიერებელი ფორმა ან შესაბამისად, შესაძლოა, კონფლიქტი მიმდინარეობდეს სავსებით გაცნობიერებულად, ხდებოდეს მისი განვითარება და ძალმომრეობამდე მისვლაც კი.

მოგეხსენებათ, ადამიანების განსხვავებული ტიპები არსებობს. ზოგიერთ ადამიანს ახასიათებს ემოციების მკვეთრი გამოხატულება და პირიქით, ანუ არიან ფეთქებადი ხასიათის ადამიანები და ნაკლებად ფეთქებადი. ზოგადად, ადამიანის ბუნება, პიროვნული თავისებურებები, მისი ინტელექტის კოეფიციენტი, გარემო, რომელშიც აღიზარდა და ურთიერთობა აქვს, გარკვეულწილად განაპირობებს ისევე, როგორც სხვა საკითხებისადმი, კონფლიქტისადმი დამოკიდებულებას – კონფლიქტში შესვლის ინტენსივობას და ხარისხს. არსებობს ადამიანთა ტიპი, ვისთვისაც მისი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, კონფლიქტური სიტუაცია არის ძალიან ჩვეულებრივი და ბუნებრივი.

არიან ადამიანები, რომლებიც კონფლიქტის შემდეგ ძალიან ცუდად გრძნობენ თავს, ზოგიერთები კი, პირიქით, კონფლიქტის შემდეგ ენერგიულები ხდებიან.

უნდა ითქვას, რომ გარკვეული დაავადებები – ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური – შესაძლოა ხასიათდებოდეს გაღიზიანებადობის ამაღლებით, ნერვული დაძაბულობით, რაც კონფლიქტური სიტუაციების ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორია. ზოგადად კი, კონფლიქტური სიტუაცია ყველა ადამიანის ცხოვრების თანმხლებია, მაგრამ გააჩნია, რა ტიპის კონფლიქტია, როგორ ეკიდება ამას როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე და როგორ გამოსავალს ნახულობენ ისინი. საერთოდ, კონფლიქტები შეიძლება, ურთიერთობების სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობდეს: პიროვნულ, ჯგუფურ, სოციალურ, საერთაშორისო და გლობალურ დონეებზე. ანუ შეიძლება, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ოჯახის წევრები, სხვადასხვა ჯგუფები, პოლიტიკური გაერთიანებები და სხვა. ანუ კონფლიქტი არ არის ერთი კონკრეტული სახისა და ტიპის. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის მართვის შესწავლა გულისხმობს კონფლიქტზე მუშაობას, როგორც პიროვნებათა შორის, ისე საზოგადოებრივ, სახელმწიფო და მსოფლიო დონეზე.

სანამ კონფლიქტის პოზიტიურ შედეგებზე ვისაუბრებდეთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ კომუნიკაციის როლს, რადგან, როგორც წესი, კონფლიქტი მიმდინარეობს დამახინჯებული კომუნიკაციის ფონზე. რაც შეეხება პოზიტიურ მხარეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კონფლიქტი, როგორც წესი, მეტ გარკვეულობას სძენს სიტუაციას. ის მნიშვნელოვანია თვითგამორკვევისთვის, ანუ საკუთარი პოზიციის, შეხედულების ფორმირებისთვის. კომუნიკაცია ის მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომლის სწორად ცოდნის შემთხვევაში, შესაძლოა, სიტუაცია კონფლიქტამდე არც მივიდეს. ხოლო გარკვეული მექანიზმების სწორად ცოდნის დროს, შესაძლოა, ადამიანმა არ მოახდინოს კონფლიქტის ესკალაცია, განვითარება. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, კონფლიქტი ხშირად ეხმარება ადამიანს, რომ საკუთარი ინტერესები, მოთხოვნილებები, პოზიციები გააცნობიეროს.

ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი კონფლიქტის სახე, როგორიც არის ინფორმაციასთან დაკავშირებული კონფლიქტი, ანუ როდესაც დამახინჯებული ინფორმაციის, მაგალითად, ჭორის საფუძველზე ადამიანებს შორის წარმოიქმნება კონფლიქტური სიტუაცია. ამ შემთხვევაში, თუკი მესამე ადამიანი ფლობს რეალურად არსებულ ინფორმაციას, რომლის დამახინჯებამაც წარმოშვა კონფლიქტი და სიტუაცია არ არის მეტისმეტად გამწვავებული, მაშინ ამ მესამე ადამიანს შეუძლია, ეს კონფლიქტი ჩააცხროს. ასეთ დროს მესამე ადამიანის ჩარევა დადებითი შედეგის მომტანია, მაგრამ არის კონფლიქტები, სადაც მესამე პირი პირიქით, უფრო გაამწვავებს სიტუაციას.

ოჯახურ კონფლიქტს რაც შეეხება, აუცილებელია, ყველა ადამიანმა გააცნობიეროს, რა არის კონფლიქტი და როგორია მისი ბუნება, რათა თვით ყველაზე მწვავე სიტუაციაშიც კი შეეცადოს საკუთარ ქცევას გაუკეთოს ანალიზი. ასევე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ კონფლიქტს აქვს პოზიტიური მხარეც და ეს არ ნიშნავს დასასრულს, კონფლიქტის შემდეგ ურთიერთობის გაგრძელება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ სავარაუდოდ, ოჯახის წევრებს ხანდახან უკეთესი ურთიერთობაც აქვთ

ერთმანეთთან. ხშირად კონფლიქტს აღრმავებს ერთი მომენტი: ბევრს აქვს იმის შიში, რომ არ მოხდეს კონფლიქტი, ან შიში, როგორ შეიძლება ურთიერთობა ჰქონდეს გარკვეულ საკითხზე განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანთან, თუნდაც ეს იყოს მისი ოჯახის წევრი. ამ შიშის გამო ადამიანი აგებს გარკვეულ კომბინაციებს, თუ როგორი საშინელი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს მეორე ადამიანს. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ჩვეულებრივი საკითხი იქცევა ხოლმე პრობლემად. მაგალითად, ოჯახში ერთ მეუღლეს ხშირად უჭირს გარკვეული ინფორმაციის გაცვლა თავის მეუღლესთან იმის გამო, რომ მას წინასწარ აქვს განწყობა, რადგან ის არის განსხვავებული შეხედულებების მქონე გარკვეულ საკითხში, ამიტომ აუცილებლად იქონიებს უმძაფრეს რეაქციას. ამის შედეგად, რეალურად სიტუაცია ძალიან იძაბება. მაშინ, როდესაც ჯანსაღი კომუნიკაციის საფუძველზე, შეხედულებათა გაზიარების შედეგად, სათანადო კომუნიკაციის ფორმის და დროის შერჩევის შემდეგ, შესაძლოა, კონფლიქტი სულაც არ წარმოიშვას. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს საკუთარი სურვილების, შეხედულებების, ღირებულებების გამომჟღავნების არააგრესიული ფორმით. რადგან გაქცევა ვერ აგვარიდებს კონფლიქტურ სიტუაციას.

თუ, როდის არიან ბავშვები კონფლიქტურები ამის არაერთი მიზეზი არსებობს: ერთი ის არის, რომ შესაძლოა, ის უყურებს კონფლიქტს ოჯახში; მეორე – შეიძლება მის მიმართ ნაკლებად ჯანსაღი დამოკიდებულება აქვთ; მესამე – შეიძლება მას აქვს გარკვეული ფსიქიკური ან ფიზიოლოგიური ტიპის დარღვევა და აქედან გამომდინარე, უწინარესად, მშობელმა უნდა გაარკვიოს მიზეზი, რატომ არის ბავშვი კონფლიქტური, რადგან ბავშვის პრობლემა აუცილებლად უფროსების პრობლემასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, როდესაც ბავშვი არის კონფლიქტური, უნდა გაირკვეს, როგორ პირობებში იზრდება ის და ასევე, როგორია მისი ზოგადი სამედიცინო სურათი.

ზემოთ აღნიშნული კონფლიქტის სახეობებს ჩვენ დავამატებდით სახელმწიფოებს შორის კონფლიქტს, რომელსაც ჩვენი სამშობლოსთვის არაერთი ზიანი მიუყენებია. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სულ ახლახანს მომხდარი 2008 წლის აგვისტოს ომი.

სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, იმის გამო, რომ, ჩვენს თემაში კონფლიქტს ზოგადად განვიხილავთ საკითხს მეტად არ ჩავუღრმავდებით.

ყველა კონფლიქტი უნიკალურია, მაგრამ ამავე დროს ყოველ მათგანს აქვს რაღაც საერთო. მაგალითად, მეტ-ნაკლებად ერთნაირია განვითარების ის გზა, რომელსაც გადის კონფლიქტის აღმოცენებიდან უკიდურეს გამძაფრებამდე.

როგორც წესი, კონფლიქტს თან ახლავს გარკვეული უარყოფითი ემოციები. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, უნდა გამოვხატოთ ამგვარი ემოცია, თუ თავი შევიკავოთ?

სპეციალისტებს აზრით, ემოციის მუდმივ შეკავებას ერთის მხრივ, შესაძლოა, მოჰყვეს მისი გამოხატვა შეუფერებელ სიტუაციაში, ხოლო, მეორეს მხრივ, ამან შეიძლება ადამიანში დაავადებაც კი გამოიწვიოს. ამიტომ, კონფლიქტოლოგები გვირჩევენ, რომ გამოვხატოთ ჩვენში აღძრული ემოცია (გაბრაზება, აღშფოთება, წყენა და სხვ.)

არსებობს კონფლიქტის დეესკალაციის ძირითადი პრინციპები. მათი გამოყენება არც თუ ისე ადვილია, მაგრამ, თუ ჩვენ გვსურს კონფლიქტის მართვა, სასურველია მათი ცოდნა და პრაქტიკაში დანერგვა.

ძირითადი პრინციპები:

- აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე, გრძნობებსა და აზრებზე - აღიარეთ თქვენი წვლილი კონფლიქტის გაღვივებაში;
- შეეცადეთ, რომ ოპონენტის ქცევამ არ განსაზღვროს თქვენი ქცევა, ნუ გახდებით მანიპულაციის საგანი; მოიქეცით საკუთარი ეთიკური ნორმებისა და შეხედულებების შესაბამისად;
- გაითვალისწინეთ მეორე მხარის ინტერესები.

კიდევ რამდენიმე რჩევა, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის დეესკალაციას:

- გამოხატეთ თქვენი გრძნობები საყვედურის გარეშე;
- ნუ განავრცობთ საკამათო საკითხს, ისაუბრეთ კონკრეტულ პრობლემაზე;
- ნუ მოიშველიებთ სხვა ადამიანებს და ავტორიტეტებს;
- ნუ მიაწებებთ სხვა ადამიანს ,,იარლიყებს";
- ნუ ჩაუდგებით გადაწყვეტილებას ,,ცხელ გულზე".

უფრო ეფექტური და ქმედითი იქნება, როდესაც ამ რჩევებს კონფლიქტში ჩარეული ყველა მხარე იცავს, მაგრამ ცალმხრივი გამოყენებაც არ იქნება უშედეგო.

ლიტერატურა :

1. ფერიდე ზურიკაშვილი; გუგული მაღრაძე; ნანი ჭანიშვილი; გიორგი ხუციშვილი; რევაზ ჯორბენაძე, კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის, პროექტი ,,ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში", თბ., 2003;

2. ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
3. თამარ კიკნაძე; ნათელა დონაძე, გენდერი – სოციალური და პოლიტიკური საწავლებანი, თბ., 2006;
4. http://www.med.ge/?a=content&id=1697

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ

ანა ბიჭიკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა ინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გამოძიების ან განხილვის დროს საეჭვოა შერაცხადია თუ არა ბრალდებული.

პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ხშირად ფსიქიატრიული ექსპერტიზა ინიშნება მარტო იმ მოტივით, რომ დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, თუმცა ეს საკმარისი არ არის ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებისათვის. ექსპერტიზის დანიშვნის მომენტისათვის სასამართლოს განკარგულებაში უნდა იყოს ისეთი მომენტები, რომლებიც საეჭვოდ ხდიან პირის შერაცხადობის საკითხს. ასეთებია: ბრალდებულის გაუმართლებელი ქცევა დანაშაულის ჩადენის დროს, ან მის შემდეგ, ჩვენებები ბრალდებულის ფსიქიკური დაავადების შესახებ, შესაბამისი სამედიცინო საბუთების არსებობა, მოწმეთა ჩვენებები და სხვა.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა უნდა დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოძიების მასალებში რეალური საფუძველია ვივარაუდოთ, რომ ბრალდებული შეურაცხადია.

პრაქტიკაში ადგილი აქვს მეორე უკიდურესობასაც. სასამართლო არ ნიშნავს ფსიქიატრიულ ექსპერტიზას, თუმცა არის რეალური ეჭვი ბრალდებულის შეურაცხადობის შესახებ.

მოვიყვანოთ მაგალითი, საკასაციო სასამართლომ გააუქმა განაჩენი აბულაძის საქმეზე იმის გამო, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს დამცველმა დააყენა საკითხი ბრალდებულთა ფსიქიკური დაავადების შესახებ, თან მიუთითა შესაბამისი სამედიცინო საბუთების არსებობის შესახებ. სასამართლომ უარყო დამცველის დასაბუთებული შუამდგომლობა და ცნო, რომ განსასჯელი არის შერაცხადი პირი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა კი სცილდება სასამართლოს უფლებამოსილებასა და კომპეტენციის ფარგლებს.

სასამართლოს არ შეუძლია გადაწყვიტოს საკითხი ბრალდებულის შერაცხადობის შესახებ, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ სპეციალური ცოდნა სასამართლო ფსიქიატრიაში. როდესაც არსებობს რეალური ეჭვი ბრალდებულის შეურაცხადობის შესახებ, აუცილებელია დაინიშნოს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს გარკვეული მნიშვნელობა აქვს საექსპერტო პირის გამოკვლევის საკითხის სწორად განსაზღვრას. ლიტერატურაში და პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, რომ გამომძიებელმა (სასამართლომ) უნდა განსაზღვროს პირის გამოკვლევის ხასიათი, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა შედის ექსპერტის უფლებამოსილების ფარგლებში.

პ. ელკინდი აღნიშნავს, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის გამოკვლევის ხასიათი უნდა განსაზღვროს გამომძიებელმა და სასამართლომ, მ. კალაშნიკს კი მიაჩნია, რომ სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს მიზანშეწონილია გამომძიებელმა და სასამართლომ არ განსაზღვრონ საექსპერტო პირის გამოკვლევის ხასიათი და ამ საკითხის გადაწყვეტა მიანდონ თვით ექსპერტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ რეკომენდაციას აღარ იძლევა სასამართლო ფსიქიატრიის სახელმძღვანელო.

ბრალდებულის გამოკვლევის ხასიათის განსაზღვრა შედის ექსპერტიზის კომპეტენციაში. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა. რთულ და საეჭვო ვითარებაში უნდა დაინიშნოს სტაციონალური ექსპერტიზა, სხვა შემთხვევაში – ამბულატორიული ექსპერტიზა. ამ საკითხს გადაწყვეტის დროს გამომძიებელს ან სასამართლოს უფლება აქვს მიიღოს ფსიქიატრ-სპეციალისტისაგან შესაბამისი კონსულტაცია.

გამომძიებლის და სასამართლოს გადაწყვეტილება საექსპერტო პირის გამოკვლევის ხასიათის შესახებ სავალდებულოა ექსპერტ–ფსიქიატრისათვის. ეს უკანასკნელი უფლებამოსილი არ არის

დანიშნული სტაციონალური ექსპერტიზის ნაცვლად ჩაატაროს ამბულატორიული ექსპერტიზა და პირიქით.

ამრიგად, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამოკვლევის ხასიათის განსაზღვრა შედის გამომძიებლისა და სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში.

სასამართლო ფსიქიატრიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში დამკვიდრდა აზრი დაუსწრებელი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

დაუსწრებელი ექსპერტიზის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფსიქიატრიული გამოკვლევა ტარდება ბრალდებულის უშუალო შემოწმების გარეშე, მხოლოდ საქმის მასალების გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე. ასეთ დროს არსებობს რეალური საშუალება საექსპერტო პირის უშუალო გამოკვლევისა, მაგრამ ეს არ ხდება ამა თუ იმ მიზეზის გამო. დაუსწრებლად ექსპერტიზის ჩატარება რეკომენდირებულია შემდეგ შემთხვევებში: როდესაც უნდა შემოწმდეს უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე; ფსიქიკური დაავადების დასაწყისი ან მისი ხანგრძლივობა; როდესაც საქმის მასალები შეიცავენ დაწვრილებით მონაცემებს პირის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, როდესაც არ არის ცნობილი ბრალდებულის ადგილსამყოფელი, პათოლოგიური სიმთვრალისა და პათოლოგიური აფექტის დროს.

დაუსწრებელი ექსპერტიზა არ არის ცნობილი საპროცესო კანონმდებლობით. საგამოძიებო, სასამართლო და საექსპერტო ორგანოების პრაქტიკაში საერთოდ ადგილი არ უნდა ჰქონდეს დაუსწრებელი ექსპერტიზის ჩატარებას, რადგან საექსპერტო პირის ბედის დაუსწრებლად გადაწყვეტა არ გამომდინარეობს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის ბუნებიდან.

ცხადია, რომ საქმის მასალების შესწავლა, რა დაწვრილებითაც არ უნდა იყოს მასში აღწერილი პირის ფსიქიკური მდგომარეობა, უფრო ნაკლებ ცნობებს გვაწვდის საექსპერტო პირის შესახებ, ვიდრე ამ პირის შესწავლა და გამოკვლევა.

ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების სისწორის შემოწმება დაუსწრებელი ექსპერტის ჩატარების გზით უმრავლეს შემთხვევაში, შეუძლებელია, თუ ამასთანავე არ იქნება გამოკვლეული პირი, რომლის მიმართაც წინათ უკვე ჩატარდა ექსპერტიზა.

როდესაც არსებობს ბრალდებულის უშუალო გამოკვლევის რეალური საშუალება, უნდა ჩატარდეს მათი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუსწრებელ ფსიქიატრიულ ექსპერტიზას საერთოდ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პრაქტიკაში. ასეთი მოსაზრება უკვე გამოითქვა პროცესუალურ ლიტერატურაში.

გამომძიებელმა ან სასამართლომ ექსპერტს-ფსიქიატრს გამოკვლევის ჩატარებისათვის უნდა გაუგზავნოს ყველა საჭირო მასალა. თუ გამოკვლევის პროცესში დადგინდება მასალის უკმარისობა, ექსპერტმა შესაბამისი შუამდგომლობა უნდა აღძრას ექსპერტის დამნაშავე პირის წინაშე.

ყველა მასალა, მათ შორის სამედიცინო ხასიათისაც, უნდა მოითხოვოს და გადაუგზავნოს ექსპერტ-ფსიქიატრს მხოლოდ ექსპერტიზის დამნიშნავმა პირმა. გამომძიებელი ან სასამართლო სანამ საჭირო მასალას გაუგზავნის ექსპერტს, უნდა გაეცნოს მათ სისწორეს, დაადგინოს მათი კავშირი ფსიქიატრიული ექსპერტიზის საგანთან, საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბრალდებულს.

პროცესუალურ და სპეციალურ ლიტერატურაში სადავოა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ძირითადი პრობლემა, კერძოდ: უფლებამოსილია თუ არა ექსპერტი გადაწყვიტოს საკითხი პირის შეურაცხადობის შესახებ. რიგი ავტორებისა, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას აკუთვნებენ ექსპერტის კომპეტენციას.

ზოგიერთი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შეურაცხადობა არის წმინდა სამართლებრივი საკითხი და მისი გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს.

საკითხი შეურაცხადობის შესახებ სამართლებრივია, რადგან იგი კანონის ძალით, დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან, პირის პასუხისმგებლობასთან და ამიტომ მას საბოლოოდ წყვეტს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები. მაგრამ შეურაცხადობას აქვს როგორც იურიდიული, ისე სამედიცინო კრიტერიუმი.

სამედიცინო კრიტერიუმს მიეკუთვნება ფსიქიკური დაავადების ფაქტის დადგენა, ხოლო იურიდიულს-პირის მიერ ანგარიშის გაწევა თავის მოქმედებისათვის და ამით ხელმძღვანელობა. ორივე კრიტერიუმი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ორგანულადაა შერწყმული. ამიტომ მათ განცალკევებულ გადაწყვეტას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს.

ექსპერტ-ფსიქიატრის მიერ იმის დადგენა, რომ ბრალდებული დაავადებულია კონკრეტული ფსიქიკური ავადმყოფობით ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს, რადგან მარტო ფსიქიკური ავადმყოფობის ფაქტი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ

პირს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავის მოქმედებას და იხელმძღვანელოს ამით. ბევრი ფსიქიკურად დაავადებული პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენისათვის და ისჯება კანონით.

მაშასადამე, ფსიქიკური ავადმყოფის ფაქტის დადგენით არ უნდა ამოიწუროს ექსპერტ-ფსიქიატრის უფლებამოსილება. მან უნდა განსაზღვროს და დაადგინოს თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ეს ავადმყოფობა ადამიანის ფსიქიკაზე, კერძოდ: შეეძლო თუ არა ფსიქიკურ დაავადებას ადამიანის ფსიქიკაზე მოეხდინა ისეთი ზეგავლენა, რომ პირს ანგარიში აღარ გაეწია თავის მოქმედებისათვის.

მაშასადამე, ექსპერტმა უნდა გამოთქვას თავისი მოსაზრება იურიდიული კრიტერიუმის შესახებაც. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ექსპერტ-ფსიქიატრი იყენებს თავის სპეციალურ ცოდნას. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები საბოლოოდ ვერ გადაწყვეტენ პირის შეურაცხადობის საკითხს, თუ მათ არ ექნებათ ექსპერტ-ფსიქიატრის დასკვნა პირის შერაცხადობა-შეურაცხადობის შესახებ.

ამრიგად, ექსპერტ-ფსიქიატრის კომპეტენციაში შედის ბრალდებულის შერაცხადობის საკითხის წინასწარი გადაწყვეტა, ხოლო საგამოძიებო სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

სასამართლო ფსიქიატრიულ ლიტერატურასა და პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი: უფლებამოსილია თუ არა ექსპერტი გადაწყვიტოს ბრალდებულის შერაცხადობა-შეურაცხადობის საკითხი არა დანაშაულის ჩადენის, არამედ ექსპერტიზის ჩატარების მომენტში. მის სწორ გადაწყვეტას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან იგი დაკავშირებულია სასჯელის გამოყენებასთან, გამოძიების შეჩერებასთან და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფასებასთან.

სამედიცინო-ფსიქიატრიულ ლიტერატურაში ი. სლუჩევსკის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ექსპერტი უფლებამოსილია. გადაწყვიტოს პირის შერაცხადობა-შეურაცხადობის საკითხი თვით ექსპერტიზის წარმოების მომენტისათვის.

ეს მოსაზრება უმართებულოა და ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. კანონი ბრალდებულის შეურაცხადობის საკითხს უკავშირებს მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტს და არა ექსპერტიზის ჩატარების დროს. კოდექსის 34-ე მუხლში პირდაპირაა აღნიშნული, რომ „ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის".

ვინაიდან სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების დროს პირის უკვე ჩადენილი აქვს დანაშაული, ამ მომენტში შეურაცხადობის საკითხის გადაწყვეტა არ შედის ექსპერტის უფლებამოსილებაში.

გამოკვლევის ჩატარების მომენტში ექსპერტმა უნდა დაადგინოს პირის ფსიქიკური დაავადების ფაქტი, დაავადების ხასიათი (დროებითი, ქრონიკული), შეუძლია თუ არა პირს მონაწილეობა მიიღოს საქმის გამოძიება-განხილვაში და არა ხასიათის სამედიცინო-იძულებითი ღონისძიება უნდა შეეფარდოს მას, თუ იგი ფსიქიკურად დაავადებულია.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს საგამოძიებო (სასამართლო) ორგანოებისა და ექსპერტ-ფსიქიატრის უფლებამოსილების სწორად განსაზღვრა იმის აუცილებელი პირობაა, რომ ექსპერტის დასკვნა იყოს სასურველი დამამტკიცებელი საბუთი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებული 2008 წლის 9 ოქტომბერს;
3. ა. ფალიაშვილი, ექსპერტიზის შედარება გამოძიების პროცესში, თბ., 1973;
4. სისხლის სამართლის პროცესი თბ., 2002;
5. მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, 2011.

ყაჩაღობაში თანამონაწილეობა

მარიამ ბოლოთაური
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში.

თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. "თუ ამსრულებლის მოქმედება მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, _ წერს ო. გამყრელიძე, _ თანამონაწილეც პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის. თუ ამსრულებელმა დაასრულა, თანამონაწილეც დამთავრებული დანაშაულის მონაწილეობისათვის დაისჯება."

აქვე არ შეიძლება აღინიშნოს, რომ არ არსებობს თანამონაწილეობა ამსრულებლის გარეშე.

თანამონაწილეობისას ყველა თანამონაწილე ერთიანი განზრახვით უნდა მოქმედებდეს.

ყველა თანამონაწილის მოქმედება მიზნობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან.

მიზნობრივი კავშირი თანამონაწილის მოქმედებასა და შედეგს შორის ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილის მოქმედება არის ამ შედეგის აუცილებელი პირობა, ე.ი. თანამონაწილის მოქმედების გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა.

თანამონაწილეთა მოქმედების მიზეზობრიობის თავისებურებას თ. წერეთელი შემდეგნაირად ახასიათებს: "მაშინ, როდესაც ამსრულებლის მოქმედება უშუალო მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედება, რომელიც, თავისთავად აღებული, დანაშაულის მომზადების სფეროს ეკუთვნის, უკავშირდება დანაშაულებრივ შედეგს ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით. სახელდობრ, ფსიქიკური თანამონაწილე (წამქეზებელი, ფსიქიკური დამხმარე), რომელიც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას აღუძრავს ან მას უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას განუმტკიცებს, მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვში ჩაბმულია ამსრულებლის ნებაზე ზემოქმედების მეშვეობით. ასეთი თანამონაწილის მოქმედება ამსრულებლის მოქმედების ფსიქიკურ მიზეზს წარმოადგენს, ე.ი. ხდება მისი ნებელობითი მოქმედების მოტივად და – ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით _ დანაშაულებრივი შედეგის აუცილებელ პირობად. რაც შეეხება ფიზიკურ თანამონაწილეობას (დამხმარეს), ისიც დანაშაულებრივ შედეგს უშუალოდ კი არ უკავშირდება, არამედ ამსრულებლის მოქმედების მეშვეობით, რადგან ასეთ მოქმედებაში გამოიხატება, რომელიც ქმნის აუცილებელ პირობას ამსრულებლის დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებისათვის." თანამონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის დაწყებამდე ან დანაშაულის მიმდინარეობისას – მის დამთავრებამდე.

სისხლის სამართალში გაბატონებულია აზრი, რომ არ შეიძლება გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობა განზრახ დანაშაულში ან განზრახი თანამონაწილეობა გაუფრთხილებლობით დანაშაულში.

კოდექსის 24–ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

როგორც საკანონმდებლო დეფინიციიდან ჩანს, ორგანიზატორის საქმიანობა მრავალფეროვანია. იგი შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის ჩადენის მოწყობაში; იგი შეიძლება ხელმძღვანელობდეს დანაშაულის ჩადენას მისი აღსრულების მომენტში; მან შეიძლება შექმნას ორგანიზებული ჯგუფი; იგი შეიძლება ხელმძღვანელობდეს უკვე შექმნილ ორგანიზებულ ჯგუფს.

კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს, როგორც მომზადების პროცესში, ისე მის განხორციელების პროცესში.

დანაშაულის ჩადენის მოწყობა ნიშნავს, რომ ორგანიზატორი გეგმავს და საერთოდ ორგანიზაციას უწევს ყაჩაღობას.

"დანაშაულის ხელმძღვანელობა" ნიშნავს, რომ ორგანიზატორი ხელმძღვანელობს ყაჩაღობას მისი აღსრულების პროცესში.

”ორგანიზებული ჯგუფის შექმნა” ნიშნავს, რომ ორგანიზატორმა შექმნა ისეთი ყაჩაღური ჯგუფი, რომელიც კოდექსის 27–ე მუხლის მე–3 ნაწილში არის ჩამოყალიბებული. ასეთი ჯგუფის მიერ ყაჩაღობის ჩადენა უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 179–ე მუხლის მე–4 ნაწილის ”ა” ქვეპუნქტით.

”ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელობა” ნიშნავს, რომ ორგანიზატორი ყაჩაღობის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობს კოდექსის 27–ე მუხლის მე–3 ნაწილში აღწერილ ჯგუფს.

ორგანიზატორის მოქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის 179–ე მუხლის შესაბამისი ნაწილისა (ქვეპუნქტისა) და 24_ე მუხლის 1 ნაწილის მეშვეობით.

კოდექსის 24–ე მუხლის მე–2 ნაწილის თანახმად, წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

ამსრულებლისაგან წამქეზებელი იმით განსხვავდება, რომ პირველი თვით ასრულება ყაჩაღობის შემადგენლობას, ხოლო წამქეზებელი ამსრულებლის მეშვეობით.

წაქეზება გულისხმობს სხვა ადამიანში ყაჩაღობის ჩადენის გადაწყვეტილების აღძვრას. თუ ამსრულებელს უკვე მიღებული აქვს ყაჩაღობის ჩადენის გადაწყვეტილება და სხვა პირი მხოლოდ განამტკიცებს ამ გადაწყვეტილებას, ეს იქნება არა წაქეზება, არამედ დახმარება.

თუ რა ხერხებით უნდა მოხდეს სხვისი დაყოლიება ყაჩაღობის ჩასადენად, ამაზე არაფერს ამბობს კოდექსი, წაქეზება შეიძლება ამსრულებლისა – ჩაიდინოს ყაჩაღობა, დამხმარისა – ხელი შეუწყოს სხვას ყაჩაღობის ჩადენაში. ორგანიზატორის – მოაწყოს ყაჩაღობის ჩადენა ან უხელმძღვანელოს მის განხორციელებას, ან შექმნას ორგანიზებული ჯგუფი ყაჩაღობის ჩასადენად ან ხელმძღვანელობა გაუწიოს ასეთ ჯგუფს ყაჩაღობის ჩადენისას. წაქეზება შეიძლება იყოს ნებისმიერი საშუალება, რომელიც მოქმედებს სხვა პირის ფსიქიკაზე და მიაღებინებს ყაჩაღობის ჩადენის გადაწყვეტილებას, რომელი გადაწყვეტილებაც ჯერ არ მიუღია. სახელდობრ, ყაჩაღობის წაქეზების საშუალება შეიძლება იყოს: მოსყიდვა, დარწმუნება რომ ამის შესახებ ვერავინ გაიგებს, თხოვნა, მოწოდება და ა.შ. ”წაქეზების საშუალება შეიძლება იყოს მუქარაც, მაგრამ იმ პირობით, თუ: ა) იგი ისეთ ვითარებაში არ არის გამოყენებული, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დაისვას საკითხი უკიდურესი აუცილებლობის შესახებ და ბ) მუქარა ისეთ ინტენსივობას არ აღწევს, რომ სავსებით გამორიცხული იყოს პირის მოქმედების თავისუფლება”. თუ მუქარის დროს გამორიცხულია სხვაგვარი მოქმედების შესაძლებლობა ან შექმნილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა, ამსრულებელი ”ცოცხალი იარაღია”, რომელიც თავისი მოქმედებისათვის პასუხს არ აგებს, ხოლო დამმუქრებელი პასუხს აგებს როგორც შუალობითი ამსრულებელი.

ყაჩაღობისას წამქეზებელს და ამსრულებელს ერთი და იგივე მიზანი უნდა ამოძრავებდეს. თუ თანამონაწილე მოქმედებს ყაჩაღობის მიზნით, ეს მიზანი უნდა ჰქონდეს ამსრულებელსაც, ”ანდა შეიძლება თანამონაწილეს ეს მიზანი არ ჰქონდეს, მაგრამ იცოდეს, რომ ამსრულებელი ამ მიზნით მოქმედებს და ეთანხმებოდეს მას”.

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს აგენტ–პროვოკატორის მოქმედება, რომელმაც დაიყოლია სხვა პირი ყაჩაღობის ჩასადენად, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით?

აგენტ–პროვოკატორის მოქმედებას თ. წერეთელი იმ დანაშაულის წამქეზებლად თვლიდა, რომლის ჩადენისკენაც დაიყოლია აგენტ–პროვოკატორმა სხვა პირი.

მოცემულ საკითხზე უფრო მისაღებად მსჯელობს ო. გამყრელიძე, რომელსაც სრულიად ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენც გვაქვს გარკვეული შენიშვნები. ”წამქეზებელმა შეიძლება შეაცდინოს ამსრულებელი მისი მხილებისა და დასჯის მიზნით. ასეთ დროს საქმე გვაქვს დანაშაულის პროვოკაციასთან (აგენტ–პროვოკატორის მოქმედება). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145–ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ შემადგენლობას, რომლის მიხედვით ისჯება ”დანაშულის პროვოკაცია” ე.ი. სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

”დანაშაულის პროვოკაცია” დასჯადია, უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა პროვოკატორმა წააქეზა და ჩაადენინა დანაშაული სრულიად ალალმართალს, ვისაც დანაშაულის ჩადენა აზრადაც არ მოსვლია. არა აქვს მნიშვნელობა იმას, წამქეზებელმა დაასარულა დანაშაული თუ მცდელობის სტადიაზე შეჩერდა.

რაც მთავარია, დანაშაულის პროვოკატორი არ შეიძლება დაისაჯოს იმ დანაშაულის თანამონაწილეობისათვის, რომლისთვისაც წააქეზეს ამსრულებელი, რადგან წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (წაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი აქეზებს ვინმეს ქურდობისათვის, პროვოკატორის, ე.ი. წამქეზებლის მოქმედება ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას, სურს იგი ციხეში ჩააგდოს, ხოლო წაქეზებული, ე.ი. პროვოცირებული, ხელყოფს სხვის საკუთრებას”.

კოდექსის 145–ე მუხლის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვის ვადით 3 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 1–3 წლამდე. ყაჩაღობის პირველი ნაწილის სანქცია ითვალისწინებს

თავისუფლების აღკვეთის ვადით 5–7 წლამდე, მე–2 ნაწილი – თავისუფლების აღკვეთას ვადით 6–9 წლამდე, მე–3 ნაწილი – თავისუფლების აღკვეთას ვადით 8–12 წლამდე, მე–4 ნაწილი – თავისუფლების აღკვეთას ვადით 11–15 წლამდე.

დავუშვათ, აგენტ–პროვოკატორმა წააქეზა პროვოცირებული და ჩაადენინა ყაჩაღობა ბინაში უკანონო შეღწევით. ასეთ შემთხვევაში აგენტ–პროვოკატორმა პასუხი უნდა აგოს თავისუფლების აღკვეთით ვადით 1–3 წლამდე, ხოლო პროვოცირებულმა თავისუფლების აღკვეთით ვადით 8–12 წლამდე? ეს ყოველთვის გამოიწვევს საზოგადოებაში უკმაყოფილებას. ვფიქრობთ აგენტ–პროვოკატორი და პროვოცირებული თანაბარი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ.

ჩვენი აზრით, კოდექსის 145–ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

”მუხლი 145. დანაშაულის პროვოკაცია

1. დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით, – ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

2. იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის სხვისი წაქეზება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

3. იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის სხვისი წაქეზება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა, _ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე”.

ყაჩაღობისათვის წაქეზება კვალიფიცირდება კოდექსის 179–ე მუხლის შესაბამისი ნაწილისა (ქვეპუნქტით) და 24–ე მუხლის მე–2 ნაწილით.

კოდექსის 24_ე მუხლის მე–3 ნაწილის თანახმად, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

დამხმარის მოქმედება უნდა განვასხვაოთ თანაამსრულებლის მოქმედებისაგან. თანაამსრულებლისაგან განსხვავებით, დამხმარე არ იღებს უშუალო მონაწილეობას ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში. დამხმარე მოქმედებს დანაშაულის განხორციელებამდე, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი მოქმედებდეს დანაშაულის ჩადენის დროსაც. ”... დამხმარედ ჩაითვლება ”დარაჯად დგომა” დანაშაულის ჩადენის დროს, – წერდა თ. წერეთელი, – ვინაიდან ასეთი მოქმედება დანაშაულის შემადგენლობის უშუალო განხორციელებას კი არ წარმოადგენს, არამედ მიზნად ისახავს გააადვილოს დანაშაულის ჩადენა, შესაძლებლობა მისცეს ამსრულებელს დაუბრკოლებლად სისრულეში მოიყვანონ დანაშაულებრივი განზრახვა.”

დახმარება ორი სახისაა: 1) ფიზიკური და 2) ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური.

ფიზიკურ დამხმარესა და თანაამსრულებელს შორის განსხვავება ის არის, რომ თანაამსრულებელი ყაჩაღობის შემადგენლობას მთლიანად ან ნაწილობრივ ასრულებს, ხოლო დამხმარე შემადგენლობის არც ერთ ნაწილს არ ასრულებს.

ფსიქიკური დახმარება შეიძლება ორი ძირითადი სახით გამოიხატოს: ა) ქმედების ჩასადენად ამსრულებლისათვის საშუალების მიცემაში, მაგალითად, ყაჩაღობის ჩასადენად ცეცხლსასროლი იარაღის მიცემა; ბ) დანაშაულის ჩადენის დაბრკოლების თავიდან აცილებაში, მაგალითად, სადარაჯოზე დგომა _ ბინაში უკანონო შეღწევა ყაჩაღობისას.

ფიზიკური დახმამრებაა მაშინ, როცა: ა) სხვას აძლევენ რჩევა–დარიგებას ან ბ) წინასწარ დაჰპირდება სხვას, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ საგნებს და ა.შ.

ფსიქიკურ დამხმარესა და წამქეზებელს შორის განსხვავება ის არის, რომ წამქეზებელი სხვას აღუძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ფსიქიკური დამხმარე განამტკიცებს ამსრულებლის გადაწყვეტილებას ჩაიდინოს დანაშაული, როცა ეს გადაწყვეტილება მას უკვე მიღებული აქვს.

თუ საქმე გვაქვს წინასწარ შეუპირებელ დაფარვასთან, ქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 375–ე მუხლით.

ყაჩაღობის დახმარების კვალიფიკაცია ხდება კოდექსის 179_ე მუხლის შესაბამისი ნაწილითა (პუნქტითა) და 24–ე მუხლის მე–3 ნაწილით.

ლიტერატურა:

1. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008;
2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976.

ქართულ-ოსური კონფლიქტი

ნინო დიასამიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

დღეს კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახალ ფაზაშია შესული. წლების მანძილზე პრობლემა მწვავდებოდა გარე ძალების ჩარევით. 2004 წლის ზაფხულის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ შესაძლოა კონფლიქტის დინამიკამ კვლავაც სავალალო ხასიათი შეიძინოს. ხელისუფლებას და მთელ საზოგადოებას უდიდესი ძალისხმევა მართებს, რათა ვითარება კონტროლიდან არ გამოვიდეს და, ამასთან ერთად, კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მიღწეულ იქნეს პროგრესი. მთავრობას აქვს საამისოდ თავისი ბერკეტები, მაგრამ არსებითია არასამთავრობო და აკადემიური წრეების შესაძლო წვლილიც. ერთ-ერთი მათგანი პრობლემის დამოუკიდებელი ანალიზი და მისი გადაწყვეტის შესაძლო გზების ძიებაა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ დრომდე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტისაგან განსხვავებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზებისა და დინამიკის კვლევაზე, ამ მიმართულებით ანალიტიკურ და სარეკომენდაციო საქმიანობაზე არც თუ დიდი ძალისხმევა იყო გაწეული.

ამავე დროს, შემაშფოთებელ მოვლენებთან ერთად, სახეზეა ქართული საზოგადოებისა და საქართველოს ხელისუფლების გააქტიურება კონფლიქტების სრულმასშტაბიანი დარეგულირებისათვის. ეს პროცესი უდავოდ იმსახურებს ყურადღებას და მხარდაჭერას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის სექტემბერში გაეროს 59-ე გენერალური ასამბლეის წინაშე გაკეთებული განცხადება კონფლიქტის ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარების შესახებ. აგრეთვე 2005 წლის იანვარში სტრასბურგში გაჟღერებული სამშვიდობო ინიციატივები და იმავე წლის ზაფხულში მთავრობისა და ებერტის ფონდის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ბათუმის კონფერენცია, სადაც ზემოთმოხსენებული ინიციატივები უფრო გაშლილი პროექტის სახით იქნა წარმოდგენილი. ამ პროცესის ერთგვარ კულმინაციად იქცა ლუბლიანას ეუთოს მინისტერიალზე პრემიერ-მინისტრის მიერ წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმა.

აღნიშნული ვითარება საზოგადოებისაგან გააქტიურებას, სამშვიდობო წინადადებების შემდგომ დამუშავებასა და ადვოკატირებას მოითხოვდა. შესაბამისად წინამდებარე ნაშრომის შექმნა ორი გარემოებითაა განპირობებული. სამხრეთ ოსეთის პრობლემასთან დაკავშირებული ანალიტიკური და სარეკომენდაციო პაკეტი დროულია, რადგან სამთავრობო წინადადებები შემდგომ დაკონკრეტებას, ხოლო მათში ასახული თემები დამატებით გაშლა-დასაბუთებას ითხოვს. არც ისაა გამორიცხული, რომ რიგ საკითხებზე, განსაკუთრებით კონფლიქტის მიზეზთა ძიებისა და ნდობის შექმნის თვალსაზრისით, ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენაც იყოს საჭირო. სხვა თუ არაფერი, ეს ხელს შეუწყობს დიალოგს როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. და მეორეც, სამშვიდობო მიდგომის უალტერნატივობის რწმენა საკმაოდ მყიფეა. შეურიგებლობის სინდრომი მყარადაა გამჯდარი კონფლიქტის მხარეებში. ასეთ პირობებში მცირე პროვოკაცია გარეშე ძალებიდან, თუ კონფლიქტის გახანგრძლივებაში დაინტერესებული შიდა წრეების მხრიდან, ან თუნდაც დაუგეგმავი ინციდენტი, რისი საფრთხეც მუდმივად არსებობს, შეიძლება გახდეს ძალადობის ფართომასშტაბიანი ესკალაციის საწინდარი.

ვიზიარებთ რა ნიუ-იორკში, სტრასბურგსა და ბათუმში გაჟღერებული სამთავრობო წინადადებების პათოსს, აგრეთვე, მთავრობის ერთიან სამოქმედო გეგმას, ვთვლით, რომ გადაუდებელია მათი გაფართოება და საზოგადოებაში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების უალტერნატივობის რწმენის გავრცელება. ნებისმიერი, თუნდაც სიტყვიერი ძალადობა ხანგრძლივად დააბრკოლებს სამშვიდობო პროცესს. ამ პროცესის გარეშე კი კონფლიქტი არ გადაწყდება.

ოსები ცენტრალური კავკასიის საკმაოდ ძირძველი მკვიდრთ და ჩრდილოეთ კავკასიის ერთადერთ ირანულენოვან ხალხს წარმოადგენენ. მათი საერთო რაოდენობა 1989 წლისათვის 598 ათას სულს აღწევდა. ამ მაჩვენებლით ისინი კავკასიაში აღრიცხულ 100-მდე ერისა და ეთნიკური ჯგუფის ფრიად ვრცელ ნუსხაში მხოლოდ რუსებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, ქართველებს, ჩეჩნებს ჩამორჩებიან.

ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ოსები დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ ქვერასას განეკუთვნებიან, ხოლო ეთნოლინგვისტური კლასიფიკაციის თანახმად ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფში შემავალ ხალხთა სიას ავსებენ სპარსელების, ტაჯიკების, ქურთების, ავღანელების, ლურების, ბახტიარების, ბელუჯების, ნურისთანელების, თათრებისა და

თალიშების გვერდით. ოსური ენა გენეტიკურად უკავშირდება სკვითურ-ალანურ ენას, თუმცა მისმა ფონეტიკამ და ლექსიკამ დიდი გავლენა განიცადა.

ოსური დამწერლობისა და მწიგნობრობის ფუძემდებლად ქართველი მისიონერი და ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი ოსი მოღვაწეები გვევლინებიან. ასე, 1751 წელს ქართველი არქიმანდრიტის ინიციატივით გაიხსნა ოსური სკოლა მოზდოკში, სადაც სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს იყო პირველი სკოლა არა მარტო ოსეთში, არამედ მთელ ჩრდილოეთ კავკასიაშიც.

ოსების უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი სუნიტური რწმენის მაჰმადიანი. ოსეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი ბიზანტიამ და საქართველომ შეიტანეს.

ოსების ძირითადი საქმიანობაა მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, ხოლო დამხმარე საქმიანობა - ნადირობა და მეფუტკრეობა. აგრეთვე განვითარებულია ხელოსნობის და შინამრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა ხეზე და ძვალზე კვეთა, ლითონის მხატვრული დამუშავება, ქარგვა, მაუდის წარმოება, მჭედლობა, ავეჯის დამზადება და სხვა. მთაში ტრადიციული დასახლებები გამოირჩევა მცირე ზომის შეჯგუფული ან მწკრივული დაგეგმარებით, ხოლო ბარში უფრო მსხვილი ქუჩური დაგეგმარებით. ძირითადად სამშენებლო მასალად გამოიყენება ქვა, ტყიან ხეობებში კი ხე. ტრადიციული არქიტექტურული ძეგლებიდან არსანიშნავია მრავალიარუსიანი საბრძოლო კოშკები, ციხეები, წარმართული სალოცავები და სხვა.

ტრადიციული ოსური საკვები, ტანსაცმელი, ხალხური მუსიკა თავისი ძირითადი ეთნოგრაფიული მახასიათებლებითი საშუალებებითა და სტილისტური თავისებურებებით ბევრ საერთოს პოულობს სხვა კავკასიელი ხალხების მატერიალურ და სულიერ ზეპირმეტყვიერებაში.

XVIII საუკუნის დამდეგიდან იწყება ოს-ირანთა მშვიდობიანი და მნიშვნელოვანწილად ყმათა მომრავლებაში დაინტერესებული ქართული ფეოდალური წრეებისაგან სანქცირებული გადმოსახლება ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთ სექტორის მაღალმთიან ხეობაში. შედარებით მოკლე დროში მდინარეების თერგის, დიდი და პატარა ლიახვის, არაგვის, ჯეჯორასა და ყვირილას ხეობების სათავეში, აგრეთვე სამაჩაბლოს კუთვნილი ტერიტორიები ოსთა კომპაქტური დასახლებებით მოიფინა. ასე ჩამოყალიბდა საქართველოში ძველთაძველ მიწა-წყალზე ე.წ. სამხრეთ ოსთა ეთნიკური მასივი, რომელიც ქართულ წერილობით წყაროებში „პირაქეთი ოსეთის“, „აქათის მთის ოსებით“ არის ცნობილი.

მართალია, საქართველოში გადმოსახლებულ ოსთა უმრავლესობა იმთავითვე აქტიურად ჩაერთო ერთმორწმუნე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ მათში საკმაოდ დიდმა ნაწილმა ქართული მოსახლეობის ძარცვა-აწიოკებით და მამა-პაპისეული სამკვიდრებლიდან განდევნითაც „ისახელა თავი“.

XVIII საუკუნის შუა წლებიდან ოსეთში საბოლოოდ იძალა პრორუსულმა ორიენტაციამ. საუკუნეების მანძილზე ცენტრალური კავკასიონის ვიწრო ხეობებში შესყიდული და ყაბარდოელ ფეოდალთაგან შევიწროებული ოსი ხალხის ისტორიული არჩევანი 1774 წელს გაკეთდა, როდესაც ალაგირის, ქურთათისა და თაგაურის ოსური თემები ყაბარდოსთან ერთად რუსეთს შეუერთდა. მას შემდეგ, რაც 1781 წელს იგივე ნაბიჯი გადადგა ოსურმა თემმა, ოსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა ფაქტობრივად დასრულდა.

ძველი დროიდან ქართველ და ოს ხალებს შორის იყო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები. საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩრდილოეთით განლაგებულ მეზობლებთან - ალან-ოსებთან ჰქონდა ნორმალური ურთიერთობა. საქართველო ხშირად მიმართავდა ოსთა დაქირავებული რაზმების გამოყენებას თავისი სამხედრო მიზნებისთვის.

ქართველ და ოს ხალხებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობდა დინასტიური ქორწინებანი, რომელსაც ჰქონდა ადგილი ადრეულ საუკუნეებში, და რაც განსაკუთრებით გახშირდა XI-XII ს.ს-ში. ასე მაგალითად, გიორგი I-ს (1014-1027) ცოლად ჰყავდა ოსი ალდე; ბაგრატ მეოთხე (1027-1072) დაქორწინებული იყო ოვსთა მეფის ასულზე ბორენაზე; დემეტრეს და ოსეთში იყო გათხოვილი; დემეტრემ თავის ვაჟს გიორგი მესამეს ოსი ბურდუხანი შერთო ცოლად; თამარის მეუღლე დავით სოსლანი იყო „ოვსთა მეფე, ტომი ბაგრატიონთა“.

სამეფო და ფეოდალურ კლანებს გარდა ხშირი იყო ქორწინებანი რიგით მოსახლეობაში. ბოლო ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოში ქართველთა შერეულ ქორწინებათა მეტი წილი ოსებზე მოდიოდა. ჯერ კიდევ XX ს-ის პირველ მეოთხედში თბილისის შემლებულ მოქალაქეთა ოჯახებში, ქართველებთან ერთად, ოსი ძიძებიც ჰყავდათ. ასე რომ ქართველებსა და ოსებს შორის სისხლით ნათესავების გარდა, ბევრი ძუძუმტე ჰყავდათ. ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა ოსეთში ქრისტიანობა VI-X სს-ში. რამდენადაც ოსებს აღმოსავლეთ საქართველოს მხარეთაგან ურთიერთობა ჰქონდათ ძირითადად შიდა ქართლთან, შუასაუკუნეებში ოსთა გადმოსახლებას ადგილი ჰქონდა შიდა

ქართლში საქართველოს მთავარი მდინარის მტკვრის დინებამ განსაზღვრა ისტორიული ქართლის დაყოფა ზემო, შიდა ანუ შუა და ქვემო ქართლად.

აღსანიშნავია, რომ მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არ შეწყვეტილა ქართული აღმშენებლობა, კერძოდ ციხე–სიმაგრეთა და ეკლესიათა მშენებლობა, რომელთაგან ბევრი შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველხარისხიანი ძეგლია. ბევრ მათგანზე ქართული წარწერებია შემორჩენილი, რომლებიც ხშირად ფრიად საინტერესო შინაარსისაა და ადგილობრივი ქართველი ფეოდალების სახელებს გვამცნობენ. ასეთი ძეგლებითაა დაფარული ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია.

საქართველოს და ოსეთს შორის ურთიერთობა მეტწილად ნორმალური და კეთილმეზობლური იყო, მაგრამ საკმარისი იყო გარეშე, ანუ მესამე ძალის ჩარევა, რომ მათ შორის ურთიერთობა დაძაბულ ხასიათს ღებულობდა.

ლიტერატურა:

1. აკაკი ბაქრაძე, ომარ ჩუბინიძე, „ოსთა საკითხი“, გამომცემლობა „პითაგორა“, გორი - თბილისი, 1996

კულტურა და ფილოსოფია

ნათია ილურიძე
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თეიმურაზ მთიბელაშვილი,** დოქტორი

XX საუკუნის მეორე ნახევარი მრავალმხრივ საყურადღებო იყო ქართული ფილოსოფიისათვის. ამ დროისათვის ქართველმა მკვლევარებმა გარკვეულად შეძლეს თავი დაეღწიათ იდეოლოგიური მარწუხებისაგან და მრავალფეროვანი კვლევა-ძიება გაეგრძელებინათ ახალ საფეხურზე. ამ მრავალმხრივ კვლევა-ძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის ფილოსოფიას, რაც ბუნებრივია: ეს ხომ ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს და თანამედროვე ტექნოკრატიულ ერაში, სამყაროში ,,გადაგდებული'' ადამიანის ხსნას ემსახურება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ქართულ სინამდვილეში კულტურის ფილოსოფიის პრობლემებს იკვლევდნენ არა მხოლოდ უშუალოდ ამ დარგების მკვლევარები, არამედ ფილოსოფიის სხვა დარგების წარმომადგენლებიც.

ფილოსოფია არის მეცნიერება, მსოფლმხედველობა, იდეების და შეხედულებების სისტემა სამყაროზე და მასში ადამიანის ადგილზე. მისი კვლევის საგანია სამყაროსთან ადამიანის შემეცნებითი, სოციალურ-პოლიტიკური, ღირებულებითი, ეთიკური და ესთეტიკური ურთიერთობები. ფილოსოფიის სხვადასხვა პრობლემების გადასაჭრელად იყენებდნენ ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებს, როგორებიცაა: დიალექტიკა და მეტაფიზიკა, რაციონალიზმი და ემპირიზმი, მატერიალიზმი და იდეალიზმი, ნატურალიზმი და სპირიტუალიზმი, დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი და ა. შ.

თანამედროვე ფილოსოფიის ძირითადი ტენდენციები დაკავშირებულია ისეთი ფუნდამენტური პრობლემების გააზრებასთან, როგორებიცაა თანამედროვე ცივილიზაციის ბედი, კულტურების მრავალფეროვნება და ერთიანობა, ადამიანის შემეცნების ბუნება, ყოფიერება და ენა. ფილოსოფოსთა მიერ ჭეშმარიტების ძიება დეტექტივს ჰგავს. ზოგი ფიქრობს, მკვლელი პეტრეაო, ზოგის აზრით კი – პავლე ან ივანეო. ზოგჯერ პოლიცია ახერხებს მომხდარი დანაშაულის გახსნას, ზოგჯერ – ვერა, მიუხედავად იმისა, რომ ამოხსნა სადღაც არსებობს. ასე რომ, რა ძნელიც უნდა იყოს პასუხის გაცემა, უნდა არსებობდეს ერთადერთი სწორი პასუხი ამ კითხვებზე.

ორი ათასი წლის წინ მცხოვრებ ერთ ბერძენ ფილოსოფოსს სჯეროდა, რომ ფილოსოფია ადამიანის გაოცების უნარმა წარმოშვა. მისი აზრით ფილოსოფიური კითხვები ადამიანებს თავისთავად ებადებოდათ, რაკიღა საკუთარი არსებობა გასაოცრად მიაჩნდათ.

ძველთაგანვე თქმულა, რომ გაკვირვება სიბრძნის დასაბამია, ფილოსოფია ამით იწყებაო. მართლაც საინტერესოა, განა რამ უნდა აღძრას ჩვენში აზროვნება სამოქმედოდ, საძიებლად, თუ ჩვენ არაფერი გვაკვირვებს, თუ ჩვენ ახსნისა და გაგების საჭიროებას არსად ვხედავთ?! ვისთვისაც ყველაფერი ნათელი და გარკვეულია, იგი მეცნიერებას არ საჭიროებს. მეცნიერებით არ დაინტერესდება არც ის, ვინც

სრულიად არაფერი იცის, ვისაც არც ის ესმის, თუ რას ნიშნავს ცოდნა და არცოდნა. გაკვირვება მხოლოდ იქ შეიძლება წარმოიშვას, სადაც არის ნაცნობის გვერდით უცნობი. არის ისეთი ვითარებაც როცა ადამიანს ჰგონია, რომ იცის მოვლენა, სინამდვილეში კი ეს ასე არაა. ამას ყველაზე მეტად მოვლენისადმი მიჩვევა განსაზღვრავს: როცა ამა თუ იმ მოვლენას ხშირად ვხედავთ, მას იმდენათ ვეჩვევით, რომ იგი ჩვენში გაკვირვებას აღარ იწვევს. მისი კვლევა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია, ანუ ის არ იწვევს გონევას სამოქმედოდ.

კულტურა შეიძლება მოვათავსოთ იმ საგანთა რიცხვში, რომელიც ჩვენთვის ნაცნობია, რომელიც ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს. ადამიანი ისე მჭიდროდ და ყოველდღიურად არის დაკავშირებული მასთან, რომ მისთვის ამაზე უფრო ახლობელს ვერ დავასახელებთ. საითაც არ უნდა მივიხედ-მოვიხედოთ ჩვენს გარშემო, ყველგან კულტურას ვხედავთ. ამ გარემოებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ კულტურის რაობა ჩვენ ყველამ ვიცით. მაგრამ ეს არასწორი დამოკიდებულიბაა,რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში კულტურის შემსწავლელი მეცნიერებანი, როგორიც გახლავთ: კულტურის ფილოსოფია, კულტურის ფსიქოლოგია, კულტურის მორფოლოგია, კულტურის ისტორია, თუ სოციოლოგია არ შეიქმნებოდა. დამეთანხმებით ალბათ იმაში, რომ ის, რაც ადამიანის მიერ არაა შექმნილი, რაც ჩვენგან დამოუკიდებელია და არსებობდა ჩვენს გაჩენამდე, არის ბუნება, ცა, დედამიწა, ჰაერი, წყალი, მთა და ბარი, მცენარე და ცხოველი და ა.შ. ახლა დავფიქრდეთ ხომ არსებობს სამყაროში ისეთი საგნებიც, რომლებსაც ადამიანის გარეშე არსებობა არ ძალუძთ?! მაგ.: მეცნიერება და ხელოვნება. ეს მოვლენები მხოლოდ იქ არის, სადაც მოღვაწეობს ადამიანი. სწორედ ისეთ მოვლენას ეძახიან კულტურას, რასაც ადამიანის ხელი ატყვია. ანუ კულტურა და ადამიანი განუყრელად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

თქვენი აზრით რას ნიშნავს იყო კულტურული ადამიანი? გავიხსენოთ რუსი ოფიცერი ,,მგზავრის წერილებიდან'', რომელიც გენერლებისა და ჟუჟუნა თვალება ქალების რაოდენობით ზომავს ქვეყნის კულტურას, ანუ როგორც ის ამბობდა ცივილიზაციას. ასევე მიხეილ სალტიკოვ– შჩედრინის მოთხრობის გმირიც თავის თავს კულტურულ ადამიანად თვლის, რადგან ის კავალერიაში მსახურობს, ცნობილ თერძს აკერვინებს ტანისამოსს და ინგლისურ კლუბებში სადილობს. შეიძლება ითქვას, რომ კაცს ყოველთვის სწორი წარმოდგენა როდი აქვს იმაზე თუ რა არის კულტურა და რას ნიშნავს იყო კულტურული! მე იმის თქმა მსურს, რომ კულტურა არ არის მხოლოდ მექანიკური ჯამი ადამიანის შექმნილი მატერიალური ნივთებისა, ხელოვნებისა და ლიტერატურული ნაწარმოებებისა. კულტურის მოვლენები გამოხატავენ ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, საზოგადოებისადმი. შევხედოთ პირამიდებს და ძველ აკლდამებს. ისინი ქვეყნის მცხოვრებთა ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ხელოვნების განვითარების დონეს კი არ ადასტურებენ მხოლოდ, არამედ მათში ასევე ასახულია ძველ ეგვიპტელთა შეხედულებანი სიკვდილსა და უკვდავებაზე. დავიმახსოვროთ, ადამიანის კულტურას ის კი არ ადასტურებს, თუ რა შეგვიძლია, არამედ უმთავრესად ის, თუ რას აფასებს კაცი, რას სცემს პატივს და როგორ გამოიხატება ეს მის მოქმედებაში.

კულტურის ამგვარი ხასიათის გაცნობიერება, მისი კავშირი ადამიანის ცხოვრებისეულ მიზნებსა და იდეალებთან, ამჟღავნებს მის მჭიდრო კავშირს ფილოსოფიასთან. ფილოსოფია ადამიანის ცხოვრებისეული მიზნის, მისი დანიშნულების გარკვევას ემსახურება. ფილოსოფიის ამგვარი ბუნება კარგად ესმოდა ლევ ტოლსტოის, რომელიც წერდა: ,,ადამიანი მოქმედი არსებაა, საით უნდა წარმართოს თავისი მოქმედება?! როგორ უნდა გადააქციოს ეს მოქმედება თავისუფლად, ანუ კულტურის საგნად“. ადამიანის და საზოგადოების ცხოვრების ერთერთი მთავარი ნიშანი მისი ცვალებადობა, ისტორიულობაა. ფილოსოფიამ, რომელსაც ჩვენი ცხოვრების საზრისის გარკვევას გულისხმობს, უნდა გაითვალისწიოს ადამიანის ისტორიულობა, ის რომ სხვა და სხვა პირობებში არ შეიძლება განსხავავებულად არ წარმოგვიდგეს ჩვენი ცხოვრების დანიშნულება. ამიტომაც ამბობენ ფილოსოფიაზე,რომ ის არის ეპოქის ძირითადი ტენდეციების გაცნობიერება, კულტურის თვითცნობიერება. ფილოსოფია პასუხობს ადამიანის ღრმა მოთხოვნილებას: რა დანიშნულება გვაქვს ჩვენ ამ სამყაროში, მიწას ხომ არ ვამძიმებთ?! ყოველი კაცი უნდა ფიქრობდეს, თუ რა ვალი აკისრია სოფლის წინაშე. უამისოდ ის ნაფოტი იქნება, რომელსაც ცხოვრების დინება თავის ნებაზე მიაქანებს.

ამრიგად, კულტურასა და ფილოსოფიას შორის ღრმა კავშირი არსებობს, ფილოსოფიის გარეშე კულტურა წარმოგვიდგება ადამიანის ტექნიკური მიღწევების, ცოდნის და თანაცხოვრების ერთობლიობად, რომელიც მოკლებული იქნება მათ მაცოცხლებელ იდეებს. კულტურისაგან მოწყვეტილი ფილოსოფია კი განყენებულ ცნებათა უაზრო ტრიალად იქცევა. ადამიანმა, რომელსაც კულტურის დაუფლება უნდა ,არ შეიძლება ზურგი შეაქციოს ფილოსოფიას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია ნამდვილად შეიძლება იყოს კულტურის თვითცნობიერება, რადგან, როგორც ზემოთ ავღნიშნე, იგი ემყარება სამყაროსა და ადამიანის ძირითადი ტენდენციების გაგებას და ამიტომ არა მარტო ასახავს ამა თუ იმ ეპოქის კულტურას, არამედ აფასებს კიდეც მას და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებს ერთი კულტურის მეორით შეცვლაში.

ფილოსოფია გონების კულტურაა, უთქვამს ძველად ციცერონს. უფრო მეტიც: ფილოსოფია, მსოფლმხედველობაა ადამიანის მოქმედებისა, მისი ცხოვრების კულტურა, ხოლო ჩვენ, არ შეიძლება არ ვზრუნავდეთ ჩვენი ქცევის და, რა თქმა უნდა, ცხოვრების კულტურაზე. ასე, რომ ნუ შეგვაშინებს ფაშისტური პიესის გმირის, ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მესვეურის სიტყვები: ,,როცა სიტყვა კულტურა მესმის, ხელი უნებლიეთ ჩახმახისკენ მიმაქვსო''.

ლიტერატურა:
1. კულტურა, ფილოსიფია, ღირებულებები, მიხეილ მახარაძე, ბათუმი, 2009;
2. კულტურა და ფილოსოფია, ოთარ ჯიოევი, ბათუმი 2008.

ტემპერამენტის ტიპოლოგიის თავისებურებები

თამარ მინდიაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ბექა ტოლიაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

პიროვნების თვისებურებანი, მისი ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის ნაირობა სხვა თვისებებთან ერთად დამოკიდებულია მის ტემპერამენტზე. ტემპერამენტი ადამიანის ემოციური ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს პიროვნების სულიერი ცხოვრების და განსაკუთრებით მისი ემოციების თავისებურებებს.

ტემპერამენტი ვლინდება ადამიანის კონკრეტულ მოქმედებაში, მოქმედების შესრულებისთვის საჭირო მოძრაობებსა და მოქნილობაში, ძალისხმევასა და ენერგიულობაში. ალბათ, ყველას შეუმჩნევია, რომ ზოგი ადამიანი უფრო ენერგიული და აქტიურია, ყველაფერს სწრაფად და ცოცხლად აკეთებს, ვერ ჩერდება დიდხანს მშვიდ და უძრავ მდგომარეობაში; ზოგი ადამიანი კი პირიქით: დინჯად და ნელა მოქმედებს, არ იძლევა სწრაფ რეაქციებს; არ ჩქარობს, ყველაფერს ნელა აკეთებს და უმეტესად მშვიდ მდგომარეობაში ყოფნას არჩევს.

იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ტემპერამენტი ახასიათებს ადამიანს, მისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის ემოცია: დადებითი, უარყოფითი, აღგზნებული, წყნარი, ძლიერი, სუსტი და ა.შ. ტემპერამენტის ძირითადი ნიშანია იმპულსურად აღმოცენება და მიმდინარეობა. ტემპერამენტი, როგორც იმპულსური მოქმედება, მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემასთან, ამ მოთხოვნილებათა ძალასა და დინამიკასთან. იგი გამოხატავს მოთხოვნილების ინტენსივობას, მის სიმყარეს, მოქმედებაში მისი გადასვლის სისწრაფეს, ადამიანის მოძრაობებზე მისი გავლენის ძალას. რადგან ტემპერამენტი, როგორც ემოციის საფუძველი, დაკავშირებულია პიროვნების მოთხოვნილებათა, მიდრეკილებათა სისტემასთან, მის დინამიკასთან, იგი გავლენას ახდენს ადამიანის მთელს ქცევაზე, მთელ ფსიქიკურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით ფსიქიკური ცხოვრების დინამიკაზე. ტემპერამენტის თავისებურებით აღბეჭდილია გონებრივი და ნებელობითი მოქმედების აღმოცენების სისწრაფე, ინტენსივობა, გადანაცვლება, საერთოდ, მათი დინამიკური მხარე. ამრიგად, ტემპერამენტი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მოთხოვნილებებთან, მჟღავნდება ემოციურ-იმპულსური მოქმედების სახით და ამ უკანასკნელის საშუალებით განსაზღვრავს მთელი ფსიქიკური ცხოვრების დინამიკას.

ტემპერამენტი მჭიდრო კავშირში იგულისხმება სხეულებრივ პროცესებთან, ვიდრე ინტელექტი ან ხასიათი. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ ტემპერამენტის შემთხვევაში, პირველ რიგში, მართლა ემოციურ დისპოზიციასთან უნდა გვქონდეს საქმე, იმიტომ რომ, როგორც ვიცით, ისე განუყრელად არაფერი არაა სხეულებრივ პროცესებთან დაკავშირებული, როგორც სწორედ ემოციური განცდები. ალბათ, ამით აიხსნება ის, რომ ტემპერამენტის დახასიათებისას ემოციურ განცდებს იმ შემთხვევაშიც დიდ ადგილს მიაკუთვნებენ, როდესაც მასში მთელი პიროვნების საფუძველს ჭვრეტენ და არა მარტო გრძნობისას.

ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენმა მეცნიერმა, ექიმმა ჰიპოკრატემ, პირველად შეამჩნია ადამიანთა შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებულობა და ამ განსხვავებულობის საფუძვლად ტემპერამენტი აღიარა. ჰიპოკრატემ პირველმა შემოიღო ტემპერამენტის ცნება და მოგვცა ტემპერამენტის ტიპების კლასიფიკაცია, რომელსაც მეცნიერებაში დღემდე არ

დაუკარგავს მნიშვნელობა. ჰიპოკრატეს მიერ დადგენილი ტემპერამენტის ტიპები დღემდე ყველაზე უფრო გავრცელებულია მეცნიერებაში. ამ კლასიფიკაციის მიხედვით ადამიანთა შორის დასტურდება ტემპერამენტის ოთხი ძირითადი ტიპი: სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატიკური და მელანქოლიკური. ჰიპოკრატემ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების (მათ შორის საქართველოს შავიზღვისპირეთიც) ტემპერამენტის თავისებურებანი, წარმოადგინა ოთხ ტიპად დაყოფის საფუძვლად ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ჰუმორალური პროცესები. კერძოდ, ტემპერამენტის ტიპების ასახსნელად მან მთავარი როლი მიანიჭა ორგანიზმში არსებული სითხეების შეფარდებას. იგი თვლიდა რომ ორგანიზმში არის ოთხი სითხე - სისხლი, რომელიც ათბობს ორგანიზმს; ნაღველი, რომელიც სიმშრალეს იცავს ორგანიზმში; შავი ნაღველი, რომელიც სინოტივეს და სიცხეს ინახავს ორგანიზმში და ლორწო, რომელიც აცივებს ორგანიზმს. ხოლო ტემპერამენტის თავისებურებას განსაზღვრავს ის, თუ რომელი სითხე ჭარბობს ადამიანის ორგანიზმში. ასე, მაგალითად, თუ ადამიანის ორგანიზმში ჭარბობს სისხლის შემადგენლობის სითხე, ვიღებთ სანგვინიკურ ტიპს, თუ ნაღვლის წვენი ჭარბობს - ქოლერიკულს, შავი ნაღვლის წვენის ჭარბობის შემთხვევაში - მელანქოლიკურს, ხოლო თუ ლორწო ანუ ფლეგმა უფრო მეტია - ფლეგმატიკურს. ამ სითხეთა სახელწოდებიდან მომდინარეობს დასახელებაც. სინამდვილეში ეს ფაქტორი მართლაც დიდ როლს თამაშობს, მაგრამ დღეისათვის მიღებულია, რომ მთავარი და გადამწყვეტი ტემპერამენტის სხვადასხვაობისათვის ნერვული სისტემის თავისებურებანია და ჰუმორალური საფუძვლებიც მათგან გამომდინარეობს.



ოთხი ტემპერამენტის გამომსახველი მარტივი ნახატი
(ზედა მარჯვენა კუთხიდან საათის ისრის მიმართულებით: ქოლერიკი, მელანქოლიკი, სანგვინიკი, ფლეგმატიკი)

სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანისათვის დამახასიათებელია ემოციების ძლიერი აგზნებადობა. სანგვინიკის ემოცია სწრაფად აღმოცენდება, მიმდინარეობს ინტენსიურად, ამავე დროს ხასიათდება მერყეობით, სწრაფწარმავლობით - სანგვინიკს ძლიერი ემოცია ადვილად უჩნდება, მაგრამ მალევე უქრება. მასში ერთი განწყობილება სწრაფად ცვლის მეორეს, საერთოდ, ფსიქიკური მდგომარეობა მიმდინარეობს სწრაფად. ამავე დროს იგი ადვილად ახერხებს ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადანაცვლებას. ასეთი ადამიანი სწრაფია, მოძრავი, სიცოცხლით სავსე, შეუძლია დიდხანს მუშაობა; მისი გრძნობები უშუალოდ და შეუკავებლად აისახება გამოსახულებით მოძრაობებში, მაგრამ ისინი არ არიან ძლიერი და ხშირად სცვლიან ერთმანეთს. სანგვინიკს მიდრეკილება აქვს დადებითი (სასიამოვნო) სახის გრძნობებისაკენ. მასში უფრო ადვილად აღმოცენდება ოპტიმისტური ხასიათის ემოციები; იგი ყოველთვის კარგს მოელის ცხოვრებისგან, ვიდრე ცუდს; უდარდელია, აქტიური, მხიარული, კომუნიკაბელური - ექსტრავერტი, უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა (თავს ცუდად გრძნობს იმ გარემოში, სადაც საკმარის ყურადღებას არ უთმობენ) ,არის იმედებით აღსავსე, ადამიანთა ურთიერთობაში უფრო დადებით მხარეებს ამჩნევს, ვიდრე ცუდს. ძირითადად არიან ლიდერები, აქვთ ორგანიზატორული ნიჭი, არ არიან კონფლიქტურები. ამრიგად, სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანის არსებითი ნიშნებია: ემოციების ადვილი აგზნებადობა, ინტენსიური ემოციების ნაკლები ხნიერება, ფსიქიკური ტემპის სისწრაფე, ადვილი გადანაცვლება და ოპტიმისტური ემოციებისადმი მიდრეკილება.

ქოლერიკული ტემპერამენტის ადამიანის ემოციურ-იმპულსური ქცევაც ადვილად აგზნებადია; მისი ემოცია ძლიერია და შედარებით მყარი; პიროვნება მთლიანად ჩაძირულია, შეპყრობილია სწრაფად აღმოცენებული ძლიერი ემოციით; გაძნელებულია ახალი სიტუაციის შესაფერის მოქმედებაში გადასვლა,

გადანაცვლება; პიროვნება დიდხანს იმყოფება ემოციის ტყვეობაში. ამავე დროს დამახასიათებელია გაუწონასწორებლობა, მძლავრი ემოციებისაგან ერთბაშად, ნახტომისებურად განტვირთვა, მძლავრი აფექტური ხასიათის ემოციებისაგან ერთბაშად გათავისუფლება და ახალ ემოციებზე გადართვა. ამიტომ ქოლერიკი გუნება-განწყობილების მერყეობითაც ხასიათდება. ქოლერიკის ჭარბი შთაბეჭდილება ხშირად შეზღუდულია მისი პიროვნების დამპყრობი რომელიმე ვნებით.ეს ვნება ღრმა და ხანგრძლივია, ასეთი ვნებიდან თავის დაღწევა დიდი უსიამოვნების მომგვრელია; მაგრამ თუ ეს აუცილებელია, ქოლერიკი მას ახერხებს ერთბაშად და გადაჭრით. ასეთი ტემპერამენტის ადამიანს უფრო უარყოფითი (უსიამოვნო) ემოციებისადმი აქვს მიდრეკილება; იგი უფრო ხშირად გაღიზიანებულია, უკმაყოფილოა და ხანდახან აგრესიულიც. მისი ენერგიული მოქმედება მიმდინარეობს უსიამოვნო ემოციების თანხლებით. ქოლერიკის ყოველი ემოცია მკვეთრად აისახება მის მოძრაობებში-მიმიკასა და პანტომიმიკაში; მისი მოძრაობები სწრაფია, ენერგიული, მეტყველება მგზნებარე. ქოლერიკული ტიპის ადამიანი აქტიურია, მოუწესრიგებელი, უყვარს საკითხის აჟიტირება, კომუნიკაბელური-ექსტრავერტი, უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა (ყურადღების მიქცევის მიზნით შეიძლება გამოამჟღავნოს აგრესია). ამრიგად, ქოლერიკული ტემპერამენტის ძირითადი ნიშნებია: ადვილად აგზნებადი ძლიერი ემოციები, ემოციათა ძლიერი მერყეობა, ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეზე მკვეთრი და ერთბაში გადანაცვლება, უსიამოვნო ემოციებისადმი მიდრეკილება, მოძრავი, მეტყველი გამოსახულებითი მოძრაობები.

ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანის ემოცია ძნელად აგზნებადია, მხოლოდ ძლიერი და პიროვნებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე გამაღიზიანებელი იწვევს მასში ემოციის აღმოცენებას. ერთხელ გაჩენილი ემოცია, რომელიც შეიძლება ძლიერი იყოს, ნელია. ასეთი ადამიანი მშვიდია, გაწონასწორებული. აფექტის დროს მთლიანად იცლება უარყოფითი ემოციებისაგან. აფექტის დროს მთლიანად მიახლის ადამიანს პირში რასაც ფიქრობს. ამის შემდეგ მალევე გამოდის მდგომარეობიდან და თავიდან იწყებს უარყოფითი ემოციების დაგროვებას. აღმოცენებული ემოცია მყარია, მოქმედებაში იგი ხშირად შეუდრეკელია, ენერგიული, თანმიმდევარი; უჭირს საქმის დაწყება, ხოლო თუ დაიწყო ძნელად ამთავრებს. უჭირს შესასრულებელი სამუშაოს დროში ჩატევა. ადვილად ეფანტება ყურადღება. უჭირს გადაწყვეტილების მიღება. ვერ იგებს სწრაფ ლაპარაკს. მისი გამოსახულებითი მოძრაობები ღარიბია. ელოდება ინიციატივას ურთიერთობაში, ინტრავენტია. არ არის ამბიციური, არ უყვარს პირველობა, კარგი ხელქვეითია. არიან კარგი ორატორები, მეცნიერები. მას უფრო მიდრეკილება აქვს დადებითი და მშვიდი ემოციური განწყობილებისაკენ. ამრიგად, ფლეგმატიკური ტემპერამენტის ადამიანის ძირითადი ნიშნებია: ემოციების ნელი და ძნელი აღმოცენება, ფსიქიკის და მოძრაობების ნელი ტემპი, ჭარბი შინაგანი წონასწორობა, გადანაცვლების სიძნელე, დადებითი გრძნობებისადმი მიდრეკილება.

მელანქოლიკური ტემპერამენტის ადამიანის ემოცია ხასიათდება ნელი, მაგრამ მძლავრი და მყარი ემოციური აგზნებადობით. ერთხელ აღმოცენებული ემოცია მთლიანად იპყრობს პიროვნებას. მას უჭირს მისგან განთავისუფლება, გუნება-განწყობილების შეცვლა. მისი ძლიერი ემოციები სუსტად მჟღავნდება გამოსახულებით მოძრაობებში, იგი უფრო თავის თავში ჩაკეტილია, უჭირს თავისი მძიმე განცდების სხვისათვის გაზიარება, მიდრეკილება აქვს უარყოფითი ემოციებისადმი, ხშირად იპყრობს უიმედობა, ცხოვრებაში უფრო ცუდ მხარეებს ამჩნევს, ვიდრე კარგს. თავს დამნაშავედ გრძნობს კონფლიქტურ სიტუაციებში და ცდილობს დიპლომატიურად გამოვიდეს სიტუაციიდან. უყვარს ბევრი კითხვების დასმა. მელანქოლიკური ტიპის ადამიანი ინტრავენტია. მისი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად საჭიროა კომპლიმენტების თქმა.

რეალურად და გამოკვეთილად ცალკეული ტიპი არ გვხვდება, ადამიანი არ შეიძლება ზუსტად მიეკუთვნოს ერთ რომელიმე ტიპს. პიროვნების ტემპერამენტი შედარებით მრავალფეროვანია, იგი სხვადასხვა ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს მოიცავს. ჩვეულებრივ, ადამიანებს სხვადასხვა ტიპის ტემპერამენტის ნიშნები გააჩნია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უფრო მეტადაა წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, შეიძლება ადამიანს ჰქონდეს სანგვინიკოსისა და ფლეგმატიკოსისათვის დამახასიათებელი თვისებებიც, მაგრამ ქოლერიკოსის ნიშან-თვისებები ჭარბობდეს ორივეს. ამდენად, ლაპარაკი ტემპერამენტის ტიპზე ცხოვრებისეულ რეალობაში პირობითია: იგი გულისხმობს იმას, თუ ტემპერამენტის ნარევ ტიპებში რომლის ნიშან-თვისებები ჭარბობს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური სხვაობები, რომელიც სხვადასხვა ტემპერამენტის ტიპის წარმომადგენელთა აქტივობაში იჩენს თავს, განპირობებულია თანშობილი ფიზიოლოგიური საფუძვლებით. კერძოდ, ძირითადად ნერვული სისტემის თვისებებითა და უმაღლესი ნერვული მოქმედების სხვადასხვაობით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთ თვისებებს როგორიცაა აგზნებისა და შეკავების ძალა, აგზნებისა და შეკავების გაწონასწორებულობა და ამ პროცესთა მოქნილობა (თუ რამდენად სწრაფად და ადვილად ცვლიან ისინი ერთმანეთს).

ტემპერამენტის ერთმნიშვნელოვანი კავშირი ნერვული სისტემის თავისებურებებთან გასაგებს ხდის მის სიმყარეს და უცვლელობას. ადამიანის ცხოვრების მანძილზე ტემპერამენტის შეცვლა და

გარდაქმნა თითქმის არ ხდება, მათზე, როგორც მთლიანი პიროვნების ერთ-ერთ ქვესისტემაზე მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს სოციალური ჯგუფის ზნე-ჩვეულებანი, ინტერესები, მოთხოვნილებები და სხვა გარემოებანი, რომელთა გავლენით დიდი ჯაფის ფასად, შესაძლებელია ტემპერამენტის მხოლოდ ცალკეული, მაგრამ არამთავარი თვისების ცვლილება და გაუმჯობესება. ტემპერამენტი მცირედ იცვლება აგრეთვე ასაკისა და საერთო ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გავლენით.

ამრიგად, ტემპერამენტის ძველი ტიპოლოგია თითქოს დღესაც ძალაში რჩება. ამასთან ერთად, დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტემპერამენტის ფიზიოლოგიური საფუძველი არამარტო ენდოკრინულ პროცესებში უნდა ვეძიოთ, არამედ განსაკუთრებით ნერვულ პროცესებშიც.

ლიტერატურა:
1. ვლ. ნორაკიძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1992;
2. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998;
3. ც. ლომსაძე, პიროვნების ფსიქოლოგია, ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი, თბ., 1992;
4. ფსიქოლოგიის საფუძვლები, რედაქტორი: პროფ. ი. იმედაძე, თბ., 2005;
5. http://ka.wikipedia.org

ნაფიც მსაჯულთა როლი სასამართლო სისტემაში

თამარ ოქროშიაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **კარლო ბზიშვილი,** აკადემიური დოქტორი

2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ ეს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება, სისხლის სამართლის საქმე ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109–ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით, განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. დანაშაულთა ერთობლიობისას თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისგან და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან, გარდა სსს კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს 6–ზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, 8–ზე ნაკლები მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, 10–ზე ნაკლები განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ: ითვლება 18 წელს გადაცილებულ პირად, იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი, თუ პირს შეზღუდული არ აქვს ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. სასმართლო ვალდებულია ინდივიდუალურად გაითვალისწინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესები.

პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე: თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული, თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს რომელშიც

მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, თუ ხანგრძლივად იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ და გადაცილებულია 70 წელს.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე მოსამართლე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სიას არა უმეტეს 100 პირის შემადგენლობით. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის შემდეგ თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც უნდა იყოს არა უგვიანეს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან მესამე დღისა.

თუ წარმოდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო თანახმაა, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. თუ, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, რაც დადებითად აისახება განაჩენის ობიექტურობაზე.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი. იგი აღნიშნულ განმარტებას იძლევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231–ე მუხლის მეორე ნაწილის გათვალისწინებული წესით. განმარტებისას თავმჯდომარეს ეკრძალება, რაიმე ფორმით, პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება.

თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ ნაფიც მსაჯულს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულს ათავისუფლებს და მის ნაცვლად ნიშნავს სათადარიგო მსაჯულს. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ნიშნავს უფროს მსაჯულს, რის შემდგომაც მსაჯულები დებენ ფიცს.

ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრლდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში ყოფნის ან ნასამართლეობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად. ნაფიცი და სათადარიგო მსაჯულთა გარდა არავის აქვს უფლება იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.

ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ უფროსი მსაჯული თანმიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმალურობით. ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარმოდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით. თითოეული ნაფიცი მსაჯული გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას საკითხისადმი. ნაფიც მსაჯულს უფლება არ აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. ისინი ხმას აძლევენ მსაჯულთა სიაში რიგითობის მიხედვით. უფროსი მსაჯული ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგს.

სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და, რაც მთავარია, სამართლიანი. სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლო სასჯელი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე. ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.

ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იგებენ ერთხმად, თუ სამი საათის განმავლობაში ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება, მაშინ მომდევნო ექვსი საათის განმავლობაში მიიღება ხმათა უმრავლესობით. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიც მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8

ხმით, თუ მსაჯულთა რაოდენობა 10–ია, მაშინ ვერდიქტი მიიღება 7 ხმით და ა.შ. თუ მსაჯულებს არ შესწევთ უნარი მიიღონ ერთსულოვანი გადაწყვეტილება, მაშინ სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის მნიშვნელობას. აღნიშნული განმარტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულებს დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ვერდიქტი. თუ მომდევნო 3 საათის განმავლობაში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მოსამართლე მისცემს მათ გონივრულ ვადას, ან დაითხოვს და დანიშნავს მსაჯულთა ახალ შემადგენლობას. იმ შემთხვევაში, თუ ვერც მათ შეძლეს ვერდიქტის გამოტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

ვერდიქტის გამოტანის და უფროსი მსაჯულის მიერ ხელმოწერის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს. ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მადლობას უხდის ნაფიც მსაჯულებს და დაითხოვს მათ, ხოლო გამამართლებელი ვერდიქტის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, რაც შეეხება გამამტყუნებელი ვერდიქტის დროს თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. მათ მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ხოლო მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი.

1 ოქტომბრიდან თბილისში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამოქმედდება. ნაფიცი მსაჯული ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება გახდეს, მათ საარჩევნო სიიდან შემთხვევით არჩევენ. 12 მსაჯული ჯერ მხოლოდ განზრახ მკვლელობის საქმეში ბრალდებულს გაასამართლებს. ნაფიც მსაჯულობა სამოქალაქო ვალდებულებაა და მსაჯულობაზე უარის განცხადების შემთხვევაში პირს ეკისრება ფულადი ჯარიმა 100–დან 1500 ლარამდე ოდენობით. უარის თქმა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში შეიძლება. ნაფიცი მსაჯული ვერ გახდებით, თუ ხართ: იურისტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სახელმწიფო–პოლიტიკური თანამდებობის პირი, ძალოვანი უწყების ან შეიარაღებული ძალების თანამშრომელი, ადვოკატი, ნარკოტიკული საშუალებისთვის ნასამართლევი.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ქართულ სასამართლო სისტემაში მართლმსაჯულების სამართლიან, კანონიერ აღსრულებას ემსახურება. ეს ინსტიტუტი მოქმედებს ისეთ წამყვან ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ინგლისი და ევროპის სხვა ქვეყნები, საიდანაც საქართველოს ხელისუფლებამ გადმოიღო ეს სასამართლო რეფორმა, რომელიც ხალხში სასამართლოს, მართლმსაჯულებისადმი ნდობის ფაქტორის აღდგენას ემსახურება. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება უზრუნველყოფს სასამართლოს მიუკერძოებლობას, რაც აღმოფხვრის ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან ახალი რეფორმით ვერდიქტი მიიღება არა მარტო მოსამართლის შეხედულებით, არამედ 12 მსაჯულის გადაწყვეტილებით.

2012 წლიდან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოს მასშტაბით ყველა იმ საქმეზე გამოიტანს ვერდიქტს, რომელიც სასამართლოში მოხვდება.

ლიტერატურა:

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2010

მსოფლიო რენესანსის საწყისის შესახებ

მარიამ ტატიშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გივი კასრაძე,** დოქტორი

თავისი შინაარსით რენესანსი ნიშნავდა ბერძნული ფილოსოფიის აღდგენას დედანის სახით, აგრეთვე, სქოლასტიკური ფილოსოფიის უკუგდებას, ანუ ფილოსოფიის განთავისუფლებას რელიგიის მსახურის როლიდან და ფილოსოფიის საგნის ახლებურ გააზრებას. რენესანსის ცნება ვერ ეტევა მხოლოდ მეცნიერებისა და ბერძნული ფილოსოფიის აღდგენა-განვითარებაში. იგი მოიცავს სოციალური ყოფის ყველა ასპექტს და მის შესაბამის საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ფორმას: პოლიტიკურ შეხედულებას. სამართალს, ხელოვნებას, მორალს, რელიგიას, მეცნიერებას, ფილოსოფიას.

რენესანსი ნიშნავდა, აგრეთვე, ძველი ფეოდალური წყობილების შერყევასა და ახალი, კაპიტალისტური წარმოების გამარჯვებას.

ტრადიციული გაგებით რენესანსი იწყება XIV ს. რომში, იტალიაში. ავღნიშნავთ, რომ XX ს. 60-იან წლებში საქართველოში ჩატარდა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" 800 წლის იუბილე, სადაც მსოფლიოს მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ რენესანსი დაიწყო საქართველოში XII საუკუნეში; ეს აღიარება დავიწყებასაა მიცემული. თუმცა, ფაქტიურად, რუსთაველმა პირველმა გაბედა ექადაგა ჰუმანიზმი. იგი უდიდესი ჰუმანისტია. მან პირველმა წამოსწია ზოგადსოციალური პრობლემები და წამოაყენა მიჯნურობისა და მეგობრობის უკვდავი იდეა. რუსთაველის ქმნილება ვერ ეტევა რომელიმე კლასობრივ წყობილებაში. მასში ასახულია ზოგად - საკაცობრიო მოვლენები განსხვავებით "ევროპული" რენესანსისგან, რომელიც ეფუძნება მხოლოდ კლასობრივ ინტერესებს.

მსოფლმხედველობის მიხედვით რუსთაველი მატერიალისტური პანთეიზმის პოზიციებზეა. მისთვის ერთიდაიგივეა ღმერთი და სამყარო, ღმერთი სამყაროშია გაცხადებული და მასთან გაიგივებული.

სიტყვა "პანთეიზმი" ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს "ყოველი ღმერთი". პანთეიზმი ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომლის მიხედვით ღმერთი ბუნების მიღმა კი არაა, როგორც წარმოედგინათ ძველ ბერძნულ ფილოსოფიასა და შუა საუკუნეების სქოლასტიკურ აზროვნებას, არამედ იგი სრულიად ახლებური აზროვნებაა, რომლის მიხედვითაც ღმერთმა, როგორც სუბსტანციამ შექმნა სამყარო და მასში (სამყაროში) გაცხადდა და გახდა მისი იგივეობრივი. პანთეიზმისათვის ღმერთი და სამყარო ერთიდაიგივეა. უცვლელი და უძრავი ღმერთი ცვალებადი და მოძრავი სამყაროს სახით არსებობს.ძველბერძნული და სქოლასტიკური გაგების წინააღმდეგ სამყარო აღარაა "არარსი", რადგანც სამაყაროშია გაცხადებული ღმერთი როგორც სუბსტანცია.

რუსთაველი აღიარებს ერთ ღმერთს, როცა მიმართავს: "ჰე ღმერთო ერთო"-ს. ეს ერთი ღმერთი რუსთაველთან არის სუბსტანცია, ანუ სამყაროს შემოქმედი. რადგანაც სამყარო ღმერთისაგანაა შექმნილი პანთეიზმის ერთ-ერთი, შესაძლოა ერთადერთი და პირველი წარმომადგენელია, იგი "არარსი", "ხრწნადი და წარმავალი" როდია, - არამედ ძლიერი არსისაგან (ღმერთისაგან) შექმნილი სამყარო ასევე ძლიერი არსებისაა: "რომელმან შექმნა სამყარო, - ძალითა მით ძლიერითა". რუსთაველთან ,,ძალითა მით ძლიერითა" სამყარო მოწყვეტილი როდია მისგან შემქმნელი ღმერთისაგან. არამედ მასშია შერწყმული და გაიგივებული და შექმნის შემდეგ, დროში და სივრცეში თანაარსებულნი და ერთმანეთში გაცხადებულნი.

"ვეფხისტყაოსანს" საქართვლოში, თუნდაც მსოფლიოში, წინ უძღოდა სასულიერო ხასიათის იმდროინდელი ეპოქალური შედევრები ხელოვნებაში, მეცნიერებაში,

ფილოსოფიაში და კულტურაში, - მაგრამ, ისინი მხოლოდ სასულიერო შინაარსის ქმნილებებია, მათგან განსხვავებით რუსთაველის ქმნილება საერო ხასიათისაა და თავისი ამგვარობით, ძირფესვიანად განსხვავებული, ახლებური აზროვნების საწყისია. სამყაროს ახლებურ გაგებასთან ერთად ახლებურადაა გაგებული სამყაროს ქმნილება ადამიანი და საერთოდ ადამიანური, ანუ ჰუმანური თვისებები: გმირობა და ვაჟკაცობა, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, სიყვარული და მიჯნურობა და მრავალი სხვა... რუსთაველის ადამიანი არაა მხოლოდ ბიოლოგიური არსება, - არამედ ბიო-სოციალური არსებაა. ის არც მისტიკური არსებაა, არამედ ამქვეყნიური, რეალური, ჩვეულებრივი ადამიანია, ამქვეყნიური, ჩვეულებრივი მიზნებითა და მოქმედებით. მისი ადამიანი პასიური როდია, როგორც ასეთად განიხილებოდა რუსთაველამდე, არამედ მებრძოლი და ღირსების მქონე პიროვნებაა, ჰუმანიზმის ახლებური გაგების მედროშეა კაცობრიობის ისტორიაში. რუსთაველის ადამიანი განდეგილი და მისტიკური არსება კი არაა, არამედ მთელ სოციალურ გარემოცვაშია. იგი ოჯახის, საზოგადობისა და სახელმწიფოს წარმომადგენელია. მისი დევიზია მეგობრობა და არა მტრობა:

"ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად;
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად."

რუსთაველთან, სიყვარული, ჩვეულებრივ, ადამიანთა სხვა თვისებათა შორის უპირველესი თვისებაა, იგი სუბსტანციაა სხვა თვისებათა შორის. იგი "გზა და ხიდია" ყოველგვარი სიკეთისა, მათ შორის ადამიანთა შორის მეგობრობისა. თქვენ ვერ დაასახელებთ ამ ეპოქის სხვა მოაზროვნეს მსოფლიოში, რომელსაც პიროვნული მეგობრობა აეყვანოს სახელმწიფოთა-შორის, ანუ მსოფლიო დონეზე: "მათ სამითვე სამეფოსა, თხა და მგელი ერთად ძოვდეს."

რუსთაველმა შემდგომ ეპოქებს გაუსწრო ქალისა და მამაკაცის გაგების საკითხშიც;

"ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია."

ამ და სხვა უამრავი პრობლემების დასმითა და გენიალური გადაწყვეტით, რუსთაველი არა მარტო ცივილიზაციის ერთი ეპოქის, რენესანსის დამწყებია, არამედ თავისი გენიით იგი ვერ ეტევა თვით რენესანსის ეპოქაში და მისი ქმნილება ზეეპოქალური და ყოველთვის თანამედროვე მსოფლიო გენიაა. მას

დღესაც არ დაუკარგავს მსოფლიო მნიშვნელობა ხელოვნებაში, მეცნიერებასა, ფილოსოფიასა და კულტურაში.

იმისათვის, რომ უკეთ გავეცნოთ მსოფლიო რენესანსის საწყისს ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და სოციოლოგიაში, -მოკლედ შევეხებით, ძველი გაგებით, "რენესანსის დამწყებთ" საუკუნეების შემდეგ იტალიაში თუ როდის და რა თვალსაზრისით და ვინ ითვლებოდნენ ასეთებად.

რომაული რენესანსის წარმომადგენელი ნიკოლოზ კუზანელი მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ XV საუკუნეში მიდის პანთეიზმამდე, ისიც იდეალისტურ პანთეიზმამდე. მისთვის სამყარო ღმერთშია მოცემული… და თუ მისი ეს დებულება წარმოადგენდა რენესანსის საწყისს ფილოსოფიაში, - რუსთაველი მატერიალისტი პანთეისტია და ამ მხრივ მაღლა დგას კუზანელზე. რუსთაველი აშკარად გამოდის ღმერთისა და მისგან შექმნილი სამყაროს ძველი გაგების ფილოსოფიის წინააღმდეგ.

საერთოდ, რენესანსისათვის დამახასიათებელია ანტიკური ფილოსოფიის აღდგენა, სქოლასტიკური ფილოსოფიის დაძლევა და ორმაგი ჭეშმარიტების თეორია. ესაა გარდამავალი ეპოქა ფეოდალური წყობილებდან კაპიტალისტურზე. კუზანელის მიზანია რელიგიისა და მეცნიერების იგივეობისა და ღმერთის არსებობის დასაბუთება, რისთვისაც იყენებს ბერძნულ ფილოსოფიას დიალექტიკის სახით. დაპირისპირებული საგნები ერთმანეთში იმყოფებიან. განსხვავებულნიც ერთმანეთში არიან და ამ ერთიანობით აღწევენ აქტუალურ უსასრულობამდე, ღმერთამდე. ღმერთი ყველა წინააღმდეგობას ნიშნავს.

კარდინალი კუზანელი, როგორც ფილოსოფოსი, მეცნიერი, ფაქტიურად უარყოფს ტრადიციულ ღმერთს; მისთვის ბუნება ღმერთშია მოცემული და ღმერთთან გაიგივებული.

რენესანის უდიდესი წარმომადგენელია ჯორდანო ბრუნო (1548-1600წ.). მას არ აკმაყოფილებდა შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფილოსოფია; გაეცნო რა კოპერნიკის ჰელიოცენტრისტულ სისტემას თვალწინ გადაეშალა რელიგიური დოგმების "არარაობა."

ბრუნოს ფილოსოფიის ცენტრშია არა ღმერთი, არამედ ბუნება. ადამიანის მიზანია ბუნების შემეცნება. მისთვის "ჭეშმარიტი ფილოსოფია იმავე დროს არის ჭეშმარიტი მუსიკა, პოეზია, მხატვრობა." ცოდნის საგანია არა ღმერთი, არამედ ბუნება. "ბუნების შეცნობა ათავისუფლებს ადამიანს ცრურწმენებისაგან." ბუნების შეცნობა მხოლოდ გრძნობებით ვერ აკმაყოფილებდა მას. შემეცნების თეორიაში შემოაქვს გონება, გონებით შემეცნება.

ბრუნო ანადგურებს დებულებას: "სასრული ბუნების" შესახებ. მისი სამყარო უსასრულოა. უსასრულოა სამყაროს სივრცეც. თუ კუზანელი უსასრულობას მიაწერს ღმერთს და ქმნის ღმერთისა და სამყაროს გაიგივების ბაზაზე იდეალისტურ პანთეიზმს, -ბრუნო აყალიბებს და ანვითარებს მატერიალისტურ პანთეიზმს. ღმერთი ბუნებაშია გაცხადებული: "ღმერთს არ უნდა დაუწყოთ სადღაც ძებნა. ღმერთი აქ, ბუნებაშია გათქვეფილი". ამით მან ღმერთს მოუძებნა მიწიერი სასუფეველი.

მთელი სამყარო შედგება მატერიის ნაწილაკებისაგან, "მონადებისაგან". მატერია სუბსტანციაა. იგი უსასრულოა.

ამრიგად, რენესანსის ეპოქის ფილოსოფიას, ისევე როგორც საერთოდ რენესანსს, უდიდესი ზოგად-საკაცობრიო, ზოგად-მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების პროგრესის ურთულესი პროცესის დროს. მან მოახდინა გარდატეხა ყოფითი ცხოვრების ყველა სფეროში და აზროვნებაში.

ამრიგად, რენესანსის ეპოქა, როგორც მსოფლიო ცივილიზაცია იწყება არა იტალიაში XV-XVI საუკუნეების ხელოვნებისა და ფილოსოფიის სახით, არამედ XII ს. საქართველოში რუსთაველის გენიალური "ვეფხისტყაოსანი"-ს სახით.

ლიტერატურა:

1. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986;
2. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956; ტ. II, 1958;
3. მ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1941;
4. ფილოსოფიის შესავალი, თბ.; 1992;
5. „ჩვენი უნივერსიტეტი“, #1; #2, 2011.

ქართული სამართლის მეცნიერული ისტორიის მესაძირკვლე

ირინე ტერმაკოზაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ივანე ბალახაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

ქართული სამართლის ისტორია ჰუმანიტარული ქართველოლოგიის არსებითი ნაწილია. დიდად დაგვიანდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის მეცნიერული ისტორიის შექმნა.

ამას თავისი ახსნა ჰქონდა.

იურისტ-სპეციალისტთაგან მხოლოდ ერთადერთი, ნ. ხიზანიშვილი, იკვლევდა ქართული სამართლის ისტორიას. მან აქ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია, თუმცა ამისათვის ბევრი ხელისშემშლელი გარემოება უნდა დაეძლია.

ურბნელი იმ ვითარებაში მოღვაწეობდა, როცა ქართული საისტორიო კვლევა-ძიება მეტად დაქვეითებული იყო, როცა არ არსებობდა ტექსტის აღდგენისა და წესიერად გამოცემის, მისი ფილოლოგიურად გამოკვლევის აუცილებლობის შეგნება. ურბნელი არ ფლობდა ისტორიულ და ფილოლოგიურ მეთოდოლოგიას, რაც აუცილებელი იყო ქართული იურიდიული ძეგლების კრიტიკული განხილვისა და აღდგენისთვის. ამასთან, ძველი ქართულის უცოდინარობა ზოგჯერ ტექსტის დედააზრის სწორად გაგებას აძნელებდა, ყოველივე ამას ერთვოდა მიუწვდომლობა ევროპულ ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა, ამას ემატებოდა სპარსული და არაბული ენების არცოდნაც. ყველაფერი ეს კი აუცილებელი იყო, საზოგადოდ, დასავლეთ ევროპის, რომის, ბიზანტიის და აღმოსავლეთის სოციალური წესწყობილების და სამართლის მეცნიერული მონაცემებით სარგებლობისათვის, რომ ამ გზით მას სათანადოდ დაეფასებინა ქართული იურიდიული დაწესებულებანი.

ურბნელის შემდეგ არცერთ იურისტს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა თავის სპეციალობად არ აურჩევია. ივანე ჯავახიშვილის აზრით: ,, შესაძლებელია ეს გარემოება იმითაც აიხსნებოდეს, რომ სამართლის ისტორიკოსი ერთსა და იმავე დროს იურისტიც და ფილოლოგ-ისტორიკოსიც უნდა იყოს, რაც, რასაკვირველია, იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხოლმე.“

ძველი სამართლის ისტორიკოსს კი ყველა ეს ნიშან-თვისება ერთობლივად უნდა ჰქონოდა. კლასიკურ ნიმუშად აქ შეიძლება ვახსენოთ თეოდორ მომზენის მაგალითი. ეს დიდი მკვლევარი - განათლებით იურისტი, გამოჩენილი ფილოლოგი და ბუმბერაზი ისტორიკოსიც იყო.

ივანე ჯავახიშვილი თავის თავში აერთიანებდა ფილოლოგისა და ისტორიკოსის ღრმა მეცნიერულ შეიარაღებას სამართლის საფუძვლიან ცოდნასთან შეერთებულს. სტუდენტობის დროს, ბერლინში ყოფნისას, ის იწვრთნებოდა სამართლის ისტორიაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მის თითქმის ყველა ნაშრომში გაძლიერებული ინტერესი ჩანს სამართლის ისტორიისადმი. ამ დროისთვის ყველაზე მეტი ნაშრომი მას სამართლებრივ საკითხებზე ჰქონდა გამოქვეყნებული. თვით მის საცდელ ლექციებში, განსაკუთრებით კი მის მიერვე შერჩეულ საცდელ ლექციაში, უპირატესად სამართლებრივი საკითხები იყო მიმოხილული. ხანგრძლივად მუშაობდა ივანე ჯავახიშვილი ქართული სამართლის ისტორიის საკითხებზე. ეს მუშაობა დაახლოებით 30 წელს გაგრძელდა.

მიღებული ტრადიციისამებრ მშობლიურ თბილისში ივანე ჯავახიშვილმა 1909 წლის 27 და 28 მაისს, 2 საჯარო ლექცია წაიკითხა, როგორც კონტექსტი ,,ქართული სამართლის ისტორიის.“ იმავე წელს ჟურნალ ,,ერში“ დაიწყო ,,ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა. ამ გზით მოხერხდა მხოლოდ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის და სამართლის წყაროების ისტორიული, კრიტიკული გარჩევის შემცველი თავების დაბეჭდვა. შემდგომ, ივანე ჯავახიშვილი, მართალია, ვერ ახერხებს ,,ქართული სამართლის ისტორიის“ სხვა ნაწილის დაბეჭდვას, მაგრამ განაგრძობს შეუწყვეტლივ კვლევას, ავსებს და ამდიდრებს მას.

ქართული სამართლის ისტორია უნივერსიტეტში პირველად წასაკითხ დისციპლინებს შორის იყო. მისი წაკითხვა თავიდანვე ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. იგი სავალდებულო საგნად იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, იურიდიული ფაკულტეტის დაარსებაზე ბევრად ადრე. საუნივერსიტეტო კურსად ,,ქართული სამართლის ისტორიის“ წაკითხვა ამდიდრებდა და აწინაურებდა ამ მეცნიერებას. ,,ლექციებზე ხმამაღალი აზროვნება“ ახალ იდეებსა და დასკვნებს შობდა.

ქართული სამართლის ისტორია სამ წიგნად გამოვიდა. ამით, ერთბაშად, ქართული სამართლის მეცნიერულ ისტორიას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა. ივანე ჯავახიშვილისთვის სახელმწიფო არ არის კლასობრივი ბატონობის იარაღი. სახელმწიფოს ისტორიული შესწავლა გულისხმობს საქართველოს მიწა-

წყლისა და მოსახლეობის დახასიათებასაც. შედეგად კიდევ უფრო ფართოვდება მისი ნაშრომის კვლევის სფერო.

ერთ პიროვნებაში გაერთიანებული ისტორიკოსი და ფილოლოგი, პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის დიდი სპეციალისტი, ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის მცოდნე, როცა მას თითქმის ყველა ამ დარგში ღრმა კვლევითი მუშაობა უკვე აქვს შესრულებული, წერს იურისპრუდენციის ცოდნით ქართული სამართლის ისტორიას და თავიდანვე მაღალ დონეს ქმნის ამ დარგის შესწავლისას.

კოლოსალური მუშაობის ჩატარება მოუხდა ივანე ჯავახიშვილს სამართლის ამ მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. არც მანამდე და არც შემდგომ არ გვყოლია ჩვენ ქართული საისტორიო მწერლობის უფრო დიდი მცოდნე და მკვლევარი, ვიდრე ივანე ჯავახიშვილია.

იმ ხანისთვის მას არ ჰქონდა იურიდიული წყაროები, სამაგიეროდ დიდი ისტორიკოსის ცხოველმყოფელი ნიჭი საშუალებას აძლევს გაბურღოს, ჩასწვდეს სამართლის უძველესი განვითარების ხვეულებს და იურიდიული მოვლენის სპეციფიკურობაც დაინახოს.

ქართული სამართლის ისტორიის პირველი წიგნი სამართლებრივი ტერმინოლოგიის ღრმა ანალიზით იწყება. აქ ავტორს უაღრესად შრომატევადი სამუშაოები აქვს ჩატარებული. ეს მუშაობა გულისხმობდა ქართული იურიდიული ტერმინების სრული ზედმიწევნილობითი მნიშვნელობის გამორკვევას ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებითი შესწავლის გზით. საქმე მარტო ტერმინოლოგიურ შედარებას კი არ ეხება, არამედ სხვადასხვა ქვეყნის სამართალთან ქართული სამართლის შედარებით დახასიათებას. ივანე ჯავახიშვილის განცხადების მიუხედავად, რომ მას „ქართული სამართლის ისტორიის შედარებითი შესწავლა მიზნად არ დაუსახავს“, მის ამ კაპიტალურ წიგნებში სწორედ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის მეზობელი ქვეყნების სამართლის ცოდნამ განაპირობა ის, რომ მას ფრიად საგულისხმო დასკვნები აქვს მოპოვებული ქართული სამართლის განვითარების უძველესი და უძნელესი პერიოდიდან. ყველაფერი ამის მიღწევა შეუძლებელი იყო ამ ქვეყნების სამართლის ისტორიის ღრმა ცოდნის გარეშე.

„ქართული სამართლის ისტორიის“ პირველსავე ტომში დახასიათებულია ქართული სამართლის წყაროები. ეს მიმოხილვა ქართული სამართლის პირველი ძეგლებით იწყება და მთავრდება ერეკლე მეფისა და გიორგი მეთორმეტის დროინდელი სამართლებრივი ძეგლებით.

„ქართული სამართლის ისტორიის” მეორე წიგნში დახასიათებულია ეკლესიის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოვლენები, როგორც ნაწილი იმ დროინდელი სახელმწიფო სამართლისა. ეს გაკეთებულია ქართული სამართლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ჭრილში.

ივანე ჯავახიშვილი ასევე შესანიშნავად ახასიათებს ვახტანგ მეექვსის საკანონმდებლო მოღვაწეობას. მე–18–ე საუკუნის I ნახევარში ცხოველდება კანონმდებლობა. „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა: ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამ დროინდელი მოღვაწეების აზრი და გონება იმ ფიქრისკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნეების ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავლობისთვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გადაეცათ“.

ქართული სამართლის ამ მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად ივანე ჯავახიშვილს უდიდესი მუშაობის ჩატარება მოუხდა. სამართლის, სახელმწიფო წყობის საკითხები, თითქმის ყველა, პირველად აქ არის წარმოდგენილ-განხილული. რა თქმა უნდა, არ იყო შესაძლებელი იურიდიულ ძეგლებში დაცული ცნობებით დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, უძველესი ქართული სამართლებრივი ძეგლები არც არის შემორჩენილი. ამ ვითარებაში საისტორიო ძეგლებით უნდა ესარგებლა მკვლევარს. აქ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც მანამდე და არც შემდგომ არ გვყოლია ჩვენ ქართული საისტორიო მწერლობის უფრო დიდი მცოდნე და მკვლევარი, ვიდრე ივანე ჯავახიშვილია.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორია“, გამომცემლობა ,,ტბილისი“, 1919.

პლატონის „ნადიმი“

მარინე ფიჩხნარაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **გივი კასრაძე,** დოქტორი

„ნადიმი” დიდი ბერძენი ფილოსოფოსების ერთხმად აღიარებული შედევრია. მისი სიუჟეტური ქარგა მარტივია და ლამაზი, დიალოგს 24 საუკუნის წინ გადავყევართ ძვ.წ.ა 416 წ. სადაც ახალგაზრდა ტრაგიკოსი აგათონი ნადიმს იხდის გამარჯვების აღსაღნიშნავად, აქ ამ ნადიმზე, ერთმანეთს ხვდებიან და სიყვარულზე-ეროსზე საუბრობენ, ათენის ინტელექტუალურ არისტოკრატიის უკეთესი წარმომადგენელნი.აქ არიან მორცხვი და მოკრძალებული ფედროსი, აქ არიან სოფისტი, პავსე და ექიმი ერიქსიმახოსი, კომედიოგრაფი არისტოფანე,ტრაგიკოსი აგათონი და ბოლოს, აქვე არიან ბერძენი სოკრატე და მომხიბლავი ჭაბუკი ალკიბიადე.თვითოეული მათგანის სიტყვას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის ბეჭედი აზის თვითოეული სიტყვა დასრულებული, დამოუკიდებელი, თავისთავადი ჰიმნია ერისისადმი, მაგრამ პლატონის გენიალური ხელოვნება უღრმესი შინაგანი კავშირით კრავს მათ, რაც ერთიან მთლიან ნაწარმოების სახეს ანიჭებს „ნადიმს’’, ხოლო ამ ერთიანობის მიზანია გვიჩვენოს ეროსის გენიალოგია,მისი არსი, ეფექტი და სხვა.

პლატონის აზრით, სიყვარული სამყაროს ერთიანობის დიდი პრინციპია, უნივერსალური ჰარმონიის, სიკეთისა და მშვენიერების წყაროა, უსასრულო და „სამყაროს სასიცოცხლო იმპულსია’’.

ჰესიოდეს თანახმად, ეს ორი იშვა პირველად-მიწა და ეროსი, ჰესიოდეს ამ მოსაზრებას ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ეროსი უძველეს ღმერთთა რიცხვს მიეკუთვნება, უძველეს რომაა, ეროსი უდიდესი სიკეთის მომნიჭებელიცაა ჩვენთვის. მართლაც, მე ვერ წარმომიდგენია რა შეიძლება შეედაროს ყმაწვილი კაცის ბედნიერებას, როცა მას კეთილშობილი მიჯნური ეტრფის, ან თვითონ უყვარს ვინმე გატაცებით, მხოლოდ სიყვარულს მიჰყავ კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში და არა გვარიშვილობას, დიდებას, მორჭმულობას თუ რამე სხვას.

რომ შეიძლებოდეს მთელი სახელმწიფოს ან მთელი ლაშქრის, სადაც მხოლოდ მიჯნურნი და მათი სატრფონი იცხოვრებდნენ თუ იბრძოლებდნენნ მხარდამხარ, მაშინ ვინ შესძლებდა მოტოქეობა გაეწია მათთვის ბიწისადმი სიძულვილსა და სათნოებისადმი სწრაფვაში? ხოლო ასე შეკავშირებული თუნდაც მცირერიცხოვან ხალხს ბრძოლის ველზე, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოც ვერ აღუდგებოდა წინ, რადგან თუ არის ვინმე, რომლის თვალწინაც მიჯნური არ ისურვებდა იარაღი დაეყარა და მტრისთვის ზურგი ეჩვენებინა, ეს სატრფოა მისი, ის ათასწილ არჩევდა ბრძოლაში დაცემულიყო, ვიდრე მარტო დაეტოვა საყვარელი არსება და გასაჭირში არ მიშველებოდა მას, რადგან ამ დროს ეროსი ყველაზე უფრო ჯაბანსაც კი გმირულ სულს შთაბერავს ხოლმე, ერთი სიტყვით, თი ჰომეროსი ამბობდა ღმერთი მხნეობას უნერგავს გმირებსო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროსი საგმირო საქმეთათვის აღაგზნებს მიჯნურთ.

რაც შეეხება პავსანიას იგი იძახდა რომ ყველა ეროსი ღირსი არაა ხოტბისა, ის ეროსია ლამაზი და ხოტბის ღირსი, რომელიც სიყვარულისთვის აღგვაგზნებს, ეროსი მიწიერი აფროდიტესი მართლაც რომ მიწიერია და აღვირახსნილი, სწორედ ეს ეროსი მეფობს მიწიერ კავთა შორის.როგორც ჩვენში ამბობენ უმჯობესია გიყვარდეს აშკარად ვიდრე ფარულად და ამასთან, გიყვარდეს ღირსეულნი და კეთილშობილნი, თუნდაც სხვებზე გაცილებით უსახურნი. უმრავლესობის აზრით მხოლოდ მიჯნურს შეუნდობენ ღმერთები ფიცის გატეხვას, რადგან როგორც ამბობენ მიჯნურის ფუცს ფიცი არ ეთქმის, ერთი სიტყვით, კაცს შეუძლია იფიქროს, რომ ჩვენში ჭეშმარიტად ღირსების საქმედაა მიჩნეული გიყვარდეს და სიყვარულითვე პასუხობდე მიჯნურს შენსას.

აი რას ამბობს ერიქსიმახოსი ეროსის შესახებ: ეროსი საუფლო მარტო კაცთა სულებით კი არ შემოიფარგლება, სადაც მის ერთადერთ მიზანს მშვენიერებისადმი სწრაფვა წარმოადგენს, არამედ ის მრავალ სხვა რამესავ ისახავს მიზნად, მრავალ სხვა საგანზეც ავრცელებს თავის ძალმორჭმულებას, როგორც მაგალიტად, გვამზე ყოველი ცხოველისა, დედემიწის ყველა ნაყოფზე, ერთი სიტყვით ყველა არსზე, ყველა სულდგმულზე, ამრიგად ამ დიად და საოცარ ღმერთს ემონება ყველაფერი, რასაც კაცურს ვუწოდებთ,ანდა ზეკაცურს.

ყოველი ეროსი ძლევაშემოსილი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყოვლისშემძლე ღმერთია უთუოდ, და მაინც მხოლოდ იმ ერისის კეთილგონიერება და სამართლიანობა უკვდავთა და მოკვდავთა

შორის სიკეთის დამკვიდრებას ემსახურება და რომელიც, ამასთან ყველა ნეტარების მომნიჭებელიცაა ჩვენთვის. სწორედ ეგ ეროსი გვარიგებს ერთმანეთთან და ღმერთების მეგობრებისა და კეთილგანწყობას გვიხვეჭს,ღმერთებისა რომელთა ბუნება ეგზომ მაღლა დგას კაცთა ბუნებაზე.

ნურავინ ეურჩება ეროსის ნებას, რადგან ეურჩო მის ნებას, ნიშნავს ღმერთების რისხვა დაიტეხო თავს. ხოლო ხვთაებრივ მეგობრობას და კეთილგანწყობას თუ დავიმსახურებთ მივემთხვევით კიდეც ჭაშმარიტ საგანს ჩვენი სიყვარულისა, რაც ახლა ჩვეულთა ხვედრია მხოლოდ. იგი ყვავილთა შორის არჩევს ცხოვრებას და ამითომ ეჭვს არ იწვევს სილამაზეზე მისი კანისა.მართლაც ეროსი წამითაც არ ჩერდება მასზე, რაც არ ყვავის, ან უკვე დაჭკნა, სულერთია რა იქნება ეს-სხეული, სული თუ სხვა საგანი, ის ბინას იდებს და ივანებს მხოლოდ იქ, სადაც ყვავილები ყვავიან და სურნელება იკმევა ირგვლივ.

რაც შეეხება სიმამაცეს, აქ ეროსს არესიც კი ვერ გაუწევს მეტიქეობას, მართლაც არესს კი არ მორჩილებს ეროსი პირიქით, არესი მორჩილებს ეროსს, რადგან აფროდიტეს ეხება საქმე, და რადგან მძლეველი ძლეულზე უფრო ძლიერია, ამიტომ მძლეველი ღმერთთა შორის უმამაცესისა ყველა ღმერთზე მამაცი უნდა იყოს უთუოდ.

კიდევ მრავალი რამის თქმა შეიძლება მისდა საქებლად, მაგრამ ეს შეიძლება სხვა მოკვდავთაც ახასიათებდეს, ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ არავის არა ჰგავს იგი, არც გარდასულთა და არც ცოცხალთა შორის.

ლიტერატურა:

1 პლატონის „ნადიმი'', მ. ბრეგვაძის თარგმანი, 1964;
2 მ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ I, 1941;
3 კ. ბაქრაძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებები, თსუ, 1976;
4 ვ. რამიშვილი, ფილოსოფია, 2010;
5 „ჩვენი უნივერსიტეტი", №1, 2, 2011.

ახალი დროის ფილოსოფიური აზროვნება (რენე დეკარტი)

მაგდა ყაჩლავაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ლელა თოგოშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ახალი ფილოსოფიის დამწყებად, ფრ. ბეკონთან ერთად რენე დეკარტი (1596-1650) ითვლება. თუ ბეკონი ინგლისური ემპირიზმის მამამთავარია და ამავე დროს დამწყებიც, რ. დეკარტი დამწყებია მეორე მიმართულებისა, რომელსაც რაციონალიზმი ეწოდება. ეს არის ახალი დროის რაციონალიზმი, რომელმაც, ინგლისურ ემპირიზმთან ერთად, ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, კანტის ფილოსოფიის მომზადებას, მეორე მხრივ, ფრანგული მატერიალიზმის ჩამოყალიბებას.

რ. დეკარტი ახალგაზრდა ბურჟუაზიის იდეოლოგია. იგი იმ პერიოდის ფილოსოფოსია, როცა ბატონობდა მექანიკის, მეცნიერებისა და გონების კულტი. ამ დროს ბურჟუაზია სასტიკად ებრძოდა ყოველივე ძველს, ყველაფერს თავიდან იწყებდა, ქმნიდა ახალ წყობას, ახალ ცხოვრებას. დეკარტის ფილოსოფიაც ამ ახალი „ეპოქის აზრი" იყო.

დეკარტის ძირითადი ფილოსოფიური თხზულებებია: „მსჯელობა მეთოდის შესახებ", „მეტაფიზიკური განაზრებანი", „ფილოსოფიის საწყისები" და სხვა.

როგორც ითქვა, დეკარტი ახალი დროის რაციონალიზმის მამამთავარია. რაციონალიზმი ისეთი მიმართულებაა, რომლის მიხედვითაც შემეცნების ერთადერთ უნარსა და წყაროს გონება წარმოადგენს და თავად სინამდვილეც გონების ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება. რაციონალიზმი და ემპირიზმი მიმართულებებია შემეცნების თეორიაში. ისინი ფილოსოფიის ძირითად მიმართულებებს – იდეალიზმსა და მატერიალიზმს – არ ემთხვევიან და მათ შორის განსხვავებას არ წარმოადგენენ.

რენე დეკარტი ცდილობს ჩამოაყალიბოს ფილოსოფია, როგორც მეცნიერება. მანამდე არსებული ფილოსოფია მას მეცნიერებად არ მიაჩნია. დეკარტის აზრით, მეცნიერების ნიმუშს იძლევა მათემატიკა,

კერძოდ გეომეტრია. ასე უნდა იქნეს აგებული ფილოსოფიაც, რათა ის მეცნიერება გახდეს. მეცნიერება არის სისტემა. ცოდნა, რომელიც სისტემას არ წარმოადგენს არ არის ცოდნა. ნამდვილი მეცნიერული ცოდნა მხოლოდ სისტემის სახით უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც. რას ნიშნავს სისტემა? სისტემა ნიშნავს აზრთა ისეთ წყობას, რომელსაც ერთი საწყისი, ერთი სათავე აქვს. სისტემა აზრთა ისეთი წყობაა, რომელიც ერთ დებულებაზე დამყარებით შენდება. სისტემა ერთი დებულებიდან უნდა გამომდინარეობდეს, ერთ დებულებაზე დაყრდნობით უნდა შენდებოდეს. სისტემა დასაბუთების სისტემაა, სადაც ყველაფერი საბუთდება, გარდა გამოსავალი დებულებისა. ხოლო ეს გამოსავალი დებულება აქსიომის ბუნებისა უნდა იყოს. სისტემა აზრთა ისეთი წყობაა, სადაც სათავეში აქსიომა უნდა იყოს.

ძნელია ამგვარი დასაწყისის მონახვა. ძნელია დასაწყისი, მაგრამ მის გარეშე მეცნიერება არ აშენდება. უნდა შეიქმნეს ფილოსოფია, როგორც სისტემა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოენახოს ერთი დასაყრდენი, აქსიომა, რაზედაც აშენდება ცოდნის სისტემა, ისეთი, როგორის ნიმუშსაც მათემატიკა იძლევა. ფილოსოფია უნდა აშენდეს მსგავსად გეომეტრიისა, რომელიც გამოდის აქსიომიდან და მათზე დაყრდნობით ამტკიცებს თეორემებს, გეომეტრიის ძირითად დებულებებს, როლებიც სისტემას შეადგენენ.

ფილოსოფიის პირველი დებულება ისეთი უნდა იყოს, რომელიც სხვას არაფერს არ ეყრდნობა, იგი თავისებური, არქიმედის მიერ მოთხოვნილი დასაყრდენი პუნქტი უნდა იყოს. პირველი დებულების დასაბუთება, დეკარტის აზრით, არ შეიძლება. მისი მხოლოდ მონახვა და დანახვაა შესაძლებელი. ცხადია, აქ ემპირიული მონახვა და დანახვა არ იგულისხმება. პირველი დებულების მონახვა და დანახვა იმას ნიშნავს, რომ გონებამ თავისთავად ცხადზე უცხადესი აქსიომატური დებულება მოძებნოს. რა გზით? ერთადერთი გზა, რომლითაც ჩვენ პირველ დებულებამდე მივალთ არის უარყოფის გზა, უარყოფის წესი. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი დებულების მონახვისათვის საჭიროა უარყოფა. პირველი დებულება შეიძლება მონახული იქნეს ყველაფრის უარყოფის გზით. უარყოფას ფილოსოფოსები ხშირად მიმართავდნენ, მაგრამ ამჯერად ყველაფრის უარყოფა უნდა მოხდეს ამ სიტყვის პირდაპირი აზრით, ამდენად ყველაფრის უარყოფის საქმე თავიდან უნდა იქნეს დაწყებული. დეკარტი უარყოფს, პირველ რიგში, შუა საუკუნეების შეხედულებებს, უარყოფს ყოველგვარ დოგმებს და მხოლოდ გონების სინათლეში ეძებს გამოსავალს. ასე ებრძვის ახალგაზრდა ბურჟუაზიის იდეოლოგი დეკარტი ფეოდალიზმის იდეოლოგიას – შუა საუკუნეების დოგმატიკას და ქრისტიანულ დოგმებს.

ფილოსოფიაში, როგორც მეცნიერებაში, მყარი დასაყრდენის მონახვა უნდა მოხდეს ყველაფრის უარყოფით როგორც შეგრძნებებში, ისე აზროვნებაში მოცემულის. უარყოფილი უნდა იქნას ყველაფერი ის, რაშიც შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. მხოლოდ ყოვლად უეჭვო დებულება იქნება პირველი დებულება.

ადამიანს გრძნობათა სამყარო მოჩვენებით სამყაროდ ევლინება, მაგრამ არც გონების დებულებებია უეჭვოდ მისაღები. ამიტომ უნდა ვიაროთ ეჭვის გზით, სანამ არ ვიპოვით უეჭვოს. ყოველი აზრის უარყოფით უნდა მივიდეთ რაღაც დადებითამდე, რომლის უარყოფა შეუძლებელი იქნება. უარყოფით მონახვა დადებითისა, ეჭვით მონახვა უეჭვოში; აი გზა, რომელსაც მისდევს დეკარტი. ყველაფერში შეეჭვება საბოლოო სიტყვა კი არაა, არამედ მხოლოდ საშუალებაა, რათა მიღებული იქნას სრულიად უეჭვო.

ყველაფერში ეჭვი რომ შევიტანოთ, ყველაფერი რომ უარვყოთ, ერთი მაინც რჩება უეჭვო, რომლის უარყოფა არ შეიძლება. ეს არის თვითონ ეჭვი, ეჭვის პროცესი, აზროვნება. რაც უფრო მეტად ვეჭვობ, მით უფრო უეჭვოა რომ ვეჭვობ, ვაზროვნებ. „ვაზროვნებ, მაშასადამე ,ვარსებობ“, იმას ნიშნავს, რომ „მე ვარ“.

დეკარტისათვის ლოგიკურად შესაძლებელი იგივეა, რაც არსებული. რადგან მე შემიძლია თავი წარმოვიდგინო სხეულის გარეშე, ამიტომ მე ვარსებობ სხეულის გარეშე, ფიქრობს დეკარტი. მისი აზრით, მოაზროვნე საგანი არის ის, რომელიც ეჭვობს, უარყოფს, ამტკიცებს, ეს არის „მე“. მე არ არის დამოკიდებული იმ საგნებზე, რომლებიც ჩემთვის ჯერ უცნობია. აზროვნება თავის თავზეა დაფუძნებული. ამრიგად დებულებაში –„ვაზროვნებ, მაშასადასამე, ვარსებობ“ – მე უდრის აზროვნებას, ე.ი. ვაზროვნებ, მაშასადამე არსებობს აზროვნება.

დეკარტესთვის ყველაზე ცხადი და გარკვეული არის „მეს“ არსებობა, ამიტომ ის დამტკიცებას არ საჭიროებს, „მეს“ არსებობის დებულება არის პირველადი დებულება, აქსიომა. ცოდნის სისტემა სწორედ ამ გზით უნდა შეიქმნას. რაც ცხადი და გარკვეულია, ჭეშმარიტია.

„მე“-მ მხოლოდ თავის თავში უნდა ეძიოს ისეთი რამ, რომელიც გაამართლებს, ცხადყოფს აზროვნების შინაარსს, აზროვნების ჭეშმარიტებას, რადგან დეკარტისთვის სწორედ „მე“-ს არსებობა იყო საბოლოო დასაყრდენი. “მე“- ში, ამბობს დეკარტი, მრავალი იდეა არსებობს. ამ იდეათა შორის არის ღმერთის იდეაც. ჩვენში არის ღმერთის ცნება და გონებამ საკუთარი საშუალებით უნდა დაამტკიცოს, რომ სინამდვილეში არსებობს ღმერთის ცნების შესატყვისი საგანი.

დეკარტის მიერ მოცემული დასაბუთების შინაარსი ასეთია: არაფრისაგან არაფერი არ წარმოიშვება, ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი, მიზეზი ან უდრის შედეგს ან მეტია მასზე. ჩემში არსებობს ღმერთის იდეა, ეს არის ყოვლად სრულის იდეა, ამიტომ მე, როგორც ნაკლოვანი, არ გამოვდგები ყოვლად სრული იდეის მიზეზად. ეს ყოვლად სრული იდეა არის ღმერთი. თვითონ იმის ცოდნა, რომ მე ნაკლოვანი ვარ, მაქვს იმით რომ მაღალ საფეხურზე ვდგევარ. ნაკლოვანის გაგება უნაკლოს გაგების საფუძველზეა შესაძლებელი. ეს არგუმენტი იმას ამტკიცებს,რომ „მე“-ში არის ღმერთის იდეა.

თუ მე ღმერთის მიერ ვარ წარმოშობილი, თუ ჩემი აზროვნება ღვთაებრივია, მაშინ ღმერთის უძლურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მე ვცდები. დეკარტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჩვენ ამის თქმის საშუალება არა გვაქვს. თვით ღმერთი ყოვლად ძლიერია, ის გამორიცხავს უძლურებას, ასევე ნაკლს. ის არის ყოვლად სრული. იმიტომ, რომ ღმერთი არის სრული და მე ვარ არასრული, განსაზღვრული, სწორედ ამიტომ ვცდები მე. ჩემი მსჯელობა, რომელიც შეიძლება ჭეშმარიტიც იყოს და მცდარიც, სწორედ ჩემი განსაზღვრულობის მომენტს ემყარება. ჩემი განსაზღვრულობა ქმნის ჭეშმარიტების ნაკლს – შეცდომას. ღმერთმა შექმნა ყველაფერი, ე.ი. სამყარო, როგორც მთელი, სრული. მთელი სინამდვილე სრულია, მე კი ნაწილი ვარ მისი. ღმერთმა შექმნა მთელი სინამდვილე, როგორც სრული და მე, როგორც სინამდვილის ნაწილს, ვერ შემქმნიდა სრულად. ღმერთი, როგორც სრული, ასეთ შეცდომას ვერ დაუშვებდა, ამბობს დეკარტი.

შეცდომაში ბრალი მიუძღვის ნებისყოფას, ეს ასეა, მაგრამ შეცდომა სწორედ იმიტომ ხდება, რომ გონებაა ნაკლოვანი, გონება არ არის ისე ვრცელი, როგორც ნებისყოფა. გონება ჩამორჩება ნებისყოფას და ამიტომ ვარდება შეცდომაში.

დეკარტმა შეიმუშავა გარკვეული მეთოდი, რომელიც, მისი აზრით, სინამდვილის შემეცნების სწორ გზას წარმოადგენს. არსებობს 4 წესი, რომლებიც დაცული უნდა იქნან მეცნიერული შემეცნების დროს. ეს წესებია: 1) ჭეშმარიტი არის ის, რაც ცხადი და გარკვეულია ჩვენი გონებისათვის. გონებისათვის გარკვეული ხდება რაიმე, თუ შესრულებულია დასაბუთება, სადაც არავითარ აჩქარებას არა აქვს ადგილი. 2) საკვლევი საგნის დანაწილება უნდა მოხდეს საჭიროებისამებრ, აუცილებელია ანალიზი, როგორც ერთ-ერთი გზა საგნის გამოკვლევისა. 3) საჭიროა დაწყება მარტივიდან და თანდათან გადასვლა რთულზე; ეს არის სინთეზის გზა. 4) საგანთა გამოკვლევისას, რომელიც მიზნად ისახავს ზოგადი კანონის აღმოჩენას, უნდა მოხდეს სრული ჩამოთვლა, რათა არაფერი იქნას გამოტოვებული. აქედან ჩანს, რომ დეკარტი არ უარყოფს ცდას, პირიქით, იგი აღიარებს ცდის წარმოების დიდ მნიშვნელობას. მაგრამ რაციონალისტი დეკარტისათვის ცდის მონაცემთა გაგებაში მთავარია სწორედ რაციონალისტური დედუქცია, რომელიც ძირითადი მეთოდია გონებითი (ინტელექტუალური) შემეცნებისათვის.

ლიტერატურა:

1. წერეთელი ს., „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“, თსუ, 1986;
2. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ.9, 1960;
3. ფილოსოფიის ისტორია, თსუ, 1962.

დანაშაულის მცდელობა

თამარ ჩოჩიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე დასჯად სტადიას დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. „დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად მიზეზისა, რომელმაც ხელი შეუშალა ამ შედეგის გამოწვევას“. „დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია სუბიექტის მიერ განზრახი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. დამთავრებულ დანაშაულს, ამგვარად, ორი მომენტი ახასიათებს: 1) განხორციელებული უნდა იყოს

კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი დანაშაულის ყველა ნიშანი და 2) განხორციელებული უნდა იყოს სწორედ იმ დანაშაულის ნიშნები, რომლის შესრულებაზეც მიმართული იყო დამნაშავის ნება".

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, როდესაც სუბიექტმა დანაშაულის ჩადენით ვერ მიაღწია იმ საბოლოო მიზანს, რის გამოც მან ეს დანაშაული ჩაიდინა. მაგალითად, განზრახ მკვლელობა ანგარების მიზნით დამთავრებულად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, მან მკვლელობის შედეგად მიიღო თუ არა რაიმე სარგებელი მატერიალური ხასიათისა ან დააღწია თუ არა თავი მატერიალურ პასუხისმგებლობას.

„სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სამი სახე გვხვდება: ა) ე.წ. შედეგიანი დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს გარკვეული ობიექტის რეალურად დაზიანებას. ასეთია, მაგალითად, მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ. ბ) ე.წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რომელშიც დანაშაულის დამთავრების მომენტი გადატანილია უფრო ადრინდელ საფეხურზე, სახელდობრ, იმ საფეხურზე, როდესაც შექმნილია გარკვეული ობიექტის დაზიანების რეალური შესაძლებლობა. ასეთია, მაგალითად, ბანდიტიზმი, ყაჩაღობა და ა.შ. გ) ე.წ. აბსტრაქტული საფრთხის ანუ ფორმალური დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომელიც დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე ან უმოქმედობის დროს – იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო".

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ მცდელობის ორ სახეს: დამთავრებულს და დაუმთავრებელს. მცდელობის ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს ის გარემოება, თუ რამდენადაა დაშორებული დანაშაულის მცდელობა დამთავრებული დანაშაულისაგან.

მცდელობა დამთავრებულია, თუ სუბიექტმა გააკეთა ყოველივე, რაც მისი მხრით საჭირო იყო შედეგის მისაღწევად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ მიდის. მაგალითად, სუბიექტი თოფს ესვრის მსხვერპლს მკვლელობის მიზნით, მაგრამ იგი აცდენს ან ჯანმრთელობის დაზიანებას მიაყენებს.

მცდელობა დაუმთავრებელია, თუ სუბიექტმა ჯერ კიდევ არ გააკეთა ის, რაც მისი მხრით საჭირო იყო შედეგის მისაღწევად. მაგალითად, სუბიექტი თოფს დაუმიზნებს მსხვერპლს, მაგრამ აართმევენ, ვიდრე გასროლას მოასწრებს.

მცდელობა უვარგისი საშუალებით ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალების გამოყენება, რომელსაც თავისი თვისებების მიხედვით არ შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი ან საფრთხე შეუქმნას კანონით დაცულ ინტერესებს. მაგალითად, სუბიექტი იყენებს თოფს მკვლელობის ჩასადენად, რომელსაც ამოცლილი აქვს დამცავი მექანიზმი.

უვარგისი საშუალებით მცდელობა ან მომზადება შეიძლება გახდეს საფუძველი პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა. კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

„უმეცრება" ადამიანის აზროვნების ისეთი ჩამორჩენაა, როცა ის დანაშაულებრივი შედეგის მიღწევას იმ საშუალებით ცდილობს, რომელიც არათუ ამ კონკრეტულ ვითარებაში, არამედ საერთოდ უვარგისია გამოიწვიოს ეს შედეგი.

რამდენად უმეცარია პიროვნება, ან რა ნაკლი გააჩნია მას, ამ ფაქტის დადგენა უშუალოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების კომპეტენციას შეადგენს. იგი უნდა დადგინდეს საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის საფუძველზე. საერთოდ, უმეცრება ან პიროვნული ნაკლი შეიძლება გამოწვეული იყოს გონივრული განვითარების დაბალი დონით, არაპროფესიონალიზმით, ცრურწმენით და სხვა.

მცდელობა უვარგის საგანზე ნიშნავს ისეთ მცდელობას, რომლის დროსაც სუბიექტის მოქმედება მიმართულია გარკვეული ობიექტის დასაზიანებლად, მაგრამ თავისი თვისებებით ზიანი არ მიადგება. მაგალითად, ქურდმა გააღო სეიფი, რომელშიც ფული ინახებოდა, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა.

მცდელობა გულისხმობს განზრახ ქმედებას. ამაზე მიუთითებს კოდექსის მე-19 მუხლი, სადაც წერია: „...დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება..."

გაუფრთხილებლობით მცდელობა არ არსებობს. როგორც კანონიდან ჩანს, მცდელობა განზრახი ქმედებაა, მაგრამ იგი ახასიათებს თუ არა განზრახვის ორივე სახეს?

მცდელობა რომ ახასიათებს პირდაპირ განზრახვას, ამას აღიარებენ სწავლული იურისტები და უდავოდ ითვლება სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში. რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვის მცდელობას, „მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი განზრახვის დროსაც, -

წერდა თ. წერეთელი, – რადგან ამ შემთხვევაში დამნაშავის ნება უშუალოდ არ არის მიმართული შედეგის განხორციელებაზე“. არაპირდაპირი განზრახვის მცდელობას ემხრობა მ. ტურავა. მ. ტურავას მოცემულ დებულებას სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს ო. გამყრელიძე და აღნიშნავს, რომ „სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს“.

ზოგიერთი დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია დანაშაულის თვისებების გამო. სახელდობრ:

ა) დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია წმინდა უმოქმედობის დროს, როდესაც კანონი სჯის მოქმედებისაგან თავის შეკავებას, იმისდა მიუხედავად, მოჰყვა თუ არა უმოქმედობას მავნე შედეგი. იმ მომენტამდე, ვიდრე მოვალეობის შესრულების პირობები არ დადგება, სუბიექტის უმოქმედობა არ შეიძლება ჩაითვალოს ქმედებად, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, ხოლო თუ ეს პირობები დადგება და პირი არ მოქმედებს, დანაშაული იმავე მომენტიდან დამთავრებულად ითვლება;

ბ) მცდელობა არ შეიძლება ჰქონდეთ ისეთ დანაშაულებს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მომზადების მომენტიდან. მაგალითად, აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება (404-ე მ. ნაწილი I), საქვეყნოდ მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ (405-ე მ. ნაწილი I) და ა.შ.

გ) მცდელობა არ შეიძლება თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისა. თუ დამამძიმებელი გარემოება არ განხორციელდა, ადგილი აქვს დამთავრებულ ძირითად შემადგენლობას და არა კვალიფიციური დანაშაულის მცდელობას. მაგალითად, თუ სუბიექტმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩაიდინა, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობის მცდელობა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის, კოდექსის იმ მუხლზე მითითებით, რომლითაც განისაზღვრება პასუხისმგებლობა მცდელობისათვის, ე.ი. იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, აუცილებელია მითითება მე-19 მუხლზე. მაგალითად, გაუპატიურების მცდელობა უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის მე-19, 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976;
2. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2002;
3. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008;
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2010.

განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში

სოფიო ძიძიგური

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მალხაზ ლომსაძე,** სრული პროფესორი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლში ჩამოყალიბებულია განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალურმა ფსიქიკურმა ტრამვამ.

განზრახ მკვლელობა ამ მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს შემდეგი ძირითადი პირობები: ა) დამნაშავე მკვლელობის ჩადენისას უნდა იყოს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; ბ) ძლიერი სულიერი აღელვება აღძრული უნდა იყოს უეცრად; გ) უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული უნდა იყოს მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობით,

მძიმე შეურაცხყოფით ან სხვა მძიმე ამორალური ქმედებით, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებული ფსიქიკური ტრამვით; დ) მსხვერპლის მართლსაწინააღმდეგო ძალადობა, მძიმე შეურაცხყოფა ან სხვა მძიმე ამორალური ქმედება მიმართული უნდა იყოს დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

პრაქტიკაში ჯერ კიდევ არასწორად აკვალიფიცირებდნენ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას. ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ მეტად ძნელია ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობის ზუსტი განსაზღვრა და დადგენა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

სენაკის სასამართლოს განაჩენით უბირიას მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ს 19, 108-ე მუხლებით. მან შურისძიების ნიადაგზე, მკვლელობის მიზნით, თოფის გასროლით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა დიდიას.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სასამართლო კოლეგია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სასამართლომ სწორად არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოება, რამაც გავლენა იქონია მსჯავრდებულის ქმედებების კვალიფიკაციაზე. საქმით დადგინდა, რომ ცუდი დამოკიდებულება უბირიას და დაზარალებულ დიდიას შორის გამოწვეული იყო მათი შვილების განქორწინებით. დაზარალებულის ოჯახი თვლიდა, რომ განქორწინებაში ბრალი მიუძღოდა უბირიას ოჯახს. ამის გამო არ ასვენებდნენ უბირიას – უვარდებოდნენ სახლში, აყენებდნენ შეურაცხყოფას. უბირიამ რამდენჯერმე მიმართა შს ორგანოებს განცხადებით, მაგრამ ამაოდ. შემთხვევის დღეს დაზარალებულმა, რომელიც მთვრალი იყო, კვლავ მიაყენა შეურაცხყოფა უბირიას. ამ უკანასკნელმა არ მიაქცია ყურადღება და განერიდა. მიუხედავად ამისა, დიდია ახლა შინ მიეჭრა უბირიას; იგინებოდა და შემდეგ ქვები დაუშინა სახლს. აღელვებული უბირია გამოვიდა აივანზე და სანადირო თოფის გასროლით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ უბირია მოქმედებდა უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეული იყო მსხვერპლის მიერ მძიმე შეურაცხყოფით და მართლსაწინააღმდეგო ძალადობით, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ უბირიას ქმედება კოდექსის 19, 111-ე მუხლებით დააკვალიფიცირა.

აფექტი, როგორც მცირე ხნიანი ძლიერი განცდა, არ ტოვებს ისეთ ხელშესახებ კვალს, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა დარწმუნებით გვემსჯელა, ნამდვილად იყო თუ არა იგი. აფექტი იმდენად ხანმოკლეა და სწრაფმავალი, რომ ხშირად ექსპერტსაც არ შეუძლია განსაზღვროს, ნამდვილად იყო თუ არა პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტის მდგომარეობაში.

რ. ნათაძე მიუთითებს, რომ ,,ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა (აფექტი) განსაკუთრებული ინტენსიობის მქონე, უეცრად აღმოცენებული სწრაფწარმავალი განცდაა, რომელიც მთლიანად მოიცავს პიროვნებას დანაშაულის ჩადენის მომენტში და წარმართავს მის ქცევას. აფექტი ძლიერი გამომხატველი მოძრაობებით ხასიათდება".

აფექტი გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერების სფეროზე. ამ დროს, როგორც იტყვიან, ადამიანის ,,თავს კარგავს ". მას უქვეითდება უნარი კონტროლი გაუწიოს თავის ქცევას. აფექტი გვევლინება ცნობიერების დამმუხრუჭებელ გარემოებად. ლიტერატურაში განასხვავებენ ნაკლებად ინტენსიურ და ზეინტენსიურ აფექტს. ნაკლებად ინტენსიურ აფექტს სასამართლო ფსიქიატრიაში პირობითად უწოდებენ ფიზიოლოგიურ აფექტს, ხოლო ზეინტენსიურს – პათოლოგიურ აფექტს. ასეთ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად.

პათოლოგიური აფექტის დროს ხდება გონების სრული დახშობა და ნებისყოფის პარალიზება, მატრამვმირებული განცდების გავლენით ადამიანს ერღვევა გარემოს აღქმის, მომხდარი ფაქტისადმი დაკვირვებისა და საკუთარი მოქმედების შემეცნების უნარი. მისი წარმოდგენათა სფერო იმდენად ვიწროვდება, რომ იგი მხოლოდ მტკივნეული მატრავმირებელი განცდებით შემოიფარგლება, ყველა სხვა წარმოდგენა თითქოს წყვეტს არსებობას.

ამას შედეგად მოსდევს ე.წ. აფეთქების ფაზა: გონების დაკარგვა, ორიენტირების სრული მოშლა. ერთი სიტყვით, პათოლოგიური აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის დამახასიათებელია: გონების სრული დაბნელება, თვითკონტროლის ანუ საკუთარი მოქმედებისადმი ანგარიშის გაწევის უნარის დაკარგვა და სხვა. ეს არის შეურაცხადობის, ე.ი. ბრალის გამომრიცხველი ავადმყოფური მდგომარეობა. კოდექსის 34-ე მუხლით "ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობისა, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, ან მართლწინააღმდეგობა, ანდა ეხელმძღვანელა მისთვის."

ფიზიოლოგიური აფექტის დროს დამნაშავე პირი შეურაცხადია. ფიზიოლოგიური აფექტი არ არის ავადმყოფური მდგომარეობა. ამ დროს არ ხდება ცნობიერების მკვეთრი შეცვლა, გონების სრული დაბნელება. ფიზიოლოგიური აფექტის დროს პირი თუმცა თავშეკავებულად მოქმედებს, მაგრამ მას დაკარგული არა აქვს უნარი კონტროლი გაუწიოს თავის მოქმედებას, შენარჩუნებული აქვს მახსოვრობა.

როგორც წესი, განრისხების ან სხვა აფექტური მდგომარეობის დროს ჯანმრთელი ადამიანი არასოდეს არ კარგავს გონებას. ძნელია წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იყოს ემოციური განცდა. მაგრამ ყველა როდი სჩადის დანაშაულს. არ შეიძლება აფექტის მიჩნევა დანაშაულის მიზეზად. ეს რომ ასე იყოს, შენიშნავს თ. შავგულიძე, მაშინ დამნაშავე უნდა დაგვესაჯა არა ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან ვერ შეძლო დაეძლია აფექტი, რასაც შედეგად დანაშაულებრივი ქმედება მოჰყვა. აფექტი წარმოადგენს ფსიქიკური აქტიურობის წყაროს, ემოციურ აფეთქებას. ამ დროს პირი ცდილობს უმოკლესი გზით დაიკმაყოფილოს შურისძიების სურვილი. მას შესუსტებული აქვს თვითკონტროლის, დანაშაულებრივი ქცევისა და თავშეკავების უნარი, მაგრამ ეს უნარი არ არის გამორიცხული. სწორედ ამიტომ აგებს იგი პასუხს ამ მოქმედებისათვის. აფექტი ასრულებს კატალიზატორის როლს, წარმოადგენს შემამსუბუქებელ ფაქტორს, ე.წ. "სოციალურ მუხრუჭს", რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას და არა ფაქტორს, რომელიც აგვიხსნის დანაშაულის ჩადენის მიზეზს.

ს. ბოროდინი თვლის, რომ ძლიერი სულიერი აღელვება აღიძვრება უეცრად, როგორც საპასუხო რეაქცია ძალადობასა ან მძიმე შეურაცხყოფაზე და ამიტომ არ შეიძლება მათ შორის არსებობდეს დროში სხვაობა. თუ დავუშვებთ სხვაობას დროში, მაშინ არ გვექნება ფიზიოლოგიური აფექტისათვის დამახასიათებელი ძლიერი სულიერი აღელვების უეცრად აღძვრის მომენტი.

ჩვენი აზრით, გამორიცხული არ არის, რომ კანონსაწინააღმდეგო ძალადობა და საპასუხო რეაქცია ერთმანეთს დროში არ დაემთხვეს. სწორად მიუთითებს თ. შავგულიძე, რომ აფექტი უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს უშუალო საპასუხო რეაქციას მსხვერპლის საპასუხო მოქმედებაზე. მაგრამ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, როდესაც პირის მიერ ადრე მიღებული ძლიერი სულიერი ტრამვა ცოცხლდება გარკვეულ ფაქტორთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს ამ ფაქტისათვის შეუფერებელ ემოციურ აფეთქებას.

იმისათვის, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩადენილად იქნეს ცნობილი, როგორც აღნიშნავს მ. ლეკვეიშვილი, საჭიროა უეცრად იყოს აღძრული არა მარტო ძლიერი სულიერი აღელვება, არამედ მკვლელობის განზრახვაც. თუ სუბიექტს მკვლელობის განზრახვა ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული და აღელვება მხოლოდ მკვლელობის თანამდევი შედეგია, მაშინ მკვლელობა ვერ ჩაითვლება შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილად და მაშასადამე, ვერ დაკვალიფიცირდება კოდექსის 111-ე მუხლით. თუ მკვლელობის განზრახვა მსხვერპლის მიერ უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისთანავე აღიძრა, მაგრამ მაშინვე კი არ იქნა განხორციელებული, არამედ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ, ქმედება დაკვალიფიცირდება შურისძიების მოტივით ჩადენილ მკვლელობად.

იმისათვის, რომ დანაშაული დაკვალიფიცირდეს კოდექსის 111-ე მუხლით, აუცილებელია, რომ უეცარი ძლიერი სულიერი აღელვება გამოწვეული იყოს მსხვერპლის უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით. მსხვერპლის მიერ ჩადენილი ძალადობა კანონსაწინააღმდეგო, არამართლზომიერი უნდა იყოს. უკანონო ძალადობას განმარტავენ, როგორც ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რაც მიზნად ისახავს ამა თუ იმ პირის, რეალურ ან სავარაუდო წინააღმდეგობის დაძლევას. ძალადობის ცნება გულისხმობს როგორც ფიზიკურ ძალადობას _ სიცოცხლის ხელყოფა, სხეულის დაზიანება, გაუპატიურება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ა.შ., ისე ფსიქიკურ ზემოქმედებასაც.

სწორედ აღნიშნავს თ. შავგულიძე, ძალადობა ყოველთვის მოქმედებას გულისხმობს ..... არ შეიძლება ძალადობად ჩაითვალოს დანაშაულებრივ უმოქმედობა. მარტო ძალადობის ფაქტი საკმარისი არ არის, ამასთან აუცილებელია დადგინდეს, მისი კანონსაწინააღმდეგო ხასიათიც. კანონი აფექტის გამართლებისათვის საკმარისად მიიჩნევს ძალადობის უკანონო ხასიათს და არ მოითხოვს რაიმე მძიმე შედეგს ან განსაკუთრებულ დასამძიმებელ გარემოებას. პირის მოქმედება რომ დაკვალიფიცირდეს კოდექსის 111–ე მუხლით, საკმარისია ასეთი უკანონო ძალადობის ფაქტის არსებობა.

აფექტის გამამართლებელი ფაქტორია მძიმე შეურაცხყოფა. მძიმე შეურაცხყოფა აუცილებლად მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს, რაც უშუალოდ გამომდინარეობს კოდექსის 111 – ე მუხლის დისპოზიციიდან. ლიტერატურასა და პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული მძიმე შეურაცხყოფის ცნება. დადგენილი არ არის, თუ რას გულისხმობს იგი. კანონი კი აფექტის გამართლებისათვის საჭიროდ მიიჩნევს არა უბრალოდ, არამედ სწორედ მძიმე შეურაცხყოფას.

მ. ლეკვეიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ მძიმე შეურაცხყოფად უნდა მივიჩნიოთ პიროვნების პატივისა და ღირსების უხეში, განსაკუთრებით მძიმე დარტყმა. შეურაცხყოფის სიმძიმის

საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნეს ყველა კონკრეტულ საქმეზე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესაწავლი საფუძველზე, სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლივი გათვალისწინებით.

ლიტერატურაში სადავოდ ითვლება საკითხი, ჩაითვალოს თუ არა მძიმე შეურაცხყოფად ცოლ–ქმრული ერთგულების დარღვევა ერთ – ერთი მეუღლის თანდასწრებით. ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების გამომწვევად თვლის ერთ – ერთი მეუღლის ღალატს მეორის თანდასწრებით. ე. ი. ამ ფაქტს მძიმე შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ცოლ–ქმრული ღალატი ყოველთვის, ყველა ცივილიზებულ ხალხში დიდ შეურაცხყოფად ითვლება. მართალია, ძველად საქართველოში ქმრის მიერ ცოლის მკვლელელობა ყოველთვის მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ გამონაკლისი იყო, როდესაც ქალს მრუშობაზე წაასწრებდნენ. ვახტანგ VI–ს სამართლის წიგნის 42–ე მუხლის თანახმად, „არა ძმისგან, არა ნათესავისაგანაც სისხლი არ ეთხოვების.“

იმავე მუხლით, ყმას უფლება ჰქონდა მოეკლა თავისი ბატონი თუ იგი ცოლთან მწოლარეს მოუსწრებდა მას. ,,თუ ბატონმა ყმას ცოლს უაშიყოს ან ღამით და ან დღისით და ცოლთან საწოლად დაახელოს, და მან კაცმან მოკლას, დიდი იყოს თუ მცირე, სისხლი არ ეთხოვების. “ როგორც ვხედავთ ფეოდალურ სამართალსაც კი ცოლ–ქმრული ღალატი ოჯახის საფუძვლის შემარყეველ–განმანადგურებელ მოქმედებად მიაჩნდა, თორემ ყმას ასეთ დიდ უფლებას არ უბოძებდა. ს. ბოროდინს ცოლ–ქმრული ღალატი მძიმე შეურაცხყოფად მიაჩნდა, თუმცა იქვე შენიშნავდა, ამ საკითხზე პასუხის გაცემა ყველა შემთხვევისათვის შეუძლებელიაო.

თ. შავგულიძის აზრით, არ შეიძლება მტკიცება იმისა, რომ ცოლ–ქმრული ღალატის შემთხვევაში მოღალატეს მხარის ან მისი საყვარლის მოქმედება მიზნად ისახავს პიროვნების პატივსა და ღირსების დამცირებას,. ვინაიდან, ისინი, როგორც წესი, ცდილობენ ღალატი შეუმჩნევლად დარჩეს არა მარტო მეუღლისათვის, არამედ ყველა გარეშე პირისათვის. ძნელი დასამტკიცებელია, რომ ქალს, რომელიც ნებდება მამაკაცს, ამით სურს დაამტკიცოს თავისი საყვარლის ცოლის პატივი და ღირსება. მას ასევე ძნელად დასამტკიცებელად მიაჩნია ცოლ–ქმრული ღალატის კანონსაწინააღმდეგო ქცევად მიჩნევა, ვინაიდან ადამიანს აქვს სქესობრივი თავისუფლების უფლება მაშინაც კი, როდესაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება.

მიუხედავად იმისა, რომ თ. შავგულიძეს ცოლ–ქმრული ღალატი არ მიაჩნია მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მქონედ და შეურაცხმყოფელად სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მაინც იმ აზრისაა, რომ სასამართლო პრაქტიკა დგას სწორ გზაზე, როდესაც შორდება კანონს და ცოლ–ქმრული ღალატით გამოწვეულ ფიზიოლოგიურ აფექტს გამართლებულად თვლის.

მისი აზრით, ცოლ–ქმრული ღალატი, როგორც ამორალური საქციელი, ხშირად სუბიექტს მძიმე ტრამვას აყენებს, ამასთან ერთად, მოტყუებული განსაზღვრულ სოციალური ჯგუფების მიერ ფასდება, როგორც არასრულფასოვანი და დამცირებული. ამიტომ ცოლ–ქმრული ღალატი თავისი მნიშვნელობით უნდა გაუტოლდეს ძალადობასა და მძიმე შეურაცხყოფას. მ. ლეკვეიშვილი არ ეთანხმება საკითხის ამგვარად გადაწყვეტას. ჩვენის აზრით, ცოლ–ქმრული ღალატი, თუ ამას შედეგად მოჰყვა დაზარალებულის მკვლელობა, ყველა შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 111–ე მუხლით. მნიშვნელობა არ აქვს იმას, მოღალატე მხარე ან მისი საყვარელი მოქმედებდა თუ არა ნაღალატევი მხარის პიროვნების პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით. თვით ის ფაქტი, რომ ასეთ მოქმედებას, როგორც წესი, მალულად, ფარულად, შეუმჩნევლად სჩადიან, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღალატის ფაქტი, მიუხედავად დაზარალებულის განზრახვისა, თავისთავად არის შეურაცხმყოფელი.

მკვლელს, აფექტში ჩავარდნის დროს, როდის რჩება იმის გააზრების ან გამორკვევის დრო, თუ რა მიზნით უღალატეს მას. წარმოუდგენელია მოღალატე ქმარმა ან ცოლმა არ იცოდეს, რომ ღალატით იგი არამარტო მძიმე, არამედ წარუშლელ შეურაცხყოფასაც აყენებს მოღალატე მხარეს.

რა შეიძლება იყოს იმაზე უფრო შეურაცხმყოფელი, როდესაც თავმოყვარე, ოჯახის ერთგული, ზნეობრივად წმინდა და ღირსებით ყოველმხრივ შემკული ადამიანი მისდაუნებურად მოწმე გახდება სარეცელის გაყოფისა, ოჯახის შეგინებისა, თავმოყვარეობის შელახვისა და ღირსების დამცირებისა.

მართალია, კანონში არ არის მითითება იმაზე, რომ ცოლ-ქმრული ღალატი დაუშვებელია და სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა, ასევე ვერ ვნახავთ, რომ ცოლ-ქმრული ღალატი დასაშვები, ისეთი მართლზომიერი მოქმედებაა, რომელიც არ ითვლება შეურაცხმყოფელად.

თ. შავგულიძის აზრით, ცოლ-ქმრული ღალატი ამორალური, დასაგმობი და გასაკიცხი საქციელია, რომელიც პიროვნებას სულიერ ტრამვას აყენებს.

საერთოდ კი, შეურაცხყოფა მძიმეა თუ არა, ეს ფაქტის საკითხია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სუბიექტური მომენტი, ე.ი. ის, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე შეურაცხყოფა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ არის. სუბიექტურად მძიმედ განცდილი შეურაცხყოფა აფექტს მხოლოდ მაშინ გაამართლებს, თუ იგი

ობიექტურადაც მძიმეა. ცოლ-ქმრული ღალატი კი ობიექტურად, როგორც წესი, ყოველთვის მძიმეა. თუ ქმედება არ ატარებს უკანონო ძალადობას ან მძიმე შეურაცხყოფის ხასიათს, მაშინ მისი დაკვალიფიცირება 111-ე მუხლით არ შეიძლება.

თუ დაზარალებულის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა მიმართული არ არის დამნაშავის ან მისი ახლობლის წინააღმდეგ, მაშინ ქმედება ვერ კვალიფიცირდება კოდექსის 111-ე მუხლით.

კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით სისხლის სამართლის კოდექსში ახლო ნათესავად ითვლება: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

სწორად შენიშნავს თ. შავგულიძე, რომ თუ ,,აფექტში მკვლელობა ისეთმა ძალადობამ ან ისეთმა შეურაცხყოფამ გამოიწვია, რომელიც მიმართული იყო არა დამნაშავის, ან მისი ახლო ნათესავის, არამედ გარეშე პირის წინააღმდეგ, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა 111-ე, არამედ 108-ე მუხლით. ის ფაქტი, რომ აფექტში ჩადენილი დანაშაული გამოწვეული იყო არამართლზომიერი მოქმედებით... სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.“

მართალია კაცისათვის საცოლე ახლო ნათესავად არ არის მოხსენიებული კოდექსში, მაგრამ მისი შეურაცხყოფა ან მის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობა ყოველთვის გამოიწვევს აფექტურ მდგომარეობას.

როგორც ვხედავთ, მსხვერპლის უკანონო ძალადობა ან მძიმე შეურაცხყოფა ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ვერ ამოწურავს ყველა შესაძლებელ საბაბს აფექტის აღმოცენებისათვის.

ამ მხრივ 111-ე მუხლი საჭიროებს კორექტივს, დახვეწას.

ლიტერატურა:

1. რ. ნათაძე , ზოგადი ფსიქოლოგია , თბ., 1956;
2. Судебная психиатрия , М., 1971;
3. Б. Теплов , Психология, М., 1946;
4. Т. Шавгулизе , Аффект и уголовная ответственность, Тб.,1973;
5. С . Бородин , Квалификация убийство по действующему законодательству , М., 1966;
6. Курс Советскому уголовного права , Москва , 1971;
7. მ. ლეკვეიშვილი, მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, ,, საბჭოთა სამართალი “, 1976, #5 ;
8. ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980;
9. ტ. ლემონჯავა, აფექტის მიზეზად ადიულტერის ჩათვლისათვის, ,,საბჭოთა სამართალი,“ თბ., 1978, #1.

საკუთრების უფლება ძველ რომში

თამარ ხარაიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი

ხელმძღვანელი: **კარლო ბზიშვილი,** აკადემიური დოქტორი

უძველესი დროიდან ადამიანები შედიან ერთმანეთთან გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომელთა უმრავლესობა რეგულირდება სამართლის ნორმებით და შესაბამისად, მათ ეწოდებოდათ სამართლებრივი ურთიერთობები. სამართლებრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოიშობოდა სხვადასხვა სახის ქონების შეძენის, გამოყენების, გადაცემის საფუძველზე. რომის კერძო საკუთრების უფლება განვითარდა კერძო ფლობიდან მიწაზე, რომელიც, რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში, რომის მოსახლეობის საკუთრებას წარმოადგენდა. კერძო ფლობა თანდათან კერძო საკუთრებად გადაიქცა. რომაელებმა პირველებმა შეიმუშავეს კერძო საკუთრების უფლება. თავდაპირველად რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა სახელმწიფოსა და გვარის საკუთრებას მიწაზე და კერძო საკუთრებას სხვა ნივთებზე თუ ქონებაზე. XII ტაბულის კანონებშიც არის ნახსენები

საკუთრების უფლება, რომელიც აღინიშნებოდა ტერმინით dominium, რომელსაც უმატებდნენ ex jure quiritium კვირიტულ საკუთრებასაც. Dominium ლათინური სიტყვაა და ძალაუფლებას, ბატონობას ნიშნავდა, ანუ საკუთრება წარმოადგენდა სრულ ბატონობას ნივთზე. კლასიკური პერიოდის ბოლოს (III ს) საკუთრებას აღნიშნავდნენ ტერმინით proprietas.

საკუთრების უფლების ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება ძვ. რომში

სამოქალაქო სამართალში საკუთრების უფლების ინსტიტუტი იკავებდა ცენტრალურ ადგილს ყველა დროში. რომაელ იურისტებს უფრო აინტერესებდათ საკუთრების უფლების პრაქტიკული მხარე, ვიდრე თეორიული, სწორედ ამიტომ არ დაგვიტოვეს მათ მისი განსაზღვრება, განმარტება. თუმცა, სწორედ მათ შეიმუშავეს კერძო საკუთრების უფლების საფუძვლები.

უძველესი დროიდან მიწას განუყოფლად ფლობდა რომის სახელმწიფო. თემებს, გვარებს და ოჯახებს მიწები მხოლოდ დროებითი მოხმარებისთვის გადაეცემოდათ, და ისიც არა უმეტეს 2 იუგერისა. დამპყრობლური ომების შედეგად რომს ემატებოდა მიწები და მონები, რომლებიც ასევე დროებითი მოხმარებისთვის გადაეცემოდათ ცალკეულ გვარებს. პატრიციები, რომლებიც იღებდნენ მეტ მონას და საშუალებას მიწის ნაკვეთის დასამუშავებლად, ფლობდნენ ყველაზე დიდ ლატიფუნდიებს. ეს იწვევდა პლებეების მიწის გარეშე დატოვებას და მათ გაღატაკებას. ამას კი შედეგად მოჰყვებოდა პლებეების განუწყვეტელი ბრძოლა პატრიციებთან. რომის ისტორიის ძვ.წ III-I სს. შეადგენდა სწორედ ბრძოლა მიწისათვის. საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა გვარების მიერ საგვარეულო მიწით სარგებლობა , მათი პრივილეგია გახდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს მიწა მათი იყო, რადგან ის ეკუთვნოდა მათ გვარს, ოჯახს უხსოვარი დროიდან. თუმცა ეს მდგომარეობა სამართლებრივ უზრუნველყოფას მოითხოვდა. ამ მიზნით პრეტორებმა შეიმუშავეს ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა ფლობა, რომელიც უფლებას აძლევდა მფლობელს ესარგებლა სახელმწიფო მიწით და იურიდიულად დაცული ყოფილიყო რაიმე სახის ხელყოფისაგან. მაგრამ, ამავე დროს, მიწის მესაკუთრედ კვლავ სახელმწიფო რჩებოდა. მიწაზე საკუთრების უფლება უნდა მისცემოდათ მიწის ფაქტიურ მფლობელებს, რაც განხორციელდა პრეტორის პრაქტიკით. ტერმინ dominium-ს დაემატა ex jure quiritium, რომელსაც უნდა დაედასტურებინა ამა თუ იმ გვარის, ოჯახის გვაროვნული კუთვნილება მიწაზე. ასე, თანდათან, ბატონობა მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფოს ხელიდან გადადის მათი ფაქტობრივი მფლობელების ხელში. კერძო ფლობა გადაიქცა მიწაზე კერძო საკუთრებად. თავდაპირველად გამტკიცებული იყო პრინციპი : ” მე ვარ ამ მიწის ნაკვეთის, ამ მონის ბატონი, და ამიტომ არავის არ შეუძლია გაიყოს ჩემთან ეს ძალაუფლება”. ამრიგად, მიწის მფლობელებმა თანდათან მიიღეს ნივთზე შეუზღუდავი გავლენის უფლება , და ამასთან მასზე სხვა პირების ზეგავლენის სრულად შეზღუდვის უფლება. ძვ. წ II ს. გაფორმდა მიწაზე კერძო საკუთრება.

საკუთრების უფლების შინაარსი კლასიკური პერიოდის რომაელი იურისტები აცხადებდნენ, რომ მესაკუთრეს ნივთის მიმართ შემდეგი უფლებამოსილებები გააჩნია: ფლობის უფლება (ius possidendi); სარგებლობის უფლება (ius utendi); განკარგვის უფლება (ius abutendi); შემოსავლით, ნაყოფით სარგებლობის უფლება (ius fruendi); სხვისი ფაქტობრივი მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება (ius vindikandi). თუმცა, იმის გამო, რომ ეს უფლებამოსილებები გარკვეულწილად იმეორებდნენ ერთიმეორეს, რომაელმა იურისტებმა ისინი შეამცირეს და საბოლოოდ მესაკუთრის უფლებამოსილებაში შედიოდა: ნივთის ფლობის უფლება (ius possidendi); სარგებლობის უფლება (ius utendi); და ნივთის განკარგვის უფლება (ius abutendi).

ნივთის ფლობის უფლება (ius possidendi) გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის ფაქტიურად ფლობის უფლება. თუმცა, ეს უფლებამოსილება მესაკუთრემ შეიძლება განახორციელოს როგორც თვითონ, ასევე გადასცეს ეს უფლება სხვა პირებს (მაგ. ხელშეკრულებით), მაგრამ, ამავე დროს შეინარჩუნოს ნივთზე საკუთრების უფლება.

ხელშეკრულებათა უმრავლესობის თანახმად მესაკუთრე სხვა პირს გადასცემს ნივთს ფაქტიურ მფლობელობაში, ე.ი უბრალო პყრობაში, ჭერაში (detentio) და არა მფლობელობაში. მაგ. ქირავნობის ხელშეკრულებაში მესაკუთრე დამქირავებელს გადასცემს ნივთს არა მფლობელობაში, არამედ უბრალო პყრობაში. დამქირავებელი ფაქტობრივად ფლობს ნივთს, მაგრამ მას არ აქვს მესაკუთრის ნება, ე.ი. არ შეუძლია ჩათვალოს ის თავისად და არ შეუძლია ისარგებლოს პოსესური დაცვით, ინტერდიქტებით. გარდა ამისა, დამქირავებელს ნივთზე მესამე პირთა ხელყოფისაგან თავის დაცვა შეუძლია მხოლოდ ნივთის მესაკუთრის მეშვეობით.

მფლობელობა თავის მხრივ შეიძლება იყოს კანონიერი და არაკანონიერი. კანონიერია მფლობელი, ვისაც გააჩნია ნივთზე მფლობელობის უფლება ius possidendi. ასეთია მესაკუთრე. ხოლო მფლობელი, რომელიც ფლობს ნივთს ფაქტობრივად (არ გააჩნია მფლობელობის უფლება) არის არაკანონიერი მფლობელი. არაკანონიერი მფლობელი ორი სახისაა: კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერია ის არაკანონიერი მფლობელი, რომელმაც არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ არ აქვს ნივთზე მფლობელობის უფლება (მაგ. თუ მან ნივთი შეიძინა არამესაკუთრისაგან, რომელიც თავს

მესაკუთრედ ასაღებს); არაკეთილსინდისიერია მფლობელი, ვინც იცის, რომ ნივთი მისი არ არის, მაგრამ ექცევა მას, როგორც საკუთარს (მაგ. ქურდი). მფლობელის დაცვა ხდება ინტერდიქტებით. კეთილსინდისიერი მფლობელი დაცული იყო სარჩელითაც actio in rem Publiciana.

სარგებლობის უფლება (ius utendi) იმაში მდგომარეობს, რომ მესაკუთრეს შეუძლია გამოიყენოს ნივთი და მიიღოს მისგან სარგებელი, ნაყოფი. ნივთით სარგებლობა შეიძლება სხვადასხვა სახითა და ფორმით: გაქირავება, დაგირავება და ა.შ, თუ ეს არის ტანისამოსი ან სამკაული მათი ტარება, ცხოველების, ფრინველების ნამატით სარგებლობა, მიწიდან, ბაღიდან მოსავლის მიღება და ა.შ. რომის სამართალში ნივთით სარგებლობის წესები იყო დაწესებული: ა) ნივთით სარგებლობისას ზიანი არ უნდა მოეტანათ სხვა პირებისთვის; ბ) ნივთით სარგებლობა არ შეიძლებოდა კანონის დარღვევით. მესაკუთრეს შეუძლია ნივთს ისე მოექცეს, როგორც სურს , რაც კანონით არ იქნება აკრძალული.

განკარგვის უფლება გულისხმობდა იმას, რომ მესაკუთრეს შეეძლო ნივთის გაჩუქება , მემკვიდრეობით გადაცემა, ნივთზე სერვიტუტის დაწესება სხვა პირების სასარგებლოდ და ა.შ. მიწის ნაკვეთის მფლობელებს დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონდათ ეს უფლებამოსილება, რომელიც მიიღეს **სპურია ტორიას** კანონით ძვ.წ III ს. ამ კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრების ხელშეუხებელი ობიექტები გახდა, მათი მფლობელები კი მესაკუთრეები.

საკუთრების უფლების შეცვლა და შეწყვეტა

საკუთრების უფლების შეცვლა შეიძლება მაგ. სერვიტუტის უფლების მიცემით სხვა პირისათვის, მის სასარგებლოდ. ხოლო საკუთრების უფლების შეწყვეტა ხდება თუ :1) ნივთი განადგურდა ფიზიკურად; 2) თუ მესაკუთრე უარს განაცხადებდა საკუთრებაზე; 3) თუ მესაკუთრეს ჩამოართვეს საკუთრება მაგ. კონფისკაციის გამო გადავიდოდა სხვის საკუთრებაში ან იკარგებოდა საკუთრების ხანდაზმულობით; 4) თუ ნივთი ბრუნვიდან იყო ამოღებული, 5) გასხვისებით.

კერძო საკუთრების უფლება ეს არის პირის უფლება ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს ნივთს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. ეს უფლება ეკუთვნის მხოლოდ მესაკუთრეს და სხვას არავის უყოფს. საკუთრების უფლება რომში ყველა დროში იზღუდებოდა მაგ. სახელმწიფოს სასარგებლოდ, საზოგადოების სასარგებლოდ, სერვიტუტების სასარგებლოდ. კერძო მესაკუთრეებს შორის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად დაადგინეს შეზღუდვები, კერძოდ XII ტაბულის კანონებმა დაადგინა 1) წვრილი მიწათმფლობელები ვალდებულნი არიან დატოვონ ორფუტნახევარი ზღვარი, რომლის დამუშავების უფლება არ აქვთ; 2) ასეთივე დაშორიშორება უნდა დაიცვან ქალაქის მიწების მფლობელებმა ნაგებობების მშენებლობისას; 3) ნაყოფის მომცემი ხეების მფლობელებს შეეძლოთ გადასულიყვნენ სხვის ნაკვეთში ჩამოცვენილი ნაყოფის მოსაგროვებლად ყოველ მეორე დღეს; 4) სასოფლო–სამეურნეო ნაკვეთების მფლობელებს უფლება ჰქონდათ მოეჭრათ 15 ფუნტამდე გადმოსული სხვისი ხეების ტოტები, თუ ისინი ჩრდილს ქმნიდნენ; 5) ნაკვეთის მფლობელებს არ გააჩნდათ წყლის დინების ბუნებრივი მიმართულების შეცვლის უფლება; 6) არავის ჰქონდა უფლება აეშენებინა ნაგებობა, რომელიც ზიანს მოუტანდა მეზობელს; 7) მდინარის ნაპირზე განლაგებული მიწის ნაკვეთის მფლობელს არ ჰქონდა უფლება ხელი შეეშალა ადამიანთა თავისუფალი მიმოსვლისთვის; 8) დაზიანებული გზების მეზობლად მდებარე ნაკვეთების მფლობელს არ ჰქონდა უფლება ხელი შეეშალა მის ნაკვეთზე გავლისათვის; 9) სამშენებლო მასალების მფლობელებს არ ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ იმ საგნების გადმოცემა, რომლებიც ადრე გამოყენებული იყო სხვის შენობა - ნაგებობებში, ვენახში; 10) მემკვიდრეობით, კანონიერად მიღებული მამულის მესაკუთრეს არ ჰქონდა უფლება მისი არაგონივრულად გამოყენებისა და გასხვისების უფლება.

საკუთრების ურთიერთობები - ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობები ადამიანებს შორის. სწორედ საზოგადოება ამყარებს სამართლის მეშვეობით ნივთზე მესაკუთრის სამართლებრივ ბატონობას. ე.ი საზოგადოების ნება პირველადი მნიშვნელობისაა, ბატონობა- მეორადი.

საკუთრების უფლების სახეები

დიდი ხნის მანძილზე რომაელები აღიარებდნენ და იცნობდნენ ყველაზე ძველ XII ტაბულის კანონებიდან ცნობილ dominium ex jure quiritum კვირიტულ საკუთრების სახეს. კვირიტები იყვნენ რომის მოქალაქეები, რომლებიც უძველეს გვარს მიეკუთვნებოდნენ. კვირიტული საკუთრების უფლება მყარდებოდა ყველაზე მნიშვნელოვან ნივთებზე (მონებზე, მიწებზე, პირუტყვზე, სერვიტუტზე). შემდგომ ეს უფლება მიანიჭეს ლათინებსაც ქონებრივი ურთიერთობების სფეროში jus commercii. კვირიტული საკუთრების უფლების შეძენა შეიძლებოდა: მანციპაციის გზით ან უფლების დათმობით პროცესის მიმდინარეობისას (in jure cessio).

კვირიტული საკუთრების უფლების ობიექტი შეიძლება გასხვისებულიყო მხოლოდ სპეციალურად დაწესებული მანციპაციის გზით და უფლების დათმობით. ხოლო თუ ნივთი გასხვისებული იყო, ან შეძენილი არამანციპირებული გზით, გამსხვისებელი რჩებოდა კვირიტულ მესაკუთრედ, ხოლო მყიდველი ითვლებოდა ნივთის კეთილსინდისიერ მფლობელად. გამყიდველს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეეძლო ამ ნივთის უკან გამოთხოვა. თუ გამსხვისებელი არ იუხერხულებდა ცივილური სამართლის სარჩელის საფუძველზე მოითხოვდა ნივთის უკან დაბრუნებას. პრეტორი იცავდა შემძენს, იგი ურთავდა სარჩელში დათქმას exceptio; ნივთი დაუბრუნდებოდა მოსარჩელეს, თუ მას იგი არ გაუყიდია და არ გადაუცია მოპასუხისათვის. ამ ექსცეფციით ჩანდა მოსარჩელის არაკეთილსინდისიერება. საკუთრებას კი, რომელსაც პრეტორი იცავდა თავისი ედიქტით პრეტორული, ბონიტარული საკუთრება ეწოდა in bonus habere. პრეტორი მიუთითებდა, რომ ნივთი უნდა შესულიყო ნივთების შემძენის ქონების შემადგენლობაში in bonis. მიუხედავად ნივთის შენარჩუნებისა შემძენი ვერ ხდებოდა კვირიტული მესაკუთრე. პრეტორი მას აძლევს განსაკუთრებულ სარჩელს actio in rem Publiciana.

რომაელები იძულებულნი იყვნენ შესულიყვნენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ადამიანებთან, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ რომის გარშემო ტერიტორიებზე და არ იყვნენ რომის მოქალაქეები. ეს იყვნენ პერეგრინები. მათ არ ჰქონდათ უფლება დიდი ხნის განმავლობაში, რასაც საბოლოოდ რომაელებისთვისაც აღარ მოჰქონდა სარგებელი, ამიტომ რომაელებმა აღიარეს პერეგრინების საკუთრება, როგორც საკუთრების ცალკე სახე. რომაელები ზოგიერთ პერეგრინს აძლევდნენ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უფლებას jus commercio, ასევე შეეძინათ საკუთრების უფლება ძირითადად მოძრავ ნივთებზე. ეს უფლება დაცული იყო პერეგრინების პრეტორის ედიქტით, თუმცა სუსტად.

პროვინციული საკუთრება - ეს იყო რომაელთა მიერ დაპყრობილი მიწები, რომლებიც რომის სახელმწიფოს საკუთრება იყო. ამ მიწებიდან სარგებელს რომაელები სხვადასხვა გზით ღებულობდნენ და განიხილებოდნენ როგორც პირნი, რომელთაც მარტო მფლობელობა ჰქონდათ, მაგრამ მათი უფლება საკუთრების უფლებას უდრიდა. რადგან პროვინციული მიწები არ შედიოდა მანციპაციის ჯგუფში, ის არ იყო არც კვირიტული და არც ბონიტარული საკუთრების საგანი. ეს მიწა ეკუთვნოდა რომაელ ხალხს, იმპერატორს, სენატს, თუმცა რადგან ისინი ამ მიწებს არ ამუშავებდნენ, II ს. მიწის მფლობელები კერძო პირებიც გახდნენ. პროვინციების მიწა ორ ნაწილად იყოფოდა ერთ ნაწილს ერქვა ''აგერ პუბლიკურს'' - სახელმწიფოს საკუთრება და '' აგერ რედდიტუს'' მიწის ძველ მფლობელებს გადაეცემოდათ სარგებლობისთვის, ისინი უხდიდნენ stipendium-ს ან tributum-ს სენატს ან იმპერატორს.

კლასიკურ პერიოდში რომის სამოქალაქო სამართლის განვითარების და კერძო საკუთრების უფლების განვითარების შედეგად აუცილებელი გახდა მანციპაციის რთულ გზაზე უარის თქმა და სხვადასხვა საკუთრების მოსპობა. მათ ნაცვლად კი ერთიანი უნიფიცირებული საკუთრების ჩამოყალიბება, რომელიც ეკუთვნის არა მარტო რომაელებს, არამედ ყველა უფლებაუნარიან ადამიანს.

თავდაპირველად, რომაელები აღიარებდნენ ერთ ნივთზე მხოლოდ ერთი მესაკუთრის უფლების არსებობას, თუმცა შემდგომ შეისწავლეს შემთხვევები, როცა ერთ ნივთზე შეიძლებოდა რამდენიმე პირის საკუთრების უფლება არსებულიყო. ჯერ კიდევ უძველესმა კლასიკოსმა **სტეპოვამ** გამოთქვა იდეა რამდენიმე პირის საკუთრების უფლების შესახებ ერთ ნივთზე. ასეთ საკუთრებას რომაელები უწოდებდნენ communio. თითოეული მესაკუთრე იყო ნივთის თანამფლობელი ე.ი ეკუთვნოდა არა ნივთის ნაწილი, არამედ ნივთზე საკუთრების უფლების ნაწილი. თუ ერთ-ერთი ახალი თანამესაკუთრე გამოაკლდებოდა, ან გადაწყვეტდა საკუთარი წილის გაყიდვას ჯერ სხვა თანამესაკუთრეებისთვის უნდა შეეთავაზებინა და მხოლოდ მათი უარის შემთხვევაში მიეყიდა მესამე პირისათვის. თითოეული მესაკუთრის უფლება განსაზღვრული იყო.

უძველეს დროში საკუთრების უფლების გადაცემა ერთი პირისაგან მეორეზე ხდებოდა რიგი ფორმალობების დაცვით, ამის გარეშე მათ იურიდიული მნიშვნელობა არ ექნებოდათ. რომაელები ადრე ანსხვავებდნენ ორ მომენტს: საკუთრების უფლების შეძენის ხერხებს(modus acguirendi) და შეძენის ტიტულს (titulus acguirendi). ფაქტებს , რომელთა დადგომა კონკრეტული პირის საკუთრების უფლების წარმოშობას იწვევს, საკუთრების უფლების შეძენის ხერხები ეწოდებათ. იურიდიულ ფაქტებს, რომლებიც საკუთრების უფლების შეძენის სამართლებრივი საფუძველია, ეწოდებათ შეძენის ტიტულები. შეძენის უფლების მიხედვით საკუთრების უფლების შეძენის გზები იყოფოდა უნივერსალურად და სინგულარულად. უნივერსალური ის ხერხები იყო, რომლის დროსაც რომელიმე პირის საკუთრება მყარდებოდა მთელ ქონებაზე. სინგულარულის დროს საკუთრების უფლება მყარდებოდა ცალკეულ ნივთზე. შეძენის ხერხები იყოფოდა ასევე დერივანტულად (წარმოებულად) და ორიგინალურად.

ა) დერივანტული ის ხერხები იყო, რომელთა დახმარებით საკუთრების უფლება გადადიოდა შემძენის ხელში, შეძენის ორიგინალური მეთოდის დროს საკუთრების უფლება დგინდებოდა იმ ნივთზე, რომელსაც აქამდე მესაკუთრე არ ჰყოლია res nullius და ნივთზე, რომელსაც ჰყავდა მესაკუთრე, მაგრამ

მისი უფლება საკუთრებაზე შეწყდა ან მისი ნებით, ან კანონის ძალით. საკუთრების უფლების შეძენის ორიგინალური ხერხებიდან უნდა აღინიშნოს occupatio, ანუ არავის კუთვნილი ქონების ხელში ჩაგდება. ეს ქონება იმის კუთვნილება ხდებოდა, ვინც მას პირველი დაეპატრონებოდა. ასეთივე გზით შეიძლებოდა ხელში ჩაგდება და მესაკუთრედ გახდომა გარკვეულ ცხოველებზე, თევზებზე, განძზე და ა.შ. თუ პირი პოულობდა ძველმანს ის მიტოვებულად ითვლებოდა, ხოლო თუ პოულობდა მეტ-ნაკლებად ღირებულ ნივთს, ასეთი ნივთი დაკარგულად ითვლებოდა და მისი მითვისება ქურდობას უთანაბრდებოდა. მპოვნელს უნდა მოეძებნა მესაკუთრე, ხოლო ნივთის შენახვისა და ძებნის ხარჯები მესაკუთრეს უნდა აენაზღაურებინა.

რაც შეეხება განძს (thesaurus), იუსტინიანეს ''ინსტიტუციებში'' მითითებულია: ''განძი, რომელიც პირმა თავის მიწაში იპოვა, ღვთაებრივმა ადრიანემ იმას მიაკუთვნა, ვინც იგი იპოვა''. იგივე დაადგინა მან იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმემ საღმრთო ან რელიგიურ ადგილზე შემთხვევით განძი იპოვა, ხოლო თუ პირი სხვის მიწაში აღმოაჩენს შემთხვევით განძს ისე , რომ არც უძებნია, მისი ნახევარი მიწის მესაკუთრეს მიაკუთვნა... თუ ვინმე განძს იმპერატორის მიწაში იპოვის, ნახევარი მპოვნელს ეკუთვნის, ნახევარი კი, იმპერატორს. ასევეა სახელმწიფოს მიწებზე. ხოლო სპეციალურად ნაპოვნი ნივთი, ჯადოქრობით ან მაგიის დახმარებით ჩამოერთმეოდათ.

ბ) საკუთრების უფლების შეძენის ნაწარმოები (წარმოებული) გზაა, როცა საკუთრება შეიძინება ადრე არსებული მესაკუთრისაგან მაგ. გარიგებით. გარიგებით საკუთრების უფლების შესაძენად საჭირო იყო ნივთის გადაცემა tradicio, ჩაბარება. ფაქტობრივად გადაცემასთან ერთად საკმარისად ითვლებოდა სიმბოლური გადაცემაც. მაგ. საწყობის გასაღების გადაცემა ნიშნავდა საწყობში არსებული მთელი ქონების გადაცემას. გადაცემა საჭირო არ იყო თუ პირი უკვე ფლობდა ნივთს. რომაული სამართლით ნივთის ახალ მესაკუთრეს არ ჰქონდა იმაზე მეტი უფლება , ვიდრე ძველ მესაკუთრეს, მაგ. სერვიტუტის უფლება.

გ) საკუთრების უფლების შეძენა მემკვიდრეობით. მემკვიდრეობით გამხდარი მესაკუთრე იმ უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი ხდებოდა, რასაც სამკვიდროს დამტოვებელი ავალებდა.

დ) საკუთრების შეძენის გზა იყო ასევე ხანდაზმულობა usucapio. ეს ნიშნავდა იმას, რომ პირი დაეუფლებოდა რა ქონებას და გარკვეული დროის განმავლობაში ფლობდა მას, თუ ამ დროის მანძილზე შემდავებელი არ გამოჩნდებოდა, ეს პირი ნივთის მესაკუთრე ხდებოდა. ხანდაზმულობის ვადები სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო. მაგ. XII ტაბულის კანონების მიხედვით მიწაზე ხანდაზმულობის ვადა იყო 2 წელი, სხვა ნივთებზე 1 წელი. იუსტინიანემ უძრავ ქონებაზე ხანდაზმულობა განსაზღვრა 10 წელი , სხვა ნივთებზე 3 წელი. მან დააწესა ასევე ის მოთხოვნები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ხანდაზმულობის კანონიერებას: 1) ნივთის მუდმივი ჭერა; 2) ნივთის კეთილსინდისიერი ფლობა, არ უნდა ყოფილიყო მოპარული ან არ უნდა სცოდნოდა მფლობელს, რომ მას პატრონი ჰყავდა; 3) უნდა არსებულიყო მფლობელობის კანონიერი საფუძველი, რომ მყიდველმა არ იცოდა, რომ გამყიდველი თვითონ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მესაკუთრე.

საკუთრების უფლების დაცვა

საკუთრების უფლების დაცვის 3 გზა არსებობდა 1) ვინდიკაცია; 2) ნეგატიური სარჩელის წარდგენა; 3) მესაკუთრის მიმართ რაიმე მოქმედების შესრულების აკრძალვა. თუ მესაკუთრე დაკარგავდა ნივთს, მას შეეძლო წარედგინა მოთხოვნა ჩამორთმეოდა ნივთი უკანონო მფლობელს და დაბრუნებოდა მას. მესაკუთრეს, რომელსაც ნივთი ჰქონდა დაკარგული უნდა ემტკიცებინა, რომ იგი მართლაც ამ ნივთის კანონიერი მესაკუთრე იყო. მესაკუთრის მოთხოვნას ლათინურად vindicacia ეწოდა. ეს ტერმინი vindicta-დან მოდის, რაც ჯოხს ნიშნავდა. ძვ. რომში ნივთზე ჯოხის დადება ნიშნავდა, რომ ჯოხის დამდები პირი სხვებს აცნობებდა, რომ ნივთი მისი იყო. 2) ნეგატიური სარჩელი - actio negatoria გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა ნივთი, ქონება მესაკუთრეს ჰქონდა, მაგრამ გარეშე პირი ავიწროებდა მას, ხელს უშლიდა თავისუფლად გამოყენებაში. გარეშე პირი აცხადებდა , რომ მას ეკუთვნის სერვიტუტი ან უზუფრუქტი. 3) actio prohibitoria -იმის მოთხოვნას ნიშნავდა, რომ მესამე პირს აკრძალვოდა რაიმე ზიანის მომტანი მოქმედების შესრულება მესაკუთრის მიმართ.

დასკვნა

რომაული სამართალი ყალიბდებოდა მწვავე სოციალური ბრძოლის პირობებში, ბევრ რამეზე უარის თქმა იყო აუცილებელი, რადგან მხოლოდ საუკეთესო ნარჩუნდებოდა. რომაული სამართლის თავისებურება არის მისი მისადაგების უნარი მსოფლიო ბრუნვასთან, რადგან რომი აქტიურად უჭერდა მხარს მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს. რომაულმა სამართალმა მკაცრი ტექნიკური სკოლა გაიარა. თანამედროვე სამოქალაქო სამართალი სწორედ რომაული

სამართლისგან იღებს სათავეს. თითქმის 2,5 ათასი წლის წინ რომში მიღებული იქნა XII ტაბულის კანონები, 2 ათას წელზე მეტი ხანი ხვეწდნენ ამ კანონებს რომაელი იურისტები. რომაული სამართლის მნიშვნელობა ძალიან დიდია, რაც ჩანს მისი გავლენიდან სამართლისა და საერთოდ მსოფლიო კულტურის განვითარებაზე.

ლიტერატურა:
1. Косарев А.И. Римское частное право: Учебник для вузов. М.: Закон и право, ЮНИТИ, 1998. - С. 97
2. Хвостов В.М. Система римского права. Учебник. М.: Издат. "Спарк", 1996. - С. 48.

ლ ი ნ გ ვ ი ს ტ ი კ ა

ნუგზარ შატაიძის ენა და სტილი

თეონა ბერიანიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მხატვრული ნაწარმოები და საერთოდ მწერლობა დიდ როლს ასრულებს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში.

მწერალი თავის შემოქმედებაში იყენებს ენის ლექსიკურ შემადგენლობის გრამატიკულ წყობასა, რაც მთელ რიგ ფაქტებთან, მოვლენებთან არის დაკავშირებული. მწერლის ენაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ის ენობრივი თავისებურებანი, რომელიც შესწავლილი ნაწარმოებების სტილური ნიშნების დადგენაში დაგვეხმარება.

ნუგზარ შატაიძე ახალი თაობის გამორჩეული მწერალია. ვინც მის დიდებულ მოთხრობებს, ნოველებს წაიკითხავს. დარწმუნებული ვართ მათ კიდევ რამდენჯერმე მიუბრუნდება. მისი წერის მანერა, სტილი ნამდვილი ქართული, ქართლურია, რომელიც მაქსიმალურად გვიხანგრძლივებს სიამოვნებას.

მწერლის ერთ–ერთი ბოლო წიგნია ,,ნოემბრის წვიმა", სადაც შესულია ნოველები, მინიატურები, მოთხრობები, რადიოპიესები. თავიდანვე ვიტყვით, რომ მწერალი ქართლის მკვიდრია, კერძოდ შუა ქართლისა და მის შემოქმედებაში ჭარბობს ქართლური, მაგრამ ქართლური ხომ არ არის ერთფეროვანი, რასაც მწერლის შემოქმედებაც ადასტურებს. კერძოდ მან ხარკი გადაუხადა ქართლურ და მთიულურ კილო– დიალექტებს. ეს იმიტომ, რომ მწერალი მთიულეთიდან არის და კარგად იცნობს მშობლიურ გარემოს.

ქართლურში ფართოდაა გავრცელებული ასიმილაცია, რაც გვხვდება მწერლის მოთხრობებშიც: აე კომპლექსი იცვლება ეე–დ: რეებს ამბობ კაცო, მარჯვენეები, მარცხენეები.

დისიმილაცია: ბევრჯელ მოსინჯა. ხელმწიფეს ეტოლებოდა.

ნაცვალსახელები ეს, ეგ, ის ზოგჯერ თანხმოვან მოკვეცილად გვხვდება: ე კაცო, ე ქალო, ე დედაკაცმა.

იხმარება ნაცვალსახელები განსაზღვრებით: თითონ, თვითონ, ასევე განუსაზღვრელობით: ვიღაც, ვიღაცეებმა.

უ ხმოვნის წინ არა ჩანს პირველ სუბიექტური პირის ნიშანი: მე არ გაუშვი, მე გაუტარე, ჩვენ მოუარეთ.

ზმნაში გვხვდება ჰ და ს პირის თავსართები: ჰნახავ, მიჰმართავს, ჰხედავდა, წასძახა, მივსცეთ, ვსთხოვ და სხვა. გვხვდება მთიულრის თავისებურებანი: მენ უთხარი, მე ულიდი, აქ ვ–პირველი სუბიექტურის პირის ნიშანი დაკარგულია. ასევე აცხორსა პარსამდით, ბანდით და სხვა.

მწერლის ნაწერებში ხშირია ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა: მამიკვდეს, ჩამაიტა, მაშორე, მაიტა, მამშივდა, შაირთო, შაიპარა, შავიდა, შამაიყვანა და სხვა.

დიალექტური მოვლენები მეტწილად პერსონალთა მეტყველებაში გვხვდება.

მწერლის ენის სიცხადე გულისხმობს, რომ ყოველი აზრი ან ცნება გამოხატული იყოს შესაფერისი სიტყვებისა და გამონათქვამების საშუალებით. ამ მიმართებით აზრის ზუსტად გამოსახატავად გამოყენებულია სინონიმები:

ეფერებოდნენ – ეალერსებოდნენ, მიადგნენ – მიაღწიეს, მოჭიკჭიკე – მონავარდე, დავმღეროდი – ვჭიკჭიკებდი, სწორდებოდა – იმართებოდა, დასცქეროდა – უყურებდა, გაოცებული – გაკვირვებული, ნაღვლიანი – შეწუხებული.

გამეორება ტექსტში, მოვლენის ან რაიმე ნიშნის ემოციურ –ლოგიკური ხაზგასმის საშუალებაა. ერთხელ აღებული ფორმა, ამა თუ იმ სახით მეორდება, ან განაგრძობს არსებობას. იგი ენის ბუნებრივ ტენდენციადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მწერალი მას საგანგებოდ ამძაფრებს, რათა გარკვეულ მიზანს მიაღწიოს.

ტენდენცია ფიქსირებული ფორმისა არაიშვიათია დიალოგებშიც, რომელიც ასე ხშირია მწერალთან და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ იგი ფრიად ორიგინალურია.

ხორცი არაფერ დარჩაო
როგორ არა დარჩაო
დარჩა თავფეხით
ჰოკუიცააო
რაიო? კუდიო?

გამეორებული მარცვლები უმეტესად მორფოლოგიური ელემენტებია: პრეფიქსები, სუბიექტები ან აფიქსებია, ამას სწორედ მორფოლოგიურ გამეორებას უწოდებენ. აი კიდევ ერთი მაგალითი:

– კაცო ეს ქეთო რა მაგარა გალოთებულა
– ვინ ქეთო?!

ქეთო რა, რო იდგა ბუტკაში
ჰო ქეთო
ჰისა
ქეთო კაცო?

ხშირია დიალოგებში ზმნური გამეორებები:

– რა გაჩერდი, მომაწოდე ეგ იარშიკი
– მოგაწოდო?
– ნელა მომაწოდე, ბოთლები არ დამიმტვრიო
– ნუ გეშინია.
– რა მეშინია, პოსლეზე მაქ აღებული.

ამგვარ გარემოებას მრავალგზისობის შინაარსი შემოაქვს და ხელს უწყობს თხრობის დინამიკურობას და ასოციაციებს ქმნის. გარემოება მხატვრულ დატვირთვას, მის ექსპრესიულობას კიდევ უფრო მეტად წარმოაჩენს.

მეორდება სინონიმური სიტყვები:
ჩამოგლეჯილი – ჩამოფლეთილი
გაველურდა – გაუბედურდა
ძარცვა– გლეჯა
ეცინებათ – ერიმებათ
მაწვალებს– გამწარება და სხვა.

ნ. შატაიძესთან გამეორებული სიტყვა ხშირად მოსდევს მის შემცველ სიტყვათშეხამებას: წყალწაღებულივით ხავს ეჭიდება. გულგაბოროტებული ღრუბელივით იდგა.

ამგვარი სტილი დამახასიათებელია მწერლისათვის, მაგრამ მას წინამორბედებიც ჰყავს, მაგალითად ილია ჭავჭავაძე და სხვები.

მრავალფეროვანია მწერლის ლექსიკა, რომელიც ძირითადად ძარღვიანი ქართლურს ემყარება, მაგრამ ანალოგს სხვა დიალექტებშიც პოულობს. ამ მხრივ აღსანიშნავია ,,პურის მოთხრობა“, რომელიც ერთი საუკეთესო თავგადასავალია ქართული სოფლისა. მწერალი მოგვიწოდებს, რომ არ უნდა დავივიწყოთ და მივატოვოთ ის რაც ჩვენმა ძვლებმა დაგვიტოვეს. აი ისინიც:

ანაცერი, პურის ხაში, ცალხაში ცომი, აგულგულება, ამოგუნდავება, ამოქნა, ნაფხეკი პური, ლაფათა, ორომი, შხეპალა, ითაფა, ლაფშარდა. აქ დასახელებულია ხვნის, დათესვის, კალოს, ლეწვის, ხორბლის განიავების ყველა ინვენტარის სახელი, რითაც ქართველ კაცს მოსავალი მოჰყავდა ხარობდა.

ნუგზარ შატაიძის შემოქმედებაში წარმოდგენილი სხვა მასალა დიდ ყურადღებას იპყრობს, მაგრამ ამჯერად ამით შემოვიფარგლებით.

ლიტერატურა:
1. ნ. შატაიძე, ნოემბრის წვიმა, თბ., 2004;
2. გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბ., 1974.

ფრონეს ხეობის იმერული დიალექტის მასალები

თამარ გელაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

წარმოვადგენთ ინფორმაციების იმ მასალას, რომლებიც დასავლეთის ფრონეს სოფლებში ბზისხევში –ლოპანში, ჭურუხევში და პატარა უბნებში მცხოვრები ადამიანებისაგან ჩავიწერეთ.

- ამჟამად, დაბლა, ქარელის რაიონის სოფლებში – კოდაში, ქვენატკოცაში, აგარაში, ახალსოფელში (ახალი დასახლება დევნილებისა) არიან დასახლებული.

ჩამოსულთა მეტყველებაში – გაჩეჩილაძეები, სამხარაძეები, შუბითიძეები, ხარაიშვილები, კუსიანები, ტალახაძეები, ლაბაძეები მკვეთრად გამოიყოფა ქართლურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ–მორფოლოგიური მოვლენები, მაგრამ მთაში მათი კომპაქტურად დასახლების გამო კარგად არის შენარჩუნებული იმერული დიალექტისათვის ენობრივი მოვლენები.

ჩვეულებრივია მათ მეტყველებაში ვ–ს შეცვლა მ–თი მაგალითად,
ვინც ბალკონზე წევს, დაბლა კარქა ხედამს,
ნაცარს ქექამდა და ქექამდა,
მწყემსი იყო და ცხვარი ყამდა დაყენებული.
ჭური მუდამ სამსე მქონდა ხომე.
მ ბგერა ნ– თია შეცვლილი, მაგალითად წენს, წემს, წევს.
ერთი კაცი მოყანთ და აქანე იყავი.
ხშირია მათ მეტყველებაში მიცემითის დაშორება ვრცელი დაბოლოებით:
იმასა ყანსა ერთი კარქი ქალი.
დაეწაფა ამ ჯამსა და სუ დალია.
მე და იმ გლეხსა ერთი წყალი გვაქ.

ხშირია ლოპანელთა მეტყველებაში რ–სა და შ–ს განვითარება: შევეხვერწე, ფარქიზი კაცია, გემბრიელი საჭმელია, კამბეჩები დავამბი.

ასევე ვითარდება დ და თ ბგერები: ლურსმანდი< ლურსმანი, ფელანდუში<ფელამუში, ასთე კარქათ ვიყვენით მთაში, ისთე არის ისევე წამოსული.

რედუქციიდან აღსანიშნავია, რომ ქართლურის გავლენის გამო გვხვდება როგორც შეუკუმშვადი, ისე შეკუმშვადი ფორმები:

შეუკუმშვადი: შოფერები, პამინდორის შეჭამანდი, არაფლიზ დიდებით არ გაგიშობთ, წყერის ბარტყები მევიყვანე, ჩემი ქმარის ძამაა, ნიგოზიანი საჭმელია.

თავისებურად შეკუმშული ფორმები: უბედრობა გვეწვია, მევტანე (მივიტანე), წისქვილი ქვაი, საჩხეში (საჩიხები) სილა დააგროვე და სხვა.

სახელებიდან გვხვდება: წვენი – წნელი, ნიდაყვი – იდაყვი, აკიდონი, რაც ბევრს ნიშნავს. გურალი (მრგვალი), ღუნწი – ძუნწი;

პირის ნაცვალსახელებად გვხვდება: შენე, ისი, ესე, მაგენი, ეგენი. ბევრად უფრო ხშირია მაგი, აგი, ნაცვალსახელების ხმარება. მაგი არ გამაგონო ახლა, მაგი გუშინ ნავხე, ხშირია ვნახე, იგი სუბკას წიკავს, ეგი რაი მოგაქ, დასვეს აგი უფროსათ (თამადად). მაგი გვხვდება რამდენიმე ფორმით:მაგ, მაგი, მაქ, მაქე.
მეტყველების ნიმუშები:
დოუპიპინე მაგას გედეიწიოს, გემეცალოს.

ახლა ქე დრო მევიდა წამევიდნენ.
ეიქანა არის ახლოში მაქანა.
რო დარჩონ ღირსები არიან მაგენი.
აქანე მონგროვილიყონ, ვიტინგი ტარდებოდა და სხვა.
ზოგი ზმნისწინი სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ფორმით იხმარება:
შემო → შამო: → შემოავლე მესერი –
მო → გა: მაგის გამნათვლელა მე ვარ.
შე → წა: თავი შევიყარეთ.
შე → და: ასთე მოხთა დამოკლთებით.
მო → და: ზამთრისათვის დავამარაგეთ.
პირის ნიშნები
მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში არის არა ან არამედ –ენ: ჩამოსულენ, იციენ, ყოფილარიან, უძახიენ. თანამედროვე სალიტერატურო ქართული ნენ იბერიელთა მეტყველებაში არა გვხვდება და ყველგან შეცვლილია –ენ სუფიქსით: დეიღუპნენ მაგენი. დაიზარდნენ და წევიდნენ. მოდიოდნენ ხოლმე, მაგრამ ახლა აღარა. მაგ სახლში დარჩნენ ხოლმე.

თანამდეროვე ქართულში მეორე სერიაში, მეორე კავშირებითის სამივე –ე, ა, ო სუფიქსები აწარმოებენ. ისინი გარკვეულ ფუძეებთან გვხვდება. იმერულში ეს წესი რამდენადმე დარღვეულია. აქ –ო ბოლოსართი გვაქვს იქ, სადაც ეს სალიტერატურო ქართულში მოსალოდნელი არ არის.

პირველი კავშირებითი:
რო წავიდონ და ისწავლიდონ მერე რა მიჭირს.
არ იციან ჯერეთ აჰა იცოდონ.
კლამდაო და არ მოვეხმარო?
მეორე კავშირებითი:
უნდა წევიდო ყანაში, საქონელი რო არ მოვიდოს.
ჩვენთან ჩამოვიდონ ხომე.
მოკვდონ მეთქი გევიფიქრე.
მესამე კავშირებითი: სალიტერატურო ქართულის –ე ბოლოსართს ცვლის – ო სუფიქსი:
დავაჟკაცდეს –დავაჟკაცდოს
შევიდეს–შევიდოს
მოჭრეს–მოჭროს
მოკმარეს – მოკმაროს
მოკლეს–მოკლონ და სხვები.

ასევე ჩაწერილი გვაქვს ლექსიკური ერთეულები. სინტაქსებში თავისებურებები, რომელთაც შემდეგ წარმოვადგენთ.

ლიტერატურა:

1. ძოწენიძე ქ, ზემო იმერული კილოკავი, თბ., 1973;
2. ძოწენიძე, ზემო იმერული ლექსიკონი, თბ., 1973;
3. ძიძიგური შ, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970;
4. კუბლაშვილი კ, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქ.ს.პ.ი.შ. ტ. XIX , ქუთაისი, 1959.

სოფელ ტყვიავის მეტსახელები

თამუნა დემეტრაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

საზოგადოება წარმოუდგენელია ენის, ხოლო ენა საკუთარი სახელის გარეშე, თავდაპირველად საკუთარი სახელის ფუნქციას საზოგადო სახელი ასრულებდა. დროთა განმავლობაში ენის ლექსიკური სისტემის შიგნით შეიქმნა ონიმური სისტემაც. ფიზიკურ–გეოგრაფიული ობიექტი მაშინ აღნიშნება კონკრეტული სახელით, როცა საზოგადოებას ამისი საჭიროება უჩნდება. მაგრამ თვით ადამიანი, სადაც უნდა ცხოვრობდეს, წარმოუდგენელია საკუთარი სახელის გარეშე. ეს ზოგადი დებულება ვრცელდება ჩვენზეც ჩვენს ენაზე და დიალექტებზე, საკუთარ და საზოგადო სახელებზე. მაგალითად მეტსახელებზე. მეტსახელთა ემოციურ–ექსპრესიული სემანტიკა განსხვავებულია დიალექტების მიხედვით. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ქართლის სოფლები და მათ შორის სოფელი ტყვიავი. აქაურ მეტსახელებში კარგად ჩანს ხალხის სითამამე, მოურიდებლობა, პირდაპირობა და უხეშობაც.

ტყვიავი მდებარეობს გორი–ცხინვალის საავტომობილო ტრასის ორივე მხარეზე. მისი დაარსების ისტორია ცნობილი არ არის.

შემორჩენილია ასეთი გადმოცემა, რომ გვერდისძირის სოფელ კულბითში ტყვიას მოიპოვებდნენ და დასამუშავებლად ამ ადგილზე ჩამოჰქონდათ ურმებით და ტყვიავი ამიტომ ეწოდაო.

მეორე ვერსიით ვითომ აქ დიდი ტყე ყოფილა გაუჩეხავთ, სოფელი გაუშენებიათ და ტყვიავი ამიტომ შეარქვესო. სოფელში ჩაწერილია კნინობითი ხასიათის მასალები, რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ ამ მხრივ შეზღუდულები ვიყავით, რადგან დროის სიმცირის გამო სრულად ვერ აღვწერეთ.

ყველაზე გავრცელებულია მისი გამოხატვის მარტივი საშუალებები: –ა, –აკ, –ოკ, –ილ –ით და სხვები.

აღნიშნული და სხვა სუფიქსებით წარმოქმნილი სიტყვები ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით და მოფერებით აღნიშნავენ. სალიტერატურო ენაში ასეთი, ე. ი მოფერებით–კნინობითი სიტყვები მცირეა, დიალექტში კი ამ შემთხვევაში ტყვიავის ქართლურში ბევრია და რამდენიმე ასეულით დაითვლება.

სალიტერატუროში უფრო გავრცელებულია –ილ, –იკ, –ულა, –ა სუფიქსები.

–ილ–ო იშვიათად იხმარება.

–იკ–ო წარმოშობით წოდებით ბრუნვაში ყოფილა, მაგრამ ამჟამად გამოკვეთილია დერივატია მაწარმოებელი საალერსო ფორმებისა და საკუთარ სახელთა ფუძეებიდან.

–ა დერივატი დამცირებით (კნინობით ფორმებს აწარმოებს)

ასკილაშვილი – ასკილ–ა

ლიჩელი – მსუქან–ა

დალაქიშვილი – კვიტ–ა

მელითაური – პაწ–ა

ჩელტიაშვილი – კრუ–ა

ოქრუაშვილი – ჭუკი–ა

პავლიაშვილი, ბულალ–ა, მაფრაშ–ა, ქაფჩერ–ა, პიკნიკ–ა, ტორტ–ა.

ხაბაზიშვილი, გოდორ–ა , წრიპ–ა.

ელბაქიძე, –თობეგ–ა, პლატონ–ა, ბომბორ–ა, შარიკ–ა,

–ელ–ა ულარდელ–ა, ჭყეტელ–ა, დიდელ–ა, ხვედელ–ა.

ჩაწერილი მასალები დავაჯგუფეთ და გამოვყავით ეპითეტიანი სახელები, მაგალითად, მეკუბოვე, ჭყივილა, მეფეჩე, მეწისქვილე, მედოლე, მჭედელი მიხა.

გარეგნობა ფიზიკური მდგომარეობა:

გოდორა (განიერი), ხვედა (მძიმე), რიჟა (წითელი თმის გამო), ჯაგარა (შავი და გაუპარსავი თმის გამო), ბატკანა (ხუჭუჭა თმის გამო), წოწოლა (სიმაღლის გამო), ზანგო(სიშავის გამო), დიდთავა (დიდი თავი აქვს), ვოლკი (მგლის თვისებების გამო), კაკანა (ბევრი ლაპარაკი იცის), პუშკინა (ხუჭუჭი თმის გამო), ებრაელი (ვაჭრობა ეხერხება), იმერელი (წარმოშობით იმერელია), ყბაჩო (დიდი ყბების გამო), ყურა (დიდი ყურების გამო) და სხვა.

ხასიათის თავისებურება, ქცევა:

ტრაბახა (ტრაბახი უყვარს), დორბლიანი (ლაპარაკის გამო დორბლებს ყრის), ჩუმი (ლაპარაკი არ იცის), დოღრიალა (ენაზე არაფერი ადგება), ლაღუნა (უსაქმურია), ჯრიამულა (ყველაფერზე ლაპარაკობს), ჩხავანა(მყვირალა), ფოცხვერა (სიფიცხის გამო).

მიმსგავსება გარეგნობის ან რაიმე თვისების მიხედვით:

სტალინი (სტალინის მიმსგავსებით), ლენინი (ლენინის მიმსგავსებით), ბლოხინი (ფეხბურთელის მიმსგავსებით), მეცნიერი (განვითარებული კაცია ქარელი), ავღანელი (დაუნდობელია), უდარდელა (არაფრის დარდი არ ააქვს), ბონდარენკო (რუსი კოლია).

ზედმეტი სახელებისგან ნაწარმოები სოფლის შტოგვარები მსგავსად გვარებისა იწარმოებიან მაწარმოებელი აფიქსებით –ან, –ანთ ფორმები: აბაზაანი, ბატკანაანი, ჭარებლიაანი, უჭუაანი, შარვალაანი, წოპლაანი, გინგოლაანი, მიკიჩაანი, სებოაანი, სრიალაანი, ოსკოტიაანი, ენდელაანი, მაგრამ ფაქიზოაანთი, საქოაანთი, ჩიტიკოაანთი, კოკობაანთი, ტუხაანთი, თობეგაანთი, ჭუკიაანთი, ჭაღარაანთი, ჯადოაანთი, და სხვა.

შეგროვილი გვაქვს ათასზე მეტი ასეთი სახელი, შეგროვებას ვაგრძელებთ წარმოდგენილი მეტსახელები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან წარმოების და მოტივაციის მიხედვით, მაგრამ გვაქვს ერთი ტიპის სახელები, რომლებიც ქალის მეტსახელებია. ტყვიავში მოყვანილ რძალს სახელით კი არ მიმართავენ, არამედ მისი გვარისაგან ან სოფლისაგან აწაროებენ ახალ სახელს. მაგალითად, ერედვიდან – ერედვულა, ფრისულა, ბელოთულა, ვანათულა, არცევულა, დმენურა,დიცულა, ბერულა, მაისურა – მაისურაძე, კასრაულა – კასრაძე, კახნიაური – კახნიაშვილი და მრავალი სხვა.

ჩვენი სოფლის დიალექტები ლექსიკური, ენობრივი მასალა თითქმის აღურიცხავია და უნდა ითქვას, რომ აქ ბევრი მათ შორის მთის რეგიონებიდან ჩამოსული ხალხი სახლობს. მართალია ახლა ძნელია, მაგრამ მაინც იგრძნობა მეტყველებაში ამა თუ იმ დიალექტების თავისებურება. მოსახლეობაში ჯერ კიდევ არის ხსოვნა ამა თუ იმ გვარის მომდინარეობის შესახებ.

მომავალში ამ მიმართულებით საჭიროა მეტი მუშაობა და ჩვენი ვალია სოფლის ელემენტებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდროს მეცნიერებაში.

ლიტერატურა:

1. ალ. კობახიძე, კნინობითის წარმოება რაჭულში, იკე, ტომი XIII, 1962;
2. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986;
3. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1955;
4. აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, 1980.

სამკურნალო მცენარეთა სახელდებისათვის

ეველინა თარაშვილი, მარიამ ოქროპირიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მცენარეთა სახელწოდებები მათი ფუნქციონირება დროში არსებობს და ისტორიულად არის განპირობებული. იგრძნობა მათი აგებულების სირთულე, მათი შემადგენელი ბგერების არაერთგვაროვანი ფუნქციური დატვირთულობა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც სალიტერატურო ენის, ამ შემთხვევაში ქართული ენის, ისე დიალექტური მოვლენებით.

მცენარეთა სახელწოდებებში დიდია დიალექტური სინონიმების სიუხვე და სიტყვათწარმოების დიალექტური სხვაობანი. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: კატაბალახა (ქართლური), კატაპარია (რაჭა, იმერეთი), გულბანდი (თუშეთი), მიწის საკმელი (ერწო), აბზინდა(ქართლი), აბზინთა (ფშავი), საჭმლის ბალახი (რაჭული), აბზინდა (მეგრული), მყრალტი ყრალაი (მოხეური).

მჟაუნა (ქართლი), მაყვანა, მჟავია (ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი), მჟავე ღვალი (რაჭა), ჟვანაი (ინგოლოურია), ჟაველაჲ (სვანური), რძიანა (ქართლი), რძევანა, ერძევნა (მოხეური, მთიულური), მერძევალა (რაჭა), მეგრული (ღეჩხემური), რძია–რძია (რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი, გურული).

დიალექტებში და ეს განსაკუთრებით დასავლეთში იგრძნობა, გვხვდება რედუპლიკაცია ანუ გაორკეცება. ფუძე შეიძლება იყოს გაორკეცებული მთლიანად და უცვლელას, ნაწილობრივ და ცვლილებებით, ხმოვნის შენაცვლებით (ბალახ–ბულახი). გაორკეცება ხშირად ფონეტიკური ცვლილებების შედეგია. ასევე მორფოლოგიური გამოსახვის რამდენიმე ფუნქცია გააჩნია: პირველი, გაორკეცებისას ფუძეში ცვლილება არ ხდება. თავ–თავი. მცენარეთა სახელწოდებებში ხდება მარტივი გაორკეცება, ისეთი ფორმებისა, სადაც გაორკეცებამდე ცალკე აღებულ ფუძეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ქვს. სახელწოდება მცენარის ამა თუ იმ თვისებას მიუთითებს: ფერა–ფერა (გურული, იმერელი), ფოცხა–ფოცხა (გურული), ქინძა–ქინძა (გურული), მთრალი–მთრალი (გურული), რძია–რძია (რაჭა, იმერეთი, ლეჩხუმის), თითა– თითა (გურული), ღვინა ღვინა (გურული) და სხვა.

თვისების და მქონებლობის –ა სუფიქსით ნაწარმოები მცენარეთა სახელწოდებები ბევრი მოიპოვება ქართული ენის დიალექტებში. ხშირად მქონებლობის –ა სუფიქსად ნაწარმოები სიტყვა გაორკეცებულია და ამ გაორკეცებით ხდება, სახელდების იმ პრინციპების, რომელიც ამოსავლად ჩანს გაორკეცებული სიტყვის თითოეული კომპონენტისათვის. მაგალითად:

თავშავა, შავთავა (ქართლი), თავყვითელა (ლეჩხუმი) ჩაისპიტნა (ზემო რაჭა). შვიტა იგივე <u>მესდია</u> (ქართლი), ცხენის ძუა (კახეთი), ტრიალა (მოხეური), ბორბალა (ხევსურეთი), ცხენის ძუა (ზემო იმერეთი), ნაძვბალახა (აჭარული).

<u>უცუნა,</u> შროშანისებრთა ოჯახისაა (ქართლური), უცანა (თუშეთი) შანშველა (ლეჩხუმური), თავნიორა(გურული), გვაჯა (სამეგრელო).

<u>დეკა</u> (ქართლური), შქერი (იმერული, გურული), სვამელა (მეგრული), ზაშიორა (სვანური).

<u>ენძელა</u> (ქარელი), ანძლავა (ფშენი, ხევსურეთი, თუშეთი), ვენძელა (მოხეური).

<u>მრავალძარღვა</u> – დიალექტურად გვხვდება მრავალძარღვა (ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი).

მოგზაურა (ხევსურელი), ბერაძარღვა (აჭარული), ბალძაღი (ჭანური). მაჯარღვია (მეგრული); მუდრეწა (სვანური).

დათვისტერფა (ფშაური, ხევსურელი), ქაღაკოდა (რაჭული, ლეჩხუმური, იმერული). აღმართ – დაღმართა (აჭარული), ოყროლურა (იმერული). თაფლა –თაფლა, ამ ტიპის მცენარეთა – გაორკეცება კვალიფიცირება. როგორც მარტივი გაორკეცება. ხდება რა მარტო დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფუძის გაორკეცება, არამედ თვისების მქონებლობის –ა სუფიქსით წარმოქმნილი (ასლის სრული რედუპლიკაცია. (შედარებისათვის – თაფლი > თაფლ–ა, თაფლ–თა–ზედა) და ამ გზით ახალი. მცენარის სახელწოდების შექმნა. აქ წარმოქმნილი სიტყვის სრული გაორკეცება ხდება სიტყვაწარმოებითი ფუნქციით, ამ გზით მიიღება არა მხოლოდ ახალი სახელი, არამედ ხდება მცენარის სახელდებისას ამოსავალი პრინციპის ექსპერსიულობის გაძლიერება. როგორც ჩანს ქართველურ დიალექტებში მცენარეთა სახელწოდებები განპირობებულია საგნის ბუნებით. განსხვავებულია მოტივაციის საფუძველი საკითხველია, რაც იწვევს სინონიმების არსებობის სახელებში დიალექტური ვარინტები გვაქვს მაშინაც, როცა სახელწოდების პრინციპი საერთოა. ასეთ დროს სინონიმების არსებობას განაპირობებს სიტყვათწარმოების დიალექტური სხვაობანი.

ლიტერატურა:

1. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, შრომები, III, თბ., 1979;
2. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991;
3. თ. ოდიშარია. ბ. საბახტარაშვილი, საქართველოს სამკურნალო მცენარეთა და ფიტოთერაპიული მკურნალობა, თბ, 1993, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970.

მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა სტილური თავისებურებანი „მოულოდნელობის ეფექტი”

ეკა იორამაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** სრული პროფესორი

რამდენადაც ლიტერატურა ადამიანის ყოფიერების ასახვაა, იგი მეტყველების ჩვენებასაც ვერ აუვლის გვერდს, რაც ყოველდღიური ურთიერთობის დროს იჩენს თავს. ამის გამოა, რომ მხატვრული ნაწარმოების კითხვისას, გაშინაურების გრძნობა უჩნდება მკითხველს. უცნობი გარემო, სიტუაციები. აქ იწყება მკითხველის დაინტერესება: როგორ გაიგო მან ესა თუ ის მოვლენა, სწორია თუ არა მისი ახსნა და ა.შ. აქ მთავარი ისაა მწერალი როგორ მოახერხებს თავი დააღწიოს ყოფიერების ერთფეროვნებას და რაღაც ახალი მიაწოდოს მკითხველს.

ყველა მკვლევარი იძლევა სტილის არსებას, განმარტებას - რატომ არსებობს იგი, რა ფუნქციები აქვს, რას იწვევს; ჰეგელი ტერმინით - სტილი აღნიშნავს ,,მხატვრული გამოსახვის გამსაზღვრელებს და კანონებს, რომლებიც ხელოვნების ამ ბუნებიდან გამომდინარეობენ, რომელშიც საგანი მხატვრულ გამოსახულებას პოულობს”. [1.16]

მოულოდნელობის ეფექტის ყველაზე დიდი მხატვრული დატვირთვაა ირონია. ეს, რა თქმა უნდა, მოვლენათა მიმართ მწერლის დამოკიდებულების გამოვლენაა, მაგრამ მისი ცალკე პუნქტად გამოყოფა იმითაა გამოწვეული, რომ ეს დამოკიდებულება აშკარად სხვა ბუნებისაა: ესაა დაცინვა, მაგარამ არა კეთილი, რომ იუმორად მივიღოთ და არც ბასრი და გამანადგურებელი, რომ სატირად ჩავთვალოდ. სანახევროდ დამცინავი, ნახევრად თანაგრძნობის გამხატველი მწარე სიცილია.

,,და თავიან-ფეხებიანად გუბეში ამოვლებული ოდესღაც
,,სოციალური იდეების”, ეხლა კი ივან პეტროვიჩის
,,მსხვერპლი”, საჩქაროდ ზეზე დგება. . . !“[5.356}

მწერალს, თავის მხრივ, აქვს ერთი ხერხი მკითხველთან ემოციური კონტაქტის დამყარებისა, რომელიც ,,მოულოდნელობის ეფექტის” სახელწოდებითაა ცნობილი. მოულოდნელობის ეფექტის დანიშნულება მკითხველზე ზემოქმედებაა, მაგრამ საკმარისია გაჩნდეს ნაკლებად სარწმუნო ელემენტი, მკითხველს გაუჩნდება წინააღმდეგობის სურვილი მის მიმართ, რაც იწვევს ამ მოულოდნელზე ყურადღების გამახვილებას.

რა იწვევს მკითხველის მოლოდინის გაცრუებას? რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც ინდივიდუალურია - სინტაქსი, ლექსიკური ერთეული და ა. შ. ლექსიკაში ,,გაცრუებული მოლოდინი” შეძლება გამოიხატოს იშვიათი სიტყვებით: არქაიზმებით, ნასესხები სიტყვებით, ავტორისეული ნეოლოგიზმებით და სხვა ფაქტორებით [2.42-43]

მიხ. ჯავახიშვილის პროზა აშკარად სტილური თავისებურებების მქონეა, ვხვდებით სიტყვათა უცნაურ მიმართებას ფრაზებში. გავეცნოთ რამდენიმე ნიმუშს:

,,ქეთომ ზურაბს რამდენიმე ახალთახალი ცნობა
და უამრავი საყვედური მოუტანა”. [5. 290]
,,იქვე ოქროთი მოვარაყებული ნიშნები მოსჩანს
ძალაუფლებისა და სასჯელისა: სამეფო გვირგვინი,
ორთავიანი არწივი, კანონთა კრებული და ლამაზი
რომაული კონა როზგისა”. [5. 284]

ყველა ეს ნიმუში შეიცავს ჩვეულებრივი თხრობიდან მოულოდნელ გადახვევას, რადგან ჩვეულებრივი, ახალთახალი ცნობა და მცხარე საყვედური ერთ აზრობრივ ფარგალში ვერ თავსდება. ზემოქმედების ძალას ზრდის ის, რომ ახალთახალი ცნობა და ცხარე საყვედური წინადადების ერთი და იგივე წევრია - ორივე ერთი ზმნის პირდაპირი ობიექტია. შინაარსობრივად დაშორებული ცნებების ერთი გრამატიკული ფუნქციით.

გამოყენება უფრო უსვამს ხაზს მათ შინაგან დაპირისპირებას. მოულოდნელობას ქმნის სინტაქსურ წყვილთა უჩვეულო შეთავსება.

ა) მიხ. ჯავახიშვილის პროზაში სხვა საშუალებებიცაა გამოყენებული.

- მოულოდნელობის ეფექტი მიღწეულია შესიტყვებაში აზრის უჩვეულო მობრუნებით:
  ,,და მცირე ხნის შემდეგ.

- მოწყალება მიიღეთ... შეგეწიოთ წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი მარიამ.
  მოწყალება მიიღეთ.
- ღმერთი მოგცემს, კურკაჯან, ღმერთი". [1. 141]

ბ) მკითხველის მოლოდინის გაცრუების საუკეთესო სტილური საშუალებაა მიხ. ჯავახიშვილის წერის მანერა. სასაუბრო მეტყველებისათვის უცხო სინტაგმური წყვილები აზრობრივად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

,,ორივე მაგიდაზე ეწყო შეუჭმელი მწვადი,
მყინვარის სუსხი, მკვახე დუმილი და ჩვენი
დაბღვერილი თვალები"! [2.156]

ჩვეულებრივ, მყინვარის სუსხი და დაბღვერილი თვალები მაგიდაზე არ დევს, მით უმეტეს შეუჭმელი მწვადის მეზობლობაში ხმარება სრულიად მოულოდნელია.

ასევე მოულოდნელია სინტაქსური წყვილების შინაარსობრივად ასე დაშორება:

,,და მოჰქონდათ და მოჰქონდათ ღორი და ცრემლი,
ღალა და წყევლა, ზურგი და კრულვა, მატყლი და ნაცარი ცხელი". [5.246]

გ) ემოციურად დიდი ზემოქმედების მქონეა ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელიც შეიცავს სინტაგმურ წევრთა დაპირისპირებას სულიერება - უსულობის მიხედვით.

,, რაჟდენმა დროგი მიაყენა, ზედ დაალაგეს და სადგურისაკენ დასძრეს. ორასი ნაბიჯის მანძილზე ლევანი და ხუთი მძიმე ყუთი ელოდა". [5.308]

ასეთ შემთხვევაში ფრაზის ამგვარი წყობა მოულოდნელია: ლევანი ცოცხალი არსებაა -იმავე სინტაქსური ფუნქციის მქონეა - სხვისი მოქმედების ობიექტია, ზუსტად ისევე, როგორც ხუთი მძიმე ყუთი.

დ),,მოულოდნელობის ეფექტი" მიხ. ჯავახიშვილის პროზაში შექმნილია დაპირისპირებული ფერების შეწყვილებით, ზომა-ოდენობის მკვეთრი განსხვავებით და სეგმენტიკურად ურთიერთდაპირისპირებული სიტყვებით:

,,ზურაბმაც დაინახა ისინი, შავ წვერ–ულვაშში,
თეთრად გაუღიმა შორიდან და სალამის ნიშნად
ხელი მაღლა ასწია". [5, 315]

,, - მშვიდობიანად ურჩევს ივან პეტროვიჩი,
ჩერდება და თვალებს აბრიალებს! '' [5. 56]

ე) „მოულოდნელობის ეფექტს" იძლევა უჩვეულო სიტყვათ შეთანხმება, რომელშიც კონტრასტული სიტყვები ქმნიან ახალ ცნებას, ან წარმოდგენილი ცნების შინაგან წინააღმდეგობაზე მიუთითებენ:

„იქვე ოქროთი მოვარაყებული ნიშნები მოჩანს
ძალაუფლების და სასჯელისა: სამეფო გვირგვინი, ორთავიანი არწივი,
კანონთა კრებული და ლამაზი რომაული კონა როზგისა! [5, 284]

ჩვეულებრივ მეტყველებაში ფრაზა ლამაზი როზგი ალოგიკურად ჟღერს. ლამაზი ესთეთიკური ფენომენია და შეუძლებელია მისი დაკავშირება სატანჯველ იარაღთან - როზგთან. მიუხედავად ამისა, იგი სინტაქსურ წყვილს ქმნის. ეს არის სწორედ არსი სამეცნიერო ლიტერატურაში ,,ოქსიუმორონად" წოდებული მოვლენისა. ჩვენს შემთხვევაში სინტაგმა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნების შერწყმას იძლევა, როზგი ლამაზიცაა და ტანჯვის იარაღიც, შეთანხმების მიღება წმინდა ფსიქოლოგიური აქტია. მათი შეუთანხმებლობა მხოლოდ ლექსიკურ დონეზეა, რისი მიღება და დაჯერებაც ძნელია მკითხველისათვის.

ამგვარი სინტაქსური ერთეულის შემოტანა დიდ საშიშროებას უქმნის მწერალს: ცნების არსის ან მკითხველის ნდობის დაკარგვას შორის ერთი ნაბიჯია.

მიხ. ჯავახიშვილმა ამ ბეწვის ხიდზე უცდომელად გადაიარა, მიუხედავად წინააღმდეგობისა, მკითხველი იღებს ამგვარ სიტყვათ–შეთანხმებას, მაგრამ შემდეგ ხდება დაშვება, მიღება და ამ გზით აღქმული ფრაზის ემოციური ძალაც, რა თქმა უნდა, მეტია.

ვ) მიხ. ჯავახიშვილს ახასიათებს ანდაზებისა და ხალხური რითმების უხვად გამოყენება. სხვადასხვა შემთხვევაში ეს სხვადასხვა ფუნქციის მქონეა, ქმნის სტილურ თავისებურებებსაც, საბოლოოდ კი „მოულოდნელობის ეფექტს" ვიღებთ, ამგვარად ეფექტს ფრაზა ახდენს ჩვეულებრივი, ცნობილი დასაწყისის უჩვეულო ფინალით

,,– არა მიშავს რა. მომირჩება და არ კი დამავიწყდება აგერ ლევანიც". [5.135]

ჩვეულებრივ ცნობილია გამოთქმა: ,,მოგირჩება და დაგავიწყდება". მკითხველიც ძალაუნებურად, რაღაც ამგვარს ელის, მაგრამ სათქმელის ასეთი უეცარი შებრუნება გაცრუებული მოლოდინის გრძნობას იწვევს. სიტყვის ემოციურ ელფერს კონცენტრაციისთვის ორგვარი ღირებულება აქვს: იგი შეიძლება

ქმნიდეს ჰარმონიას ფრაზაში ან პირიქით - დისონანსი შეჰქონდეს. მოულოდნელობის ეფექტს სწორედ ეს დისონანსი იძლევა.

მიხ. ჯავახიშვილის პროზაში „მოულოდნელობის ეფექტის" მქონე ყოველ ნიმუშს სდევს წმინდა მხატვრული ფუნქცია. ყოველი მოულოდნელი შესიტყვება თუ ლექსიკური ერთეული რაღაც მნიშვნელობის მთქმელია მოვლენათა ან მოქმედ პირთა მიმართ ავტორის დამოკიდებულების შესახებ. ამიტომ „მოულოდნელობის ეფექტის" მქონე ნიმუშების მხატვრული ფუნქციის მიხედვით განხილვაც ძალიან საინტერესო სურათს იძლევა.

,,მოულოდნელობის ეფექტი" საშუალებაა შექმნილი სიტუაციისა და ამ სიტუაციაში გმირის მდგომარეობის წარსადგენად:

„მასპინძელო! მაპატიეთ, პარადოქსებით გავავსე ეს დარბაზი, რადგან მე თვითონ პარადოქსი გახლავარ.

- ქათამი მიართვით შადურსა, ქათამი...'' [3. 285]

,,და მცირე ხნის შემდეგ:

- მოწყალება მიიღეთ, შეგეწიოთ წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი მარიამ. მოწყალება მიიღეთ.
- ღმერთი მოგცემს, კურკაჯან, ღმერთი".[5.234]

ორივე ნიმუშში ხაზი ესმევა გმირის მიმართ საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებას. ადამიანი თავის გულისტკივილს უხსნიოს სხვებს, ისინი კი კერძზე ეპატიჟებიან, ირონიულად აიმედებენ - ღმერთი მოგცემსო. მას და ხალხს შორის დამოკიდებულება ირონიით მჟღავნდება.

,,მოულოდნელობის ეფექტს" შეუძლია უჩვეულოსა და ჩვეულებრივის კონტრასტული დაპირისპირება. ეს სტილური ხერხი კარგი საშუალებაა სიტუაციის უკეთ წარდგენისათვის.

„ორივე მაგიდაზე იდო შეუჭმელი მწვადი, მყინვარის
სუსხი, მკვახე დუმილი და ჩვენი დაბღვერილი თვალები".[4.307]

იგრძნობ, რომ თანამეინახეებს შორის მთლად კეთილგანწყობა ვერ უნდა სუფევდეს. მათი დამოკიდებულების და ამ სიტუაციის აღწერისათვის მწერალს შეეძლო ჩვეულებრივი გზით წასულიყო: დაეხატა ყოველი გმირის სულიერი მდგომარება, გადმოეცა მათი ფიქრები და ა.შ. მაგრამ უჩვეულო სურათი მაგიდაზე დაწყობილი შეუჭმელი მწვადი, მყინვარის სუსხი და მკვახე დუმილი საუკეთესოდ გვიხასიათებს სიტუაციასა და განწყობილებას. რაც შეიძლება ჩვეულებრივი თხრობის მეთოდი ერთ-ორ გვერდზე გაჭიმულიყო, აქ ერთ ფრაზაში ითქვა და მეტი ემოციური ეფექტითაც.

„მოულოდნელობის ეფექტის" ერთი ლიტერატურული ღირსება ისაა, რომ იგი გმირისა თუ მოვლენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებას გვიჩვენებს ისე, რომ ამაზე თავად მწერალი ერთ სიტყვასაც არ ამბობს.

,,ნახევარი საათის შემდეგ მხიარული და შეყვარებული
კურკა შინისაკენ მიჩანჩალებდა".[2.257]

სიტყვა ,,მიჩანჩალებდა" მარტო გმირის სიარულის მანერას კი არ გვიჩვენებს, არამედ იმასაც, რომ მას ადამიანურად განცდის უნარიც არა აქვს. თვით მწერალს კი გმირის მიმართ თანალმობის პოზიცია უკავია, რასაც ვერ ვიტყვით ასეთ შემთხვევაში:

,,ამ დროს ქალაქელები მხოლოდ სადილობენ, ისვენებენ,
მკვდრებს მარხავენ და ბავშვებს დაასეირნებენ". [5.117]

სტილური ხერხი მიხ. ჯავახიშვილისათვის გმირის სულიერი მდგომარეობის ჩვენების საუკეთესო საშუალებაა:

,,ის თეიმურაზი ერევნის მოედანზე ქაქანით დალასლასებდა,
კედლებსა და მავალებს აწყდებოდა" [1. 232]

გმირის ეს მდგომარეობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბრძოლა წყალწაღებულის უკანასკნელი გაბრძოლებაა.

,,მოულოდნელობის ეფექტი" ერთი საუკეთესო სტილური ხერხია მწერლის ორიგინალური მხატვრული აზროვნების გამოვლინებისათვის.

ლიტერატურა:

1. გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ. 1957.
2. Л. Арнольд, Стилистика современного Английского языка, 1973.
3. Лингвистика и поэтика, сборник, Л, 1979.

ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის

თამარ საური
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნიკოლოზ ოთინაშვილი,** ასოცირებული პროფესორი

ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის, როგორც ცნობილია უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ხელნაწერების, ე.წ ხანმეტური და ჰაემეტური ძეგლების აღმოჩენას. ეს ძეგლები გამოსცეს და სათანადო გამოკვლევა მიუძღვნეს მათ ენას ივ. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ. ამ ძეგლების ენას ეხებოდნენ სხვა ავტორებიც.

ამჟამად ცნობილი ხანმეტი ძეგლები V,VI,VIII საუკუნეების ძეგლებად არის მიჩნეული, ჰაემეტ ძეგლს კი მომდევო საუკუნეებისად თვლიან.

როგორც დადგენილია, ამ ძეგლების ენაში ხ–//ჰ– პრეფიქსები როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან გამოხატავს, ერთი მხრივ, მეორე სუბიექტურ პირს (შენ ხუწყი იგი, შენ აღხიღე იგი), მეორე მხრით – მესამე ირიბი ობიექტის პირს (მან ხრქუა მას იგი, იგინი მიხეახლნეს მას // მან ჰრქუა მას იგი), ამავე დროს ხ–//ჰ– პრეპიქსი, როგორც ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი, გამოყენებულია, ძველ ქართულ ზედსართავის შედარებით–აღმატებით ფორმებთან ხუდიდ +ᲩᲘ// ხუდიდᲩს, ხუფროᲘს // ჰუფროის.

ხ– და ჰ– პირის აფიქსების ურთიერთმიმართების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა რიგი მოსაზრება, ივ. ჯავახიშვილის აზრით ხ–პრეფიქსი ქართულის საერთო კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგში ჰ–დ ჩანს შეცვლილი. ხ ბგერის ჰ–დ შეცვლა მას მიჩნეული აქვს ქართული ენის ფონეტიკის ბუნებრივი განვითარების შედეგად.

საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული ამ საკითხის შესახებ ა. შანიძეს. მისი აზრით დასახელებული აფიქსების ძირითად სახედ უნდა მივიჩნიოთ ჰ, რომელიც რიგ დიალექტში აქამდისაც შემონახულა, ხოლო ხ, ისე როგორც ღ – , ს, ზ, შ, ჟ, ამ ძირითადი სახის ფონეტიკურ შენაცვლებას უნდა წარმოადგენდეს ა. შანიძე, სრულიად სამართლიანად, არ თვლის შესაძლებლად, რომ ხ პრეფიქსი შეიძლებოდა ფონეტიკურ ნიადაგზე გადასულიყო ჰ–ში, რამდენადაც ქართულ ენას საერთოდ არ ახასიათებს ხ–ს დასუსტება და ჰ–თი შეცვლა.

,,როგორ უნდა ავხსნათ – წერს ა. შანიძე, –ხანის ჰაედ შეცვლა, მხოლოდ პრეფიქსებში მოხდა, ხოლო სხვაგან კი არა ? რატომ გვაქვს ჩვენ დღეს ხარება, ხატი, ახალი, ხედვა, სახელი, ხილვა, ხოლო, ხუთი და სხვა მრავალი და არა (ჰ) არება, (ჰ)აცი, ა(ჰ)ალი, (ჰ)ედვა, სა(ჰ)ელი, (ჰ)ოლო, (ჰ)უთი. და მისთ".

ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებს შორის დამოკიდებულება ა. შანიძეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენადაც დიალექტური, ე.ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქებს კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს, ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი – მეორეზე.

ხანმეტი და ჰაემეტი კილოების განლაგებისა და მათი საზღვრების შესახებ ა.შანიძე ვარაუდობს, რომ ხანმეტი კილო უნდა ყოფილიყო სამხრეთ–აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ,,მცხეთა–ბოლნისის რაიონებში და მიმდგომ მხარეებში". რამდენადაც ხანმეტი წარწერები დადასტურებული იყო მცხეთასა და ბოლნიში, ჰაემეტი კილო კი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოში.

გარკვეული მოსაზრება აქვს ა. შანიძეს გამოთქმული იმის შესახებ, რომ თუ რამ გამოიწვია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ხანმეტობის გაქრობა, მერვე – მეცხრე საუკუნეებიდან და ჰაემეტობის დამკვიდრება. ამის ერთ–ერთ მიზეზად შეიძლება ყოფილიყო, მისი აზრით, აღნიშნულ ხანაში არაბების შემოსევა აღმოსავლეთ საქართველოში და მასთან დაკავშირებული გადანაცვლება ქართული კულტურის ცენტრისა დასავლეთ საქართველოში ა. შანიძეს დადგენილი აქვს, რომ ხ–პრეფიქსი და მისი ფონეტიკური სახეობა ღ– იმავე მეორე სუბიექტისა და მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად იხმარება ქართული ენის მთის კილოებში – ხევსურულში, თუშურსა და მოხევურში ეს აფიქსი არსებითად თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ გვხვდება.

ა. შანიძის აზრით, მთის კილოებში ხ – ამ შემთხვევაში ჰ–საგან არის მიღებული შედარებით უფრო გვიან. ხ– და მისი ფონეტიკური ვარიანტი ისევე მეორეულია, როგორც ს– და მისი ბგერითი ნაცვალი ზ, შ, ჟ, პრეფიქსები.

დასახელებული ხ–//ჰ– აფიქსების გენეზისისა და მათი უძველესი ფონეტიკური სახის საკითხს ეხება არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, ამ აფიქსების ამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო ს – პრეფიქსი. ეს

აფიქსი ისტორიულად პირის აღმნიშვნელი არ უნდა ყოფილიყო. პირის ნიშნად ეს პრეფიქსი შემდეგ ჩამოყალიბებულა. ქართული ზმნის პიროვანი უღვღლების ჩამოყალიბების დროს ამ პრეფიქსს ორი ფუნქცია დაჰკისრებია: მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პირების გამოხატვა. ამოსავალი ს ბგერისაგან შეიძლებოდა მიგვეღო, ერთი მხრით ჰ, ისე როგორც ეს დასტურდება აჭარულ კილოში (ჰად=სად), ხოლო მეორე მხრით ხ ბგერაც: ს–ჰ//ხ.

ხ–სა და ჰ–ს ისტორიული ურთიერთობები. არ უნდა იყოს სადაო ა.შანიძის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხ– ბგერას, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების აფიქსს, არ შეეძლო გადასვლა ჰ–ში, პირიქით, შესაძლებელი იყო ჰ– პრეფიქსს მოეცა ხ–. მართლაც ასეთი პროცესი ჩატარებულა ქართული მთის კილოებში: ხევსურულში, მოხევურსა და თუშურში. დასახელებულ კილოებში ჰ– პირის ნიშანი რიგი თანხმოვნით დაწყებული ბგერის წინ შეცვლილა ხ–თი, მაგრამ მთის კილოების თანამედროვე ვითარება გენეტურად არ უკავშირდება ძველ ქართულში ნავარაუდევ ხანმეტ კილოს.

მთის კილოები არ ითვლება ხანმეტი კილოს შთამომავლად. ამავე დროს საეჭვოდ გვეჩვენება ქართულის დიალექტებს შორის ე.წ ხანმეტი დიალექტის პირობებზე ლაპარაკი აღმოსავლეთ საქართველოს მცხეთისა და ბოლნისის რაიონებში, მაშინაც კი როცა ამ ადგილებში დაწერილ ძეგლებში ე.წ ხანმეტ ძეგლებში გვხვდება ხ– პრეფიქსი. ჩვენი აზრით ძველ ქართულში ზმნის მეორე სუბიექტურისა და მესამე ობიექტური პრეფიქსების ორი სახეობა ჰ და ხ არ უნდა ყოფილიყო ფონემურად განსხვავებული ორი ბგერა ჰ და ხ. მეორე სუბიექტური და III ობიექტური პირების აღმნიშვნელად დასახელებულ ეპოქაში ქართულ ზმნებს უნდა ჰქონოდა ერთი და იგივე ლარინგალური სპირანტი ჰ, რომელიც ზოგან უფრო ღრმად გამოთქმული იძლეოდა უკანაენისმიერი ხ სპირანტის შთაბეჭდილებას, ზოგ ძეგლებში ამ აფიქსის ხანითაა და ზოგში ჰაეთი აღნიშვნა არსებითად გრაფიკული ხასიათის სხვაობა უნდა ყოფილიყო. ე.ი. ერთმა ლიტერატურულმა სკოლამ ამ ლარინგარულ–ფარინგალური ბგერის გადმოსაცემად ჰაე ასო იხმარება, ხოლო მეორემ ხანი აირჩია. ეს არჩევანი შესაძლებელია, თვით ჰ ბგერის დიალექტური სხვაობით იყო შეპირობებული: ზოგ დიალექტში ეს ჰ შეიძლება უფრო ღრმად და ინტენსიურად გამოითქმოდა, ზოგში კი – ნაკლებ ინტენსიურად.

სხვა მონაცემებიც შეიძლება დავასახელოთ ამ მოსაზრების სასარგებლოდ: რომ მართლაც ძველ ქართულში, როგორც ვარაუდობენ, ხანმეტი კილო ყოფილიყო გამოყოფილი, მაშინ მოსალოდნელი იყო მჟღერი თანხმოვნებით დაწყებული ზმნის ფუძის წინ ხ – პრეფიქსი გამჟღერებულიყო (ე.ი გადასულიყო ღ–ში) როგორც ამას ადგილი აქვს მთის კილოებში, მაგ: ხევსურულში – ღდგომივ, დაღმალავს, თუშურში – ღლესავს.

მეორე მხრით, მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხანმეტი ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად არის დადასტურებული, ჩვეულებრივ წმინდა ხანმეტი არ ჩანს, რამდენადაც მათში სპორადულად მაინც გვხვდება ხანების ნაცვლად ჰაეები. ხანმეტი ლექციონარის ენის შესახებ ა.შანიძე წერს: ,,ხანმეტი ლექციონარი ხანმეტი ხელნაწერიო ვამბობთ ჩვენს ძეგლზე, მაგრამ არის კი სავსებით შესაფერისი მისთვის ეს სახელწოდება ? არადა თითქოს ჰოც. არა იმიტომ, რომ ძეგლში გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც ,,მეტი“ ხანების ნაცვლად ,,მეტი“ ჰაები გვაქვს ... საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ხანთან ერთად ჰაეს ხმარება შეიძლება მარტო ამ ძეგლს არ ახასიათებდეს.

ხანმეტი პალიმფსესტების საბოლოო ამოკითხვა ალბათ სხვაგანაც დაადასტურებს ჰაეს არსებობას, მაგრამ ახლაც შემიძლია გადაჭრით ვთქვა, რომ ამ მხრივ ლექციონარის ენა ყოველ შემთხვევაში განმარტოებით არ დგას, მას მხარს უჭერს ხანმეტი იერემიას ნაწყვეტების ტექსტი, სადაც 20 ფორმათაგან 17 ხანმეტია, 3 კი ჰაემეტი.

ვფიქრობ ამ მოსაზრებას არ ეწინააღმედეგება უკვე ცნობილი ისეთი შემთხვევები, სადაც ამჟამადაც ქართულში შემონახული ჩანს სამ ზმნაში მეორე სუბიექტური პირის ხ – პრეფიქსის ხარ, წახვალ, წახვედ. ეს ფორმები შემონახულია არა მხოლოდ იმ დიალექტებში, სადაც ისტორიულად ნავარაუდევია ხანმეტობა, ე.ი აღმოსავლურ კილოებში, არამედ იმ დიალექტებშიც, სადაც ხანმეტობა არაა ნავარაუდევი. ე.ი. დასავლურ კილოებში. თვით ძველ ქართულის ჰაემეტ ძეგლებშიც დასახელებულ ზმნებთან იხმარება არა ჰ პრეფიქსი, არამედ ხ პრეფიქსი. პრეფიქსი: შენ არა ხარ მომავალი იგი. (ჰაემეტი ტექსტის ნიმუშები).

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ II, 1929–93 წწ;
2. აკ. შანიძე ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ III, 1923 წ;
3. ს. ჯანაშია, კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში, წელიწდეული 1923–1924 წწ.

წარმთქმითი ბრძანებითის წარმოება საშუალ ქართულში

ნათელა სომხიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ვიანორ ახალაია,** სრული პროფესორი

ქართულში ზმნა ყველაზე რთული მეტყველების ნაწილია. მას ერთდროულად რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორია აქვს, რომლებიც თავის მხრივ იყოფა უღლების და წარმოქმნის კატეგორიებად. უღლების კატეგორია აუცილებელია მწკრივის საწარმოებლად, მაგრამ ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არ ცვლის. წარმოქმნის კატეგორია კი ცვლის ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას.[1]

უღლების კატეგორიებია: პირი, დრო, კილო, ჯერობა, აქტი, თანამედროვეობა. წარმოქმნის კატეგორიებია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა და კონტაქტი. ამრიგად, კილო უღლების ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც აკაკი ძანიძის განმარტებით: ,,არის ფორმა მიზნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან კიდევ როგორც შესასრულებელი. ამის მიხედვით გვაქვს სამი კილო: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი''.[2]

თხრობითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს როგორც ნამდვილ ფაქს.[3]

კავშირებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს როგორც შესაძლებელ - სავარაუდებელ ბრძანებითი კი მზნით აღნიშნული მოქმედების შესრულებას ითხოვს.[4]

ამ სამი ძირითადი კილოს გარდა, აკაკი ძანიძე გამოყოფს პირობით და შედარებით კილოებაც: პირობითია ზმნის ფორმა, რომელიც რომელსამე მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც აუცილებლობას მეორე მოქმედების შესასრულებლად. იგი, ჩვეულებრივ, დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება შედეგობითია ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული. პირობითი კილო გადმოიცემა ,ეორე თურმეობითით, შედეგობითი კი - პირველი ხოლმეობითით.[5] რადგანაც პირობითსა და შედეგობითს არც უღლების საკუთარი პარადიგმა აქვთ და არც რაიმე მორფოლოგიური ნიშანი, ამიტომ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში პირობითი და შედეგობითი არ არის ცალკე გამპყოფილი როგორც კილოს კატეგორიის ქვეჯგუფები.

თავი I
ბრძანებითი კილოს რაობისათვის

,,ბრძანებითია კილო, რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შესასრულებლაგ წარმოგვიდგენს, ის გულისხმობს, რომ მოუბრის სურვილი უნდა იქნეს შესრულებული''.[6]

ბრძანება ყოველთვის სუბიექტურ პირს მიემართება. გამოიყოფა ბრძანებითის წართქმითი და უკუთქმითი ფორმები. წართქმითია ფორმა, რომელიც ზმნით აღნიშნული მოქმედების შესრულებას გულისხმობს, უკუთქმითი კი ამ მოქმედებას კრძალავს. ამ უკანასკნელ აკრძალვითიც ეწოდება.[7]

წართქმით ბრძანებით ძველ ქართულში ჰქონდა სპეციალური მწკრივები პირველი და მეორე ბრძანებითისა. I ბრძანებითის დრო ახლანდელი ან მომავალია, ხოლო მეორე ბრძანებითის დრო ყოველთვის მომავალი იყო.[8]

I ბრძანებითი, ისევე, როგორც პირველი სერიის ყველა მწკრივი, უსრული ასპექტის გამომხატველი იყო, მეორე ბრძანებითს კი, როგორც მეორე სერიის მწკრივს, სრული ასპექტის გაგება ჰქონდა.

---

[1] შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1953, გვ.167
[2] შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1953, გვ.208
[3] შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1953, გვ.208
[4] შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, თბილისი, 1953, გვ.209
[5] აკაკი ძანიძე, საფუძვლები, გვ.213
[6] აკაკი ძანიძე, საფუძვლები, გვ.209
[7] აკაკი ძანიძე, საფუძვლები, გვ.210
[8] აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, ქ1976, გვ.70

პირველი ბრძანებითი და მეორე ბრძანებითი პირნაკლი მწკრივები იყო. მხოლობითი რიცხვის პირველი პირის ბრძანებითი არ არსებობდა. მრავლობითი როცხვის პირველი პირის ბრძანებითს აწარმოებდა ან პირველი კავშირებითის, ან მეორე კავშირებითის ფორმები.

საკუთარი ფორმები მოეპოვებოდა III პირის ბრძანებითს, ხოლო II პირის ბრძანებითს საკუთარი ფორმები არ ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ II პირის ბრძანებითის ფორმებს, განსხვავებით თხრობითი კილოს II პირის ფორმებისაგან, არ ერთვოდა პირის ნიშანი.

I ბრძანებითის მწკრივი ემყარებოდა უწყვეტლის ფუძეს. II პირი ფაქტიურად უწყვეტის ფუძე იყო II სუბიექტური პირის პრეფიქსის გარეშე. მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშნის უქონლობით განსხვავდებოდა II პირის ბრძანებითი ამავე პირის უწყვეტლისაგან. III პირის კი საკუთარი მაწარმოებელი ჰქონდა - მხოლობითში - ნ სუფიქსი, მრავლობითში - ედ სუფიქსი.

II ბრძანებითის მწკრივი წყვეტილის ფუძეს ეყრდნობოდა. II პირი იმეორებდა წყვეტილის ფორმას სუბიექტური პირის ნიშნის გარეშე, ხოლო III პირის მაწარმოებლები იგივე იყო, რაც I ბრძანებითის III პირისა: მხოლობითში - ნ, მრავლობითში - ედ.

ხშირად III პირის გამომხატველ ნ-სთან ჩნდებოდა უფუნქციო ხმოვანი ი.ეს ხდებოდა ხშულ თანხმოვნებზე და სონორებზე დაბოლოებულ ზმნურ ფუძეებთან და, აგრეთვე, დონიან ვნებითებთან.

ახალ ქართულში საკუთრივ ბრძანებითის მწკრივები აღარ იხმარება. წართქმითი ბრძანებითი გადმოიცემა წყვეტილის (IIპირი) და II კავშირებითის (III პირი) ფორმებით. მრავლობითი რიცხვის I პირის ბრძანებითი კი, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, გადმოიცემა მხოლოდ II კავშირებითის მწკრივით. როგორც ვხედავთ, ბრძანებითს ახალ ქართულში მხოლოდ II სერიის ფორმები აწარმოებენ. ეს კი გამოიწვია იმან, რომ სერიების დაპირისპირება ასპექტის სისრულის თვალსაზრისით მოიხსნა, რადგან ასპექტი უღლების კატეგორიიდან წარმოქმნის კატეგორიიდან იქცა და სრული ასპექტის გამოხატვა ზმნისწინმა იკისრა. ასალ ქართულში აღარ არის საჭირო I ბრძანებითის ფორმები, რომლებიც უსრული ასპექტის მქონე ბრძანებითს აწარმოებდნენ ძველ ქართულში და უპირისპირდებოდნენ II ბრძანებითის სრულ - ასპექტიან ფორმებს. გამონაკლისს შეადგენს ისეთი ზმნები, რომლებსაც მეორე სერიის ფორმები ან საერთოდ აკლია, ან სხვა ფუძით აქვს შევსებული. ასეთი ზმნების ბრძანებითს I სერიის ფორმები აწარმოებენ:

ელის - ველოდეთ, ელოდე, ელოდეთ, ელოდეს, ელოდნენ.

იცის - ვიცოდეთ, იცოდე, იცოდეთ, იცოდეს, იცოდნენ.

ასეთივე ზმნებია: უწყის, ფლობს, ახსოვს, უყვარს, სძულს, რცხვენია, ეშინია, ებრალება, გრძნობს.

მართალია, ბრძანებითს ახალ ქართულში არა აქვს საკუთარი მწკრივი, მაგრამ მისი უღლების პარადიგმა მაინც განსხვავდება ყველა სხვა მწკრივისაგან:

	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
I.	----------	II კავშირებითის ფორმა
II.	წყვეტილის ფორმა	წყვეტილის ფორმა
III.	II კავშირებითის ფორმა	II კავშირებითის ფორმა

უკუთქმით ბრძანებითს საკუთარი მწკრივი ძველ ქართულშივე არ ჰქონდა. იგი გადმოიცემოდა უარყოფითი ნაწილაკის (ნუ, ნუღარ, ნიცამცა, ნუცა … არა (არ-)) დართვით ზმნის პირიან ფორმაზე, რომელიც იდგა აწმყოში, აწმყოს ხოლმეობითშია, იშვიათად კავშირებითსა და I თურმეობითში.

ახალ ქართულში უკუთქმითი ბრძანებითი გადმოიცემა უარყოფითი ნაწილაკის (არ, ნუ) დართვით ზმნის პირიან ფორმაზე, რომელიც შეიძლება იდგეს აწმყოს, მყოფადის და კავშირებითის მწკრივში.

ამრიგად, უკუთქმითი ბრძანებითი ახალ ქართულში, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, აღარ იყენებს I თურმეობითს. რაც შეეხება აწმყოს ხოლმეობითს, ეს მწკრივი აღარ არსებობს ახალ ქართულში და ამიტომ, ბუნებრივია, არც მისი გამოყენების საკითხი ისმის. უკუთქმითი ბრძანებითის გამოსახატავად, სამაგიეროდ, ამ ფუნქციით ახალ ქართულში უარყოფით ნაწილაკთან ერთად იხმარება მყოფადის მწკრივი.

წართქმითი ბრძანებითის გამოსახატავად ძველ ქართულს ორი მწკრივი მოეპოვებოდა: პირველი ბრძანებითი და მეორე ბრძანებითი[9]. საშუალ ქართულში, ახალი ქართულისაგან განსხვავებით და ძველი ქართულის მსგავსად, გამოიყენება როგორც პირველი ბრძანებითი, ასევე მეორე ბრძანებითის ფორმები, მაგრამ, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, ამ ფორმებს აწარმოებს არა საკუთრივ ბრძანებითის მწკრივები, არამედ უწყვეტელი და I კავშირებითი - I ბრძანებითს, წყვეტილი და II კავშირებითი - II ბრძანებითს.

[9] ზ. სარქველაძრ, ძველი ქართული ენა, თბილისი, 2044, გვ. 79.

I ბრძანებითი

I ბრძანებითის მრავლობითი რიცხვის I პირის გადმოსაცემად, ისევე, როგორც ძველ ქართულში, გამოყენებულია I კავშირებითის ფორმები, რომელთა მნიშვნელობაც იგივეა: მოწოდება ერთობლივი მოქმედებისაკენ.

მაგალითები:

- მე და სენ გავიხარებდეთ (ვისრ., 98)[10]
- მუტრიბთა ვამღერებდეთ და ერთგან ვიყვნეთ (ვისრ., 258)
- თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემკ - დათხეული (ვისრ., 4)[11]
- სამთაგან ერთი შევუვალთ, სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა (ვეფხ. 14/3)

I ბრზანებითის მეორე პირი საშუალ ქართულში იყენებს უწყვეტლის ფორმას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში ,,ბრძანებითის კილოს ერთი დამახასიათებელი თვისება აქვს: მას მეორე პირში არავითარი თავსართი არა სჭირდება, არამედ იგია წმინდა ფუძე, ნამყო სრულისა და ნამყო უსრულისაგან აღიარებული, უპრეფიქსოდ და რადგანც სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა (ჰაე და სანი), რომელიც აუცილებლად საჭიროა სხვა კილოებში, ბრძანებითი კილოს არ უნდა, ამიტომ ამ კილოს მეორე პირის ფორმები ჩვეულებრივ გარეგნულადაც განსხვავდება ამავე პირის თხრობითი კილოს ფორმებისაგან ნამყო სრულსა და ნამყო უსრულში''.[12]

საშუალო ქართულში კი, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, II სუბიექტური პირის ნიშანი ზოგჯერ წარმოდგენილია და ამიტომ მოხსნილია ფორმობლივი განსხვავება ბრზანებითსა და თხრობით კილოს შორის. ესე იგი I ბრძანებითის II პირი გადმოიცემა უწყვეტლივ ნიშნიანი ფორმით და არა მისი სუფთა ფუძით.

მაგალითები:

- აწ მოისმინე ჩემი მოხსენება და სთმობდი (ვისრ., 129)
- აქათგან ნუღარა ხარ შეჭირვებით, ღმერთსა ჰმადლობდი და მოყვრისაგან იხარებდი. (ვისრ., 131).
- უხვად გასცემდი (ვეფხ., 21)
- ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა (ვაფხ., 301)
- თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრენდით, და-ცა-სჭრიდითა (ვეფხ.,1571)

უმეტეს შემთხვევაში I ბრძანებითის II პირი გადმოიცემა უწუვეტლის უნიშნო ფორმით.

მაგალითები:

- თამაშობდი და იმღერდი ვითა გმართებს (ვისრე 100).
- კვნესოდე, სულო, რათგან ამისა ღირსი ხარ (ვისრე 230).
- ამოდ დაჯედ, ჩემებრითა ნადირთა იხარებდი, ჭამდი... (ვისრე., 98)

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, ამასთანავე, ბრძანებითის გადმოსაცემად უწყვეტლის ფორმების გამოყენებისას დაცულია ძველი ქართულის ნორმა:

- დ სავრცობიანი ფორმები:
  - რაცა გწადიან შენ უბრძანებდი და აქნევდი (ვისრ., 162).
  - ვისის ნაქმართა იგონებდი (ვისრ 244).
  - აქათგან ნუღარა ხარ შეჭირვებიტ, ღმერთსა ჰმადლობდი და მოყვრისგან იხარებდი (ვისრ., 131).
  - თამაშობდი და იმღერდი ვითა გმართებს (ვისრე., 100).
  - ამოდ დაჯედ, ჩემებრითა ნადირთა იხარებდი, ჭამდი და სმიდი (ვისრ., 98).
  - ახლოს მომდევდით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მინდენ შველანი (ვეფხი., 430).
  - რა მოგშორდე, მახსენებდი, სიყვარული ჩემი გქონდეს (ვეფხ., 787).
  - ნაკრავსა შედარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა (ვეფხ., 75).
  - შენ სწერდი შენსა ამბავსა, ლაღი ბრძნად გაგონებული (ვეფხ., 1281).
  - რასაც გვედრებ, ისმენდი, ვირე დრო გქონდეს ხლებისა (ვეფხ., 786).
- ოდ სავრცობიანი ფორმები:
  - უბრძანა ამბრი არაბმან; მოხვიდოდეთ ჩვენსა კვალსაო (ამირან დარეჯან;315)[13]
  - მაშინ მოიქცა მეფე მის კაცისა კერძო და უბრძანა; იტყოდეო (ამირ., 286).

---

[10] ვისრამიანი, ჩვენი საუნჯე, ტII, თბილისი, 1960. შემდეგ მითითებული იქნება მხოლოდ გვარდი

[11] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1986. შემდეგ მითითებული იქნება მხოლოდ სტრიქონი

[12] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტII, თბილისი, 1981, გვ. 117-118.

[13] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, ჩვენი საუნჯე,ტ. II,თბილისი, 1960, შემდეგში მითითებული იქნება მხოლოდ გვერდი.

- დათმე, ღმერთსა ექენებოდე (ვისრ.,130).
- რა ყმა იყო. პატრონისა ადგილსა ეკრძალვოდე (ვისრ., 166).
- კვნესოდე, სულ, რათგან ამისა ღირსი ხარ (ვისრ., 230).
- ღმერთსა ევედრებოდე (129).
- გებრალებოდეთ, მსმენელნო ჩემისა ამბისანო (ვისრ.,207).

არის შემთხვევები, როდესაც -ოდ და -დ სავრცობიან ზმნათა უღლებას შორის განსხვავება ირღვევა.[14] და - ოდ სავრცობიანებს უწყვეტელშიაქვთ დაბოლოება -ოდ.

მაგალითები:

- წაე, გულსა ეუბნებოდი, მას აღორებდი და მისისა მიჯნურობისათვის ხელობდი (ვისრ., 234).
- გულო, თუ მიჯნური ხარ, კვნესოდი ვისრ., 126).
- იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი აწანწკარითო (ვეფხ., 1636)
- ამბავსა სცნობდი, მაცნევდი, წიგნითა მეუბნებოდი, ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, აგრევ შენ ჩემთვის დნებოდი (ვეფხ., 1579).
- რაცა გიჯობდეს იქმოდით, გასჭვრეტდით, გაიცდითითა(ვეფხ., 1571).
- მჭვრეტელო, გულსა ეტყოდი: „ ნუ აეხსნები იქ ები (ვეფხ., 1559).
- შენ აქათგან მიჯნურობისა დაეკსენ და, ვირე ცოცხალ იყო, გარდასრულთა დღეთა სტიროდი, ვისის ნაქმართა იგონებდი და ამასა იტყოდი: ,,ვაი ცუდად დალევნულნო დღენო ჩე,ნო (ვისრ., 244)

I ბრძანებითის IIIპირი კი გადმოიცემა I კავშირებითის ფორმით

მაგალითები:

- ვინცა იყოს უარესი, თავ- შიშველი სამ დღეს ვლიდეს 9ვეფხ.,70).
- ვინცა მნახოს, ჩემგან მისსა საუბნარსა ვერა სცნობდეს,
- ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს,
- და-ცა-მვედრა; „ამირბარსა უთხრა ასრე ნამესობდეს (ვეფხ., 3860.

ამრიგად, I ბრძანებითს აქვს განსხვავებული პარადიგმა: I და III პირს გადმოსცემს I კავშირებითის ფორმები, II პირს კი - უწყვეტლის ფორმები.

ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953
2. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1967, გვ 70
3. ზ. სარქველაძე. ძველი კარტული ენა, თბილისი. 2004
4. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი, ტ. III თბილისი, 1981.
5. გ. ნინუა, ბრძანებითი კილო ქართულ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიტატის სამც. ხარისხის მოსაპოვებლად, 1968.
6. „ვისრამიანი,'' ჩვენი საუნჯე. ტ.II,თბილისი, 1960
7. შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი,'' თბილისი,1986
8. მოსე ხონელი, ,,ამირანდარეჯანიანი,“ ჩვენი საუნჯე, ტ.II, თბილისი, 1960

[14] ნინუა, დასახელებული ნაშრომი, გვ.150

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

მითი და რეალობა ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელში“

სოფიკო ბერუაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ნელი ჭამპურიძე,** სრული პროფესორი

ვაჟა-ფშაველა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში გოლიათივით დგას, იგი ხარბად სუნთქავს წარსულითაც და თანადროულობითაც, ის ჟამთა ვითარებით, ან როგორც მგოსანი იტყოდა, ,,ცხოვრების უკუღმა ტრიალით“ უკმაყოფილო, ხარბად იყურება წინ, ცდილობს ცხოვრების ახალი გაგება, ახალი მორალი გაარკვიოს და თავშეუკავებლად იქით მიიწევს. ეს გარემოება ართულებს და აძნელებს მწერლის ისედაც მეტად რთულსა და თავისებური შემოქმედების გაგებას.

ვაჟა-ფშაველა ქართული ლიტერატურის ისტორიაში მზის სხივებით ანთებულ და მასთან ერთად მზის ჯანღითა და ნისლით დაბურულ მწვერვალივით მოჩანს. მისი შემოქმედება უხვად ბრწყინავს ნაირ-ნაირი ბუნებრივი ფერებით, რაც მას მეტად თავისებურ, არაჩვეულებრივ მიმზიდველობასა და ადგილს აძლევს ქართულ ლიტერატურაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ქართველ მკითხველთა საზოგადოებაში და კრიტიკაში პოეტის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე იწვევდა სხვადასხვაგვარ შეხედულებას, ხშირად სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგოს. თუმცა უნდა ითქვას მისი ნიჭის სიდიადე, ორიგინალობა არასოდეს არ ყოფილა არც სადავო და არც საეჭვო. არაჩვეულებრივი, გიგანტური ნიჭის მთის მგოსნისა მეტად თვალსაჩინო და მომხიბვლელი იყო.

პოეტის დამოკიდებულებაზე, ხალხურ პოეზიასთან საუბრისას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დამოკიდებულება უაღრესად აქტიურ ხასიათს ატარებდა. მან ბრწყინვალედ ახსნა თავისი დამოკიდებულება ფოლკლორული წყაროებისადმი: ,, უნდა ყველამ კარგად იცოდეს ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, ,,არაფერი გამოვა, ერის გულში იმისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“ -აღნიშნავს ვაჟა-ფშაველა.[15]

„მსოფლიო ლიტერატურაში ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელსაც ვაჟა-ფშაველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა ჰქონდეს ბუნების საიდუმლოების ასახსნელად და მისი მშვენიერების ასათვისებლად.“[16]

ვაჟა-ფშაველას უდიდესი მხატვრული ნიჭი უმთავრესად მის პოეტურ ეპოსში ჩანს. რასაკვირველია, ძალიან დიდია ღირსებები ვაჟას ლირიკისა, მაგრამ შემოქმედების უმაღლეს მწვერვალს მთის მგოსანმა, უმთავრესად, თავის საუკეთესო პოემებში მიაღწია. განუმეორებელი რამ, რაც თემებსა და მოტივებს შესძინა ვაჟა-ფშაველამ არის შემოქმედებაში გაშლა და ხასიათების ასახვა.

საზოგადოების და ამ საზოგადოების საუკეთესო წევრის ანუ კაი ყმის პრობლემას მიუძღვნა პოემა ,,გველისმჭამელი“. ვაჟას განთქმული პოემა ,,გველისმჭამელი“ დათარიღებულია 1901 წლით. ამავე დროს იგი ერთ-ერთი და უკანასკნელი დიდმნიშვნელოვანი ეპიკური ქმნილებაა ვაჟა-ფშაველასი. ნაწარმოებში გადმოცემულია ,,ძველი ამბავი“. პოემის გმირის სიბრძნე ვაჟას თვალში დიადი, ზე ადამიანური სიბრძნეა, რაც მას თავისიანებზე განუზომლად მაღლა აყენებს. გველის-მჭამელმა შეიძინა ნიჭი, რომელთან შედარებითაც ჩვეულებრივი ადამიანები ელემენტარულ მგრძნობელობას მოკლებულ არსებებად გამოიყურებიან. ის ერთადერთი ნათელმხილველია უსინათლოთა შორის. აღსანიშნავია, რომ ეს არის ვაჟას თითქმის ერთადერთი პოემა, ყოველ შემთხვევაში, პირველი, მის მნიშვნელოვან პოემათა შორის რომელიც არ იწყება ბუნების აღწერით, პირდპირ შევდივართ ადამიანთა გარემოში.

პოემაში ჩანს, რომ ერი მინდიას აღმერთებს, ნუგეშად სახავს, ნუგეშის ცემა შიშისაგან გათავისუფლება, ხოლო შიშისაგან თავისუფალი არის კეთილი ბრძენი, რომელიც ერის პირია ანუ ერის ზნეობის, რჯულის, არსების დამცველი და განმასახიერებელია.

---

[15] მიხ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა , 1953, გვ. 7

[16] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, 1974, გვ. 397

ტრაგიკულია პიროვნებისა და ოჯახის ურთიერთობა ,,გველისმჭამელში“. მზიამ და მინდიამ ვერ გაუგეს ერთმანეთს. „ეს გაუგებრობა მათი შეგნების ძირეული განსხვავების საფუძველზე იშვა. მინდია უზენაესი სიბრძნის მფლობელი გახდა. მან ბუნების ენა ისწავლა.“[17]

თუ მათ პოზიციებს შევადარებთ ერთმანეთს მივიღებთ ორ სიმართლეს: მიწიერ სიმართლეს, რომელსაც ადამიანის ჩვეულებრივი ცნობიერება ხედავს და ზეციურ სიმართლეს, რომელსაც მხოლოდ ზეცნობიერება წვდება. მინდიამ ვერ გადალახა ის წინააღმდეგობა, რაც მის აბსოლუტურ ცოდნასა და სინამდვილეს შორის არსებობდა. დაარღვია ბუნების კანონზომიერება, მაგრამ ვერ შექმნა ახალი კანონზომიერება, რომელიც სხვისთვისაც მისაღები იქნებოდა. ვაჟა ამბობს: ,,ნაგრძნობს გულითა, გონებით ჰშველენ ვერასა. “საზოგადოება მინდიას სიბრძნეს მაშინ მიხვდება გონებით, თუ ისიც აბსოლუტური ცოდნის მქონე გახდებოდა. როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს – მინდიას ტრაგედია მაშინ კი არ დაიწყო, როცა ცოდნა დაკარგა, არამედ მაშინ, როცა ცოდნა შეიძინა, რამეთუ მისი ცოდნა არაბუნებრივი თვისებისა იყო

პოემის გმირი, ,,გველის-მჭამელი“, საბოლოოდ მარცხდება. იგი იძულებულია კომპრომისზე წავიდეს თავისიანთა წინაშე, ღალატობს თავის ,,სიბრძნეს“, ძალა ერთმევა, სიმშვიდეს კარგავს და ასე შინაგანად განადგურებული იღუპება. მისი სიბრძნე მშვენიერია, მაგრამ თავისი შედეგებით ის არ არის სიკეთის მომტანი. სიბრძნე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იგი მინდიას საკუთარ შვილებსაც კი აძულებს. ისიც ჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანისაგან იმით განსხვავდება, რომ ვაჟამ შეუცთომელი უნარით დააჯილდოვა. მაგრამ ეს არ არის ცოდნა, მისი გამეცნიერება, არც თავისი შინაარსით და არც თავისი საფუძვლით, ჭეშმარიტი ცოდნა არაა.

პოემა ,,გველის-მჭამელში“ აღსანიშნავია რეალურ და მითოსურ-ირეალურ ნაწილთა სიუჟეტური გაუთიშაობა. დასაწყისში მითოსურ ხილვას ახლავს ავტორისეული დანართი: ,,ამ მინდიაზე ამბობენ დაუჯერებელს ამბებსა“. ამგვარი დანართით ერთგვარი კავშირი მყარდება მოტანილი პასაჟების რეალობისადმი. ხოლო რეალობას წარმოადგენ ის, რომ პოემა ,,გველისმჭამელში“ ისე მოხდა, როგორც მზიას დაესიზმრა. ეს სიზმარი ზუსტი სურათია იმისა, რაც შემდეგ მოხდა. სიბრძნედაკარგულმა მინდიამ ჯარს ვეღარ უწინამძღვრა. ქართველები დამარცხდნენ. მტერმა ყველაფერი მიწასთან გაასწორა. მინდია თავს იკლავს. უზარმაზარი მითოლოგიური სამყარო, დახატული ვაჟას შემოქმედებაში, ორგანული ნაწილია იმ კუთხის მოსახლეობის ცნობიერებისა, რომელიც პოეტის დაკვირვებისა და ასახვის საგანი იყო. მითოსის თვინიერ ვაჟას პერსონაჟები, მათი ყოფნა არასრული იქნებოდა.

ვაჟა-ფშაველას პოემაში ,,გველისმჭამელი“, ისევე როგორც სხვა პოემებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მითოსის გამოყენების ერთ ფუნქციას: მითოსური ეპიზოდები და მასთან დაკავშირებული მთელი მხატვრული შინაარსი არ მოითხოვს დროის ლოკალიზმს. მხატვრული მოვლენაა ის, რომ ვაჟა განხილულ პოემებში ახდენს არა მარტო მოქმედებას და გარემოს, არამედ დროის მითოლიგიზაციასაც.

ვაჟა-ფშაველაც და კონსტანტინე გამსახურდიაც მინდიას ამბავს განიხილავენ, როგორც ისეთ სიცრუეს, რომელიც სიბრძნის წყარო ხდება. ამბავი მხოლოდ მხატვრული ხორცშესხმაა სიბრძნის მოპოვების მძიმე პროცესისა. სიბრძნე კი ერთდროულად დამოუკიდებელაც ხდის ადამაინს და ცხოვრებისეულ სინამდვილესთან გარდაუვალი დაპირისპირების გამო, მისი შეჭირვების, უბედურების, შინაგანი ტრაგიკული გაორების მიზეზიც ხდება.

,,გველისმჭამელში“ გამომჟღავნდა ვაჟას ბრწყინვალე უნარი ადამიანის სულის სიღრმეების წვდომისა. პოემის მიხედვით ვაჟას სათქმელი მკაფიოდ გამოიკვეთა. სოფლის სულთქმასა და ოხვრას არაფერი ეშველება, სანამ ადამიანი გონებით არ მისწვდება ,,ბუნების ძალთა სიბრძნეს“, ბუნების მიმართ არ ექმნება შვილებრივი და არა მომხმარებლური დამოკიდებულება, სანამ მისი ცხოვრების წესი არ გახდება ის, რისთვისაც ვაჟას შემოქმედების დიდი ნაწილია მოწოდებული.

ლიტერატურა:

1. აკაკი ბაქრაძე, სკოლას, თბ., 2004;
2. ვაჟა-ფშაველა, ტ. V, თბ., 1993;
3. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბ., 1986.

[17] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, 1974, გვ. 424 ,444, 445

ბარბარე ჯორჯაძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლისათვის

ნინო გომარელი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** სრული პროფესორი

ქართველი მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის (1833-1895) ცხოვრება-შომოქმედება გარკვეულწილად გამხდარა შესწავლის საგანი ლიტერატურათმცოდნეობაში (ა. გაჩეჩილაძე, ვ. კოტეტიშვილი და სხვა). ვფიქრობთ, დღევანდელ ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება მისი გადასინჯვა.

ბ. ჯორჯაძის ბიოგრაფიის ავტორი, მკვლევარი ამბერკი გაჩეჩილაძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის მისი ოჯახისა და განათლების შესახებ.

"ბარბარე მოგონებებში თავის მამას დავითს ხშირად იხსენიებს, როგორც შვილების დიდ მოსიყვარულესა და გულისხმიერ აღმზრდელს. დედა მწერლისა- ავთანდილ ამილახვრის ასული ნინო, როგორც აღნიშნავენ, შინაურული განათლების მქონე, ქართული ენის კარგი მცოდნე ყოფილა. დედა ადრე მოუკვდა ბარბარეს და გამდელთან ერთად მას ძველებურ წესზე ზრდიდა მამა, დავითი" (1, 259)

როგორც მისი ბიოგრაფი გვაუწყებს ბ. ჯორჯაძეს სასწავლებელში არ უვლია, "დავით ერისთავი საჭიროდ არ სცნობდა ქალი განათლების მისაღებად სასწავლებელში შეეყვანა. სამაგიეროდ ერისთავთა მაშინდელი ოჯახები მომავალ მწერალ ქალს შესაძლებლობას აძლევდნენ თვითგანათლებული ადამიანი ყოფილიყო." (1, 259). მათ ოჯახში მოიპოვებოდა უამრავი ქართული უძველესი ხელნაწერი, სასულიერო წიგნი. ამ ყველაფერს მომავალი მწერალი ქალი დიდი მონდომებით სწავლობდა.

ბარბარე ჯორჯაძის ბიოგრაფიიდან საინტერესოა ისიც, რომ 12 წლის გაათხოვეს, სრულიად ბავშვი. მისი მეუღლე იყო ყოფილი სამხედრო პირი ზაქარია ჯორჯაძე. "ბარბარე, ჯერ კიდევ ბავშვი, ახალ ოჯახს ენერგიულად მოეკიდა. ქმრის ოჯახში თვითგანვითარებისადმი კიდევ უფრო მეტი მისწრაფება გამოიჩინა" (1, 260).

ბარბარეს მეუღლესთან სამი შვილი შეეძინა: ნოშრევანი, მიხეილი და მანანა. იგი თავის შვილებს თვითონ ზრდიდა და მათ სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულს უნერგავდა.

1895 წლის 10 აპრილს ბ. ჯორჯაძემ ცივ გომბორის კალთებთან გზაზე დაასრულა თავის სიცოცხლე.

ბარბარე ჯორჯაძის გარდაცვალებას მაშინდელი პრესა ("ივერია", "კვალი") ღირსეულად გამოეხმაურა. იგი დასაფლავებულია თელავში თავის ძმის რაფიელ ერისთავის გვერდით, ერეკლე მეორის ყოფილი სასახლის, ამჟამად თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში.

როგორც შემდგომ მისი მოღვაწეობიდან გამოჩნდება, ოჯახში ბარბარეს მეტნაკლებად საფუძვლიანი და მყარი ცოდნა მიუღია, რაც ხელს აძლევდა ჩაბმულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გაეფართოვებინა თავისი განათლების დონე.

როგორც უკვე აღვნიშნე, იგი იყო რაფიელ ერისთავის და, რომელიც ხელს უწყობდა მის წარმატებასა და წინსვლას საზოგადოებრივ თუ სამწერლო საქმიანობაში.

ბ. ჯორჯაძემ, როგორც მწერალმა, ფეხი ჟურნალ "ცისკარში" აიდგა. მას განსაკუთრებით ხელს უწყობდა "ცისკრის" რედაქტორი ივანე კერესელიძე.

მისი პირველი ლექსი "სევდიანი ქალი მდინარის პირზე მჯდომი" გამოქვეყნებულია ჟურნალ "ცისკრის" 1859 წლის ივლისის ნომერში. ეს ლექსი მას დაუწერია 1850 წლის 26 აპრილს. "როგორც ირკვევა, ბარბარე ძალზე გვიან ახერხებდა ზოგიერთი თავისი ლექსის გამოქვეყნებას. გარდა ჟურნალი "ცისკრისა" ის თანამშრომლობდა გაზეთ "დროებაში", გაზეთ "ივერიაში" და ჟურნალ "ჯეჯილში". წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს, პოლემიკურ და კრიტიკულ წერილებს. მასვე შეუდგენია პირველი დაწყებითი კლასის სახელმძღვანელო "დასაწყისი სწავლისა". აგრეთვე დიასახლისებისთვის სამზარეულო საქმის წიგნი… " (1, 264).

ბარბარე საკმაოდ აქტიური ქალი იყო, პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, დრამატურგი, განათლების საკითხებით დაინტერესებული, ქალთა უფლებების დამცველი და, ამასთანავე, ოჯახის ბურჯი, როგორც იტყვიან: "მან განიზრახა ქართული სამზარეულოს შედგენა და გამოცემა, რადგან გრძნობდა, რომ ერის წარმატებაში და ცხოვრებაში პირველი ალაგი ჯანმრთელობას უკავია - ეს უკანასკნელი კი, დამოკიდებულია კარგ და საღ კვებაზე…" (5, 28).

იმ პერიოდში არსებულ ვითარებაზე, როცა ქალები თითქმის არ ჩანდნენ საზოგადოებრივი თუ სამწერლო ცხოვრების ასპარეზზე, ბ. ჯორჯაძე იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე მის ძალებს აღემატებოდა.

ბარბარე სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც ჟურნალ "ცისკარში" დემოკრატიული იდეოლოგია, რეალისტური მიმდინარეობა ფეხს იკიდებდა და ბრძოლით იკაფავდა გზას. იგი კონსერვატორი ქალი იყო და "ცისკარში" ძველის, ჩამორჩენილთა მხარეს გვევლინება. "იგი პოეზიაში რომანტიკულ განწყობილებებს ამჟღავნებს, ისე, რომ მწერალი ქართული რომანტიზმის ეპიგონედ გვევლინება. ლექსში "სევდიანი ქალი მდინარის პირზედ მჯდომი" იგი გვიხატავს მაშინდელი საზოგადოებრივი ვითარების შედეგად შექმნილ საკუთარ ტკივილებს" (1, 265).

ბ. ჯორჯაძეს, ისე როგორც ეს დამახასიათებელია რომანტიკოსებისათვის (ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი), ახასიათებს საქართველოს წარსულისადმი ღრმა სიყვარული. ისტორიის ქარიშხლისაგან უდაბურად, ნანგრევებად ქცეული ადგილები, წარსულის აჩრდილი პოეტს იზიდავს. ლექსში, რომელშიც პოეტმა ქალმა მიუძღვნა აკაკის, წერს:

"მივილტვი ხოლმე ადგილს უდაბურს,
სადაც ასწლოვანთ ხეთ დაუჩრდილავთ
და სალს კლდეებსა ქარიშხალთ სადგურს,
მცირე რამ ველი შემოუზღუდავს.
ანუ ძველს პატალთ, ჩამონგრეულთა,
რომელნიც ფიქრზე ფიქრს მომიმატებს
და სასაფლაოს წინაპართ ჩემთა,
აჩრდილს ცხოვლად რომ წამომიყენებს".

ეს ლექსები 1895-1862 წლებში ჟურნალ "ცისკარშია" გამოქვეყნებული. ამ დროს "ცისკარში" ბ. ჯორჯაძე დგას რომანტიკულ-პესიმისტურ მიმართულების ნიადაგზე. მაგრამ იგი ამ სევდიან გზას ბოლომდე არ შერჩენია. მასში გარდატეხა ხდება, ერთგვარად გავლენა მოახდინეს რეალისტურმა შეხედულებებმა.

თაობათა შორის გამართულმა ბრძოლამ, რომლის აქტიური მონაწილე თვითონაც იყო, მის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა. ბარბარეს შემოქმედებაში იწყება მობრუნება რეალიზმისაკენ. მასზე დიდ გავლენას ახდენს ქართული რეალისტური სკოლა "რეალისტური ფერებითა და ხერხით არის დასურათებული მისი ლექსი "არაგვი"... პოეტს ამ ლექსში გადმოცემული აქვს მდინარე არაგვის შეუპოვარი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ამ შემთხვევაში არაგვის სახით საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის უნდა ჰქონდეს პოეტს მხატვრულად გააზრებული" (1, 267).

რეალისტური ლექსები ბარბარესი აკაკი წერეთლის და ილია ჭავჭავაძის გავლენით ხასიათდებიან. განსაკუთრებით მასზე ძლიერ გავლენას ახდენს აკაკი.

ჯორჯაძის პროზაული ნაწარმოებები ნოველებს მოგვაგონებენ. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, მათში ხშირად არის მოთხრობილი ერთი რომელიმე ეპიზოდი, რომლის მოწმე თვითონ ყოფილა, ანდა გადმოცემით მოუსმენია. ეს ნოველები 1891-1993 წლებში გამოქვეყნდა "ივერიაში". ეს ნოველები უმთავრესად მოგვითხრობს კახეთზე ლეკების ბარბაროსული თავდასხმების შესახებ.

"მამათა და შვილთა" ბრძოლის დროს ბ. ჯორჯაძემ ილიას წინააღმდეგ გამოაქვეყნა ორი წერილი: "თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ" და "პასუხის პასუხი". ბარბარე ეკამათება რა ილიას, იბრძვის სამწერლო ენის დემოკრატიის, გახალხურების წინააღმდეგ, ხელაღებით იცავს "საღვთო წერილის ენას", არქაულ შეხედულებებს. "ბარბარე ჯორჯაძე აღზრდილი იყო ანტონ კათალიკოსის "კატეღორიებზე" , კარგად იცოდა ძველი მწერლობა, მაგრამ ახალს სრულიად ჩამორჩენილი იყო. ამან გამოიწვია ილიას წინააღმდეგ გალაშქრება, რომელმაც ჩვენი მწერალი ქალი სასტიკად დაამარცხა" (2, 292).

აკ. წერეთელი, თუმცა თავად იყო თაობათა შორის ბრძოლის მონაწილე, თავის წერილებში საინტერესო მასალებს გვაწვდის ბარბარე ჯორჯაძის შესახებ ("რამოდენიმე სიტყვა შესახებ კ. ბ. ჯორჯაძისა", "პირველი და უკანასკნელი სიტყვა "დროებისადმი"). აკაკი ღირსეულად აფასებს ბარბარეს, როგორც ქალის, შესაძლებლობებს და ეამაყება, რომ ასეთი ქალები ჰყავდა მის სამშობლოს.

ბარბარე ჯორჯაძის შესახებ, მისი როგორც ქალის შესაძლებლობებსა და უნარებზე, კიდევ შეგვიძლია ბევრი ვისაუბროთ. ვფიქრობთ, ბარბარე იყო სწორედ ერთ-ერთი ქალი, რომელმაც ბიძგი მისცა ქართველ ქალებს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულიყვნენ და თავიანთი სათქმელი ეთქვათ.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე ამბერკი, „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან", თბ., 1957;
2. კოტეტიშვილი ვახტანგ, „რჩეული ნაწერები", თბ., 1965;
3. წერეთელი აკაკი, „პუბლიცისტური წერილები", ტ. 11, თბ., 1960;
4. ჯორჯაძე ბარბარე, „სრული სამზარეულო", თბ., 1914;
5. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი", მარტი, #69, 2011.

О НЕКОТОРЫХ ОБСТОЯТЕЛЬСТВАХ СМЕРТИ АЛЕКСАНДРА ГРИБОЕДОВА

Натия Ватиашвили, Теона Цицикашвили
ст. 3 к. спец. рус. филология гуманит. фак.
рук. проф. **Н. Хинчагашвили**

Дипломату и поэту Александру Грибоедову удалось ценой собственной жизни укрепить российские позиции в Персии и предотвратить большую войну.

Как известно, в 1826 г. шахская армия без объявления войны неожиданно вторглась на территорию России со стороны Эриванского ханства в районе Карабаха. Так началась вторая Русско-Персидская война. Иран, подстрекаемый Великобританией, которая в 1814 навязала ему кабальный договор, систематически нарушал условия мира и требовал возвращения отошедших к России территорий. Война закончилась поражением Ирана. Был заключен выгодный для России Туркманчайский мирный договор**,** по которому Иран должен был заплатить огромную контрибуцию.

Назначение Александра Грибоедова русским посланником в Иран произошло спустя два года после подписания трактата,. Прибыв в Тегеран, Александр Грибоедов навлек на себя гнев персидского двора. Причина неудовольствия шаха и его вельмож состояла в том, что Грибоедов настойчиво требовал выдачи русских и армянских женщин, укрываемых в гаремах, покровительствовал армянам из окружения семьи шаха и требовал выплаты кураров. Так он восстановил против себя почти всех влиятельных лиц, и нужна была только одна искра, чтобы дать повод к бунту масс.

За несколько дней до трагических событий в российское посольство явился казначей и главный евнух шахского дворца Мирза-Якуб, который знал многие тайны личной жизни шаха. Он мог огласить их, что считалось святотатством, и потому вызывало всеобщее возмущение. Мирза заявил о желании возвратиться на родину, в Армению. Грибоедов до выяснения дела оставил его при посольстве. Ситуация еще более усугубилась тем, что тут же укрывались две грузинки, насильно вывезенные из Грузии. Визири настаивали на передаче им пленниц. К словам шаха при последней встрече Грибоедов не прислушался. Это вызвало бурю негодования и проклятий в адрес русских.

Утром 30 января 1829 года враждебно настроенное духовенство подстрекнуло народ осадить дом посольства и силой вырвать «дезертиров». Казаки, защищая вход во двор, выстрелом из пистолета убили одного персиянина. Послышались голоса,требующие отомстить за пролитую мусульманскую кровь. Сначала в окна посольства полетели камни, потом начался штурм. Выстрел казака, защищавшего доступ в посольство, был той искрой, которую так ожидали убийцы Грибоедова. Служащие русской миссии защищались из последних сил, но силы были не равны. Через несколько часов из захваченного посольства вынесли изуродованное тело Грибоедова и таскали его по городу.

Вечером трупы убитых в русской миссии бросили в яму за городом. Узнав, что труп находится в руках черни, шах приказал отобрать его и отдал его в распоряжение единственного спасшегося из посольства секретаря Мальцева. Тот решил отвезти останки посланника в Тавриз, куда и сам отправился. Тело Грибоедова в простом гробу отправили в Тифлис. В Нахичевани тело его переложили в другой гроб, украсили его и повезли дальше. Возле Гергер гроб с телом Грибоедова видел А.С.Пушкин.

Только через 7 лет тела остальных русских были перезахоронены на кладбище армянской церкви в Тегеране.

Всё изложенные нами факты опираются на официальное донесение секретаря Мальцова вице-канцлеру России графу Нессельроде. На основании этих материалов впоследствии был написан роман Юрия Тынянова «Смерть Вазир-Мухтара». В 2010 году в России режиссер Сергей Винокуров снял фильм «Смерть Вазир-Мухтара. Любовь и жизнь Грибоедова». В главных ролях снимались Михаил Елисеев и Мария Абрамишвили. Сценарий фильма, в основном, повторял одноимённый исторический роман Ю.Тынянова.

Версии о смерти Грибоедова выдвигались еще современниками великого писателя. Но все они объясняют смерть посла бескомпромиссным следованиям интересам России во время работы в Тегеране.

В наше время эти версии пересматриваются. К наиболее интересным научным работам, пытающимся разъяснить белые пятна в этой истории, относятся статьи Риза-Кули - иранского историка, исследователя русско - персидских отношений времени Грибоедова, и двух русских авторов - Юрия Хечинова и Юрия Прохорова. В частности, они ставят под сомнение факт спасения Мальцова, к которому английское посольство проявило подозрительное внимание.

Выясняя обстоятельства погрома русской миссии, Риза-Кули описывает спасение Мальцова так. Молодой и способный Мальцов понравился одному хану, дом которого был рядом с русской миссией. Узнав об опасности, угрожающей миссии, тот решился спасти своего друга. Он упросил его перелезть через крышу в его соседний дом и там укрыться. Так Мальцов спасся от неизбежной гибели и из убежища видел разгром русской миссии. Кстати, затем этот хан был убит. Вину за кровавую расправу ученый возложил на аятоллу Мирзу-Масих-Муджтехида, призывающего толпу вызволить из рук неверных якобы насильно удерживаемых

там женщин и расправиться с Мирзой-Якубом, уроженцем Эриванской области армянином Маркаряном, 15 лет прожившим главным евнухом гарема шаха.

Историку осталось непонятным следующее: почему Мальцов нигде не пишет, предложил ли он Грибоедову спастись, отказался ли Грибоедов и как он, Мальцов, мог еще до подхода толпы тайно бросить своих товарищей?

Автор многих нашумевших научных статей современный русский историк и беллетрист Юрий Хечинов также опубликовал ряд фактов, по-новому объясняющих причины смерти Грибоедова. Конкретно, ученый обратил внимание на подозрительное вмешательство английского посла в судьбу Мальцова. Благодаря английскому послу тот был освобожден из- под ареста в шахском дворце, под конвоем доставлен к Джульфинской переправе и передан российской стороне. Не мог ученый ответить и на другой вопрос: за какие заслуги шах впоследствии одарил Мальцова милостями.

«Персия – это такой большой черт, но конец его хвоста тянется к англичанам». Юрий Прохоров в главе «Тайные пружины гибели Грибоедова» повести "Неизвестный Грибоедов" обращает внимание на следующий факт**.** В конце марта 1829 года главноуправляющий в Грузии получил ответ на донесение от вице-канцлера. В нем Нессельроде излагал реакцию на трагические события: "Ужасное происшествие в Тегеране поразило нас до высочайшей степени. Достоинству России нанесен удар сильный. Это происшествие должно приписать опрометчивым порывам покойного Грибоедова, не соображавшего поведение свое с грубыми обычаями и понятиями тегеранской черни». Т.е. причиной гибели Грибоедова Нессельроде назвал его же «опрометчивость» .

Одновременно вице-канцлер уведомлял русского посла в Великобритании о том, что российский император остался доволен действиями британской миссии в Тавризе, последовавшими за гибелью русского посланника и всего посольства, и в первую очередь Макдональдом, который незамедлительно послал своего брата с официальной нотой протеста по поводу случившегося варварского акта.

Шах приложил все свое старание к тому, чтобы предотвратить новую войну, к поимке тех, кто участвовал в избиении чиновников нашего посольства. Более 1500 погромщиков были наказаны: одних казнили смертью, другим рубили руки или резали носы и уши, около тысячи семейств были изгнаны из Тегерана. Главный подстрекатель персидской черни аятолла, несмотря на протесты мусульманского духовенства, был с позором выдворен из страны. Сын шаха со своей многочисленной свитой направился в Петербург к российскому императору с извинительными письмами и подарками царскому двору. Наиболее впечатлял желтый алмаз "Шах" весом 87 карат, хранящий на себе имена персидских владык, начиная с 1591 года. Сейчас он находится в Алмазном фонде в Москве.

Наконец, последняя версия. В данный момент Никита Михалков снимает новый фильм «Жизнь и смерть Александра Грибоедова», который расскажет о новых исторических подробностях и фактах. В нём режиссер собирается изложить особую версию трагической гибели Грибоедова. «Мы нашли материалы, из которых явствует, что граф Карл Нессельроде, государственный канцлер Российской империи с 1816 по 1856 год, был резидентом английской разведки. И убийство Грибоедова было чисто политическим. Его англичане осуществили при помощи внутренних сил в России. Это не чернь убила, не возмущенные мусульмане. Он мешал англичанам на их шелковом пути»,— утверждает Никита Михалков.«Это история глобального предательства»,— резюмировал режиссер - Мы нашли материалы, из которых явствует, что Нессельроде был резидентом английской разведки. Это история глобального предательства».

Со скепсисом отзывается о заявлении Михалкова заместитель директора музея-заповедника Грибоедова в Хмелино (Смоленская область) по науке Алла Филиппова: «официально версия о причастности английский разведки к смерти Грибоедова не подтверждается. Никаких доказательств причастности английских агентов к трагической гибели Грибоедова ни в российских, ни в британских архивах обнаружить так и не удалось»

Кандидат исторических наук, специалиста РГГУ в области отечественной истории XVI-XIX веков Борис Морозов более осторожен в своих заявлениях : « Представители британской короны относились к русской дипмиссии в Персии недоброжелательно. Конечно, англичане были заинтересованы в том, чтобы затормозить Россию, однако тогдашний министр иностранных дел Карл Нессельроде едва ли был английским шпионом, а смерть Грибоедова произошла в результате трагического стечения обстоятельств. Прямое обвинение Нессельроде — это преуве личение. Грибоедов сам выбрал достаточно рискованную бескомпромиссную линию поведения», - полагает эксперт.

Подводя итоги, мы приходим к главному заключению. Заслуги Грибоедова перед Россией велики и достойны всякого уважения. Отказать в убежище бедным русским подданным на чужбине, искавшим защиты под сводами миссии, было бы крайне неполитично, выдать же их обратно персиянам - значило обречь их на верную смерть и в то же время покрыть себя вечным позором. Наверное, этим и объясняется пресловутая «достаточно рискованнуая бескомпромиссная линия поведения» дипломата. Грибоедову не оставалось иного исхода, как отразить силу силой и умереть, защищая святое дело.

ЛИТЕРАТУРА:

1. Собр. соч. А.С. Грибоедова. Переписка с кн. А.Г. Чавчавадзе. М. В 2-х тт. 1999
2. GZT.RU. http://www.gzt.ru/ topnews/ culture. Новости. Четверг, 26 мая 2011, 19:02

3. http://prstr.narod.ru/texts. Прохоров Ю. Неизвестный Грибоедов.
4. Хечинов Ю. Жизнь и смерть А.Грибоедова, Наука и жизнь № 9-10-11, 2003

АННА И АМЕДЕО
(о новых фактах жизни и творчества Анны Аматовой)

Этер Вардишвили
ст. 3 к. спец. рус. филология гуманит. фак.
рук. проф. **Н.Хинчагашвили**

«Любая деталь заслуживает внимания, если она дает ключ к пониманию творчества и личности художника»
Альфред Вернер

«Любовь - это история в жизни женщины и эпизод в жизни мужчины», - обмолвился один известный француз. Романтическая история любви Анны Ахматовой и Амедео Модильяни завораживают хотя бы потому, что они были краткими, как эпизод, но яркими, как история. Впрочем, "Анна и Амедео" - это не столько история любви, сколько лишь эпизод из жизни двух людей, обугленных дыхание искусства.

В 1993 году в Венеции открывалась выставка рисунков Модильяни из собрания доктора Поля Александра, сына друга Модильяни, который в течение многих лет был единственным поклонником и покупателем произведений Модильяни. Среди ста картин итальянская славистка, побывавшая на выставке, увидела целую серию портретов Анны Ахматовой. Это были "ню". Она насчитала тогда их девять, позже исследователи увлекались и насчитывали и шестнадцать, и двадцать три. Для историков русской литературы это было равнозначно сенсации: по воспоминаниям Анны Ахматовой, Модильяни передал ей 16 рисунков с ее изображением; почти все они были уничтожены в первые годы революции в царскосельском доме, чудом уцелел только один. Именно эти рисунки породили новую волну публикаций о, казалось бы, вдоль и поперёк изученной драматической судьбе большой поэтессы, об истории романтических отношений художника с Анной Ахматовой.

Анна Андреевна Ахматова (1889—1966) не любила рассказывать о своей личной жизни, о ней нам известно со слов друзей, близких, знакомых. Часто всего поэтесса сама раскрывалась в своих стихах. И лишь один эпизод ее биографии породил немало загадок. Ахматова тщательно скрывала эту историю и лишь в конце жизни слегка приоткрыла завесу над ее теплым чувством к итальянскому художнику Амедео Модильяни (1884—1920). Всемирно известный сегодня художник, Модильяни переехал в Париж в 1906 году, чтобы брать уроки художественного мастерства у именитых французских живописцев и заявить о себе, как о молодом, талантливом художнике. Модильяни был неизвестен и очень беден, а лицо его излучало такую поразительную беззаботность и спокойствие, что Ахматовой он показался человеком из странного, непонятного ей, непознаваемо иного мира. Изящный, аристократичный, чувствительный, Амедео отличался особой экстравагантностью, которая сразу бросилась в глаза русской девушке. В тот год Модильяни едва исполнилось двадцать шесть лет, Анне Ахматовой двадцать. За месяц до этой встречи, весной 1910 года, она обручилась с поэтом Николаем Гумилевым, и они отправились в Париж. Говорили, что поэтесса была так красива, что на улицах все заглядывались на нее, а незнакомые мужчины без стеснения вслух восхищались ее очарованием. «Я была просто чужая, — вспоминала Анна Андреевна, — вероятно, не очень понятная... женщина, иностранка».

Модильяни встретил Ахматову в самом центре французской столицы, в одном из парижских кафе. Гумилев привел молодую жену в “Ротонду” — кафе, где собиралась вся художественная и литературная богема Парижа. Там ее и заприметил Модильяни. Художник осторожно попросил у Ахматовой разрешение написать ее портрет. Она согласилась. Ахматова вспоминала, что в первую их встречу Модильяни был одет в желтые вельветовые брюки и яркую, такого же цвета, куртку. Вид у него был нелепый, однако художник так изящно мог преподать себя, что казался элегантным красавцем, словно одетым в самые дорогие наряды по последней парижской моде. Так началась история страстной, но недолгой любви.

После возвращения в Петербург Ахматова продолжала писать стихи и поступила на историко-литературные курсы, а ее супруг, Николай Гумилев, с нетерпением дождавшись осени, уехал в начале сентября в Африку, пообещан вернуться только к следующей весне. Молодой жене, которую все чаше называли «соломенной вдовой», было очень одиноко. И будто бы читая ее мысли, парижский красавец вдруг прислал пылкое письмо, в котором признался, что не может забыть ее и мечтает о новой встрече. Письма стали частыми, и в каждом из них Модильяни признавался в любви. Однако от друзей, побывавших в Париже, Ахматова знала, что Дэдо, как называли близкие Модильяни, пристрастился к вину и наркотикам. Художника угнетали нищета и безнадежность. А русская девушка, которая так стремительно влетела в его жизнь, оставалась далеко в чужой, непонятной стране.

В марте 1911 года Гумилев вернулся из Африки. И почти сразу у супругов произошла крупная ссора. Обиженная Ахматова, вспомнив о парижском поклоннике, внезапно уехала во Францию, где провела долгих три месяца.

Амедео увидела она совершенно иным. Худой, бледный, осунувшийся от пьянства и бессонных ночей в кругу своих любимых натурщиц, Дэдо резко постарел сразу на много лет. Он отрастил бороду и казался теперь почти стариком. Однако для Ахматовой ее страстный итальянец оставался самым красивым на свете. Он, как и раньше, обжигал ее таинственным, пронзительным взглядом. Модильяни подарил Анне Андреевне незабываемые дни, которые остались с ней на всю жизнь. Спустя много лет она рассказывала, что художник был так беден, что не мог ее никуда пригласить и водил по городу. Им приходилось сидеть в любимом Люксембургском саду на скамейке, а не на удобных стульях, за которые пришлось бы платить. Они гуляли по ночному Парижу, по старинным, темным улочкам, а однажды даже заблудились и пришли в мастерскую художника лишь под утро. В крохотной, заставленной холстами комнатке Ахматова позировала художнику. В тот сезон Модильяни нарисовал на бумаге, по словам поэтессы, более десяти ее портретов, которые сгорели потом во время пожара в России. Однако до сих пор некоторые искусствоведы считают, что Ахматова скрыла их, будто бы не желая показать миру. Возможно, Анна Андреевна боялась, что портреты могли сказать всю правду об их отношениях...

Много лет спустя, среди рисунков художника нашли два портрета обнаженной женщины и обнаружили явное сходство модели со знаменитой русской поэтессой. Эти рисунки стали подтверждением любви Модильяни и Ахматовой. Они могли бы быть вместе, однако судьба разлучила их навсегда. Но в тот год влюбленные не думали о вечной разлуке. Они были вместе. Он — одинокий и бедный итальянский художник, она — замужняя русская женщина. Днем Модильяни водил Анну Андреевну по музеям, особенно часто они заходили в египетский подвал Лувра. Амедео был убежден, что лишь египетское искусство может считаться достойнейшим. Художник отвергал прочие направления в живописи. Русскую подругу он изображал в нарядах египетских цариц и танцовщиц. Она пишет, что никогда не позировала, что "он рисовал не с натуры, а дома. Эти рисунки дарил мне. Их было шестнадцать".

Когда же наступала ночь, влюбленные выходили из мастерской и гуляли под открытым небом. По воспоминаниям Ахматовой, в те дни шли обильные дожди, и заботливый Дедо, прихватив на случай дождя огромный черный зонт, раскрывал ег о над Анной, словно пряча ее от всех житейских забот. В такие минуты для Ахматовой существовал лишь он — ее странный друг, казавшийся малым ребенком, нелепый романтик, воспевающий неземные миры. Он вообще не жаловался ни на совершенно явную нужду,ни на столь же явное непризнание».Он казался ей «окруженным плотным кольцом одиночества». Но вопреки всем невзгодам, несчастьям, неустроенности и нищете, Модильяни не говорил с Ахматовой «ни о чем земном, и никогда не жаловался. Он был учтив, но это не было следствием домашнего воспитания, а высоты духа. Я ни разу не видела его пьяным, и от него не пахло вином». А ведь именно в тот период он пытался найти забвение и решение своих проблем в рюмке. Не потому ли, по словам Ахматовой, «Все божественное в Амадее (так она называла Модильяни) только искрилось сквозь какой-то мрак». Правда, один раз она видела его «под влиянием гашиша. Он лежал, держал мою руку и повторял: будь доброй, будь нежной. (Вообще он никогда не говорил мне «ты», и для этого не было оснований»). А в другом месте она скажет: «Ни доброй, ни нежной я с ним никогда не была». И тут же, словно внутренне противореча себе, добавит: «Модильяни был единственным в мире человеком, который мог в любой час ночи оказаться (стоять) у меня под окном. Я втайне уважала его за это, но никогда ему не говорила, что вижу его».

Когда Ахматова, покидая Париж, прощалась с художником, тот отдал ей свертки рисунков. Амедео оставил после себя рисунки... Что же касается Анны Андреевны, то она оказалась куда более сдержанной в выражении своих чувств. Есть только два стихотворения, помеченные Парижем и датированные весной 1911 года, но без упоминания его имени в стихах или посвящений ему...

Спустя год художник увлекся двадцатилетней девицей Жанной Эбютерн. Они стали жить вместе, и осенью 1918 года Жанна родила Модильяни дочь. Художник был счастлив, наконец-то он обрел семью и долгожданный покой. Однако силы его таяли с каждым днем. В конце 1919 года Модильяни сильно простудился и спустя месяц умер. Обезумевшая от горя супруга, уже восемь месяцев носившая под сердцем второго ребенка, не смогла пережить смерть любимого. Она выбросилась из окна на следующий же день, поскольку хотела уйти из жизни вместе с Амедео.

Анна Ахматова узнала о смерти Модильяни случайно, когда в один из январских вечеров 1920 года открыла старый европейский журнал по искусству и увидела маленький некролог, где сообщалось о невозвратимой потере для живописи — скончался хороший художник.

Дочь Амедео Модильяни, став взрослой, написала книгу о своем отце, в котором описала его жизнь и десятки романов с самыми разными женщинами. Она упомянула всех — и тех, к кому ее отец испытывал сильные чувства, и тех, связь с которыми была непродолжительной. И только об Ахматовой в этой книге не сказано ни слова. А ведь их страстное романтическое увлечение друг другом продлилось до августа 1911 года, когда они расстались, чтобы никогда больше не увидеться. Почти через полвека Ахматова рассказала своей подруге Нине Ольшевской-Ардовой, актрисе Малого театра: «Когда я его в первый раз увидела, подумала сразу: «Какой интересный еврей. А он тоже говорил (может, врал), что, увидев меня, подумал: «Какая интересная француженка!» Однако долгие годы Ахматова не упоминала публично о своем знакомстве с Модильяни и встречах с ним. Она словно хранила в себе воспоминания об этом событии

своей жизни, не желая ни с кем делиться им. Справедливости ради надо сказать, что и время не располагало к такой откровенности. И все же, думается, не это главное в ее молчании. Возможно, итальянский художник, так же как и поэтесса, не желал разглашать их взаимную, казавшуюся необыкновенной любовь. Впрочем, сама поэтесса писала:

Тяжела ты, любовная память!
Мне в дыму твоем петь и гореть,
А другим — это только пламя
Чтоб остывшую душу греть.

По скупым строчкам воспоминаний самой Анны Андреевны, можно сделать вывод о том, что этих великих людей связывало нечто гораздо большее, чем простой интерес друг к другу. Оба были невероятно талантливы — и это притягивало их друг к другу. И еще их связали стихи. «Больше всего мы говорили с ним о стихах. Мы оба знали очень много французских стихов. В два голоса читали Верлена, которого хорошо помнили наизусть, и радовались, что помним одни и те же вещи, — скажет Ахматова спустя полвека. И добавит: — Данте он мне никогда не читал. Быть может, потому что я тогда не знала еще итальянского. Модильяни очень жалел, что не может понимать мои стихи, и подозревал, что в них таятся какие-то чудеса, а это были только первые робкие попытки». И далее из воспоминаний Ахматовой: «Вероятно, мы оба не понимали одну существенную вещь: все, что происходило, было для нас обоих предысторией жизни: его — очень короткой, моей — очень длинной. Дыхание искусства еще не обуглило, не преобразило эти два существования, это должен был быть светлый, легкий, предрассветный час. Но будущее, которое, как известно, бросает свою тень задолго перед тем, как войти, стучало в окно, пряталось за фонарями, пересекало сны и пугало страшным бодлеровским Парижем».

Сегодня мир признал Модильяни великим художником. В наши дни его картины продаются на аукционах за миллионы долларов. Но только в начале 1960-х годов, после трехдневного посещения Парижа (спустя более, чем пятьдесят лет) Ахматова все-таки решилась написать воспоминания о встрече с итальянским художником и их непродолжительном, но очень ярком романе. Анна Андреевна Ахматова больше не отрицала своей любви к итальянскому красавцу. Анна Ахматова уже в шестидесятые годы призналась: «Голос его как-то навсегда остался в памяти». В 1965 году, через 55 лет после их знакомства, она опубликовала очерк - эссе о Модильяни. Это было просто талантливое художественное произведение стареющей женщины. Многое она забыла, а что не забыла не хотела обнародовать.

Сдержанная Ахматова не смогла утаить историю о своем увлечении до конца: она проскальзывала и в отдельных репликах, и в замечаниях, и в разговорах с друзьями и знакомыми, когда речь заходила о Моди. Нашла она отражение и в ее отношении к единственному оставшемуся у нее рисунку Модильяни. Эренбург писал:«Комната, где живет Анна Андреевна Ахматова, в старом доме в Ленинграде, маленькая, строгая, голая; только на одной стене висит портрет молодой Ахматовой — рисунок Модильяни». Анна Андреевна очень любила этот портрет и именно его поместила на суперобложке своего последнего прижизненного сборника «Бег времени», выпущенного в 1965 году. Об этом рисунке она писала: «В нем, к сожалению, меньше, чем в остальных, предчувствуются его будущие «ню». О том, насколько дорог был рисунко Модильяни для неё неоднократно говорили близкие поэтессы.

12 апреля 1965 года, менее чем за год до своей кончины Анна Андреевна решила переписать свое завещание. «Около часа мы провели у нотариуса, выполняя различные формальности, — вспоминал Бродский. — Ахматова почувствовала себя неважно. И выйдя после всех операций на улицу, Анна Андреевна с тоской сказала: «О каком наследстве можно говорить? Взять подмышку рисунок Моди и уйти!» Корней Чуковский вспоминал: «Не расставалась она только с такими вещами, в которых была запечатлена для нее память сердца. То были ее «вечные спутники» — шаль, подаренная ей Мариной Цветаевой, рисунок ее друга Моди, перстень, полученный ею от покойного мужа...».

В 1965 году, незадолго до кончины, Ахматова в третий — и последний — раз попала в Париж. Встретилась там с соотечественником писателем Георгием Адамовичем, эмигрировавшим во Францию после революции. Позже Адамович описал эту «необыкновенную встречу» с Ахматовой. «Она с радостью согласилась покататься по городу и сразу же заговорила о Модильяни. Прежде всего Анна Андреевна захотела побывать на рю Бонапарт, где когда-то жила. Стояли мы перед домом несколько минут. «Вот мое окно, во втором этаже. Сколько раз он тут у меня бывал», — тихо сказала Анна Андреевна, опять вспомнив о Модильяни и силясь скрыть свое волнение...

Ахматова, быть может, была единственной или, во всяком случае, одной из немногих знавших Модильяни, кто навсегда сохранил о нем светлую, чистую и теплую память, кто разглядел в нем не неудачника, а необыкновенный талант, который не смог приспособиться к окружавшей его действительности, совладать со временем.

Жан Кокто назвал творческие поиски Амедео Модильяни поисками "линии души". Карандашные портреты Ахматовой сразу заставляют вспомнить это выражение — эти плавные линии как будто обозначают не женское тело, восхитившее художника, а сам путь познания, узнавания, процесс встречи одной прекрасной души с другой. Это "горняя" Ахматова, увиденная на тех вершинах, куда никто не смог проникнуть, кроме Модильяни.

Ахматовой повезло. Она видела большие картины и скульптуры Модильяни. Измученным и отчаявшимся Амедео, к счастью, Ахматовой не суждено было увидеть. Но поэтическое предвидение рисует поздний портрет Модильяни в одном из вариантов "Поэмы без героя":

В черноватом Париж тумане,
И наверно, опять Модильяни
Незаметно бродил за мной.
У него печальное свойство
Даже в сон мой вносить беспокойство
И быть многих бедствий виной.

(Из чернового варианта "Поэмы без героя)

ЛИТЕРАТУРА:

1. Кипервас И. Love stori: Модильяни и Ахматова. Русская Америка (Russian America), № 353, 2006, New York
2. http://www.novayagazeta.ru/nomer/ 2004/6
3. http://www.explan.ru/archive/2008/8
4. http://www.akhmatova.org
5. http://www.bibliotekar.ru/k-Modigliani

„უთარგმნელი“ გალაკტიონი

ეკა იორამაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

გალაკტიონის შემოქმედება მეტად თავისებურია და საიდუმლოებით მოცული, მის პოეზიაში ვხვდებით ისეთ ფრაზებს, რომლებიც ქმნიან სიტყვის ახალ მნიშვნელობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შემოქმედება ძნელად აღსაქმელია. აქედან გამომდინარე რთულია გალაკტიონის პოეზიის თარგმნა. შესაძლებელია ესეც გახლდათ იმის მიზეზი, რომ მის ლექსებს მთარგმნელი არ ყავდა.

ვახტანგ ჯავახაძე თავის წიგნში “უცნობი” გვაწვდის ამ საკითხთან დაკავშირებით გალაკტიონის მოსაზრებას. “ერთი რამ ნათელია ჩემთვის: როდესაც ძალიან ბევრს გაიძახიან, რომ გალაკტიონ ტაბიძის მთარგმნელები არ ვარგანან, ამ ტრაფარეტულ წამოძახილს სისტემური ხასიათი ეძლევა. ვიღაც ძალიან დაინტერესებულია არა მარტო იმით, რომ გაუმჯობესდეს თარგმნის საქმე იმით, რომ დააშინონ მთარგმნელები, აქაოდა, გალაკტიონ ტაბიძის თარგმნა ყოვლად შეუძლებელია, ის გენიაა და მთარგმნელიც გენია უნდა იყოსო, თორემ ჩვეულებრივი მთარგმნელნი მის სულს ვერ მისწვდება და აუცილებლად დამარცხდებაო. და, აი მთარგმნელი იძულებული ხდება, სულ ახლოს არ გაეკაროს ჩემს მასალასო, მაშინ, როდესაც “ვეფხისტყაოსანს” თარგმნიან, არავის აზრად არ მოსდის შესძახოს მთარგმნელს, როგორ ბედავ, “ვეფხისტყაოსანზე” მუშაობასო. ეს რომ მომხდარიყო, ჩვენ არ გვექნებოდა ათამდე სულ სხვადასხვა თარგმანი “ვეფხისტყაოსნისა”. [3,36]

გალაკტიონს აუცილებლად მიაჩნია გამოცხადდეს ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც აცხადებს, რომ გალაკტიონს თითქოს ცუდად თარგმნიდნენ. “ვის სჭირდება ეს? რა თქმა უნდა იმათ, რომელთაც სურთ ჩემს მთარგმნელებს ხელი ააღებინონ თარგმნაზე”. [3,36]

ვახტანგ ჯავახაძის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით კი ასეთი იყო, “ქართული პოეზიის თარგმნას ძირითადად პირადი ურთიერთობანი განაპირობებენ. უმეგობრო და მარტოსული კი ძნელად ამყარებდა კონტაქტებს კოლეგებთან. სხვებს საკუთარი საზრუნავი აფიქრებდათ და ამიტომ სახალხო პოეტის შემოქმედება მაშინდელი პირველხარისხოვანი მთარგმნელის ყურადღების გარეშე დარჩა. ფაქტიურად, იგი დაუმალეს რუსულ პოეზიას და ამდენად - მთელს ევროპას.

წლების წინათ ვენორი ქვაჩაიამ დაიყოლია რუსი პოეტი - მთარგმნელი ალექსანდრე მეჟიროვი, რათა ეთარგმნა გალაკტიონის ლექსები. ცალკე ოთახი გამოუყო, პურმარილით მოამარაგა და შედეგს დაელოდა. არაფერი გამოვიდა, ა. მეჟიროვმა ვერ თარგმნა გალაკტიონის ლექსები. მას მიუწერია “პოეზია უთარგმნელია, ცდა ბედის მონახევრეაო”.

ამ ფონზე დასაფასებელია გამბედაობა ინესა მერაბიშვილისა. მან თარგმნა გალაკტიონის ლექსები, რომლებიც “უთარგმნელად” იყო მიჩნეული, ქართველ მთარგმნელს უზადო გემოვნებით შეურჩევია სათარგმნი მასალა, ამ ლექსებს მთელი საქართველო იცნობს, ზოგიერთი მათგანი ზეპირადაც იცის. რაც შეეხება პოემა “ჯონ რიდის” თარგმნას, ვახტანგ ჯავახაძე იხსენებს:

- გადავათვალიერე თითქმის ხუთასგვერდიანი კრებულის სარჩევი და სინანულმა შემიპყრო: აქა-იქ ჩანდა ნაცნობი გვარი. წიგნის საერთო დონის განსაზღვრისათვის კი ერთი ფაქტის აღნიშვნაც კმარა: “ჯონ რიდის” ათას სტრიქონზე მეტი ვერლიბრი თარგმნილია (უფრო ზუსტად: გადაკეთებულია) ასოთხმოცსტრიქონიან რითმიან ლექსად. თარიღიც მცდარი უზის 1918-ის ნაცვლად 1924 წლისა. (ეს სწორედ ერთი იმ თარგმანთაგანი უნდა იყოს, რომელიც ვერ იცნო გალაკტიონმა).

ამ მონაკვეთში კარგად ჩანს გალაკტიონის გულისტკივილი, პირველ რიგში იმის გამო, რომ თითქმის ყველა ერიდებოდა ეთარგმნა მისი ლექსები და თუ ვინმე ამას გააკეთებდა. უხარისხოდ კეთდებოდა, შორდებოდა ძირითად შინაარსს. მიხეილ კვესელავას ასეთი მოსაზრება გააჩნდა: ერთი ეპოქა რომ მთავრდება და მეორე იწყება, ყოველ ახალ ეპოქას ჭეშმარიტი პოეტი შინაგანად ანახლებს თავისი ერის ლიტერატურულ ტრადიციებსო. იგი ერთის მხრივ ამდიდრებს უკვე მოცემულ გამოცდილებას, ხოლო მეორეს მხრივ ახალ საფეხურს ქმნის ლიტერატურის განვითარებაში, მან ისიც აღნიშნა, რომ არც ქართული პოეზია შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე გამონაკლისს, მხოლოდ გავერკვეთ, თუ რა ფორმებში ვლინდება ეს სიახლეო.

როგორც ვიცით, გალაკტიონი ყოველთვის ახლისაკენ მიისწრაფოდა, ამას იგი მოითხოვდა არა მარტო პოეზიის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისაგან, “ყოველი დღე უნდა იყოს სიახლე” - წერდა გალაკტიონი. იგი ყველგან და ყველაფერში ახლის ტრფიალი იყო: ამბობდა კიდეც: “დაუჭკნობ და წმინდა ძეგლად დარჩება” მხოლოდ “ჰანგი ახლის ძიებისაო”.

პირველად აკაკი წერეთელს უთქვამს გალაკტიონის შესახებ, იგი ბევრ სიახლეს შემოიტანს ჩვენს მწერლობაშიო. აბა, ამას რა დასტურის მიცემა უნდა ვისაც ორიოდ სიტყვა უთქვამს ან დაუწერია გალაკტიონის შესახებ. აღუნიშნავს კიდეც რომ, იგი ქართული ლექსის უდიდესი ნოვატორია, განმაახლებელი, მიუთითებენ მისი ლექსის “განუმეორებელ არტისტიზმზე” ახალ ინტონაციებსა და ფერებზე, რითაც მან გაამდიდრა ქართული პოეზია, ჩვენი ეპოქის შესაფერისი ენით აამეტყველა თანამედროვე ადამიანის სული. მის დღიურებში ვკითხულობთ: “– მართლაცდა, ამდენი ლაპარაკია ჩემი ნოვატორობის შესახებ და ერთი ხეირიანი წერილიც კი არ არსებობს;

1. რა არის საზოგადოდ ნოვატორობა?
2. რაში გამოიხატება მისი დადებითი მხარე
3. ნოვატორობა ფორმისა
4. ნოვატორობა შინაარსის
5. ეპოქის მნიშვნელობა
6. პარარელები წარსულ მწერლობასთან
7. ნოვატორი დამწყებია ახლის შემომტანი”. [3, 42]

ასეთია თვითონ გალაკტიონის მიერ შემოთავაზებული შვიდი თეზისი, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს მისი შემოქმედების ხასიათის შესწავლა, ე. ი. იმის გარკვევა თუ რა სიახლე შემოიტანა მან ქართულ პოეზიაში.

საჭიროა მასალების შეგროვება, განსხვავებულ თვალსაზრისთა შეჯერება. ხალხში ამბობენ, ჯერ ფონს მოსინჯავენ და მერე შეტოპავენო. ხოდა, ვიდრე საქმე “შეტოპვაზე” მიდგებოდეს, თავისი აზრი უნდა გამოითქვას გალაკტიონის მიერ დასმულ კითხვებზე. მიხეილ კვესელავამ ამ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულ იმ შვიდ კითხვაზე მიუთითებს: “შვიდი-მეთქი რომ ვამბობ, თვალწინ თითქოს ადამის ჟამიდან ცნობილი “მაგიური კვადრატი” მიდგეს. იმ კვადრატში ჩაწერილი ციფრები, რომლებიც ყველა მიმართულებით: ვერტიკალური, ჰორიზონტალურით თუ დიაგონალურით, ერთსა და იმავე რიცხვს ქმნის”. [4, 45]

როგორც ავღნიშნეთ, გალაკტიონი ყოველთვის ახლის და განახლებისათვის მებრძოლთა მეთაური და მედროშე იყო, მისი აზრით, არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით, ცხოვრება მიდის წინ, არ შეიძლება, ადამიანი ჩამორჩეს ცხოვრების დინებას.

“მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია”.[4, 44]

თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გალაკტიონს ყოველგვარი სიახლე როდი მიაჩნდა ბაჯაღლო ოქროდ, ამიტომაა, თავის მიერვე დასმულ კითხვაზე ნოვატორობის შესახებ ზედაც რომ დაურთო, “რაში გამოიხატება მისი დადებითი მხარეო” [4, 45]

როგორც აღვნიშნეთ, გალაკტიონის პოეზიის არა მარტო თარგმნას, არამედ კვლევას დიდი ღვაწლი დასდო ინესა მერაბიშვილმა; მას მიაჩნია, რომ გალაკტიონის პოეზია განსაკუთრებულ ახსნასა და გაშიფვრას საჭიროებს, მიუხედავად ამისა, ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა მისი ლექსები.

თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მეცნიერული ანალიზი ხშირად გალაკტიონისეული ენიგმის აუხსნელობის მტკიცებით მთავრდება.

"გალაკტიონის შემოქმედება მეტად თავისებურია, პოეტურ ტექსტში ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა იშლება სემებად და კონტექსტის გავლენით ისინი ახლებურად ლაგდებიან. შესაბამისად მის წიგნში "გალაკტიონის ენიგმები" ქმნიან სიტყვის ახალ მნიშვნელობას. მაგალითისათვის განხილულია შესიტყვება "ცეცხლის მზე", რომელიც მოცემულია ლექსში "დროშები ჩქარა". ამ შემთხვევაში "მზე'' პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება, ხოლო "ცეცხლი" გადატანით. შესიტყვებაში "ცეცხლის მზე" დამტევია არა მარტო ცეცხლივით ძლიერი, ავარვარებული, მოწითალო მზის შინაარსისა. "ცეცხლი" ამ შემთხვევაში მოასწავებს იმ გადამდებ და აღმაფრენით აღსავსე ძალასა, რომელიც უნდა მოსდებოდა თავისუფლებას მოწყურებულ ხალხს. [2,58]

ინესა მერაბიშვილი ასევე იხსენებს იმ პერიოდს, როდესაც მიხეილ კვესელავამ გამოაქვეყნა გალაკტიონისადმი მიძღვნილი მონოგრაფია "პოეტური ინტეგრალები" და რომელშიც მან გალაკტიონის პოეზია სამი სახეობის ლექსებად წარმოგვიდგინა:

პირველ სახეობას მან მიაკუთვნა ტრადიციული ლექსები, სადაც პოეტური მეტყველების კლასიკური წესია დაცული.

მეორე სახეობას ეკუთვნის ის ლექსები, სადაც სიტყვებს შორის არსებული ლოგიკური კავშირი შესუსტებულია.

მესამე სახეობას მიაკუთვნებს იმ ლექსებს, სადაც სემანტიკური მთლიანობაა დარღვეული.

დასკვნა კი ასეთია, ამ ლექსებს ავტორი ინტეგრალურ ლექსებს უწოდებს და მიაჩნია, რომ ეს სავსებით ახალი მოვლენაა პოეზიაში.

თეიმურაზ დოიაშვილი აღნიშნავს, რომ გალაკტიონის შემოქმედება სიმბოლური პოეტიკით შესრულებული სახეა, რომელთა გაშიფვრა არ ხერხდება და არც საჭიროაო. გალაკტიონს მშვენივრად ესმოდა ის გამორჩეული სახე, რომელიც მეოცე საუკუნემ მოიტანა "შეიცვლებიან ქარით სიონი" - წერდა გალაკტიონი და ამით ახალ თაობას მოასწავებდა "მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს" - ამბობდა იგი.

გალაკტიონისათვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ შეეგროვებინა რითმები, შეექმნა ახალი იმ ეპოქისათვის, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა.

მთლიანი გარითმისაგან არასგზით არ უნდა გადვუხვიოო, - ჩაიწერს გალაკტიონი. თავისი ახალი პოემისათვის 30000 ახალი რითმა სჭირდებოდა. ეს ყველაფერი კი ერთ თვეში უნდა გაეკეთებინა. დღეში ათასი უნდა დასძებნოს. გეგმას რომ შეადგენდა, ყოველთვის მოინიშნავდა, რითმების დაძებნას უნდა მოვანდომო მთელი იანვარი 1947 წლისაო. მის მთავარ მიზანს რითმების დაგროვება, ამოკრეფა წარმოადგენდა.

ოთარ ჩხეიძე კარგად გადმოგვცემს პოეტის განცდებს: "მთლიანი გარითმისაგან არასგზით არ უნდა გადუხვიოო, შეფიქრებულა პოეტი, როდესაც განუზრახავს დაწერა ვეება ნაწარმოებისა, ის მაინც უდავოა "ჯონ რიდი" რო სიახლე გახდა ჩვენს ლიტერატურაში, მოვლენა და მაუწყებელი კლასიკური პოემის დარღვევისა, სიუჟეტისა, კომპოზიციისა და სალექსო საშუალებათა მხრივ, - თავისუფალი ლექსი ესაა, ვერლიბრი ესაა გალაკტიონისა, ესაა განახლება თავისუფალი ლექსისა". [1,202]

გალაკტიონი რითმის მსახურია, მსახურიცა და ბატონიცა, განმგებელია თავისი საუფლოსი, რითმის საუფლოსი, ისევ და ისევ რითმას მოითხოვს და მკაცრ განაწესს დაუდებს თავსა, არ გადაუხვიო გარითმისაგანაო, მიაჩნია ოთარ ჩხეიძეს.

თუმცა ყველაფერი ამაო აღმოჩნდა, მართალია იგი გამალებით ცდილობდა დაეძებნა, აღმოეჩინა ახალი რითმები, შეექმნა განსხვავებული, ისეთი რამ, რაც ჯერ არავის შეუქმნია, მაგრამ რითმების შეკრება ისეთი ადვილი არ აღმოჩნდა, როგორც გალაკტიონს წარმოედგინა. "დღეში ათასიო" - ამბობდა იგი, ეს ხომ შეუძლებელია, თუმცა იგი მაინც არ ნებდებოდა, მისი სურვილი ხომ ყოველთვის ახლის და განსხვავებულის შექმნა იყო.

თუმცა უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მან ეს ნაწილობრივ მაინც შეძლო, მისი შემოქმედება ისევე, როგორც პიროვნება ბურუსით იყო მოცული. იგი ერთს ამბობდა, მაგრამ სხვას გულისხმობდა, სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში.

ლიტერატურა:

1. წერილები XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე, თბ., 2006.
2. მერაბიშვილი ი., გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003.

3. ჯავახაძე ვ., უცნობი, თბ., 1988.
4. კვესელავა მ., პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.
5. გალაკტიონ ტაბიძე – ლექსები, ინგლისური თარგმანი ინესა მერაბიშვილისა, თბ., 2005.

ЛИТЕРАТУРНАЯ МИСТИФИКАЦИЯ СЕРЕБРЯНОГО ВЕКА: ЧЕРУБИНА ДЕ ГАБРИАК

Мариам Меквабишвили
ст. 3 к. спец. рус. филология гуманит. фак.
рук. проф. ***Н.Хинчагашвили***

Серебряный век русской литературы был эпохой загадочной. Его история полна удивительных персонажей. Именно Серебряный век дал русскому искусству многих великих женщин - актрис, художниц, поэтов: Вера Комиссаржевская, Забелла Врубель, Наталья Волохова, Александра Экстер, Марина Цветаева, Софья Парнок, Зинаида Гиппиус, Наталья Крандиевская-Толстая, и конечно, Анна Ахматова...То была эпоха романтическая. И природа шла ей навстречу. Женщины эти были не только очень талантливы, но и хороши собой, а некоторые из них просто красавицы. А что же делать некрасивым? Вероятно, создавать мифы. Одна из блистательных мистификаций Серебряного века была связана с именем Черубины де Габриак. Кто же скрывался под этим именем? Вот уже более ста лет интерес к этому вопросу не утихает. Ежегодно появляются новые публикации, авторы которых пытаются разъяснить «белые пятна» в этой истории. Наша цель – систематизировать материалы по вопросу, попытаться выразить свои соображения по проблеме.

Немного истории. Елизавета Дмитриева родилась в Петербурге в бедной дворянской семье учителя чисто писания. Отец рано умер от чахотки, а сама она в детстве и юности страдала тем же недугом ("туберкулез и костей и легких"); в течение нескольких лет была прикована к постели, год была слепа, на всю жизнь осталась хромой. "Люди, которых воспитывали болезни, они совсем иные, совсем особенные" (автобиография). В 1904 г. окончила Василеостровскую гимназию, в 1908 г. - Женский педагогический институт (занималась средневековой историей и средневековой французской литературой).Слушала лекции в Петербургском университете и Сорбонне. Работала учительницей русской словесности и печатала в теософских журналах переводы с испанского.

До мистификации Дмитриева не публиковала стихов. Их вызывали потрясения юности – самоубийства близких, болезни, насилие, которому она в тринадцать лет подверглась со стороны знакомого матери. Она преподавала в Петровской женской гимназии, влилась в артистическую жизнь столицы, посещала лекции в Академии художеств и знаменитые литературные собрания на "Башне" Вячеслава Иванова. Так Дмитриева оказалась в самом сердце русского символизма, где встретилась с Максимилианом Волошиным. Волошин стал ее наставником, духовная связь с ним пройдет через всю ее жизнь.

Лето 1907 года. Париж. Николай Гумилев, учившийся тогда в Сорбонне, попал в мас-терскую художника Себастьяна Гуревича. Себастьян был занят портретом русской девушки. Во время позирования Гумилев разговорился с ней, стал читать стихи из будущей книги "Романтические цветы" (она вскоре вышла в Париже). Оказалось, что девушка тоже учится в Сорбонне, изучает средневековье, рыцарские романы, старинные хроники. Она великолепно говорила по-французски и читала в подлиннике стихи Вийона, Бодлера, Верлена... Естественно, Николай Гумилев, истинный рыцарь, пошел ее провожать. Они долго бродили по ночному Парижу. Наконец дошли до ее дома, недалеко от подъезда стояла цветочница с корзиной гвоздик. Гумилев купил для спутницы самый красивый букет этих золотистых цветов, нежных, пушистых, как молоденький зверек. И эту прогулку с поэтом, и этот букет гвоздик девушка запомнила на всю жизнь. И не раз писала об этом в письмах... И еще было свидание с ней. И снова в мастерской Гуревича.

Гумилев, как известно, горячо интересовался женщинами, но эта девушка тогда не стала его подругой. Все мысли его, все чувства были тогда направлены к одной - единственной женщине – Анне Ахматовой. Его угнетали ее отказы от замужества, мучила ревность. Ведь он знал, что у нее уже был друг сердца. Все это было настолько невыносимо, что он решил свести счеты с жизнью. Поехал в Нормандию - топиться. По счастливой случайности трагедия не произошла. Затем была еще одна попытка свести счёты с жизнью в Булонском лесу. Но – тщетно! Его, потерявшего сознание, нашли случайные прохожие и спасли ему жизнь. Вскоре жизнь в Париже показалась ему законченной, занятия в университете стали надоедать, он увлекся прозой, эссеистикой, философией, антропософией... почувствовал, что вышел на новую поэтическую стезю. Захотелось в Россию. И Гумилев уехал в Петербург. Там поступил в университет на юридический факультет. Жил Гумилев у родителей в Царском Селе. Но в Петербурге снял небольшую квартиру, в центре, на Гороховой улице. Сюда приходили художники, рисовали его, приходили интересные женщины, он любил читать им стихи.

В это время Гумилев был довольно частым гостем на "Башне". "Башня" - это квартира Вячеслава Иванова на Таврической, 25. Собственно, это была пристройка к большому шестиэтажному дому. Из квартиры можно было выйти на крышу дома, а внизу - Летний сад, где весной заливались соловьи. Здесь, на "Башне", по средам собиралась литературная богема. Говорили о стихосложении, литературе, путешествиях в экзотические страны... Этажом ниже жил Максимилиан Волошин, только что женившийся. Он вместе с женой Маргаритой Сабашниковой часто поднимался на "Башню". На одной из таких "сред" Максимилиан Волошин познакомил молодую начинающую поэтессу Елизавету Дмитриеву с Николаем Гумилевым. Они тотчас вспомнили друг друга: ночной Париж, кафе "Черная кошка", сеанс позирования у Себастьяна Гуревича... Елизавета Дмитриева об этой новой встрече вспоминала так: "Это был значительный вечер в моей жизни... Мы много говорили с Гумилевым об Африке, почти с полуслова понимая друг друга... Он поехал меня провожать, и тут же сразу мы оба с беспощадной ясностью поняли, что это - "встреча" и не нам ей противиться. Гумилев много раз просил Дмитриеву выйти за него замуж, она же отказывала - была невестой инженера Васильева. Роман Гумилева с Лилей Дмитриевой был бурным, но коротким. Но вскоре образ Волошина заслонил собой Гумилева... Макс Волошин любезно пригласил Гумилева и Дмитриеву к себе в Крым, Коктебель. Там в это время гостил Алексей Толстой. И они оба в начале июня приехали к нему в гости. Для Гумилева и Дмитриевой первые дни в Коктебеле были феерическими. Прогулки по красивейшим окрестностям, купания в теплом море, увлекательные беседы. Гумилев в Коктебеле начал относиться к Дмитриевой серьезно. В это время он писал поэму и часто по ночам (благо было тепло и светло) читал строки из нее своей подруге. Но неожиданно в ее душе что-то смешалось, ей было как-то трудно его слушать, воображение целиком занимал Волошин, его поэзия. Наконец она свой выбор сделала. И неожиданно попросила Гумилева уехать. А он счел это за женский каприз и подчинился. Она же оставалась в Коктебеле до конца сентября, и, как сама говорила, "это были лучшие дни ее жизни».

Осенью 1909 года в редакцию журнала "Аполлон" пришло письмо в конверте лилового цвета. Редактор журнала эстет Сергей Маковский, бережно вскрыв конверт, увидел белоснежные листки со стихами, которые были надушены и переложены сухими листьями. Он созвал всю редакцию, состоявшую в основном из молодых мужчин, и они стали вместе читать стихи. Строки их были ярки, пряны, полны чувств. Завороженным редакторам автор стихов казался женщиной необычайной красоты и "талантливой смелости". Ее имя было загадочно, как она сама, - Черубина де Габриак.

Как же все это произошло? Источниками, которым, на наш взгляд, можно доверять наиболее, являются два автора – сам автор и вдохновитель мистификации Максимилиан Волошин (2) и переводчик И.Гюнтер (4), работавший в редакции «Аполлона». Оба они написали книги воспоминаний, которые вышли на русском языке сравнительно недавно. Однако каждый из них освещает вопрос по-своему. По словам Волошина, оставшись с Елизаветой Дмитриевой вдвоем в своем Коктебеле, он ежедневно слушал ее стихи. Возникла идея послать их в Петербург в "Аполлон". Но, посланные туда, они были отложены: вид автора – некрасивой хромоножки производил на эстета – редактора негативное впечатление. Тогда Макс Волошин, всегда склонный к розыгрышам, мистификациям, решил подыскать Лиле (так он называл Елизавету Дмитриеву) какой-нибудь экстравагантный псевдоним. Имя Черубина он нашел в одном из романов Брэт Гарта, "примерили" его к Лиле, обоим понравилось. Звонкая же фамилия Габриак тоже была вызвана необычной фантазией Волошина.

"Аполлон" публично объявил автора поэтессой будущего и напечатал присланные стихи тотчас. Успех Черубины был кратким и головокружительным. Черубина де Габриак за короткое время стала первой поэтессой России отодвинув на второй план Ахматову и Цветаеву. Так началась мистификация Серебряного века.

Духовная связь Елизаветы Дмитриевой с Максом Волошиным прошла через всю жизнь. Он сумел внушить ей, что она талантлива и что ее ждет великое будущее. С ведома наставника она продолжала высылать стихи в "Аполлон", но открыть свою "тайну" решительно отказывалась. Черубина сообщала Сергею Маковскому, что сотрудничество с "Аполлоном" может быть только эпистолярным. Стихи ее были великолепны и волновали всех сочетанием чувственности, печали, старомодности.

Весь "Аполлон" ждал ее телефонных звонков. Она говорила нежным, завораживающим голосом о том, что в доме ее царит необычайная строгость, что она ревностная католичка, в детстве воспитывалась в монастыре. Сообщала, что говорит и пишет на любых языках. На вопрос - хороша ли она, отвечала: "Недурна. Высока, с длинными волосами ярко-бронзового цвета, худая и, хотя немного прихрамывает, стройная, с легкой походкой". Николай Гумилев, убежденный в своей неотразимости, уже назначал день, когда он победит эту монахиню-колдунью.

Весь Петербург гадал, что это за странное имя - Черубина де Габриак? И "Аполлон" раскупался немедленно. Читатели требовали напечатания не только ее стихов, но и ее биографии. Сотрудники "Аполлона" почти сходили с ума. Черубина де Габриак произвела такое впечатление на редакторов, что они поверили в нее и приветствовали как «новую поэтессу» и «поэтессу будущего», которую ожидал русский модернизм. Завороженная редакция влюбилась сразу и объявила ее поэтессой будущего.Иннокентий Анненский увидел в ней «Будущую женщину». «Байрон в женском обличии, но даже без хромоты», – написала о ней Марина Цветаева позднее, размышляя об авторском образе Черубины. Сентябрь-ноябрь 1909 года в русской литературе стали, по словам Цветаевой, эпохой Черубины».

А тем временем Елизавета Дмитриева ходила с Волошиным в музеи, театры, на "Башню" Вячеслава Иванова. Поэт и переводчик Гюнтер, работавший в редакции «Апполлона», приписывает развенчание мистификации себе. Однажды он напросился в провожатые после собрания на «Башне». Они шли по ночному Петербургу, было холодно. Вдруг Дмитриева спросила его, понравились ли ему пародии на Черубину де Габриак, которые она прочитала у Иванова. Гюнтер ответил, что это Маковский придумал поэтессу, чтобы увеличить тираж "Аполлона. Вот тогда-то Дмитриева и сделала своё признание:"Черубина де Габриак - это я".
А наутро побежал к Кузмину рассказать о том, что узнал. Следует отметить нприглядную роль, которую Гюнтер сыграл в этой истории. Он стал распространять слухи в литературном Петербурге о том, что Гумилев подсмеивается над Елизаветой Дмитриевой, считая ее сумасшедшей. И до Максимилиана Волошина дошли слухи об этом. ...Огромная мастерская сценографа и художника Алексея Головина, находившаяся на последнем этаже Мариинского театра, была заполнена сотрудниками журнала "Аполлон". А внизу, прямо под мастерской, была сцена, и в тот вечер давали "Орфея" Глюка. И вдруг - раздавшаяся увесистая пощечина заглушила все звуки, доносившиеся снизу. Это Макс Волошин "рассчитывался" с Николаем Гумилевым. Молодой поэт еле устоял на ногах, но, придя в себя, бросился на Волошина с кулаками. Кто-то встал между ними, и тогда Николай Степанович Гумилев, заложив руки за спину, выпрямившись, произнес: "Я вызываю Вас на дуэль!" Местом поединка выбрали Новую Деревню, расположенную недалеко от Черной речки, где 75 лет назад стрелялся Пушкин с Дантесом. 22 ноября 1909 года в восемнадцать часов противники должны были стоять друг против друга, но - дуэль задерживалась. Сначала машина Гумилева застряла в снегу. Он вышел и стоял поодаль в прекрасной шубе и цилиндре, наблюдая за тем, как секунданты и дворники вытаскивают его машину. Макс Волошин, ехавший на извозчике, тоже застрял в сугробе и решил идти пешком. Но по дороге потерял калошу. Без нее стреляться он не хотел. Все секунданты бросились искать калошу. Наконец калоша найдена, надета, Алексей Толстой, секундант Волошина, отсчитывает шаги. Николай Гумилев нервно кричит Толстому: "Граф, не делайте таких неестественных широких шагов!.." Гумилев встал, бросил шубу в снег, оказавшись в смокинге и цилиндре. Напротив него стоял растерянный Волошин в шубе, без шапки, но в калошах. В глазах его были слезы, а руки дрожали. Алексей Толстой стал отсчитывать: раз, два... три! Раздался выстрел. Гумилев промахнулся. А у растерянного Волошина курок давал осечку. Гумилев крикнул: "Стреляйте ещ е раз!" И снова выстрела не произошло. Гумилев требовал третьего выстрела, но, посовещавшись, секунданты решили, что это не по правилам. Впоследствии Волошин говорил, что он, не умея стрелять, боялся сделать случайный неверный выстрел, который мог бы убить противника. Дуэль закончилась ничем. Сам Гюнтер в своих воспоминаниях пишет, что, наоборот, хотел вынудить Гумилева жениться на Дмитриевой, поскольку он опорочил ее имя в свете. Однако,

Вся желтая пресса писала об этой "смехотворной дуэли", смеялись над двумя известными поэтами, как могли. Известный сатирик Саша Черный назвал Максимилиана Волошина "Ваксом Калошиным". Прозвище прижилось.

А в десять часов утра после дуэльного дня Сергей Маковский принимал в "Аполлоне" Черубину де Габриак. Он сказал: "Ну пусть она не испанка, русская, она мне еще ближе, пусть некрасива, пусть прихрамывает, но она близка мне по духу, по таланту, я не могу ее оставить..." Но, когда он увидел вошедшую в кабинет Елизавету Дмитриеву, он был поражен... И не мог выговорить ни слова. И хотя Черубина де Габриак осталась в его памяти навсегда, он включал в свои мемуары ее литературный портрет, где она возникает живым персонажем Серебряного века.

Разочарование испытали все (даже через много лет С. Маковский, пристрастно и зло описывая встречу с Е. Дмитриевой-Черубиной, не мог простить розыгрыша, выставившего его в смешном свете). Для Дмитриевой произведенное ею впечатление было ударом, от которого трудно оправиться. Для нее этот скандал обернулся трагедией: "я - художник умерла". То, что для Волошина было блестящим упражнением по формированию творческой индивидуальности, для Дмитриевой стало частью жизни, обернулось личной катастрофой. Елизавета Дмитриева долго не могла опомниться от шока – от нее отвернулись многие друзья, которые не могли простить ей мистификацию. В прощальном письме Волошину она пишет: "Я стою на большом распутье. Я ушла от тебя. Я не буду больше писать стихи. Я не знаю, что я буду делать. Макс, ты выявил во мне на миг силу творчества, но отнял ее от меня навсегда потом. Пусть мои стихи будут символом моей любви к тебе".

Она перестала писать стихи, уединилась и вскоре уехала на Урал, где ждал ее друг, влюбленный в нее с детства. Он был простым инженером, но она вышла за него замуж, взяв его фамилию. Серьезно увлеклась теософией и антропософией, занималась в Мюнхене у Рудольфа Штейнера, а через несколько лет вернулась к стихам. В 1915 г. в пору ее сближения с Антропософским обществом – она писала Волошину: "Черубина никогда не была для меня игрой... Черубина поистине была моим рождением; увы! мертворождением". "Черубина" жила всего год, но это время Марина Цветаева определила как "эпоху Черубины де Габриак".

После революции ненадолго попала в Екатеринодар, где вместе с С. Маршаком работала для детского театра. С 1920 года Васильева — член Союза работников искусств, В 1921 году арест за дворянское происхождение (выпустили через неделю), Вернувшись в Петербург, первое время продолжала сотрудничать с ТЮЗом, затем перешла в Библиотеку Академии наук, занималась переводами, встретила своего будущего

библиографа Е.Я. Архипова, который собрал и издал все ее творчество В апреле 1927 - арест за «активную борьбу с рабочим классом при царском правительстве и при белых». За участие в Антропософском обществе в 1927 году была сослана в Ташкент. Там написала последнюю книжку стихов от имени китайского поэта, заброшенного на чужбину, - "Домик под грушевым деревом".В августе 1928 Васильева заболевает. В ночь на 5 декабря того же года поэтесса скончалась от рака печени.

Со смертью футуризма и скорой агонией имажинизма полотно серебряного века было окончено. Оно получилось ярким, сложным, противоречивым, но бессмертным и неповторимым. Оно отразило не только поэзию поколения, но и существующую действительность. По-разному сложились судьбы замечательных поэтов "серебряного века". Кто-то не смог вынести жизни на неприветливой родине, кто-то, был расстрелян без вины, кто-то до последних своих дней остался на родной земле, пережив с ней все беды и горести. Но все они создали в начале XX века настоящее чудо - "серебряный век" русской поэзии. Ну, а Черубина де Габриак? Это была самая знаменитая, удивительная, захватывающая, интересная, запоминающаяся мистификация XX века. И пусть далеко не все знают о ней, и пусть даже те, кто знает, не очень любят её стихи, - всё равно это интереснейшая поэтесса с уникальнейшей судьбой.

ЛИТЕРАТУРА:

1. Васильева Е. «Две вещи в мире для меня всегда были самыми святыми: стихи и любовь». «Новый мир». № 12, 1988.
2. Волошин М. «История Черубины». М., 2005
3. Гюнтер И. "Жизнь на восточном ветру", М. 2010
4. http://russia.rin.ru/

მელიას სახე ვაჟა-ფშაველას ორი საბავშვო მოთხრობის მიხედვით

ნინო სოზიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **თამარ გოგოლაძე,** სრული პროფესორი

ვაჟა-ფშაველას საბავშვო თხზულებების სამყარო ფაქიზი ხილვებითა და განცდებითაა აღსავსე.

ვაჟა-ფშაველას მწერლის მოვალეობად ილიასა და აკაკის მსგავსად ქვეყნისა და ხალხის სამსახური მიაჩნდა. მომავალ თაობაზე ზრუნვაც აქედან იღებდა სათავეს. პოეტს თავისი სტვირი ისე უყვარს, როგორც ყრმას დედის ძუძუ. ამ სტვირმა მარტო ტკბილი ხმები კი არ უნდა გამოსცეს, არამედ "ქვეყნის წყლულებს უნდა უწამლოს, მძინარს დაუფრთხოს ძილია" (1, 7) პატრონს ეშინია, არ დაბერდეს სტვირი, არ დადუმდეს საკრავი, რათა შეძლოს ერის წყლულების მორჩენა, ტკივილების შემსუბუქება.

ვაჟა-ფშაველას პროზა იმითაცაა გამორჩეული მთელი XIX საუკუნის მწერლობიდან, რომ იგი ერთდროულად სადიდოცაა და საბავშვოც. მართალია, იგი ღრმა ფილოსოფიურ, ესთეტიკურ შრეებს შეიცავს, მაგრამ ამავე დროს იმდენად საინტერესოა გაცოცხლებული ცხოველების, ფრინველების, მთისა და ხევის წარმოსახვით და ისე ახლოსაა ეს ხერხი საბავშვო ქმნილებებთან, რომ ვაჟას პროზის პირველი მკითხველები სწორედ ბავშვები არიან.

ვაჟას მოთხრობები, ისე როგორც ყველა საუკეთესო საყმაწვილო ნაწარმოები, დაცლილია მორალისტური ტენდენციისაგან. მასთან არსად შევხვდებით დარიგება-ჭკუის სასწავლებელ სენტენციებს. ოქმედება იშლება ოჯახურ გარემოსა და ბუნების წიაღში, ისე თავისუფლად ვითარდება მოვლენა, რომ თვითონვე თანამონაწილე ხდები.

ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარმოებები მხატვრული დონით, იდეურ-თემატური სიმახვილით თამამად იმკვიდრებენ ადგილს საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში. ვაჟა-ფშაველას მტკიცედ სწამდა: "ვინც ბავშვებს კეთილგონივრულად ზრდის, იგი აღმზრდელი და გამაბედნიერებელია ერისა. ვინაიდან სიყრმის დროს დათესილი თესლი უხვად გამოიღებს ნაყოფს." (1, 6) ამდენად, ცხადია, მომავალი თაობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის აქტუალური ამოცანის გათავისება პოეტის მიერ. ამ პასუხისმგებლობამ ჰუმანიზმით გამთბარი არაერთი თხზულება აჩუქა ქართულ საბავშვო მწერლობას. ვაჟა- ფშაველა ერთგვარი რიტორიკით, ძალდაუტანებლად ითანხმებს მკითხველს ნაკლოვან მხარეთა დაგმობისაკენ.

საბავშვო მწერალი სათნოების, სიკეთის, მშვენიერების ენაზე უნდა წერდეს, უნდა ცდილობდეს ჰარმონიული სამყაროს შექმნას თითოეულ ნაწარმოებში, რაც თავისთავად გულისხმობს ერთგვარი წყალგამყოფი ხაზის გავლებას მშრალი სენტენციებისაგან, რადგან მსჯელობით, მტკიცებით, ლოგიკური დასკვნებით ბავშვის ჰარმონიული აღზრდა წარმოუდგენელია: ”თვით ბავშვის ბუნება ისეთია, რომელიც მოითხოვს აზრის სიცხადეს, მომავლის ოპტიმისტურ პერსპექტივას, რაც არ აძლევს ნებას მწერლებს შეეხონ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სამყაროს არსებობის “აბსურდულობა”, ადამიანის გაუცხოება და ა.შ. ბავშვი ვერ ავლებს ზღვარს ფანტაზიით შექმნილ სინამდვილესა და რეალურ სინამდვილეს შორის. ის თამაშობს სინამდვილესთან და ცხოვრობს ამ თამაშის სამყაროში, ამიტომ საბავშვო მწერალს სჭირდება უსასრულო ფანტაზია, რათა ბავშვის წარმოდგენაში წაშალოს ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის და წარმოსახვით თამაშს რეალური დამარწმუნებლობა შესძინოს.

ი. ევგენიძე ვაჟას საბავშვო თხზულებათა შორის პირობითად ნაწარმოებთა ორ რკალს გამოყოფს: “ერთია, უშუალოდ ბავშვის სულიერი განცდების, მისი სამყაროს დამსურათებელი ქმნილებები და მეორე, - ბავშვის ფსიქიკისა და წარმოსახვის შესაფერისი, ყმაწვილთა ფანტაზიის და ქცევის გამომხატველი თხზულებები.” (3, 270)

ვაჟას მოთხრობების უმრავლესობა ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ეხება და თითქოს მთელი ბუნება ამეტყველებულია ადამიანურ ენაზე. სწორედ ეს იტაცებთ ბავშვებს. წინ წამოწეულია მოტივი სიკეთისა, სხვისთვის სარგებლობის მოტანისა. “საბავშვო მწერლის მგზნებარე ფანტაზიას უნდა შეეძლოს ისევე გაასულიეროს საგნები, როგორც ბავშვები ასულდგმულებენ თავიანთ სათამაშოებს. მოზრდილთათვის უცნაურად გამოიყურება ალაპარაკებული ცხოველი და ყვავილი, მაგრამ ეს ბავშვისთვის სავსებით ბუნებრივია.” (1, 7)

მწერლის საბავშვო თხზულებებში ხშირია უკიდურესი გადაჭარბების შემთხვევები. ეს ავსებს ბავშვის ფანტასიას, აფართოებს, წვრთნის ყმაწვილის გონებრივ არეალს. “ვაჟას მოთხრობების მასალას აქვს დიდი აღმზრდელობითი ღირებულება,–წერს გრ. კიკნაძე,–ეს ნაზი არსებები, რომლებიც მის თხზულებებში მოქმედებენ, არა მარტო საინტერესოა, არამედ ბავშვთა გამაკეთილშობილებელიცაა.” (1, 7)

ვაჟა-ფშაველას ზღაპრების წერაც უყვარდა. ამ თვალსაზრისით იგი არაერთი ლიტერატურული ზღაპრის ავტორია. ჩვენთვის საინტერესოა, სწორედ რატომ შეარჩია ვაჟამ ხალხური ზღაპრების პერსონაჟი მელია, რა დამატებითი თვისებები შესძინა მას და რით გახდა იგი ბავშვებისთვის საინტერესო, რომელსაც თხრობით ჟანრებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს. ზღაპარი ზეპირი ფანტასტიკური მოთხრობაა.

ქართველები ზღაპარს, როგორც ჟანრს, ქრისტიანობამდე იცნობდნენ. ზღაპარი გონიერი მოთხრობაა და სიბრძნის მასწავლებელი. ასეთი აზრი არსებულა ამ ჟანრის მნიშვნელობის შესახებ ადრინდელ ფეოდალიზმის ხანაში.

მომდევნო პერიოდში შეიცვალა ზღაპრის გაგება. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში მას ასე განმარტავს: “ზღაპარი არს მოგონილი ტყუილი, ამბავად შემჭევრებული და რა მქნილი მყოფობით.” (3, 272)

ქართული ზღაპრული ეპოსის შემდეგნაირი კლასიფიკაცია არსებობს: ცხოველთა ზღაპარი, მისნური ანუ ჯადოსნური ზღაპარი, საყოფიერო-ნოველისტური ზღაპარი, საგმირო ეპოსი, ლეგენდები და ანეგდოტები.

ამგვარი დაყოფა ერთგვარად ეგუება ქართული მხატვრული პროზის ბუნებას.

ჩვენ, ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ ცხოველთა ზღაპარზე.

ზღაპრის ჟანრთა შორის ცხოველთა ზღაპარი ყველაზე ძველია. მისი სათავე ტოტემიზმსა და ანიმიზმში უნდა ვეძიოთ. ცხოველთა სამეფო თავიდანვე გარს ეკრა ადამიანთა საზოგადოებას. მათი ურთიერთობა ხან მტრული იყო, ხან მეგობრული.

მხატვრული ალღოთი აღჭურვილი ინდივიდი სწავლობს და აკვირდება ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულებას, ადამიანთა კავშარს და აღწერს მას. ოველ ცხოველს რაღაც თავისებურება ახასიათებს.

ცხოველთა ეპოსის ცენტრალურ ფიგურას მელა, დათვი და მგელი წარმოადგენენ. არდა ამისა გვხვდებიან: ვეფხვი, ლომი, კურდღელი და ტურა.

მელია მუდამ მოხერხებული და გონებამახვილი პერსონაჟია. მისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ბოლოდროინდელ ზღაპრებში მელა იგავარაკისებური გმირია, რომელიც მოტყვილების, ცბიერების და უნდობლობის განსახიერებას წარმოადგენს. ელა ქართულ ზღაპრებში ხშირად მარცხდება, განიზრახავს რა ვინმეს მოტყუებას. სხვა ქვეყნის ფოლკლორში ასე არ ხდება.

ერთია მელია, როგორც პერსონაჟი, ცხოველთა ზღაპრის სიუჟეტის მიხედვით, რაც შეეხება მელიის მითოსურ სახეს, როგორც მკვლევარი ფოლკლორისტი რუსუდან ჩოლოყაშვილი შენიშნავს, აქ, მისი განსხვავებული პროტოტიპი გვევლინება.

მელია ზღაპრულ ეპოსში ძირითადად ცხოველთა ზღაპრების მთავარი გმირია - ტრიქსტერი ანუ ცბიერი, მოხერხებული და სასტიკი. გარდა ამისა ის ქართულ ზღაპრებში სხვა ტიპის ოცამდე სიუჟეტსა და მოტივში გვხვდება, რომლებიც ზღაპრული ეპოქის სამივე ქვეჟანრს (ცხოველთა, ჯადოსნურ და ნოველისტურ ზღაპრებს) განეკუთვნება. ამ ზღაპრების მელია უკვე ტრიქსტერისაგან განსხვავებულ სახეს ქმნის, თუმცა ცხოველთა ზღაპრების მსგავსად აქაც აქცენტი მის ჭამაზე კეთდება და საინტერესოა, ეს მითოსური სახე რომელ მცენარეს, რომელ ცხოველს შეექცევა. ყოველივე ამას კი საკრარული დანიშნულება აქვს.

ამ ტიპის ზღაპრებში მელია ხან ვაზის მტევნებს გამოჭამს, ხან მთელ ვენახს; ყოველივე ეს მკვლევარს აფიქრებინებს, რომ მელიის სახე გენეტიკურად ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირდება. ის "თხა და ვენახის" ერთ-ერთ ვარიანტშაც გვხვდება, როგორც, ვენახის მჭამელი, ბოლოს თავადაც სხვისი ლუკმა რომ ხდება.

რიტუალურია ზღაპარში ხორბლის თავთავით, მამლით, ვერძით და ხარით ხელდამშვენებული მელიის სტუმრად სიარულიც, როდესაც ის სასიკვდილოდ იმეტებს ოჯახში თავისსავე მირთმეულ ძღვენს, იქიდან კი სანაცვლო მოჰყავს. იქ, სადაც არ ჩანს ცხოველების მიერ ერთმანეთის შეჭმა და საუბარი მხოლოდ მოკვდინებაზეა, იქაც ურთიერთგადასანსვლა, ე.ი. მეტამორფოზა იგულისხმება. მელია არა მარტო სხვადასხვა ცხოველებს ენაცვლება ზღაპარში, ის მეწისქვილის წისქვილში პურის სულის სახეც არის.

მელიის სახე კარგად აქვს წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას თავის შემოქმედებაში, სწორედ ამიტომ, დავინტერესდით ვაჟა-ფშაველას ორი საბავშვო მოთხრობით: "მელია-სერეფინია" და "მელია კუდაგრძელია", რამდენადაც იგი პოპულარულია ბავშვებში და ასევე დავინტერესდით იმით, თუ როგორ შემოჰყავს მწერალს მელიის პერსონაჟი ადამიანთან და აგვიწერს მის თვისებებს.

ზღაპრის „მელია-სერაფენია" პერსონაჟი მელია-სერეფინია - ობოლი, ყველასგან მიტოვებული და მარტოსული, მაგრამ ენა და გონებამახვილი, ცბიერი და მატყუარაა. მოხერხებულია, - ისეთი ოსტატი, რომ ერთხელ ერთი მწევარიც კი უტირებია.

აქვე, მწერალი გვაწვდის ინფორმაციას მელიის ჩვეულებაზე, რომ ყოველი მელა თავისთვის დადის, თავისთვის ნადირობს; მელიას ძალიან ეზარება სხვას გაუზიაროს თავისი ნაღვაწი ნანადირევი, ხოლო სხვის ამაგზე კი ხარბად თვალი უჭირავს. დედაც თავის შვილებს დიდხანს არ ინახავს თავისთან, მალე მოისხლეტს, მოაშორებს ძუძუს, საკუთარი შრომით, მეცადინეობით აჩვევს საზრდოს მოპოვებას. აქ, პარალელს ვერ გავავლებთ ადამიანის ჩვევასთან, რადგან, როგორც წესი, დედა შვილს ასე არ ექცევა, თუმცა მაინც შეიძლება საერთოს პოვნა.

სერეფინიას კი ამ შემთხვევაშიც არ გაუმართლა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის ობოლია, მას მხოლოდ მოგონებებში დარჩა, თუ როგორ ნადირობდა დედასთან ერთად.

მელა რომ ცბიერი და მოხერხებულია, მისი ნადირობის წესიდანაც ჩანს, რადგან, როდესაც იგი ხოხობს დაინახავს, ხოტბას შეასხამს ლექსად, რათა მიიჩვიოს და მიიზიდოს. ასე მაგალითად:

"ლამაზო, როგორ მიყვარხარ,
ვით გამოიტყვის ენაო?!
შენის ყელ-ყურის ჭირიმე,
აგრე რამ დაგამშვენაო?
შენს მტერს და ორგულს უფალმა
დილა ნუ გაუთენაო.
როგორ გიხდება ნავარდი,
მაღლიდან დაბლა ფრენაო!
ვერ ვძღები შენის ცქერითა,
შენ გენაცვალე, შენაო."

მაგრამ მელამ ვერაფერი გაეწყო ლაქუცით. ხოხობი ჭკვიანი და გამოცდილი აღმოჩნდა. ავტორმა მელიის სახით ცრუ, ფლიდი, ეშმაკი და გონებამახვილი ადამიანი დაგვანახა, ამავე დროს ხოხბის პერსონაჟით შექმნა ჭკვიანი დაფიქრებული და დინჯი ადამიანის სახე.

მაშასადამე, ორი განსხვავებული პერსონაჟია და ბავშვი, რა თქმა უნდა, ეცდება მიბაძოს მისთვის სასურველ გმირს. ეს არის მწერლის ჩანაფიქრიც.

ვაჟა-ფშაველას მელიის სახე წარმოდგენილი აქვს თავის მომდევნო მოთხრობაში "მელია-კუდაგრძელია". შესავალში პაპასა და შვილიშვილის დიალოგია წარმოდგენილი. პაპა ისე დაუხატავს შვილიშვილს მელიის სახეს, თითქოს ის არა ცხოველი და ზღაპრის პერსონაჟი, არამედ თითქოს რეალურად არსებული პიროვნება იყოს: "შვილო მელია-კუდაგრძელია შენი საქმროა, ვაჟკაცი კარგია და ოჯახისშვილიცაო. ვითომ ერთხელ უნახავს ლურჯ ცხენზე მჯდარი, ლურჯი ქულაჯა სცმია და თავიდან ფეხებამდე იარაღში ყოფილა ჩამჯდარი: თოფი, ხმალი, დამბაჩა – სულ ოქრო ვერცლითა ჰქონია მორთული."

მწერალმა მისი სახით წარმოგვიდგინა უნიკალური, უმანკო, უნაკლო ვაჟკაცი, რომლის მსგავს სასიძოდ ყველა ინატრებდა. ამით მწერალი ბავშვებს ერთგვარად უვითარებს ფანტაზიას იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მისი ცხოვრება მომავალში.

ვაჟა-ფშაველამ სახე მელიისა მრავალგზით დაგვანახა და მკითხველს არჩევანის საშუალება მისცა, რათა განსაზღვროს და კარგად გააანალიზოს, თუ რომელი პერსონაჟია ჩვენთვის მისაღები და საინტერესო.

მაშასადამე ვაჟას თითოეული საბავშვო მოთხრობა დიდ როლს თამაშობს მოზარდის განვითარებაზე მორალური თვალსაზრისით, ამდენად მისი შემოქმედება მნიშვნელოვანი და საყურადღებოა თითოეული ჩვენთაგანისთვის.

ლიტერატურა:

1. ლელა მელაძე, ქართული საბავშვო მწერლობა, XX საუკუნის დასაწყისში, თბ., 2006;
2. ქართული პროზა, "ვაჟა-ფშაველას მოთხრობები", თბ., 1990;
3. მიხეილ ჩიქოვანი, „ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია", თბ., 1975;
4. რ. ჩოლოყაშვილი, "მელიის მითოსური სახე ზღაპრულ ეპოსში" II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები კრებულიდან "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები", თეზისები, თბ., 2008.

„წმინდანი თუ იუდა?" – როსტომ ჩხეიძის რომანის „იასე იანუსის" მიხედვით

თეონა ქურთაული
ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრატურის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

ქართველი კაცის ბუნება ისეთია, ყველაფერს ადვილად ეგუება, შეიძლება ადვილად აიტანოს დევნილობა, შიმშილი, სიცივე, უსახლკარობა, მაგრამ თავისუფლების დათმობა არ შეუძლია, არასდიდებით და არაფრის ფასად. ტყვეობაში ან კვდება, ან იბრძვის თავისუფლებისათვის.

1832 წელი, ეს დიდი ისტორიული თარიღი, სწორედაც, რომ უკანასკნელი გაბრძოლება იყო ქართველი თავადაზნაურობისა რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ. 1832 წლის 20 დეკემბერს იგეგმებოდა აჯანყება, რომელსაც თავისუფლება და სახელმწიფოს აღდგენა უნდა მოეტანა, მაგრამ...

1832 წლის 9 დეკემბერს კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, გენერალ ვოლხოვსკისთან გამოცხადდა პიროვნება და აუწყა, რომ საქართველოდან რუსების განდევნის მიზნით ქართველები აჯანყებას აპირებენო, თან დასმენის ვრცელი ტექსტიც დაწერა. ეს პიროვნება ისტორიას შემორჩა, როგორც კიდევ ერთი გამცემი და მოღალატე, რომელმაც უღალატა სამშობლოს და თანამოძმეებს, გმირებს, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ თავისუფლების დაკარგვას, რადგან ღვთით მინიჭებული თავისუფლება მათთვის სიცოცხლეზე მეტი იყო. მისმა ღალატმა უდიდესი დარტყმა მიაყენა საქართველოს, ქართველებს და ეროვნულ ცნობიერებას, ეს პიროვნება იყო იასე ფალავანდიშვილი. მას ჰქონდა შესაძლებლობა გადაერჩინა ქართველი ხალხი და ისტორიაში დაეტოვა სახელი ეროვნული გმირისა, მაგრამ მას ისტორია იუდად გვაცნობს.

1832 წლის შეთქმულების გაცემასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს გვაცნობს თამაზ ჯოლოგუა, როგორ ხელისაუკანკალებლად აღწერდა რუს გენერალთან მისული იასე ფალავანდიშვილი აჯანყების მთელ სამზადისს – ,,შესაკრები ადგილი იყო თათრის მოედანი, სადაც უნდა დაეკრა აზიურ მუსიკას და სადაც უნდა ყოფილიყვნენ თავადები: ლუარსაბ ორბელიანოვი, მარშალი დიმიტრი და მამუკა ორბელიანები, თავადი ელიზბარ ერისთოვი, აქვე უნდა ყოფილიყვნენ, გარდა ადგილებზე დანიშნულისა, ყველა ამ საქმის მონაწილენი. აგრეთვე აქ უნდა შეყრილიყვნენ პოლონელები, თავადაზნაურნი და დაბალი წოდებისანიც. მათ ევალებოდათ შეეკრიბათ ქალაქში ხალხი, ეკლესიებში აეტეხათ ზარების რეკვა, უნდა გამოეტანათ სიონის ტაძრიდან ღვთისმშობლის ხატი, აგრეთვე, სომხების ფეთხაინის ეკლესიიდან ღვთისმშობლისავე ხატი, რომლებიც ხელში მღვდლებსა და ბერებს უნდა სჭეროდათ და ეძახათ: ,,საქართველოს თავისუფლებისათვის ჩვენ თავს ვწირავთო''. [2, 45]

იასე ფალავანდიშვილი, ადრე თითქოს მამულის თავისუფლებისათვის გულანთებული მებრძოლი და ახლა საკუთარი ტყავის გადარჩენის სურვილით შეპყრობილი.

შეთქმულების დამღუპველი იასე ფალავანდიშვილი აღმოჩნდა.

დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში იხსენებს: ,,ეს შესახედავათ ასეთი მორიდებული, სათნო ადამიანი, დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა ყოველი წესწყობილებისა და ამასთან ისეთი სისხლისმსმელი ადამიანი, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არავინ არ შემხვედრია''. [7, 76]

შეთქმულების გაცემის შემდგომ, შეიქმნა სპეციალური საგამომძიებო კომისია, რომელმაც დაიწყო შეთქმულთა დაპატიმრებები, 145 მონაწილევე დააპატიმრეს. ისინი დანაშაულის მიხედვით 10 ჯგუფად დაყვეს. იასე ფალავანდიშვილი დამნაშავეთა მეორე ჯგუფში, ,,შეთქმულების წამქეზებელნი, რომლებიც ხალხს აღაგზნებდნენ შეთქმულებისათვის'', ელიზბარ ერისთავთან, ალექსანდრე ორბელიანთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად მოხვდა. იასე სამსახურიდან დაითხოვეს (კოლეგიის რეგისტრატორის ჩინი ჰქონდა) და იასე, რომ არც სასამართლოსთვის გადაუციათ და არც თავადობა ჩამოურთმევიათ, უნტერ–ოფიცრად გაამწესეს ფინეთში განლაგებულ ერთ–ერთ პოლკში, რომელიც ცნობილი იყო უსასტიკესი წესებითა და დისციპლინარული სასჯელის მსხვერპლთა სიმრავლით. გადასახლებულებს სამშობლოში დაბრუნება სამუდამოდ ჰქონდათ აღკვეთილი.

რა თქმა უნდა, მონაწილეთა სიაც იასემ წარუდგინა გენერალს. აჯანყების გაცემამდე მან, დაჟინებული თხოვნით, ალექსანდრე ორბელიანს ჩამოაწერინა შეთქმულების მონაწილეთა სრული სია, იასემ დახედა, ჩაიკითხა და შენახვა რომ მოისურვა, ალექსანდრემ სია გამოართვა და დაწვა, მაგრამ ამაოდ, მან ერთი ჩაკითხვით დაიმახსოვრა გვარები და მეორე დღეს იასე ფალავანდიშვილმა გენერალ ვოლხოვსკის ,,დამნაშავეთა'' სრული სია წარუდგინა. ხანგრძლივი გამოძიების შემდეგ შედგა სამხედრო სასამართლო, რომელმაც მუშაობა 1834 წლის თებერვალში დაასრულა და შეთქმულების ყველაზე აქტიური ნაწილი, მაშინდელი საქართველოს საუკეთესო შვილები, – რუსეთის შორეულ გუბერნიებში მიმოფანტეს. მკვეთრად შეიცვალა საქართველოს ისტორიის მსვლელობა და ამ ,,ცვლილების'' მთავარი ,,შემოქმედი'' იასე ფალავანდიშვილი იყო.

მუხთალი ბედი მართლაც საუკეთესო შანსს აძლევდაო ფალავანდიშვილს – წერს ნინო ვახანია, ,,მან კი თავხედურად, უტიფრად, ურცხვად და უსინდისოდ ზედ აჯანყების ზღურბლზე, რამდენიმე დღით ადრე გაწირა, უმტრო, უღალატა მეგობრებს, ქვეყანას, საერთო საქმეს, ერსა და ბერს და ამით შეიძლება ითქვას, მთლიანად შეცვალა საქართველოს შემდგომი განვითარების პერსპექტივა, სამშობლო ქვეყნის სვე და ბედი''. [4, 27]

მართლაც და „იასე ფალავანდიშვილს ხელისუფლების მოხვეჭა, პირველკაცობა არც დასჭირვებია, ისე განსაზღვრა საქართველოს სვე–ბედი და ქართველთა ცნობიერებისა და ზნეობრივი მრწამსის თავზარდამცემი რღვევა.

მის კისერზეა ბერ ფილადელფოს კიკნაძის აღსასრული ყაზარმობის ჟამს;

მის კისერზეა სოლომონ რაზმაძის ჩამოუსვლელობა გადასახლებიდან;

მის კისერზეა სოლომონ დოდაშვილის ტრაგიკული აღსასრული ვიატკაში, ვის ბადალსაც ერსა და ქვეყანას ღმერთი ერთსა თუ ორს მოუვლენს საუკუნეში და მათი ნაადრევი სიკვდილით აუწონელი, განუზომელი ზიანი ადგება ქვეყნის კულტურულსა და საზოგადოებრივ სინამდვილეს.

მის კისერზეა მოლა ზამანას დახრჩობა მდინარე დვინაში.

მის კისერზეა შეთქმულთა მორალური გატეხვა, თითქმის ყველასი, თითო–ოროლა გამონაკლისის გარდა, გადასახლებიდან დარუნებული ყოფილი მეამბოხენი იმპერატორის ერთგულ მეომართა თუ ჩინოვნიკთა რიგებს რომ შეავსებდნენ და ამ არჩევნით საბოლოოდ მოუთავებდნენ ხელს ისედაც დაბნეულსა და აჭრილ საზოგადოებრივ აზრს.

არჩევანით – დაკარგული საზოგადოების აღდგენისათვის სწრაფვა ქვეშევრდომულ ცხოვრების წესზე რომ გადაიცვლებოდა.

ესეც ისტორიის მსვლელობის საბედისწერო შეცვლა“ [2, 28]

იასე ფალავანდიშვილის ღალატმა წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოსა და ქართველ „იასეს მიერ ჩადენილი ცოდვა სწორედ ისეთია, შენდობა რომ არ უხერხდება“. [8, 35] მისმა დასმენამ ხომ არსებითად შეცვალა ქართული საზოგადოება და მისი სულიერი ცხოვრება. ბრძოლისა და წინააღმდეგობის სურვილის ნასახიც აღარსად შემორჩა.

1832 წლის შეთქმულების მასალებიდან კარგად ჩანს, რომ იასეს დიდი წვლილი მიუძღვის „ფარული საზოგადოების“ ჩამოყალიბებასა და მის საქმიანობაში – აჯანყების მომზადებაში. იმდენად დიდი, რომ ზოგი მკვლევარი მას ერთ–ერთ მეთაურადაც მიიჩნევს. თამაზ ჯოლოგუა არ გამორიცხავს, რომ შეთქმულების ხელმძღვანელთა აქამდე ცნობილ სამეულს, – ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე ორბელიანსა და სოლომონ დოდაშვილს – იასე ფალავადნიშვილიც დაემატოს და, ამგვარად, ეს „ სამეული“ „ოთხეულადაც“ კი იქცეს.

თამაზ ჯოლოგუას წერილი „სერგეი მაქსიმოვის მოგონება იასე ფალავანდიშვილზე" მრავალმხრივ არის საყურადღებო. ამ წერილის მიხედვით ვეცნობით სრულიად განსხვავებულ იასეს, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის უცნობ იასეს. თამაზ ჯოლოგუა ზემოხსენებულ წერილში უკვე გადასახლებულ, რადიკალურად შეცვლილ იასეზე წერს. არხანგელსკის გუბერნიაში, პეჩორის მხარეში, სოფელ უსტ–ცილმაში გადასახლებული ყოფილი მეამბოხის ყოფა და საქმიანობა თითქმის სრულიად უცნობია ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ს.მაქსიმოვის მოგონებაში ჩვენ უკვე ვხედავთ უცნაურად სახეცვლილ იასე ფალავანდიშვილს.

ს. მაქსიმოვი, 1856–1857 წლებში, რუსეთის შორეული ჩრდილოეთის ევროპულ ნაწილში მოგზაურობისას, არხანგელსკის გუბერნიაში, პეჩორის მხარეში, შეხვედრია იქ მცხოვრებ იასე ფალავანდიშვილს. მრავლის მნახველ მწერალსა და მოგზაურზე იასეს წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია. ს. მაქსიმოვის მოგონებებში ვხედავთ სულ სხვანაირ იასეს: ღვთისმოსავს, პეჩორის ღატაკ მოსახლეობაზე გადაგებულს, კეთილშობილებით და ურყევი ავტორიტეტით სახელმოხვეჭილს.

თავადი თხემით ტერფამდე პეჩორელთა საზრუნავ–სადარდებელში იყო ჩაფლული, მათი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობდა და სულდგმულობდა, ამის სანაცვლოდ, ხალხისგანაც საყოველთაო და უანგარო სიყვარული ჰქონდა მოპოვებული. რამე თუ სთხოვე, ზეგ გადაგყვება. თვითონ რა აქვს, მაგრამ შენი გულისათვის უკანასკნელ პერანგს გაიხდის.

ს. მაქსიმოვის მოგონებიდან საყურადღებოა მამა პავლეს აზრი იასე ფალავანდიშვილზე –,,იგი ღვთის რჩეულია, ჭეშმარიტად ნეტარია და მთელი საიდუმლოება იცით რაშია? ხვალინდელი დღით კი არ ცხოვრობს, დღევანდელ საზრუნავზე ზრუნავს. ყველა მასთან ეძებს გულისა და გონების სალბუნს, მისი გულის კარიც ყველასათვის ღიაა. სადაც კი გასწვდება, ყველგან სიკეთეს თესავს. აშკარაა, რომ სავსე გულით ლოცულობს და მისი ლტოლვაც წმინდა ტაძრისაკენ სავსებით გულწრფელია. კაცთაგან დაფარული წმინდა საიდუმლოს ძიებამ, შესაძლოა ადამიანი ხელშესახებ ძეხორციელთან მიიყვანოს".

მამა პავლე თავისი მონათხრობით იასეს მომავალ წმინდანობაზე გვითითებს და როდესაც ს. მაქსიმოვი მას ჩაეკითხა ასე პასუხობს: – არსებობს ასეთი მაგალითები წმინდანთა ცხოვრების წიგნში. ირიცხებიან ასეთებიც წმინდანთა დასში. თუმცა, ჯობს, დავიდუმოთ ბაგენი, სანამ კეთილი ჟამი არ დამდგარა.

ს. მაქსიმოვის მოგონებებიდან კარგად ჩანს თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ პეჩორელებს იასესთან, იგი მათთვის იყო ადამიანის იდეალი, რომლის ბუნებაში ზოგადად ქართველისათვის ნიშანდობლივი სამაგალითო ღვთისმოსაობა შერწყმულიყო და შეზავებულიყო პიროვნულ სიწმინდესა და უმწიკლობასთან და რომ მისი საფლავი უდიდეს მოწიწების და პატივის საგნად ქცეულიყო.

არა და აქამდე იგი მხოლოდ ერთადერთი სახით გვეცხადებოდა, გაღარიბებული იერით, იუდას სახელით დაღდასმული და უკეთურობად გასიმბოლოებული. ვინ იფიქრებდა, რომ მისი სახელი კიდევ გაიჟღერებდა ქართველთა შორის და თანაც როგორ? როგორც სრულიად შეცვლილი და სრულიად დადებითი ადამიანი.

,,საიდან მოხვედრილიყო არხანგელსკში, თავი რითი გაჰქონდა და რა სახელი დაეტოვებინა იქაურებში, ამდენი აღარავინ უწყოდა და არც აინტერესებდათ. მის მიერ მკვეთრად გამრუდებული საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების მდინარება თითქოს გადადიოდა ბუნებრივ კალაპოტში და თითქოს ვეღარც და მისი სახელის ყოველი უნებური წამოგონება იქვე იუდას სახებასაც ასვეტდა; და ამა თუ იმ პიროვნების ცნობიერებაშიც ისევე ჩაიკვლოდა მისი სახელი, როგორც ალბათ თვითონ ჩამკვდარიყო რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში.

,,პეჩორის თავადი"–ს.მაქსიმოვის წერილი, იასე ფალავანდიშვილის ცხოვრების იმ უკანასკნელ ოცეულს ეძღვნებოდა, რომელიც უბრალო ოცწლეული არავის არ უნდა ჰგონებოდა, არავის, ვინც არა კმაროდა მარტივ, ზერელე წარმოდგენებს ისტორიულ მოვლენებსა თუ პერსონაჟებზე". [2, 5]

თუ მანამდე იასე ფალავანდიშვილი ქართველისათვის მხოლოდ გამცემი და მოღალატე იყო, მასზე არც კი საუბრობდნენ, როგორც უპატიებელი ცოდვის ჩამდენსა და დამნაშავეზე, როსტომ ჩხეიძემ ახლა იასეს მეორე სახე დაგვანახა. ჩვენს წინაშე იხატება რუსეთში, პეჩორაში სათნო, კეთილი, განათლებული, ჭკუის საკითხავი, ყველგან და ყველაფრის წარმმართველი და ჭეშმარიტი გზამკვლევი, წმინდანი იასე, თავადი, როგორც იქაურები ეძახდნენ. ,,კეთილია, კეთილი! ღმერთს ჩვენს პატრონად ჰყავს გამოგზავნილი"– ამბობს ბერიკაცი, ს. მაქსიმოვთან საუბრისას. და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, საქართველოზე, თავის ქვეყანაზე თითქოს და უზომოდ შეყვარებული კაცი, ქართული ჩოხით, ბალახებსა და ყვავილებში თავჩარგული (ეს სურნელება საქართველოს მაგონებსო), მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრებაზე უარისმთქმელი იმ მიზეზით, თუ საქართველოში არ ვიქნები, დედაქალაქი და მივარდნილი მხარე თანასწორია ჩემთვის და სულ ერთია, სად ვიცხოვრებო. თითქოს მართლაც ვხედავთ, ხელით ვეხებით წიგნის ყდაზე გამოსახულ ორსახოვან კაცს – აქ გამცემი იქ წმინდანი". [6, 35]

ს. მაქსიმოვი წერს, რომ ,,ამ უბოროტო, სათნო ადამიანმა გადასახლების წლები ამოშანთა მეხსიერებიდან და თუ ვინმე თავისი გაუფრთხილებლობით ამ საკითხს შეეხება, თავადი უცებ შეტოკდება, ადგილიდან წამოვარდება, ნერვიულად ბოლთის ცემას დაიწყებს და შემდეგ ისეთ გაუსაძლის, დამთრგუნველ მელანქოლიას მიეცემა, იფიქრებ, ამ ადამიანს სიცოცხლის ნიშანწყალი აქვს დაკარგულიო. არც ერთი სიტყვა, არც დაჩივლება, არც ბედისადმი მდურვა, არც არაფერი. არსებობს მხოლოდ დღევანდელი რეალობა, გამორჩეულად საყვარელი პეჩორა და ხსოვნაში ჩაკირული სამშობლო – ძვირფასი, დიდებული და აყვავებული საქართველო! ''[2, 44]

ამ მხრივ დაშორებია ერთმანეთს რუსული და ქართული მწერლობა, იასე ფალავანდიშვილის ორი რადიკალურად განსხვავებული სახეა შექმნილი და სრულიად ბუნებრივია რომ ისმის კითხვა, რომელია ნამდვილი?

არსებობს დღევანდელი რეალობის გადმოსახედი, რომელიც სულაც არა ჰგავს პეჩორაში მცხოვრებ წმინდანი იასეს მოღვაწეობას და მის ზრუნვას იქ მცხოვრებლებზე, რომლებსაც თითქმის კერპადაც კი გაუხდიათ იგი, მაგრამ საქართველოში იასეს სახელი ასოცირდება ტრაგიკულ ღალატთან ჩვენი ისტორიიდან რომ ამოზიდულა, რომელმაც ლამის ხერხემალი დაუმსხვრია საქართველოს და თავისი სიმძიმით მხოლოდ მაცხოვრის გამცემი იუდას ამბორსაც გაუთანაბრდა...

იასეს მაგალითით მწერალმა ნათლად დაგვანახა ღმერთსმოკლებული სინამდვილის დაღი ადამიანის სახეზე, დაღი – რომელმაც ორსახოვან, ვინაობა დაკარგულ იუდად აქცია იგი – უდავოა, რომ ეს ტრაგედია არ შეიძლება მხოლოდ XIX საუკუნისათვის იყოს დამღუპველი. როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ხერხემალი დღესაც ვერ გამთელებია საქართველოს, და ,, „უცდის გმირი, გამთელდება თუ ოდეს წმინდანის ხატს ამოფარებული იუდათა მიერ მიყენებული ჭრილობანი“. [6, 36]

იასე ფალავანდიშვილის პიროვნებასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა ისმევა, კითხვები, რომლებსაც თითქოს პასუხები თან აქვთ და თან არა.

რამ აქცია მოღალატე წმინდანად?

გამცემი და ორპირი ზნეობრიობის ნიმუშად?

რომელია ნამდვილი?

გულწრფელად მოინანია თავისი დანაშაული, მთელი არსებით მიენდო ღმერთს და ცოდვიანის მსუბუქი გზა წმინდანის ეკლიანი და მძიმე სავალით შეცვალა? ამ მხრივ ბევრია საკვლევი და ვეცდებით შემდგომ შრომებში ოდნავ მაინც ნათელი მოვფინოთ ამ კითხვებს.

ამრიგად, იასე ფალავანდიშვილის შესახებ მსჯელობა შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ერთი დასკვნით: მოღალატე, გამცემი, იუდა. ვერ შველის მას ქართველთა თვალში წმინდანობის ის შარავანდი, პეჩორაზე რომ მოუპოვებია. ვერ გადასწონის სტაროვერთა სიყვარული იმ სიძულვილს, რაც მან სამშობლოში დაიმსახურა. მისი სახელი დაღდასმულია არა მარტო XIX საუკუნის I ნახევარში, არამედ დღესაც და სამუდამოდაც.

ლიტერატურა:

1. ვახანია ნ., – ,,პროზა ალექსანდრე ორბელიანისა'', თბ., 1998;
2. ჩხეიძე რ., –,, იასე იანუსი'' თბ., 2008;
3. ჩხეიძე რ., – ,,ალექსანდრე ორბელიანი'' თბ., 1996;
4. ,,ჩვენი მწერლობა'' – ,,ორი იასეს გამოცანა''. N=17(43), 2007;
5. ,,ჩვენი მწერლობა'' – ,,პეჩორის თავადი''. №15, 16, 17, 18, 2007;
6. ,,ჩვენი მწერლობა'' – ,,ორსახოვანი იასე ფალავანდიშვილი'', №26(43), 2007;
7. ჯოლოგუა თ., – ,,საშვილიშვილო მოკავშირე–დიმიტრი ყიფიანი'', თბ., 2007;
8. ჯოლოგუა თ., – ,,სერგეი მაქსიმოვის მოგონება იასე ფალავანდიშვილზე'', № 8 (34), 2007.

ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჩხეიძე

მარიამი შატაკიშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

ილია ჭავჭავაძე და მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენთვის ცნობილი მწერლები არიან, თუმცა ზოგადი წარმოდგენა გვაქვს მათი შემოქმედების შესახებ. მინდა, სწორედ, ნაცნობი მწერლების შემოქმედების ფონზე ვისაუბრო ოთარ ჩხეიძის ერთ კონკრეტულ რომანზე.

ვფიქრობ, ო. ჩხეიძის ბურუსი ერთგვარი გაგრძელებაა ი. ჭავჭავაძის კაცია-ადამიანის?! და მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა“. ამ ორი რომანის ფონზე წარმოვადგენ თემას, რადგან ო. ჩხეიძე უფრო ახლობელი და გასაგები გახდეს თითოეული ჩვენგანისათვის.

მსგავსნი თუ განსხვავებულნი? მე ვიტყოდი განსხვავებულნიც და ამასთან ერთად საოცრად მსგავსნი. ყველაზე დიდი მსგავსება, რაც მათ აერთიანებთ, ვფიქრობ, მართლის თქმის პრინციპია. არა აქვს მნიშვნელობა სათქმელს პირდაპირ იტყვი, გადატანითი მნიშვნელობით თუ მხატვრული ხერხით. მთავარი და უპირველესია თითოეული მათგანის სათქმელი ამოვიკითხოთ, თუნდაც ტექსტს მიღმა სათქმელიდან. ვფიქრობ, ი. ჭავჭავაძის პრინციპი სამივე შემოქმედისათვის საერთოა, საერთოა იმდენად რამდენადაც „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო“. მოყვარეს რომ პირში უძრახიან და სათქმელის პირდაპირ თქმას არ ერიდებიან, ეს კარგად ჩანს თითოეულის შემოქმედებაში. განსაკუთრებული მსგავსება წინა პლანზე მოიწევს ლუარსაბ თათქარიძისა, თეიმურაზ ხევისთავისა და აპოლონ კორკოტაძისა. არა აქვს არსებითი მნიშვნელობა რა ერქმევათ კონკრეტული ნაწარმოების პერსონაჟებს, მთავარი და მნიშვნელოვანი მხოლოდ მათი სათქმელია, მათი სახით მკითხველამდე მოტანილი საზოგადოება, ამ საზოგადოების ცხოვრების მანკიერი მხარეები, რძისფერი ბურუსით მოცული. მცდელობა ამ ბურუსის გაფანტვისა შესდგა თითოეული მათგანის შემოქმედებაში. შესდგა იმდენად, რამდენადაც ლუარსაბ თათქარიძე ჩვენს წინაშე დგას სრულყოფილი სახით, სრულყოფილი სახით და სახელით რომელსაც, მე ვიტყოდი გაზულუქებული თავადი-მემამულე ჰქვია. იქნებ ი. ჭავჭავაძე „ეპატირების“ ხერხს მიმართავს, თუნდაც თავის თავს რომ ლუარსაბ თათქარიძესთან აიგივებს. ლუარსაბი თუ საზოგადოების სახეა ზოგადად, იმდროინდელი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხომ თავად ი. ჭავჭავაძეც იყო? იქნებ ასეც არაა და ეს თავდაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ასევე მ. ჯავახიშვილიც თეიმურაზის პროტოტიპად სხვებთან ერთად საკუთარ თავსაც მიიჩნევდა - წერს რ. ჩხეიძე აპოლოგიაში ლუარსაბ თათქარიძის შესახებ.

თავს არ მიჯნავდა და არც იმათგან და არც თეიმურაზ ხევისთავისაგან, სადღაც განზე არ იდგა და იქიდან არ გამოჰყურებდა თვისტომთ თუ თავის პერსონაჟს დაცინვით თუ თავმომწონედ, ეს რას დამგვანებიხართ, ასე როგორ წამხდარხართო.

არც ი. ჭავჭავაძე დგას განზე, არ გამიჯვნია თავის პერსონაჟს თუ მის სახეში ნაგულისხმევ ადამიანებს.

მართალია თვითონ არსად ჩაუწერიათ და მემუარებშიც არავის შემოუნახავს ან ერთის ფრაზა ან მეორის, მაგრამ ზეპირად კი ბრუნავდა და მათი გავრცელება ისეთ პიროვნებათა სახელებს უკავშირდებოდა, როგორიცაა თედო სახოკია, გერონტი ქიქოძე თუ პავლე ინგოროყვა და, მაინც, როგორ უნდა დავიჯეროთ გადმოცემათა უტყუარობა, ცხადია, არც იმისი გაუთვალისწინებლობა გვარგებს, რომ აღნიშნული გაიგივება ორივე მწერლისათვის შესაძლოა თავდაცვის ხერხი იყოს, ძნელია ლაფის სროლას რომ დაგწამებენ და არც „გიჟის“ დამახეზას მოერიდებიან, ძნელია როცა გამუნათებენ – ეს რა გვიყავითო, ამიტომაც ამ ხერხს მოიშველიებდნენ: საკუთარი თავი გამოვხატეთო და აბა, საკუთარ თავს თუ არ მოერიდებოდნენ და ასე მწარე თვითგვემას მისცემოდნენ, სხვებს რატომღა უნდა სწყენოდათ თუ ლუარსაბსა, თუ თეიმურაზსა, თუ აპოლონში თავიაანთ ანარეკლსაც მოკრავდნენ თვალს.

უნიათოა ლუარსაბი, უნიათოა თეიმურაზი, აპოლონიც უნიათოა, იმდენად უნიათო, რომ მისი საქმეების წარმმართველად მწერალს ქალის გავლენა, მისი მეუღლის სახე დაჭირდა, ხაზი რომ გაესვა აპოლონის უმოქმედობისათვის.

მსგავსი თვისებების, თუმცა გარკვეულწილად განსხვავებული ხასიათის გმირები დგანან ჩვენს წინ. ლუარსაბი – წიგნის ფუნქციას რომ ვერ მიმხვდარა, სკოლას ეშმაკის გამოგონილს რომ ეძახის, თეიმურაზი – წიგნის ჭია, წიგნის მატლი, ქაჩალი თაგვი, განათლებული ქათამი, ნაკაცარი, პროფესიით ვექილი – საქმეს ხალისით რომ იღებს და ბოლომდე რომ არასოდეს მიჰყავს და აპოლონი – რომელსაც წიგნი

უამრავი, კაბინეტი კეთილმოწყობილი აქვს, მაგრამ მის შემთხვევაში წიგნს აქსესუარის ფუნქცია შეუძენია.

ლუარსაბი განსაკუთრებული უგემოვნობის კასკადია, ეს კარგად ჩანს მისი სახლ-კარის აღწერაში, მისთვის ელემენტარული, ყოველდღიური კომფორტული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პროგრესიც კი არსად ჩანს. დაიბადა იმიტომ, რომ ჭამოს და მოკვდეს, მაშინ როდესაც კომფორტისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძვის აპოლონი, იბრძვის არა თავისით, არამედ ცოლის მითითებით, მაგრამ აქ პროგრესის ნიშნები შეიმჩნევა, სულ სხვა საკითხია რამდენად სწორად ფიქრობს და მოქმედებს არა აპოლონი, არამედ სალომე, მაგრამ მოქმედებს იმ ცხოვრების შესაფერისად, იმ მოთხოვნების საპასუხოდ, რომელნიც მაში იყო უპირველესი და მნიშვნელოვანი.

უმოქმედო, ჭია თეიმურაზიც ცდილობს, თითქოს, თავისი ადგილის დამკვიდრებას, თითქოს წინ წაწევას ცდილობს, მაგრამ უნიათობა არ აძლევს საშუალებას.

მათ შორის რომელი უარესია და რომელი უკეთესი, ეს არც თუ ისე ადვილად სარკვევი თემაა, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ იქიდან გამომდინარე, რომ ლუარსაბისა და დარეჯანის გამრავლება საჭიროდ არ ჩათვალა მწერალმა, მაშინ როდესაც მარგოს შეეძინა შვილი ჯაყოსთან, რომელიც ბედის ირონიით თეიმურაზის გვარს ატარებს. როგორც ჩანს ჯაყოიზმი და ჯაყოს შვილი უფრო მეტის მომცემია, უფრო საჭირო, ვიდრე თეიმურაზისა. ოღონდ ეს იმის ფონზე რომ ლუარსაბის განვითარება არავის ფონზე არ არის საჭირო და აპოლონი და სალომე, რომელთა შვილი აფსოლიტური გამართლებაა და გამართლებასთა ერთად გამოსწორების შანსიც მშობლების არასწორი ცხოვრების დეტალებისაგან, ვინაიდან მათი შვილი გივი ანტიპოდია მშობლებისა, იგი არის პროგრესის ყველაზე ნათელი მაგალითი, პროგრესისა, რომელმაც აუცილებლად მძაფრად უნდა იჩინოს თავი ჩვენს საუკუნეში, ჩვენს ცნობიერებაში.

ვფიქრობ, რომ ის, რაც ი. ჭავჭავაძემ დაიწყო, საზოგადოების მანკიერ მხარეებზე საუბარი, გაგრძელებულია მ. ჯავახიშვილთან და განსაკუთრებით მტკივნეულად, იმდენად რამდენადაც პრობლემის მოგვარების გარდამავალი საფეხური მგონია ჯაყოს ხიზნები ი. ჭავჭავაძესა და ო. ჩხეიძეს შორის. ო. ჩხეიძე პრობლემის მოგვარების კლასიკურ მაგალითს გვაძლევს. გამოსავალი მან შვილში იპოვა, რომელიც აზროვნებს და ფიქრობს ისე , რომელიც არის ვფიქრობ, უპირველესი მაგალითი ხსნისა.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1985;
2. ჯავახიშვილი მ., მოთხრობები, თბ., 1924;
3. ჩხეიძე ო., ბურუსი, თბ., 2011;
4. ჩხეიძე რ., ნიკოლოზ ბარათაშვილიდან ლუარსაბ თათქარიძემდე, თბ., 2005;
5. http://burusi.wordpress.com/2009/11/06/rostom-chkheidze/

გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია

მარიამი ხარიბეგაშვილი, მანონი ელიზბარაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **მარინა ცერცვაძე,** სრული პროფესორი

ორი დიდი შემოქმედი, გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია იყვნენ ის ბუმბერაზი ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე იგემეს საბჭოთა ხელისუფლების მკაცრი რეჟიმი. როგორც ვიცით, გრიგოლ რობაქიძე 1931 წელს, სერგო ორჯონიკიძის დახმარებით, ერთი წლით მივლინებით მიემგზავრება გერმანიაში, ემიგრაციაში რჩება და საქართველოში აღარ ბრუნდება. კონსტანტინე გამსახურდია კი აქტიურ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, იგი არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული. მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მკაცრი და კრიტიკული გამოსვლის შემდეგ, მას ვ. ბახტაძემ შინაური ემიგრანტი უწოდა.

მართალია, ორივე მწარედ განიცდიდა თავიანთი სამშობლოს ბედს და ერთი მიზანი ჰქონდათ, რომ საქართველო ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა, მაგრამ მათ გააჩნდათ სხვადასხვა მოსაზრებები და ამიტომაც ერთმანეთს ხშირად აკრიტიკებდნენ, თუმცა არაერთი ფაქტი მეტყველებს მათი ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობაზე.

ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ მათი ურთიერთობის დეტალები.

უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა გრ. რობაქიძის წერილი, სათაურით „გულნადები“. მისი ადრესატები ქართველი მწერლები და მეცნიერები არიან. საოცრად თბილმა ბარათმა სხვა უამრავთან ერთად, ერთი საგულისხმო ფაქტიც შემოუნახა ლიტერატურის ისტორიას და შთამომავლობას. „სამი თვის წინათ, - წერს რობაქიძე, - ერთი ამბავი მაცნობეს პარიზიდან. ოლია თავაძეს, ყოფილ წევრს საქართველოს მთავრობისა, ეამბნა, როცა ბერლინი 1945 წელს საბჭოთა ჯარის მიერ ალყაშემორტყმული, ცეცხლის ქვეშ ნადგურდებოდა, მოვარდა ჩვენთან, მთავრობის სასახლეში, ერთი ჯგუფი მწერალთა კონსტანტინე გამსახურდიას მეთაურობით - თხოვნით: რაიმე ზომები მიგვეღო გრ. რობაქიძისა და მ. წერეთლის, რომელნიც მაშინ ბერლინში ეგულებოდათ, გადასარჩენად.

მრავალი შემთხვევა განმიცდია ნეტარი წუთით, ხოლო ასეთი სიმძაფრით არა, ასეთი რამ დიდ კარდჰუს სამფლობელოში თუა შესაძლო. მრავალი ცრემლი დავღვარე, ცრემლი ნეტარების. ეხლაც შერხეული ვარ, ვიგონებ რა ამ ამბავს, გამოუცხადო მადლობა ამ მწერალს? ეს ემსგავსებოდა - მადლობა გამომეთქვა მღვდელმთავრისადმი ზიარებისათვის“. [2, 100]

ამ პატარა ნაწყვეტიდანაც კარგად ჩანს მათი კეთილგანწყობა ერთმანეთისადმი. კეერძოდ, თუ როგორ ზრუნავს კ. გამსახურდია გრ. რობაქიძეზე.

ქართული კულტურის, კერძოდ, თეატრის განახლების პრობლემა დიდი საზრუნავი იყო 20-იანი წლების დასაწყისში. ამ მიზნით ზოგიერთს მიზანშეწონილად მიაჩნდა საქართველოში დაებრუნებინათ რუსეთში მოღვაწე ქართველები, ზოგიერთი პირიქით: კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ამისა. 1922 წელს „ლომისის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა კონსტანტინე გამსახურდიას სტატია - „ჩვენი კულტურ-პოლიტიკა“. ავტორი უარყოფითად უყურებდა რუსეთში მოღვაწე ქართველების სამშობლოში დაბრუნებას. მათ გარუსებულად თვლიდა. მიაჩნდა, ქართულ კულტურას ვერაფერს შესძენენ, ზიანი კი შეიძლება მოუტანონო. კ. გამსახურდიამ ცისფერყანწელებსაც გაჰკრა კბილი: მეტისმეტად ელაქუცებიანო რუსეთს. არც გრ. რობაქიძე დაინდო. დაუწუნა - ზოგჯერ რუსულად რომ წერდა და ლექციებსაც რუსულად კითხულობდა.

გრ. რობაქიძემ მაშინვე, 1922 წლის 9 ოქტომბერს, გაუგზავნა ბარათი კოტე მაყაშვილს, როგორც მწერალთა კავშირის თავკაცს. ამ წერილს თავად ავტორი „ისტორიულ დოკუმენტს“ უწოდებს.

„ძვირფასო კოტე!

„ლომისის“ მეექვსე ნომერში ჩემი სახელი ცუდად არის ნახსენები. წერილის ავტორს მე არ ვპასუხობ. მას არც ისეთი რამ დაუწერია ან უთქვამს საერთოდ, რაც „მეტად“ მისაღებია ქართული შემოქმედების დარგში; და არც ისეთი რამ დაუწერია, რაიც იწვევს სასტიკ გალაშქრებას. არსად ლიტერატურაში მე მისი სახელი არ მიხსენებია: არც ავად, არც კარგად, თვითონ კი 1917 წლიდან მოკიდებულ სიტყვას ისე ვერ იტყვის, რომ ჩემი სახელი არ ახსენოს და თანვე ცუდათ... თვითონ მისტიკოსს უწოდებს თავისთავს, და თუ მისტიკურად ჩახედავს თავის ბუნებას, ამას უთუოდ შეიცნობს. მე ძვირად შემხვედრია ქართველი, რომელსაც მის ხსენებაზე ოდნავ დამცინავი იერით არ გაეღიმოს. მე ვაფასებ არა - „ჩემიანსაც“ და თავდაჭერილად ვუცქერ ხოლმე მის ხსენებაზე. თვითონაც კი პირადი რაღაც გრძნობა ლიტერატურაშიც გადააქვს“. [1, 148]

ამ მკაცრი საპასუხო წერილის მიუხედავად გრ. რობაქიძე საკმაოდ დადებითად განიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“ შემდეგი სიტყვებით:

„დიდი ინტერესით წავიკითხე რომანი კონსტანტინე გამსახურდიასი „დავით აღმაშნებელი“, წიგნი პირველი. ავტორს დიდი შრომა გაუწევია: სჩანს, ზედმიწევნით შეუსწავლია ისტორიული წყაროები. სტილი აღებული ეპოქისა სიუხვითაა რომანში გადმოშლილი. თუ როგორაა განფენილი რომანი ხელოვნურად, ამის განხილვა საგანგებო წერილს მოითხოვს. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ერთ დეტალს. ფართოდ გაშლილ ისტორიულ გარემოში დავითი იზრდება ნელინელ, ივსება ძალით, მტკიცდება. ეს სიძნელე, ფრიად მნიშვნელოვანი ყოველი მხრიდან, რომანში ძალიან მარჯვედაა გაყვანილი. ავტორი გვპირდება კიდევ ორ წიგნს. ვუსურვოთ გამარჯვება“. [3, 87]

მიუხედავად ამ მონაკვეთის დადებითად შეფასებისა, მას აქვს საწინააღმდეგო აზრი კ. გამსახურდიას ტრილოგიისა სტალინზე, იგი წერს, რომ: „ეს წიგნი ლიტერატურულად უმნიშვნელოა, მასზე ლაპარაკიც არ ღირს, როგორც გადმოგვცემს იგი მმართველ წრეებში ცივად მიუღიათ. აქ მხოლოდ ერთი ფრიად საგულისხმო საკითხი იბადება: როგორ მოხდა, რომ ავტორმა შეძლო XI საუკუნის დამდეგს არშაკიძის ცხოვრების ასე თუ ისე მხატვრულად გადმოცემა და ვერ შეძლო იმ კაცის პიროვნების ხელოვნური განსხვავება, რომელიც აი ეხლა, ჩვენს დროში ცხოვრობს. ეგებ „თვალთმაქცობდა“ იგი, როცა ამ წიგნს სწერდა? არა. მე დარწმუნებული ვარ: იგი გულით იყო მოწოდებული სწვდომოდა მხატვრულად აღებულ საგანს. ვერ მოახერხა? ეს მხოლოდ იმის გამო, რომ აქ მას თუმცა „გულწრფელს“ აკლდა „ნამდვილობა“. [3, 87]

გრიგოლ რობაქიძე თვალს ადევნებს საბჭოეთში მიმდინარე სალიტერატურო პროცესს და ხედავს, რომ ერთ დროს მისი თანამოაზრე მწერლები გიორგი ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვა, ახლა თავგამოდებით ემსახურებიან საბჭოეთს. იმოწმებს რა სიმონ ჩიქოვანის მიერ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილს, მწერალს აწუხებს ის ფაქტი, რომ ისინი არა მარტო წერენ, არამედ თითოეულ მათგანს რომ შეეკითხო „ამასვე იტყვიან“. საუბედუროდ ამის თქმისას ისინი არიან გულწრფელნი, მაგრამ არა „ნამდვილი“. სწორედ ეს არის გაოცების თავიდათავი, როგორ არიან ისინი „გულწრფელი და არანამდვილი ერთსა და იმავე დროს?“. თუმცა, თუ ჩავუღრმავდებით მის რომანს „ჩაკლული სული“, სწორედ ამ საოცარი პროცესის მხატვრული გადმოცემაა ქართულ მწერლობაში, სადაც მიდის „შინაგანი ნამდვილობის“ დარღვევა. ეს ურთულესი პროცესია. მწერალი მოკლედ მიმოიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებს, ვიდრე გააკრიტიკებს მწერლის შემოქმედებას, ცდილობს იპოვოს ის „დათმობები“, რომლეზეც კ. გამსახურდია მიდის იძულებით და რომელიც აზიანებს მხატვრულ ნაწარმოებს. გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნია - ამ დათმობებით საქმე იქამდე მიდის, რომ თუ რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ „ქართველთ განცდაში და შეგნებაში სვეტის გარდამქმნელი ძალა გააჩნდა, როგორც სასწაულმოქმედი ხატი - ეს ხატი რომანში შეგნებულია და ყველაფერი არის შედეგი „დათმობებისა“ გამსახურდიასი, იმ გამსახურდიასი, რომელიც ერთ დროს მისტიკოსად და მორწმუნედ თვლიდა თავის თავს“. [3, 82] რომანი კარგია, მაგრამ ერთი წვეთი „დათმობისა“ ემსგავსება იმ საწამლავს, რომლითაც მოიწამლა რომანიც და მისი ავტორიც. და ეს „დათმობა“ კი ბრალია „საბჭოური ატმოსფეროსი“.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ხდება შინაგანი ნამდვილობის დარღვევა, იგი მაგალითისათვის იღებს მის რომანს „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“, რომელშიც ქართველ ტყვეთა გადმოცემით, თვალსაჩინო გამარჯვება რგებია საქართველოში, რომლის ღერძი კონსტანტინე არშაკიძის ცხოვრებაა, რომელმაც ააშენა „სვეტიცხოველი“, მცხეთის ტაძარი, კათალიკოს მელქისედეკის დროს, დაახლოებით 1020 წელს. სვეტიცხოველი ვიცი უფრო ძველია, არშაკიძემ მისცა მას მხოლოდ ის ფორმა, რომლითაც ახლა ჩვენ გვევლინება. მხატვრულ ნაწარმოებს მსჯავრი რომ დასდო საბოლოოდ, ამისათვის საჭიროა მისი ორჯერ წაკითხვა მაინც, აქ მხოლოდ ჩემს პირველ შთაბეჭდილებას გავაცნობ მკითხველს: 1) ეპიურ ნაწარმოებში „მთელი ისე უნდა სჩანდეს, როგორც კამარა მოვლებული განფენილი ლანდშაფტის; ამ რომანში კი დეტალები ნთქავენ მთელს. 2) ისტორიული რომანი მეცნიერული კვლევა არაა, ცხადია, იქ არყოფილსაც აქვს ადგილი. ხშირად სწორედ ამას, ხოლო არყოფილი ისე უნდა იყოს აქ გადმოცემული, თითოს იგი მართლაც ყოფილიყოს. გამსახურდიას რომანში კი მრავალი სცენები „ზღაპრობის“ შთაბეჭდილებას ტოვებს. 3) რომანში ყოველი ამბავი ცოცხლად უნდა იყოს თხრობილი ეს თავისთავად ცხადია, ხოლო იქ, სადაც მოთხრობილია საუკუნეებში გადასული ამბავი, ეს „ცოცხალი თხრობა“ ასე ვთქვათ, შორეთიდან უნდა ჰქონდეს, აქ კი ხშირად ისეა ამბავი თხრობილი, თითქოს იგი გუშინ მომხდარიყო. 4) მეორე ნახევარი რომანისა იმპრესიონისტულ-ფელეტონისტურად არის გაშლილი, რის გამო თხრობა ჰკარგავს ეპიურ, ნელ განფენილობას, ეს რომანი უფრო უკეთესია, ვიდრე „დიონისოს ღიმილი“. [3, 11]

მიუხედავად ამ მკაცრი კრიტიკისა, მათ მაინც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგალითისათვის ავიღოთ, როდესაც გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა ჟენევაში 1962 წლის 19 ნოემბერს და როდესაც საქართველოში ჩამოვიდა მისი გარდაცვალების ამბავი კ. გამსახურდიას გადაუწყვეტია სვეტიცხოველში პარაკლისი გადაეხადა განსვენებულისათვის, თითქმის ყველა გამოჩენილი პიროვნება მოუწვევია, სასულიერო პირსაც შეთანხმებია და რიტუალის აღსრულების დღეც დაუნიშნავს, პარაკლისიც გადაუხდია. ერთი შენიშვნა მხოლოდ - რიტუალს სულ ორი კაცი ესწრებოდა: ერთი იგი, ვინც ლოცვას აღავლენდა და მეორე - ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, სხვა ვერავინ გაბედა მისვლა.

ვფიქრობთ, გრ. რობაქიძე და კ. გამსახურდია იყვნენ ორი უდიდესი შემოქმედი, რომელთაც დაგვიტოვეს უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ჩვენ შევეცადეთ განგვეხილა მათი ურთიერთობის რამოდენიმე დეტალი, საიდანაც ნათლად ჩანს მათი ადამიანური ღირსებები, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ნიჭსა და შემოქმედებით უნარზე.

ეს მწერლები არ იყვნენ ორდინალური მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში, მათი შეფასება ღირებულებათა გადაფასებას მოითხოვს. მათი ღვთისგან მონიჭებული მშვენიერი შემოქმედება გადაიქცა ვითარცა საბოლოო სახე ქართული ლიტერატურისა, რომელმაც სათანადო და ჯეროვანი ადგილი დაიკავა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში, მიაჩნია გურამ შარაძეს.

ლიტერატურა:

1. ბაქრაძე აკაკი, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, „ლომისი“, თბ., 1999;
2. ნიშნიანიძე რუსუდანი, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., „ლომისი“, 2000;

3. გრიგოლ რობაქიძის კრებული, მიუნხენი, კარლო ინასარიძის გამოცემა, 1957;
4. შარაძე გურამი, უცხოეთის ცის ქვეშ, თბილისი, „მერანი“, 1991.

ი ს ტ ო რ ი ა

სოფლის მეურნეობის ტრადიციები შიდა ქართლში ხიდისთავის მაგალითზე

ნინო ამბრიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი

ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი ეკავა. ისტორიული საბუთებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა.

ამ მხრივ, შიდა ქართლში წამყვანი ქალაქი გორი იყო. იმ დროინდელ გორელებს მრავლად ჰქონიათ ბაღ-ვენახები, ბოსტნები, ჰყოლიათ პირუტყვი და სხვა. სოფლის მეურნეობას დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა XIX საუკუნეშიც.

ძნელად თუ მოიძებნებოდა ისეთი ოჯახი, რომელიც მთლიანად მოწყვეტილი ყოფილიყო სოფლის მეურნეობას[1].

ნაყოფიერი მიწებისა და ხელსაყრელი მდებარეობის გამო, ქალაქის მცხოვრებლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სოფ. ხიდისთავთან.

„თითქმის ყოველ მოსახლეს აქვს ბაღი და ბოსტანი ქალაქში, მის გარეთ ან მეზობელ სოფლად. მაგალითად, გორიდან 2 ვერსით დაშორებული სოფელ ხიდისთავის ბაღების ¾ გორელებს ეკუთვნის. მცხოვრებთა შეძლება განისაზღვრება მისი კუთვნილი ბაღების რაოდენობით და ხარისხით. თუ ახალგაზრდა კაცს საკუთარი ბაღი არ გააჩნია, ცუდ სასიძოდ ითვლება, წერდა ალექსანდრე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1886 წელს [2].

სწორედ ნაყოფიერი მიწა აძლევდა ადგილობრივ გლეხკაცობას უამრავი გადასახადის გადახდისა და წვრილ-შვილის გამოკვების საშუალებას.

გადასახადები გაწერილი იყო უცხოელი დამპყრობლების სასარგებლოდაც. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ხიდისთაველები იხდიდნენ 130 ქილა ხორბალს, 90 ქილა ქერს, 30 ქილა ჭვავს, 40 ქილა ფეტვს და ა. შ. მათვე ჰქონდათ დამპყრობლების სასარგებლოდ შეწერილი გადასახადი: ერბოზე, ცხვარზე, სკაზე, წისქვილზე და სხვა [3].

მაზრის მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარ წყაროს ვენახი შეადგენდა. ასეთ ადგილთა რიცხვს ეკუთვნოდა: ატენის ხეობა, სოფლები: ხიდისთვი, მეტეხი, ძეგვი და ა.შ...

ვენახების ფართობი წასული საუკუნის ბოლოსათვის ხიდისთავში 1700,54 დესეტინას შეადგენდა, რაც მაზრის ვენახების 35% იყო. ვენახების დიდი ნაწილი ხიდისთავისა და მეჯვრისხევის უბნებში შემავალ სოფლებზე შედიოდა[4].

“ხიდისთაური ღვინო” და “ხიდისთაური ატამი”, ძველთაგან მთელი საქართველოს მასშტაბით სოფლის სავიზიტო ბარათი იყო.

ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია:

“ხიდისთაური ყურძენი ჩავკრიფეთ კალათაშია,
მისგან დამთვრალი ბიჭები ვეღარ გასულან კარშია.”

XIX საუკუნის II ნახევრიდან ღვინის გატანა უცხოეთსა და რუსეთში რეგულარულ ხასიათს ღებულობს, რასაც ძლიერ შეუწყო ხელი რკინიგზის გაყვანამ ამიერკავკასიაში და ამ გზით რუსეთთან დაკავშირებამ[5].

“ამ სოფლის ღვინო განთქმულია მთელ ქართლში და კარგ ფასშიც იყიდება. სხვა სოფლებში რომ კოკა ტკბილი ოთხ-ხუთ მანეთათ იყოს, აქ შვიდი-რვა მანეთია ხოლმე. ხილეულობასაც კარგი

გასავალი აქვს და აქაურები ერთ ატამსაც არ გააფუჭებენ, რომ ფასი არ აიღონო", აღნიშნავდა "ივერია" 1886 წელს[6].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვენახიც მთელი გორის მაზრაში ყველაზე ძვირი სწორედ ხიდისთავის უბანზე ღირდა, მაგ.: XIX ს-ის 90-იან წლებში დესეტინა ვენახი ატენში ღირებულა 4000 მან., ხიდისთავში 3000 მან., იგივე ფართის ვენახი გორში ღირდა 2500 მან., სურამში - 1000 მან., ქვიშხეთში - 900 მან. და ა.შ.[7]

გარდა ადგილობრივი მემამულეებისა, ხიდისთავში ვენახების საგრძნობ ნაწილს ფლობდნენ გორელი მოქალაქეებიც. მაგ. დიმიტრი ქიტიაშვილს 8,5 დესეტინა ბაღ-ვენახი (დაახლ. 9, 2 ჰ.) ჰქონია, მასვე ეკუთვნოდა ორთვლიანი წყლის წისქვილი და სამჭედლო. ხიდისთავშივე ჰქონიათ საკუთარ მიწაზე მოწყობილი სამთვლიანი წისქვილი გორის მაცხოვრებლებს - ზაქარია და გიორგი როლანოვებს[8]. დიდი ფართობების მფლობელები იყვნენ ნიკოლოზ სტეფანოვი (3 დესეტინა), ივანე და ლევან ოქუაშვილები (1,75 დეს.) და სხვა[9].

ხიდისთავში ვენახის ფასისა და XIX საუკუნის შუახანებში მოსახლეობის დადგენის თვალსაზრისით საინტერესოა 1851 წლის 1 მაისით დათარიღებული სიგელი[10], რომლის მიხედვით ხიდისთაველ სვიმონა ამილბარაშვილს (სიგელშია – ამლიბარაშვილს – ს. ა.), შვილებით: სოლომონით, ივანეთი, ბესარიონითა და ზაქარიათი, ასევე ხიდისთაველ – ნიკოლოზ სამადაშვილისა და მისი შვილების: ილიკოს, რაჟდენისა და პეტრესათვის, მიუყიდავთ ერთი დღის ვენახი ორმოც თუმნად.

საბუთის მიხედვით, სამადაშვილი ნაყიდი ქონების სრულუფლებიანი მესაკუთრე ხდება. მას შეუძლია იგი გაყიდოს, გამზითვოს და სხვ.

გარდა გამყიდველ-მყიდველისა, საბუთში მოხსენიებულნი არიან გაყიდული ვენახის მოსაზღვრე ხიდისთაველები: გიორგი ტლაშაძე, ქიტესა კოვზიაშვილი, გიორგი ალექსიშვილი, ლაშქარაშვილი.

ნასყიდობის აქტს ემოწმებიან: სოსია კარიჭაშვილი, გიორგი კოშორიძე, ბერუა ლაშქარაშვილი, გიგოლა კურნაძე, სვიმონ ოქრუაშვილი (შესაძლოა, ოქუაშვილი – ნ. ა.), ანდრია მუკნიაშვილი, თევდორე ქიტიაშვილი.

სახელმწიფო მოხელეები: დავით ლუკაშვილი და ბეჟან ტლაშაძე. საბუთის დამწერია სვიმონ ჭეჭელაშვილი (საბუთშია ჭეჭელოვი – ს. ა.).

გაყიდულ ვენახს მხოლოდ აღმოსავლეთით ესაზღვრება კალო-საბძლები და ურწყავი მიწები. დანარჩენი სამი მხრიდან ზემოთ დასახელებულ პირთა ვენახებითაა გარშემორტყმული.

საბუთიდანვე ვიგებთ, რომ სვიმონა ამილბარაშვილს ეს მიწა "მამა-პაპიდგან სიგლით ნასყიდი" ჰქონია, ანუ, იგი ძირძველი ხიდისთაველი ჩანს.

აღსანიშნავია, რომ სიგელში ერთი და იგივე გვარები ორგვარი (როგორც ქართული, ისე – რუსული) დაბოლოებებით გვხვდება, მაგ. ამლიბაროვი-ამლიბარაშვილი; ტლაშაძე-ტლაშაძოვი, რაც დამწერის რუსულ გავლენაზე მიუთითებს.

თუ საბუთში ნახსენები მიწის გეოგრაფიას დავეყრდნობით, შესაძლებელია გაყიდული მამულის მიახლოებითი საზღვრების დადგენა. ხიდისთავში ურწყავი მიწები, ისიც აღმოსავლეთით, მხოლოდ ზედაველას შემაღლებულ კალთებზე უნდა მოვიაზროთ.

როგორც ვხედავთ, გაყიდულ ვენახს დანარჩენი სამი მხრიდან ვენახები აკრავს, რაც ხიდისთაველების ვაზის სიყვარულისა და მისი სიუხვით უნდა აიხსნას.

ხიდისთაველები გორის სიახლოვით სარგებლობდნენ და მოწეულ ხილსა და ბოსტნეულს რკინიგზის სადგურზე ასაღებდნენ. აქაურ ღვინოს კი უფრო შორეული მომხმარებელიც ჰყავდა და ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ღვინო გაჰქონდათ გასაყიდად ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში და სხვა[11].

დაიწყებოდა თუ არა რთველი, სოფელი ახალი ენერგიით იწყებდა ცხოვრებას. "რთვლის გამო, ძალიან ფაცი-ფუცში არიან სომხობა თუ ქართველობა ამ ხიდისთავში. ზოგნი რუმბებით მორბიან გორითგან, ზოგნი ფაეტონებით მოწვეულნი სტუმრები, ზოგნი მუშას მოარბენინებენ საკრეფ-საწურადო", მიუთითებდა „დროება"[12]

სოფელში კეთილმოწყობილი ბაღები ჰქონიათ დღ. "ჩეკი ბაღის" ტერიტორიაზე, სადაც დაქირავებულ შრომასაც მიმართავდნენ, ზოგიერთი მათგანი უფრო შორსაც მიდიოდა და წარმატებით აწარმოებდა ცდებს ხილის კონსერვის დამზადების მიზნით.

სამწუხაროდ, ბუნება ხშირად არ სწყალობდა აქაურ გლეხკაცს.

1884 წლის გაზაფხულზე მდ. ტანის ორივე ნაპირზე მდებარე ვენახები რთვილს "სულ ერთიანად გაუფუჭებია"[13].

1887 წელს გლეხობას მოსავალზე ხელი სეტყვისა და ნაცრის გამო აუღია[14], 1898 წელს ყინვას განსაკუთრებით მტკვრის ახლო წაუხდენია ვენახები[15]. "ცნობის ფურცელის" 1903 წლის ერთი ნომრიდან ვიგებთ, რომ ხიდისთაველებს წინა წელსაც (1902 წ.) მოსავალზე რთვილმა ააღებინა ხელი, რის გამოც "ბევრმა ვალი დაიდო".

1903 წლის გაზაფხულზე სოფელში მოსავალს კარგი პირი უჩანდა, რის გამოც სამღთოც კი გადაუხდიათ, მაგრამ ხშირმა წვიმიანმა ამინდებმა ახალი დაავადება - "მილდიუ" გააჩინა, რომელიც ვენახებს სწრაფად მოედო და გაახმო. მხოლოდ ორჯერ მოწამლული ვენახები გადარჩენილან, რასაც ხიდისთაველები "წამლის უტყუარ სარგებლობაში" დაურწმუნებია.

ამავე წელს ხიდისთავში გაუშენებიათ ამერიკული ვაზის ნამყენი, რომელსაც კარგად უგვარია და ბევრსაც გამოუთქვამს მისი გაშენების სურვილი[16]

იშვიათი არ იყო გვალვებიც. 1890 წლის ზაფხულში მდინარეების დაშრობის გამო, წისქვილებს მუშაობა შეუწყვეტიათ და მოსახლეობა იძულებული გამხდარა საფქვავი გორში წაეღო. "ვენახები, ეს ერთადერთი სახსარი ცხოვრებისა, ლამის სულ დაგვიხმეს მოურწყავობით, სიმინდებიც გახმება, თუ ასე გასტანა. იმ ცოტაოდენს წყალზედაც, რომლებიც რუებში ძლივს-ღა მოწანწკარებს, გლეხებს ერთი დავიდარაბა აქვთ და ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევენო", ჩიოდნენ ხიდისთაველები[17] უწყლოობის გამო, "საგუბრებზე" წარმოშობილა დავა ხიდისთაველებს, სოფელში მიწების მფლობელ რამდენიმე გორელს, მღვდელ ტერ-სტეფანოვსა და ცნობილ დრამატურგ, ხიდისთავში მცხოვრებ გიორგი ერისთავს შორის. დავა ხუთ თვეს გაგრძელებულა და სასამართლოთი დასრულებულა. თუმცა, მოსამართლის განაჩენს: "საგუბრები დარჩეს, როგორც დღემდე ყოფილა, მხოლოდ დაგუბება შესწყვიტონ სამ თვეს: ივნისს, ივლისს და აგვისტოს", ორივე მხარის უკმაყოფილება მოჰყოლია [18].

მოსახლეობა ღვინის გარდა, ტრადიციულად არაყის გამოხდასაც მისდევდა, მით უფრო ხიდისთავში, სადაც ჭაჭის დიდი რაოდენობა ყოველთვის ჰქონდათ, მაგრამ არაყის გამოხდაზე მთავრობამ 1893 წელს სააქციზო გადასახადი შემოიღო, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა არაყის ხდა. მაგ. გორის მაზრაში 1893 წელს 341 არაყის სახდელი სარეწიდან ერთი წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 110-ით შემცირდა[19], თუმცა გაჭირვება აიძულებდა გლეხკაცობას არაყის ხდა ჩუმად ეწარმოებინა, რასაც შედეგი ყოველთვის ვერ მოჰქონდა. "ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ჩუმათ არყის ხდა, მაგრამ ასწრობენ აქციზები და ერთი ათად ახდევინებენო", წერდა "ცნობის ფურცელი" ხიდისთაველებზე და ხელისუფლებას გამოსავალსაც სთავაზობდა: "უფრო კარგი იქნებოდა ყველას ვენახები დაეზომათ, გადასახადი დაედოთ და ამის მერე ნება მიეცათ ჭაჭის უგადასახადოდ გამოხდისო"[20]

1868 წელს ხიდისთაველებს "გორის უეზდის" ხაზინაში გადასახადის სახით შეუტანიათ 147 თუმანი, სამი მანეთი და ხუთი შაური. გარდა ამისა "ლაღოდალის" (?) მილიციისთვის მოკრეფილა 6 თუმანი, გასულა ურმების ბეგარა და თავკაცათ მუშა.

ამავე წლისათვის სოფელში ყოფილა შემდეგი დაწესებულებები, საწარმოები და ზვრები: "ტამოჟნის პოსტი, რუსული ჩარხისა და ქართული წისქვილები, ცამეტი მიკიტნის დუქნები, ერთი ფურნე, სახაბაზო ხუთი ოტკის ზაოდი, ას ოცი დღისა მეტი ყურძნის ვენახები ხეხილიანი, აქ ღვინოები ისყიდება ტკბილი ყოველთვის ხუთ მანეთათ კოკა (წონის ძველებური ქართული ერთეული,უდრიდა დაახლ. 40 კგ-ს), კიდევ მეტად და არა ნაკლებ, ეგრეთვე ღვინო ექვსიდამ ერთ თუმნამდინ[21]

1867 წელს სოფლის გლეხთა საზოგადოებას შეუკრებია ფული და გადაუწყვეტია "გაიხსნას საზოგადო მაღაზია პურისა და ღვინის მარანი მოსახმარისად ჭირსა და ლხინში, როდესაც გლეხკაცს ამათგანს ვისმეს მიადგეს უბედურება ხელმოკლეობაში"[22]

ადგილი ჰქონდა მევახშეობასაც.

"ივერიის" ცნობით, 1890 წელს ხიდისთავში ჩარხის წისქვილის პატრონი ორი "თითო ფუთიანი ჩანახით" მუშაობდა, მაგრამ "ერთი სწორე ჩანახია (ორმოც გირვანქიანი), ხოლო მეორე ოთხი გირვანქით ნაკლებია პირველზე. როცა იმისგან ჭირნახულს ჰყიდულობს ვინმე, სწორი ჩანახით ურიგდება, სხვა შემთხვევაში პატარა ჩანახით ურწყავს", აზუსტებდა გაზეთის კორესპონდენტი [23].

1821 წლის 24 მაისს ხიდისთაველ ნიკოლოზ ჯომარდიძეს და მის ძმებს გიორგის და ივანეს მღვდელ იორდანე კარიჭაშვილისა და მისი შვილების - სიმონის, იოსებისა და გიგოსაგან, ვალად აუღიათ ოთხ თუმან ნახევარი თეთრი ფული. ჯომარდიძე პირობას დებს: "ამ ხსენებულმა თეთრმა რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, ამის სარგებლის გირაოთ მოგეცი ჩემი ალალი კოლოტას მიწა. თავს ისევ ჩემ მიწამდის, ბოლოს ხევის მიწამდინ, ორი თუმნის გირაოთ ფლატის მიწა, ორთუმან ნახევრის გირაოთ კოლოტა და როგორც ცარიელი მოგეცი, ისრე ცარიელი დავიხსნაო" [24]

გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხობა იძულებული ხდებოდა საუკეთესო მამულები გორელი ჩარჩ-ვაჭრებისათვის დაეთმო "წვრილ-წვრილ ნისიებში"[25] აღნიშნულის გამო, ხიდისთავში ალიხანოვებისა და ტერ-სტეფანოვების ხელში აღმოჩნდა ორმოცი დღიური ვენახი. თათუნოვებს ათი დღის ზვარი ჰქონიათ, თევზიაშვილებს 12 დღიურზე მეტი ვენახი, ასევე დიდ მამულებს ფლობდნენ დონდაროვები, ზაზუნოვები, ღამბაროვები, ხითაროვები და სხვ [26]

საუკუნის ბოლოს სოფელში სამრეწველო საწარმოებიც ამუშავდა. სოფლის დასავლეთით, თავად დავით ერისთავის მამულში, ინჟინერ ზაზემანს მოუწყია რკინიგზის შპალების გამჟღენთავი ქარხანა, რომელიც სახაზინო პალატის მიერ 70900 მანეთად ყოფილა შეფასებული.

ქარხანა ერთ სართულიანი, ქვისგან აგებული შენობა ყოფილა. პარამეტრებით: 38X11,5X5,5 (თანამედროვე გადაანგარიშებით - ს. ა.) და ორთქლის ძრავებზე მუშაობდა.

შენობას გვერდით მიდგმული ჰქონია კიდევ რამდენიმე სხვა შენობა. ხე-ტყის მოსაზიდად 20 ვერსის მანძილზე ტანის ხეობაში მდინარის გასწვრივ გაუყვანიათ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელსაც 144 ვაგონი და 3 ორთქმავალი ემსახურებოდა. XX ს-ის დასაწყისისათვის რკინიგზის სიგრძეს 34-35 ვერსისათვის (დაახლ. 37 კმ - ს. ა.)) მიუღწევია [27].

1890 წელს ხიდისთავში გავრცელებულა შავი ჭირის ეპიდემია, რასაც დიდძალი საქონელი უმსხვერპლია, სოფელში იმავდროულად ყვავილის ეპიდემიით სამი ბავშვი დაღუპულა [28].

1894 წელს ხიდისთავის უბანში იყო: 12 მედუქნე, 17 მეჩექმე და ხარაზი, 20 დურგალი, 25 ხურო, 4 ზეინკალი, 8 მეშუშე, 12 მჭედელი, 28 ნალბანდი, 3 მღებავი, 12 მეჩუქურთმე, 4 მეტყავე, 10 მექვაბე, 12 ვერცხლის ოსტატი, 32 დალაქი [29].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხიდისთავმა გორის მაზრაში წამყვანი სოფლის "სტატუსი" შეინარჩუნა. სოფელში ფუნქციონირებდა ხილისა და ხის გადამამუშავებელი, შამპანურის, აგურის ქარხნები. რაიონში ყველაზე მაღალი ხარისხის საშამპანურე ღვინო ატენელებთან ერთად, ისევ ხიდისთაველებს მოჰყავდათ, რისი დასტურიცაა 1948 წელს აშენებული ღვინის მარანი, რომელშიც 90 ქვევრი, საქაჯავი და საწნახელი და ჭაჭის შესანახი სათავსოები განთავსებული. ქვევრებიდან უმეტესობა 1200 ლიტრიანია. საწნახელი, სადაც კოლმეურნეობის მიერ მოყვანილი ყურძენი იწურებოდა, სიგრძით 7 მ, ხოლო სიგანით - 1,30 სმ-ია. დღეისათვის მარანი იდეალურ მდგომარეობაში არ არის, თუმცა მისი გამოყენება მაინც შეიძლება. საჭიროებს საფუძვლიან გაწმენდასა და რესტავრირებას.

2000 წელს იგი შესყიდულ იქნა სოფელ ხიდისთავში მცხოვრებ ნელი დაღელაშვილის მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დროს.

კიდევ უფრო ძველია ე.წ „კარიჭაანთ უბანში" მდებარე სახლის მარანი, რომელიც სავარაუდოდ აშენებული უნდა იყოს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მილიონერი სომეხი ვაჭრის, ალიხანოვის მიერ, რომელსაც დიდი ნავთობ სარეწები ჰქონია ბაქოში. შემდგომში ეს სახლი ამავე სოფლის მკვიდრმა - გიორგი ანდრიას ძე კარიჭაშვილმა 1914 წელს იჯარით აიღო, ხოლო 1917 წელს შეისყიდა.

ამ სახლის მარანში მოთავსებულია 15 ქვევრი, იგი ძველი ქართული აგურისაგან არის მოპირკეთებული, მათი საერთო ტევადობა შეადგენს 16000 ლიტრს. ყველაზე დიდი 27 კოკიანია, ხოლო პატარა-200 ლიტრიანი. მარანში იმ დროის არქიტექტურული სტილით აშენებული 2 ბუხარია, მას სიცივის დროს ანთებდნენ და ისე წურავდნენ ღვინოს. საწნახელის სიგრძე 5 მ-ია. გოდრები, რომლითაც ყურძენი შემოქონდათ დასაწურად, დღესაც ამ მარანშია ჭერში შეკიდული. სახლის დიდ ნაწილს შემორჩენილი აქვს პირვანდელი იერსახე, მსუბუქი კონსტრუქციის ქართული აგურით აშენებული კედლები.

დღემდე ფუნქციონირებს სოფელში წყლის წისქვილი, რომელიც დღეისათვის საქართველოში უკვე იშვიათობაა.

ლიტერატურა:

1. დ. გვრიტიშვილი. „გორის ისტორია" სახ. გამომცემლობა. 1954 წ. გვ. 125
2. „ირმის ნახტომი" . გაზეთი „გორის მოამბის" დამატება N2 (3), 1996 წ. გვ. 9
3. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გვ. 168-169
4. ი. უთურაშვილი. „გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში". საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1957 წ. გვ 130-131
5. იქვე, გვ. 67
6. გაზ. „ივერია" , 13. 08. 1887 წ. 167, გვ. 1
7. გაზ. „ივერია" , 17.10. 1887 წ. 217, გვ. 2
8. „დროება" , 27. 07. 1884 წ. 162

9. გაზ. „ივერია“ , 13. 08. 1887 წ., 167, გვ. 1
10. სიგელი ინახება ხიდისთაველ გიორგი სამადაშვილის ოჯახში
11. „ივერია” , 02. 09. 1890 წ. 187; გვ. 2-3
12. „დროება“ 05. 05. 1872 წ. 17, გვ. 4
13. „ცნობის ფურცელი“ , 20. 08. 1903 წ 2241, გვ. 4
14. ი. უთურაშვილი გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია... გვ. 82
15. ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“ 23. 07. 1868 წ. 21; გვ. 2
16. „დროება“ 07. 04. 1867 წ. 14, გვ. 3-4
17. „ივერია“ 02. 09. 1890 წ. 187, გვ. 2-3
18. დ. უჩანეიშვილი დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური (XVII-XIX ს.ს) ისტორიისათვის. თბ., 1967. დოკ. 206; გვ 188-189.
19. იქვე გვ.190.
20. ჟურნ. „ივერია“ , 1878 წ. 28; გვ. 2
21. ჟურნ. „ივერია“ , 1878 წ. 28; გვ. 2
22. გაზ. „ივერია“, 26. 04 1897 წ. 79; გვ. 1-2
23. ი. უთურაშვილი, გლეხობის კლასობრივი დიფერენცია 3-4
24. „ივერია“ 2. 09. 1890 წ. 187, გვ. 2-3
25. ი. უთურაშვილი, გლეხობის კლასობრივი დიფერენცია, გვ. 87
26. იქვე გვ 49
27. „ივერია“ 2. 09. 1890 წ. 187, გვ. 2-3
28. გაზ. „ივერია“, 26. 04 1897 წ. 79; გვ. 1-2
29. ი. უთურაშვილი. „გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში“. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბ., 1957 წ. გვ. 76

ერთმორწმუნეობის მითი

თეონა ბერიკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მზია რამიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

მსურს გესაუბროთ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ცნობილი მოვლენების გამო, იმაზე, თუ როგორი ურთიერთკავშირია პოლიტიკასა და რელიგიას შორის, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საღად მოაზროვნე ქრისტიანს ამ ყოველივეს მიმართ, რამდენად მოქმედებს რელიგიური, ერთმორწმუნეობის ფაქტორი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის დროს ან რამდენად ქმედითია ის მაშინ, როცა ესა თუ ის პატარა ქვეყანა გაჭირვებაშია.

ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან, სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ ბოლო 400 წლის მანძილზე საქართველოს, სხვადასხვა ეპოქის ხელისუფლებას ხშირად აბნევდა ის, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთი მართლმადიდებელია და არასწორი დასკვნების გამოტანისკენ უბიძგებდა. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამის ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში". ვფიქრობ, ისტორიკოსებმა, პოლიტიკოსებმა და სასულიერო პირებმა დაკვირვებით უნდა წაიკითხონ ეს ნაშრომი.

ივანე ჯავახიშვილი წერს: "მაშინდელი (XVIII საუკუნის) ქართველობა გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოზე გული მართლაც შესტკიოდა და მისი მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნია. რუსებისადმი ამგვარი დაუშრეტელი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები - სპარსეთ-ოსმალები მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო, თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ. ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათ თაგავგანწირულ ბრძოლაში სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერსა დახმარებას გაუწევდა.

რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, როდესაც კი რუსეთის სამხედრო თვალსაზრისით ქართველთა ძალის გამოყენება ოსმალებისა და სპარსელების წინააღმდეგ საჭიროდ მიაჩნდათ, სწორედ ქართველების ამ სუსტ გრძნობასა და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული. "ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი და კეთილმორწმუნეობა რუსი ხალხისადმი" - ასე ამბობდნენ რუსეთის კარის წარმომადგენლები და ქართველთა ამ მხურვალე გრძნობის საშუალებით ცდილობენ და ახერხებდნენ კიდევაც ქართველთა იმდენად მოჯადოებას, რომ რუსეთის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ და მაჰმადიანი ძლიერი სახელმწიფოებისაგან უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ. ამ დროს ის, ვითომცდა კაცთმოყვარეობის გრძნობით აღსავსე, არწმუნებდა საქართველოს, რომ მუდამ მის დახმარებაზე ოცნებობდა, მისთვის ზრუნავდა. ასე იყო ხოლმე, სანამ საქართველოს არ შეაცდენდა და თავის სამხედრო გეგმის მიხედვით ოსმალეთთან ან სპარსეთთან ომში, რომელსაც ის განიზრახავდა, არ ჩარევდა, მაგრამ რა წამს რუსეთს თავის პირადი მიზანი მიღწეული მიაჩნდა ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა. მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც, ასეთ შემთხვევაში ის იმაზეც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მისი წყალობითა და მოქმედებით წინანდელზე უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე".

როგორც ჩანს, ქართველთა გულუბრყვილობა, დაუფიქრებლობა, იდეალიზმი, მეოცნებეობა მარტო რუსეთს არ შეუმჩნევია - ფაშისტური გერმანიის საიდუმლო მასალებში ქართველები ამგვარად იყვნენ დახასიათებულები: "მათი პოლიტიკური გულუბრყვილობა იდიოტიზმამდე მიდის". ამას, რასაკვირველია, გათვალისწინება სჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილის ამ წიგნის გამოცემის შემდეგაც ქართველები არათუ არ დაფიქრდნენ ამაზე, კიდევ უფრო შორს წავიდნენ მიამიტობაში და გაჩნდა მითი იმის შესახებ, თითქოს საქართველოსა და რუსეთს ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. რაღა თქმა უნდა, მოქმედებდა საბჭოთა ცენზურაც: მიჩქმალული იყო ქართულ - რუსული ურთიერთობების ნამდვილი ისტორია. საბჭოთა იდეოლოგია ცდილობდა, რუსეთი საქართველოს მშველელად წარმოედგინა, რუსი მოღვაწეები კი საქართველოზე უზომოდ შეყვარებულად და თავდადებულად.

ხანგრძლივმა მონობამ საქართველოში დაამკვიდრა სერვილიზმი, რომელიც ფრანგული სიტყვისაგან მომდინარეობს და მომსახურეობას ნიშნავს. ამ ტერმინით გამოხატავენ ადამიანის ან მთელი ერის ქმედებას, რომელიც მოკლებულია ეროვნული, პიროვნული ღირსების გრძნობას, რომელსაც პიროვნული და ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი და გარესამყაროს, სხვა ადამიანების, სხვა ერების მიმართ ლაქიური დამოკიდებულება აქვს, თავს მუდამ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყენებს, სულ თვალებში შეჰყურებს უცხოს, ყველაფერი უცხო ესათუთება. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, რაღა თქმა უნდა თავისას კარგსაც ვერ დაინახავს, სხვისი კი ცუდიც კარგად მოეჩვენება. სამწუხაროდ, სერვილიზმი ძალუმად იყო ჩანერგილი ქართულ საზოგადოებაში და ფესვები ამ მონური ფსიქოლოგიისა, ჩემი დაკვირვებით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოლომდე არ აღმოფხვრილა საქართველოში, მეტიც - ეს კარგად გააზრებულიც კი არ გვაქვს. ამისთვის კი საჭიროა ერთობლივი შრომა მწერლებისა, ისტორიკოსებისა, პოლიტიკოსებისა, ასევე ჩვენი ეკლესიისა, რადგან ჩვენ უნდა დავანახოთ ყველას სიმართლე რუსული პოლიტიკისა, რომელსაც ის საუკუნეებია მიმართავს საქართველოს წინააღმდეგ.

მსურს, კვლავ დავუბრუნდე ივ. ჯავახიშვილის ხსენებულ თხზულებას. ისტორიკოსი წერს: "რუსეთის მთავრობისთვის, საზოგადოდ, საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო, საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებლივ მას თავის დაცვა არ შეძლებოდა და მუდამ მხოლოდ რუსეთის შემავედრებელი და ხელის შემყურე უნდა ყოფილიყო". ალბათ, გენიშნათ ეს სიტყვები, რადგან ბოლო ათწლეულების საქართველო - რუსეთის ურთიერთობების მწარე გამოცდილება სწორედ ამის დამადასტურებელია. მაგრამ. მოდით გავაგრძელოთ ციტირება: "მაშასადამე, ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რუსეთის "დახმარებას" დასაწყისში გარეგნულად დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგად კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა მტრებით შემორტყმული ქვეყნისა და ერისათვის."

ეს ციტატა განსაკუთრებით ყურადსაღებია მათთვის, ვინც დღენიადაგ გაიძახის, რუსეთთან სხვაგვარი პოლიტიკის წარმოება იყო საჭირო, რუსეთს უნდა მოვფერებოდით და დროებით არ დავკარგავდით აფხაზეთს, შიდა ქართლს, არც 1992-93 წლებისა თუ ბოლოდროინდელი მოვლენები მოხდებოდაო. არადა, ეს ასე არ არის, მთელი ისტორია მოწმობს, რომ რუსეთს თავისი მიზანი აქვს და რა

დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეს საქართველოს მის მიმართ, ის განუხრელად, მთელი სისასტიკით, მთელი ციინიზმით ცდილობს, განახორციელოს იგი (ნიშანდობლივია 1990-იანი წლების მაღალი თანამდებობის პირის რევაზ ადამიას მოგონება ამის თაობაზე: როდესაც კულუარული მოლაპარაკებების დროს რუსეთს ვეკითხებოდით, რის ფასად შეცვლიდა რუსეთი პოლიტიკას ჩვენი ქვეყნის მიმართ, გვპასუხობდნენ: ჩვენ არ გევაჭრებით, ის უნდა გააკეთოთ, რასაც ჩვენ გეტყვითო).

"რუსეთის უპირატესობას და საქართველოს უმწეოდ მიტოვებას მტერთან ბრძოლის დროს საქართველოს მარტო საერთაშორისო დამოკიდებულებას კი არ უფუჭებდა, მარტო მის გარეშე მტრებს კი არ ათამამებდა, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არევ-დარევას და სხვადასხვა პოლიტიკურ დასთა შორის ბრძოლას ამწვავებდა, მეფისა და მთავრობის პატივისცემასა და უფლების გაქარწყლებას ხელს უწყობდა. ბევრნი ხედავდნენ, რომ მთავრობის პოლიტიკა საქართველოს უბედურების მეტს არას უმზადებდა და ამის გამო სპარსეთთან და ოსმალეთთან შეთანხმების მომხრენი დაუნდობლად ებრძოდნენ იმ წრეებს, რომლებიც რუსეთის მფარველობისა და მოკავშირეობის მომხრენი და მოთავენი იყვნენ. ეს შინაური ქიშპობა ძირს უთხრიდა ისედაც დაუსრულებელი ომებისა და მტრების შემოსევისაგან დასუსტებულ სახელმწიფოს", - წერს ივ. ჯავახიშვილი. ამგვარად, რუსეთის ასეთი პოლიტიკა შიდა არეულობას უწყობდა ხელს - ერთმანეთს უპირისპირებდა რუსეთთან კავშირის მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს. მკითხველს ალბათ ენიშნა ბევრი რამ.

ბევრი თქვენგანი გაიხსენებს ნაცნობ-მეგობართაგან გაგონილ ფრაზებს, თუკი რუსეთის გავლენის ქვეშ დავბრუნდებით, ის უპირობოდ დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და შიდა ქართლსო. ასე ამბობდა ზოგიერთი ქართველი, როცა სოხუმი დაეცა. იმდროინდელმა ხელისუფლებამ დსთ-ს სივრცეში დაბრუნება გადაწყვიტა. ამბობდნენ, ამით აფხაზეთსა და შიდა ქართლს დავიბრუნებთო. რაც დავიბრუნეთ ყველამ ძალიან კარგად დავინახეთ...

ახლა მივუბრუნდეთ გეორგიევსკის ტრაქტატს, რადგან მისი გააზრებაც აუცილებელია. მინდა მოვიტანო ნაწყვეტი დეკანოზ მაქსიმე ჭანტურიას გამოსვლიდან მოსკოვში, ერთ-ერთ კონფერენციაზე (მამა მაქსიმე მოსკოვში წმინდა გიორგის ქართული ტაძრის მღვდელთმსახური გახლავთ): "ვთვლით, რომ ჩვენს (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს) ურთიერთობებში საკვანძო მომენტია გეორგიევსკის ტრაქტატი, ამ ტრაქტატისა და მისი შედეგების გააზრებას მივყავართ თანამედროვე, უახლოესი წარსულისა და ბოლო საუკუნეების პრობლემების გაგებამდე. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატი აღიქმება ქართველი ერის გადარჩენის ერთადერთ გამოსავლად, ამის პასუხი კი დევს გეორგიევსკის ტრაქტატის ანალიზში, რომელიც ცხადყოფს, რომ აღნიშნული შეთანხმება არ არის კაბალური და მიუთითებს იმას, რომ ქართველი ხალხი არაა თანახმა თავისი ფიზიკური გადარჩენის სანაცვლოდ სახელმწიფოსა და საპატრიარქოს გაუქმებისა. ჩემს თავს არ მივცემ უფლებას, აგიხსნათ და გასწავლოთ, რა მნიშვნელობა აქვს ერისთვის, განსაკუთრებით - მართლმადიდებელი ერისთვის, მეფესა და პატრიარქს. ფაქტს იმის თაობაზე, რომ საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა სრულებით არ იყო უიმედო, ადასტურებს ტრაქტატის შემდგომი - 1783-1800 წლები, რომლებიც აღბეჭდილი იყო ქართველი ხალხის დამოუკიდებელი, გმირული ბრძოლით ირანელი დამპყრობლებისადმი და მრავალრიცხოვანი ჩრდილოკავკასიელი ტომების წინააღმდეგ. ამჟამად მრავალი არასპეციალისტი, რომელიც არ იცნობს ტექსტს და არ ანიჭებს მნიშვნელობას ქართულ სახელმწიფოებრიობას და საპატრიარქოს, გეორგიევსკის ტრაქტატს მიიჩნევს კეთილი ნების ჟესტად, ქართველი ხალხისადმი დიდ დახმარებად და საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ხელშეკრულებად, ხოლო ის ადეკვატური რეაქცია, ყოველივე ამას რომ მოჰყვა ქართველი სამეფო ოჯახის, დიდგვაროვნების, სასულიერო პირების მხრიდან - ბრძოლა ავტოკეფალიისთვის, ამგვარად მოაზროვნეთათვის გაუგებარია. მათი თქმით, ეს იყო უმადურობა, სეპარატისტული გამოხტომები და მცდელობა ქართველებისა, წარეტაცათ საქართველო რუსეთისათვის.

ქართული მხარე თავისი გულუბრყვილობის გამო არ ეჭვობდა და წინასწარ ვერ ჭვრეტდა იმას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი დაირღვეოდა, ამას ამტკიცებს 1790 წელს მიღებული ქართველი მეფეების და თავადიშვილების ტრაქტატი ("ივერიელთ ერთობის ტრაქტატი"). ამ შეთანხმების ერთი აბზაცი მოიცავს გაგებას და გააზრებას იმისა, თუ რა არის საქართველო, ვინ არის ქართველი ერი. იგი ამბობს: ჩვენ ქართველები, ვართ ერთი სარწმუნოების ხალხი, სულიერნი შვილნი ერთი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიისა, ერთი ენისა, ერთი ისტორიისა და შედუღაბებული ვართ სავალდებულო კავშირებით ურთიერთსავალდებულო სიყვარულისა.

მე არ ვთვლი, რომ ტრაქტატის დარღვევის მსხვერპლი მხოლოდ ქართული მხარეა, თუმცა გარეგნული დაკვირვებით, ფაქტები სწორედ ამაზე მეტყველებს. საქართველომ დაკარგა თავისი სამეფო ოჯახი და საეკლესიო დამოუკიდებლობა. მაგრამ, სულიერი თვალსაზრისით, ტრაქტატის დარღვევამ არცთუ მცირედი ზიანი მიაყენა რუსეთსაც. არ მინდა გადავაჭარბო, მაგრამ ყველა მოვლენა, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მოხდა რუსეთში, შესაძლოა, პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებოდეს ამ პირის

გატეხას. ამავე დროს, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ეპოქისა და ყველა შემდგომი მოვლენა, XX საუკუნის ჩათვლით, უეჭველად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ამ პერიოდის მსხვერპლია საქართველო. ღრმად ვარ დარწმუნებული, იმ ადამიანებმა, რომლებმაც უმძიმესი ტკივილი მიაყენეს ქართველებს, უაღრესად დააზარალეს რუსეთის სახელმწიფოებრიობაც და ეკლესიაც. იქმნება შთაბეჭდილება, - და ძნელია, ამაში გადაარწმუნო ქართველი ისტორიკოსები, - რომ რუსული მხარის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის გაუქმება ფარულად, წინასწარ იყო განზრახული. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ არ ღირდა ამ ხელშეკრულების განმტკიცება ფიცით - ყოვლადძლიერი ღვთისა და წმინდა სახარების წინაშე; არ იყო საჭირო ტრაქტატის დაწყება სიტყვებით: "სახელითა ყოვლადძლიერისა ერთისა უფლისა ყოვლადწმინდა სამებაში განდიდებულისა". მინდა აღვნიშნო, რომ ხელშეკრულება უფლის ცხებულთა მიერ დაიდო და ისინი პირობას თავიანთი ხალხის სახელით დებდნენ. ვფიქრობ, იმას გარკვეული სულიერი შედეგები მოჰყვა. არავის მოვუწოდებ საყოველთაო სინანულისკენ, როგორც ეს წლების წინ რუსეთში მეფის მკვლელობასთან დაკავშირებით მოხდა, მაგრამ სახელმწიფოსა და მეცნიერების პასუხისმგებელმა პირებმა უნდა აღიარონ წარსული შეცდომები და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები".

ამრიგად, ვხედავ, რომ როცა "დერჟავს" სჭირდება, თვით ღვთის წინაშე დადებულ ფიცსაც არად დაგიდევენ. ეს ყველაფერი უნდა ახსოვდეს იმას, ვიმც ხშირად იმეორებს, რუსეთი მაინც სჯობია სხვას, რადგან ერთმორწმუნე მართლმადიდებლები არიანო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავარჩიოთ პოლიტიკა რელიგიისაგან - ეს აბსოლუტურად განსხვავებული რამეა. თუკი სახელმწიფოს შეუძლია, დაარღვიოს ღვთის წინაშე დადებული ფიცი, როგორღა უერთგულებს ის ერთმორწმუნე საქართველოს? რუსეთის მეფის ტრაგედია, მისი დამხობა და შემდეგ მთელი სამეფო ოჯახის ამოწყვეტა, რა თქმა უნდა, უმძიმესი ტრაგედია იყო (სამეფო ოჯახის წევრები დღეს წმინდანები არიან. შეგვეწიოს მათი მადლი და ძალა). ჩემი აზრით, ეს ტრაგედია დაკავშირებულია საქართველოში მეფობის გაუქმებასა და სამეფო ოჯახის შევიწროებასთან. რუსებს ძალიან უყვართ საკუთარი მეფის მკვლელობაში არარუსების დადანაშაულება, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ 1801 წელს ქართული სამეფო, ცხებული ოჯახი სწორედ რუსებმა დაარბია. ბაგრატოვანი სამეფო დინასტიის დევნამ მათ ერთი საუკუნის შემდეგ უწია.

ყურადღება მინდა გავამახვილო ასევე ისეთ თემაზე, როგორიცაა "მესამე რომი". საიდან გაჩნდა ეს ტერმინი? ამის თაობაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის წმინდა მღვდელმოწამე კირიონი (საძაგლიშვილი), რომელიც თავის ძალიან მნიშვნელოვან ნაშრომში "ივერიის კულტურული როლი რუსეთის ცხოვრებაში" წერს:

"რაც შეეხება ცნობილ ფიქციას, როგორც მესამე რომის შესახებ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი დიდი ხანია ცნობილია რუსულ ლიტერატურაში და დიდი ხანია მან უკვე მიიღო სრულიად მართებული შეფასება. გიორგი უსპენსკი თავის ოსტატურად დაწერილ სტატიაში იმის შესახებ, თუ როგორ წარმოშვა და ვითარდებოდა რუსეთში აღმოსავლური საკითხი, წერს: " მოსკოვური თეორია (მესამე რომის შესახებ) მახვილგონივრულად გამოიყენეს სამეფო ღირსების განდიდებისათვის. გენიალურ წიგნში ჩნდება წარმომავლობის ნუსხა, რომელიც დასაბამს იღებს ავგუსტუსისაგან (კეისრის საიმპერატორო ტიტული), რაც ამტკიცებს რიურიკების სამეფო სახლსა და იულიუსის სამეფო სახლს შორის ნათესაურ კავშირებს. შემდეგ ძებნა დაუწყეს და მონახეს კიდეც სხვა საფუძველი, დაეახლოებინათ რუსული სამეფო ხელისუფლება საიმპერატორო ხელისუფლებასთან". "მოსკოვში ფეხს იდგამდა რაღაც ახალი და გაუგონარი", - ამბობს პროფესორი ჯღანოვი (რუსეთის მეფეების), ივან ვასილევიჩისა და მისი ვაჟის, ვასილის დროებაზე. წიგნიერმა ხალხმა იზრუნა საიმედოდ, რომ ამ ახალსა და გაუგონარს გარკვეული ფორმა მისცემოდა, რომლის სტილი შეესაბამებოდა მათი დროის ისტორიულ თვალსაწიერსა და ლიტერატურულ გემოვნებას... XV საუკუნის მიწურულს უსაქმური ვაიმწერლების მიერ შეითხზა არაკი ნოვგოროდის თეთრი კუნძულის შესახებ, რათა დაემტკიცებინათ, რომ "რომს წაერთვა მადლი, დიდება, ღირსება, ისევე როგორც სამეფო ქალაქს (კონსტანტინოპოლს) წაერთმევა მადლი სულისა წმინდისა აგარიანთა ტყვეობაში და ყოველივე სიწმინდე გადაეცემა ღვთისაგან დიად რუსეთის მიწას. იმ დროში რუსეთის ყველა კუთხე-კუნჭულში აწრიალდნენ ყველა მეტ-ნაკლებად წიგნიერნი, აწრიპინდნენ კალმები. ყველა გავეშებით ემებდა საფუძველს, რათა გაემრავლებინათ ის დიადი როლი, რომელსაც რუსეთს მიაწერდნენ, თვით ბერების ვიწრო სენაკებშიც კი ითხვზებოდა დიადი გეგმები".

და ბოლოს, მინდა, კიდევ ერთი ციტატა მოვიყვანო, რომელიც ეკატერინე II-ს ეკუთვნის. იგი გრაფ პოტიომკინს წერს:

"ქართული საქმეებისათვის (იგულისხმება საქართველოს დასუსტებისა და მიერთებისკენ გადადგმული ნაბიჯები) ერთხელ კიდევ გმადლობ! შენ ნამდვილი, გულითადი მეგობარი ხარ. აი, ბევრი რამ მცირე დროში. ევროპის შურიანობას მშვიდად შევცქერი; რაც უნდათ, ის იყალბონ, ჩვენ კი საქმეს ვაკეთებთ". დავიპყრობთ, გავაფართოვებთ რუსეთის საზღვრებს და ევროპამ, რაც უნდა, ის სთქვასო. ყოველივე ეს ძალიან ჰგავს თანამედროვე სიტუაციას.

მაგრამ დიდი იმედი მაქვს, ახლა უკვე ნამდვილად სხვა დროა და იმ ურჩხულებრივ პოლიტიკას, რასაც რუსეთის იმპერია საუკუნეების განმავლობაში ახორციელებს, ერთხელ და სამუდამოდ დაედება ზღვარი. უახლოეს მომავალში, უფლის წყალობით, საქართველო არა მარტო აღიდგენს თავის ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ გაძლიერდება და თანამედროვე სახელმწიფო გახდება, ამასთანავე, კვლავ დარჩება მართლმადიდებელ ქვეყნად. თავისი ისტორიის მანძილზე მართლმადიდებელ საქართველოს პოლიტიკური ალიანსი ჰქონია განსხვავებული სარწმუნოების ქვეყნებთან. პოლიტიკური კავშირისთვის სრულებითაც არ არის აუცილებელი, ესა თუ ის სახელმწიფო აუცილებლად ერთმორწმუნე იყოს; თუკი ინტერესები საეჭვოა, გონივრული მიდგომის შემთხვევაში, რწმენა ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენს. ამის დასტურია ისტორია. აუცილებელი არ არის, გამუდმებით ერთმორწმუნე მეკავშირე ვეძებოთ; ისეთი პოლიტიკური მეკავშირე ვეძებოთ, რომელიც სანდო იქნება და მისი ინტერესები ნამდვილად დაემთხვევა ჩვენსას.

ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად, ქვეყნის გაერთიანებისა და მშობლიური მიწების დასაბრუნებლად მთავარია, ქართველმა ხალხმა საქართველოსთვის ლოცვა გააძლიეროს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრავალგზის გვაკურთხა, გველოცა სამშობლოსათვის. მან მოგვიწოდა წარმოვთქვათ შემდეგი ლოცვა:

"დიდება შენდა, უფალო, წყალობითა შენითა დაგვიბრუნე აფხაზთი და სამჩაბლო". ეს ლოცვა სამჯერ უნდა გავიმეოროთ და დღეში მრავალგზის ვთქვათ. უეჭველად გვწამს, საქართველო გაბრწყინდება და გაძლიერდება, მთავარია, ჩვენ თავად არ შევუშალოთ ხელი ამ ყოველივეს ჩვენი უსჯულოებით, ცოდვებითა და ღალატით.

ლიტერატურა:

1. ვ. ითონიშვილი, ნარკვევები ქართული ქრისტიანობის ისტორიიდან, თბ., 2003;
2. ზ. კიკნაძე, შობიდან შობამდე, თბ., 1997;
3. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებები 12 ტომად, ტომი VIII, თბ., 1977.

დამწერლობა - ქართული კულტურის ძვირფასი შენაძენი

ხატია კობლიაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ბადრი რაზმაძე,** ასოცირებული პროფესორი

დამწერლობა კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომლის ისტორიას შეისწავლის 2 სამეცნიერო დისციპლინა - პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა. პალეოგრაფიის შესწავლის საგანს წარმოადგენს ძველ დამწერლობათა სისტემები, ხოლო ეპიგრაფიკა სწავლობს მაგარ ზედაპირზე შესრულებულ წარწერებს. დამწერლობა მეტყველების გრაფიკული ფიქსაციაა, მაგრამ დამწერლობის ადრეულ საფეხურზე მეტყველების ფონეტიკური ფიქსაცია არ არსებობდა, ამიტომ, პირველყოფილი ადამიანები საგნებს სიმბოლოების სახით გამოხატავდნენ. მაგალითად, მტრობისა და სიძულვილის ნიშანს წარმოადგენდა წიწაკა, მარილი სიყვარულისა და მეგობრობის ნიშანს, ნახშირი მწუხარებას, უბედურებას გამოხატავდა და ა.შ.

თანდათანობით ფეხს იკიდებს ე.წ. პიქტოგრაფიული დამწერლობა. იგი სურათ-ხატოვანი დამწერლობაა. მაშასადამე, სხვადასხვა სურათ-ხატოვან გამოსახულებათა ერთობლიობა, რომლებიც ერთ გრაფიკულ კომპოზიციად ერთიანდება და რაიმე შინაარსის შემცველია. აღნიშნული დამწერლობა იყო მეტყველების გადმოცემის არა ფონეტიკური, არამედ სემანტიკური საშუალება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პიქტოგრამული ნიშნები აღმოჩენილია ამიერკავკასიის და კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზეც: თრიალეთში, სოფ. ბეშთაშენში, სოფ. ოზნში, აგრეთვე, ახალციხეში, ამირანის გორაზე.

პიქტოგრაფიული უნდა ყოფილიყო არქაული ხანის ე.წ. დინასტიამდელი ეგვიპტური დამწერლობა. სწორედ ძველი ეგვიპტელები და შუმერები (მესოპოტამია) ითვლებიან დამწერლობის შემქმნელად.

ეგვიპტეში დამწერლობა 4 ათასი წლის წინ შეიქმნა. ეს იყო იეროგლიფური დამწერლობა. ნიშანთა რაოდენობა ეგვიპტურ იეროგლიფიკაში 600 აღწევდა. ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა გაშიფრა ფრანგმა მეცნიერმა შამპოლიონმა. იეროგლიფები შემორჩა პირამიდების კედლებსა და პაპირუსებზე.

რაც შეეხება შუმერებს, მათ შექმნეს ჯერ იეროგლიფური, შემდეგ კი ლურსმული დამწერლობა. ისინი წერდნენ თიხის ფირფიტებზე ხის ჩხირებით.

შუმერული ლურსმული დამწერლობა პირველებმა აქადის სემიანებმა გადაიღეს. შუმერულ აქადურ ლურსმულში 600-მდე გრაფიკული ნიშანი იყო.

დამწერლობის წმინდა ანბანური სისტემის შემოღება დაკავშირებულია ჩრდილო-სემიანების (ფინიკიელების) სახელთან. ჩრდილო-სემური ანბანი უნდა წარმოშობილიყო დაახლოებით XV-XIV სს. ძვ. წელთაღრიცხვით. საკუთრივ ფინიკიურმა დამწერლობამ ახალი წელთაღრიცხვის დამდეგამდე იარსება.

ფინიკიური დამწერლობა საფუძვლად დაედო მის ორ განშტოებას: დასავლეთში ბერძნულს, ხოლო აღმოსავლეთში სემურ-არამეულ დამწერლობას. დასავლურ დამწერლობა- თა ნიშან-თვისებაა: ვოკალიზაციის ბერძნული პრინციპი და ბერძნული გრაფიკა, ხოლო აღმოსავლური დაწერლობის ნიშან-თვისებას წარმოადგენს სემური კონსონანტიზმი და სემური გრაფიკა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში წერის მიმართულება ყოველთვის იყო მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო დასავლურ ანბანურ სამყაროში მარცხნიდან მარჯვნივ.

ჩნდება კითხვა, თუ რომელ ანბანურ სამყაროს განეკუთვნება ქართული დამწერლობა?
იმის გამო, რომ ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის ქართული დამწერლობის გრაფიკის არსი და რაობა, ქართული დამწერლობის სადაურობა-წარმომავლობა დღესდღეობითაც კი საიდუმლოს წარმოადგენს. მკვლევართა ერთი ნაწილი მის საწყისს დასავლურ ანბანურ სამყაროში ხედავს, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ქართული ანბანი აღმოსავლური გზის მემკვიდრეა.

ქართული ანბანი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი დამწერლობაა დღეისათვის მსოფლიოში არსებულ დამწერლობათა 14 სისტემას შორის. იგი ზუსტად ასახავს ქართული ენის ფონეტიკას. ქართულ ანბანში განხორციელებულია ვოკალიზაციის სრულყოფილი პრინციპი, ხოლო ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა სრულყოფილია არა მხოლოდ გეომეტრიული, არამედ შინაარსის თვალსაზრისითაც.

მართალია ქართულ ანბანს დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს დამწერლობის არსებულ სისტემათა შორის, მაგრამ აუცილებელია გაირკვეს თუ როდის და ვის მიერ შეიქმნა იგი? დამწერლობის რომელი სისტემის საფუძველზე წარმოიქმნა? ქართული დამწერლობის შექმნამდე გამოიყენებოდა თუ არა დამწერლობის სხვა სისტემები საქართველოში? თუ გამოიყენებოდა, გახდა თუ არა რომელიმე მათგანი ქართული ანბანის საფუძველი? აღნიშნულ საკითხებზე სხვადასხვა და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული. სწორედ ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

დამწერლობა რომ არსებობდა ანტიკურ საქართველოში, ქართული ცნობების გარდა, დასტურდება უცხოური ცნობებითაც.

ერთ-ერთ ასეთ ცნობას წარმოადგენს ძვ. წ-ის IV- III სს. ავტორის - პალეფატეს თხზულებაში არსებული ცნობა, თითქოს კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო ქიმიური გზით ოქროს მიღების საიდუმლოება. ოქროს საწმისის ანალოგიური განმარტებაა შემონახული სვიდას (Xl.) ლექსიკონში და იოანე ანტიოქიელთან (VIIს.).

ანტიკურ საქართველოში უცხოური სისტემების: ბერძნულის, არამეულის და რიგ შემთხვევაში ებრაულის გავრცელებას ადასტურებს სამშენებლო წარწერები, ეპიტაფიები, წარწერები ინსიგნიებზე, სამკაულზე, ვერცხლის ჭურჭელზე.

ყველაზე ადრეულია ყაზბეგის განძის ვერცხლის ჯამზე აღმოჩენილი არამეული წარწერა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. ამავე ხანიდან გვხვდება ბერძნული წარწერებიც. ძვ. წ. IV-I სს. დასავლეთ საქართველოში არამეული წარწერები ჩნდება (სოხუმი, ვანი). აღნიშნული წარწერები ადასტურებს, რომ კოლხეთის სამეფოში ოფიციალური სამწერლობო და დიპლომატიური ენა ბერძნული უნდა ყოფილიყო. საქართველოს ზღვისპირა ქალაქებსა და ვანში აღმოჩენილია სტილოსები - საწერი მოწყობილობები, აგრეთვე, ლითონის კალმების წკირების კომპლექტები და ლათინურწარწერიანი სამელნეები.

რაც შეეხება საკუთრივ ქართული დამწერლობის უძველეს ძეგლებს, მათ შორის ყველაზე ძველია პალესტინის ქართული წარწერები, რომელიც 1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა იუდეის უდაბნოში. ეს წარწერები მოზაიკითაა შესრულებული და V ს-ის 30-იანი წლებით თარიღდება.

პალესტინის ქართული წარწერების აღმოჩენამდე, უძველესად მიიჩნეოდა ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, რომელიც დაახლოებით 493 წლით თარიღდება.

უძველესი წარწერებიდან ჩვენამდე მოაღწია მცხეთის წარწერებმაც, რომელიც VI-VII ს-ის მიჯნისა უნდა იყოს.

აღსანიშნავია სახარების ტექსტები - ე.წ. ხანმეტი ძეგლები და ხანმეტი ლექციონარი. პირველი მათგანი დაცულია თბილისში, ოქსფორდსა და კემბრიჯში; თარიღდება V-VII სს, ხოლო მეორე მათგანი დაცულია ამჟამად ავსტრიაში, გრაცის უნივერსიტეტში. მანამდე ინახებოდა სინას მთაზე. იგი თარიღდება V-VII სს.

პირველი დათარიღებული ძეგლი სამცხის ჰაემეტი წარწერის სახელითაა ცნობილი და 616-619 წწ. განეკუთვნება.

საუკუნეების მანძილზე, ქართულმა ანბანურმა დამწერლობამ 3 საფეხური გაიარა: 1. ასომთავრული, ანუ მრგლოვანი, 2. ნუსხური, ანუ ნუსხა-ხუცური და 3. მხედრული.

ასომთავრული ერთ-ერთი არქაული დამწერლობაა მსოფლიოში, რომელიც იწერებოდა VI ს-დან IX ს-მდე. იგი ორხაზოვანი სისტემის დამწერლობაა. ვინაიდან ყველა ასო-ბგერა თანაბარი სიმაღლისაა და 2 პარალელურ ხაზს შორის თავსდება. მრგვლოვანში 37 ასო-ბგერა იყო.

ნუსხურ დამწერლობას უპირატესობა ენიჭებოდა IX – XI სს-დან. იგი ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა და ასო-ნიშნების ტოლმეტობის პრინციპზეა დაფუძნებული. ნუსხური დამწერლობის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ნიმუშია სინას მრავალთავის 864 წლის ანდერძი.

მხედრული XI საუკუნიდან იხმარება. იგი ოთხხაზოვანი სისტემის დამწერლობაა. მისი უძველესი ნიმუშები შესაძლოა VIII საუკუნითაც კი დათარიღდეს (ატენის სიონის წარწერები).

ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ერთადერთი მნიშვნელოვანი ცნობა ლეონტი მროველისა:

„…და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართლისა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული.“

ამგვარად, ქართული დამწერლობის ზოგად-ქართულ სახელმწიფო დამწერლობად გადაქცევა, ქართული ისტორიული ტრადიციით ფარნავაზ მეფეს მიეწერება.

არსებობს ქართული ანბანის წარმომავლობის „ძვ. სპარსული“ თეორია, „ბერძნულ-სომხური“ თეორია, „სემური“ და „ბერძნული“ თეორიები და ა.შ. აღნიშნულ ნაშრომში სწორედ ბოლო ორ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

„სემური“ თეორია ყველაზე არგუმენტირებულად წარმოადგინა რ.პატარიძემ ნაშრომში „ქართული ასომთავრული“. რ. პატარიძის აზრით, ქართულ ანბანში თანმიმდევრულად 3 ანბანური ჯგუფი უნდა გამოიყოს: 1. “სემური“ ჯგუფი, 2. “ბერძნული“ და 3. ქართული. „სემურ“ ანბანურ ჯგუფში სულ 21 გრაფემაა, ანუ ერთი გრაფემით ნაკლები „სემურ“ ანბანურ მწკრივზე. ქართული ანბანის „სემურ“ ანბანურ მწკრივში გამოტოვებულია მე-19 –„კოფ“ გრაფემა. „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფში 4 გრაფემაა. ქართულ ანბანში გამოტოვებულია ბერძნული ჯგუფის მე-4 გრაფემა „ფს“. საკუთრივ ქართულ ანბანურ ჯგუფში 11 გრაფემაა. ქართულ ასომთავრულ ანბანში გვაქვს 2 ანბანური ნაწილი: 1. „სემურ-ბერძნული’-„ან“-იდან „ქან“-ამდის და 2. ქართული ნაწილი - „ღან“-იდან „ჯან“ამდე. ქართულ ანბანში უდავოა ასო-ნიშანთა სახელდების ფინიკიური პრინციპი, ვინაიდან შექმნილია იდეოგრამა-აკროფონები: „ან“ (შუმერული) მთვარის ღვთაების იდეოგრამაა, „დონ“ მზის ღვთაების და ა.შ. „ან“ 21 ასო-ნიშნის სახელს დაედო საფუძვლად, ხოლო „არ“ მთვარის ღვთაების ზოომორფულ სიმბოლოს, ხარის სახელწოდება - 7 ასოს.

რაც შეეხება ქართული ანბანის „ბერძნულ“ თეორიას, მის მიმდევართაგან ყურადღებას გავამახვილებთ თ. გამყრელიძის შეხედულებაზე, რომელიც თვლიდა, რომ ძვ. ქართული ანბანი წარმოდგებოდა ბერძნულისგან, ვინაიდან ა, ე, ო, ი ფონემათა შესატყვისი გრაფემები ანბანთ რიგში ბერძნულის შესაბამის ადგილებს იკავებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ბერძნული ნიშნის ფონეტიკური მნიშვნელობა შეუსაბამოა ქართულისათვის დამახასიათებელ ბგერებთან, ხდება არა ნიშნის ამოგდება სისტემიდან, არამედ სათანადო ადგილას ნიშნის ჩანაცვლება სხვა ქართულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ერთეულით.

27-ე ყ-შ („შინ“) ასო-ნიშნით ქართულ ანბანში მთავრდება ბერძნული წერითი სისტემის მიხედვით დალაგებული ნაწილი, 28-ე ასო-ნიშნიდან კი იწყება „საკუთრივ“ ქართული ბგერების აღმნიშვნელი გრაფემები. ისინი ქმნიან „დანართ“ ჯგუფს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობებიც მთლიანად მისდევს ბერძნულს და გამოხატავს „ერთეულებს“, „ათეულებს“ და „ასეულებს.

იგი ასკვნის, რომ გრაფიკული საფუძვლის ძიება ბერძნულ სისტემაშია საძიებელი, რადგან ქართული წერილობითი სისტემა ბერძნულ სისტემას წერის მიმართულებაში იმეორებს. გარდა ამისა,

ქართული ასომთავრული დამწერლობა გეომეტრიული ხასიათით ბერძნულ გრაფიკას ჰგავს. ისინი თითქოს ერთ კვადრატულ უჯრაში ჩახაზულ გეომეტრიულ ფიგურებს წარმოადგენს.

ჩვენ გავეცანით ქართული დამწერლობის შექმნის რამოდენიმე ვერსიას, რომელთაგან თითოეულს საკუთარი არგუმენტაცია აქვს და აუცილებლად უნდა გამახვილდეს მათზე ყურადღება შემდგომ კვლევებში.

ძალზედ მნიშვნელოვანია უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების აღნიშვნა, რომლებიც უტყუარ ცნობებს შეიცავენ ქართული საქრისტიანო ძეგლების არსებობის შესახებ. ესენია: „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა (422-432), რომელიც გვაუწყებს, რომ არჩილ მეფის შვილის მირდატის მეუღლემ, „საგდუხტ დედოფალმან გამიკითხა სჯული ქრისტესი. რამეთუ ქმარმან მისმან მოგუარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“. აგრეთვე, იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“,რომელშიც მოხსენიებულია ქართულ ენაზე არსებული სასულიერო წიგნები და ა.შ.

ქართული დამწერლობის სრულყოფად და დაგვირგვინებად შეიძლება ჩაითვალოს ქართული წიგნის ბეჭდვა.

პირველი ქართული წიგნი რომში დაიბეჭდა 1629 წ; ეს იყო „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. წიგნი დაიბეჭდა სტამბა „პროპაგანდა ფიდესში“, სადაც 2 სახის ქართული შრიფტი უნდა ჩამოესხათ - ნუსხური და მხედრული. მხედრული შრიფტის ჩამოსხმის შემდეგ სტამბაში სავარაუდოდ პირველი „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ დაისტამბა; 1629 წელს, ამავე სტამბაში გამოცემულია პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების მესამე ნაირსახეობა, რომლის ავტორიც ნიკიფორე ირბახი უნდა იყოს. მისი ერთადერთი ეგზემპლარი აღმოჩნდა ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში“. ეს არის ირბახის მიერ ქართულად თარგმნილი ლოცვა ღვთისმშობლისადმი „ლიტანია ლაურეტანას“ სახელწოდებით.

როგორც ჩანს, კათოლიკური ეკლესია მისიონერთა საშუალებით საქართველოში გავლენის განმტკიცებას ცდილობდა. სწორედ ამ მიზანს უნდა დაქვემდებარებოდა ქართული ენის შესასწავლად გამიზნული გამოცემებიც. ასეთი იყო ფრანჩესკო მარია-მაჯოს „ქართული გრამატიკა“, რომელიც 1643 წელს გამოქვეყნდა რომის იმავე სტამბაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ საქართველოს ფარგლებს გარეთ იჩინა თავი, იგი მაინც ღრმა ეროვნული შინაარსისაა, რადგან 1453 წლიდან, მუსლიმანურ გარემოცვაში მოქცეული საქართველო ცდილობდა დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროსთან კავშირის გამყარებას კულტურის სფეროში.

ამგვარად, ქართული წიგნის ბეჭდვა ქართული კულტურის ისტორიაში იმ უდიდეს მოვლენას განეკუთვნება, რომელმაც ქართველებს მშობლიური ენის, დამწერლობისა და ტრადიციების სიწმინდე შემოუნახეს.

ლიტერატურა:

1) გ. ლორთქიფანიძე, ნ.ჩიქოვანი, „ქართული კულტურის ისტორია“, 1997 წ.
2) რ. პატარიძე, „ქართული ასომთავრული“, 1980 წ.
3) ა. ჩიქობავა, ჯ.ვათეიშვილი, „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“, 1983 წ.
4) დ. კარიჭაშვილი, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, 1929 წ.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ისტორიული მიმოხილვა

ნინო კუბლაშვილი
განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელები: **მამუკა ცოტნიაშვილი,** ასოცირებული პროფესორი
თამარ ნასყიდაშვილი, მოწვეული სპეციალისტი

დავით გარეჯის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს გარე კახეთში. იგი გადაჭიმულია გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე 25 კილომეტრის მანძილზე და დღესაც აცვიფრებს მნახველს სამშენებლო ხელოვნებისა და ფერწერის მაღალი მხატვრული ღირებულებით. იგი ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრია. სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე,

თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ში, გარეჯის კლდოვან მთებში. სამონასტრო კომპლექსის მცირე ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. მონასტერი VI საუკუნეში დააარსა 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა - წმინდა დავით გარეჯელმა. წმიდა დავითი გარეჯის მთის ბუნებრივ გამოქვაბულში დასახლდა და აქ შექმნა პირველი მონასტერი, რომელსაც დღეს წმიდა დავითის ლავრა ეწოდება. ამავე საუკუნეში მისმა მოწაფეებმა და თანამოღვაწეებმა დააარსეს კიდევ ორი სამონასტრო განშტოება: დოდომ - დოდოს რქა, ხოლო ლუკიანემ - ნათლისმცემელი. დავით გარეჯის მონასტრების შემდგომი აყვავება-განვითარება IX საუკუნის წმიდა მამის - ილარიონ ქართველის სახელთანაა დაკავშირებული. მან გააფართოვა და გადააკეთა წმიდა დავითის მიერ გამოკვეთილი ეკლესია, ხოლო შემდგომ კი წმიდა მეფის - დავით აღმაშენებლის ძემ - დემეტრემ (ავტორი საგალობლისა „შენ ხარ ვენახი“). XI საუკუნეში გარეჯის მონასტერს სელჯუკები შემოესივნენ, რის გამოც შეფერხდა მისი განვითარება, თუმცა ცხოვრება აქ არ შენელებულა. XII საუკუნის დასაწყისში დავით IV აღმაშენებელმა დავით გარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, ხელს უწყობდა მათ დაწინაურებას. მონასტრები გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. 1265 წ. მონღოლთა ლაშქარმა ბერქა-ყაენის სარდლობით დაარბია და მოაოხრა დავითგარეჯა და მისი მიდამოები. გარეჯის სამონასტრო კომპლექსმა განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია XI-XIII საუკუნეებში. დაარსდა ახალი მონასტრები - უდაბნო ბერთუბანი და ჩიჩხიტური, გაფართოვდა და კეთილმოეწყო დავითის ლავრა, რომელიც პატარა ხეობის ორივე კალთაზეა გაშენებული. მონასტერში, სადაც თავდაპირველად ბინა დაიდო წმიდა დავითმა, მოეწყო ტერასიანი ეზო, აშენდა ახალი სენაკები, სატრაპეზო და ეკლესია. კლდეში გაიჭრა წყალშემყვანი არხები და რეზერვუარები. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კედლის მხატვრობაც ეკლესიებსა და სატრაპეზოებში. უდაბნოს მონასტერში საფუძველი ჩაეყარა გარეჯის სამხატვრო სკოლას, რომელმაც თავისი შემოქმედების მწვერვალს ბერთუბნის მოხატულობაში მიაღწია.

XIV საუკუნის I ნახევარში, გიორგი ბრწყინვალეს მეფობაში, დავითგარეჯა გიორგი V მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. მონასტერთა მესვეურნი მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობაში და ქვეყნის საეკლესიო საქმეთა მართვაში. XIV საუკუნის ბოლოს თემურ–ლენგის მრავალგზის ლაშქრობების დროს, სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. 1424 წ. ალექსანდრე I-მა დიდმა დავითგარეჯა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1616-1617 წწ. სპარსელთა ლაშქარმა დაარბია, მონასტრები გაუქმდა. 1639 წ. თეიმურაზ I-მა აღადგინა აქ სამონასტრო ცხოვრება XVIII საუკუნეში დავითგარეჯა კვლავ მეფის ხელდებული გახდა. მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები და სოფლები, იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. დავით გარეჯის მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება.

საინტერესო ფაქტები

დავით გარეჯის სამონასტრო მშენებლობამ თავის მწვერვალს საქართველოს საერთო ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის დროს, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. დავითგარეჯში გამომუშავდა სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის საკუთარი წესი, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა. ამ პერიოდის დავით გარეჯის მონასტრების სახე მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი პერიოდის მონასტრებისაგან. მთავარ ეკლესიებსა და სატრაპეზოებში ადრინდელი უბრალოებისა და უშუალობის ნაცვლად თავი იჩინა დიდებულებამ, გრანდიოზულობამ, ინტერესმა ფართო, თავისუფალი სივრცისადმი. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა მთავარი ეკლესიებისა და საერთო სატრაპეზოების კედლების მოხატულობა. დავით გარეჯის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, მ.შ. საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი IV ლაშა - ბერთუბნის ეკლესია, ამჟამად — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი; მეფე დემეტრე II თავდადებული — უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა). ქტიტორთა პორტრეტები ზომით ბევრად ჭარბობს რელიგიური პერსონაჟების გამოსახულებებს, რაც მოწმობს ქართველი ოსტატის დამოუკიდებლობას ბიზანტიური ხელოვნების მიერ დაკანონებული სქემებისაგან. აღსანიშნავია ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა, რომელიც საზეიმო და დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოსახულია სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. ასევე საინტერესოა უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის აფსიდის მოხატულობაც, რომელიც გამოირჩევა მეტყველი სახეებით და დინამიურობით. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ცალკეული სამონასტრო კომპლექსები ურთიერთშორის დაკავშირებული იყო საგუშაგო და სასიგნალო კოშკებით, რომლებმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. საინტერესოა ბოლო საუკუნეების (XVII, განსაკუთრებით XVIII საუკუნე) ცალკეული გამოქვაბულები, რომლებიც

გაჯის ნაძერწი მორთულობითაა გაფორმებული. წმინდა დავით გარეჯელის უდაბნოს მთა, დაჰყურებს ყარაიის მინდვრებს. გადაღმა გვერდით ციცაბ კლდეში არიან გამოკვეთილნი ეკლესიები და სენაკები, დღესაც მხატვრობით დაშთომილნი, იმ ათას ორას მამებთა, რომელნიც დაიხოცნენ უღმრთო სპარსის მეფის შაჰ–აბასის მახვილით, ქრისტეს აღდგომის დღეს, თვით აღდგომის ეკლესიაში, რომელიც დღესაც არის ამ მთის თავზედ ეკლესიაში; როდესაც ეს ღირსნი მამები აღასრულებდნენ ღამით აღდგომის ცისკარს და გარს უვლიდნენ ეკლესიას სანთლებით, მაშინ შაჰ–აბასმა დაინახა შორიდან და წამოვიდა ჯარით მათკენ; როდესაც ესენი საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდნენ და მიიღეს კიდეც წმინდა საიდუმლო, სწორედ იმ დროს დაესხა უსჯულო იგი და აწამა 1603 წელში მოწამეობის გვირგვინითა. დღესაც ცხადად ღაღადებს უკან ორას-ოთხმოცი წლის დათხეული სისხლი; მაგ., ერთს ამ მთის კლდეში გამოკვეთილ ეკლესიაში ტრაპეზის აქეთ-იქით მხარეზედ აჩნია დაღვრილი სისხლი, ასრე რომ შეიძლება იმის აღება. აქ არის ტრაპეზის პირ-და-პირ გამოხატულება: მაცხოვრისა, ღვთის-მშობლისა და ნათლის-მცემლისა, სრულის ტანით მოუშლელი, რომელთათვის თათრებს მოუთხრიათ თვალები ხანჯლის წვერით... სხვადასხვა დროს დავით გარეჯის მონასტრებში მოღვაწეობდნენ ონოფრე გარეჯელი (XII ს.), დემეტრე I, ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს), გაბრიელ საგინაშვილი (XVIII ს), გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვა. გარეჯელი მოღვაწეები ქმნიდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ კრებულებს, დახმარებას უწევდნენ კულტურის სხვა კერებს. დავით გარეჯში დაცული იყო ხელნაწერთა მდიდარი ფონდი. დღეს მხოლოდ არსებობს ეს პირველად დაარსებული წმიდა დავითის უდაბნო, როგორც უწინარეს ყოველთა დაარსებული, და მეორე ნათლის მცემლის უდაბნო; ხოლო სხვანი ყოველნი, სამწუხაროდ, იხილვებიან უქმად და ბუდედ ორბთა, ღრმად წარმომადგენელნი სიძველეთა მათთა. როგორც სჩანს, ამ უდაბნოს მთების სიყვითლისაგან და ქვიშიანობისაგან, ეს მთები უნდა იყვნენ წარმომდგარნი საქვეყნო წარღვნისაგან, მით უმეტეს როდესაც კლდეებში ვპოულობთ გაქვავებულ სხვა და სხვა ქვემძრომლებსა და ცხოველების ძვლებსა.

ლიტერატურა:
1. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/gareji/gareji.htm
2. http://ka.wikipedia.org/wiki/დავითგარეჯა
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი მე-3, თბ., 1978.

ალავერდი-ხან უნდილაძე

რეზო მარნაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

ირანის პოლიტიკურ სარბიელზე შაჰ-აბასის (1587-1629) კარზე მოღვაწე ქართველებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ალავერდი-ხან უნდილაძეს. ფაქტიურად, იგი შაჰის შემდეგ მეორე კაცი იყო სახელმწიფოში,

ალავერდი ხანის მოღვაწეობა ირანში ქართულ ისტოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი (ზ. ავალიშვილი, ვ. გაბაშვილი, ბ. გიორგაძე, დ. კაციტაძე, კ. კუცია, თ. ნატროშვილი), მაგრამ ზოგიერთი საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ალავერდი-ხანის წარმომავლობის შესახებ. მამა ბელიოშ დუშ ანჟუშის ერთ-ერთი მოხსენებითი ბარათის თანახმად, რომელიც მან 1614 წლის 16 იანვარს მადრიდში გაგზავნა, ალავერდი-ხანი გამაჰმადიანებული ქართველი იყო. დელა ვალე კი 1619 წლის 22 აპრილით დათარიღებულ წერილში წერს, რომ ალავერდი-ხანი იყო ქრისტიანი, წარმომავლობით სომეხი, ქართველთა ქვეყნიდან. მის შვილს, იმამყული-ხანს დედა ქართველი ჰყოლია და მისი ყველა ცოლიც ქართველი ყოფილა. ამიტომ ქეთევან დედოფლისა და მისი შვილიშვილების დაცვა სწორედ მას მიანდეს.

ქართველი ისტორიკოსების მიერ დამაჯერებლად არის დასაბუთებული, რომ ალავერდი-ხანი ქართველია. ვ. გაბაშვილი ქართული წყაროების ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი წარმოშობით ქართლის უნდილაანთ (უნდილაძე) ფეოდალური ოჯახიდან იყო. იგი ბავშვობისას მოიტაცეს, ირანში ტყვედ გაყიდეს, ერთი ბატონიდან მეორის ხელში გადადიოდა, ვიდრე შაჰ-თამაზ I-ის (1524-1576 წ.წ.) სამსახურში ჩადგებოდა. ალავერდი-ხანი ირანში XVI-ის 60-70-იან წლებში უნდა მოხვედრილიყო.

შაჰის კარზე ალავერდი-ხანის დაწინაურებას ხელი შეუწყო როგორც მისმა პიროვნულმა თვისებებმა, ასევე იმ დროს ირანში შექმნილმა ვითარებამ, კერძოდ აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად ხდება კავკასიური ელემენტის დაწინაურება ირანის პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე.

შაჰ-აბასმა ტახტზე ასვლისთანავე მიზნად დაისახა ცენტრალური ხელისუფლების გამტკიცება. ამისთვის კი, უპირველესად საჭირო იყო მეტისმეტად აღზევებული ყიზილბაშური ტომების მეთაურების – ამირების გავლენის შესუსტება.

შაჰი სხვა ღონისძიებებსაც იღებდა. მან ირანში ყიზილბაშებს დაუპირისპირა კავკასიური ელემენტი – ქართველები, სომხები, ჩერქეზები, რის შედეგადაც სწრაფად მოხდა მათი დაწინაურება ირანის პოლიტიკურ სარბიელზე. ამ მხრივ შაჰ-აბასი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იჩენდა ყულის ჯარის მიმართ. მისი დაკომპლექტება, ისევე როგორც იენიჩარებისა ოსმალეთში, ხდებოდა გამაჰმადიანებული ქრისტიანებისაგან, რომლებიც ირანში სხვადასხვა გზით მოხვდნენ. ყულის ჯარში დიდი რაოდენობით იყვნენ გამაჰმადიანებული ქართველები. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყულის ჯარის მეთაური (ყულარაღასი) აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. ყულის ჯარი 10000 კარგად შეიარაღებული, დისციპლინირებული მხედრისაგან შედგებოდა. შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი ერთგული სამსახურისთვის ყულამების მეთაურად დანიშნა და ყულარაღასობა უბოძა.

1595 წ. შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი ყიზილბაშ ამირებს დაუპირისპირა და ფარსის პროვინციის მმართველად დანიშნა. ერთი წლის შემდეგ კი ქილყიეს მთის გამგებლობაც მისი მმართველობის სფეროს მიუმატა. ალავერდი-ხანი მამაცი, საქმის მცოდნე, წინდახედული, სულგრძელი და შაჰისადმი ერთგული სარდალი იყო.

1601 წ. ალავერდი-ხანმა ხელთ იგდო ლარსის ვილაიეთი, ომანის ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად, აგრეთვე ბაჰრეინის კუნძულები სპარსეთის ყურეში და მნიშვნელოვნად შეზღუდა პორტუგალიელების გავლენა ამ რეგიონში. ეს ტერიტორია კი მეტად მნიშვნელოვანი იყო ირანისათვის, რადგანაც შაჰ-აბასი დიდ ყურადღებას აქცევდა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობას საზღვაო გზით – სპარსეთის ყურიდან.

შაჰ-აბასთან ერთად ალავერდი-ხანს გარკვეული წვლილი მიუძღვის ირანის არმიის რეორგანიზაციის საქმეში. 1599 წელს ირანში ჩავიდა ინგლისის ელჩი ანტონი შერლი, თავისი ძმის რობერტ შერლისა და 25 კაცის თანხლებით. ალავერდი-ხანმა მათი დახმარებით ირანის არმია შეაიარაღა ცეცხლსასროლი იარაღით, რის შედეგადაც მისი ბრძოლისუნარიანობა საგრძნობლად გაიზარდა. სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის უპირატესობის წყალობით ოსმალეთი წინა ომებში ადვილად ამარცხებდა ირანის ლაშქარს, ახლა კი ეს უპირატესობა აღარ გააჩნდა.

1603-1612 წ.წ. ირან-ოსმალეთის ომის დროს ალავერდი-ხანმა განსაკუთრებით გამოავლინა თავისი მხედართმთავრული ნიჭი. მან რამდენიმე დიდი გამარჯვება მოიპოვა ოსმალეთის არმიაზე.

ალავერდი-ხანი დიდ სიმდიდრეს ფლობდა. მარტო ფარსის საბეგლარბეგოდან მისი ყოველწლიური შემოსავალი 50-100 ათას ეკიუს შეადგენდა.

ალავერდი ხანი დიდ სამშენებლო საქმიანობას ეწეოდა: გაჰყავდა გზები, აშენებდა სასახლეებს, ქარვასლებს, აბანოებს, ხიდებს და სხვა. მის მიერ ისფაჰანში აგებული ხიდი დღესაც მის სახელს ატარებს. მისივე ხარჯით იყო შესრულებული ზოგიერთი ფრესკა ისფაჰანში ჩეჰელ-სუთუნის სასახლეში, მის მოხატულ კედლებზე მნახველთა გადმოცემით, გაკეთებული იყო ქართული წარწერებიც.

შაჰ-აბასი ალავერდი-ხანს დიდ ანგარიშს უწევდა. შაჰს პორტუგალიის ელჩთან ანტონიო გოვეასთან ერთ-ერთი საუბრის დროს უთქვამს „მთელი სპარსეთი მე მემორჩილება და მე კი ალავერდი-ხანს“.

ირანელი პროფესორი ნასროლა ფალსაფი ალავერდი-ხანს შემდეგნაირად ახასიათებს: „შაჰ-აბასი ალავერდი-ხანს ყველა სხვა დიდ სარდლებზე უფრო მეტად აფასებდა და პატივს სცემდა, რადგანაც იგი ხანდაზმული კაცი იყო, შაჰი მას მამას ეძახდა. ვერც ერთი სარდალი ვერ უტოლდებოდა მას ჩინისა და თანამდებობის მხრივ. იგი, კარგად შეიარაღებული და ომში გამოწრთობილი ოცდაათიათასიანი ცხენოსანი ჯარით, ირანის სამხრეთით მდებარე ყველა

ვილაიეთზე, სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე მბრძანებლობდა. შაჰ-აბასი დიდი ომებისას, რომელსაც იგი ოსმალეთთან აწარმოებდა, უმთავრესად მის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა ხოლმე“.

1613 წლის ზაფხულში ალავერდი-ხანი მოულოდნელად გარდაიცვალა. მის სიკვდილთან დაკავშირებით ასეთი ლეგენდა არსებობს: ალავერდი-ხანმა რამდენიმე დღით ადრე კაცს, რომელსაც მისი აკლდამის გაკეთება ჰქონდა დავალებული, ჰკითხა, თუ რა მდგომარეობაში იყო მისი სამარადისო განსასვენებლის მშენებლობა, რომელმაც გულუბრყვილოდ უპასუხა: „მაღალი გუმბათი და აივანი, რომელიც დასამარხ ადგილას არის განკუთვნილი, სრულყოფილი სახით დასრულდა და თქვენს მობრძანებას ელის“. საუბრის დამსწრე პირებმა ეს კაცი ლაყბობისა და დაუფიქრებელი პასუხისთვის გაკიცხეს, ხოლო ალავერდი-ხანმა იგი გაამართლა და განაცხადა, რომ ეს სიტყვები ზებუნებრივმა ძალამ ჩააგონა და ამ ქვეყნიდან წასვლის დრომ მართლაც მოაწია და ამ საუბრის შემდეგ მალე გარდაიცვალა.

ალავერდი-ხანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობები მოეპოვება შაჰ-აბასის ოფიციალურ მემატიანეს ისქანდერ მუნშის. მისი გადმოცემით, შაჰ-აბასი ფარასაბადიდან ისფაჰანში ბრუნდებოდა. ალავერდი-ხანი მის შესახვედრად ფარსიდან სატახტო ქალაქში ჩავიდა. შაჰმა, როცა მას თვალი მოჰკრა, თავის თანამგზავრებს ჩუმად გადაულაპარაკა: „ალავერდი-ხანს საიმქვეყნიო პირი უჩანსო“, რადგანაც მას სახეზე სისუსტისა და უძლურების ძლიერი ნიშანი აღბეჭდოდა. შემდეგ მემატიანე დასძენს: შემთხვევით, ისე როგორც შაჰმა იწინასწარმეტყველა, რამდენიმე დღის შემდეგ ფარსის ამირთა-ამირა ავად გახდა და ხსენებული წლის 14 რაბიოლსანის ოთხშაბათ დღეს (1613 წ. 3 ივნისს) გარდაიცვალა.

ასეთია ისქანდერ მუნშის ვერსია ალავერდი-ხანის სიკვდილთან დაკავშირებით. აქედან, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ალავერდი-ხანი გარდაიცვალა 1613 წლის 3 ივნისს, ხოლო შაჰ-აბასმა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო 1613 წლის ოქტომბრის დასაწყისში. ხომ არ არსებობს ამ ორ ფაქტს შორის ურთიერთკავშირი? ეს გარემოება ყოველთვის ეჭვს ბადებდა.

შაჰ-აბასმა დიდი პატივი მიაგო მიცვალებულს, ისქანდერ მუნშისავე ცნობით, შაჰი ამირებისა და დიდებულების თანხლებით, თავისი ერთგული და თავდადებული სარდლის პანაშვიდს დაესწრო და განბანვის და შესუდრვის ცერემონიალშიც მიიღო მონაწილეობა. ამასთანავე ბრძანა, რომ მისი ნეშტი დიდი პატივით გადაესვენებინათ მეშჰედში და დაესვენებინათ აკლდამაში, რომელიც თვით ამ სარდალს აეგო იმამ-რიზას საფლავის მახლობლად. 150 თუმანიც სამეფო ხაზინიდან გასცა მისი დაკრძალვის ხარჯებისთვის. მეორე დღეს შაჰ-აბასი მის უფროს ვაჟს იმამყული-ხანს ეწვია, გაამხნევა იგი და მისი სხვა ნათესავნი. შაჰმა იმამყული-ხანს მამის თანამდებობა – ფარსის ბეგლარბეგობა უბოძა, ხოლო მისი მეორე ვაჟი დაუდ-ხანი ყარაბაღის ამირთა-ამირად და ყაჯართა ტომის მეთაურად დანიშნა.

მამა ანტონიო გოგეა წმ. ავგუსტინეს ორდენიდან აღნიშნავს (რომელიც ფრანგულადაა ნათარგმნი, რედაქტირებული და გამოქვეყნებული რუანში 1646 წ.), რომ კარმელიტთა თანახმად, იმამყული-ხანს ჰყავდა ძმა, დაუდ-ხანი, თეიმურაზის სიძე. დაუდ-ხანი იყო ყარაბაღის პროვინციის მმართველი და ავგუსტინელი კარმელიტი მისიონერების მეგობარი. მან მისიონერებს სარეკომენდაციო წერილები გაატანა თავის ძმასთან, იმამყული-ხანთან 1623 წელს შირაზში კარმელიტი ბერების რეზიდენციის დაარსების თაობაზე. იმამყული-ხანსა და მის სამ შვილს შაჰ-აბასის მემკვიდრის, შაჰ-სეფის ბრძანებით 1633 წ. თავები მოჰკვეთეს. ამის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც მიუთითებენ, რომ დაუდ-ხანმა შაჰ-სეფის უღალატა და ჯერ თავის ქვისლთან თეიმურაზთან, ხოლო შემდეგ თურქეთში გაიქცა.

ალავერდი-ხანის პოზიციას საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისქანდერ მუნშის ცნობით, როდესაც შაჰ-აბასი დედაქალაქში დაბრუნდა, ალავერდი-ხანი მის შესახვედრად ფარსიდან ისფაჰანში ჩავიდა. უფრო სწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ შაჰმა იგი დედაქალაქში გამოიძახა და „საქართველოს გეგმა“ გაანდო. ჩანს, ალავერდი-ხანმა არ გაიზიარა ეს გეგმა და შაჰმა მასზე „საიმქვეყნიო და უძლურების ნიშანი“ აღბეჭდა (მოწამლა) და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ისქანდერ მუნიშიმ ოსტატურად შენიღბა შაჰ-აბასის ეს ვერაგული ნაბიჯი, ხოლო ალავერდი-ხანის სიკვდილის ნამდვილი მიზეზის შესახებ ხალხში მხოლოდ გადაკვრით ლაპარაკობდნენ, რადგანაც ეშინოდათ შაჰის რისხვისა.

დიდი ხნის განმავლობაში შაჰ-აბასის მიერ ალავერდი-ხანის მკვლელობასთან დაკავშირებით მკვლევარებს რაიმე არსებითი ხელშესახები მასალა არ გააჩნდათ და ისინი მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდნენ.

ი. ტაბაღუამ საფრანგეთიდან ჩამოიტანა და თარგმნა ნაწყვეტები კლოდ მალენერის წიგნიდან, გამოცემული დე სენ-ლაზარის მიერ პარიზში 1635 წელს, რომელშიც ვკითხულობთ: „შაჰი მეტად განრისხებული იყო. შირაზის ხანი, სახელად ალავერდი და მისი ჰარამხანის მეთვალყურე და მაღალ ხელისუფლებით აღჭურვილი ყორჩიბაში, შეეცადნენ უარი ეთქმევინებინათ შაჰისათვის თავის გადაწყვეტილებაზე, თვითონ პირადად წასულიყო ქართველების წინააღმდეგ სალაშქროდ. ამის გამო ირანის შაჰის რისხვას ვერ გადაურჩნენ: შაჰმა ბრძანა ალავერდი-ხანი მოეწამლათ (იგი მოწალმეს). მან სიკვდილის წინ გამწარებულმა ხელები დაუკბინა თავის ცოლს, ყორჩიბაში კი შაჰის ბრძანებით ჯოხით სცემეს“.

ისმის კითხვა, თუ შაჰ-აბასმა ალავერდი-ხანი თავიდან მოიშორა და მოაწამვლინა, მაშინ რატომ დააწინაურა მისი შვილები? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმამყული-ხანს მამის თანამდებობა – ფარსის ბეგლარბეგობა უბოძა, ხოლო დაუხ-ხანს – ყარაბახის ამირობა. როგორც ჩანს, ალავერდი-ხანი ირანში საკმაოდ დიდი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა, შაჰმა მისი მკვლელობა საიდუმლოდ განახორციელა, ხოლო ოფიციალურად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, დიდი პატივით დაასაფლავა. შაჰს არ სურდა ეს ამბავი გახმაურებულიყო. მით უფრო, რომ მას 1613 წელს საქართველოში ლაშქრობის გეგმა არ შეუცვლია. ამასთან დაკავშირებით, აგრეთვე, „აღსანიშნავია, რომ უნდილაანთ ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი ყულარაღასობისა და ბეგლარბეგობისა, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში პირადად მონაწილეობა არ მიუღიათ“.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ალავერდი-ხანის შვილები იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი, მიუხედავად მამის ასეთი აღსასრულისა, მაინც შემლებისდაგვარად განაგრძობდნენ საქართველოს სამსახურს. შემთხვევით არ აიხსნება ის ფაქტი, რომ 1625 წელს დაუდ-ხანმა კავშირი დაამყარა გიორგი სააკაძესთან, ხოლო შემდგომში კი თეიმურაზ მეფესთან და მონაწილეობა მიიღო შაჰ-სეფის წინააღმდეგ აჯანყებაში, რაც გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ირანში უნდილაანთ ფეოდალური სახლის ამოწყვეტისა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973;
2. საქართველოს ისტორია ტ. I, თსუ, 2006;
3. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1998;
4. გულბენკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, თბ., 1987;
5. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990;
6. ტაბაღუა ი., საქართველო-ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II-III, თბ., 1983.

ოსური ახალშენები საქართველოში

თინათინ მახათაძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების პირველი წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **იოსებ ალიმბარაშვილი,** მოწვეული სპეციალისტი

პირველი ცნობა საქართველოში ოსთა შემოსვლა-დასახლების შესახებ, IX ს-ის შუა ხანებს ეკუთვნის. 853 წელს ბუღა თურქს ოსები ქვემო ქართლში, დმანისში დაუსახლებია. „მატიანე ქართლისა" გადმოგვცემს: „დარიალანით გადმოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი და დასხნა იგინი დმანისს და ენება ზაფხულის შესვლა ოვსეთად"[18]. ბუღა თურქმა 853 წელს ოსების 100 ოჯახი დაასახლა დმანისში. წყაროებში არ ჩანს ოსთა 100 ოჯახი სამუდამოდ დაეფუძნა თუ არა ქვემო ქართლში. ისინი მცირე ხანში ასიმილირდნენ ქართველთა მიერ.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მასობრივი გადმოსახლების I ეტაპი XIII ს-ის 60-იან წლებში დაიწყო და XIV ს-ის პირველ მეოთხედში დამთავრდა. ოსთა სხვადასხვა რაზმები, მონგოლთა მხარდაჭერით ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებას. ჟამთააღმწერლის ცნობით,

[18] ქ. ცხ, I., გვ. 256-257.

დავით ულუს დროს (1243-1269 წ.წ.) ისინი დარუბანდის გზით გადმოდიან საქართველოში და ესახლებიან თბილისს, ჟინვანსა და დმანისში. წყაროში ვკითხულობთ: „ამა ჟამთა გარდმოვიდეს ბერქა ყაენისაგან ლტოლვილნი ოსნი, დედაკაცი საკვრეველი, სახელი ლიმაჩავ და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავითა ახასარ-ფაკაიანნი, პირმშო ფარეჯან და უმრწმესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფის წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა და წარავლინა ყაენს ულუს წინაშე და ყაენმა შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა, მოლაშქრე და თანამბრძოლელად. განაჩინნა და ესრეთ მეფესთანავე წარმოავლინა. ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე-დმანისს და სხვანი-ჟინოვანს”[19]. ოსთა მცირე ნაწილების მოსვლას საქართველოში სამ სხვადასხვა ქალაქში, დემოგრაფიული თვალსაზრისით რაიმე სერიოზული გავლენა არ მოუხდენია და ეს ოსებიც, დროთა განმავლობაში, ქართველებში ასიმილრდნენ.

ოსები მონგოლთა მხარდაჭერით ცდილობენ ქართლში სამოსახლო ტერიტორიების მოპოვებას. ოსთა ამ ბრძოლას ქართლში სათავეში უდგას ბაყათარი. ჟამთააღმწერელი წერს: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად დაიჭირეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავსა ბეგას ძესა, ჰამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა, მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწვეს გორი სრულიად. და ვითარცა მისჭირდა ოვსთა, ციხიდამე გარმოშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს მდგომსა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმა ჩამოდგეს შუა შუელა ქმნეს და ზავი. და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი, განხსნა და აღფხვნა ოვსნი, წაართვა მათ „ციხენი და დაბები”, რომლებიც „დაეპყრათ ადგილ-ადგილ”[20].

გიორგი ბრწყინვალე მარტო ამ გაძევებას არ დასჯერდა და ისინი ქართველთა ჯარით შუაგულ ოსეთამდის მიჰყვა და იქ ჩარეკა. მან ქართველ მიწისმფლობელთათვის ოსთაგან მომდინარე საფრთხე ენერგიული ღონისძიებებით აღკვეთა და ოსები სოციალურ-პოლიტიკურად დაიმორჩილა.

XIV ს-ში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ოსთა დასახლებები არ არსებობს. ძირითადად კი დვალეთში ოსთა განსახლება XVI ს-ში განხორციელდა ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან. ერთ-ერთი პირველი რეგიონი, სადაც ოსები ქურთათის ხეობიდან ესახლებიან დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ესაა თრუსო[21]. თრუსოში ოსების დასახლება ხდება XVII ს-ის დასაწყისში. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები დასახლებას იწყებენ მხოლოდ XVIIს-ის შუა ხანებიდან.

საქართველოს საზღვრებში ოსები XVII ს I ნახევარში ესახლებიან თერგის ზემო წელში (თრუსოში) და დიდი ლიახვის სათავეში (მაღრან-დვალეთში). XVIIს II ნახევრიდან ოსები ქართველებზე გამუდმებული თავდასხმებით და დევნა-შევიწროებით იკავებენ დიდი ლიახვის ხეობის მთელ მთიან ნაწილს.

XVIII ს-ის დასაწყისიდან ოსებმა საქართველოს ისტორიული მხარე-დვალეთი თანდათანობით მიითვისეს, მიისაკუთრეს, სახელწოდება შეუცვალეს და ოსეთი უწოდეს.

თრუსოში ვახუშტი 8 ოსურ სოფელს მიუთითებს, ოღონდ მათ სახელებს არ ამბობს. ამ 8 სოფელში არ გულისხმობს შევარდენს, ოქროყანას, მნას. XVIII ს-ის აღწერის მასალების მიხედვით, აშკარაა, რომ მნაში ქართველები ცხოვრობენ.

XVIII ს-ის დასასრულს 8 ოსური სოფელი აქვს მითითებული თრუსოში იოანე ბაგრატიონსაც[22]. 1776 და 1780 წლების მონაცემებით ეს სოფლები იყო: თეფე (იგივე რეში), გიმარა, ჩოჩოლა(იგივე ყაყიდაური), ხუცურა(იგივე ყარაათკავი), დენცე, ქვ.დენცე, საოტი და ჯახაგორი.

XVIII ს-ის დასასრულს ხევში კიდევ ერთი ოსური სოფელი-კობი ჩნდება[23]. თერგის ხეობაში XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ოსებმა კიდევ ორი ახალი სოფელი (აბანო, ქეთრისი) შექმნეს და თრუსოს რვა ოსური სოფელი ათად იქცა.

ქსნის ხეობაში ოსები განსახლებულნი იყვნენ მის სათავეში-ჟამურში, სადაც მათ 9 სოფელი ჰქონდათ (1814 წლის აღწერით ეს სოფლები იყო: გორგა, ბაგინი, ნავისხევი, წინსოფელი, ჯავათკარი) ჭურთის ხეობაში 9 სოფლიდან 6 ქართული იყო და 3 ოსური.

---

[19] ჟამთააღმწერელი, გვ. 136.

[20] ჟამთააღმწერელი, გვ. 189

[21] როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ოსთა ჩამოსახლება, ლომისი, თბილისი, 1997, გვ. 138

[22] ვახუშტი, თ. ლომურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, გვ. 220; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოცემა, გვ. 35.

[23] ი. ბაგრატიონი, გვ. 35.

XVIII ს-ში ქსნის ხეობაში ოსებმა დაბლობისკენ ჩამოინაცვლეს. ვახუშტის დროინდელი სამი ოსის მდ. ჭურთაზე, 8 სოფლად იქცა. ქართველებმა დაიკლეს და 6 ქართული სოფლის მაგივრად 2 სოფელი დარჩა[24]. ი. ბაგრატიონის მიხედვით, XVIII ს-ის ბოლოს ალევის ხეობაში 3 ოსური სოფელი წარმოქმნილა[25], ალევის ხეობის სათავეში (საფერშეთში). 2 ახალი ოსური სოფელი იყო ძაბოეთიც, მუჯუხიც, ერთი ოსური წარმოქმნილა ქარჩოხშიც.

XVIII ს-ის ბოლოს ერთი ოსური სოფელი წარმოქმნილა ლეხურას ხეობაში. XIX ს-ის 10-იან წლებში ლეხურას ხეობაში მხოლოდ ერთი ქართული სოფელი იყო ხეობის სათავეში (ქოლოთი) და ერთიც - ოსური (ქვითკირი) დანარჩენი სოფლები ნასოფლარებად იყო ქცეული.

XVIII ს-ის ბოლოს სავახტანგოში ოსური სოფლები იყო ვანათს ზემოთ: მარალეთი, ყლარცვი, მეფარეთი და გერი.

დიდი ლიახვის ხეობაში XVIII ს-ში ოსური სოფლები იყო: გუფთა, ხოსო, პატარა ჯავა, ქეშელთა, სხლები, ჯავა, ხვწე, მუგუთი, კოშკა, ჟბა და როკა.

ფრონეს ხეობაში XVIII ს-ის 30-იან წლებში არცერთი ოსური სოფელი არ იყო.

ვახუშტის ცნობით, XVIII ს-ის I ნახევარში მეჯუდა ხეობის სათავეში 5 ოსური სოფელი არსებობდა. XVIII ს-ის II ნახევარში მეჯუდას ხეობის ზემო წელზე დამატებით, ოსებით დასახლებული 4 სოფელი წარმოქმნილა.

XVIII ს-ში არაგვის ხეობაშიც გვხვდება ოსებით დასახლებული ერთადერთი სოფელი ღუდა.

XIX ს–ის II ნახევარში ფრონეების ხეობის სოფლებში: სიხლეთში, თორმარნეულში მავდაში, ბეყმაიში, ღარისთავში, მეტეხში... უკვე ოსები იყვნენ დამკვიდრებული.

XVIII ს-ის ბოლოს ჩრდილოეთ კავსკასიელი ოსები ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით აღარ გადმოსახლდა, რადგან ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფალთაგან მათ უკვე ფართოდ ჰქონდათ გახსნილი კარები ჩრდილოეთ კავკასიის მთისწინეთსა და ბარში.

XVIII ს-ის დამდეგიდან დაიწყო ღუდის ხევში ოსების ჩასახლება, რამაც აღნიშნული რაიონი ჯერ ქართულ-ოსურ, ხოლო შემდეგ მარტოოდენ ოს მოახალშენეთა კომპაქტური განსახლების მხარედ იქცა.

აღსანიშნავია, რომ ოსების განსახლების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საფლავის ქვების წარწერები.

სოფ. კუსირეთში სასაფლაოს სამარხების თარიღიანი ქვების ეპიტაფიები ოსთა გვარებს იხსენიებს და ისინი XIX ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და უფრო გვიანდელია. ეპიტაფიები უტყუარი მოწმეა ამათუ იმ ეთნოსის განსახლებისა და ცხოვრების შესახებ.

კუსირეთში ოსური გვარები XX ს-ის დასაწყისში ქართული დაბოლოებებით ფიქსირდება, შემდეგ კი - რუსულით. მაგ. (1890-1904) - ბეთიევი ან ბეთევი (1905-1909), ქოქოშვილი (1877) - ქოქოევი (1906). ერთსა და იმავე ქვაზედაც კი მამაშვილთაგან, ტატო ბეთეშვილია (1904), ხოლო ალექსი ტატოს ძე ბეთევია (1905). წუნარის სასაფლაოს ერთ-ერთ ქვაზე სალომე ჯიოშვილია (1902), მისი მახლობელი დავითი უკვე ჯიოევია და ა.შ. [26]

1902 წელს გორის მაზრიდან გადმოსახლებულმა ოსებმა სოფელ ფიჩხოვანში შეისყიდეს ადგილები და აქ დამკვიდრდნენ[27].

თრიალეთში ოსების მესამე გამოჩენა XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დამდეგს დაიწყო. ისინი ძირითადად თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში არიან ჩასახლებულნი: პატარა კლდეისარში, დუმანისში, ფიტარეთში, აღკალაფაში, ალექსეევკაში და სხვა.

სოფ. დუმანისში ცხოვრობენ: მაკიევები, ფუხაევები, თვაურები, მელაძეები, და სხვა[28].

საქართველოს სხვა კუთხეებში, კერძოდ, პანკისელ ქისტებთან ახლოს, ალაზნის პირას განლაგებული იყო რამდენიმე ოსური სოფელი. ოსები აქ დასახლდნენ XX საუკუნის დასაწყისში ქართველ მიყიდულ მიწებზე. ამ ფაქტს მოჰყვა მიწათსარგებლობის ნიადაგზე ოსებსა და ქისტებს შორის დაპირისპირება[29].

პანკისის ხეობის ოსური მოსახლეობის სოფლები განლაგებულია მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე. ეს სოფლებია დუმასტური, ქვემო ხალწანი, წინუბანი, ქორეთი. ქისტებით დასახლებულ სოფ.

---

[24] ი. ბაგრატიონი, გვ. 37.

[25] იქვე, გვ. 36.

[26] ი. მეგრელიძე,სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ. 191-192.

[28] გ. ჯალაბაძე, ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ. „ქვემო ქართლი“, თბ., 1990, გვ. 21.

[29] ა. სონღულაშვილი, სამხრეთ ოსეთი საქართველოში, თბ., 2009, უნივერსალი, გვ.72.

ომალოს ესაზღვრება ოსების სოფელი დუმასტური, რომლის მოსახლეობა ჯავის რაიონის სოფლებიდან გადმოსახლდა 1905 წელს. ძირითადი გვარებია ჯიოევი, ქოჩიევი, მაკოევი, თედეევი, ცხოვრებოვი, ქოზაევი, ძუგაევი და ა.შ.

XX ს-ში ოსთა კომპაქტური დასახლებები ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდინარე ფრონეს სათავეები, ყორნისისა და წუნარის რაიონები. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფელ კეხვამდე. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფელ ვანათამდე ცხოვრობდნენ. ვანათის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ქართული სოფლები, ბელოთი, ორი ხოწურა, საცხენეთი, აწრის ხევი და სხვა, დუშეთის მაზრაში ოსები ცხოვრობდნენ არგვისა და ქსნის სათავეებთან, რაჭის მაზრაში-ჯეჯორას სათავესთან ჩასვლის რაიონში[30].

1933 წ. შეიმჩნეოდა ჩრდილოეთ ოსეთიდან ოსი მოსახლეობის მასობრივი გადმოსვლა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში". ოსების ეს ნაწილი აქედან წასულები იყვნენ ჯერ კიდევ 1920 წელს ცნობილი მოვლენების დროს. ჩამოსულები მოითხოვდნენ საკოლმეურნეო მიწებს, რომლებიც თავისად მიაჩნდათ[31].

1934 წლისთვის სოფელ ყორნისი 16-18 კილომეტრით იყო დაცილებული ცხინვალიდან. ამ დროისათვის სოფელში ძირითადად ოსები ცხოვრობდნენ. ისინი აქ დამკვიდრდნენ, მესამე თაობას წარმოადგენდნენ [32].

სოფელ წუნარის მოსახლეობა კვლავ ხელოვნურად იზრდებოდა. როკის „გაღმიდან" 35 ოსური ოჯახი ჩამოასახლეს. 1937 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფ. გნუღოდან აქ დამკვიდრდნენ ხუბაევები, თარაევები და სხვა. იქ თუ უსახლკაროდ იყვნენ, მადლიან ქართულ მიწაზე ორ-ორ ოთახიანი ქვითკირის სახლები აიშენეს და მშვენივრად მოაწყვეს ოჯახები[33].

<u>ძირითადი დასკვნები:</u>

საქართველოს სახელმწიფოს დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ოსებთან. ეს ურთიერთობა ხან მტრული და ხანაც მეგობრული იყო. თემურ-ლენგის ორ გზის გამანადგურებელი (1395 და 1400 წწ.) ბრძოლების შემდეგ ოსები მნიშვნელოვნად დაზარალდნენ. ამ დროიდან ისინი საბოლოოდ შედიან კავკასიის ვიწრო ხეობებში. ამავე დროიდან დაკარგეს რა არსებობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ტერიტორიები, ოსთა სხვადასხვა რაზმები, მონგოლთა მხარდაჭერით ცდილობენ საქართველოში დამკვიდრებას.

XIII ს-ში ოსებმა ჩრდილოეთ კავკასიის ხეობებში დაიწყეს შესვლა, რაც XV საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა.

ამ პერიოდში მხოლოდ ოსების ერთმა ჯგუფმა სცადა შიდა ქართლში დასახლება. ოსებმა ისარგებლეს საქართველოს დასუსტებით და მონგოლთა მხარდაჭერით შიდა ქართლში სამოსახლო ადგილების მოპოვებას შეეცადნენ. ოსთა ეს დაჯგუფებები მეფე გიორგი ბრწყინვალემ გაანადგურა და საქართველოდან გააძევა.

კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული საქართველოს პროვინციაში – დვალეთში ოსების შემოსახლება იწყება XV საუკუნიდან. ეს პროცესი აქ ძირითადად განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი დვალეთში დასრულდა ადგილობრივი ქართველური ტომის-დვალების ასიმილაცია ოსების მიერ.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა პირველი დასახლებები ჩნდება თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან დვალეთში (მდ. დიდი ლიახვის სათავე). ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობიდან XVII ს-ის პირველ ნახევარში განხორციელდა.

XVIII ს-ის 30-იან წლებისათვის ოსები ითვისებენ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. ოსთა მიერ შიდა ქართლის მთიწინეთის სოფლებში ჩასახლება იწყება XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში.

XVIII ს-ის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორისა (კუდარო) და ქსნის ხეობების სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდება, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე დიდი ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებული არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამურში). XVIII ს-ის დასაწყისში მცირე რაოდენობით

---

[30] ქართველი და ოსი ხალხების ისტორიიდან, თბ., 1991, გვ.70.

[31] ა. სონღულაშვილი, სამხრეთ ოსეთი საქართველოში, თბ., 2009, უნივერსალი, გვ.74

[32] გ. ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1997, გვ. 228

[33] კომუნისტი, 1939, 11 მარტი.

ოსური მოსახლეობა ჩნდება მეჯუდას ხეობის სათავესა და ისროლის ხევში. მეჯუდას ხეობის სათავეში ისინი პატარა ლიახვის ხეობის სათავიდან გადმოდიან.

XVIII ს-ის ბოლოსათვის ოსთა განსახლების უკიდურესი პუნქტები იყო:კუდარო-გუფთა-აწერისისხევის ზემოთ-მეჯუდას ხეობის სათავეში 2 სოფელი - ჟამური (ქსნის ხეობაში) - ღუდა (მდ. თეთრი არაგვის ხეობის სათავე) - თრუსო (მდ. თერგის სათავე).

XVIII ს-ის დასასრულიდან შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ დვალეთის ოსური მოსახლეობა, რომლებსაც დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მიგრაცია არ შეუწყვეტიათ თითქმის მთელი XIX ს-ის მანძილზე.

XIX ს-ის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურასა და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან. პატარა და დიდი ლიახვის ხეობიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში.

ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა) ხორციელდება.

XIX ს-ის 30-იან წლებში ჩნდება თითო-ოროლა ოსური ოჯახი შიდა ქართლის გაღმა მხარეში, სადაც მიგრაცია ძირითადად XIX ს-ის II ნახევარში განხორციელდა. XIX ს-ის II ნახევარში დასახლდნენ ოსები დღევანდელი ბორჯომის რაიონში (გუჯარეთის ხეობა).

კახეთსა და ქვემო ქართლში ოსები შიდა ქართლის მთიანეთიდან XX ს-ის დასაწყისში გადასახლდნენ.

ოსების საქართველოში შემოსვლა და დასახლება მთლად მშვიდობიანი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის მთიან ხეობაში მომწყვდეულმა ოსებმა ძალით გამოიკაფეს გზა, როგორც დვალეთში, ისე შიდა ქართლის მთიანეთში.

დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მიგრაციას ხელი შეუწყო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ. მტერთა ხშირი თავდასხმებისაგან დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო ვეღარ ახორციელებდა კონტროლს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსასვლელ ჩამკეტ კარებებზე – კასრის კარზე და დარიალზე.

XVIII ს-ის ბოლოდან და XIX ს-ის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალ მთიანეთის სოფლებიდან, დაბლობის მიმართულებით, ოსთა თანდათანობით, ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა.

ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა I შემოსახლება დვალეთში მოხდა. დვალეთი მხოლოდ 1859 წელს დაკარგა საქართველომ, როდესაც მეტროპოლიამ ის რუსეთის, თერგის ოლქს დაუქვემდებარა.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე ოსების თანდათანობით განსახლებამ ჩვენ ქვეყანას მძიმე შედეგი მოუტანა. მათი წყალობით საქართველომ დაკარგა ისეთი ისტორიული რეგიონი, როგორიცაა დვალეთი და მისი შემოგარენი. ასევე დიდი და პატარა ლიახვის ხეობის გარკვეული სოფლები.

ლიტერატურა:

1. რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997 წ.
2. ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში, თბ, სახელმწიფო სტამბა, 1916 „ხელოვნება", თბ., 1990 წ.
3. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVII სს, „საბჭოთა გამომცემლობა", თბ., 1969 წ.
4. ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი" საქართველოში?!, „უნივერსალი", თბ., 2009 წ.

ქართული კულტურა XVIII საუკუნეში

ია მჭედლიძე
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **ბადრი რაზმაძე,** ასოცირებული პროფესორი

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო ირანის, დასავლეთ საქართველო კი თურქეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა. ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ზრუნვას ქართველთა ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის, რაც, პირველ რიგში, ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობით გამოიხატებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ამ მუშაობას სათავეში ედგა ქართლის მეფე ვახტანგ VI, რომლის ირგვლივ შემოიკრიბა მეცნიერებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა დასი. ,,სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! - წერდა ივ. ჯავახიშვილი - ასე დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად.“

დასავლეთ საქართველოში არსებული უმძიმესი პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა არც იქ შეწყვეტილა. ქუთაისში, გელათში, ზუგდიდში, ოზურგეთში, მარტვილში და სხვა პოლიტიკურ თუ სასულიერო ცენტრებში მოღვაწე ქართველი მოაზროვნენი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ქართული კულტურის გადარჩენა-განვითარებისათვის.

XVIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში სწავლა-განათლების კერათა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, განათლების მიღების შესაძლებლობა შეიზღუდა.

დასავლეთ საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცოცხლებაში წვლილი შეიტანეს გიორგი IV გურიელმა და ნინოწმინდელმა ეპისკოპოსმა, რომელმაც გურიაში სკოლა გახსნა და საგანმანათლებლო საქმიანობა გაშალა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა ქართლში, ვახტანგ VI-თან გადასულიყო.

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო პირველი ქართული სტამბის დაარსება საქართველოში, თბილისში, 1709 წელს. თბილისში სტამბის შექმნის ინიციატორი ვახტანგ VI იყო. ვახტანგს ანთიმოზ ივერიელი დახმარებია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ,,ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. ეს იყო არა მარტო პირველი ნაბეჭდი ,,ვეფხისტყაოსანი“, არამედ მისი პირველი მეცნიერული გამოცემაც. სარედაქციო სამუშაო თავად ვახტანგ VI შეასრულა: შეეცადა ტექსტის გაწმენდას მოგვიანო ხანის ჩანართ-გაგრძელებებისაგან, გამოცემას დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელსაც ,,თარგმანი“ უწოდა და სადაც დაასაბუთა ,,ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის აუცილებლობა, დაურთო აგრეთვე ლექსიკონიც. ამით ვახტანგმა სათავე დაუდო ,,ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-კრიტიკულ შესწავლასა და მეცნიერულ რუსთველოლოგიას.

ნაბეჭდი წიგნის გაჩენა,დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ თბილისის სტამბის პროდუქცია ჯერ ვერ აკმაყოფილებდა წიგნზე არსებულ მოთხოვნას. ამიტომ წიგნების გამრავლების მნიშვნელოვან კერებად კვლავ ეკლესია-მონასტრები რჩებოდა.

XVIII ს. პირველ მეოთხედში გარდატეხა მოხდა საისტორიო მეცნიერების დარგში. ეს გარდატეხა ვახტანგ VI და მის მიერ შექმნილი კომისიის მუშაობას უკავშირდება. ამ დროისთვის „ქართლის ცხოვრება“ „გარყუნილ იყო, რომელნიმე მწერალთა მიერ და რომელნიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო.“ ვახტანგმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ისტორიის მთავარი წერილობითი წყაროს მდგომარეობას და მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა.

ქართული მეცნიერული აზროვნების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ვახუშტი ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა) - 1696-1757 წწ. იგი ვახტანგ VI–ის უკანონო შვილი იყო. თავდაპირველი განათლება მამის კარზე მიიღო დეკანოზ იესე გარსევანიშვილის ხელმძღვანელობით. შესაძლოა, თბილისში ევროპული განათლებაც მიიღო, კარგად იცოდა ლათინური ენა. ვახუშტი ბატონიშვილი ქართლის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო.

მაჰმადიანურ რკალში მოქცეული საქართველოს წინაშე მწვავე პრობლემად იდგა ქართული ენის დაცვის საკითხი. საჭირო გახდა ენის გაწმენდა მასში შემოჭრილი სპარსული და თურქული სიტყვებისაგან, ლექსიკური ნორმების დადგენა და პრაქტიკაში დამკვიდრება. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ქართული ენის ლექსიკონის შექმნა, რაც გიორგი XI არჩილისა და ლევან ბატონიშვილის

ინიციატივით, სულხან-საბა ორბელიანმა იტვირთა. ამ საქმეს მან თითქმის 33 წელი შეალია. ლექსიკონში გამოყენებულია როგორც ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ ლექსიკოგრაფთა გამოცდილება.

იმ დროინდელი ქართული პედაგოგიური და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია სულხან-საბა ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა". მასში გადმოცემულია მეფე ფინეზის ძის, უფლისწულ ჯუმბერის აღმზრდელის - ლეონისა და მეფის საჭურისის - რუქას დაპირისპირება ლეონის აღმზრდელობითი მეთოდის გამო.

შედარებით მკრთალად გამოიყურებოდა ლიტერატურული საქმიანობა დასავლეთ საქართველოში. აქ შექმნილი ორიგინალური თხზულებებიდან აღსანიშნავია გიორგი აბაშიძის ავტობიოგრაფიული ლექსი და ქება ვახტანგ VI. ნიკოლოზ შემოქმედელის პოეტური მემკვიდრეობიდან შემორჩენილი ერთი ლექსი და პეტრე ჩხატარაისძის პროზაული და პოეტური ნაწარმოებები.

XVIII ს. პირველ მეოთხედში აღორძინებას იწყებს ფილოსოფიური აზროვნებაც. იზრდება ინტერესი ბერძენი და რომაელი ფილოსოფოსების თხზულებებისადმი. მიმდინარეობს მათი გადმოქართულება და გავრცელება. ფილოსოფიის ღრმა ცოდნა აისახა სულხან-საბას ,,სიტყვის კონაში", სადაც მოცემულია ბევრი ფილოსოფიური ცნებისა და კატეგორიის მეცნიერული განსაზღვრება. წინასიტყვაობაში დასახელებულია წყაროებიც: ,,ელინთა, ლათინთა, სომეხთა, რუსთა და არაბთა წიგნები". სულხან-საბას ფილოსოფიური განსწავლულობა ჩანს აგრეთვე თხზულებაში ,,სიბრძნე სიცრუისა".

XVIII ს. პირველ მეოთხედში აგებული სამოქალაქო, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობების მხატვრული დონე ჩამორჩება წინა ეპოქების ძეგლებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, აღმშენებლობითი საქმიანობა გრძელდებოდა. ხუროთმოძღვრები და მშენებლები ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ უცხო ფორმების მოძალებას და დაეცვათ ეროვნული ხუროთმოძღვრული ტრადიციები.

დასავლეთ საქართველოში ახალი და მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლი XVIIIს–ის პირველ ნახევარში არ შექმნილა. იმერეთის მეფე გიორგი IV–მ განაახლა გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის ერთი ეკვდერი.

შემონახულია იმდროინდელი ეკლესიების მოხატულობანი, რომლებიც ადგილობრივ ოსტატთა შემოქმედების ნაყოფია. დიდი ყურადღება ექცეოდა ხატების დამზადება -შემკობას, რომელთა შესრულების დონე საკმაოდ მაღალია.

XVIII ს. მეორე ნახევარი როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანა იყო. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კულტურის განვითარებისთვის. მიმდინარეობდა ევროპული კულტურის ათვისებისა და აღმოსავლური კულტურის გავლენისაგან თავის დაღწევის პროცესი. ძლიერდება ეროვნული მოტივი.

ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე სერიოზული ყურადღება მიექცა სწავლა-განათლების საქმეს.დაფუძნდა რამდენიმე სასწავლებელი.

1758 წ. თელავში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1782 წ. გადაკეთდა ფილოსოფიურ სემინარიად. მისი პირველი რექტორი იყო გაიოზი - გაიოზ რექტორის სახელით ცნობილი. მისი ორიგინალური თხზულებებიდან ცნობილია ,,საქართველოს ისტორია", ნათარგმნი ლიტერატურიდან უნდა დავასახელოთ სოლომონის სიბრძნეთა თარგმანები, ძვ.აღმოსავლეთის ისტორია, ევროპის ქალაქთა ლექსიკონი და სხვა.

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გარდა, ქართლ-კახეთში კერძო სკოლებიც არსებობდა, სადაც ქართველებთან ერთად სომხები და მაჰმადიანებიც სწავლობდნენ. აქ ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, ქართულ ენას, გრამატიკას, არითმეტიკას. ცალკე არსებობდა კათოლიკეთა კერძო სკოლა, რომელმაც თეიმურაზ II–ის მიერ ქართლ-კახეთიდან კათოლიკეთა განდევნის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. 60-იან წლებში ერეკლე შეეცადა ქართლში კათოლიკეთა დაბრუნებას და მათი მეშვეობით ქართულ სკოლებში უცხო ენის სწავლებას.

ფეოდალთა წრეში ფართოდ იყო გავრცელებული გაძიძავება, როგორც აღზრდა-განათლების პირველი საფეხური. ძიძის შემდეგ ბავშვს რომელიმე სასულიერო პირს ან ფეოდალს მიაბარებდნენ ხოლმე აღსაზრდელად და გასაწვრთნელად.

1749 წელს თბილისში განახლდა XVIII ს–ის 20-იან წლებში გაუქმებული სტამბა. დაიბეჭდა ,,დავითნი". დაიწყო ახალი პერიოდი ქართული სტამბის ისტორიაში. სტამბა აღა-მაჰმად ხანის დროს დაინგრა, 1795 წელს. მისი აღდგენა მხოლოდ 4 წლის შემდეგ მოხერხდა ქრისტეფორე ბადრიძის თაოსნობით.

ეკლესია-მონასტრებთან მდიდარი წიგნსაცავები არსებობდა. მრავალი წიგნი ინახებოდა დავით გარეჯის მონასტრებში, თბილისის სიონში, შიომღვიმეში და სხვ. ანტონ კატალიკოსის წიგნსაცავში, რომელიც სპარსელებმა გაანადგურეს 1795 წელს, დაახლოებით 7000 ტომი ინახებოდა.

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია დავით გურამიშვილი, მისი ჭაბუკობის წლები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანას დაემთხვა. ირანისა და თურქეთის შემოტევას ემატებოდა ლეკთა თარეში, რომლის გამკლავება დაშლილ-დაქუცმაცებულ ქვეყანას ძლიერ უჭირდა. სრულიად ახალგაზრდა დავითმა მონაწილეობა მიიღო ვახტანგ VI–ის ჯარის ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ 1723 წელს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია თეიმურაზ II. იგი მიჩნეულია საერო მხატვრული პოეზიის ტიპურ წარმომადგენლად და არჩილის სკოლის გამგრძელებლად.

XVIII ს–ის 40-50 იან წლებში ფართო მშენებლობა გააჩაღა ქართლ-კახეთში. იმ დროს თვალსაჩინო ძეგლებია: ქ. სიღნაღი თავისი მონუმენტური გალავნით, თელავის ციხე-გალავანი და სამეფო სასახლე, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი „საჩინო“ თბილისში. მიმდინარეობდა დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლებაც. თბილისში მუშაობდნენ ნარიყალას კოშკებისა და გალავნების,მეტეხის ციხის,მისი ტაძრისა და მეფის სასახლის აღსადგენად. თვითონ მეფე ერეკლე თბილისში ე.წ. როსტომისეულ სასახლეში ცხოვრობდა.

XVIII ს-ის მიწურულს საფუძველი ჩაეყარა ქართულ დრამატულ მწერლობას. თავდაპირველად, ქართული პიესები ცოტა იყო, ხშირად მიმართავდნენ თარგმანს, განსაკუთრებით რუსულიდან.

XVIII ს-ით დამთავრდა ერთი დიდი ეტაპი ქართული კულტურის განვითარებაში. XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს ცხოვრებაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ არსებითად შეცვალა ქართული კულტურის განვითარების პირობები და დასაბამი მისცა ახალ რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ეტაპს ქართული კულტურის ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. სურგულაძე ა. ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები თბ., 1981
2. სურგულაძე ივ. ნარკვევები სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბ., 1968
3. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია, თხზ., ტ.VI, თბ., 1982
4. ჯანელიძე დ. ქართული თეატრი უძველესი დროიდან XIXს-მდე, თბ., 1985
5. კურდღელაშვილი შ. ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959

2008 წლის აგვისტოს ომი და საერთაშორისო თანამეგობრობა

ციცინო ღუღუნაძე, ხატია ტეტუნაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით ჩოჩიშვილი,** ასოცირებული პროფესორი

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა აგრესიამ ერთხელ და სამუდამოდ ახადა ფარდა რუსეთის ე.წ. მშვიდობისმყოფლობას და მედიატორობას. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოში ხდებოდა არა “შიდა კონფლიქტები”, არამედ ეს იყო რუსეთის ფედერაციის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია. ევროსაბჭოს #1633 (2008) რეზოლუციაში ნათლად დაფიქსირდა, რომ 2008 წლის აგვისტოში მოხდა “რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირება, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმა, რაც აღიქმება, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა და, შესაბამისად, ევროსაბჭოს სტატუტის დარღვევა, ან როგორც რუსეთის ფედერაციის მცდელობა, გაავრცელოს გავლენა “ახლო საზღვარგარეთზე”.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში გაჩაღებულმა ომმა ერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მთელ ცივილიზებულ სამყაროში. დასავლეთი აღაშფოთა რუსეთის დაუფარავმა აგრესიამ, მეზობელ

პატარა ქვეყანაზე თავდასხმამ და მისი ტერიტორიების 20 %-ზე მეტის ანექსიამ. ცივილიზებული სამყაროსთვის გაუგებარი იყო, როგორ შეიძლებოდა 21-ე საუკუნეში თავს დასხმოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერის საბაბით და იგი დაებომბათ და გაეპარტახებინათ; ამასთან სამხედრო ბაზები განელაგებინათ არა მხოლოდ სეპარატისტულ რეგიონებში, არამედ საქართველოს სხვა, ამ ადგილებიდან დაშორებულ ტერიტორიებზე, მათ შორის ბომბები დაეშინათ თბილისისთვის.

ომის დაწყების დღიდან საქართველოში განვითარებულ მოვლენებს 24 საათის განმავლობაში აშუქებდა საერთაშორისო მედია. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომ არ დაეგმო რუსეთის ქმედებები, არ მოეწოდებინა მისთვის ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანისკენ. მეტიც, არ წყდებოდა თბილისში ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი თანამდებობის პირების სტუმრობა, რომლებიც აქ საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების მხარდასაჭერად ჩამოდიოდნენ. თბილისს ეწვივნენ აგრეთვე ევროკომისიის პრეზიდენტი და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლები.

გაეროს უშიშროების საბჭომ რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებულ საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით 2008 წლის 8 - 28 აგვისტოს განმავლობაში 6-ჯერ მოიწვია საგანგებო სხდომა, თუმცა, სამწუხაროდ, 19 (94/29) და 28 აგვისტოს (9438) რეზოლუციის მიღება ვერ შეძლო, რადგან რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლება გამოიყენა.

2008 წლის 1 სექტემბერს ბრიუსელში საგანგებოდ შეიკრიბა ევროკავშირის მინისტერიალი, რომელმაც რუსეთის ქმედებებს დისპროპორციული უწოდა. მინისტრებმა დაგმეს რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ და მოუწოდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, არ ეცნოთ სეპარატისტული რეგიონები. ბრიუსელში მიღებულ დოკუმენტში დაფიქსირებულია საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა. მინისტერიალმა რუსეთს მოუწოდა პრეზიდენტ სარკოზის 6-პუნქტიანი შეთანხმების შესრულებისა და ჯარების ომამდელი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნებისაკენ. დოკუმენტში გამოთქმულია იმედი, რომ რუსეთი არ აირჩევს იზოლაციის გზას.

ევროკავშირის მინისტრთა საბჭო 1 სექტემბრის საგანგებო სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ეგიდით საქართველოში გამოგზავნონ 200 დამოუკიდებელი სამოქალაქო დამკვირვებელი მაინც, დაინიშნოს ბ-ნი პიერ მორელი საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად. მინისტერიალი ასევე მოუწოდებს ევროკომისიას, მოამზადოს დონორთა კონფერენცია და მოიზიდოს სახსრები საქართველოს ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დახმარების მიზნით.

2008 წლის 3 სექტემბერს საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ბრიუსელში ევროპარლამენტი იღებს #3 რეზოლუციას, რომელშიც დადასტურებული და ხაზგასმულია საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო დონეზე აღიარებული საზღვრების ფარგლებში ტერიტორიული მთლიანობის უპირობო მხარდაჭერა. რეზოლუციაში დაგმობილია სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგება, გაძლიერებული სამხედრო აქტივობა ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რუსების სამხედრო მანევრები საქართველოს საზღვრებთან ახლოს; აღნიშნულია 158 000 ადამიანის იძულებით გადაადგილების ფაქტი, ასევე დაგმობილია რუსეთის ფედერაციის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ცნობა.

19 აგვისტოს ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ცხინვალის რეგიონის მიმდებარე "უსაფრთხოების ზონაში" 20 დამკვირვებლის დაუყოვნებლივ გაგზავნის თაობაზე. იმავე დღეს იმართება ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრა, რომელზედაც კეთდება განცხადება რუსეთთან ჩვეული ურთიერთობების გაგრძელების მიზანშეუწონლობის შესახებ. (No business as usual with Russia).

რუსეთი კვლავ არ დგამს რაიმე ქმედით ნაბიჯებს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. მეტიც, სენაკსა და ფოთში გამალებით აწყობენ სანგრებს. ქართველ ხალხს უსაფრთხოების შეგრძნება მხოლოდ მაშინ უჩნდება, როდესაც 24 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული ხომალდი "მაკფოული" (USS McFaul) შემოდის ბათუმის ნავსადგურში.

29 აგვისტოსთვის შავი ზღვის აკვატორიაში უკვე იმყოფება ნატოს ათი გემი: სამი ამერიკული ხომალდი, ესპანური ფრეგატი "ადმირალი ხუან დე ბორბონი", პოლონური ფრეგატი "გენერალ პულასკი", გერმანული ფრეგატი "ლიუბეკი" და ოთხი თურქული გემი.

2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესაბამისად, ჟენევის შეხვედრები რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მექანიზმების შემუშავების თვალსაზრისით ძირითადი შეხვედრების მნიშვნელობას იძენს. 2009 წლის მაისის ჩათვლით აქ ტარდება შეხვედრების 5 რაუნდი (2008

წლის 15 ოქტომბერი, 19 ნოემბერი, 17-18 დეკემბერი და 2009 წლის 17-18 თებერვალი, 18-19 მაისი). მეოთხე რაუნდის ბოლოს სამი თანამედიატორის (ევროკავშირი, ეუთო და გაერო) ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ მხარეები შეთანხმდნენ უსაფრთხოების ასპექტებში ინციდენტების ერთობლივი პრევენციისა და პასუხის მექანიზმებზე, რაც გულისხმობს 24-საათიან ცხელ ხაზს და რეგულარულ შეხვედრებს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.

2008 წლის 2 ოქტომბერს ევროპის საპარლამენტო ასამბლეა იღებს #1633 რეზოლუციას, რომელშიც რუსეთი აგრესორად მოიხსენიება და ნათქვამია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა აღიარებული იყო, არის და იქნება საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად. რეზოლუციაში ხაზგასმულია კონფლიქტის ზონებში ომამდე მოქმედი სამშვიდობოების უუნარობა, დაეცვათ ადამიანების სიცოცხლე და ქონება, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპირება, რუსეთის ფედერაციის მცდელობა, გაავრცელოს გავლენა "ახლო საზღვარგარეთზე".

აღნიშნული რეზოლუციის შესრულების თაობაზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო კიდევ 3 რეზოლუცია 1647 (2009), 1648 (2009), 1664 (2009), რომლებშიც ისევ და ისევ დაფიქსირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, დაგმობილია რუსეთის არამანდატირებული შეიარაღებული ძალების განლაგება და ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებსა და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფლებში; შეშფოთებაა გამოთქმული ქართველ პოლიციელებზე თავდასხმის ფაქტების გამო; ხაზგასმით არის დაფიქსირებული და დაგმობილი სამხრეთ ოსეთში ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდა, ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევა, ქართული ენის დევნა, იძულებითი პასპორტიზაცია, გადაადგილების შეზღუდვა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორებისთვის შესვლის აკრძალვა.

2008 წლის დეკემბერში ევროკავშირი „კონფლიქტის დაწყებისა და მიმდინარეობის" საკითხთა შესწავლის მიზნით ქმნის მისიას, რომლის ხელმძღვანელად ინიშნება შვეიცარიელი დიპლომატი ქ-ნი ჰაიდი ტალიავინი. აღსანიშნავია, რომ ამ წინადადებით პირველად საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოდის.

სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევის ფაქტები დაფიქსირებულია ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამარბერგის მოხსენებებშიც. კომისარმა კონფლიქტის მსხვერპლთა უფლებებისა და ჰუმანიტარული დაცვისთვის განსაზღვრა 6 აუცილებელი პრინციპი, კერძოდ:

1. დაბრუნების უფლება;
2. იძულებით ადგილნაცვალ პირთა უფლება ადეკვატურ ზრუნვასა და მხარდაჭერაზე;
3. ომის ნარჩენების საშიშროებისგან დაცვის უფლება;
4. უკანონობისაგან დაცვის უფლება;
5. ომის შედეგად დაკავებულ/დაპატიმრებულ და დამალულ პირთა დაცვის უფლება;
6. საერთაშორისო დახმარება და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით საერთაშორისო ძალების რეგიონში ყოფნა და მონიტორინგი.

ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში 2009 წლის 14 აპრილს ჰააგაში მწვავე განცხადება გააკეთა . მან მოუწოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, შეწყვიტოს გალის რეგიონში ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლა, კერძოდ, მათი განათლების უფლების შეზღუდვა, იძულებითი „პასპორტიზაცია", აფხაზურ არმიაში ქართველების იძულებით გაწვევა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა".

ადამიანის უფლებათა დარღვევის შემაძრწუნებელი ფაქტებია აღნუსხული „Human Rights Watch" – ის სქელტანიან მოხსენებაშიც.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელია ოკუპანტი სახელმწიფო. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაცია ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს; მეტიც, იგი ყოველმხრივ ხელს უშლის თავის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ჰუმანიტარული ორგანიზაციების შესვლას.

საერთაშორისო თანამეგობრობა ერთხმად აღიარებს საერთაშორისო მონიტორების ყოფნის აუცილებლობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ე.წ. "ბუფერულ ზონებში", მაგრამ, რუსეთის ფედერაცია ამჯერადაც ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ შეუშვას სადამკვირვებლო მისიები თავის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. მეტიც, იგი მაქსიმალურად ცდილობს, უშიშროების საბჭოზე დაბლოკოს საერთაშორისო მონიტორებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება.

2008 წლის 18 სექტემბერს ეუთოს მუდმივმოქმედმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში ეუთოს მისიის სამხედრო მონიტორების რაოდენობის 100-მდე გაზრდის შესახებ. მათი

ნაწილი სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე უნდა განთავსებულიყო. მონიტორების ფუნქციებში შედიოდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების სრულად განხორციელების, ჰუმანიტარული დერეფნის უზრუნველყოფისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უსაფრთხო გადაადგილების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხო და თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა. მაგრამ, რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლება გამოიყენა და პროექტი დაბლოკა. რუსეთის ფედერაცია ამასაც არ დასჯერდა და 2008 წლის 4 დეკემბერს ქალაქ ჰელსინკში გამართულ ეუთოს მინისტერიალზე ვეტოს უფლების გამოყენებით კიდევ ერთხელ დაბლოკა საერთოდ საქართველოში ეუთოს მისიის მანდატის გაგრძელება. რაც შეეხება UNOMIG – ის მანდატს, იგი დღევანდელი მდგომარეობით, რუსეთის მიერ ვეტოს გამოყენების შედეგად, შეწყვეტილია. 2009 წლის 15 ივნისს რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლებით შეაჩერა გაეროს სადამკვირვებლო მისიის 16-წლიანი მუშაობა საქართველოში, რის მიზეზადაც დაასახელა ადგილზე არსებული ახალი რეალობა და ის ფაქტი, რომ თავად აღარ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. საერთაშორისო თანამეგობრობისა და საქართველოსთვის სამწუხაროდ, რეგიონალური სტაბილურობის საზიანოდ, UNOMIG – მა შეწყვიტა ფუნქციონირება.

ევროკავშირის 1 სექტემბრის საგანგებო სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამ ორგანიზაციის დამკვირვებელთა პირველი ნაკადი საქართველოში 24 სექტემბერს ჩამოდის. 1 ოქტომბერს კი 22 წევრი სახელმწიფო 200-ზე მეტ დამკვირვებელს გზავნის.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში მუშაობა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო. გადაწყვეტილება მისიის საქართველოში განთავსებაზე მიიღეს 2008 წლის 15 სექტებერს 6-პუნქტიანი სამშვიდობო გეგმისა (12 აგვისტო) და შემდგომი დამატებების (8 სექტემბერი) თანახმად. მისიის მანდატს ახორციელებს 200-ზე მეტი დამკვირვებელი . მისიის ცენტრალური ოფისი განთავსებულია თბილისში, რეგიონალური საველე ოფისები კი - გორში, ფოთსა და ზუგდიდში. მისიის ბიუჯეტი 35 მილიონ ევროს შეადგენს. მისი მანდატი განისაზღვრება 12 თვით, შემდგომში გაგრძელების შესაძლებლობით. მანდატით გათვალისწინებულია მონიტორინგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ყოფნას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულად ვერ ახორციელებს დაკისრებულ მოვალეობას რუსეთის მხრიდან დაბლოკვისა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვის გამო. ამჟამად არსებული მანდატი არ ქმნის მისიის პოლიციურ ანდა სამშვიდობო ფორმატში გადაზრდის წინაპირობას. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, თუკი მისიას პოლიციური ფუნქციები მიენიჭება.

2008 წლის ოქტომბერში, ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე სახელმწიფო და ინდივიდუალურმა დონორებმა საქართველოს აღმოუჩინეს უპრეცედენტო მხარდაჭერა და გამოუყვეს დაახლოებით 4.5 მილიარდი დოლარი ათიათასობით დევნილის განსახლებისთვის, განადგურებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ეკონომიკის გამყარებისთვის.

2009 წლის 4 მარტს ევროპულმა კომისიამ დემოკრატიისათვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია) დაადასტურა, რომ: "ნებისმიერი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სახელმწიფოს მკაფიო და ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, მიჩნეული უნდა იქნეს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ოკუპაციად."

თუკი ერთი შეხედვით შევაფასებთ აგვისტოს ომის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ. ფაქტია, რომ ბაზების მშენებელი რუსეთის არმია კიდევ უფრო მომაგრდა და გაფართოვდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. დევნილების დაბრუნებაზე არც კი ფიქრობს და იგნორირებას უკეთებს საერთაშორისო საზოგადოების მოწოდებებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის მორჯულების იმედით აღვსილი საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს მოთმინებასა და პარალელურად დემოკრატიულ თუ ეკონომიკურ განვითარებას ურჩევს.

გამოსავალი ერთია: რომ დარჩენილი საქართველო უფრო მიმზიდველი გახდეს ამჟამად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისათვის, რათა მათ ძველებურად ერთად ცხოვრება მოინდომონ.

…და ბოლოს შეგახსენებთ ყველასათვის ცნობილ გამონათქვამს ,,რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

ლიტერატურა:

1. გაზეთი ,,კვირის პალიტრა", 12.09.08, #34, გვ; 2-3;
2. გაზეთი ,,კვირის პალიტრა" , 27.08.08, #33, გვ; 3-4;
3. გაზეთი ,,24 საათი" , 12.04.10, გვ; 14-15;

ერთა ლიგა და საქართველო

მანონი ელიზბარაშვილი, მარიამი ხარიბეგაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბაკალავრიატის
სწავლების მესამე წლის სტუდენტები
ხელმძღვანელი: **დავით ახლოური,** აკადემიური დოქტორი

1920 წლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა სამოქალაქო ომში და რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენას შეუდგა. აპრილში XI წითელი არმია აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკაში შეიჭრა და დაიპყრო, ხოლო ნოემბრის თვეში იმავე არმიამ სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გააუქმა. 1918-1921 წლებში რუსეთმა რამდენჯერმე სცადა საქართველოს ოკუპაცია. მოსკოვის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიურო და ადგილობრივი ბოლშევიკები (ე.წ. მეხუთე კოლონა: სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე და სხვანი), რომელნიც საბჭოთა რუსეთის აგენტურას წარმოადგენდნენ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის, გერასიმე მახარაძის დაშიფრული საიდუმლო დეპეშიდან (1920 წლის დეკემბერი), აშკარად ჩანდა, რომ რუსეთი უკვე ფიქრობდა საქართველოს გასაბჭოებაზე, თუმცა ამას ოფიციალურად ჯერ არ აცხადებდნენ, რუსეთიდან გამოიგზავნა დიპლომატიური კურიერი სერნერი, რომელსაც ევალებოდა პროვოკაციების მოწყობა. სერგეი კიროვის გამოსვლიდან კავკასიის კომუნისტთა ერთ-ერთ კრებაზე: ღრუბლები იკრიბება იმ მომენტში, როდესაც ატყდება საშინელი ქარიშხალი და ყველაფერს წალეკავს, საქართველოშიც ამობრწყინდება წითელი ვარსკვლავი.

საქართველოში მყოფი ბოლშევიკები ქვეყნის სხვადასხვა ადგილას ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს აწყობდნენ.

საქართველო, როგორც პატარა ქვეყანა, იყო სუსტი და დაუცველი სახელმწიფო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია 1934 წელს უკვე ემიგრაციაში სინანულით წერდა: „ყველა არსებული პატარა სახელმწიფოები არსებობენ რომელიმე დიდი სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა შემწეობით... ერი, რომლის თავისუფლება არავის არ ესაჭიროება, სხვის უღელშია... ვერც ერთი პატარა ერი თავს ვერ გაითავისუფლებს დიდისგან მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონით, სუსტის და მძლავრის კანონი მუდამ ძალაშია“.

ცნობილია, რომ პატარა ქვეყნების პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა შორის პოპულარობით არ სარგებლობს.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი პატარა სახელმწიფო არის საქართველო, რომელიც სიძნელეებისა და კრიტიკული ვითარების მიუხედავად თანდათანობით ცდილობს ააშენოს საკუთარი სახელმწიფოებრიობა, იპოვოს საკუთარი ადგილი საერთაშორისო სარბიელზე. ზრუნავს საკუთარ უსაფრთხოებაზე, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მიზანი იყო გაწევრიანებულიყო ერთა ლიგაში.

I მსოფლიო ომის შემდეგ საზოგადოებაში დამკვიდრდა შეხედულება, რომ ომები პოლიტიკური გაუგებრობებისა და საგარეო პოლიტიკაში საზოგადოებრიობის ჩაურევლობის შედეგია. გაჩნდა წარმოდგენა, რომ საყოველთაო მშვიდობის მიღება შესაძლებელი გახდებოდა სახელმწიფოთა შორის დიალოგისა და საერთაშორისო წესების უზენაესობის დამკვიდრებით. სწორედ ამ მისწრაფებამ განაპირობა მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის შექმნა.

1918 წლის 8 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თომას ვილსონმა მიმართა აშშ-ს კონგრესს და გააცნო 14 პრინციპი, რომლის საფუძველზედაც უნდა დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები I მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიასა და მის მოკავშირეებთან: „უნდა შეიქმნას ერთა ლიგა სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, რომელთა ერთადერთი მიზანია როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა“.

ერთა ლიგა 1919 წელს შეიქმნა, მისი დამფუძნებელი იყო 44 ქვეყანა. ერთა ლიგის მუშაობას ხელმძღვანელობდა გენერალური მდივანი, ერთა ლიგის მთავარი მმართველი ორგანოები, რომელიც მდებარეობდა ჟენევაში, იყო:

1) საბჭო - შედგებოდა 4 მუდმივი (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია) და 4 არჩევითი წევრისაგან.
2) ასამბლეა - მსოფლიო პარლამენტის შექმნის პირველი მცდელობა, ასამბლეაზე განიხილებოდა სხვადასხვა სახის მსოფლიო პრობლემები და მიიღებოდა გადაწყვეტილებები.

3) საერთაშორისო სასამართლო - მდებარეობდა ქ. ჰაგაში, შედგებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან არჩეული 15 მოსამართლისაგან და განიხილებოდა ქვეყანათა შორის დავები.

ჩამოთვლილთა გარდა ერთა ლიგას ჰქონდა სხვა კომიტეტებიც, რომლებიც ზრუნავდნენ: ქალთა უფლებების დაცვაზე, ბავშვთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებზე.

ერთა ლიგის ძირითადი მიზანი იყო მსოფლიოში განიარაღებისა და ლიგის წევრი ქვეყნების ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა, საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს შექმნა და ზრუნვა ჩამორჩენილ ქვეყნებზე. ერთა ლიგა მოქმედებდა წესდების საფუძველზე. წესდება შედგებოდა 26 მუხლისაგან და წარმოადგენდა ვერსალის საზავო ხელშეკრულების პირველ ნაწილს. ლიგის წესდებაზე მუშაობდა 13 წევრისაგან შემდგარი საერთაშორისო კომისია აშშ-ის პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონის თავმჯდომარეობით. წესდება ძალაში შევიდა 1920 წლის 10 იანვარს, ვერსალის საზავო ხელშეკრულების ტექსტთან ერთად.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად ერთა ლიგაში გაწევრიანება დაისახა მიზნად. ევროპაში წარგზავნილმა საქართველოს დელეგაციამ 1919 წლის 21 მაისს საქართველოს მთავრობის სახელით მიმართა ერთა ლიგის ასამბლეას.

1920 წლის 1 სექტემბერს საქართველოს დამოუკიდებელმა კრებამ სპეციალური მემორანდუმით მიმართა ერთა ლიგას საქართველოს ორგანიზაციაში მიღების შესახებ. ერთა ლიგაში მიღების თხოვნა გაიმეორა 1920 წლის სექტემბერში დასავლეთ ევროპასი საგანგებოდ მივლინებულმა საქართველოს კიდევ ერთმა სამთავრობო დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით. ევგენი გეგეჭკორის მემორანდუმი ერთა ლიგისადმი უფრო არგუმენტირებული იყო.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია. ამ დელეგაციამ პარიზში იმუშავა 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დამდეგამდე. მან „მოკავშირეთა საბჭოს“ წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც ოფიციალურად ითხოვდა საქართველოს აღიარებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ საფეხურზე დე-ფაქტო (ფაქტიური), ხოლო მეორე საფეხურზე დე-იურე ანუ სრული ოფიციალურ-იურიდიული აღიარება. 1920 წლის 12 იანვარს ვერსალის კონფერენციაზე მოქმედმა გამარჯვებული ქვეყნების უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

გამარჯვებული სახელმწიფოები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას, მაგრამ თავს იკავებდნენ მისი ოფიციალური ცნობისაგან. ისინი ერიდებოდნენ რუსეთის გაღიზიანებას, რომელიც კავკასიას და საქართველოსაც საკუთარ ტერიტორიებად განიხილავდა. მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, როცა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნო.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საბოლოო და სრული დე-იურე ცნობა ვერსალის უმაღლესი საბჭოს შემადგენელმა ქვეყნებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ 1921 წლის 27 იანვარს მოახდინეს.

1920 წლის 12-16 ოქტომბერს მილანში გამართულ ერთა ლიგის საერთაშორისო ასოციაციის მეოთხე კონგრესზე საქართველოს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. კონგრესზე ერთა ლიგის ასოციაცია ერთხმად იქნა მიღებული ერთა ლიგის მსოფლიო ასოციაციის წევრად. ამის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კიდევ უფრო გააქტიურდა ერთა ლიგის სრულფასოვანი წევრობის მოსაპოვებლად.

1920 წლის 15 ნოემბერს ჟენევაში მუშაობა დაიწყო ერთა ლიგის პირველმა სესიამ. დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო რიგ სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს გაერთიანება ერთა ლიგაში. ეს საკითხი დაევალა მე-5 განსაკუთრებულ კომისიას, 36 წევრის შემადგენლობით. კომისია მუშაობდა ჩილელი დელეგატის ანტონი პონელერის თავმჯდომარეობით. კომისიამ წარმოადგინა ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა გაწევრიანების საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები. საქართველოს საკითხი აზერბაიჯანთან, სომხეთთან და კოსტა-რიკასთან ერთად განსახილველად მე-3 ქვეკომისიას გადაეცა, რომლის თავმჯდომარე იყო ნანსერი. მკაცრი განხილვის შემდეგ მე-5 განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა: ერთა ლიგაში ბალტიის სახელმწიფოებთან ერთად, საქართველოს მიღების საკითხი 1920 წლის 16 დეკემბრამდე გადაიდო. ერთა ლიგაში საქართველოს მიღებას ხმას აძლევდა 24 სახელმწიფო. არჩევისათვის კი მხოლოდ საჭირო იყო 6 დელეგატის ხმა. საქართველოს სასარგებლოდ ხმა მისცეს: სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ; წინააღმდეგ გამოვიდნენ: ავსტრალია, კანადა, კუბა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, ზელანდია, ნიდერლანდები, ჩეხოსლოვაკია და დანია. თავი შეიკავეს: ბელგიამ,

პოლონეთმა, შვეციამ, რუმინეთმა. მაშასადამე, 1920 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგის წევრად საქართველოს ხმა მისცა ათმა სახელმწიფომ. საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა. თავშეკავების ძირითად მიზეზად კი ერთა ლიგის წესდების მე-10 მუხლი სახელდებოდა, რომლის თანახმადაც ლიგას მეტად გაუძნელდებოდა ახალი წევრების ტერიტორიების თავდასხმისაგან დაცვა და მათი საერთაშორისო უფლებების უზრუნველყოფა.

თავშეკავების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ისინი ერიდებოდნენ რუსეთის გაღიზიანებას, რადგან იგი დიდი და ძალაუფლების მქონე ქვეყანა იყო და ერიდებოდნენ მასთან უთანხმოებას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ვერ გახდა ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრი, მაინც არაერთი გულთბილი სიტყვა ითქვა ჩვენი ქვეყნისადმი. მაგალითად ნანსურმა, რომელმაც შესაფერისი პატივისცემით მოიხსენია ქართველი ხალხი და მიუთითა, რომ საქართველოს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ თვით ლიგისთვისაც. ნანსურის შემდეგ ამავე აზრის მხარდასაჭერად გამოვიდა ლორდი რობერტ სესილი, რომელმაც კრების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლიგაში საქართველოს მიღების მნიშვნელობას.

ამრიგად, საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ გახდა საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

ამას მოჰყვა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა 1921 წლის 25 თებერვალს.

1921 წლის 24 თებერვალს საღამოსთვის სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობა ასეთი იყო: საქართველო-რუსეთის ომის ფრონტის ხაზი კახეთიდან მანგლისამდე 90 კმ-ზე გადაჭიმულიყო, რომლის დაცვა რეზერვების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდებოდა. თბილისის მისადგომები ზოგ რაიონში საერთოდ დაუცველი იყო. ღამის 12 საათზე დაიწყო ქართული ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილების უკან დახევა მცხეთის მიმართულებით. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილები თბილისში შევიდნენ.

ამრიგად, სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველო გახდა რუსეთის ინტერვენციის მსხვერპლი, რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

საქართველო-რუსეთის ომი 1921 წლის თებერვალ-მარტში დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემითა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით.

ვფიქრობთ, საქართველო რომ ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო, რუსეთი ვერ დაიპყრობდა საქართველოს ტერიტორიას და მაშასადამე, მისი გასაბჭოებაც ვერ მოხდებოდა. ეს არის ძირითადი დანაკლისი იმისა, რომ საქართველო ხსენებულ საერთაშორისო ორგანიზაციაში არ მიიღეს.

ერთა ლიგის შექმნას I მსოფლიო ომის დიდ მონანიებად აცხადებდნენ და მას ცივილიზაციის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდნენ. 20-იან წლებში ერთა ლიგამ შეძლო რამდენიმე კონფლიქტის ეფექტურად მოგვარება, მაგრამ 30-იანი წლების მოუგვარებელმა კონფლიქტებმა (იაპონიის აგრესია მანჯურიაში, გერმანიის მიერ რაინის ოკუპაცია, იტალიის მიერ ეთიოპიის ოკუპაცია, ესპანეთის სამოქალაქო ომი, გერმანიის აგრესია ჩეხოსლოვაკიასა და ავსრიაში) აზრი დაუკარგა ერთა ლიგის არსებობას და მსოფლიო ახალ მასშტაბურ ომში ჩაითრია.

1941 წლის ერთა ლიგის გენერალური ასამბლეის უკანასკნელი სხდომა გაიმართა. 1946 წლის აპრილში ერთა ლიგამ თვითლიკვიდაცია გამოაცხადა და ასპარეზი თავის მემკვიდრეს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დაუთმო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უძველესი დროიდანვე განიცდიდა დაპყრობებს სხვადასხვა ძლიერი ქვეყნების მიერ, იგი მაინც აქტიურად ცდილობს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლას და თავისი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიოში.

მას შემდეგ, რაც ერთა ლიგამ ფუნქცია დაკარგა, საჭირო გახდა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა და 1945 წლის 24 ოქტომბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ოფიციალურად შეუდგა მოვალეობის შესრულებას საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს პირველ დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1992 წლის 31 ივლისს. საქართველო გაეროს 179-ე წევრი გახდა. ჩვენმა ქვეყანამ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, მაინც მოიპოვა თავისი ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე.

ლიტერატურა:

1. მაცაბერიძე მ. ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი, 2006.
2. რონდელი ალ. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, 2009.
3. საქართველოს ისტორია - XX ს, 2003.
4. ჭიპაშვილი ჰ. დიპლომატია, 2007.

ქართველი დიპლომატი გულჩარა ბაგრატიონი

სოფიო ხორგუაშვილი
ჰუმანიტარული ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სწავლების მეორე წლის სტუდენტი
ხელმძღვანელი: **მამუკა ჯოლბორდი,** სრული პროფესორი

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საქართველოს ისტორიამ იცის არაერთი ფაქტი, როცა მეზობელ ქვეყნებთან, თუ ქვეყნის შიგნით დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა ქალს თავისი დიპლომატიური მიდგომით, განჭვრეტით განუმუხტავს და მშვიდობიანად მოუგვარებია.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების, ირან-ოსმალეთის რკალში მოექცა. ორივე სახელმწიფო საქართველოს დაპყრობა-განადგურებით ემუქრებოდა. ამ დროიდან დაწყებული ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში მწვავედ დაისვა "გურჯისტანის" საკითხი. ქართველები თავდადებულ ბრძოლასთან ერთად დიპლომატიური საშუალებებითაც ცდილობდნენ ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობანი გამოეყენებინათ თავისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ქართველი დიპლომატი ქალის გულჩარა ბაგრატიონის მოღვაწეობა. ბაგრატიონის, რომლის აქტიური მონაწილეობით 1612 წელს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო.

ქართულ წყაროებში ამ დიპლომატ ქალზე არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში კი აქა-იქაა გაბნეული ცნობები მის შესახებ. ამ წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად ქართულ ისტორიოგრაფიაში მკვლევარები შეეცადნენ დაედგინათ ვინაობა ქართველი ქალისა, რომლის დიპლომატიური საქმიანობაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობებთან.

შაჰ-აბასის ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, ოსმალების მიერ სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ, სტამბოლში გაგზავნეს ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც მისი აღმატებულება შაჰის კარზე იმყოფებოდა, ოჯახის ნათესავთაგანი იყო და მომხდარი ამბების შემდეგ სიმონ მეფესთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. როდესაც სიმონ მეფე ოსმალთა ტყვეობაში აღმოჩნდა, იგი სტამბოლში წაიყვანეს, იმ გვარის (დინასტიის) ქალებმა ზემოთ ხსენებული ქალბატონიც სტამბოლში გაგზავნეს, რათა მას მომსახურება და ზრუნვა აღმოეჩინა. გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის პატივცემულ დედას, რომელსაც იმ ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა და მოხერხებული ქცევითა და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოიპოვა და რამდენიმე ხანი სტამბოლში დაჰყო.

ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისქანდერ მუნში ირანში მყოფ სიმონ მეფის ნათესავთა შორის ასახელებს გულჩარას, რომელიც როგორც ჩანს, მეტად დაახლოებული ყოფილა სიმონ მეფესთან.

საყურადღებო ცნობას გვაწვდის, აგრეთვე შაჰ-აბასის კარზე მყოფი პორტუგალიის ელჩი ანტონიო გოვეა. მისი გადმოცემით, სტამბოლში ჩავიდა ქართველი ქალი გულჩარა და სულთანის დედის ნდობა დაიმსახურა. ანტონიო გოვეა გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლედ თვლის. როგორც ქართული წყაროებიდანაა ცნობილი, სიმონს ცოლად ჰყავდა ლევან კახთა მეფის ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი.

ბ. გიორგაძე, რომელიც ეყრდნობა ა.გოვეას ამ ცნობას, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გულჩარა სიმონ მეფის ხარჭა უნდა ყოფილიყო.

ვ. გაბაშვილის აზრით, გულჩარა სიმონის ახლობელი ქართველი მანდილოსანი იყო. 2 (53).

ა. გოვეას მსგავსად თინა იველაშვილი გულჩარას შეცდომით სიმონ მეფის მეუღლედ თვლის. აქ მნიშვნელოვანი ჩვენთვის ისაა, რომ ამ ორ, საომარ სიტუაციაში მყოფ მაჰმადიანურ ქვეყანას შორის მშვიდობიანობის დამყარებისათვის შუამავლად მაინცდამაინც ქრისტიანი ქართველი გვევლინება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შუა საუკუნეებში ქართველი ქალის დიპლომატიური ნიჭი და გამოცდილება კარგად იყო ცნობილი 1 (228).

გულჩარას ვინაობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიურ და რუსულ წყაროებში დაცულ ცნობებს.

1603 წელს კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ავგუსტინო ნანის ცნობით, სიმონ მეფემ, ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით, თავისი ულამაზესი ქალიშვილი სერალსში გაგზავნა, მაგრამ მის ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. აქედან ირკვევა, რომ გიორგი X-მ სიმონ მეფის

დასახსნელად სტამბოლში გაგზავნა, არა მარტო თავისი შვილი დავითი, როგორც ეს ქართული წყაროებითაა ცნობილი, არამედ თავისი უმშვენიერესი ქალიშვილიც.

სტამბოლში გიორგი მეფის შვილების (დავითისა და მისი დის) ყოფნა დასტურდება აგრეთვე რუსული დიპლომატიური საბუთებიდანაც. გიორგის შვილებში უნდა ვიგულისხმოთ დავითი და მისი და, რომლის სახელიც ჩვენთვის უცნობია. სტამბოლში ჩასულ უფლისწულ დავითზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი. დავითის დის საქმიანობის შესახებ კი წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. მ. სვანიძის აზრით, სტამბოლში ჩასული გულჩარა გიორგის ქალიშვილი უნდა იყოს.

სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, ლუარსაბ მეფეს ორი და ჰყავდა, მაგრამ დების სახელები არა არის აღნიშნული. წყაროების უმრავლესობა მათ ელენეს (ლელას) და ხვარაშანს უწოდებს, ხოლო ბერი ეგნატაშვილი და მასზე დაყრდნობით ვახუშტიც თინათინსა და ხვარაშანს. ეტყობა ბ. ეგნატაშვილს "ლუარსაბის დად - თინათინად -შეცდომით მიუღია თეიმურაზ I-ის ასული თინათინი). უფროსი და ხორაშანი თეიმურაზ მეფის მეუღლე გახდა, ხოლო უმცროსი ელენე (ლელა), როგორც ზემოთ ითქვა, შაჰ-აბასმა წაიყვანა ცოლად.

მ. საბინინი და ანტონ ფურცელაძე ლაპარაკობენ ლუარსაბის სამი დის შესახებ. ესენია: თინათინი, ხორაშანი და ელენე (ლელა). აქედან უფროსს თინათინი ერქვა, რომელიც გიორგი მეფემ მის ძმასთან დავითთან ერთად სტამბოლში გაგზავნა.

თუ ეს მოსაზრება სარწმუნოა, მაშინ გამოდის, რომ სპარსულ და ევროპულ წყაროებში მოხსენიებული გულჩარა იგივეა, რაც თინათინი .ე.ი. გულჩარა (თინათინი) იყო გიორგი მეფის ასული და სიმონ მეფის შვილიშვილი. დავით უფლისწულთან ერთად სტამბოლში გულჩარას გაგზავნა ადვილად დასაშვებია, რადგანაც მათი სტამბოლში გამგზავრებისას დავითი 5-6 წლისა უნდა ყოფილიყო და მას მოვლა-მზრუნველობა სჭირდებოდა თავისი დის მხრიდან, ამასთანავე მან, როგორც ვნახავთ, დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოამჟღავნა.

გულჩარა რომ სიმონ მეფის შვილიშვილი იყო, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, სიმონ მეფის შვილიშვილი, რომელმაც უარი თქვა გათურქებაზე, სულთნის წერილითა და ჩაუშის უმაღლესი ტიტულით, ირანში გაიგზავნა. ანტონიო გოვეასა და ისქანდერ მუნშის საისტორიო თხზულებებიდან კი ირკვევა, რომ ამგვარი დიპლომატიური დავალებით სულთანმა ირანში შაჰ-აბასთან გულჩარა გაგზავნა. ამგვარად, გულჩარა და სიმონის შვილიშვილი ერთი და იგივე პიროვნება ჩანს. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ისქანდერ მუნშის გადმოცემით გულჩარა სიმონ მეფის ნათესავია, მაშინ ეს მოსაზრება კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება.

1603 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა სულთანი მეჰმედ III და ტახტზე ავიდა 14 წლის აჰმედ I (1603-1617). ამ დროს ოსმალეთის მთელ სახელმწიფო საქმეებს ფაქტობრივად სულთნის დედა განაგებდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აჰმედ პირველის ტახტზე ასვლიდან ორი კვირის შემდეგ სასახლის კარზე დაწინაურდა გურჯი (ქართველი) მეჰმედ-ფაშა და იგი სასახლის აღად დანიშნეს, შემდგომ მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. შესაძლებელია, გურჯმა მეჰმედ-ფაშამ გარკვეული დახმარება აღმოუჩინა სტამბოლში ჩასულ ქართველებს თავიანთი მიზნის განხორციელებაში. ასეთ ვითარებაში გულჩარამ სცადა თავისი გეგმის რეალიზაცია. იგი დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა.

აღნიშნულ პერიოდში ირანთან ომში ოსმალეთი მარცხდებოდა. ამავე დროს იგი ევროპაში ავსტრიის იმპერიას ეომებოდა. საკუთრივ ოსმალეთში კი კვლავ გლეხთა აჯანყებები გრძელდებოდა. ოსმალეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა ირანთან დაზავების შედეგად.

საფიქრებელია, გულჩარამ სულთნის დედას აცნობა, რომ სიმონ მეფე შაჰ-აბასის სიმამრი იყო და შაჰი მას პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა. შაჰ-აბასის კარზე დიდი გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ზეინაბ-ბეგუმი (შაჰის მამიდა), რომელთანაც სიმონ მეფეს აგრეთვე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ჯერ კიდევ ირანში ყოფნის დროიდან. ჩანს, ყოველივე ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სულთნის დედაზე და მას გაუჩნდა სურვილი, გამოეყენებინა სიმონ მეფე ირანთან ზავის დადების საქმეში და ეს გეგმა თავის შვილს აჰმედ პირველს გაუზიარა. სულთნის დედამ გულჩარა და სიმონ პირველი მართლაც გაგზავნა ზეინაბ-ბეგუმთან და წერილი გაატანა მასთან, რომელშიც სთხოვდა, შაჰ-აბასის მამიდას, ზეგავლენა მოეხდინა ძმიშვილზე და უარი ეთქმევინებინა ოსმალეთთან ომზე. 3(124)

ოსმალებმა სიმონ მეფე ტყვეობიდან გაათავისუფლეს და გულჩარასთან ერთად შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს.

სულთანი ფრთხილად მოქმედებდა და სიმონ მეფის გათავისუფლების პირობად ზავის დადებას მოითხოვდა.

სიმონ მეფე და გულჩარა კონსტანტინოპოლიდან ექვსი თუ შვიდი დღის გამგზავრებულები იყვნენ, როცა სულთანმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალა, სიმონ მეფე უკან დააბრუნა და შაჰ-აბასთან გულჩარა გაგზავნა. ამგვარად, ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მთლიანად გულჩარას დაევალა.

გოვეას აზრით, სულთნის ასეთი საქციელის მიზეზი არა მარტო იმის შიში იყო, რომ სიმონი უკან ვერ დაბრუნდებოდა, არამედ ისიც, რომ მისგან შაჰი შეიტყობდა თურქეთის იმპერიის ნამდვილ მდგომარეობას, იმ უმწეობას, რაც სუფევდა სტამბოლში. ამავე დროს გულჩარა უფრო მეტი ენერგიითა და თავგამოდებით შეეცდებოდა ირანთან ზავის დადებას და ამ გზით შეძლებდა ტყვეობაში მყოფი სიმონის გათავისუფლებას.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ სულთნისთვის მეტად საშიში იყო ირანთან ზავის დადებამდე სიმონ მეფის გათავისუფლება, რადგან ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ სიმონი არ იქნებოდა დაინტერესებული ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებით.

გულჩარა მთელი ენერგიითა და მონდომებით შეუდგა რთული დიპლომატიური მისიის შესრულებას, უეჭველია, იგი გამოიყენებდა სიმონ მეფის ავტორიტეტს ირანის შაჰის კარზე.

1606 წელს ზაფხულში გულჩარა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დერვიშ-ფაშამ მას თან გააყოლა თურქი ჩაუში მურად აღა მორიგი ლაშქრობის შემდეგ. შაჰ-აბასი ზეინაბ ბეგუმთან ერთად ამ დროს სევანის ტბის მახლობლად ისვენებდა, შაჰ-აბასმა და ზეინაბ ბეგუმმა პატივით მიიღეს გულჩარა. მან შაჰს გადასცა სულთნის დედისა და სიმონ მეფის წერილები.

ანტონიო გოვეას ცნობით, შაჰს ოსმალეთისათვის ზავის დადების პირობად შემდეგი პირობა წაუყენებია: "იგი მზადაა დაჰყაროს იარაღი და შეურიგდეს დიდ სენიორს, თუ იგი დაუბრუნებს მას ყველა იმ მიწას, რომელიც ფეხქვეშ გათელა ისმაილის ცხენმა". ამრიგად, შაჰ-აბასი ზავის დადების პირობად მოითხოვდა 1555 წლის ირან-ოსმალეთს საზავო ხელშეკრულების აღდგენას, რაზეც ოსმალეთმა ასეთი პასუხი გასცა: "ისმაილის ცხენი ბევრს დარბოდა, რადგან ცუდად ჰქონდა ლაგამი ამოდებული. ამიტომ ფეხქვეშ გათელა ბევრი მიწა, რომელიც არასოდეს ეკუთვნოდა არც შაჰ-აბასს და არც მის წინაპრებს."

შაჰ-აბასი დათმობაზე არ მიდიოდა. მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ იგი არც შეწყვეტილა. გულჩარა რამდენჯერმე გაემგზავრა შაჰთან მოსალაპარაკებლად.

სტამბოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი ბარონ დე სალინიაკი წერდა: ქალი, რომელიც სპარსეთის საზღვრებიდანაა. ქალი, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია და თავისუფლად ნახულობს ოსმალეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს, აი სამი დღეა, რაც ჩამოვიდა მათ შორის ზავის დასადებად.

ეს ქალი გულჩარა უნდა იყოს. საფიქრებელია, ქართველი დიპლომატი ქალი, საზავო მოლაპარაკებისას შეეცდებოდა საქართველოს ინტერესების დაცვასაც.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ასევე ყიზილბაშთაგან თბილისის განთავისუფლებაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა სიმონ მეფესა და გულჩარას.

1612 წლის სექტემბერში ირანის ელჩი ყადი-ხანი ქართველ დიპლომატთან ერთად სტამბოლში ჩავიდა.. ავსტრიელი ისტორიკოსი ჟ. ჰამერი მიუთითებს, რომ ეს ქართველი ქალი გულჩარაა და მან თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და მჭერმეტყველებით ოსმალეთის სულთნის კარი განაცვიფრა. იმ დროს მეტად უჩვეულო იყო ქალისთვის ესოდენ საპატიო საქმის დავალება 2 (121).

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის ზავი დაიდო. ოსმალეთთან დაზავებამ შაჰ-აბასს ხელები გაუხსნა და მან გადაწყვიტა მოეგვარებინა "გურჯისტანის" საკითხი. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ყოველთვის კარგად სარგებლობდნენ ირან-ოსმალეთს შორის გაუთავებელი ომიანობით 5 (85). ამგვარად, ამ ზავის დადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გულჩარა ბაგრატიონს. მისი ენერგიული, დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად შეწყდა სისხლისმღვრელი ომი და გაუმჯობესდა ქართლ-კახეთის სამეფოების მდგომარეობა.

ცხადია, ზავის დადების შემდეგ, გულჩარა სთხოვდა სულთანს სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლებას, როგორც ამას სულთანი ჰპირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროს სიმონი ცოცხალი აღარ იყო და ბუნებრივია, ეს საკითხი აღარ დასმულა. ევროპული წყაროებიდან ირკვევა, რომ სიმონ მეფე 1611 წელს იედი-ყულეს ციხეში გარდაიცვალა. ცხადია, მაშინ გულჩარა სთხოვდა სულთანს ნებართვას, რომ სიმონ მეფის ნეშტი სამშობლოში ჩამოესვენებინათ. ირან-ოსმალეთის ზავის დადების შემდეგ, 1614 წელს სიმონ მეფის ნეშტი საქართველოში მართლაც ჩამოასვენეს და

სვეტიცხოვლის ტაძარში, მეფეთა საძვალეში დაკრძალეს, რაშიც გარკვეული ამაგი გულჩარას მიუძღვის. სიმონის გადმოსვენებაში მონაწილეობა მიიღო გორელმა ვაჭარმა დიაკვნიშვილმა 2 (272).

ამრიგად, გულჩარა ბაგრატიონი იმ პატრიოტ ქართველთა სიის ღირსეული წარმომადგენელია, რომელმაც თავისი საქმიანობით გარკვეული წვლილი შეიტანა სამშობლოს ინტერესების დაცვის საქმეში.

ლიტერატურა:

1. ზ. ავალიშვილი, კავკასიის პოლიტიკის ისტორიიდან, ქართული დიპლომატია, თბ., 1994;
2. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990;
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი IV, თბ., 1973;
4. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში თბ., 1983;
5. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტომი II., თბ., 1998;
6. ქალის უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობა სამხრეთ საქართველოში, თბ., 2000;
7. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. II, თბ., 1983.